საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი


ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ АЛ. ЦУЛУКИДЗЕ

IX

ქუთაისი 1949


სოფელი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შრომები

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ АЛ. ЦУЛУКИДЗЕ

484

IX



ქუთაისი 1949

დაიბეჭდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

ეროვნული სამეცნიერო
ბიბლიოთეკა



ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა განადგურების მოწყობაში, აგრეთვე ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის საქმეში მისი განსაკუთრებული დამსახურებების გამო ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წ. 20 დეკემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების დეწესების შესახებ

1. დაწესდეს საერთაშორისო სტალინური პრემიები „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

პრემიები მიენიჭებათ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქეებს, დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი განსხვავებისა, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

2. დაწესდეს, რომ საერთაშორისო სტალინური პრემიით დაჯილდოებული პირები იღებენ:

ა) საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომს;

ბ) ოქროს სამკერდე მედალს ი. ბ. სტალინის გამოსახულებით;

გ) ფულად პრემიას 100 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. დაწესდეს, რომ მინიჭება საერთაშორისო სტალინური პრემიებისა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ხდება ყოველ წელიწადს 5-10 პრემიის რაოდენობით საერთაშორისო სტალინური პრემიების სპეციალური კომიტეტის მიერ, რომელსაც ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთაგან.

4. პრემიების მინიჭება მოხდეს ყოველი წლის 21 დეკემბერს — იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინის** დაბადების დღეს.

პირველი პრემიები მინიჭებულ იქნას 1950 წელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

1 მოსკოვი, კრემლი. 1949 წ. 20 დეკემბერი.

ამხანაგ სტალინს—დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობს

ძვირფასო მეგობარო, მებრძოლო ამხანაგო, მასწავლებელო და ბელადო!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს, მხურვალედ მოგესალმებიან შენ, ლენინის დიდ თანამებრძოლსა და მეგობარს, მისი უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს, კომუნიზმის დაუღალავ მშენებელს, ჩვენს ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს!

ლენინთან ერთად შენ, ამხანაგო სტალინ, ქმნიდი ბოლშევიკების პარტიას, ლენინთან მჭიდრო თანამეგობრობით ამუშავებდი ბოლშევიზმის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, აწრთობდი პარტიას მშრომელთა განთავისუფლებისათვის მკაცრ ბრძოლებში, გადააქციე იგი მსოფლიოში ყველაზე მძლავრ რევოლუციურ პარტიად. უშიშარ რევოლუციონერს, გენიალურ თეორეტიკოსს, დიდ ორგანიზატორს, შენ ლენინთან ერთად გადაჭრით და გაბედულად, მტკიცედ და ფრთხილად მიგუყავდა პარტია, მუშათა კლასი შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ.

ლენინთან ერთად შენ, ამხანაგო სტალინ, იყავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში შენმა ორგანიზატორულმა და მხედართმთავრულმა გენიამ საბჭოთა ხალხი და მისი გმირი წითელი არმია სამშობლოს მტრებზე გამარჯვებამდე მიიყვანა. შენი, ამხანაგო სტალინ, უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა უდიდესი მუშაობა ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების შესაქმნელად, ერთიან საკავშირო სახელმწიფოში — სსრ კავშირში მათ გასაერთიანებლად.

როცა სიკვდილმა შეწყვიტა დიდი ლენინის სიცოცხლე, შენ, ამხანაგო სტალინ, მაღლა ასწიე ლენინის სახელოვანი დროშა, გაბედულად და მტკიცედ წაიყვანე ჩვენი პარტია ლენინის გზით. ბოლშევიკების პარტია, რომელიც ძლიერია ლენინიზმისადმი თავისი ერთგულებით, იკაფავდა კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გზას, რომელიც ჯერ კიდევ გაუკვალავი იყო ისტორიაში.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ლენინურ თეორიას, რომელიც შენ, ამხანაგო სტალინ, განავითარე და გაამდიდრე. სოციალიზმის მტრები, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის მტრები ამაოდ ცდილობდნენ აეცდინათ ჩვენი პარტია ლენინურ-სტალინური გზიდან, გაეთიშათ იგი შიგნიდან, მოესპოთ მუშათა კლასისათვის თავისი ძალების, სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის რწმენა. შენ ულმობლად ამხელდი ხალხის მტრების ავაზაკურ, დანაშაულებრივ ცდებს—იდეურად განეიარაღებინათ პარტია, დაემსხვრიათ მისი ერთიანობა, დაელუპათ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური რევოლუცია. გამცემლებისა და სოციალიზმის საქმის მოღალატეების წინააღმდეგ, ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა მტრების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში შენს გარშემო, ამხანაგო სტალინ, ჩამოყალიბდა ჩვენი პარტიის ის ხელმძღვანელი ბირთვი, რომელმაც დაიცვა ლენინის უძლეველი დროშა, უფრო მჭიდროდ შეაკავშირა კომუნისტური პარტია და გამოიყვანა საბჭოთა ხალხი სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზაზე.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შენს მიერ შემუშავებულ დიად პროგრამას ახორციელებს, ტექნიკურ-ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთი უმოკლეს ისტორიულ ვადაში მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქცია. შენს სახელთან დაკავშირებულია ხუთწლედების მძლავრი სოციალისტური მშენებლობანი, ინდუსტრიის გიგანტები, მრეწველობის ახალი დარგები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

შენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, 1929 წელს სოფლად მოხდა ისტორიული გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციური გადატრიალე-

ბის თანაბარი იყო. კომუნისტურმა პარტიამ გაატარა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შედეგად საბჭოთა სოფელში დამკვიდრდა ახალი, სოციალისტური ცხოვრება, რომელმაც მშრომელი გლეხობა იხსნა მონობისაგან, გაჩანაგებისა და სიღატაკისაგან.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, საყვარელი სტალინის მეთაურობით, საბჭოთა კავშირი გახდა მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფო, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც სოციალიზმი ააშენა, სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შექმნა კრიზისებისა და უმუშევრობისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას. სსრ კავშირის კონსტიტუციამ, რომელსაც ხალხმა სამართლიანად უწოდა სტალინური კონსტიტუცია, განამტკიცა სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი, გახდა მიმზიდველი ძალა, შუქურა მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის.

საბჭოების ქვეყნის არსებობის უმდიდრეს გამოცდილებაზე დაყრდნობით, შენ, ამხანაგო სტალინ, შექმენი მთლიანი და დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. განავითარე რა ლენინიზმი, შენ მიხვედი გენიალურ დასკვნამდე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ და კომუნიზმის დროს სახელმწიფოს შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დარჩება კაპიტალისტური გარემოცვა. ამ დასკვნამ პარტიასა და ხალხს მისცა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ნათელი პერსპექტივა.

შენ სახელთან, ამხანაგო სტალინ, დაკავშირებულია რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა. წინათ ჩაგრულმა ერებმა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში მიაღწიეს უმაგალითო პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აყვავებას. შენს მიერ შთაგონებული სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა რევოლუციის დიადი მონაპოვარი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ერთ-ერთი წყარო გახდა. სოციალიზმის გამარჯვებით უძლეველი გახდა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხის მორა-

ლურ-პოლიტიკური ერთიანობა. ჩვენი ხალხი გამსჭვალულია მხურვალე და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმით. შენი ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ სსრ კავშირში ნამდვილი კულტურული რევოლუცია განახორციელა.

თვითეულ დიდსა თუ მცირე გარდაქმნაში, რომელიც უფრო და უფრო ამაღლებს ჩვენს სამშობლოს, შენ ჩააქსოვე შენი სიბრძნე, დაუცხრომელი ენერგია, რკინისებური ნებისყოფა. ჩვენი ბედნიერებაა, ჩვენი ხალხის ბედნიერებაა, რომ დიდი სტალინი, რომელიც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელია, წარმართავს და აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომას ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ასაყვავებლად. შენი წინამძღოლობით, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა კავშირი გადაიქცა დიდ და უძლეველ ძალად.

როცა ჰიტლერულმა გერმანიამ საბჭოთა კავშირს თავს მოახვია ომი და ჩვენს სამშობლოს დაემუქრა მომაკვდინებელი საფრთხე, შენ, ამხანაგო სტალინ, სათავეში ჩაუდექი საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას ფაშიზმის — კაცობრიობის უბოროტესი მტრის წინააღმდეგ, დარაზმე ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი სამამულო ომისათვის, აღაფრთოვანე საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ლეგენდარული საქმეებისა და გმირობისათვის. ლენინ-სტალინის პარტიამ გააერთიანა ფრონტისა და ზურგის ღონისძიებანი. შენმა მხედრულმა და ორგანიზატორულმა გენიამ მოგვიპოვა გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

დიდმა მხედართმთავარმა და გამარჯვების ორგანიზატორმა, შენ, ამხანაგო სტალინ, შექმენი მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. ბრძოლებში, რომლებსაც შენ ხელმძღვანელობდი, განხორციელებულია სამხედრო ოპერატიული და სტრატეგიული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. შენ მიერ აღზრდილი პირველხარისხოვანი სამხედრო კადრები ღირსეულად ახორციელებდნენ მტრის განადგურების სტალინურ გეგმებს. ყველა პატიოსანი ადამიანი მსოფლიოში, ყველა მომავალი თაობანი ხოტბას შეასხამენ საბჭოთა კავშირს, შენს სახელს, ამხანაგო სტალინ, როგორც ფაშისტ დამრბევთაგან მსოფლიო ცივილიზაციის მხსნელისას.

ომისშემდგომ პირობებში, ხელმძღვანელობს რა შენი მითითებებით, მთელმა საბჭოთა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ინიციატივა მიმართა ომის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისაკენ, სოციალიზმის ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემ-

დგომი განვითარების გრანდიოზული გეგმების განხორციელებისაკენ, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. სოციალისტური შეჯიბრების ლენინურ-სტალინური იდეები საბჭოთა პატრიოტებს აღაფრთოვანებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის, მათ უდიდესი ენერგია გააღვიძეს მილიონობით საბჭოთა ადამიანების გულში დიადი მიზნის — კომუნიზმის გამარჯვების განსახორციელებლად.

უდიდესი სიმტკიცითა და შორსმჭვრეტელობით წარმართავ შენ, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, იბრძვი დიდი და მცირე ხალხების მშვიდობისა და უშიშროებისათვის. განუზომლად გაიზარდა საერთაშორისო ავტორიტეტი სსრ კავშირისა, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის დასაყრდენისა. კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელები შენში ხედავენ მშვიდობისათვის ერთგულ და მტკიცე მებრძოლს და უველა ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესების დამცველს. მსოფლიოს უველა უბრალო ადამიანის გულში შენ აღანთე მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის სამართლიანი საქმის ურყევი რწმენა.

საბჭოთა კავშირმა შენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტ დამმონებელთაგან, კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლისაგან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა განთავისუფლებაში. ამ ქვეყნების ხალხები გამსჭვალული არიან მადლობის გრძნობით შენდამი იმ უანგარო ძმური დახმარებისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი მათ უწევს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

მეცნიერების დიდო კორიფეე! შენი კლასიკური ნაშრომები, რომლებიც ავითარებენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ახალი ეპოქის, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის შესაბამისად, კაცობრიობის უდიდეს კუთვნილებას, რევოლუციური მარქსიზმის ენციკლოპედიას წარმოადგენენ. ამ ნაწარმოებებში საბჭოთა ადამიანები და უველა ქვეყნის მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები იძენენ ცოდნას, რწმენას, ახალ ძალებს მუშათა კლასის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, პოულობენ პასუხს კომუნიზმისათვის თანამედროვე ბრძოლის უველაზე მწვავე საკითხებზე. შენი ნაშრომები ნაციონალურ-კოლონიურ საკითხზე ბრწყინვალე შუქურასავით ანათებენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზას. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების გიგანტური წარ-

მატებანი გაცისკროვნებულია ლენინურ-სტალინური რევოლუციური აზრით.

კომუნიზმის დიდო ხუროთმოძღვარო! შენ ყველა ბოლშევიკს ასწავლი უდიდეს მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ნაკლოვანებათა გაბედულ კრიტიკას და აფრთხილებ, რომ არ შეიძლება თავი დაიმშვიდონ მიღწეულით, თვითკმაყოფილებას მიეცნენ წარმატებათა გამო. შენ გვასწავლი, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ქმედითი იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში, რომ პარტიული და საბჭოთა კადრების განუყრელი ღირსება უნდა იყოს ბოლშევიკური თავმდაბლობა, გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ხალხის საჭიროებისადმი, მაღალი იდეურობა და პრინციპულობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! შენ მუდამ გვასწავლიდი და გვასწავლი ჩვენ, ბოლშევიკებს, ვიყოთ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი, ძალების დაუზოგავად ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ყველაფერს ვაკეთებდეთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა შენში ხედავენ მასწავლებელსა და ბელადს, ლენინის უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს. სტალინის სახელი ყველაზე ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებისათვის. სტალინის სახელი — ეს არის კომუნიზმის მომავალი გამარჯვების სიმბოლო. საბჭოთა ადამიანებისა და მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა გული აღსავსეა მხურვალე სიყვარულით შენდამი — დიდო სტალინ!

დიდი ბედნიერებაა, რომ ვცხოვრობთ და შემოქმედებითს მუშაობას ვეწევით ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, ვეკუთვნით ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ადამიანების გმირ თაობას, რომლებიც სტალინურ ეპოქაში იბრძვიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის, სტალინის ხელმძღვანელობით!

სულითა და გულით გისურვებთ შენ, ჩვენო მასწავლებელო და ბელადო, ჩვენო საუკეთესო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო, მრავალ წელს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შრომას ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ სტალინს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე, გულითად სალამს გითვლით თქვენ, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადს, ყველა ქვეყნის მშრომელთა მამასა და მასწავლებელს, თქვენი სახელოვანი სამოცდაათი წლისთავის დღეს.

მთელი თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა მუშათა კლასის საქმისათვის, მისი ამაღლებისათვის თავდადებული ბრძოლაა, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის დიად საქმეთა მატიანეა, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების მატიანეა.

გენიალურ ლენინთან ერთად თქვენ, ამხანაგო სტალინ, შექმენით და გამოზარდეთ ბოლშევიკების მძლავრი პარტია, ახალი ტიპის პარტია, რომელიც დგას თავისი ისტორიული ამოცანის — კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელთა განთავისუფლებისა და კომუნიზმის აშენების ამოცანის სიმაღლეზე.

ლენინთან ერთად თქვენ წინ წაიყვანეთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და უზრუნველყავით მათი გამარჯვება კაპიტალისტებსა და მემამულეებზე 1917 წლის ოქტომბერში.

ლენინთან ერთად თქვენ მოაწყეთ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა, გაანადგურეთ ჩვენი სამშობლოს შინაური და გარეშე მტრები, განამტკიცეთ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი.

ლენინიზმის ყველა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში თქვენ დაიცავით მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდე, განავითარეთ და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეთ ეს მოძღვრება კომუნიზმისათვის ბრძოლის ახალ პირობებში.

თქვენ შეიმუშავეთ და გააშუქეთ ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყველა მხარე. თქვენ შექმენით ისტო-

რიაში უმაგალითო ძმური მეგობრობა ჩვენი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხებისა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით, ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით.

თქვენ ჩაუნერგეთ საბჭოთა ადამიანებს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა და სათავეში ჩაუდექით მათ ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. თქვენმა გენიამ, ურყევმა ნებისყოფამ და ბრძნულმა შორსმჭვრეტელობამ უზრუნველყვეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება.

თქვენი სახელოვანი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში გაანადგურა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, ღირსეულად დაიცვა თავისი ქვეყნის თავისუფლება და იხსნა კაცობრიობა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან. ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება სტალინური სამხედრო მეცნიერების ზეიმი, თქვენი, ამხანაგო სტალინ, სტრატეგიული და მხედართმთავრული გენიის უდიდესი ზეიმი გახდა.

დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები თქვენი ბრძნული წინამძღოლობით თავდადებულად იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმისათვის ბრძოლაში, ენერგიასა და ძალას მატებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. უდიდესი მადლიერებისა და იმედის გრძნობით შემოგყურებს თქვენ მთელი კაცობრიობა, ვინაიდან თქვენ ხართ მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი მეგობარი.

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს, რომელსაც დიდი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა კავშირის ხალხები და სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის ყველა მებრძოლი მთელ მსოფლიოში, საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ხალხი მტკიცე, ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევენ, ამხანაგო სტალინ, კვლავაც თავდადებულად იბრძოლონ ყველა თქვენი მითითების შესრულებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, ჯანმრთელობასა და მრავალი წლის სიცოცხლეს საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საბედნიეროდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის გმირულ პარტიას, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ცოცხლობდეს და მრავალ წელს დღეგრძელობდეს ჩვენი საყვარელი მამა და მასწავლებელი, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი და ბრძენი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი**!

საქართველოს კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

სევერიან კარსანიძე

ზედმეტი ღირებულების თეორიის გაშუქება ალ. წულუკიძის შრომებში

I

მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ა. წულუკიძემ მუშათა კლასის განთავისუფლების დიადი საქმისადმი სამსახურს შესწირა. მან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მგზნებარე ენერგია ლენინ-სტალინის დიადი იდეების გამარჯვების საქმეს მოახმარა. რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, დიდ სტალინთან ერთად, ა. წულუკიძე შეუპოვრად იბრძოდა მარქსიზმის დამახინჯების წინააღმდეგ. ამხანაგ ლ. პ. ბერიამ თავის შესანიშნავ შრომაში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ა. წულუკიძის რევოლუციური მოღვაწეობა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: „ამბ. წულუკიძე იყო იმ დროის ერთ-ერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერი, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული, ამხანაგ სტალინისა და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი“ [1].

ა. წულუკიძის შრომაში „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, რომელიც გამოქვეყნდა 45 წლის წინათ — 1904 წ., განხილულია მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ამ შრომის მიზანდასახულობას ავტორი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „დღემდე „კაპიტალის“ ეკონომიური პრინციპები სავსებით არავის გადმოუცია ქართულ ენაზე. ჩვენის აზრით ეს დიდი ნაკლია და მის შევსებას ყველა უნდა ცდილობ-

[1] ლ. პ. ბერია, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, 1949, გვ. 31.

დეს, ვისაც სურვილი და ღონე შესწევს. ჩვენთვის შეუძლებელი იყო, რასაკვირველია, მთლად ამ ნაკლის შევსება, მხოლოდ გადავწყვიტეთ პირველი ნაბიჯი გადაგვედგა; როგორც ყოველთვის და ყველგან, ასეთი ნაბიჯი საძნელო და სახიფათოა. ჩვენი სურვილი იყო, რამდენადაც ღონე შეგვწევდა, ადვილად გასაგებათ, დაახლოებით გადაგვეცა მკითხველისათვის უმთავრესი ეკონომიური პრინციპები, ის პრინციპები, რომლებიც თეორიულად საიმედო ნიადაგს იძლევა საერთო მსოფლმხედველობის შესამუშავებლად და მით პრაქტიკულ ცხოვრებაში ხელმძღვანელობას უწევს ადამიანს. ამიტომ ჩვენ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება პოლიტიკური ეკონომიის უმთავრეს კითხვებზე და ზოგან ეს საკითხებიც პირობების მიხედვით შევკვეცეთ; ამასთანავე ვცდილობდით ამ კითხვების შორის გადაცემის დროს მჭიდრო და ცხადი კავშირი დაგვედგინა. მაგრამ ეს კითხვები მაინც იქა-აქ ამოღებულია და ამიტომ ის უფრო პოლიტიკური ეკონომიის ნაწყვეტებს წარმოადგენს. თუ ამ „ნაწყვეტებმა“ ცოტათი მაინც გაუკაფეს გზა მკითხველს რთული ეკონომიური ურთიერთობის გარკვევაში და შეუმსუბუქეს სხვა უფრო ვრცელი და შემუშავებული პოლიტიკურ-ეკონომიური წიგნების შ-გნება, ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება და ჩვენც ასეთ შედეგს ამ შრომის საუკეთესო ჯილდოთ ჩავთვლით“ [1].

„კაპიტალის“ ეკონომიური პრინციპების გადმოცემა, იმ დროს, როდესაც მარქსის სახელის ხსენებაც არ შეიძლებოდა, ადვილი საქმე როდი იყო. ხალხთა საპყრობილე — ძველი რუსეთი, ყოველმხრივ სდევნიდა და გასაქანს არ აძლევდა რევოლუციურ მოძრაობას.

თვითმპყრობელობის ასეთი მკაცრი რეჟიმის პირობებში ა. წულუკიძემ ბრწყინვალედ შესძლო გადმოეცა მარქსის ეკონომიური პრინციპები იმგვარად, რომ ისინი გასაგები ყოფილიყო რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული მუშათა კლასისათვის. ა. წულუკიძის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მარქსის მოძღვრების გადმოცემას ის როდი აწარმოებს ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან მოწყვეტით, არამედ პირიქით, უკეთებს რა მარქსისტულ ანალიზს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, მიდის იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენშიც უნდა მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რაც მას მოჰყვა ევროპაში.

---

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1943, გვ. 126.

ა. წულუკიძე მარქსისტულად ასაბუთებს, რომ კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში „საერთო მოქმედების ნიადაგს“ კი არ გვიმზადებს, არამედ ჰქმნის კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. „ჩვენ თვითონ გვწამს და გვჯერა ის შეურყეველი ჭეშმარიტება, — წერდა ა. წულუკიძე, — რომ ყველა ერთა და საზოგადოებათა ისტორია (რასაკვირველია არა პირველი ხანის) სხვადასხვა ფორმის კლასთა ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს და ამ საზოგადო კანონისათვის ვერც ჩვენ დაგვიღწევია თავი, ჩვენი საზოგადოებაც დანაწილებულია სხვადასხვა ელემენტებად, მასშიაც ვითარდება თანამედროვე კაპიტალისტური — კლასიური ანტაგონიზმი...“ [1]

კაპიტალისტური წარმოება წარმოუდგენელია ზედმეტი ღირებულების გარეშე. ამიტომ ბუნებრივია, რომ გამოჩენილ მოაზროვნეებს აინტერესებდათ გამოერკვიათ ჭეშმარიტი ბუნება ზედმეტი ღირებულების წარმოშობისა. მარქსის წინამორბედებს არ შეეძლოთ მოეცათ ზედმეტი ღირებულების მეცნიერული ახსნა, იმიტომ რომ ისინი კაპიტალისტური წარმოების წესს საზოგადოებრივი განვითარების გარდუვალ ბუნებრივ ფორმად განიხილავდნენ. რადგან ა. სმიტსა და დ. რიკარდოს სწამდათ, რომ ბურჟუაზიული წარმოების წესი მარადიულია, რომელსაც შეცვლა არ მოელის, მათი ამგვარი შეხედულება საშუალებას არ იძლეოდა ჩაწვდომოდნენ ისინი საკითხის ჭეშმარიტ ბუნებას და გამოეაშკარავებინათ, თუ როგორ არის შესაძლებელი ღირებულების თეორიის საფუძველზე ზედმეტი ღირებულების არსებობა. ფ. ენგელსის მიერ „კაპიტალის“ II ტომისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ზედმეტი ღირებულების თეორიაში, მარქსი იმასვე წარმოადგენს თავის წინამორბედთა მიმართ, რასაც ლავუაზიე — პრისტლეისა და შელეს მიმართ. პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის არსებობა (ხაზგასმა ენგელსისა, ს. კ.), რომელსაც ჩვენ ახლა ზედმეტ ღირებულებას ვუწოდებთ, მარქსამდე დიდი ხნით ადრე იყო დამყარებული; აგრეთვე მეტნაკლები სიცხადით იყო გამოთქმული, რისგან შედგება იგი, სახელდობრ: იმ შრომის პროდუქტისაგან, რომლისათვის მის მიმთვისებელს არავითარი ეკვივალენტი არ გადაუხდია, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან“ [2].

---

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 25.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, გვ. XXII.

ბურჟუაზიული ეკონომისტები, თავისი კლასობრივი ინტერესებით შეზღუდულნი, დაინტერესებული არ იყვნენ მოეცათ ზედმეტი ღირებულების ყოველმხრივი ახსნა. მისი მეცნიერული ახსნა ჩვენ მოგვცეს მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა.

ვ. ი. ლენინი ისტორიულ წერილში „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ „იქ, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები საგანთა ურთიერთობას (საქონლის გაცვლა საქონელზე) ხედავდნენ, იქ მარქსმა აღმოაჩინა ურთიერთობა ადამიანთა შორის. საქონლის გაცვლა-გამოცვლა გამოხატავს კავშირს ცალკე მწარმოებელთა შორის ბაზრის მეშვეობით. ფული იმას ნიშნავს, რომ ეს კავშირი სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება და განუყრელად აერთიანებს ერთ მთელად ცალკეულ მწარმოებელთა მთელ სამეურნეო ცხოვრებას. კაპიტალი ნიშნავს ამ კავშირის შემდგომ განვითარებას: ადამიანის სამუშაო ძალა საქონლად იქცევა. დაქირავებული მუშა თავის სამუშაო ძალას ჰყიდის მიწის, ფაბრიკების, შრომის იარაღების პატრონზე. სამუშაო დღის ერთ ნაწილს მუშა საკუთარი თავის და ოჯახის შესანახი ხარჯების დასაფარავად ხმარობს (ხელფასი), ხოლო დღის მეორე ნაწილის განმავლობაში მუშა მუქთად შრომობს, ჰქმნის რა ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისათვის, კაპიტალისტთა კლასის მოგების წყაროს, სიმდიდრის წყაროს“ [1].

კაპიტალისტურ მეურნეობაში ზედმეტი ღირებულების მეცნიერული ახსნა უდიდეს სიძნელეს შეიცავდა.

ენგელსი სამართლიანად ამბობდა, რომ ნივთები საზოგადოების ზედაპირზე დამახინჯებულად წარმოგვიდგება, მეცნიერების ამოცანას შეადგენს მოვლენის ზედაპირიდან შეიჭრას სიღრმეში და გაარკვიოს საგნის ნამდვილი ბუნება. თუ ფეოდალიზმის დროს ყმა-გლეხის ექსპლოატაცია ნათლად და გარკვევით მოჩანს, კაპიტალისტური მეურნეობის მიმართ ეს არ ითქმის. ხელფასის ფულადი ფორმა საკითხს ბურუსში ახვევს და მას ისე წარმოგვიდგენს, როგორც, თითქოს, საქმე გვქონდეს მუშის შრომის სრულ ანაზღაურებასთან, სადაც წაშლილია ყოველგვარი ექსპლოატაცია. „ამრიგად, შრომის ხელფასის ფორმა შლის ყოველგვარ კვალს სამუშაო დღის გაყოფისას აუცილებელ შრომად და ზედმეტ შრომად, გადახდილ

[1] ვ. ი. ლენინი — მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, თბ., 1948, გვ. 88-89.

და გადაუხდელ შრომად. ყოველგვარი შრომა გვეველინება, როგორც გადახდილი შრომა“ [1].

სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები ახსნას ხედავდნენ, მ ა რ ქ ს ი იქ პრობლემას ხედავს. მარქსი დასცინის ერთ პიროვნებას. რასაც მაქს ვირტის თვალები დაინახავს, ის არ შეიძლება მეცნიერების კვლევა-ძიების საგანი იყოს. მარქსს ამით იმის თქმა უნდოდა, რომ, რაც მოვლენის ზედაპირზე ჩანს, ის სინამდვილის ადეკვატური არ არის. შრომის ხელფასი არის ირაციონალური ფორმა. სინამდვილეში ხელფასი სხვა არა არის რა, თუ არა სამუშაო ძალის ღირებულებისა და მისი ფასის გარდაქმნილი ფორმა.

რადგან კაპიტალისტურ მეურნეობაში მუშის ექსპლოატაცია ბურუსით არის მოცული, მეცნიერების საშუალებით საჭირო ხდება მისი შეცნობა. „ეკონომიური მეცნიერების უდიდეს წინსვლას, მარქსის სახით, წარმოადგენს ის რომ, ანალიზი წარმოებს მასობრივი ეკონომიური მოვლენების, მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ერთობლიობის თვალსაზრისით და არა ცალკეული შემთხვევებისა ან კონკურენციის გარეგნული ზედაპირის თვალსაზრისით, რითაც ხშირად კმაყოფილდება ხოლმე ვულგარული პოლიტიკური ეკონომია ან თანამედროვე „ზღვრული სარგებლიანობის თეორია“ [2].

მარქსმა მოგვცა მეცნიერული მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ღირებულების კანონის დაურღვეველად ზედმეტი ღირებულების წარმოშობა. ის რაც მარქსამდე აუხსნელი იყო, მხოლოდ პროლეტარიატის დიდმა იდეოლოგმა მარქსმა შესძლო მისი ახსნა. ამას ჰქონდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა რევოლუციონურ მოძრაობაში ჩაბმული მუშათა კლასისათვის. „ამ საკითხის გადაჭრა (ლაპარაკია ზედმეტი ღირებულების შესახებ, ს. კ.) მ ა რ ქ ს ი ს შრომის დიდ ისტორიულ დამსახურებას შეადგენს. იგი ნათელი დღის შუქს ფენს ეკონომიურ დარგებს, სადაც წინათ, როგორც სოციალისტები, ისე ბურჟუაზიული ეკონომისტები წყვდიადში დადიოდნენ ხელის ფათურით. აქედან თარიღდება, ამის გარშემო ტრიალებს მეცნიერული სოციალიზმი“ [3]. ფ. ენგელსის სახელგანთქმული შრომიდან „ანტი-დიურინგი“ აქ მოტანილი ადგილი იმის შესახებ ლაპარა-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 483.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ — მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 30.
[3] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 167-168.

კობს, რომ მეცნიერული სოციალიზმი თარიღდება იმ დროით, როდესაც მარქსის მიერ ახსნილ იქნა, თუ საიდან წარმოდგება ღირებულების თეორიის საფუძველზე ზედმეტი ღირებულების არსებობა.

ვ. ი ლენინის განმარტებით ზედმეტი ღირებულების თეორია მარქსის ეკონომიური მოძღვრების ქვაკუთხედია: „მხოლოდ მარქსის ეკონომიურმა თეორიამ განმარტა პროლეტარიატის ნამდვილი მდგომარეობა კაპიტალიზმის საერთო წყობილებაში“ [1]. მარქსმა ზედმეტი ღირებულების მეცნიერული შესწავლით გამოააშკარავა აუცილებლობა ანტაგონიზმისა, რომელსაც საბოლოოდ მივყევართ სოციალისტურ რევოლუციამდე. ვ. ი. ლენინი მარქსის თეორიის ამოცანას იმაში ხედავდა „...რომ ეს თეორია პირდაპირ ამოცანად ისახავს გამოააშკარაოს ანტაგონიზმისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმა თანამედროვე საზოგადოებაში, შეისწავლოს მათი ევოლუცია, დაამტკიცოს მათი გარდამავალი ხასიათი, მათი სხვა ფორმაში გადასვლის აუცილებლობა და ამრიგად პროლეტარიატს ემსახუროს იმ მხრივ, რომ მან რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება ადვილად მოუღოს ბოლო ყოველგვარ ექსპლოატაციას“ [2].

ამიტომ იყო, რომ მარქსიზმის მტრები, ყველა ჯურის ოპორტუნისტები და რევიზიონისტები მოითხოვდნენ მარქსის ეკონომიური მოძღვრებიდან ზედმეტი ღირებულების თეორიის ამოღებას. ამ თეორიის ამოღებით მათ სურდათ უარეყოთ მუშათა კლასის ექსპლოატაციის არსებობა, უარეყოთ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის, უარეყოთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის აუცილებლობა. ასეთ მიზანს ისახავდნენ და ისახავენ ოპორტუნისტები და რევიზიონისტები პოლიტიკურ ეკონომიაში.

ვ. ი. ლენინს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ „თუ მარქსმა არ დაგვიტოვა „ლოგიკა“ (დიდი ასოთი), მან დაგვიტოვა „კაპიტალის“ ლოგიკა...“ [3]

„კაპიტალის“ ლოგიკა, მეცნიერული სიზუსტით ააშკარავებს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ეკონომიურ კანონს.

---

[1] ვ. ი. ლენინი — მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 91.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I. გამოცემა მეოთხე, ქართ., 1948, გვ. 389.

[3] Ленинский сборник, т. XII, стр. 291.

ამ განვითარებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს კაპიტალიზმის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურა. აი რას გვასწავლის „კაპიტალის“ ლოგიკა.

მარქსი ენგელსისადმი გაგზავნილ წერილში (24 აგვისტო, 1867 წ.) აღიარებს, რომ „კაპიტალში“ ყველაზე საუკეთესოა: 1) ორმაგი ხასიათი შრომისა, რომელიც აწარმოებს საქონელს, 2) ზედმეტი ღირებულება.

ქართულ პრესაში ზედმეტი ღირებულების თეორიის გაშუქებას ა. წულუკიძის მიერ მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჰქონდა და აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

II

მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია ემყარება იმ დებულებას, რომ კაპიტალისტურ მეურნეობაში ბაზარზე იყიდება არა შრომა, არამედ სამუშაო ძალა. ზედმეტი ღირებულების მეცნიერული ახსნა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გარკვეულია განსხვავება შრომასა და სამუშაო ძალას შორის. მარქსი დაბეჯითებით გვასწავლის, რომ „ფულის მფლობელს საქონლის ბაზარზე ფაქტიურად შრომა კი არ უპირდაპირდება უშუალოდ, არამედ — მუშა. ის, რასაც ეს უკანასკნელი ყიდის, მისი სამუშაო ძალაა. რაწამს მისი შრომა ნამდვილად იწყება, იგი მას უკვე აღარ ეკუთვნის და, ამნაირად, აღარც შეიძლება გაყიდულ იქნეს მის მიერ. შრომა ღირებულების სუბსტანციაა და იმანენტური საზომი, მაგრამ თვით მას ღირებულება არა აქვს“ [1].

ა. წულუკიძის ყველა შრომაში განსხვავებულია ერთმანეთისაგან შრომა და სამუშაო ძალა. ამან საშუალება მისცა მას მარქსისტულად გაეშუქებინა ზედმეტი ღირებულების თეორია. შრომასა და სამუშაო ძალას შორის განსხვავება მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია. ყველა ჯურის ოპორტუნისტი ცდილობს უარყოს განსხვავება შრომასა და სამუშაო ძალას შორის. ეს მათ ესაჭიროებათ იმისათვის, რომ უარყონ სამუშაო ძალის ექსპლოატაცია.

ა. წულუკიძის შრომებში განსხვავებულია შრომა და სამუშაო ძალა. „საქმე იმაშია, — წერდა ა. წულუკიძე, — რომ შრომა თუმცა

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 481.

საქონლის ღირებულებას ქმნის, მაგრამ თავის თავად საქონელი არ არის. ბაზარში კაპიტალისტი შრომას როდი ყიდულობს, არამედ მუშის სამუშაო ძალას. შრომა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რა რომ მუშა დაქირავებულია, მაშასადამე, რა რომ საჭირო საქონელი შეძენილია. ამ დრომდე შრომა არ არსებობს; ცხადია, შეუძლებელია იმის შეძენა, რაც არ არსებობს. მხოლოდ კაპიტალისტი კი იძენს. რას? მუშის ძალას. აი სწორედ ეს სამუშაო ძალაა საქონელი და ამ საქონელს ყიდულობს კაპიტალისტი“ [1].

სამუშაო ძალის ექსპლოატაცია არის წყარო ზედმეტი ღირებულებისა. მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველთვის როდი მოიპოვება ბაზარზე. ამისათვის წინასწარი ისტორიული პირობებია საჭირო. კაპიტალისტური მეურნეობა არსებობას იწყებს იმ დროიდან, როდესაც სამუშაო ძალა იქცევა საქონლად, ეს მხოლოდ ისტორიულად განსაზღვრულ საფეხურზე არის შესაძლებელი. როდესაც საწარმოო ძალების განვითარება იმ დონემდეა მისული, როცა ერთმანეთს უპირისპირდება საწარმოო საშუალებებისა და ფულის მფლობელი და სამუშაო ძალის მფლობელი. „...ბუნება არ ქმნის ერთის მხრივ ფულის ან საქონლის მფლობელს და მეორეს მხრივ — მხოლოდ საკუთარი სამუშაო ძალის მფლობელს. ასეთი ურთიერთობა არ არის ბუნებით შექმნილი, იგი არც ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც ყველა ისტორიული პერიოდისათვის საერთო იყოს. ცხადია, ეს ურთიერთობა თვით არის შედეგი წარსული ისტორიული განვითარების, პროდუქტი მრავალი ეკონომიური გადატრიალების, საზოგადოებრივი წარმოების მთელი რიგი ძველი ფორმაციების დაღუპვის“ [2].

ა. წულუკიძე სამართლიანად ასხვავებს ერთმანეთისაგან ფულს და ფულს, როგორც კაპიტალს. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ფულს უძველესი ისტორია აქვს, მაგრამ მაშინ არ იყო შესაძლებელი ფული კაპიტალად გადაქცეულიყო, რადგან არ არსებობდა ის პირობები, რომლებიც ფულს კაპიტალად გადააქცევდა. მაგრამ, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ფულის მფლობელი და სამუშაო ძალის მფლობელი, მაშინ შესაძლებელია ფული კაპიტალად გადაიქცეს. ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ მექარხნემ თავისი ქონება კაპიტალად გადააქციოს, მან უნდა მოიპოვოს თა-

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 188.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 130.

ვისუფალი მუშა — თავისუფალი ორნაირად: თავისუფალი თავის მოქმედებაში სამუშაო ძალის გაყიდვის დროს და თავისუფალი ყოველნაირ საწარმოვო მასალისაგან — საკუთრებისაგან. ამნაირად, საქონლის წარმოების დროს, ერთის მხრით, ჩვენ ვხედავთ საწარმოვო მასალისა და იარაღის პატრონს, მეორე მხრით, ყველაფერ ამაებს მოკლებულს თავისუფალ მუშას. ერთის მხრით, მდიდარს, მეორე მხრით, ღარიბს; პირველ მხარეზე ლხინი და სიცილი გაისმის, მეორეზე გაჭირვება და ქვითინი! მეორის უბედურების წყალობით პირველი ქეიფს ეწევა, ბედნიერია!" [1].

ა. წულუკიძე მარქსისტულ-ლენინურად აშუქებს საკითხს, რომ წყარო ზედმეტი ღირებულებისა, არის სამუშაო ძალა. სამუშაო ძალის ღირებულება და მის მიერ წარმოების პროცესში შექმნილი ღირებულება, ორი სხვადასხვა სიდიდეა. წარმოების პროცესში მუშის მიერ ახლად შექმნილი ღირებულება ყოველთვის აღემატება სამუშაო ძალის ღირებულებას. წარმოების პროცესში მუშის სამუშაო დღე იყოფა ორ ნაწილად: აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროდ, აუცილებელ სამუშაო დროში მუშა აღადგენს თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას, ზედმეტ სამუშაო დროში ჰქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც უსასყიდლოდ ისაკუთრებს კაპიტალისტთა კლასი.

მარქსიზმ-ლენინიზმის მტრები, ყოველმხრივ ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ ზედმეტი ღირებულება წარმოების პროცესში კი არ იქმნება, არამედ გაცვლის პროცესშიო. ასეთი უსაფუძვლო დებულება მათ იმისათვის ესაჭიროებოდათ, რომ უარეყოთ მუშათა კლასის ექსპლოატაციის არსებობა.

ა. წულუკიძე აყენებს კითხვას და თვითონვე პასუხობს. საიდან ან როგორ ჩნდება ეს ზედმეტი ღირებულება? „ეგებ გაცვლის დროს გაჩნდა ის? ვნახოთ. წარმოვიდგინოთ, ვაჭარს ისეთი ბედნიერი დღე დაუდგა, რომ ას მანეთიან საქონელში ის ასოც მანეთს ღებულობს, ე. ი. ვაჭარი ას მანეთზე მოტყუებით ოც მანეთს იგებს. მხოლოდ იმავე ვაჭარმა, დღეს თუ ყიდის, ხვალ უნდა იყიდოს. ყოველთვის ის ვერ მოატყუებს, მასაც მოატყუებენ; ას მანეთიან საქონელში ას ოც მანეთს გამოალალებენ ხელიდან; ერთი სიტყვით, როგორც მყიდველი, აგებს ოც მანეთს, ხოლო როგორც გამყიდველი, ამდენსავე იგებს. ბოლოს მაინც მოტყუებით ვერაფერს გამორჩა. ვთქვათ,

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 141.

სულ ერთი ვაჭარი ატყუებს სხვებს, თვითონ კი არასდროს არ ტყუვდება. მაშინაც ვერ ავხსნით ზედმეტი ღირებულების გაჩენას. ზედმეტი ღირებულება სიმდიდრეს ქმნის, ქვეყანას მისი მომატება ემჩნევა, აბა, რა უნდა დაემჩნეს ქვეყნის სიმდიდრეს იმით, რომ ვაჭარი პეტრე ივანეს ატყუებს და მისი ჯიბიდან ფულები თავის ჯიბეში გადმოაქვს, ფული მაინც იმდენი რჩება. რამდენიც იყო, ქვეყნის სიმდიდრე ამნაირათ ვერ მოიმატებს. ასე, რომ გაცვლა-გამოცვლის დროს ზედმეტი ღირებულების შექმნა შეუძლებელია;..“ [1].

ეს ამონაწერი, უპირველეს ყოვლისა, იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ავტორი აკრიტიკებს და უკუაგდებს იმ შეხედულებას, რომელსაც ქვეყნის სიმდიდრის ზრდის წყაროდ ვაჭრობა მიაჩნია.

ა. წულუკიძე მისთვის ჩვეული მხატვრული ენით გადმოგვცემს, რომ ვაჭარს შეიძლება ისეთი ბედნიერი დღე დაუდგეს ასმანეთიანი საქონელი ასოც მანეთად გაყიდოს. ბუნებრივია, რომ ეს მოხერხებული ვაჭარი ასმანეთიან საქონელზე ოც მანეთს მოგებას მიიღებს. თითქოს ამით უნდა გაზრდილიყო ქვეყანაში მოგება, მაგრამ არ არსებობს ქვეყნად ვაჭარი, რომელიც ჰყიდდეს და არ ყიდულობდეს, თუ იგებს ის, როგორც გამყიდველი, წააგებს, როგორც მყიდველი. ქვეყნის სიმდიდრეს ამ გზით, რა თქმა უნდა, არაფერი მოემატება. ვინ ავითარებდა ასეთ აზრს ქვეყნის სიმდიდრის შესახებ, რომელსაც აქ წულუკიძე, სამართლიანად აკრიტიკებს? ისინი იყვნენ მერკანტილისტები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ქვეყნის სიმდიდრის წყარო არ შეიძლება ქვეყნის შიგნითვე იქნეს გამონახული, რადგან მერკანტილისტების სისტემის თანახმად ზედმეტი ღირებულება მხოლოდ შეფარდებითია, რასაც ერთი იგებს, იმას აგებს მეორე, ამის გამო არ ხდება ქვეყნის სიმდიდრის ზრდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ზედმეტი ღირებულება მხოლოდ გაცვლის სფეროში საგარეო ვაჭრობაში მიიღება. ეს იმიტომ, რომ გაცვლის დროს საქონელი იყიდება მის ღირებულებაზე მეტად, ეს გარდამეტი მხოლოდ ამ გზით წარმოდგება. მერკანტილისტების შეხედულების თანახმად გაცვლას აქვს პრიმატი წარმოებასთან შედარებით.

მერკანტილისტები ქვეყნის „სიმდიდრეს ფულით ზომავდენ; იმათი აზრით, სადაც მეტი ფულია, იქ სიმდიდრეც მეტი იქნებაო.

---

[1] ა. წულუკიძე. თხზულებანი, გვ. 140.

აქედან, ცხადია, ლოგიკურად ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ საჭიროა მეტი ფულის მოგროვება სახელმწიფოში, ამ მიზნის მისაღწევად — რაც შეიძლება მეტი საქონლის [გაყიდვა საზღვარგარეთ და და ნაკლების ყიდვა“ [1]. რა თქმა უნდა, მერკანტილისტების ასეთი შეხედულება მცდარია მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, რადგან ფული არ შეიძლება წარმოადგენდეს სიმდიდრის საყოველთაო ფორმას კაპიტალისტურ მეურნეობაში.

მარქსის შრომებში გამანადგურებელი კრიტიკაა მოცემული მერკანტილისტების ასეთი შეხედულებებისა. ჩვენ დავკმაყოფილდებით „კაპიტალის“ პირველი ტომიდან ერთი შესანიშნავი ადგილის მოტანით. „როგორც უნდა იტრიალო, შედეგი მაინც იგივე რჩება. თუ ეკვივალენტები იცვლება ერთმანეთზე, ზედმეტი ღირებულება არ წარმოიშობა, ხოლო თუ არაეკვივალენტები გაიცვლება, ზედმეტი ღირებულება მაინც არ წარმოიშობა. მიმოქცევა ანუ საქონლის გაცვლა-გამოცვლა არავითარ ღირებულებას არ ქმნის [2]. ა. წულუკიძე „კაპიტალის“ ამ ადგილს ეყრდნობა და მარქსისტულად ასაბუთებს, რომ მიმოქცევაში ანუ საქონლის გაცვლა-გამოცვლაში ვაჭრობის გზით არ შეიძლება მოხდეს ქვეყნის სიმდიდრის ზრდა.

როცა მარქსი იხილავს ფულის გადაქცევას კაპიტალად, აღნიშნავს, რომ „...კაპიტალი არ შეიძლება მიმოქცევიდან წარმოსდგეს და არც შეიძლება მიმოქცევიდან არ წარმოსდგეს. ის უნდა წარმოსდგეს ერთსა და იმავე დროს მიმოქცევაშიც და მის გარედაც“ [3]. ამ ადგილიდან ჩანს, რომ კაპიტალი, ე. ი. ზედმეტი ღირებულება უნდა წარმოდგეს ერთსა და იმავე დროს, როგორც მიმოქცევიდან ასევე წარმოებიდან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მარქსი კაპიტალისტურ წარმოებასა და მიმოქცევას ერთ დიალექტიკურ მთლიანობაში განიხილავს „...მიმოქცევის პროცესის, როგორც საზოგადოებრივი რეპროდუქციის შუალედი რგოლის, განხილვისას, აღმოჩნდა, რომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი, მთლიანად განხილული, წარმოებისა და მიმოქცევის ერთიანობას წარმოადგენს“ [4].

წარმოებისა და მიმოქცევის ერთიანობა მარქსის მოძღვრების თანახმად მათ იგივეობას როდი ნიშნავს. თუ კითხვა დაისმება, რო-

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 49-50.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 124.
[3] იგივე, გვ. 126.
[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 3.

მელია განმსაზღვრელი და გადამწყვეტი ამ მთლიანობაში, რა თქმა უნდა, ყველა მარქსისტ-ლენინელი უპასუხებს, რომ წარმოება. უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის დებულება, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის დროს განაწილებას, გაცვლა-გამოცვლას, მოხმარებას განსაზღვრავს წარმოება. მიმოქცევის პროცესში კვლევა-ძიების ცენტრის გადატანა ნიშნავს უყურადღებოდ დავტოვოთ კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები, ეს სპეციფიკურობა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაო ძალა იქცევა საქონლად, რომლის ექსპლოატაციის საფუძველზე იქმნება ზედმეტი ღირებულება. ამიტომ კაპიტალისტური წარმოება ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც წარმოება ზედმეტი ღირებულებისა. ზედმეტი ღირებულება იქმნება წარმოების პროცესში, მხოლოდ მისი რეალიზაცია ხდება მთლიანად ან ნაწილობრივ მიმოქცევაში.

მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია გვასწავლის, რომ კაპიტალისტთა უსაზღვრო მისწრაფებას შეადგენს გაზარდონ ზედმეტი ღირებულების წარმოება, გაზარდონ მოგება. რამდენადაც იზრდება მუშათა კლასის ექსპლოატაცია, იზრდება ზედმეტი ღირებულების წარმოება. რის შედეგადაც კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო და უფრო მრისხანე ფორმებს ღებულობს.

ა. წულუკიძე მარქსისტულად ასაბუთებს, რომ კაპიტალისტური მეურნეობა წარმოუდგენელია ზედმეტი ღირებულების გარეშე, მაგრამ ყოველი მეთოდი ზედმეტი ღირებულების ზრდისა იწვევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, „თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება აშენებულია ზედმეტ ღირებულებაზე, რომელიც წარმოადგენს უყიდველ შრომას, მუქთად დასაკუთრებულ მშრომელის ძალას. შრომა არის ერთად-ერთი წყარო ღირებულებისა და უკანასკნელის გასამრავლებლათ და გასაჯიდებლათ პირველის მომატებაა საჭირო. მეტი შრომა და ნაკლები შრომის ფასი — საწარმოო იარაღის მესაკუთრის სურვილია. ნაკლები შრომა და მეტი შრომის ფასი — მუდმივი წადილია მწარმოებლისა; ეს დამოკიდებულება საზოგადოების ორ ელემენტთა შორის კაპიტალისტური წარმოების ნიშნობლივი თვისებაა, მისი არსებობის აუცილებელი პირობაა და ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ამ წინააღმდეგობის განვითარებას მოასწავებს“ [1].

---

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 100.

III

ამგვარად, ა. წულუკიძის შრომებში მარქსისტულ-ლენინურადაა განმარტებული, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ ფული გადაიქცეს კაპიტალად და ადგილი ექნეს ზედმეტი ღირებულების წარმოებას. შემდეგ ამისა ა. წულუკიძე იხილავს ზედმეტი ღირებულების ნორმას და იმ მეთოდებს, რითაც იზრდება ზედმეტი ღირებულების ნორმა.

როცა წარმოების პროცესში შექმნილ ზედმეტ ღირებულებას შევაფარდებთ ცვალებად კაპიტალთან, მივიღებთ ზედმეტი ღირებულების ნორმას. ან უფრო უკეთ, ზედმეტი შრომა, შეფარდებულია აუცილებელ შრომასთან. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ზედმეტი ღირებულების ნორმა შემცირებას კი არ განიცდის, არამედ იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ იზრდება მუშათა კლასის ექსპლოატაციის ხარისხი. ა. წულუკიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „...ზედმეტი ღირებულების ნორმა არის ექსპლოატაციის რაოდენობა; აქედან ცხადია, რამდენად უფრო დიდია ზედმეტი შრომა, იმდენათ მატულობს ზედმეტი ღირებულების ნორმაც...“ [1].

კაპიტალიზმის ისტორია საგანია ფაქტებით, რომ მუშათა კლასი იბრძოდა და იბრძვის სამუშაო დღის შემოკლებისათვის თავისი ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. მას შემდეგ, რაც მუშათა კლასი „თავისთავად“, იქცევა კლასად „თავისთვის“ და შეიცნო თავისი კლასობრივი ინტერესები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა კაპიტალისტურ სისტემას. კაპიტალისტები ყოველგვარ ზომებს ღებულობენ, რომ გაადიდონ სამუშაო დღე. მუშების მისწრაფებას კი შეადგენს მისი შემცირება. ამ ნიადაგზე თავს იჩენს წინააღმდეგობა და კონფლიქტი ამ ორ კლასს შორის. მარქსის ეს ადგილი „კაპიტალიდან“ შესანიშნავი ენით აქვს გადმოცემული წულუკიძეს: „...მართალია, ჩემი სამუშაო ძალა შენ სხვა საქონელივით გიყიდია (ეუბნება მუშა კაპიტალისტს. ს. კ.), მხოლოდ სხვა საქონლებისაგან მით განვსხვავდები, რომ მე, გარდა ჩემი სამუშაო ძალის ღირებულებისა, ახალ, ზედმეტ ღირებულებას გიკეთებ, რადგან ზედმეტ შრომას მაიძულებ. ამ ზედმეტ შრომაში შენ ჩემთვის არაფერი მოგიცია, იგი სამართლიანად შენ არ გეკუთვნის, მისი დასაკუთრების უფლება შენ არა გაქვს. შენ შეგიძ-

[1] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 146.

ლია ისარგებლო ჩემი სამუშაო ძალით. მხოლოდ შენ არ გაქვს უფლება გამფცქვნა, გამყვლიფო. შენ მაძლევ ერთი დღის ქირას, სამი დღისას კი მაკეთებინებ. ამიტომ მოვითხოვ და არა გთხოვ, იმდენ შრომას, რამდენიც შენ ნამდვილად გეკუთვნის. მე კარგათ ვიცი, შენ ამას გულკეთილობით, კაცთ-მოყვარეობით არ იზამ და ამიტომ მე იძულებული ვარ საკუთარი ძალღონით დავიცვა ჩემი უფლება.

ამნაირათ კაპიტალისტის უფლებას მუშა თავის უფლებას უპირდაპირებს. „ძალა აღმართს ხნავსო“, ხომ გაგიგონია, მკითხველო? უფლებასაც მხოლოდ ძალა შეიძენს; ამიტომ სამუშაო დღის რაოდენობა შედეგია ამ ორ კლასთა შორის დაუცხრომელი შეტაკების, ბრძოლის“ [1].

მუშათა კლასის ორგანიზებული და დარაზმული გამოსვლა საშუალებას არ აძლევს კაპიტალისტებს გაადიდონ სამუშაო დღე. ა. წულუკიძის შრომებში ის აზრი არის გატარებული, რომ კაპიტალისტურ პირობებში სამუშაო დღე არასდროს არ ჩამოვა აუცილებელ სამუშაო დრომდე. კაპიტალისტური რეპროდუქციის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთ მხარეზე აღადგენს კლასს, რომელიც მოკლებულია საწარმოო საშუალებებს და იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა. ესაა კლასი პროლეტარიატისა. მეორე მხარეზეა კლასი, რომელიც ფლობს საწარმოო საშუალებებს და იარაღებს და უსასყიდლოდ ითვისებს მუშის ზედმეტ შრომას. ესაა კლასი კაპიტალისტებისა.

ა. წულუკიძე არჩევს ზედმეტი ღირებულების გადიდების ორ მეთოდს. აბსოლუტურ და შეფარდებით ზედმეტ ღირებულებას

„...ისეთ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც სამუშაო დღის გაგრძელებით მატულობს, მეცნიერებაში აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება ეწოდება“ [2] (ხაზგასმულია წულუკიძის მიერ. ს. კ.). ა. წულუკიძე სრულიად სამართლიანად იწყებს განხილვას ზედმეტი ღირებულების ზრდისას, რომელიც სამუშაო დღის გაგრძელებით წარმოდგება. ეს მდგომარეობა გამოწვეულია მით, რომ კაპიტალისტურ მეურნეობას, რომელიც წვრილი წარმოებიდან გამოდის, არ შესწევს უნარი ერთბაშად შეცვალოს წარმოების ტექნიკა, ის ეუფლება არსებულ წარმოებას და მას აძლევს კაპიტალისტურ ფორმას.

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 148.

[2] იგივე, გვ. 161.

კაპიტალიზმის განვითარების ამ საფეხურზე ზედმეტი ღირებულების ზრდის ერთადერთი გზა არის მხოლოდ სამუშაო დღის გაზრდა. მარქსი ამის შესახებ ამბობს, რომ ეს იყო შრომის მხოლოდ ფორმალური დამორჩილება კაპიტალისადმი.

რაც შეეხება შეფარდებით ზედმეტ ღირებულებას, ის წარმოდგება აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებით. ზედმეტი ღირებულების გაზრდის ამ მეთოდის შესახებ ა. წულუკიძე წერს: „კაპიტალისტი ყოველთვის მოწოდებულია მუშის სამუშაო ქირა შეამციროს და მით ზედმეტი ღირებულება გაზარდოს, მხოლოდ ეს მას ყოველთვის არ უხერხდება და ამიტომ იძულებულია სხვა ხერხს მიმართოს, ისეთ ზომას, რომელიც ნამალავათ, შეუმჩნევლათ იმავე სამუშაო ქირას შეამცირებს; კაპიტალისტი ცდილობს შეამციროს ის აუცილებელი სამუშაო დრო, რომელიც მუშის ძალის აღსადგენათ აუცილებლათ საჭიროა“ [1].

ცოტა ქვემოთ ა. წულუკიძე აყენებს კითხვას და პასუხობს „როგორ ახერხებს კაპიტალისტი აუცილებელი დროს შემცირებას? — წარმოების გაუმჯობესებით — მეთქი“ [2]. როცა ხდება წარმოების გაუმჯობესება და შრომის ნაყოფიერების ზრდა, ეს იძლევა შესაძლებლობას, შემცირდეს აუცილებელი სამუშაო დრო და ამ გზით გაიზარდოს ზედმეტი ღირებულება.

ა. წულუკიძე ვრცლად იხილავს სამ სტადიას კაპიტალიზმის განვითარებაში, რომლებმაც ხელი შეუწყვეს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ესაა: კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურა და მანქანური წარმოება.

შრომის კაპიტალისტური კოოპერაციის ქვეშ იგულისხმება: „როდესაც მრავალი მუშა ერთსა და იმავე წარმოების პროცესში ან და სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ წარმოების პროცესში გეგმიანად ერთი მეორის გვერდით შეერთებულად მუშაობს, შრომის ასეთ ფორმას კოოპერაცია ეწოდება“ [3]. შრომის ასეთი ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტებს, გაზარდონ ზედმეტი ღირებულების წარმოება, ამის გამო ა. წულუკიძე ამბობს: „ამნაირად კოოპერაციის დროს წარმოება უფრო სწრაფი და ნაყოფიერია“ [4].

---

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 161.
[2] იქვე, გვ. 161.
[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 279.
[4] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 165.

ცოტა ქვემოთ ა. წულუკიძე განაგრძობს „აი ერთი გზა, რომლითაც ის წარმოებას აუმჯობესებს; მაგრამ ეს გზა საცალფეხოა, ძველი გზაა, რადგან კოოპერაცია მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როცა კაპიტალისტს წარმოების გასაუმჯობესებლად სხვა საშუალება არ მოეპოვება, როცა კაპიტალისტური წარმოება განვითარების პირველ ხანაში დგას და გაუმჯობესებული იარაღები არ შეუძენია“ [1]. ტექნიკის გასაუმჯობესებლად იმავე ტექნიკის ბაზაზე, კაპიტალისტური შრომის ისეთ ორგანიზაციას ჰქმნიან, რომელიც საშუალებას აძლევთ მათ შეამციროონ აუცილებელი სამუშაო დრო და ამ საფუძველზე გაზარდონ ზედმეტი ღირებულების წარმოება.

მეორე სტადია კაპიტალიზმის განვითარებაში, რომელიც ზრდის შრომის ნაყოფიერებას, არის მანუფაქტურა, „...იგი გაბატონებულია საკუთრივ მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში, რომელიც გრძელდება დაახლოებით მე-16 საუკუნის ნახევრიდან მე-18 საუკუნის უკანასკნელ მესამედამდე“ [2]. მანუფაქტურამ განავითარა შრომის განაწილება, გამოიწვია მუშის დახელოვნება, შესაძლებლობა მისცა ტექნიკის განვითარებას, ყოველივე ამან გაზარდა შრომის ნაყოფიერება. „მანუფაქტურული შრომის განაწილება ერთ-ერთი საშუალებაა, რომლითაც კაპიტალისტი შრომას ანაყოფიერებს, აუცილებელ სამუშაო დროს ამოკლებს, მით ზედმეტ ღირებულებას ზრდის და კაპიტალს ადიდებს. მაშასადამე, ამით კაპიტალისტი სწვდება თავის საწადელს: სამუშაო ქირას ამცირებს და მუშისაგან ჩამონაკვეცით სუქდება; ის ამრავლებს თავის სიმდიდრეს და ამავე დროს ამახინჯებს მუშას; ამიტომ ერთის მხრით, მანუფაქტურა პროგრესული მოვლენაა ცხოვრებაში, ეკონომიურ წარმატებას მოასწავებს, ხოლო მეორე მხრით, ეს წარმატება მწარმოებლის დაბეჩავებაზე, დაჩაგვრაზე, გაყვლეფაზეა აგებული“ [3].

მესამე სტადია კაპიტალიზმის განვითარებაში, რამაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება და საშუალება მისცა კაპიტალისტებს კიდევ უფრო გაეძლიერებინათ მუშათა კლასის ექსპლოატაცია, არის მანქანურ წარმოებაზე გადასვლა. როგორც მარქსი წერდა, მანქანურ წარმოებაზე გადასვლით კაპიტალისტური მეურნეობა დადგა თავის საკუთარს ფეხზე. მანქანურ წარმოებაზე გადასვლა ამავე დროს იმას ნიშნავდა, რომ შრომის ფორმალური დამორჩილება კაპიტა-

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 166.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 289.
[3] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 172.

ლისადმი, იცვლება შრომის რეალური დამორჩილებით კაპიტალისადმი. მანქანურ წარმოებაზე გადასვლით უნდა შემცირებულიყო სამუშაო დრო და მომხდარიყო მუშათა პირობების გაუმჯობესება, მაგრამ მოხდა პირიქით.

მანქანურ წარმოებაზე გადასვლამ კიდევ უფრო გაადიდა სამუშაო დღე. მან შესაძლებელი გახადა წარმოებაში მიეზიდა ქალისა და ბავშვის შრომა და ამან მუშას თავისი ოჯახის წევრები გაუხადა კონკურენტად. წარმოებაში ქალისა და ბავშვის შრომის გამოყენებამ კიდევ უფრო შეამცირა სამუშაო ძალის ღირებულება. კაპიტალისტურად გამოყენებული მანქანური წარმოება გახდა მილიონიანი მშრომელი მასების უბედურების წყარო.

ა. წულუკიძემ, 45 წლის წინათ მარქსისტულ-ლენინური ანალიზი გაუკეთა რა მანქანური წარმოების განვითარებას და იმ შედეგებს, რომელიც მას მოაქვს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სრულიათ სამართლიანად დაასკვნა: „ადამიანი ბუნებას იმორჩილებს, მის ძალებს შრომის გასაადვილებლად აწყობს, მძიმე სამუშაოს ამარტივებს, ათასის საკეთებელს ერთს აკეთებინებს, სულიერის მძიმე მოვალეობას უსულოს აკისრებს, მხოლოდ ამასთან ერთად იზრდება მშიერ-შიშველთა ბრბო, მატულობს ოხერა-კვნესა, დღითი-დღე მწვავდება უმრავლესობისათვის ცხოვრება და სიმწარის ცრემლოფლი წალეკვას უქადის კაცობრიობას!“ [1].

ეს სიტყვები, თქმული ა. წულუკიძის მიერ, თანამედროვე მონოპოლიტისური კაპიტალიზმისადმი ისეთივე საშინელი ბრალდებაა, როგორც ის იყო ოთხი ათეული წლის წინათ.

ა. წულუკიძე მოკლედ იხილავს ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილ კონკრეტულ ფორმებს, როგორიცაა: მოგება, სარგებელი, მიწის რენტა და სხვ. ზედმეტი ღირებულების მწარმოებელი კლასი არის მუშათა კლასი. მის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება ნაწილდება კაპიტალისტურ საზოგადოებაში სხვადასხვა ექსპლოატატორულ კლასს შორის. განაწილება შეიძლება იმისა, რაც წარმოებული არის. ამიტომ კაპიტალიზმის პირობებში ყველაფერი იმისკენ არის მიმართული, რომ გაზარდონ ზედმეტი ღირებულების წარმოება.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა სრული სიცხადით

---

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 178.

2. უფასო ბიბლიოთეკა შრომები, ტ. IX, 1949.

გამოააშკარავეს, რომ კაპიტალისტს ერთადერთი სასიცოცხლო მისწრაფება აქვს, რაც ზედმეტი ღირებულების გაზრდაში მდგომარეობს: „როგორც კაპიტალისტი, იგი მხოლოდ გაპიროვნებული კაპიტალია. მისი სული კაპიტალის სულია, მაგრამ კაპიტალს ერთადერთი სასიცოცხლო მისწრაფება აქვს, მისწრაფება—გაადიდოს თავისი ღირებულება, შექმნას ზედმეტი ღირებულება, შეიწოვოს თავისი მუდმივი ნაწილით, საწარმოო საშუალებებით, ზედმეტი შრომის რაც შეიძლება მეტი მასა“ [1].

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში ის აზრი არის გატარებული და მეცნიერულად დასაბუთებული, რომ მწარმოებელი კლასი ზედმეტი ღირებულებისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება სხვა კლასი იყოს, თუ არა მუშათა კლასი.

ა. წულუკიძე დგას მარქსიზმ-ლენინიზმის ამ თვალსაზრისზე და აღნიშნავს, რომ მუშათა ექსპლოატაციის საფუძველზე იქმნება სიმდიდრე, რომელსაც ინაწილებს ექსპლოატატორული კლასები, „...რომ მუშის შემოსავალი—სამუშაო ქირა მისი შრომით არის შეძენილი, რომ პური არსობისა მწარმოებელს ოფლითა და ტანჯვით აქვს მოპოებული. ჩვენ ისიც ნათლად გავარკვიეთ, რომ მთელი სიმდიდრე ამავე მწარმოებლის შრომით გროვდება, მხოლოდ მისი საჭუშაო ქირა ამ სიმდიდრის ერთი პაწია ნაწილია“ [2].

ა. წულუკიძე სასტიკ ბრძოლას უცხადებს ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებს და მის გამოვლინებას ჩვენს სინამდვილეში. როგორც ცნობილია, ა. სმიტი ამტკიცებდა, რომ „ხელფასი, მოგება და რენტა არის თავდაპირველი წყარო ყოველი შემოსავლის, ისე, როგორც ყოველი საცვლელი ღირებულებისა“ [3].

ა. სმიტის ამ დებულებას ხელი ჩასჭიდეს ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა და აღიარეს სამი წყარო, რომელიც ჰქმნის შემოსავალს, ესაა: მიწა, კაპიტალი და შრომა. ეს თეორია მიზნად ისახავს მიჩქმალოს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, და საქმე სურთ ისე წარმოგვიდგინონ ვითომ სიმდიდრის შექმნაში თანაბრად მონაწილეობს ეს სამი ფაქტორი: მიწა, კაპიტალი და შრომა. მარქსმა თავის შრომაში „კაპიტალი“ ამ ჯურის ეკონომისტები დაახასიათა, როგორც კაპიტალისტების დაქირავე-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 189.

[2] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 196.

[3] ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, გვ. 60.

ბული მჯღაბნელები, მათ მიერ შეთხზული თეორიები შეეფერება კაპიტალისტთა ინტერესებს.

ზედმეტი ღირებულების კონკრეტული ფორმები, როგორიცაა: მოგება, სარგებელი, მიწის რენტა და სხვ., ზედმეტი ღირებულებისაგან წარმოდგება. როდესაც ზედმეტ ღირებულებას ვუფარდებთ მთელ კაპიტალთან, მაშინ ჩვენ ვღებულობთ მოგების ნორმას. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სხვადასხვა მიზეზის გამო მოგების ნორმას აქვს დაცემის ტენდენცია, ამას სამართლიანად აღიარებს ა. წულუკიძე. მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია, რა თქმა უნდა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეცემოდეს მოგება საერთოდ. პირიქით, კაპიტალიზმის განვითარების დროს ჩვენ საქმე გვაქვს მოგების საოცარ ზრდასთან.

იმპერიალიზმის ხანაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისის მსხვილ რეაქციულ კაპიტალისტთა მონოპოლიების კავშირების მოგება როგორც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ისე ომის შემდგომ იზრდება. მაგრამ ეს ზრდა ხდება მუშათა კლასის ექსპლოატაციით, რაც იწვევს მუშათა კლასისა და ხალხის საარსებო დონის სისტემატურ შემცირებას.

კაპიტალისტური წარმოების პროცესში მუშების მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას ითვისებს კაპიტალისტი, რომლის საწარმოში ის იქმნება, მაგრამ არ არის მისი საბოლოო მესაკუთრე. „მან უნდა გაუყოს შემდეგ იგი კაპიტალისტებს, რომელნიც მთლიანად აღებულ საზოგადოებრივ წარმოებაში სხვა ფუნქციებს ასრულებენ, მემამულეებს და სხვ.“ [1].

ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი სარგებლის სახით მიაქვს იმ კაპიტალისტს, ვინც ფული გაასესხა. ეს კაპიტალისტები არის რანტიეთა ჯგუფი, რომელიც სასესხო პროცენტს ღებულობს, იმის გამო, რომ ფულის მფლობელია. ვ. ი. ლენინმა თავის სახელგანთქმულ შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, რანტიე კაპიტალისტთა ზრდა დაახასიათა, როგორც ერთ-ერთი ნიშანი კაპიტალიზმის ლპობისა იმპერიალიზმის ეპოქაში. რანტიე კაპიტალისტები სრულიად მოწყვეტილი არიან წარმოებას. ასეთი კაპიტალისტების შესახებ ა. წულუკიძე წერს: „ეს არის კაპიტალის პროცენტი, რომელსაც ფულიანი კაპიტალისტი ფულის დროებით გაცემაში იღებს. თვითონ ის წარმოებაში

[1] კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. I, გვ. 508.

არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, თვითონ შეიძლება არც არაფერი გაეგებოდეს იმ საქმის, რომლის მოსაწყობათ მისგან ფული ისესხეს. მან მხოლოდ უეჭველად ერთი იცის: დანიშნულ ვადაზე ამოდენი და ამოდენი სარგებელი უნდა მიიღოს“ [1].

ა. წულუკიძე მარქსისტულ-ლენინურად განიხილავს მიწის რენტის საკითხს. ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი მიაქვს მიწის რენტის სახით მემამულეთა კლასს. ა. წულუკიძე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს იმათ, ვინც აღიარებს, რომ მიწა თავისთავად არის რენტის მომცემი. მიწა არავითარ ახალ ღირებულებას არ ჰქმნის. „მიწის აბსოლუტური ნაყოფიერება სხვას არაფერს იწვევს გარდა იმისა, რომ შრომის განსაზღვრული რაოდენობა იძლევა განსაზღვრულ პროდუქტს, რომელიც გამოწვეულია მიწის ბუნებრივი ნაყოფიერებით. განსხვავება მიწის ნაყოფიერებაში იმას ქმნის, რომ შრომის და კაპიტალის ერთიდაიგივე რაოდენობა, მაშასადამე, ერთიდაიგივე ღირებულება, გამოიხატება სამიწათმოქმედო პროდუქტების სხვადასხვა რაოდენობაში, რომ, მაშასადამე, ამ პროდუქტებს სხვადასხვა ინდივიდუალური ღირებულებანი აქვთ“ [2]. ა. წულუკიძე მარქსის ამ დებულებას ეყრდნობა და აღიარებს, რომ ნაყოფიერი მიწები იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ასეთ მიწებზე შრომისა და კაპიტალის დახარჯვა პროდუქტთა მეტ რაოდენობას გვაძლევს.

ა. წულუკიძე აღიარებს, რომ მიწის რენტა მემამულეთა კლასის უშრომო შემოსავალია. იგი უფრო შორს მიდის. რენტის განხილვის დროს მან დააყენა კითხვა, რა ემართება მიწის რენტას და მიწის ფასს კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად? როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მიწას ღირებულება არა აქვს, მაგრამ მიწას აქვს ფასი, რადგან ის ყიდვა-გაყიდვის საგანია. მიწის ფასი სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალიზაციაქმნილი მიწის რენტა. ზემოთ დასმულ კითხვას ა. წულუკიძემ სრულიად მართებულად უპასუხა, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება მიწის რენტა და მიწის ფასიც.

ამგვარად, ა. წულუკიძემ თავის შრომებში, რის შესაძლებლობას ცარიზმის ცენზურის პირობები იძლეოდა, განიხილა მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია და ზედმეტი ღირებულების გარ-

---

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 199.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. მეორე, გვ. 323.

დაქმნილი კონკრეტული ფორმები. თავის შრომებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის გამოვლინებას, რომელიც შეუთავსებელი იყო მარქსიზმთან.

ჯერ კიდევ 1900 წელს, პოლემიკური ხასიათის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა „კვალში“ სახელწოდებით: „ჩვენი უთანხმოებანი“ ა. წულუკიძემ უკუაგდო როგორც არამეცნიერული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის თეზა, რომ სიმდიდრის შექმნაში თანაბრად მონაწილეობს სამი ფაქტორი: „მიწა, კაპიტალი, შრომა“.

ა. წულუკიძემ მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ასეთი პოლიტიკური ეკონომია გამოსადეგი არ არის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული მუშათა კლასისათვის. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია ესაჭიროება გაბატონებულ კლასს იმისათვის, რომ ბუნებრივი აუცილებლობით გაამართლოს კაპიტალისტთა ბატონობა მუშათა კლასზე. მარქსი ახასიათებდა რა ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიას და იმ ფორმულას, რომელიც მათ წამოაყენეს, წერდა: „იმავე დროს ეს ფორმულა შეეფერება გაბატონებული კლასების ინტერესებს, იმიტომ, რომ იგი აცხადებს და დოგმად აქცევს მათი შემოსავლის წყაროების ბუნებრივ აუცილებლობას და, მუდმივ გამართლებას“ [1].

მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიით შეიარაღებულმა ა. წულუკიძემ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა თავის შრომებში საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა თვალსაჩინო წარმომადგენლის არჩილ ჯორჯაძისა და ქართველ „ლეგალურ მარქსისტთა“ ბელადის ნოე ჟორდანიას „საერთო ნიადაგის“ თეორიას.

ა. ჯორჯაძე ჩვენს ქვეყანაში ქადაგებდა „საერთო ნიადაგის“ ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის დრომოჭმულ თეორიას. ა. წულუკიძე კლასიკურ შრომაში „ოცნება და სინამდვილე“ იხსენიებს ფრედერიკ ბასტიას გვარს, რომელიც აღიარებდა, რომ „სახელმწიფოება თავისი შედგენილობით ურთიერთ შორის გადახლართულ სოლიდარობათა შეერთებაა — და სხვა არაფერი“. ა. ჯორჯაძე ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ამ ძირითად თეზას არ გასცილებია. პირიქით ის ამ თეორიის თავდადებული დამცველი იყო. ამ თეორიის საწინააღმდეგოდ ა. წულუკიძის კალმით დაწერი-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. მეორე, გვ. 318.

ლია შემდეგი სიტყვები: „...არც ერთი ევროპის ერთაგანი კლასთა ბრძოლას არ გადარჩენია და „საერთო მოქმედების ნიადაგზე“ ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა მათ ბ. არჩილ ჯორჯაძეზე არა ნაკლები მქადაგებლები ჰყავდათ. მარტო ერთი ბასტია ღირდა რაოდენიმე ჯორჯაძეთ, მაგრამ მისმა ჰარმონიულმა თეორიამაც კი ვერ მოსპო კლასთა ბრძოლა და სინამდვილე მისდა გაუკითხავათ წარემართა“ [1].

ა. წულუკიძის ყველა შრომაში მარქსისტულ-ლენინურად არის დასაბუთებული, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ზედმეტი ღირებულების მწარმოებელი კლასი არის მხოლოდ მუშათა კლასი, ის ქმნის სიმდიდრეს, რომელიც შემდეგ ნაწილდება ექსპლოატატორულ კლასებს შორის. ამის გამო ა. წულუკიძე წერს: „საზოგადოების ყველა კლასები: ვაჭარი, მემამულე, ფულის პატრონი, მექარხნე, უშრომლათ, თავისი სამუშაო ძალის დაუხარჯველათ ისაკუთრებენ მშრომელის ნაკეთებს, ნაღვაწს და ერთმანეთში ინაწილებენ. შრომა ქმნის სიმდიდრეს, სიმდიდრე ფუფუნებას, უსაქმურობას, განცხრომას. შრომობს მწარმოებელი, ფუფუნებს, უსაქმურობს, განცხრომაშია არა მწარმოებელი. ერთის ნაოფლარს მეორე ისაკუთრებს. პირველი ერის უმრავლესობა, კაცობრიობის უდიდესი ნაწილი; მეორე — უმცირესობა, საზოგადოების პატარა ჯგუფები“ [2].

ა. წულუკიძის ასეთი ღრმა მეცნიერული ანალიზი კაპიტალისტურ საზოგადოებისა შეიძლება უცვლელად გავრცელდეს თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროზეც.

---

[1] ა. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 100.

[2] იგივე, გვ. 201.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

ივანე გოშხეთელიანი

მიჩურინული მატერიალისტური ბიოლოგიური მეცნიერების გამარჯვება *

მატერიალისტური ბიოლოგია შეისწავლის ორგანული სამყაროს განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა და ცხოველთა მიზნობრივად მართვის საქმეში — პრაქტიკული მიზნების განსახორციელებლად, ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ბიოლოგიის წინაშე დასმული ეს ამოცანა ყველაზე პირველად და სწორად გაიგო და გადაჭრა ჩვენი დროის დიდმა ბიოლოგმა ი. ვ. მიჩურინმა. ყველასათვის ცნობილია მისი დევიზი: „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან. ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ ეს წყალობა მას“.

მიჩურინამდე ბიოლოგია იყო უმთავრესად აღწერითი და უკეთეს შემთხვევაში ახსნითი მეცნიერება. მიჩურინის შემდეგ კი იგი გახდა ქმედით, ცოცხალი ბუნების გარდამქმნელ მეცნიერებად.

უდიდესმა ბიოლოგმა ჩ. დარვინმა შექმნა რა ევოლუციური თეორია, საფუძველი ჩაუყარა ორგანული სამყაროს — მცენარეთა და ცხოველთა ისტორიული განვითარების მეცნიერულ შესწავლას. დარვინის მოძღვრება უდიდესი მოვლენა იყო მე-19 საუკუნის ბუნებისმეტყველებაში. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა — მარქსმა და ენგელსმა, ხოლო შემდეგ ლენინმა და სტალინმა მაღალი შეფასება მისცეს დარვინის მოძღვრებას, რადგანაც დარვინმა, ობიექტური თვალით შეხედა რა ბუნებას, მცენარეთა და ცხოველთა განვითარება ახსნა მატერიალისტურად, საბოლოოდ გაანადგურა ბუნებაზე მეტაფიზიკური შეხედულება და ბიოლოგია

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიაზე 1949 წლის 24 თებერვალს.

დააყენა მეცნიერულ ნიადაგზე. მარქსიზმის კლასიკოსები ამავე დროს მკაცრად აკრიტიკებდნენ დარვინს შეცდომებისა და მრავალი შეზღუდულობისათვის, მაგ., დარვინის მოძღვრების სუსტ მხარედ ითვლება, რომ მან თავის შრომებში ადგილი დაუთმო მალთუსის რეაქციურ იდეებს, სუსტად აქვს მოცემული მემკვიდრეობისა და ცვალებადობის საკითხები, სწორად ვერ გაიგო ადამიანის შემოქმედი როლი ორგანიზმთა ბუნების გარდაქმნაში და სხვა.

რეაქციონერმა ბიოლოგებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც მათზე იყო დამოკიდებული, რომ დარვინიზმიდან ამოეღოთ მატერიალისტური ელემენტები, წინ წამოეწიათ და გამოეყენებინათ მისი შეცდომები.

„დარვინის შემდგომ პერიოდში მსოფლიოს ბიოლოგთა უდიდესი ნაწილი, დარვინის მოძღვრების შემდგომი განვითარების ნაცვლად, ყველაფერს აკეთებდა, რომ დარვინიზმი გაეუხამსებინა, ჩაეხშო მისი მეცნიერული საფუძვლები. დარვინიზმის ასეთი გაუხამსების ყველაზე მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენენ ვეისმანის, მენდელის, მორგანის, თანამედროვე რეაქციული გენეტიკის ფუძემდებელთა მოძღვრებანი“ [1].

ვეისმანიზმი და მისი ვარიაციები — მენდელიზმ-მორგანიზმი, რომლებიც მე-19 საუკ. ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვნენ, მიმართული იყო დარვინის განვითარების თეორიის მატერიალისტური საფუძვლების წინააღმდეგ. ამ რეაქციული, იდეალისტური კონცეფციების მიხედვით ორგანიზმი გაყოფილია ორ დიამეტრალურად განსხვავებულ ნაწილად: მემკვიდრული ნივთიერება ანუ იდიოპლაზმა და „მკვებავი ნივთიერება“ ანუ ტროფოპლაზმა (სომა), პირველი, ავტონომური, უცვლელი, ორგანიზმისა და გარემოპირობებისაგან დამოუკიდებელია. იგი არც კვდება და არც წარმოიშობა. მემკვიდრული ნივთიერება, ვეისმანის აზრით, თაობიდან-თაობაზე უცვლელად გადადის და განვითარების კანონზომიერებებს არ ემორჩილება. ცოცხალი სხეული, მისი ყველა უჯრედები და ორგანოები უძლურნი არიან ჩანასახოვანი უჯრედების წარმოშობასა და ცვალებადობაში. ისინი მხოლოდ საკვებს წარმოადგენენ ამ უკვდავი ნივთიერებისათვის.

„უკვდავი მემკვიდრეობითი ნივთიერება, ცოცხალი სხეულის განვითარების თვისობრივ თავისე-

[1] ტ. დ. ლისენკო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში, 1948, გვ. 8.

ბურებათაგან დამოუკიდებელი, ნივთიერება, რომელიც განაგებს ხრწნად სხეულს, მაგრამ მისგან არ წარმოიშობა — ასეთია ვეისმანის აშკარა იდეალისტური, თავისი არსით მისტიკური კონცეფცია, რომელიც მან წამოაყენა, ამოეფარა რა სიტყვებს „ნეოდარვინიზმის" შესახებ" [1].

მენდელიზმ-მორგანიზმმა მთლიანად მიიღო და, შეიძლება ითქვას, კიდეც გააღრმავა ვეისმანის ეს მისტიკური შეხედულებანი. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ თანამედროვე მენდელისტ-მორგანისტებმა ვეისმანის რეაქციული თეორიები მრავალფეროვან სიტყვებში, სქოლასტიკასა და ფორმალიზმში გაახვიეს, რათა დაეფარათ მისი ნამდვილი არსი, ცდილობდნენ მატერიალიზმად მოეჩვენებინათ ვეისმანის იდეალისტური დებულებები.

ბიოლოგიაში წარმოშობილ ორ მიმდინარეობას შორის ბრძოლის მთავარ მიზეზს შეძენილ ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის საკითხი წარმოადგენდა. მენდელისტ-მორგანისტების აზრით გარემო პირობებს, რომელშიც ორგანიზმს უხდება ცხოვრება, თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია ამ ორგანიზმის ბუნებაზე, მისი მემკვიდრულ ნიშანთვისებათა წარმოშობაზე. ორგანიზმის მემკვიდრულ ნიშან-თვისებათა ჩამოყალიბება და შემდეგ თაობაზე გადაცემა, მენდელისტ-მორგანისტების აზრით, მხოლოდ განსაკუთრებულ, მემკვიდრულ ნივთიერებაზეა დამოკიდებული, რომელიც მოთავსებულია უჯრედის ბირთვში ქრომოსომების სახით.

ქრომოსომებში ხაზობრივად განყობილია მრავალრიცხოვანი, მემკვიდრულ ნიშან-თვისებათა მატარებელი, თვალით უხილავი წერტილები ანუ გენები. გენები დალაგებული არიან წყვილ-წყვილად, რომელთაგანაც ერთი მიღებულია მამისაგან, მეორე კი დედისაგან, ისე როგორც თვითონ ქრომოსომების ორმაგობაც გამოწვეულია ორი მშობლის სასქესო უჯრედთა შეერთებით.

მენდელისტ-მორგანისტების აზრით ცხოველთა და მცენარეთა ასეთი მემკვიდრული აპარატი თვისობრივ ცვლილებებს არ განიცდის, მით უმეტეს, ადამიანს არ შეუძლია მემკვიდრულ ნიშან-თვისებათა შეცვლა და მიზნობრივად გამოყენება.

მენდელისტ-მორგანისტების კონცეფციებში გადაშლილი ადგილი უპირავეს შემთხვევითობას. მათ მიაჩნიათ, რომ ყოველი ახალი

[1] ტ. დ. ლისენკო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში, გვ. 12.

ნიშან-თვისება თუ სისტემა მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევით და არა კანონზომიერად წარმოიშვება. შემთხვევითია გენების ცვალებადობა, ქრომოსომების განაწილება სასქესო უჯრედებში აგრეთვე შემთხვევითს ხასიათს ატარებს. შემთხვევითობაზეა დამყარებული ნიშან-თვისებათა დათიშვა ჰიბრიდულ თაობებში და შემთხვევითია თვით ორგანიზმის ცვალებადობა. აქედან დასკვნა: ორგანიზმთა განვითარების ძირითადი ეტაპები ყველა შემთხვევითს ხასიათს ატარებენ.

„ორტოდოქსალური“ დარვინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ი. ი. შმალჰაუზენი თავის შრომაში „ევოლუციის ფაქტორები“ წერს: „ცალკეული მუტაციების წარმოშობას შემთხვევითი მოვლენების ყველა ნიშანი აქვს. ჩვენ არ შეგვიძლია არც ვიწინასწარმეტყველოთ და არც ნებისმიერად გამოვიწვიოთ ესა თუ ის მუტაცია. ჯერჯერობით არ მოხერხდა რაიმე კანონზომიერი კავშირის დაყარება მუტაციის თვისებასა და გარემოს ფაქტორებში გარკვეულ ცვლილებას შორის“ [1].

შმალჰაუზენს თუ დავუჯერებთ, საჭირო აღარ არის ვეძიოთ მუტაციის გამომწვევი მიზეზები, რადგან იგი უეცრივ წარმოიშობა და ადამიანის სურვილებს არ ემორჩილება. მენდელისტ-მორგანისტები ეძებენ ამ უეცარ შემთხვევით ცვლილებათა გამომწვევ საშუალებებს მოქმედობენ სხვადასხვა საწამლავით, რენტგენის სხივებით და სხვა, რომლებიც მართლაც იწვევენ შემთხვევითს გავლენას ცოცხალი უჯრედის აღნაგობაში, მაგრამ ყველა ეს ცვლილებანი, თუ გინდ სასარგებლონიც იყვნენ, არ ეხმარებიან ადამიანს მცენარეთა და ცხოველთა მართვაში, სასარგებლო ჯიშების მიღების საქმეში. ეს არ არის მატერიალისტური ბიოლოგიის განვითარების გენერალური ხაზი.

„საერთოდ, — ამბობს ლისენკო, — მორგანისტებს ცოცხალი ბუნება წარმოუდგენიათ შემთხვევითი, ერთმანეთს დაცილებული მოვლენების ქაოსად, საჭირო კავშირისა და კანონზომიერების გარეშე. ყველგან შემთხვევითობა ბატონობს. მორგანისტებს არ შეუძლიათ აღმოაჩინონ ცოცხალი ბუნების კანონზომიერებანი და იძულებული არიან მიმართონ ალბათობის თეორიას და არ ესმით რა ბიოლოგიური პროცესების კონკრეტული შინაარსი, ბიოლოგიურ მეცნიერებას შიშველ სტატისტიკად აქცევენ“ [2].

[1] ტ. დ. ლისენკო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში, გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 72.

დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ბუნებაში კანონზომიერება მოქმედებს. ცოცხალი ორგანიზმები კანონზომიერად ვითარდება. ამ პროცესში მიღებული ცვლილებები შემდეგ თაობებში მემკვიდრეობით ვადაეცემა. ორგანიზმთა მემკვიდრეობა ნივთიერებათა ცვლის შედეგს წარმოადგენს და, თუ შევძლებთ ნივთიერებათა ცვლის პროცესის მოწესრიგებას ცოცხალ ორგანიზმში, მემკვიდრეობაც სასურველი მიმართულებით შეიცვლება.

„ნივთიერებათა ცვლიდან, — წერს ფ. ენგელსი, — რომელიც კვებისა და გამოყოფის შემწეობით სწარმოებს და რომელიც ცილის არსებითს ფუნქციას წარმოადგენს და აგრეთვე მისი დამახასიათებელი პლასტიურობიდან გამომდინარეობს სიცოცხლის ყველა დანარჩენი უმარტივესი ფაქტორი: გაღიზიანების უნარი, რომელიც უკვე იგულისხმება ცილისა და მისი საკვების ურთიერთობაში; შეკუმშვის უნარი, რომელიც უკვე მეტად დაბალ საფეხურზე იჩენს თავს საკვების ჩანთქმის დროს; ზრდის უნარი, რომელიც უდაბლეს საფეხურზე გულისხმობს გამრავლებას დანაწილების შემწეობით; შინაგანი მოძრაობა, ურომლისოდაც შეუძლებელია როგორც საკვების ჩანთქმა ისე მისი ასიმილაცია“ [1].

მიჩურინისა და ლისენკოს მიერ შემოღებულმა ვეგეტაციურმა ჰიბრიდიზაციამ მთლიანად დაადასტურა ენგელსის ზემოდ მოყვანილი სიტყვები. მყნობის შედეგად გამოწვეული ნივთიერებათა ცვლის გამო იცვლებიან მემკვიდრული ნიშნებიც. მენდელიზმ-მორგანიზმის უცხოელ და ჩვენებურ წარმომადგენლებს არ სწამთ ვეგეტაციური ჰიბრიდების არსებობა, რადგანაც ამ შემთხვევაში მემკვიდრულ ნიშან-თვისებათა გადაცემა სქესობრივი პროდუქტების შერწყმის გარეშე ხდება.

ტყვილა კი არ დაუთმო ი. ი. შმალჰაუზენმა თავის წიგნში „ევოლუციის ფაქტორები“ საპატიო ადგილი ჩვენი ქვეყნის აშკარა მტრის გენეტიკოს დობჟანსკის თვალსაზრისს და სრულიად გამოტოვა ტიმირიაზევის, მიჩურინისა და მიჩურინელთა შრომები.

დობჟანსკის აზრით გენეტიკოსებმა თავიც კი არ უნდა შეიწუხონ მიჩურინელთა ცდების გასამეორებლად. „ზოგიერთი პირი — წერს იგი, — გაკვირვებული იქნება უთუოდ, თუ რატომ არ ილტვიან გენეტიკოსები ამ ცდების განმეორებისათვის. პასუხი საკმაოდ მარტივია: მეცნიერების წინსვლა ძლიერ დაირღვეოდა ყველა სწავ-

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, ქართ. გამოც., 1933, გვ. 59.

ლულს თავისი მუშაობა რომ შეეწყვიტა ვიღაცას მიერ საეჭვო დასკვნების გამოქვეყნების ყოველ შემთხვევაში.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ დობჟანსკის და მის მსგავსებს მეცნიერებასთან არავითარი საერთო არ აქვთ. მათ ეშინიათ ნამდვილი მეცნიერების. მიჩურინელთა ცდების განმეორება ძირფესვიანად გაანადგურებდა იდეალისტურ, შემთხვევითობაზე დაყრდნობილ მათს კონცეფციებს.

მიჩურინულ ბიოლოგიას აინტერესებს მოვლენათა ისტორიული განვითარების შესწავლა, ის გზა, საიდანაც იწყება ამ სასარგებლო ცვლილებათა წარმოშობა, რათა მიზნობრივად მივმართოთ ცოცხალ ორგანიზმში წარმოშობილი პროცესები.

ი. ვ. მიჩურინმა ბრწყინვალე გამოკვლევებით და მანამდე არნახული პრაქტიკული შედეგებით ახალი ეტაპი შექმნა მატერიალისტური ბიოლოგიის განვითარებაში. მიჩურინმა დაამტკიცა, რომ მენდელიზმი ეწინააღმდეგება ბუნებრივ სინამდვილეს, რომლის წინაშეც უძლური ხდება ყოველგვარი მეტაფიზიკური თეორია.

ი. ვ. მიჩურინმა თავისი რევოლუციური თეორიით ბიოლოგიაში და პრაქტიკული მიღწევებით საფუძველი ჩაუყარა მცენარეთა ორგანიზმების განვითარების შესახებ ახალ მეცნიერებას, ახლებურად დააყენა საკითხი იმ კავშირების შესახებ, რომლებიც არსებობენ ორგანიზმებსა და გარემო ბუნებას შორის.

მიჩურინამდე ბიოლოგია ძალიან სუსტად სწავლობდა იმ ურთიერთდამოკიდებულებებსა და კავშირებს, რომლებიც არსებობენ ცალკეულ სხეულთა, ნაწილთა და მოვლენათა შორის. სწორედ ამ კანონზომიერებათა, კავშირთა და ურთიერთდამოკიდებულებათა საფუძველზე შეიძლება განვითარების პროცესის, ფორმათა წარმოშობის ბიოლოგიური არსის გაგება. გარემოს ფაქტორთა ცვალებადობის შედეგად იცვლებიან ორგანიზმის მემკვიდრული ნიშან-თვისებანი, რომელთა დაგროვების შედეგად წარმოიშვება ახალი, თვისობრივად განსხვავებული ორგანიზმის ბუნება, ყალიბდება ახალი ნიშან-თვისებანი და ორგანოები.

ორგანიზმის ცალკეული ნაწილები, მისი უჯრედები, მოითხოვენ თავისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე კვების, ზრდის და გამრავლების თავისებურ პირობებს. ორგანიზმსა და გარემო ბუნებას შორის არსებობს დიალექტიკური ერთიანობა. ბუნების დიალექტიკა მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ სასიცოცხლო პროცესები წარ-

მოადგენენ თავისთავად გარეგანისა და შინაგანის ერთიანობას, რომ ასიმილირებული გარეგანი პირობები შინაგანად იქცევიან.

აქედან დასკვნა: ინდივიდუალური განვითარება ცოცხალ ორგანიზმებში თავის ბეჭედს ასვამს მომავალ თაობათა განვითარებაზე. მენდელისტ-მორგანისტებს ვერ წარმოუდგენიათ კარგი მოვლისა და პატრონობის, აგროტექნიკის გაუმჯობესების გზით ორგანიზმთა ბუნების შეცვლა, ამიტომაც პრაქტიკაში არც ერთი მნიშვნელოვანი ახალი ჯიში არ გამოუყვანიათ.

ი. ვ. მიჩურინმა შესძლო ჩაეხედა ორგანიზმის განვითარების სიღრმეში, გაეგო ბუნების საიდუმლოებანი და დაესახა გზები მის გარდასაქმნელად. უდიდეს რუს პატრიოტს მიჩურინს არ ასვენებდა რუსული მებაღეობის უმწეო სახე, იგი ოცნებობდა, რომ რუს ადამიანს თავისი ხელით მოეწყვიტა ბაღში სამხრეთის ხეხილთა ნაყოფები. ისე გარდაექმნა სამხრეთის ხილეულ მცენარეთა ბუნება, რომ ისინი შეგუებოდნენ რუსეთის შუა ზოლის მკაცრ კლიმატურ პირობებს. ი. ვ. მიჩურინმა თავის მუშაობას საფუძვლად დარვინის მოძღვრების პროგრესული დებულებები დაუდვა, დიალექტიკურ მთლიანობაში განიხილა ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთგავლენა და თავისი დასახული მიზნები განახორციელა. მისმა შექმნილმა მოძღვრებამ მცენარეულ ორგანიზმთა განვითარების შესახებ მთლიანად გაანადგურა მენდელისტ-მორგანისტების იდეალისტურ-მეტაფიზიკური შეხედულებანი.

„მიჩურინული მატერიალისტური მიმართულება ბიოლოგიაში ერთადერთი მეცნიერული მიმართულებაა იმიტომ, რომ იგი ემყარება დიალექტიკური მატერიალიზმის, ხალხის სასარგებლოდ სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის პრინციპებს. ვეისმანისტურ-მორგანისტული იდეალისტური მიმართულება ბიოლოგიაში იმიტომ არის ცრუმეცნიერული, რომ იგი საბოლოო ანგარიშით დამყარებულია ღვთაებრივი საწყისის აღიარებაზე სამყაროს განვითარებაში, ბუნების „მარადიული და უცვლელი“ კანონებისადმი ადამიანის პასიურ შეგუებაზე“ [1].

ი. ვ. მიჩურინის მიერ შექმნილ მეთოდებსა და მცენარეული ორგანიზმების განვითარების მართვის გზებს, გარდა უდიდესი თეორიული მნიშვნელობისა, დიდი პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვა. თავის სიცოცხლეში მიჩურინმა შესძლო გამოეყვანა 300-ზე მეტი ახალი ჯიშის ხილკენკროვანი მცენარე.

[1] პრავდის მოწინავე. კომუნისტი, 1948, 28. VIII.

მის მიერ გამოყვანილი ჯიშები, ვაშლის, მსხლის, ალუბლის, ჭერამის, ვაზის და სხვა. ხასიათდებიან არა მარტო ყინვაგამძლეობით, არამედ დიდი მოსავლიანობითა და ნაყოფთა უკეთესი ხარისხით, ვიდრე ეს აქვთ მათ მშობლიურ ფორმებს სამხრეთში. ასწლოვანი მუხები, ნაძვები და ფიჭვები გახმენ 1939-40 წლის ზამთარში ი. ვ. მიჩურინის სახელობის ცენტრალურ სასელექციო-გენეტიკური ლაბორატორიის ტერიტორიასა და მის მახლობლად ძლიერი ყინვების გამო. ამ ზამთარმა ფესვები გაუყინა არა მარტო კულტურულ, არამედ ველურ მცენარეებსაც. მიჩურინული მეთოდებით გამოყვანილი ჰიბრიდული მცენარეები კი შესანიშნავად გრძნობდნენ თავს 40-48° ყინვის პირობებში. მიჩურინმა აღმოაჩინა მებაღეობისათვის ისეთი რაიონები, როგორიცაა ურალი და ციმბირი, გადასწია მებაღეობა ჩრდილოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში. ამ რაიონებში ამჟამად ბაღებს 20.000 ჰექტარი ფართობი უჭირავს. იგი ხდება სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იმ რაიონებში, სადაც რევოლუციამდე არც ერთი ხილეული მცენარე არ იყო.

მეფის რუსეთში მებაღეობა ძალიან დაბალ საფეხურზე იდგა. ყინვაგამძლე ვაშლის ჯიშებიდან აღსანიშნავი იყო მხოლოდ „ანტონოვკა“ და „სკრიჟაპელა“. მსხლის ჯიშებიდან, რომლების ზამთარში შენახვა შეიძლებოდა, გარდა ნახევრად კულტურული „ბერგამოტისა“, არც ერთი არ იყო. 2-3 ჯიშის ქლიავი და მდარე ხარისხის ალუბლის რამდენიმე ჯიში — აი რევოლუციამდელი რუსეთის შუაზონის მებაღეობის სახე. ჩრდილოეთში, ურალსა და ციმბირში ხეხილი სრულიად არ იყო. არსებული ბაღების აგროტექნიკური დამუშავება ძალიან დაბალ დონეზე იდგა.

მიჩურინმა მოგვცა სწორი და პრაქტიკისათვის სახელმძღვანელო მოძღვრება ორგანიზმთა ცვალებადობისა და მემკვიდრეობის შესახებ. მიჩურინული მოძღვრება მცენარეთა განვითარების მართვის შესახებ რეალური ფაქტია. იგი ბუნებრივი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და არა გაჩყენებული თეორიული მსჯელობიდან. ეს მოძღვრება ადამიანის ხელში ბუნების რევოლუციური გარდაქმნის საუკეთესო იარაღია. ჰიბრიდიზაციის გზით გამოყვანილი ჯიშები ხასიათდებიან სამხრეთის მშობლიურ მცენარეთა კარგი ხარისხის ნაყოფებით და უკეთესი ზამთანიანობით, ვიდრე ადგილობრივი ფორმები. ამ ჯიშებმა თავისი ყინვაგამძლეობით არა ერთხელ გააკვირვეს ჩვენი და საზღვარგარეთელი სელექციონერები.

1898 წ. კანადის ფერმერთა ყრილობამ ოფიციალურად დაადასტურა ის ფაქტი, რომ ამ წლის ძლიერმა ყინვებმა ალუბლის ყველა ჯიში, როგორც ევროპული, ისე ამერიკული წარმოშობის გაახმო. გადარჩა მხოლოდ ქ. კოზლოვიდან მიღებული ალუბლის ჯიში — „მიჩურინის მოსავლიანი". ამ ფაქტს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ იგი მორალური გამარჯვებაც იყო. ფერმერებმა იცოდნენ, რომ ეს ჯიში შექმნილია დიდი რუსი სელექციონერის შრომითა და გენიით. მსოფლიოს მოწინავე ადამიანები იცნობდნენ და აფასებდნენ მიჩურინის ჯიშებს, არა ერთხელ ჩამოსულან უცხოეთიდან მიჩურინის ჯიშების გასაცნობად და არა ერთხელ შეუთავაზებიათ ამერიკელებს მიჩურინისათვის დოლარები და კარგი პირობები. მაგრამ თავისი ქვეყნის უსაზღვრო პატრიოტმა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელ რუსეთში თავს ობლად გრძნობდა, დოლარებში არ გაჰყიდა თავისი ხალხისათვის გამოყვანილი მცენარეთა ახალი ჯიშები და უარი განაცხადა ამერიკაში გადასახლებაზე. ჰიბრიდიზაციის გზით მიღებული ჯიშები არღვევდა სახეთა უცვლელობის იდეას, საფუძველს აცლიდა რელიგიურ დოგმებს, ამიტომაც მას თავს ესხმოდნენ რელიგიის მსახურნი. ჰიბრიდიზაცია მათ „წაბილწვად" მიაჩნდათ, მიჩურინი კი ფანტაზიორად გამოჰყავდათ.

ი. ვ. მიჩურინმა შეიმუშავა ახალი, ბიოლოგიისათვის უცნობი, მეთოდები მცენარეთა ჰიბრიდიზაციის დარგში, რომელთა გამოყენებით მან შესძლო მიზანდასახულად გარდაექმნა მცენარეთა ბუნება, მიეცა თავისი ხალხისათვის ხეხილის ნანატრი ჯიშები.

მიჩურინმა შეიმუშავა აგრეთვე ვეგეტაციური ჰიბრიდიზაციის მეთოდი და ამ გზით მრავალი საინტერესო ფორმები შექმნა. ეს მეთოდი ფართოდაა გამოყენებული თანამედროვე სელექციაში.

აკად. ტ. დ. ლისენკომ და მისი სკოლის მეცნიერებმა ვეგეტაციური ჰიბრიდიზაციის მეთოდი ფართოდ დანერგეს პომიდორის, კართოფილის და სხვა მცენარეთა სელექციაში. ასზე მეტი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული საბჭოთა სელექციონერებს ვეგეტაციურ ჰიბრიდებზე. ყველა ეს შრომა ამტკიცებს მემკვიდრულ ნიშან-თვისებათა შთამომავლობაზე გადაცემას ვეგეტაციური ჰიბრიდიზაციით, ისე, როგორც ამას ადგილი აქვს სქესობრივი ჰიბრიდიზაციის შემთხვევაში. მიჩურინი უდიდესი ხელოვანი და დამკვირებელი იყო. მას შეეძლო მცენარის ვეგეტაციური ნაწილებით — ფოთლების ფორმით, ჩაძარღვის სახით, ღეროს მოყვანილობითა და შემადგენლო-

ბით და სხვა შეემჩნია ახალგაზრდა ჰიბრიდული მცენარის კულტურულობისა და ნაყოფიერების ნიშნები, შეეძლო ემსჯელა მომავალი ჯიშის სამეურნეო მნიშვნელობის თვისებებზე.

საბჭოთა ბიოლოგების შეხედულებებს მემკვიდრეობისა და ცვალებადობის საკითხებზე საფუძვლად მიჩურინული გენეტიკა უდევს. მემკვიდრეობა, მიჩურინული გაგებით, ცოცხალი ორგანიზმის თვისებაა — მოითხოვოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარემოს სხვადასხვა პირობები და თავისებურად უპასუხოს მათ. ადამიანი სცვლის რა გარემო პირობებს, ამით სცვლის ორგანიზმთა ჯიშობრივ თავისებურებასაც. ამ გზით შეძენილი ახალი თვისებები მემკვიდრეობით გადადიან შვილებში. ამიტომაც ორგანიზმი და მისთვის აუცილებელი პირობები მთლიანობას წარმოადგენენ. იცვლება რა ცხოვრების პირობები, იცვლება ორგანიზმის განვითარების ტიპიც. განვითარების პროცესში მყოფი ორგანიზმის ცხოვრების პირობების შეცვლა მისი მემკვიდრეობის შეცვლის პირველადი მიზეზია. ცვალებადობისა და მემკვიდრეობის ასეთმა გაგებამ მიჩურინულ გენეტიკას საშუალება მისცა დაუფლებოდა ორგანიზმთა განვითარების სასურველ მართვას.

ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინმა, საფუძველი ჩაუყარა ქმედით ბიოლოგიას, რომელიც ღირსეულად ატარებს ივანე ვლადიმერის-ძის სახელს.

ი. ვ. მიჩურინის, კ. ა. ტიმირიაზევის, ვილიამსის, დოკუჩაევის, კოსტიჩევის შესანიშნავ მემკვიდრეობაზე იზრდებოდა და იზრდება საბჭოთა მოწინავე ბიოლოგიის ახალი კადრები. ისინი კიდევ უფრო ავითარებენ და მაღლა სწევენ წინაპართა მოწინავე იდეებს. ამ მხრივ ყველაზე დიდი დამსახურება თანამედროვე ბიოლოგიაში ტ. დ. ლ ი ს ე ნ კ ო ს მიუძღვის.

აკად. ტ. დ. ლისენკომ თავიდანვე შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა იდეალისტურ ვეისმან-მორგანისტულ შეხედულებებს ბიოლოგიაში და გაბედულად წამოაყენა, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, მეცნიერებისათვის უცნობმა ნოვატორმა, სრულიად ახალი, დადგენილი წესისათვის მიუღებელი, შეხედულებანი ორგანიზმთა განვითარების მართვის საქმეში. მენდელიზმ-მორგანიზმის ანტიმეცნიერულ თეორიებთან ბრძოლაში იქმნებოდა და ყალიბდებოდა ტ. დ. ლისენკოს ქმედითი დარვინიზმი.

მეცნიერება იმიტომ იწოდება მეცნიერებად, — გვასწავლის აბხაზი ს ტ ა ლ ი ნ ი, რომ იგი არ სცნობს ფეტიშებს, არ ეშინია

ხელი ახლოს ძველს, დრომოჭმულს და გრძნობით ეკიდება პრაქტიკის ხმას. სწორედ ასეთი სტალინური მეცნიერების ღირსეული წარმომადგენელია აკად. ტ. დ. ლისენკო. მთელი მისი მეცნიერული აზრი და ენერგია მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკასთან. „საბჭოთა მეცნიერება იმით არის ძლიერი, რომ იგი არ გამოეყოფა ხალხს, არამედ ნებაყოფლობითა და ხალისით უწევს მას მომსახურეობას“ [1].

სოციალისტური მიწათმოქმედება და ლისენკოს შემოქმედება ერთმანეთისაგან განუყოფელია. შეისწავლა რა ლისენკომ მცენარეთა ბუნება და მათი განვითარების პირობები, შექმნა მოძღვრება მცენარეთა სტადიურად განვითარების შესახებ. ეს თეორია საფუძვლად დაედვა ლისენკოს შემდგომ მუშაობას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე. იგი წარმოადგენს ყველაზე დიდ აღმოჩენას მცენარეთა ფიზიოლოგიის დარგში კ. ა. ტიმირიაზევის შრომების შემდეგ. ამ თეორიით არა მარტო გაამდიდრა ჩვენი ქვეყანა ლისენკომ პურითა და კარტოფილით, არამედ დაადგინა ბუნების ადამიანის სასარგებლოდ გარდაქმნის ახალი გზები, რომლებიც გენეტიკისა და სელექციის შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ. არც ერთ მეცნიერს ისე ღრმად და დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე არ დაუმუშავებია ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობის საკითხი, როგორც ეს აკად. ლისენკომ მოგვცა.

ორგანიზმი თუ ნორმალურად იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, ღებულობს საკმარისად ყველა იმ ნივთიერებას, რომლებიც საჭიროა მისთვის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, მაშინ მისი მემკვიდრეობა ძირითადში უცვლელი რჩება. ასეთი ორგანიზმიდან შედარებით მსგავსი ფორმები წარმოიშვებიან. მაგრამ თუ ორგანიზმი ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, ის იძულებული ხდება მიიღოს მისთვის უჩვეულო პირობები და მისი მემკვიდრეობაც იცვლება. „მემკვიდრეობითობის შეცვლა ჩვეულებრივ წარმოადგენს ორგანიზმის განვითარების შედეგს გარემოს იმ პირობებში, რომლებიც ასე თუ ისე არ შეეფერებიან მოცემული ორგანული ფორმის ბუნებრივ მოთხოვნილებებს[2].

განვითარების გარეშეც შეიძლება შეიცვალოს ორგანიზმი (დამ-

[1] პრავდის მოწინავე. კომუნისტი, 1948. 28. VIII.

[2] ტ. დ. ლისენკო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში, გვ. 39.

წვრობა, სახსრების დამტვრევა, ფესვების დაგლეჯა), მაგრამ ეს ცვლილებები არ იქნებიან სიცოცხლის პროცესისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი.

აკად. ლისენკო გვასწავლის, რომ გარემო ფაქტორების გავლენით გამოწვეული ყველა ცვლილება სასქესო უჯრედში არ აღიბეჭდება, რადგანაც ორგანიზმის ცალკეული ნაწილები სხვადასხვაგვარად ვითარდებიან და სხვადასხვა ფაქტორთა გავლენას განიცდიან. თუ რომელიმე ნაწილი ძალით იღებს მისთვის უჩვეულო პირობებს და იცვლება, მშობელს აღარ ჰგავს, მაშინ მისმა მეზობელმა ნაწილებმა შეიძლება ეს პირობები არ მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ნაწილი ორგანიზმში მტკიცე კავშირში იმყოფება, შეიძლება ამ შემთხვევაში ეს კავშირი ორმხრივი არ იყოს. „სხეულის შეცვლილი უბანი განაგრძობს ამა თუ იმ საზრდოს მიღებას მეზობელი უბნებიდან, ხოლო საკუთარ, სპეციფიკურ ნივთიერებათა წარმოება მას არ შეეძლება, ვინაიდან მეზობელი უბნები მათ არ აირჩევენ“ [1].

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ შვილეულ თაობებში ყოველთვის თავს არ იჩენს მშობელში მოხდარი ცვლილებები. მაგრამ ამ უბნებს თვითონ ყოველთვის აქვთ შეცვლილი მემკვიდრეობითობა. ასეთი უბნებიდან აღებულ ნაწილებს (კვირტებს, ტოტებს, ფესვურებს) თუ გავამრავლებთ, მათგან წარმოშობილ თაობას შეცვლილი ნიშნები გამოაჩნდება. „ცვლილებათა მემკვიდრეობით გადაცემის ზომა დამოკიდებული იქნება იმ პროცესის საერთო ჯაჭვში სხეულის შეცვლილი უბნის ნივთიერებათა შეტანის ზომაზე, რომელიც წარმომქმნელი სასქესო ან ვეგეტაციური უჯრედების შექმნას იწვევს“ [2].

თუ ვიცით ორგანიზმის მემკვიდრეობის აგების გზები, ადამიანს შეუძლია, განვითარების სათანადო პირობების შექმნით, შესცვალოს მისი ბუნება. ამიტომ ორგანიზმის მოვლა-პატრონობას, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში. ცუდი აგროტექნიკის დროს არა თუ ცუდი ჯიშებისაგან არასოდეს არ შეიძლება კარგი ჯიშების მიღება, არამედ ბევრ შემთხვევაში კარგი, კულტურული ჯიშებიც კი რამდენიმე თაობის შემდეგ ამ პირობებში ცუდი გახდება.

---

[1] ტ. დ. ლ ი ს ე ნ კ ო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში, გვ. 40.

[2] იქვე, გვ. 41.

სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ახალი ამოცანები დაუსახა აგრონომიულ ბიოლოგიას. ბიოლოგიაში არსებული შეხედულებანი ცოცხალი ორგანიზმების განვითარების მართვის შესახებ არა საკმარისი აღმოჩნდა. „მიჩურინელები თავიანთ კვლევაში განვითარების დარვინის თეორიას ეყრდნობიან, მაგრამ თავისთავად თვით დარვინის თეორია სრულიადაც საკმარისი არ არის სოციალისტური მიწათმოქმედების პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. ამიტომ თანამედროვე საბჭოთა აგრობიოლოგიას საფუძვლად უდევს დარვინიზმი მიჩურინ-ვილიამსის მოძღვრების მიხედვით გარდაქმნილი და ამრიგად საბჭოთა შემოქმედებით დარვინიზმად გადაქცეული“ [1].

აკად. ტ. დ. ლისენკომ ამ შემოქმედებითი დარვინიზმის ძირითადი საკითხები გააღრმავა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ლისენკოს ბიოლოგიურ მოძღვრებას უშუალო დამოკიდებულება აქვს გენეტიკასა, სელექციასა, მეთესლეობასა, აგროტექნიკასა, მცენარეთა ფიზიოლოგიასა და მეცნიერების სხვა დარგებთან. გასაკვირი არ არის ამიტომ, რომ ეს მოძღვრება სწრაფად გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში და მასზე მუშაობენ მოწინავე მეცნიერები საზღვარგარეთ. ლისენკოს მიერ შექმნილი მცენარეთა სტადიურად განვითარების თეორია მტკიცედ დამკვიდრდა მეცნიერების არსენალში. იგი შესულია ყველა ენაზე გამოცემულ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოში. ამ თეორიის საფუძველზე დამუშავებულია მთელი რიგი აგროტექნიკური საშუალებანი, რომელთაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. მათ შორის აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მცენარეთა თესლების იაროვიზაცია, ე. ი. მინდვრის კულტურათა — ხორბლის, კართოფილის, შაქრის ჭარხლის, ბამბის და ბარდულთა თესლების დათესვამდე დამუშავება.

ეს აგროღონისძიება, რომელიც ჩვენში ათეული წლების მანძილზეა გამოყენებული დიდ შედეგებს იძლევა — იგი ამცირებს მცენარის განვითარების სავეგეტაციო პერიოდს, იზოგება სათესლე მასალა. ზოგიერთი კულტურებიდან წელიწადში რამდენიმე მოსავლის მიღება შეიძლება და სხვა.

1940 წელში იაროვიზირებული თესლებით 13 მილიონი ჰექტარი ფართობი ითესებოდა. 1947 წ. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში განსაკუთრებული

[1] ტ. დ. ლ ი ს ე ნ კ ო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში, გვ. 53.

ყურადღებაა მიქცეული იაროვიზაციის მეთოდის გამოყენებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლისენკოს მიერ მცენარეთა სტადიურად განვითარების თეორიის დამუშავებამდე, ერთწლიან სასოფლო სამეურნეო მცენარეთა კულტურის სელექციაში მეცნიერული თეორია არ იყო.

ცნობილი არ იყო, თუ როგორ უნდა შეირჩეს მშობლიური ფორმები შეჯვარებისათვის ახალი ჰიბრიდული ჯიშების მისაღებად. ლისენკომ და მისმა მოწაფეებმა შედარებით მოკლე დროში მშობლიური ფორმების შერჩევით გამოიყვანეს საგაზაფხულო ხორბლის შესანიშნავი ჯიშები: მათგან აღსანიშნავია „1163“ და „ოდესის 13“. ბამბის კარგი ჯიში „ოდესის I“ და სხვა.

კართოფილის გადაჯიშების საწინააღმდეგოდ კავშირის სამხრეთ რაიონებში გადამჭრელი ზომები იყო მიღებული, მაგრამ ლისენკომ ვერავინ შესძლო ამ დიდი მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრა. მენდელისტ-მორგანისტები, ე. წ. „ლეტალი“, „მომკვდინებელი“ გენებით ხსნიდნენ ამ გადაჯიშებას და ვერავითარი ეფექტიური ღონისძიება ვერ წამოაყენეს მის საწინააღმდეგოდ.

აკად. ლისენკომ თავისი თეორიის საფუძველზე გახსნა კართოფილის გადაჯიშების ბიოლოგიური არსი და შემოიღო მისი ზაფხულზე თესვა, რის გამოც მოსავალი ერთი ათად დიდდება და ხარისხი უმჯობესდება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ლისენკოს მიერ დამუშავებულ თვითგამანაყოფიერებელ მცენარეებში ჯიშთა შიგა შეჯვარების მეთოდს. იგი წარმოადგენს მეთესლეობის სელექციის საფუძველს. ლისენკომ მეცნიერულად დაასაბუთა ნათესაური შეჯვარების (ინცუხტის) მეთოდის მავნებლობა ჯვარედინად გამანაყოფიერებელ მცენარეთა სელექციაში და ინბრინდიგის მეთოდი ცხოველთმოძმეობლობაში, რომელზედაც დაყრდნობილი იყო მენდელისტური გენეტიკა. ლისენკომ, დარვინიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, დაამტკიცა ჯიშთაშორისი შეჯვარების სარგებლიანობა.

მენდელისტ-მორგანისტები შეუძლებლად სთვლიდნენ საშემოდგომო ხორბლის საგაზაფხულოდ გადაქცევას იმ მოტივით, რომ ამ მცენარეთა ბუნება ჩამოყალიბებულია ძველთაგანვე, მასზე არ მოქმედებს გარემო ფაქტორები და მათი დამახასიათებელი თვისება ი მემკვიდრეობით გადმოდის უცვლელად წინაპრებიდან.

ლისენკომ და მისმა თანამოაზრეებმა შესძლეს, გარემო პირობათა

შეცვლით განვითარების პირველ სტადიაზე, შეეცვალათ მცენარეთა კონსერვატიული მემკვიდრეობითობა და გაეხადათ იგი მერყევი მემკვიდრეობითობის მქონედ, რომელთა გარდაქმნაც ადვილად შეუძლია სელექციონერებს სასურველი მიმართულებით.

საშემოდგომო ხორბლის საუკეთესო ჯიშები გადაქცეულია საგაზაფხულოდ და პირუკუ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად მოსავლიანობის გადიდებისა და შრომის რაციონალურად გამოყენების საქმეში.

ჩვენი სელექციონერების მიერ მიღებულია საშემოდგომო ხორბლის მაღალმოსავლიანი ჯიშები, რომლებიც საუკეთესო მოსავალს იძლევიან მოსკოვის, ციმბირისა და შორეული რაიონების მკაცრ კლიმატიურ პირობებში.

5 წლის წინად აკად. ლისენკომ წამოაყენა კაუჩუკოვანი მცენარეების კოკ-საგიზისა და ტაუ-საგიზის ბუდობრივად თესვის მეთოდი, რომლითაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანა გადაწყდა. ასეთი მეთოდით თესვამ მოსავლიანობის ნახტომისებური გადიდება გამოიწვია. მაგრამ ამ ფაქტს, გარდა პრაქტიკული მნიშვნელობისა, დიდი თეორიული ღირებულებაც აქვს. ამ მაგალითზე და სხვა ცდებით აკად. ლისენკომ გახსნა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა დარვინის მალთუსიანური შეცდომები არსებობისათვის ბრძოლის საკითხში.

„ჩვენი საბჭოთა მიჩურინული მიმართულების აგრობიოლოგიური მეცნიერების განვითარების შედეგად — ამბობს აკად. ლისენკო, — სხვანაირად ისმება დარვინიზმის მთელი რიგი საკითხები. დარვინიზმი არა მარტო იწმინდება ნაკლოვანებათა და შეცდომათაგან, არა მარტო უფრო მაღალ საფეხურზე ადის, არამედ მნიშვნელოვანწილადაც, მთელ რიგ თავის დებულებებში, სახეს იცვლის. იმ მეცნიერებიდან, რომელიც უმთავრესად ორგანული სამყაროს წარსულ ისტორიას ხსნიდა, დარვინიზმი ხდება შემოქმედებითი, ქმედითი საშუალება ცოცხალი ბუნების გეგმაშეწონილი, პრაქტიკის თვალსაზრისით დაუფლებისა“ [1].

ამ დარვინიზმა მრავალი წლის ოცნება სინამდვილედ აქცია. თავისი რევოლუციური მოძღვრებით აგრობიოლოგიაში ახლებურად დააყენა და გადასჭრა ევოლუციის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. პეტრეპავლოვსკის ციხეში ჩამწყვდეული ჩერნიშევსკი

[1] ტ. დ. ლ ი ს ე ნ კ ო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში, გვ. 54.

თავის რომანში „რა ვაკეთოთ“ აგვიწერს ვერა პავლოვნას სიზმარს. იგი სიზმარში ნახულობს ზღაპრული ხორბლის ყანას, სადაც თვითეულ მცენარეს რამდენიმე თავთავი ასხია, ხშირია და კარგად მოსავლიანია. ეს სიზმარი ლისენკომ და მისმა მოწაფეებმა სინამდვილედ აქციეს. მოსკოვთან ახლოს, მდინარე პახრას ნაპირზე, რამდენიმე წუთით სავალზე იმ ადგილიდან, სადაც გარდაიცვალა კაცობრიობის უდიდესი გენია ვ. ი. ლენინი, გორკაში, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის საცდელ მინდვრებზე, ხარობს დატოტილ თავთავიანი ხორბალი. ამ ხორბლის 200 გრამიდან გასულ წელს აკად. ავაჭიანმა მოიყვანა 3,5 ცენტნერი მარცვალი. ერთი ჰიქა ხორბლის მარცვლიდან — 6 ტომარი მარცვალი. ახლო მომავალში ეს ხორბალი ჰექტარზე 100 ცენტნერ მოსავალს მოგვცემს.

ძნელი ხდება ამ წერილში ჩამოითვალოს ის დამსახურება, რაც აკადემიკოსმა ლისენკომ გაუწია ჩვენს სამშობლოს თავისი გაბედული თეორიებითა და პრაქტიკული შედეგებით. მრავალფეროვანია მისი მეცნიერული მუშაობის ასპარეზი და მრავალმხრივია მისი შრომა. მაგრამ ყველა ისინი მიმართულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

დიდი სამამულო ომის წლებში, როდესაც ჩვენს სამშობლოს მეტი რაოდენობით ესაჭიროებოდა ნედლი მასალა, ხორბალი, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, მენდელისტ-მორგანისტები თავს ართობდნენ უსარგებლო „მეცნიერული გამოკვლევებით“. მორგანისტების თვალსაჩინო წარმომადგენელი ნ. პ. დუბინინი ომის დროს იკვლევდა თუ რა გავლენა მოახდინა ომმა ქ. ვორონეჟის ხილის პუზების ქრომოსომებზე და აღდგენითი პერიოდისათვის მიზნად ისახავდა ამავე საკითხის გამორკვევას.

აკად. ტ. დ. ლისენკომ 1941 წელში თავისი აკადემია ციმბირში გადაიტანა და მთელი რიგი მეცნიერული პრობლემები გადაჭრა, რითაც ციმბირი პურის მოსავლიან ქვეყნად აქცია. ამავე პერიოდში მან მოგვცა შესანიშნავი ღონისძიება: კართოფილის წვეროების სათესლე მასალად გამოყენების შესახებ, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი კართოფილის მოსავლიანობის გადიდებას.

ი. ვ. მიჩურინი ქმნიდა მცენარეული ფორმების ახალ, ბუნებაში არნახულ მემკვიდრეობას. იგი აჯვარებდა სხვადასხვა ბუნების მცენარეებს და მათგან ახალი თაობა გამოჰყავდა. მიჩურინამდე ასეთი

შეჯვარებანი შეუძლებლად მიაჩნდათ. შოთხვი და ალუბალი, ვაშლი და მსხალი, ნესვი და კვახი ერთდებოდნენ მის ხელში და ნაყოფებს იძლეოდნენ. იგი სამუდამოდ აკავშირებდა ამტანიანობასა და სინაზეს, ველურობასა და კულტურულობას. მთელი თავისი სიცოცხლე ამ მეცნიერმა ბუნებასთან მეგობრობაში გაატარა.

ეყრდნობოდა რა თავისი ღირსეული წინამორბედის — მიჩურინის რევოლუციურ ნაბიჯებს ორგანიზმთა მემკვიდრეობისა და ცვალებადობის მართვაში, აკად. ლისენკომ დაამუშავა მოძღვრება მემკვიდრეობის გეგმაშეწონილი მართვის შესახებ. თავის შრომაში „მემკვიდრეობისა და მისი ცვალებადობის შესახებ“ აკად. ლისენკო აზიდრებს კ. ა. ტიმირიაზევისა და ი. ვ. მიჩურინის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

მთელ თავის მუშაობაში, როცა იგი აყალიბებდა იაროვიზაციის კანონზომიერებებს, ადგენდა კართოფილის განვითარების ნორმალურ პირობებს, სტენდა ბამბის მცენარის წვეროებს ქულების უკეთ განსავითარებლად, საშემოდგომო მცენარეს გარდაქმნიდა საგაზაფხულოდ თუ ზრდიდა კოკ-საგზის ფეხვებს, ყველა ამ შემთხვევაში იგი ერთ დიდ ამოცანას სჭრიდა — ცოცხალ სხეულთა ევოლუციური განვითარების და მისი მართვის გზებს ადგენდა.

გლეხის ოჯახში აღზრდილი ტ. დ. ლისენკო, ღებულობს რა სწავლა-განათლებას საბჭოთა ხელისუფლების დროს, ჯერ კიდევ 1923 წელში აქვეყნებს პირველ მეცნიერულ ნაშრომს, ხოლო 25 წლის შემდეგ — 1948 წლის აგვისტოში, ჩვენი ქვეყნის მილიონიანი მშრომელები ნაციონალური სიამაყით კითხულობდნენ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებულ მოხსენებას, წაკითხულს ვ. ი. ლენინის სახ. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე. ეს იყო მოხსენება მიჩურინული მიმდინარეობის ღირსეული წარმომადგენლისა, რომელმაც წმინდად დაიცვა და განავითარა თავის წინამორბედთა მოცემული, ცოცხალ ორგანიზმთა გარდაქმნის მატერიალისტური მოძღვრება.

განვლილი, 25 წლის მეცნიერული მუშაობის პერიოდში, ლისენკოს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ასეული ნაშრომი. თემატიკა ამ შრომებისა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მათი საგრძნობი ნაწილი მიძღვნილია მცენარეთა სტადიური განვითარების თეორიაზე. ამ საკითხზე ლისენკოს მუშაობას თვალყურს ადევნებდა თვით ი. ვ. მიჩურინი და მიუთითებდა, რომ ამ თეორიის დამუშა-

ვებით ლისენკო დიდ ღვაწლს შეიტანდა აგრობიოლოგიურ მეცნიერებაში. სტადიური განვითარების თეორიის საფუძველზე ლისენკომ დაამუშავა სელექციისა და მეთესლეობის ახალი თეორიული საკითხები.

ბიოლოგია ირკვევს ცოცხალი ბუნების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს, აგრონომიული ბიოლოგია კი — სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა კანონზომიერი განვითარების მართვას. იგი აიარაღებს მიწათმოქმედებას რევოლუციური თეორიებით ახალ ფორმათა გამოყვანის საქმეში. აგრონომიული ბიოლოგია—აგრონომიულ მეცნიერებათა თეორიული საფუძველი — აკადემიკოს ლისენკოს მოძღვრებით ახალი, ბუნების გარდამქმნელი თეორიებით ივსება და მტკიცდება.

მიჩურინის, დოკუჩაევის, ვილიამსის მოძღვრება თანამედროვე აგრობიოლოგიის საფუძველია. ლისენკოს მოძღვრება მათი ტრადიციების შესანიშნავი გაგრძელებაა.

ვ. რ. ვილიამსი ყურადღებით ეპყრობოდა ახალგაზრდა ნოვატორის ლისენკოს მუშაობას. მიუთითებდა მის ტალანტზე და მისი შრომების პროგრესიულობაზე. ჩემთვის სრულიად ცხადია, — წერდა ვილიამსი, — რომ ტროფიმე დენისის-ძე ლისენკოს მოძღვრება გაიმარჯვებს, რადგან იგი სწორია, ისტორიული და ევოლუციურია. სულით და გულით ვუსურვებ მას მიღწევებს.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის მილიონიანი მშრომელები: მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ლისენკოს თეორიის გამარჯვების მოწმენი არიან. „აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო — ეს ჩვენი დროის მიჩურინია“ — აღნიშნულია ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ გადაწყვეტილებაში. დაახლოებით 15 წლის წინათ ტ. დ. ლისენკო წერდა, რომ აგრობიოლოგიურ მეცნიერებათა ყველა დარგის: სელექციის, გენეტიკის, ფიზიოლოგიის, აგროტექნიკის და სხვათა წინაშე დგას ამოცანა: გადასინჯულ იქნას კრიტიკულად ყველა მეცნიერული მონაცემები განვითარების თეორიის საფუძველზე.

ამ გადასინჯვის პროცესში იგი მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა. მათ შორის იყვნენ ე. წ. „ორტოდოქსალური დარვინისტები“. ლისენკომ გვიჩვენა, რომ ასეთი დარვინისტები გადაიქცნენ წმინდა წყლის ფორმალისტებად. მათ ვერ გაიგეს, რომ დარვინიზმმა ჩვენში მეორე სამშობლო იმიტომ კი არ მოიპოვა, რომ უმოქმედოდ ეწყოს მისი თეორიები თაროებზე, არამედ ამხსნელი

მეცნიერებიდან იგი ჩვენში იქცევა ბუნების გარდამქმნელ მეცნიერებად.

აკად. ტ. დ. ლისენკოს მოძღვრების სრული გამარჯვება არის ერთ-ერთი გამარჯვება იმ მრავალ გამარჯვებათა შორის, რომელიც მოიპოვა კომუნისტურმა პარტიამ — მარქსის, ენგელსის, ლენინ-სტალინის უძლეველმა მოძღვრებამ, მათ მიერ შექმნილმა დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიამ.

მხოლოდ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების საფუძველზე, — წერდა ი. ვ. მიჩურინი — შეიძლება მეცნიერების მთლიანი რეკონსტრუქცია. ობიექტიური სამყარო — ბუნება არის პრიმატი, ადამიანი ამ ბუნების ნაწილია. მაგრამ მან არ უნდა შეიცნოს ეს ბუნება მხოლოდ გარეგნულად, როგორც ამბობდა კარლ მარქსი, მას შეუძლია შეცვალოს იგი. დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფია წარმოადგენს ამ ობიექტიური სამყაროს შეცვლის იარაღს, იგი გვასწავლის ამ ბუნებაზე აქტიურ ზემოქმედებას და მის შეცვლას.

სწორედ იმიტომ არის მიჩურინული ბიოლოგია ყველაზე მოწინავე და პროგრესული მეცნიერება ბუნებისმეტყველებაში, რომ მის დროშას წარმოადგენს ხალხის საკეთილდღეოდ ბუნების რევოლუციური გადაკეთება, რომ მის იდეურ საფუძველს დიალექტიკური მატერიალიზმის ყოვლისშემძლე თეორია წარმოადგენს. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთებზე გამარჯვება ჩვენში წარმოადგენს საერთაშორისო ბურჟუაზიაზე გამარჯვებას, რადგანაც ტ. დ. ლისენკოს ხელმძღვანელობით წარმოებული ბრძოლა მიჩურინელებსა და ვეისმან-მორგანისტების შორის არის იდეოლოგიური ბრძოლის ერთერთი ფორმა.

მიჩურინულ ბიოლოგიურ მეცნიერებას ზრდიდა და ავითარებდა ბოლშევიკური პარტია, მან გახადა იგი საბჭოთა ხალხის საკუთრებად. მიჩურინი აღმოაჩინა ხალხისათვის დიდმა ლენინმა. მიჩურინის მოძღვრება გაიფურჩქნა დიდი სტალინის მზრუნველობით. მიჩურინის მუშაობამ 1922 წელს დააინტერესა თვით ვლადიმერ ილიას-ძე. მან სპეციალური დეპეშით მოითხოვა მოეხსენებინათ მისთვის ივანე ვლადამერის-ძის ექსპერიმენტული მუშაობის შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა მიჩურინის შემოქმედების განვითარებისათვის. მიჩურინის ბაღში ორჯერ ჩავიდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავ-რე მ. ი. კალინინი. 1923 წ. სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამო-

ფენაზე საუკეთესო ექსპონატების წარმოდგენისათვის მიჩურინს უმაღლესი ჯილდო მიეცა.

1925 წ. მეცნიერული მუშაობის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიჩურინი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო შემდეგ კი ლენინის ორდენით.

1932 წელს ქ. კოზლოვს მიჩურინსკი ეწოდა და მთავრობის დადგენილებით აქ შეიქმნა გენეტიკის ცენტრალური ლაბორატორია, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, ტექნიკუმები, ბაღი — საბჭოთა მეურნეობები და სხვა დაწესებულებანი. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით მიჩურინს მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი არჩეულ იქნა მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

1934 წ. მთელი ჩვენი ქვეყანა მიჩურინს 60 წლის მეცნიერული მუშაობისა და დაბადებიდან 80 წლისთავის იუბილეს უხდიდა. ამ დღეს მიჩურინმა მიიღო უმაღლესი ჯილდო — სტალინის მიერ გამოგზავნილი დეპეშა. ეს იყო მილოცვა არა მარტო მიჩურინისათვის, არამედ მთელი საბჭოთა მოწინავე მეცნიერებისათვის, იგი გამოხატავდა ჩვენი პარტიის დამოკიდებულებას მიჩურინული მოძღვრებისადმი.

შემდგომ პერიოდში პარტია და ხელისუფლება ყოველგვარ პირობებს ქმნიდნენ ამ მოძღვრების წინსვლისათვის. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების საუკეთესო პირობებია შექმნილი. ამაზე მიუთითებენ ის ფაქტები, რომ ჩვენ გვაქვს 112 სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 425 საცდელი სადგური, 80 საცდელი მინდორი და 280 საყრდენი პუნქტი. 2.600-ზე მეტი მეცნიერების დოქტორი და კანდიდატი მუშაობს სოფლის მეურნეობის სპეციალურ საკითხებზე. სამეცნიერო მუშაობისათვის 600 მილიონი მანეთია ბიუჯეტით გადადებული, ე. ი. 250-ჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში.

პარტია და ხელისუფლება დიდად აფასებენ მეცნიერების ახალ ნოვატორებს და პრაქტიკოსებს. სოფლის მეურნეობის დარგში დიდი მიღწევებისათვის 37-ზე მეტ მეცნიერს მინიჭებული აქვს სტალინური პრემია, ხოლო ათასობით სოფლის მეურნეობის ოსტატს უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

დიდმა სტალინმა საბჭოთა მეცნიერების წინაშე უდიდესი ამოცანა დასახა, რომ არა მარტო დავეწიოთ, არამედ უახლოეს დროში კიდე-

ვაც გავუსწროთ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა მეცნიერები წარმატებით სწყვეტენ ამ ამოცანას. ეს განსაკუთრებით ჩანს ვ. ი. ლენინის სახ. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის აგვისტოს სესიის მაგალითზე. აკად. ლისენკოს მოხსენებამ „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“ და ამ მოხსენების განხილვამ სესიაზე ცხადჰყვეს, რომ საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერება ყველაზე მოწინავე მეცნიერებაა მსოფლიოში.

აკად. ტ. დ. ლისენკოს მოხსენებამ და სესიისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზ დიუმის დადგენილებებმა უდიდესი როლი შეასრულეს მიჩურინული ბიოლოგიის შემდგომი განვითარებისა და მენდელიზმ-მორგანიზმის იდეალისტური იდეების განადგურების საქმეში. „რევოლუციური მიჩურინული მოძღვრების გამარჯვებას ვეისმან-მორგანიზმის რეაქციულ მოძღვრებაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსის-ლენინური მსოფლმხედველობის საბუნებისმეტყველო საფუძვლების განმტკიცებაში, მოწინავე საბჭოთა ადამიანის იდეოლოგიურ აღზრდაში, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკაში“ [1].

აკად. ტ. დ. ლისენკოს მოხსენება აგვისტოს სესიაზე ნათლად ასახავს დიალექტიკურ მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის ბრძოლას თანამედროვე ბიოლოგიაში. ამ სესიამ გვიჩვენა, რომ მიჩურინული ბიოლოგია ჩვენს ქვეყანაში სამართლიანად ამაყობს თავისი მიღწევებით.

აგვისტოს სესიაზე აკად. ლისენკოს მოხსენების ირგვლივ გამოსულ სიტყვებში ჩვენი ქვეყნის მოწინავე მიჩურინელები სესიის მონაწილეებს მოუთხრობდნენ ცალკეული დარგების მიღწევებზე.

აკად. ი. გ. ეიხფელდი ლაპარაკობდა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის მოპოებულ მიღწევებზე. დიდი სამამულო ომის წლებში და მის შემდგომ პერიოდში ინსტიტუტის მიერ მიჩურინული მეთოდების დანერგვით გამოყვანილია 170 ახალი ჯიშის მცენარე, ხოლო 1949 წელში ეს რიცხვი აყვანილი იქნება 200-მდე. ომის პერიოდში ინსტიტუტმა ბევრი რამ გააკეთა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში უკიდურეს ჩრდილოეთსა და უდაბნოებში.

ს. ი. ისაევი მიუთითებდა თავის გამოსვლაში, რომ მენდელისტ-მორგანისტების მიერ უარყოფილი ვეგეტაციური ჰიბრიდები ფარ-

[1] პრავდის მოწინავე, 27. VIII. კომუნისტი, 1948, 28. VIII.

დღემდე საქართველოში ტალახით მკურნალობის ადგილად მხოლოდ ახტალა ითვლება. ამ მხრივ მოთხოვნილება კი დღითი-დღე იზრდება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ეძლევა ტალახის ყოველი ახალი ადგილის გამოყენებას. ინტერესმოკლებული არ იქნება შესწავლა ძიმითის სამკურნალო ტალახისა. მით უმეტეს, რომ, როგორც სამკურნალო საშუალებას, მას, ნასაკირალის მინერალურ წყლებთან ერთად, ავადმყოფები კარგა ხანია იყენებენ.

ძიმითის ტალახი მდებარეობს მახარაძის რაიონში, სოფელ ძიმითის აღმოსავლეთ საზღვარზე, სამთო ქედის ძირში, ზღვის დო-

ნედან 100 მეტრის სიმაღლეზე. იგი დაცილებულია ქალაქ მახარაძიდან 15 კილომეტრით (13 კილომეტრი გზატკეცილია, ხოლო 2 კილომეტრი საურმე გზა).

ტალახი რამდენიმე ადგილზე ამოდის. თითოეული გამოსავალის ფართობი საშუალოდ 3-4 კვადრატულ მეტრს უდრის. საერთოდ გამოსავლების სიგრძე 60 მეტრია, სიგანე — 50 მეტრი. თუ სიღრმეს 10 მეტრს ვივარაუდებთ (რაც რელიეფის მიხედვითაც დასტურდება), მაშინ ტალახის საორიენტაციო მარაგი იქნება 30.000 კუბომეტრი.

ამ ტბებში შემჩნეულია შემდეგი: წყალს, ზედაპირზე ამოსვლის დროს, თან ამოაქვს შლამი, რომელიც ტალახის სახით ილექება.

სოფელ ძიმითის კლიმატი ისეთივეა, როგორიც სოფელ ნასაკირალისა. სუფთა, გრილი ჰავა, ჰაერის თანაბარი ტემპერატურა, რომელიც წლის სხვადასხვა დროში და დღე-ღამის განმავლობაში მკვეთრ ქანაობას არ განიცდის.

ძიმითის სამკურნალო ტალახის გამოყენებას მხოლოდ 15 წლის ისტორია აქვს. ამ ტალახს შემთხვევით წააწყდა იმ სოფელში მცხოვრები გლეხი. ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს ძიმითელი კოლმეურნე გიორგი სიხარულიძე: რამდენიმე წლის წინათ ტალახში ჩაეფლო ხარი. მის პატრონს, რომელიც რევმატიზმით იყო დაავადებული, ხარის ამოყვანის დროს საკმაოდ დიდ ხანს ტალახში მოუხდა გაჩერება. მან უნებლიედ ტალახის აბაზანა მიიღო, რის შემდეგაც ნაკლებ ტკივილებს გრძნობდა ამის შემდეგ ის სისტემატურად ღებულობდა ტალახის აბაზანებს და განიკურნა. ამ დღიდან თანდათან გავრცელდა ხმა ძიმითის ტალახის სამკურნალო ეფექტიანობის შესახებ და ხალხმაც დაიწყო მით სარგებლობა.

ძიმითის ტალახის მიმართ ჩემი ყურადღება ორი გარემოებით აიხსნება. პირველი, საქართველოში, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, სამკურნალოდ ცნობილია მხოლოდ ახტალის ტალახი. იგი მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს, თანაც საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი არაა. დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის უფრო მოსახერხებელია ძიმითის ტალახით სარგებლობა: მეორე, ძიმითის ტალახით ავადმყოფები სარგებლობენ ნასაკირალის მინერალურ წყლებთან ერთად. ნასაკირალის მინერალური წყლები კი ჩემ მიერ შესწავლილი იყო ჯერ კიდევ 1937-41 წლებში (4). ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მივიჩნიე ძიმითის ტალახის ფიზიკა-ქიმიური თვისების შესწავლაც (2).

ძიმითის ტალახის ქიმიური ანალიზი (ჩატარებული 1941 წელს):

100 გრ. ტალახში.

დანაკარგი 110°-ზე	47,11%
SiO_2	25.61%
Fe_2O_3	5,02%
Al_2O_3	7,93%
TiO_2	0,36%
MnO_2	0.54%
CaO	2.85%
MgO	1.74%
Na_2O	0,66%
K_2O	3.29%
Cl	0,05%
SO_4	4,34%
სულ	99.5 %

1948 წელში ჩატარებული ანალიზი 100 გრ. ტალახზე

წყალში გახსნილი ნივთიერება	7.5154 გრ.
„ გაუხსნელი „	48.2160 გრ.
წყალი	44,2686 გრ.
სულ	100 გრ.

წყალში გახსნილი ნივთიერება 100 გრ. ტალახიდან

$NaHCO_3$	0.0825
$NaCl$	0.0895
Na_2SO_4	1.2795
K_2SO_4	4.9850
$CaSO_4$	0.5780
MgO_4	0.0550
SiO_2	0.0007
ნახშირმჟავა ამონიუმისა და ამონოვანი ფუძეების შენაერთები	0,3945
ჰუმუსური ნივთიერებები და მჟავეები	0.0076
ხსნადი და ჟანგვადი ორგანული ნივთიერებანი	0.0417
Al_2O_3	კვალი

HPO_4''	კვალი
ცხიმოვანი მჟავეები	კვალი
სულ	7.5140

გაუხსნელი ნივთიერება 100 გრ. ტალახიდან

CaO	2.738
MgO	1.701
Al_2O_3	7.703
Fe_2O_3	4.989
SiO_2	25.008
P_2O_5	0.011
TiO_2	0.315
MnO_2	0.505
S	0.191
CO_2	4.755
სულ . . .	47.916 გრ.

$P_H = 8.17$.

ტალახი მუქი რუხი ფერისაა, ჰაერზე დაყოვნების შემდეგ მოწითალო ფერს ღებულობს, რაც რკინის დაჟანგვას უნდა მიეწეროს; მლაშე მომწარო გემო აქვს, იგრძნობა გოგირდწყალბადის სუნი.

კონსისტენცია მალამოსებური. რაც მის კოლოიდურ მდგომარეობას წარმოადგენს. კოლოიდებს კი ტალახში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ავსებენ სიერცეს კრისტალური ჩონჩხის ნაწილაკებს შორის, ასეთი ტალახი ნახად ეკერის სხეულს. ხვედრითი წონა დაახლოებით 1.3-ია. ტალახს ტუტე რეაქცია აქვს. იგი გამოწვეულია ორგანული ნივთიერებების ხრწნით. რის შედეგად წარმოიშვება ამონიაკი, ამონიაკიანი ფუძეები და სხვა ტუტე რეაქციის მქონე ნივთიერებები.

ძიმითის სამკურნალო ტალახის ფიზიკა-ქიმიური თვისებები და მისი აღდგენადობა გვაფიქრებიებს, რომ ის ეკუთვნის ტბური წარმოშობის ლამის ტალახთა ჯგუფს.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ძიმითის ტალახი ჰაერზე ფერს იცვლის (იჟანგება) და საერთოდ კარგავს ზოგიერთ სამკურნალო თვისებას თუ მას შეეინახავთ მინერალურ წყალში ან მაგარი კონცენტრაციის მარილწყალში ისე, რომ ტალახი იფარებოდეს წყლის ფენით, ის შეინარჩუნებს თავის თვისებებს.

ამ ტალახით მკურნალობა ნასაკირალის მინერალურ წყლებთან ერთად მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა. საჭიროა სათანადო პირობების შექმნა მისი გაფართოებისათვის. სამკურნალო ტალახის შედარებით მცირე მარაგის გამო გათვალისწინებული უნდა იქნეს ნახმარი ტალახის რეგენერაცია.

Л. П. ДАРЧИЯ

К ИЗУЧЕНИЮ ДЗИМИТСКОЙ ЛЕЧЕБНОЙ ГРЯЗИ

Резюме

Дзимитская лечебная грязь (Махарадзевский район) находится в 7 километрах от ранее изученных нами насакиральских минеральных источников. Она применяется больными при пользовании насакиральскими источниками, поэтому интересно было изучить ее физико-химические свойства. Результаты анализов приводятся в представляемой статье. В Грузинской ССР лечебные грязи малочисленны. С лечебной целью пока применяется только ахтальская грязь в Кахетии (Гурджаанский район). Изученную нами Дзимитскую грязь можно еще шире применять для лечения вместе с насакиральскими источниками.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ჯავახიშვილი, კურორტოლოგია, თბილისი, 1945.
2. Анализ минерального сырья, под редакцией Б. Г. Карпова, Ю. Н. Книпович и Ю. В. Морачевского, Ленинград, 1936.
3. ე. ჯავახიშვილი, ახტალა, თბილისი, 1939.
4. ლ. დარჩია, ნასაკირალის მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1941.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

იოსებ სალინაძე

ქუთაისის რაიონის მარმარილოების მინერალოგიურ-პეტროგრაფიული დახასიათება

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს. მარმარილოს საბადოების სიმრავლით, მარაგითა და მრავალსახეობათა სიმდიდრით, საბჭოთა კავშირში საპატიო ადგილი უჭირავს. საქართველოს საბადოთა შორის კი ქუთაისის რაიონის მარმარილოები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აქ მარმარილოს საბადოები ადრევე იყო ცნობილი და მას იყენებდნენ არა მარტო ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ იგი ქუთაისიდან იგზავნებოდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა ქალაქში.

რაიონში ამჟამად ცნობილი მარმარილოს საბადოებიდან მნიშვნელოვანია ბანოჯის, ხომულის, მელაურის, გელათისა და გოდოგნის საბადოები (გოდოგნის საბადოს დახასიათება ცალკე გვაქვს განზრახული, რის გამო მას აქ არ შევეხებით).

აღნიშნულ საბადოთა შესახებ მოკლე ცნობებს გვაწვდიან: ბ. პ. ბელიკოვი (2, 3), ს. აკენტიევი (1) და ი. კომპანიონი (7). ეს ლიტერატურული მასალები უმეტეს შემთხვევაში არ გვაძლევენ სრულ სურათს მოხსენებულ საბადოთა შესახებ. განსაკუთრებით ჩამორჩება მარმარილოების მინერალოგიურ-პეტროგრაფიული შესწავლილობა. მართალია შ. ნაცვლიშვილი და კ. შგულავა, ფ. ტ. ფარცვანია და ნ. ჩოლოყაშვილი გეოლოგიურ დახასიათებასთან ერთად იძლევიან ბანოჯის მარმარილოს სამი ნიმუშის მიკროსკოპულ აღწერას, და ი. კომპანიონი ერთი ნიმუშის აღწერას მელაურის საბადოდან, მაგრამ, ცხადია, ეს სრულიად არ არის საკმარისი მარმარილოთა მინერალოგიურ-

პეტროგრაფიული დახასიათებისათვის. ჩვენ შეგვიძლია ამ საბადოთა მარმარილოების პეტროგრაფიული ბუნების სრულ შეუსწავლელობაზე ვილაპარაკოთ, მით უფრო, რომ ისინი წარმოდგენილი არიან მარმარილოს სხვადასხვა სახეობით.

წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს ამ მხრივ არსებული ხარვეზის შევსების ცდას. შრომაში მასალა იმგვარადაა დალაგებული, რომ მისი გამოყენება ადვილი იყოს ამ საბადოების პრაქტიკულად გამოყენების საქმეში დაინტერესებულ პირთათვის.


ქუთაისის რაიონის ზოგად გეოლოგიურ აგებულებას აქ არ ვეხებით, რადგან მკითხველს შეუძლია აკად. ა. ჯანელიძის შრომაში (5) მიიღოს ამ საკითხზე ამომწურავი ცნობები. ცალკე საბადოთა გეოლოგიური პირობების დახასიათება სათანადო თავებშია მოცემული.

დიდი მადლობით მინდა მოვიხსენიო პროფ. გ. ძოწენიძე და დოც. ნ. სხირტლაძე იმ რჩევა-დახმარებისათვის, რაც მათ გამიწიეს წინამდებარე თემის დამუშავების დროს.

ბანოჯის მარმარილოს საბადო

საბადო მდებარეობს ქ. ქუთაისის დასავლეთით 7 კმ მანძილზე, მთა სათაფლიას სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე სოფ. ბანოჯასთან. აქ, ისე როგორც რაიონის სხვა საბადოებში, გამარმარილოებულია ურგონული ფაციესის კირქვიანი დოლომიტები ტექტონიტური მაგმის შემოჭრით გამოწვეული კონტაქტური მეტამორფიზმის შედეგად. ტექტონიტები საბადოში და მის მახლობელ უბნებში გვხვდება შრეებრივი და გამკვეთი ძარღვების სახით, რომლებიც ხშირად შიშველდება ბანოჯიდან მთა სათაფლიას მწვერვალამდე, ე. ი. თითქმის 1,5 კმ მანძილზე. მათი სიმძლავრე ცვალებადია და მერყეობს რამდენიმე სანტიმეტრიდან 2 მეტრამდე. ძარღვის კონტაქტი გამარმარილოებულ კირქვებთან კარგად ჩანს სათაფლიას მაღლობზე, მარმარილოს კარიერში. კონტაქტის გავლენა სხვადასხვა უბანში სხვადასხვანაირია. საერთოდ გამარმარილოების პროცესი შედარებით სუსტია. კარიერებში ხშირია წვრილმარცვლოვანი ტექტონიტის აპოფიზები.

გარეგნული შეხედულებით ტექტონიტები მომწვანო, მორუხო ფერისაა, საშუალო მარცვლოვანი, ძლიერ გამოფიტული. ბ. ბელიკოვის (2) მონაცემების მიხედვით მიკროსკოპის ქვეშ საღი ნიმუში



სურ. 1. ბანოჯის მარმარილოს საბადოს სქემატური ჩანახაზი.

ოფიტური სტრუქტურისაა, მინდვრის შპატები წარმოდგენილია როგორც კალიუმის, ისე კალციუმ-ნატრიუმის რიგებით, უკანასკნელი № 66 ლაბრადორს შეესაბამება (ჩაქრობის კუთხე pm 36°), ზოგ ადგილებში გაცეოლიტებულია. კალიშპატის ოპტიკურ ღერძთა კუთხე მერყეობს მცირე ზომიდან 46°-დე, რითაც კალიუმის მინდვრის შპატი განისაზღვრება როგორც სინიდინი ანორთოკლაზამდე. პიროქსენი სალია, წარმოდგენილია ტიტანავგიტით, ზოგჯერ ქლორიტიზირებულია (C Ng = 44°, 2 W = +48° — 49°). ტიტანავგიტის ზოგიერთი კრისტალი ზონალურია.

მარმარილოს წოლის ფორმა შრეებრივია; ცალკეული შრის საშუალო სიმძლავრე 0,3-1,2 მ უდრის. შრეთა დაქანების აზიმუტი ცვალებადია NW 280°-300°; ∠ 15-20°. წოლის ელემენტების ცვალებადობა გამოწვეულია საბადოში განედი მიმართულების ნასხლეტის არსებობით. მარმარილოს ფენები ზედაპირზე გამოდის ბუნებრივ გაშიშვლებებსა და კარიერებში. ფენათა საერთო სიმძლავრე 4-6 მ აღწევს. ქანი ვრცელდება 2,5 კმ² ფართობზე. საბადოს სახურავი წარმოდგენილია მცირედ გადაკრისტალებული კირქვებით, რომელიც ზევით გადადის ფხვიერ მერგელოვან კირქვებში. უკანასკნელი ძლიერ გამოფიტულია, ადვილად ფხვიერდება და ყვითელი ფერის არის. მასზე განლაგებულია 0,5 მ სისქის ნიადაგის საფარი. გამოფიტული ზონის სიმძლავრე ზოგ ადგილზე 4 მ აღწევს. ამ უბ-

ნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მთა სათაფლიასკენ, მარმარილოს ფენები ზედაპირზე ამოდის, ხოლო დასავლეთით თანდათანობით სიღრმეში იძირება, რის გამო საბადოს დასავლეთი ნაწილი პრაქტიკულ ინტერესს მოკლებულია.

საბადოზე გახსნილია რამდენიმე კარიერი, რომელნიც განლაგებული არიან თითქმის ერთ ხაზზე — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანია № 3 კარიერი (ე. წ. საექსპლოატაციო კარიერი), რომლის საერთო სიმძლავრე 20-25 მ უდრის, სიგრძე 100 მ აღწევს. კარიერის დასაწყისში (დასავლეთით) გაშიშვლებულია ძლიერ გამოფიტული ტეშენიტური სხეული. უკანასკნელის კონტაქტი კირქვებთან მკაფიოდ არის გამოხატული. შეხების ზოლში შესამჩნევია ბრექჩიული ხასიათის მასალა, ლიმონიტის კონკრეციებით. აქვე აშკარად მჟღავნდება სხლეტვის ზედაპირი, რომლის დაქანება N W 330°; ∠ 35-40°. კონტაქტის ხაზის შემდეგ იწყება მარმარილოს ფენები, რომელთა სიმძლავრე ზენაჩენზე დასაწყისში 1.5 მ-ა, ხოლო აღმოსავლეთისაკენ შრეები თანდათანობით სქელდებიან და აღწევს 5-6 მ საერთო სიმძლავრეს. კარიერის ბოლოს (აღმოსავლეთით) მარმარილოს ფენები თითქმის ზედაპირზე ამოდის. ამ უბანში გაშიშვლებულია საღი, რუხი ან მოვარდისფრო ლაქებიანი მარმარილოს შრეები.

მაკროსკოპულად კონტაქტური გავლენა გამოხატულია კირქვების გადაკრისტალებით, მათი მარცვლოვანებით და მომწვანო მოყვითლო შეფერვით. ამ ადგილზე მარმარილო წვრილმარცვლოვანია და მკვრივი, იშვიათად შეიცავს ბზარებს, რომელნიც კალციტური მასით არის ამოვსილი. ჭარბობს რუხი და თეთრი ფერის მარმარილო. უკანასკნელს თავზე ადევს ნაცრისფერი და ოდნავ მოყვითლო, მცირედ გადაკრისტალებული პოროვანი და პირიტიანი კირქვის შრეები, რომელთა საერთო სიმძლავრე ზოგჯერ 5 მ აღწევს, მასზე კი განლაგებულია ყვითელი ფერის, გამოფიტული კარბონატული ქანი.

კარიერში წარმოდგენილი მარმარილოს შრეები, ისე როგორც შემცველი კირქვებიც, დაქსელილია ნაპრალთა ორი სისტემით, რომელთაგან ერთი შრეებრიობის პარალელურია. ნაპრალები დაშორებული არიან ერთიმეორეს 0,5-2,0 მანძილზე. მეორე სისტემის ნაპრალები შრეებრიობის თითქმის მართობულია და დაცილებულია ერთიმეორეს 1,3-2,2 მ მანძილით. ეს კანონზომიერი ბზარები

ხშირად ქმნიან პარალელოპიპედური ფორმის სხეულებს (სურ. 2), რაც საგრძნობლად აადვილებს მოზრდილი ბლოკების (0.5-1,5 მ³) ამოღებას.



სურ. 2. ბანოჯის მარმარილოს სამუშაო კარიერის ცენტრალური ნაწილი.

ფ. ტ. ფარცვანიასა და ნ. ჩოლოყაშვილის მიხედვით ბანოჯის მარმარილო მიკროსკოპის ქვეშ არათანაბარმარცვლოვანი სტრუქტურისაა. მარცვლების სიდიდე მერყეობს 0,02-0,09 მმ, უფრო ხშირად 0.09-0.08 მმ. მინარევების სახით შეიცავს კვარცის მცირე რაოდენობის მარცვლებს და მადნეული მინერალების უმნიშვნელო რაოდენობას; კონტაქტის ზოლიდან აღებულ ნიმუშში ნაპოვნია ბრუსიტის ჩანართები.

მოშავო ფერის მარმარილო შედგება გამჭვირვალე და ზოგჯერ კი მღვრია კალციტისაგან; სტრუქტურა არათანაბარმარცვლოვანი აქვს. მარცვლების ზომა — 0,014×0,14—0,28×0,28 მმ. მსხვილი მარცვლების — 0,07×0,084 — 1,112×0,166 მმ.

საბადოში გვხვდება სხვადასხვა ფერის მარმარილო; მათ შორის გამოირჩევა: თეთრი, რუხი, შავი და ნაცრისფერი მარმარილო მოვარდისფრო ლაქებით.

ჩვენ მიერ აღებული იყო ნიმუშები ყველა სახესხვაობიდან. რომელთა დახასიათება მოგვყავს ქვემოთ.

თეთრი ფერის მარმარილო. მაკროსკოპულად თეთრი, ოდნავ მორუხო, მცირედ გადაკრისტალებული, ერთგვაროვანი აგებულების წვრილმარცვლოვანი ქანია. ნიმუშის ზოგ უბანში შესამჩნევია მოვარდისფრო ლაქები. მიკროსკოპში თეთრი, მაგრამ ზოგ უბანში ოდნავ რუხი ფერის წვრილკრისტალური კარბონატული მასა შეიცავს პელიტური და ორგანული ნივთიერების რამდენიმე ლაქას (ნიმ. 17). პელიტური ნივთიერება წვრილ-კრისტალურ კარბონატის ცემენტის როლსაც ასრულებს, მაგრამ ამ უკანასკნელის რაოდენობა მარცვლების ერთმანეთთან მჭიდროდ შეხების გამო უმნიშვნელოა. ქანი მადნეული მინერალების წერტილისებურ ჩანაწინწკლებს შეიცავს, რომელთა დიდი ნაწილი ლიმონიტში გადასულა. ჩანს, რომ ლიმონიტის მომცემი ყოფილა პირიტი. კლასტური მასალა და ორგანიზმების ნაშთები არსად ჩანს. შლიფის ზოგ უბანში გამოიყოფა სუფთა კალციტისაგან შემდგარი უსწორმასმასწორო ძარღვებრივი ზოლები. ზოგ ადგილას მეტისმეტად მცირე ზომის ნაპრალებიც ჩანს.

23-მე ნიმუში მაკროსკოპულად თეთრია, საგრძნობლად გამოფიტული და წვრილმარცვლოვანი; ზოგ უბანში შესამჩნევია ბზარების კვალი. მიკროსკოპში კარბონატის კრისტალურ-ქერცლოვანი მასა საკმაო რაოდენობით შეიცავს მორუხო ფერის პელიტურ ნივთიერებას. უკანასკნელი ავსებს კრისტალთა შორის არსებულ ნაპრალებს და პორებს. ზოგ ადგილზე კი იძლევა ლაქებრივ მასებს. კარბონატის კრისტალები და ფირფიტები ერთმანეთს მჭიდროდ ეკვრიან, შეიცავენ ლიმონიტის წერტილებრივ ჩანაწინწკლებს და ზოგჯერ ორგანულ ნივთიერებას. კლასტური მასალა, ორგანიზმთა ნაშთები და ძარღვის კალციტი არ ჩანს.

ნიმუშები 25, 32. მაკროსკოპულად თეთრი, ოდნავ მორუხო, წვრილმარცვლოვანი, მაგრამ ზოგ უბანში პოროვანი ქანია: პორებში შეიცავს ჟანგისებურ ნივთიერებას. მიკროსკოპში სრულკრისტალური კალციუმის კარბონატისაგან შემდგარი მთავარი მასა პელიტურ და ორგანულ ნივთიერებას მხოლოდ მარცვალთა ცემენტში ან პორებში შეიცავს. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ქლორიტისა და ლიმონიტის მასების დაგროვება მსხვილ პორებში. მარცვალთა ფორმა და სიდიდე ცვალებადია; უდიდესი მარცვლის ზომა 0,04 მმ უდრის. მარცვლების ურთიერთ შეხება დაკბილულ კონტაქტს იძლევა. ასეთი მარცვლები კიდეებში რუხი ფერის არიან. ცენტრალურ ნაწილში კი გამჭვირვალე. კლასტური მასალა და მადნეული მინერალი არ გვხვდება.

რუხი ფერის მარმარილო. მაკროსკოპულად რუხი ფერის, სრულკრისტალური, წვრილმარცვლოვანი, ერთგვაროვანი აგებულების ქანია; ნაპრალები და უცხო ქანის ჩანართები არ ჩანს. მიკროსკოპში ოდნავ მორუხო, ალაგ-ალაგ კი ლაქებრივი სრულკრისტალური ქანი, ძირითადად შემდგარია სხვადასხვა ზომის კალციტის კრისტალებისაგან, ზოგიერთ უბანში იზომეტრულ კრისტალების დაგროვებას აქვს ადგილი; კრისტალთა ზომა საშუალოდ 0.02-0,09 მმ უდრის. კრისტალების ურთიერთშეხება სადაა (ნიმ. 40). კრისტალთა ზედაპირზე შავი ან რუხი ფერის პელიტური მასებია განწყობილი. უმეტესი ნაწილი კრისტალებისა გამჭვირვალეა და კარგად ემჩნევა რომბოედრული ტკეჩვადობა. ნაწილი კი წინწკლების სახით შეიცავს მადნეულ მინერალს, უმთავრესად პირიტსა და ორგანულ ნივთიერებას.

შლიფის ზოგ უბანში ვხვდებით უცხო ქანის მთლიანად შეცვლილ საკმაოდ მოზრდილ ნატეხებს, რომელთა ადგილზე ამჟამად დარჩენილია კარბონატნარევი რუხი ფერის პელიტური მასები ორგანულ ნივთიერებასთან ერთად; არიან ისეთი ნატეხებიც, რომლებიც ქლორიტის, სერპენტინის და მცირეოდენ მადნეულ მინერალებისაგან შედგებიან. ქანის ამგვარი უბნები ლაქებრიობას იჩენს და მუქი რუხი ფერის არის. ზოგ ადგილზე შესამჩნევია არასწორი უბნები შემდგარი უფერო ან ოდნავ მოყვითლო ფერის ქერცლისებრი მინერალისაგან. რომელიც შესაძლოა ბრუსიტი იყოს.

შავი ფერის მარმარილო. მაკროსკოპულად მოშავო ფერის წვრილმარცვლოვანი ქანია, ერთ უბაში მოვარდისფრო შე-

ფერვით. მიკროსკოპში ქანი შემდგარია მოზრდილ ფირფიტოვან. და ამავე დროს მეტ შემთხვევაში გამჭვირვალე კალციტისაგან. 0,1-0.5 მმ ზომის ფირფიტოვანი კრისტალები მჭიდროდ ეხებიან ერთმანეთს და დაკბილულ შეხების ხაზს იძლევიან (ნიმ. 37. 39). მარცვლის კიდეებში და ზოგჯერ ზედაპირზედაც თავს იყრის პელიტური და ორგანული ნივთიერება, უკანასკნელის ჩხირისებური ფორმის ჩანართები საკმაოდ ბევრია ქანის ზოგ უბანში. მადნეული მინერალი პირიტის ძლიერ წვრილი მარცვლებით არის წარმოდგენილი. ეს ქანი შედარებით მსხვილმარცვლოვანია.

ნიმ. 41. მაკროსკოპულად შავი ფერის წვრილმარცვლოვანი ქანია; ერთ უბანში ჩანს კვარცის ორი მარცვალი. მიკროსკოპში უფერო. ზოგ უბანში რამდენადმე მოშავო. მორუხო ფერის. კარბონატული მასა ძირითადად შემდგარია წვრილკრისტალური და ქერცლოვან-პელიტური ნაწილებისაგან. რომელიც მთლიანად კალციტს წარმოადგენს. ორგანული ნივთიერება და მადნეული მინერალის წინწკლები ზოგ უბანში იმდენად ბევრია, რომ ქანს მორუხო ფერს აძლევს. ამ ნივთიერებათა განაწილება არათანაბარია, ზოგ ადგილას ვხვდებით მათ დიდ დაგროვებას. ზოგან კი აქა-იქ არის გაბნეული წერტილებისა და ლაქების სახით. ქანის ერთი ნაწილი წვრილი ბზარებით არის დასერილი, ზოგან კი მცირე რაოდენობით ჩანს ქლორიტისა და სერპენტინის უბნები. კლასტური მასალა არ გვხვდება.

ნაცრისფერი მარმარილო. მაკროსკოპულად ნაცრისფერი წვრილმარცვლოვანი მარმარილო. ზოგ უბანში მორუხო ფერის ზოლებით. მიკროსკოპში სრულკრისტალური, ფირფიტოვანი და ქერცლოვან კალციტისაგან შემდგარი ქანი შეიცავს ორგანულ ნივთიერებასა და პელიტურ მასას წერტილების სახით (ნიმ. 30, 31). კალციტის ფირფიტებრივი მარცვლები ერთმანეთს ეხებიან დაკბილული კონტურით, რომლის გასწვრივ შავი ფერის ორგანულ-პელიტური მასების დაგროვებას აქვს ადგილი. საერთოდ ორგანული და პელიტური ნივთიერების წერტილებრივი მასები მცირეოდენ ლიმონიტთან ერთად უხვად არიან გაბნეული კარბონატულ მასაში და მას რუხ ფერს აძლევენ. ნაპრალები და კლასტური მასალა არ ჩანს. 31 ნიმუშში წერტილებრივი ჩანაწინწკლები მცირეა, სამაგიეროდ აქა-იქ ჩანს უფრო მოზრდილი უბნები ლიმონიტისა და ორგანული ნივთიერების.

ბანოჯის მარმარილოს დახასიათებისათვის მოგვყავს ორი არასრული და ერთი სრული ანალიზი:

(ანალიტიკოსი იაროშენკო)

ნიმუში	SiO_2	Al_2O_3	CaO	MgO	SO_3	CO_2	ჯამი
№ 1 თეთრი მარმარილო . .	1,96	0,70	37,91	15,55	0.24	43,43	99,79
№ 2 რუხი ფერის მარმარილო .	1.26	1,10	32.54	19,44	0,20	45,40	99,94

უფრო სრული ანალიზი ბანოჯის მარმარილოს ერთი ნიმუშისა გვიჩვენებს:

(ანალიტიკოსი მარტიროსოვა)

ნიმ. №	სინესტე %-ში	დანაკ. გახურ.	გაუხს. ნაშთი	FeO	Fe_2O_3	Al_2O_3	MgO	CaO	SO_3	SiO_2	MnO_2
3	0,67	44.48	9,26	0,16	0,08	1,79	18,74	30.61	0,069	0,665	0

ქვემოდ მოგვყავს $CaCO_3$ და $MgCO_3$ რაოდენობის გამოანგარიშება ქიმიური ანალიზის მონაცემებიდან:

ნიმუშის №	ქანები	წონითი %	მოლეკულ. რაოდენობა	გადაანგარიშ. $CaCO_3$	გადაანგარიშ. $MgCO_3$	ჭარბი MgO მოლეკულ. რაოდენობა	გამოანგ. მინერალური შემადგენლობა წონით %-ში: კალციტი	გამოანგ. მინერალური შემადგენლობა წონით %-ში: დოლომიტი
1	CaO	37,91	676	676				
	MgO	15,55	384		312	72		
	CO_2	45.43	988	676	312			
ჯამი		98,89	2048	1352	624			
% რაოდენ.				68,8	31,2		30,4	69,6

გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ ნიმუში წარმოადგენს კირქვიან დოლომიტს.

ნიმუშის №	ჯანგები	% წონითი	მოლეკულ. რაოდენობა	გადაანგარიშ. $CaCO_3$	გადაანგარიშ. $MgCO_3$	ჭარბი MgO მოლეკულ. რაოდენობა	გამოანგ. მინერალური შემადგენლობა წონით %-ში: კალციტი	გამოანგ. მინერალური შემადგენლობა წონით %-ში: დოლომიტი
2	CaO	32,54	580	580				
	MgO	19,44	481		454	27		
	CO_2	45,4	1034	580	454			
ჯამი		92,02	2095	1160	908			
% რაოდენ.			56,2	43,8	43,8		4,1	95,9

ე. ი. ქანი წარმოადგენს თითქმის სუფთა დოლომიტს.

ნიმუშის №	ჯანგები	% წონითი	მოლეკულ. რაოდენობა	გადაანგარიშ. $CaCO_3$	გადაანგარიშ. $MgCO_3$	ჭარბი MgO მოლეკულ. რაოდენობა	გამოანგ. მინერალური შემადგენლობა წონით %-ში: კალციტი	გამოანგ. მინერალური შემადგენლობა წონით %-ში: დოლომიტი
3	CaO	30,61	546	546				
	MgO	18,64	462		462			
	CO_2	44,48	1008	546	462			
ჯამი		93,73	2016	1093	924	—	—	—
% რაოდენ.				54,2	45,8	—	—	100

ნიმუში წარმოადგენს სუფთა დოლომიტს, რომელიც სავსებით პასუხობს დოლომიტის თეორიულ შემადგენლობას.

ამრიგად, ჩანს, რომ საბადოში გამარმარილოებულია დოლომიტები.

როგორც ზემოაღნიშნულ პირველ ორ, ისე სხვა ანალიზებში (გელათი, მელაური) ჩანს, რომ MgO-ს რაოდენობა ჭარბია CO_2-თან შედარებით და აუთვისებელი რჩება. ამ ჯანგეულის გაზრდილი რაოდენობა ქანში ბრუსიტისა და სერპანტინის არსებობით უნდა

აიხსნას; მაგრამ ანალიზებულ ნიმუშებში CO_2 და H_2O ცალცალკე არ განსაზღვრულა და ერთად არის მოცემული ხურებით ნაკარგის სახით. ეს გარემოება კი საშუალებას არ იძლევა ჭარბი MgO-ს მოხსენებულ მინერალებზე გადაანგარიშებისას. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ხურებით დანაკარგის მხოლოდ CO_2-დ ჩათვლა პირობითია და გარკვეულად იწვევს გადაანგარიშების შედეგში კარბონატის რაოდენობის გაზრდას.

აქვე მოგვყავს ბანოჯის საბადოს მარმარილოს ორი ნიმუშის მექანიკური შემოწმების შედეგები ფ. ფარცვანიას მონაცემების მიხედვით:

ქანის დასახელება	№ 1 თეთრი ფერის მარმარილო	№ 2 რუხი ფერის მარმარილო
ცვეთა დევალის ხორგაზე	4,70%	3,70%
მოცულობითი წონა	2,499—2,50 საშუალო—2,500%	2,815—2,811 საშუალო—2,813%
წყალშთანმთქმელობა	1,42—1,43 საშუალო—1,43%	0,08—0,12 საშუალო—0,10%
დროებითი წინააღმდეგობა კუმშვისადმი მშრალ მდგომარეობაში	909 კგ/სმ²	2100 კგ/სმ²
წყლით გაჟღენთილ მდგომარეობაში	720 კგ/სმ²	1980 კგ/სმ²
უვნებლობა (დაცულობა)	არავითარი ცვლილება	არავითარი ცვლილება
ნიმუშებმა გაუძლეს 15-ჯერ გაყინვას პროფ. ბელელიუბსკის ყინულის ყუთში, სამი საათის განმავლობაში—17°	ნიმუშებმა გამოცდა აიტანა დაუზიანებლად	ნიმუშებმა გამოცდა აიტანა დაუზიანებლად

ამრიგად, ქიმიური ანალიზები, ტექნიკური გამოცდის შედეგები და ქანის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ბუნება გვიჩვენებს, რომ ბანოჯის საბადოს მარმარილო მაღალი ხარისხის არის და მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

საბადოს მარაგი ფ. ფარცვანიას და ნ. ჩოლოყაშვილის მიხედვით 34.157 მ³ უდრის.

ხომულის მარმარილოს საბადო


ხომულის საბადო მდებარეობს ქუთაისის ჩრდილოეთით 12 კმ მანძილზე, სოფ. ხომულის მიდამოებში „ხართავას ბორცვზე". წყალტუბო-კარიობის გზატკეცილის გასწვრივ. ამ საბადოს გეოლოგიური პირობები ისეთივეა. როგორც ზემოაღწერილი ბანოჯის საბადოსი. ბ. ბელიკოვის (3) მიხედვით ხომულის საბადოს ტეშენიტები არსებითად არ განსხვავდებიან ბანოჯის ტეშენიტებისაგან: მცირედი განსხვავებაა მხოლოდ იმაშია, რომ პირველში მეტია ოლივინის რაოდენობა.

ჩვენ მიერ კონტაქტის ზოლიდან აღებული ტეშენიტი (ნიმ. 88) მიკროსკოპში მკაფიოდ გამოხატული ოფიტური სტრუქტურისაა. ქანის შემადგენელი ნაწილებია: ლაბრადორი, ტიტანავგიტი, ანალციმი, ნატროლითი, ანორთოკლაზი, იდინგსიტი, ქლორიტი და ილმენიტი. რაოდენობის მხრივ ამ კომპონენტებიდან პირველ ადგილს იჭერს ლაბრადორი და იისფერი ტიტანავგიტი. საკმაოდ ბევრია აგრეთვე ქლორიტი, ანალციმი და ნატროლითი. ბიოტიტი ხშირად ილმენიტს უკავშირდება და იძლევა აგრეთვე მოგრძო წვრილ ფირფიტებსაც. ანორთოკლაზი ლაბრადორს ეკვრის გარშემო.

ტეშენიტის და მარმარილოს კონტაქტის ზოლში შეცვლილია როგორც ტეშენიტი, ისე მარმარილო. ჯანასკნელი კონტაქტის ზოლში ძლიერ გადაკრისტალებულია, მაგრამ მასში კონტაქტური მინერალები არ არის შემჩნეული. მაგმური ქანის წვრილი ძარღვები თვით საბადოშიც არიან შემოჭრილი. ეს ძარღვები გამოფიტული. შავი ფერის წვრილმარცვლოვანი ქანით არის აგებული და აგრეთვე ტეშენიტს წარმოადგენს. ბუნებრივია წარმოვიდგინოთ. რომ ეს ძარღვები ტეშენიტის მთავარი ინტრუზივის აპოფიზებია.

ხომულის საბადო პირველ იმპერიალისტურ ომამდე მუშავდებოდა უცხოელების მიერ. რომლებიც ორი კარიერიდან იღებდნენ თეთრი ფერის მარმარილოს. ამჟამად აქ გაშიშვლებულია მხოლოდ ერთი კარიერი. სადაც მარმარილოს ფენები უშუალოდ ზედაპირზე ამოდის (სურ. 3).

მარმარილოს ფენების საერთო სიმძლავრე 10 მ აღწევს, ხოლო ცალკეული შრის—0.5-1 მეტრამდე. გავრცელებულია დაახლოებით 0,3 კმ² ფართობზე. შრეთა დაქანება SO 150°: ∠ 5-8°. ზოგ უბანში შესამჩნევია მცირე დაქანება აღმოსავლეთისაკენ. სამუშაო კარი-



სურ. 3. ხომულის მარმარილოს საბადოს სქემატური ჩანახატი.

ერის სიგრძე უდრის 40 მ. სიმძლავრე — 10 მ. აქ წარმოდგენილია სამი სახესხვაობის მარმარილო: რუხი, თეთრი და მოშავო ფერისა. სამივე სახესხვაობის მარმარილო მკვრივია და არათანაბარმარცვლოვანი. ქვედა ჰორიზონტებში ჭარბობს მოშავო და რუხი ფერის, ხოლო ზემოდ — თეთრი ფერის სახესხვაობა. უკანასკნელის საერთო სიმძლავრე 3 მ აღწევს. ზედაპირზე გამოსული თეთრი ფერის მარმარილო საგრძნობლად გამოფიტულია და დაბზარული, ხოლო რუხი ფერის ქანი ბზარებს იშვიათად შეიცავს. საერთოდ ქანში არსებული ბზარები უსისტემოდ არიან განლაგებული, რაც დაბლა სწევს საბადოს ხარისხს.

ზენაჩენზე დაკვირვების მიხედვით აქაური მარმარილო შეიძლება ძირითადად გამოყენებულ იქნას მხოლოდ ნამსხვრევების სახით, თუმცა თავისუფლად შეიძლება 0.5 მ³ ბლოკების მიღებაც. მარმარილოს თვისობრივი დახასიათებისათვის ქვემოდ ჩვენს მიერ მოცემულია ქანის ყველა სახესხვაობიდან რამდენიმე ნიმუშის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული აღწერა.

რ უ ხ ი ფ ე რ ი ს მ ა რ მ ა რ ი ლ ო. მაკროსკოპულად მკაფიოდ რუხი ფერის საშუალო მარცვლოვანი ქანია. ბზარებსა და უცხო ქანის ჩანართებს არ შეიცავს. მ ი კ რ ო ს კ ო პ შ ი რუხი ფერის ქერცლოვან-პელიტომორფული მასა დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის კრისტალურ კარბონატს (ნიმ. 80). ზოგიერთი კრისტალის სიდიდე 0.1-0.4 მმ უდრის, ასეთ კრისტალებს კარგად ემჩნევა რომბოედრული ტკეჩვადობა. ისინი მეტწი-

ლად გამჭვირვალენი არიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კრისტალის კიდეებში მცირეოდენ წერტილებრივ ლაქებს. წვრილ ძარღვებში წარმოდგენილია სუფთა კრისტალური კალციტი. ეს უკანასკნელი სხვადასხვა მიმართულებით კვეთს რუხი ფერის პელიტომორფულ მასას. ზოგიერთ უბანში შესამჩნევია კლასტური მასალის რელიქტები და მცირეოდენი ქლორიტული მასალაც. ზოგ ადგილზე მიკროფაუნის ნაშთიც აღინიშნება, რომელიც პელიტომორფულ კარბონატს უკავშირდება.

83 და 84 ნიმუშები მაკროსკოპულად მორუხო ფერის წვრილმარცვლოვან ქანს წარმოადგენენ, რომლებიც ზოგ უბანში შეიცავენ ნაკრისფერ ლაქებს. მიკროსკოპში მჭიდრო აგებულების სრულკრისტალური კარბონატული მასა შემდგარია კალციტის იზომეტრულ მარცვლებისა და ფირფიტებისაგან. ფირფიტოვანი კრისტალები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. მათ შორის შეხება არასწორი კონტაქტით არის გამოსახული. კრისტალთა ზედაპირზე, განსაკუთრებით კი მარცვალთა შეხების ზოლში, ადგილი აქვს რუხი ფერის პელიტური მასების დაგროვებას, რომლებიც ზოგიერთ უბანში ლაქებრივად არიან განლაგებული, მადნეული მინერალი და ორგანული ნივთიერება ჩაწინწკლული სახით გვხვდება.

თეთრი ფერის მარმარილო. მაკროსკოპულად თეთრი ფერის ძლიერ წვრილმარცვლოვანი ქანია, რომლის მცირე ზომის ბზარები ამოვსილია ჟანგისფერი მასით, რაც ნიმუშზე ერთგვარ ბოლებს ქმნის. მიკროსკოპში (ნიმ. 86) მეტისმეტად წვრილკრისტალური და ზოგ ნაწილში პელიტომორფული კალციტი შეადგენს ქანის მთავარ მასას. კალციტის წვრილი კრისტალები ზედაპირზე შეიცავს რუხი ფერის პელიტომორფულ მასას. ორგანული ნივთიერება წინწკლების სახით არის განლაგებული.

შავი ფერის მარმარილო. გარეგნული შეხედულებით მოწვანო ფერის წვრილმარცვლოვანი ქანი შეიცავს ხშირ ბზარებს, რომლებიც ჟანგისფერი მასით არის ამოვსილი. მიკროსკოპში მოწვანო ფერის კარბონატული მასა შემდგარია ძლიერ წვრილკრისტალური და უმთავრესად კი ქერცლოვანი კალციტისაგან, რომელიც ზედაპირზე შესამჩნევი რაოდენობით შეიცავს რუხი ფერის მტვრისებურ მარცვლებს (ნიმ. 87)). შედარებით მსხვილკრისტალური კალციტი მხოლოდ ძარღვებში და სხვადასხვა უბანშია წარმოდგენილი. ორგანული ნივთიერება და ლიმონიტი წერტილებრივ ჩანართებს ქმნიან. კალციტის ქერცლოვან-ფირფიტოვანი მარცვლები ერთმა-

ნეთთან მჭიდროდ არიან შეერთებული. უდიდეს მარცვალთა ზომა მეათედი მილიმეტრის ფარგლებში მერყეობს.

ქვემოდ მოგვყავს ხომულის მარმარილოს ქიმიური ანალიზი (1):

H_2O	R_2O_3	CaO	MgO	SO_3	გაუხსნ. ნაშთი	CO_2
0.07	0,58	53,96	1.22	1,10	0,17	44,54

ანალიზიდან ჩანს, რომ ხომულის საბადოს მარმარილო მცირე რაოდენობით შეიცავს MgO-ს. აქ გამარმარილებულია სუფთა კირქვები (მაგმური ქანი წყების სულ ზედა ჰორიზონტშია შემოჭრილი — სუფთა კირქვებში). წმინდა $CaCO_3$-ს რაოდენობა ხომულის ქანში უდრის 98,49%; ე. ი. იგი პრაქტიკულად სუფთა კალციტს წარმოადგენს. ხვედრითი წონა ამ მარმარილოსა 2,35 უდრის.

ს. აკენტიევი (1) ხომულისა და ლოფოთის მარმარილოების შედარების შემდეგ ასკვნის, რომ ლოფოთის მარმარილო უფრო მსხვილმარცვლოვანია ($d=1,12$-$1,5$ მმ) და შეიცავს უცხო მინარევებს. ხომულის თეთრი მარმარილო კარგი ხარისხის არის; ადვილად ექვემდებარება დამუშავების პროცესებს, კარგად იტანს გაკრიალებას და ადვილად იხეხება. საბადოდან თავისუფლად შეიძლება 0.5 მ³ ბლოკების ამოღება, იშვიათად 1 მ³ ბლოკებისაც. მისივე აზრით მარმარილოს მარაგი მარტო ერთ გაშიშვლებაში შეიძლება 71.000 მ³ რაოდენობით ვივარაუდოთ.

შ. ნაცვლიშვილისა და კ. უგულავას გამოთვლით საბადოს მარაგი განისაზღვრება 50 000 მ³.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არ არის გარკვეული მარმარილოს წოლის ფორმა და გავრცელება ყველა უბანში, რისთვისაც საჭიროა საბადოზე დეტალური ძიების ჩატარება და მარაგის დაზუსტებასთან ერთად სიღრმეში არსებული ქანების ყოველმხრივი შესწავლა.

ამჟამად ხომულის საბადო არ მუშავდება.

მელაურის მარმარილოს საბადო

საბადო მდებარეობს წყალტუბოს ჩრდილოეთით, მელაურში, მდ. სემისწყლის ორივე ნაპირზე და ვრცელდება სოფ. ცხუნკურის რის მიდამოებამდე (ადმინისტრაციულად იგი, ისე როგორც ბანო-

ჯისა და ხომულის საბადოები. შედის წყალტუბოს რაიონში). 1930 წელს მელაურის საბადოზე ძიება ჩატარებულ იქნა მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების მიერ. მაგრამ ძიება და სასინჯი ექსპლოატაცია წარმოებული იყო მხოლოდ სემისწყლის მარცხენა ფერდობზე. ძიება არ დასრულებულა და ჩატარებული მუშაობის ანგარიში არ არსებობს.

ურგონული კირქვების და კირქვიანი დოლომიტების გამარმარილება აქაც ტექტონიტების შემოჭრით არის გამოწვეული, ისევე, როგორც ზემოაღწერილ საბადოებში. აქ მთავარი კარიერი გახსნილია მდ. სემისწყლის მარცხენა, თითქმის 100 მ სიმაღლის ფლატეზე. გაშიშვლების ზედა ნაწილში 20-32 მ საერთო სისქის გამარმარილებული კირქვებია წარმოდგენილი (სურ. 4).



სურ. 4. მელაურის მარმარილოს საბადოს სამუშაო კარიერის ცენტრალური ნაწილი.

ცალკეული ფენების სიმძლავრე 0.5-2 მ აღწევს. წყების დაქანება არის SW 190°; ∠ 10-15°. აქ არის მარმარილოს ყველაზედ დიდი გამოსავალი ამ საბადოში, სადაც მარმარილოს მარაგი

ს. აკენტიევის (1) მიხედვით უდრის 120.000 მ³. მარმარილოს ბუნებრივი გამოსავალი ძნელი მისადგომია, განსაკუთრებით კუსტარული წესით დამუშავების დროს. გაშიშვლებებში ქანის ძირითადი მასა წარმოდგენილია თეთრი, რუხი. მოშავო და იშვიათად ვარდისფერი მარმარილოთი. გვხვდება აგრეთვე შავლაქებიანი ნაცრისფერი ქანიც.

ქანის ძირითადი მასა დასერილია მაგმური ინექციის უწვრილესი ძარღვებით, რომლებიც რამდენიმედ გაკალციტებულია და გამოფიტული, რის გამო ისინი იშლიფებიან და კრიალდებიან მარმარილოსთან ერთად. რაც ქანის თეთრ ფონზე თავისებურ ლამაზ სურათებს ქმნის.

ბ. ბელიკოვის (3) მიხედვით მიკროსკოპულად ასეთი უბნები შედგებიან სერპენტინისაგან, რომელიც გაჟუჟყიანებულია კალციტით და მადნეული მინერალების მარცვლებით.

ამ კარიერიდან შესაძლებელია 2 მ³-დე ბლოკების ამოღება.

მოხსენებული გაშიშვლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის შემდეგ, საურმე გზის გასწვრივ, არის მარმარილოს მეორე მნიშვნელოვანი გამოსავალი, სადაც თეთრი და ოდნავ ნაცრისფერი ქანებია წარმოდგენილი. თეთრი ფერის მარმარილო აქ უფრო სუფთაა, ვიდრე პირველ კარიერში. მაგრამ, იგი დაბზარულია და დიდი ზომის ბლოკების მიღება არ შეიძლება; გარდა ამისა შეიცავს პირიტის მარცვლებსაც.

ანალოგიური ხასიათისაა მდინარის მარჯვენა ნაპირზე გავრცელებული გამოსავლებიც. მელაურის საბადოს მიდამოებში ნაპოვნი არ არის ტიპიური ტეშენიტი. შემოჭრილი ძარღვები ხასიათდებიან პორფირული სტრუქტურით და პირველი შეხედვით ოლივინიან ბაზალტებს მოგვაგონებენ. ეს ძარღვები სხვადასხვა მიმართულებით კვეთენ საბადოს შემცველ ქანებს. ძარღვების სიმძლავრე 2 მ აღწევს, ზოგი ძარღვი სალია, ზოგი კი გამოფიტული.

ბ. ბელიკოვის (3) მიხედვით ეს ქანი მიკროსკოპის ქვეშ მიკროლიტური სტრუქტურისაა ოლივინის ჩანართებით და პლეოქროული ტიტანავგიტით. ტიტანავგიტის ოპტიკურ ღერძთა კუთხე ისეთივეა, როგორც ბანოჯის ტეშენიტის ტიტანავგიტისა (საშუალოდ +48 — +50-დე). საკმაოდ მსხვილი კრისტალები № 72 პლაგიოკლაზისა, რაოდენობრივად ჭარბობენ პიროქსენის მიკროლიტებს. მონაწილეობენ ბიოტიტის ცალკეული ქერცლები. მეორეხარისხოვანი მინერალები — ლიმონიტი და ოლივინი ნაწილობრივ

7. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.

საღია, ნაწილობრივ კი შეცვლილი ქლორიტით. ძარღვების მარმარილოსთან კონტაქტის ზოლში ხშირია ნახევრად გამჭვირვალე ოფიტური უბნები.

ჩვენ მიერ ჩატარებული, საბადოს მარმარილოთა ძირითადი სახესხვაობის, მიკროსკოპული შესწავლა შემდეგ სურათს გვაძლევს:

თეთრი ფერის მარმარილო. მაკროსკოპულად თეთრი წვრილმარცვლოვანი ერთგვაროვანი აგებულების ქანია. შეიცავს მცირე ზომის ბზარებს, რომლებიც ამოვსილია მორუხო ფერის მინარევებით. მიკროსკოპში—მიუხედავად იმისა, რომ მაკროსკოპულად მარმარილო თეთრია, მიკროსკოპის ქვეშ (ნიმ. 44, 51), იგი შემდგარია რუხი ფერის პელიტომორფული კალციტისა და პელიტური ნივთიერებისაგან. კრისტალური კალციტი იშვიათად ჩანს და აქა-იქ გვხვდება ქერცლოვანი აგებულების მასების სახით. გამჭვირვალე კარბონატული მასა ზოლებრივად და უბნებრივად არის განაწილებული. ორგანული ნივთიერება მცირეოდენ ქლორიტულ სერპენტინულ მასებთან ერთად წერტილებრივად არის დაგროვილი. 51-ე ნიმუშში რამდენადმე მეტია პელიტური ნივთიერება და სუფთა კალციტით ამოვსილი ძარღვები.

რუხი ფერის მარმარილო. მაკროსკოპულად ღია რუხი ფერის ძლიერ წვრილმარცვლოვანი ქანია, ერთ უბანში გამოფიტული. ბზარებსა და სხვა ქანის ჩანართებს არ შეიცავს. მიკროსკოპში (ნიმ. 43)—რუხი ფერის მეტად წვრილკრისტალური პელიტომორფული კარბონატული მასა ცალკე უბნებისა და ზოლების სახით შეიცავს ნათლადკრისტალურ კალციტს. ქანს რუხ შეფერვას აძლევს პელიტური ნივთიერება, რომელიც ორგანულ ნივთიერებასთან ერთად ზოგან საკმაოდ მოზრდილ ლაქებს ქმნის. გარდა ამისა ორგანული ნივთიერება და ქლორიტ-სერპენტინის მცირე ნაწილაკები აქა-იქ არიან გაბნეული წვრილმარცვლოვან კარბონატულ მასაში. ხშირია კალციტით ან ბრუსიტით ამოვსილი გამჭვირვალე ძარღვისებური ზოლები. შლიფის ერთ უბანში უფრო მეტი რაოდენობით გვაქვს რუხი ფერის პელიტური ორგანული მასა; ეს ნაწილი შედარებით უფრო კრისტალურია და მსხვილმარცვლოვანიც (პირველი ნაწილი მეორესაგან სუფთა კალციტის ძარღვით არის გამოყოფილი).

ნიმუში 50. მაკროსკოპულად რუხი ფერის ძლიერ წვრილმარცვლოვანი მარმარილო, შეიცავს მოშავო ფერის ნივთიერებით ამოვსილ მცირე ზომის ბზარებს. მიკროსკოპში მორუხო ფერის

ძლიერ წვრილკრისტალური აგებულების კარბონატული მასა შემდგარია მარცვლოვანი და ქერცლოვანი კალციტისაგან. წვრილი კრისტალები ერთმანეთზე მჭიდროდ არიან მიწყობილი და ურთიერთშეხების საზღვარი უფრო მეტად დაკბილულ ხასიათს ატარებს. პელიტური და ორგანული ნივთიერება უმნიშვნელო რაოდენობით არის წარმოდგენილი. ასევე მცირეა მადნეული მინერალი, რომელიც ლიმონიტის მეტად მცირე უბნების სახით გვხვდება.

მოშავო ფერის მარმარილო. მაკროსკოპულად მოშავო ფერის წვრილმარცვლოვანი ქანია, ზოგ უბანში ნაცრისფერი შეფერვით: შესამჩნევია კალციტით ამოვსილი მცირე ზომის ბზარები. მიკროსკოპში (ნიმ. №№ 52, 54) მარმარილო შემდგარია მეტისმეტად წვრილმარცვლოვან და პელიტომორფულ კალციტისაგან, რომელსაც დიდი რაოდენობით უერთდება პელიტური მასა, რის გამო ქანს რუხი ფერი აქვს. მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ქლორიტული მასა და მადნეული მინერალის წვრილი ჩანაწინწკლები. 34-ე ნიმუშის ერთ სიცარიელის მსგავს უბანში ანალციმისებური იზოტროპული ნივთიერება ჩანს.

ვარდისფერი მარმარილო. მაკროსკოპულად ღია ვარდისფერი, წვრილმარცვლოვანი ქანია, უხვად შეიცავს შავი ფერის ლაქებს, ბზარები ამოვსილია კალციტური მასით. მიკროსკოპის ქვეშ (ნიმ. 48) ქანის შემადგენელი კარბონატული მასა სტრუქტურით და კრისტალიზაციის ხარისხით მსგავსია 43-ე ნიმუშისა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ საკმაო რაოდენობით ვხვდებით უხვად ჩაწინწკლულ წერტილებისა და ლაქების სახით ლიმონიტს, რის გამო ქანს ღიამოწითლო შეფერვა აქვს.

ქვემოდ მოგვყავს მელაურის მარმარილოს ქიმიური ანალიზი (9):

SiO_2	TiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	MnO	MgO	CaO	Na_2O	$H_2O\leqslant 110^\circ$	აბრ. ნივთიერ.	FeO	SO_3	ჯამი
4.18	—	1,06	—	—	24.50	32,72	—	0,18	36,00	1.03	0,19	99,69

აღნიშნული ანალიზის გადაანგარიშება $CaCO_3$ და $MgCO_3$-ზე და აგრეთვე მინერალ კალციტისა და დოლომიტის შემცველობაზე გვაძლევს:

	$CaCO_3$ %	$MgCO_3$ %	მინერალი კალციტი %	მინერალი დოლომიტი %
1	71.43	28,38	49	51

მელაურის მარმარილოს ხვედრითი წონა უდრის 2,58; დროებითი წინააღმდეგობა კუმშვისადმი—970 კგ სმ². ქანი ყინვაგამძლეა. ვარგისია ელექტროტექნიკური დანიშნულებისათვის. ყველა სახეობა კარგად იხეხება და კრიალდება.

საორიენტაციო მარაგი მარმარილოსა უდრის 300.000 მ³ (6).


თეთრი ფერის სახესხვაობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სადეკორაციო ქვად. ქანის მაღალი ხარისხი და სხვადასხვა ქარგის მქონე სახესხვაობის არსებობა საბადოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს. საჭიროა ამ უბანში ჩატარდეს გეოლოგიური ძიება ახალი უბნების გამოვლინებისა და მარაგის დაზუსტების მიზნით.

გელათის მარმარილოს საბადო

საბადო მდებარეობს სად. გელათის სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 კმ მანძილზე, მდ. წყალწითელას დონიდან 240 მ-ზე. საქოლავის ქედის თითქმის შუა ნაწილში (ადმინისტრაციულად ეკუთვნის ტყიბულის რაიონს). ქედის თხემზე განლაგებული კორქვები ქმნიან ქედელს, ქედის ძირში კი იგივე ქანები ყირაზე დგას (სურ. 5). ფენების საერთო სიმძლავრე 60 მ აღწევს. დაქანება — SO 150°; ∠ 20°-25°. მარმარილოს ცალკეული შრეების სისქე 0,6-2 მ უდრის. ბარემული ასაკის კირქვიანი დოლომიტების გამარმარილოება აქაც მაგმური სხეულის შემოჭრით არის გამოწვეული. კარიერებში გაშიშვლებულია მრავალი დიდი და მცირე ზომის ბაზალტური სხეული.

ძარღვის ქანი (ნიმ. 11) მაკროსკოპულად შავი ფერის საშუალომარცვლოვანია. ზოგ უბანში შეიცავს თეთრი ფერის ჩანაწინწკლებს და გაკაჟებულ მასას. მიკროსკოპის ქვეშ — ოლივინიანი ბაზალტი (პიკრიტო-ბაზალტი?), მიკროსტრუქტურა პორფირული. რუხი ფერის კალციტით და მაგნეტიტით გამდიდრებული მინებრივი ძირითადი მასა ცალკე უბნების სახით შეიცავს ქლორიტს, ანალციმს და არასწორი ფორმის პიროქსენს. მინდვრის შპატი საღ მდგომარეობაში არსად გვხვდება; როგორც ჩანს, იგი თავიდანვე უმნიშვნელო რაოდენობით იყო წარმოდგენილი. ფენოკრისტალები

მთლიანად გასერპენტინებულ ოლივინსა და საღ პიროქსენს ეკუთვნის; განსაკუთრებით ბევრია პირველი, რომლის ზოგი ფენოკრისტი 2×4 მმ უდრის.




სურ. 5. გელათის მარმარილოს საბადოს სქემატური ჩანახაზი (ბ. ბელიკოვის მიხედვით).

გამარმარილება, როგორც ვთქვით, გამოწვეულია ბაზალტური ქანის შემოჭრით. უკანასკნელის გავლენა გამოხატულია კირქვების გადაკრისტალებით და მასში ახალი წარმონაქმნების გაჩენით. კონტაქტური გავლენა ქანში მეტად მცირე მანძილზე ვრცელდება; შეხების ზოლიდან რამდენიმე მეტრის შემდეგ კირქვებს სახეცვლის არავითარი ნიშანი არ ემჩნევათ.

ყველაზე დიდი კარიერი გახსნილია საბადოს სულ ზედა ნაწილში. სიგრძე ამ კარიერისა 52 მ, სიმძლავრე — 7 მ აღწევს.

მარმარილოს წოლის ფორმა შრეებრივია. ცალკეული შრის სიმძლავრე საშუალოდ 0,6 მ უდრის; შრეები დაქანებულია სამხრეთისაკენ 5-8° კუთხით. ქანი ძლიერ მკვრივია, წვრილმარცვლოვანი, სხვადასხვა შეფერვით, უმთავრესად რუხი, თეთრი და მოშავო ფერისა. შრეები დასერილია უსისტემო ბზარებით, რის გამო დიდი



სურ. 6. გელათის მარმარილოს სამუშაო კარიერი.

ზომის ბლოკების ამოღება შეუძლებელია. ამ კარიერიდან შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ 0,5 მ³ ბლოკები, რაც დასტურდება ნაყარში არსებული საღი მონოლითების მოცულობით.

კარიერის ძირში გაშიშვლებულია ბაზალტური სხეული, რომელიც ზენაჩენზე გავრცელებულია 6 მ² ფართობზე. ასეთივე ქანის ლინზისებური ძარღვები და აპოფიზები ხშირია მარმარილოს შრეებრიობის გასწვრივ, რომელთა სიმძლავრე ზოგჯერ 0.5 მ აღწევს. კარიერის აღმოსავლეთით, მისგან 30-40 მეტრზე, შემოჭრილია 2 მ სიმძლავრის ბაზალტის დაიკა, რომლის კონტაქტური გავლენა ზედაპირზე არ მჟღავნდება.

ქვემოდ მოგვყავს საბადოს შემცველ მარმარილოს ძირითად სახეობათა მინერალოგიურ-პეტროგრაფიული დახასიათება.

რუხი ფერის მარმარილო (ნიმ. 4). მაკროსკოპულად რუხი ფერის, ძლიერ მეტამორფული წვრილმარცვლოვანი ქანია, შეიცავს ჟანგისფერი ნივთიერებით ამოვსილ ბზარებს; ნიმუშის ერთ ნაპირზე შავი ფერის ქანის ჩანართია, რომლის გასწვრივ მოწითლო ფერის ზოლი მიუყვება. მიკროსკოპში—რუხი, წვრილ-

კრისტალური და პელიტომორფული მასა რამდენადმე სუფთა კალციუმის კარბონატით არის წარმოდგენილი. პელიტომორფული უბნები ზოგ შემთხვევაში ლაქებრივად განლაგებულ ორგანულ ნივთიერებასა და აქა-იქ მცირეოდენ ოპალით და სერპენტინით ჩანაცვლებულ უბნებს შეიცავს. კრისტალური უბნები ფირფიტოვანი ჰაბიტუსის კარბონატის მჭიდროდ შეერთებული მასისაგან შედგება. ფირფიტები არასწორი მოხაზულობის არიან; რაოდენობით პელიტურ-ქერცლოვანი მასა კრისტალური აგებულების უბნებს ბევრად ჭარბობს. ქანში ფართე ნაპრალები არ ჩანს. მაგრამ წვრილი ბზარები სხვადასხვა მიმართულებით კარბონატის გამჭვირვალე ზოლებთან ერთათ სერავენ წვრილმარცვლოვან მასას.

ნიმუში 5. მაკროსკოპულად რუხი ფერის ძლიერ წვრილმარცვლოვანი ქანია. შეიცავს ბზარებს, რომელნიც კალციტური მასით არიან ამოვსილი. ნიმუშის ერთ უბანს ღია ნაცრისფერი შეფერვა აქვს. მიკროსკოპში მორუხო, ზოგ ადგილზე კი რამდენადმე მოყვანგისფრო წვრილკრისტალური კარბონატი აქა-იქ თუ შეიცავს ლაქებრივად განლაგებულ ორგანულ ნივთიერებას და ლიმონიტის მასას. კარბონატული მასების გარდა. მარმარილოს ამ სახეობაში პელიტური მასაც ღებულობს მონაწილეობას. მაგრამ ის რაოდენობით კრისტალურ კარბონატს ბევრად ჩამორჩება. ნაპრალები თითქმის არსად ჩანს და მათ ადგილზე სუფთა კალციტის უწვრილესი ძარღვებია განვითარებული. კლასტური მასალა და ორგანიზმების ნაშთები არსად ჩანს. გარდა ერთი უბნისა, სადაც მკრთალად გამოიყოფა ლითოთამნიუმის მსგავსი არე. რომელიც ორგანული ნივთიერების ნაშთებსაც შეიცავს.

ნიმუში 6, 8. მაკროსკოპულად მორუხო. წვრილმარცვლოვანი ქანია. ერთ უბანში შეიცავს მოშაო ფერის ლაქას. მიკროსკოპში რუხი ფერის წვრილკრისტალური კარბონატული მასა და მცირეოდენი პელიტური ნივთიერება არათანაბრად არიან განაწილებული. კარბონატი ქერცლოვან-ფირფიტოვანი აგებულებისაა. ფირფიტები და ქერცლები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან. შესამჩნევი რაოდენობით გამოიყოფა ლაქებრივად განლაგებული ორგანული ნივთიერების და იშვიათად რკინის ჟანგით შეფერილი მასები. კლასტური მასალა ერთეული მარცვლების სახით ჩანს შეცვლილი მინდვრის შპატისა და მუქი სილიკატის სახით. აქა იქ გამოიყოფა მადნეული მინერალის წვრილი მარცვლებიც.

თეთრი ფერის მარმარილო (ნიმ. 3). მაკროსკოპულად ძლიერ წვრილმარცვლოვანი, თეთრი ფერის ქანია, რომელშიაც ჩანს მკაფიოდ ნაცრისფერი უბნები და კალციტით ამოვსილი პარალელური ბზარები. მიკროსკოპში ღია რუხი ფერის საკმაოდ სუფთა კარბონატული მასა კრისტალურ აგებულებას იჩენს. კარბონატის უმეტეს შემთხვევაში ფირფიტოვანი კრისტალები, მეტის-მეტად მჭიდროდ არიან ერთმანეთზე მიზრდილი და ერთგვაროვანი აგებულების მასას შეადგენენ. ორგანიზმების ნაშთები და კლასტური მასალა არ გვხვდება. შლიფის ერთ უბანში საკმაოდ სწორი ნაპრალი ჩანს, რომლის გასწვრივ სუფთა კარბონატული მასა ძარღვისებურ გამონაყოფს იძლევა.

შავი ფერის მარმარილო (ნიმ. 1). მაკროსკოპულად შავი ფერის წვრილმარცვლოვანი და დაუნაპრალებელი ქანია. მიკროსკოპში მოშაო ფერის წვრილმარცვლოვან-პელიტური კარბონატული მასა უხვად შეიცავს რუხი ფერის ორგანულ ნივთიერებას მცირეოდენ მადნეულ მინერალთან ერთად. ქანის ერთი ნაწილი წვრილკრისტალური აგებულებისაა, მეორე ნაწილი კი პელიტომორფულია. კლასტური მასალა თითქმის არსად გვხვდება, რამდენიმე ადგილზე ლიმონიტით გაჟღენთილი უბნები ჩანს. ნიმუში არ შეიცავს ორგანიზმების ნაშთებს და ოდნავ გადაკრისტალებულია.

მოგვყავს გელათის მარმარილოს ნიმუშების ქიმიური ანალიზი (4):

ნიმ. №№	სინესტე	ხუთრებიათ ნაკაოგი	გაუხსნელი ნაშთი	Al_2O_3	$FeO+Fe_2O_3$	CaO	MgO	SO_3
1	0,41	39,95	1,29	0,42	0,63	38,31	19,21	ნიშნები
2	0,40	40,25	2,10	2,59	0,08	43,37	14,26	0,14
3	0,35	39,91	1,96	0,54	0,83	37,27	19,82	—
4	0,44	38,05	2,87	3,40	0,07	36,22	18,49	0,25
5	0,39	39,45	1,19	0,69	0,96	37,12	20,45	—
6	0,36	38,16	3,49	2,08	0,17	36,33	19,17	0,20
7	0,48	42,20	1,70	0,65	0,24	53,18	0,77	0,28

მოყვანილი ანალიზები გადაანგარიშებულია $CaCO_3$ და $MgCO_3$-ზე, აგრეთვე მინერალ კალციტის და მინერალ დოლომიტის შემცველობაზე; გადაანგარიშების შედეგები მოყვანილია ქვემოდ:

№№ ნიმუშ.	გადაანგარიშების შედეგი წონითი %%-ში			
	$CaCO_3$	$MgCO_3$	მინერალი კალციტი	მინერალი დოლომიტი
1	84.25	15,56	71,70	28,30
2	84.49	15,42	71,59	28,32
3	73,83	26.70	63,00	37,00
4	75,37	24,38	54,85	44,90
5	77,65	23,44	58,00	42,00
6	75,32	23,40	46,30	52,70
7	50,70	49,12	9.57	90,25

გელათის საბადო მოზაიკისათვის საჭირო მაღალხარისხოვან მარმარილოს შეიცავს. ხშირი ბზარების გამო ქანის მონგრევა ადვილია, არ არის საჭირო სახურავი ქანების გადაცლა. ნამსხვრევებთან ერთად შესაძლებელია 0,5 $მ^3$ ბლოკების ამოღებაც. სატრანსპორტო პირობები ხელსაყრელია. ჩვენი გამოანგარიშებით საბადოს საორიენტაციო მარაგი 50.000 $მ^3$ შეადგენს.

ამ საბადოზე გეოლოგიური ძიება არ ჩატარებულა. საჭიროა ძიებით გაირკვეს: სამუშაო ფენების გავრცელება. მარაგი, ბზარიანობის ხარისხი სიღრმეში და დიდი ზომის ბლოკების ამოღების შესაძლებლობა; ძიება უნდა შეეხოს საბადოს მიდამოებში მაგმური ქანების გავრცელების მთელ ფართობს.

დ ა ს კ ვ ნ ა

აღწერილი მარმარილოს საბადოები წარმოშობილია ურგონული ფაციესის კირქვების და კირქვიანი დოლომიტების გადაკრისტალებით. ბანოჯაში, ხომულსა და მელაურში ქანები გამარმარილებულია ტეშენიტური მაგმის შემოჭრით გამოწვეული კონტაქტური მეტამორფიზმით. ხოლო გელათის საბადოში — ბაზალტური მაგმის შემოჭრით.

ხომულში გამარმარილებულია სუფთა კირქვები, ხოლო ბანოჯის. მელაურისა და გელათის საბადოებში გამარმარილება განუცდია დოლომიტებს.

ქუთაისის რაიონის მარმარილოები შეიძლება გამოვიყენოთ ელექტროტექნიკური, დეკორაციული, მოსაპირკეთებელი, სანაკეთებო მიზნებისათვის, მოზაიკური, ხელოვნური ქვების დასამზადებლად და სხვა.

ელექტროტექნიკური დანიშნულებისათვის საჭირო მარმარილოს მიღება შეიძლება მელაურისა და ბანოჯის საბადოებიდან. განსაკუთრებით დიელექტრიკია მელაურის მარმარილო. მისგან შეიძლება დამზადდეს ელექტროგანმანაწილებელი დაფები, იზოლატორები და სხვა, რაზედაც მოთხოვნილება განუწყვეტლივ იზრდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის განვითარებასთან ერთად. ამავე საბადოდან მიიღება მოსაპირკეთებელი და სადეკორაციო მარმარილო. უკანასკნელი მეტად ლამაზია და ორიგინალური. გაკრიალების შემდეგ მასზე ჩანს სხვადასხვა სურათი. ამ საბადოდან შეიძლება მოჭრილი (2 მ³-დე) ბლოკების მიღება მრავალგვარი სანაკეთებო დანიშნულებისათვის. წვრილმანი ნივთებისათვის (საწერი მოწყობილობა, საფერფლეები და სხვ.) საჭირო ქანის მიღება ზემოაღწერილ ოთხივე საბადოდან შეიძლება. ყველა ისინი მაღალხარისხოვან ნამსხვრევებს იძლევა, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გელათისა და ხომულის მარმარილო.

სამშენებლო ტექნიკის თანამედროვე საფეხურზე მარმარილოს ნამსხვრევებს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. აკადემიკოს ა. ე. ფერსმანის (7) და ვ. ხოდოტის (8) მონაცემების მიხედვით მარმარილოს, ბლოკების, დაფების და სხვა მსხვილი ერთეულების სახით აქვს 8 სახის გამოყენება; ნამსხვრევებისა და ფხვნილის სახით 20 სახის გამოყენება. ჩვენს პირობებში აღნიშნული საბადოებიდან მიღებული ნამსხვრევები შეიძლება გამოყენებულ იქნას: მოზაიკური მუშაობისათვის, სხვადასხვა მოსაპირკეთებელი ქვის დასამზადებლად, ხელოვნური მარმარილოს დასამზადებლად, აგლესვისათვის, ნახშირმჟავას მისაღებად და მთელ რიგ სხვა დარგებში. მარმარილოს ნამსხვრევებზე დიდ მოთხოვნილებას აყენებს აგრეთვე ხელოვნური ქვის წარმოება, რომელიც დიდი მაშტაბით უნდა გაიშალოს მიმდინარე ხუთწლედში. 2-10 მმ დიამეტრის მქონე ნამსხვრევები გამოიყენება მოსაპირკეთებელი ფილების დასამზადებლად, სადაც ერთ ნაწილ ცემენტზე მოდის სამი ნაწილი მარმარილოსა. ხელოვნური კირქვა მიიღება 80-90% მარმარილოს, 10-20% კირთან შერევით. ხელოვნური ქვიშაქვა მზადდება ორი ნაწილი მარმარილოს ფხვნილისა, ორი ნაწილი ქვიშისა და ერთი ნაწილი ცემენტისაგან.

ბოლო ხანებში მარმარილოს გამოყენება იწყეს, როგორც საგლესი მასალისა, ე. წ. „ტერაცო“ წარმოადგენს მარმარილოს ფხვნილის, ჰიდრავლიკური კირისა და კვარცის ქვიშის ნარევს; უკანას-

კნელით მოპირკეთება უფრო იაფია, ვიდრე ცემენტით. გარდა ამისა იგი ლამაზია — დეკორაციული და მყარი.

ჩამოთვლილი არასრული მაგალითებიც კი ნათელყოფს, თუ რა დიდი პერსპექტივები აქვს ქუთაისის მარმარილოებს; ამჟამად მათი მეტად უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული.

საქ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ანგარიშში კ. ნ. ჩარკვიანი აღნიშნავს, რომ „ჩვენ მოვალენი ვართ გავაფართოოთ მარმარილოს მოპოვება და წარმოება, რათა დავაკმაყოფილოთ ამ მნიშვნელოვან საშენ მასალაზედ გაზრდილი მოთხოვნილება".

ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ქ. ქუთაისში შეიქმნას მარმარილოს წარმოების ძნიშვნელოვანი ცენტრი, რისთვისაც პირველ რიგში საჭიროა მოეწყოს კარიერების რაციონალური მეთოდებით დამუშავება და გაფართოვდეს თანამედროვე ტექნიკის მიხედვით ქალაქში ამჟამად მოქმედი მოზაიკის ქარხანა.

საბადოთა რაციონალური წესებით დამუშავების შემთხვევაში ჩვენი მარმარილო გახდება ექსპორტის საგანიც.

П. А. САГИНАДЗЕ

МИНЕРАЛОГО-ПЕТРОГРАФИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА МРАМОРОВ КУТАИССКОГО РАЙОНА

Резюме

В результате контактного воздействия магматичееких пород, внедрившихся в барремские известковистые доломиты и известняки, в районе образовались месторождения мрамора. Из них следует отметить месторождения в сел. сел. Баноджа, Хомули, Мелаури и Гелати. Образование первых трех месторождений вызвано внедрением тешенитовой магмы, месторождение же Гелати — внедрением базальтовой породы.

Мраморы в основном состоят из различных размеров зерен кристаллического кальцита. Величина зерен в среднем равна 0,02-0,09 мм. Взаимное соприкосновение в некоторых видах мрамора простое; в некоторых же — пластичные зерна соприкасаются друг с другом по зубчатому контуру. В мраморе в небольшом количестве встречаются обломки пород, состоящие из хлорита, серпентина и зерен рудного минерала. В некоторых образцах обнаруживается наличие брусита.

Мраморы представлены многими разновидностями, чаще всего встречаются белые и серые мелкозернистые.

В месторождениях Баноджа, Мелаури и Гелати мраморизации подверглись доломиты, а в Хомули чистые известняки.

Химические анализы мраморов и результаты технических испытаний дают довольно хорошую картину.

Мраморы Кутаисского района, в зависимости от пригодности для разных целей, можно разделить на электротехнический, декоративный, облицовочный, скульптурный, мозаичный и др. разновидности.

Добыча нужного для электротехнических целей мрамора возможна из месторождений Мелаури и Баноджа. Особенно хорошим диэлектриком является Мелаурский мрамор. Из него можно изготовлять электрораспределительные доски, изоляторы и др.

Из этого же месторождения получается облицовочный и декоративный мрамор. Этот мрамор имеет оригинальный рисунок и очень красив. Из этого месторождения возможна добыча крупных блоков (до 2 м³).

Добыча нужного для мелких вещей (письменные принадлежности, пепельницы и др.) мрамора возможна из всех вышеозначенных месторождений. Все они дают высококачественный материал, но с этой стороны надо особенно отметить гелатский и хомульский мраморы.

ციტირებული ლიტერატურა

1. Акентьев, С. Месторождение белого мрамора района Цхалтубо. Мин. ресурсы ССР Грузии. 1933.

2. Беликов, Б. П. Мраморы Грузии. Труды института геологических наук, вып. 34. Петрографическая серия (№ 12). 1940.

3. Беликов, Б. П. К петрографии тешенитовых пород района Кутаиси. Ак. Д. С. Белянкину к семидесятилетию со дня рождения и 45-ю научной деятельности. Изд. Ак. Н. СССР, 1946.

4. Вачнадзе, Н. Д., Фальк Ф. Ф. и Терьян А. Н. Цементное сырье Западной Грузии (Кутаисский район). Труды Грузинского отд. И. М. С., вып. I, 1938.

5. Джанелидзе, А. И. Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума, изд. Груз. Фил. Академии наук СССР, 1940.

6. Компаньони, И. Мрамор.-Минер. ресурсы ССР Грузии, 1933.

7. Ферсман, А. Е. Мрамор.-Нерудные ископаемые, т. II, 1927.

8. Ходот, В. Утилизация отходов мраморного карьера. Минеральное сырье, № 12, Москва, 1931.

9. Янушкевич, А. Сборник химических анализов горных пород и минералов Грузинской ССР. Тбилиси, 1930.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

სიმონ ყაუხჩიშვილი

ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში

I

ზოგიერთ ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლში ვამჩნევთ ახალი ქართული ენის თვალსაზრისით უცნაურ მოვლენას: ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული და მთავარი წინადადება უკავშირდება ერთიმეორეს კავშირების „დ ა“, „ხ ო ლ ო“ (ან სხვა რომელიმე კავშირის) მეშვეობით. მაგალითად:

«რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოკსენებულსა, და ქმნეს ტალავარი მახლობელად ბორცუსა მას» (ბასილ ზარზმელის თხზულებიდან).

ახალი ქართულის თვალსაზრისით ამ წინადადებაში ზედმეტია კავშირი „და“: „როდესაც წმინდანებმა (მიქელ პარეხელის მოწაფეებმა) დაიბანაკეს ზემოხსენებულ ადგილას, მათ ტალავარი გაიკეთეს ბორცვის მახლობლად“. რასაკვირველია, კავშირი „და“ ამ ორ წინადადებას შორის სრულიად არ არის საჭირო.

ასევე ზედმეტია ქვემომოყვანილ წინადადებაში კავშირი „ხოლო“.

«და ვითარცა მრავალგზის გუეუდრებოდა კაცი იგი, რაჲთა ღამესა მას სავანე ვყოთ სახლსა მისსა, ხ ო ლ ო წმიდამან მან მადლობით მიითუალა კეთილი იგი ჴონებაჲ მისი და ჰკითხა სახელი...» (ბასილ ზარზმელის თხზულებიდან).

ახალი ქართულის გაგებით, რასაკვირველია, აქ „ხოლო“ საჭირო არ არის: „რადგან ის კაცი (ია) ძალიან გვთხოვდა ეს ღამე ჩემს სახლში მოისვენეთო, სერაპიონმა მადლობით მიიღო ეს მისი კეთილი განწყობილება“.

რადგან ახალი ქართულის თვალსაზრისით კავშირი „და“, „ხოლო“ ამგვარ წინადადებებში სრულიად ზედმეტია და აზრსაც აბუნდოვანებს, ამიტომ ძველი ქართული ტექსტების გამომცემელნი ზოგჯერ მათ გადამწერთა შეცდომად სთვლიან და გამოცემის დროს გამოსტოვებენ ხოლმე.

ეს კავშირები „და“, „ხოლო“ შემთხვევით არ არის მოხვედრილი ქართულ ქვეწყობილ წინადადებებში, არც გადამწერთა უნებლიე შეცდომის შედეგს წარმოადგენს: მათი ხმარება ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას, რომელიც, როგორც ჩანს, ქართული ენის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ძალაში იყო. ეს კანონზომიერება შემდეგია: თუ დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, მაშინ მთავარი წინადადება იწყება ხოლმე კავშირით „და“, „ხოლო“ ან ზოგჯერ სხვა რომელიმე კავშირით.

ამ წესს მისდევს როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ძეგლი. მოგვყავს მაგალითები:

ბასილ ზარზმელის თხზულებიდან [1]

«ხოლო მო-რა-ეგო გონებასა წმიდაჲ იგი, რომელსა მრავალნი ეხილვნეს ნიშნი საღმრთონი, და მოუწოდა წმიდათა მათ და შეჰმუნებულითა პირითა ჰრქუა სერაპიონს» (151, 33).

«წიაღმოვლეს რა მდინარე იგი, და მოვიდეს დასავალით მისსა ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოვლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ» (153, 17).

«რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოკსენებულსა, და ქმნეს [ტალავარი] მახლობელად ბორცუსა მას და აღაგზნეს ცეცხლი» (154, 18).

«ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მამისა, და იხილნა იგინი და გულისხმა ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწლედ მოიკითხნა წმიდამან მან და წინაშე ხატსა წარავლინნა. და თაყუანი სცეს რა, და იკურთხნეს და განიხარეს დიდად ფრიად. მაშინ ჰრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ ძმათა» (155, 21).

«ხოლო ცნეს რა წმიდათა მათ, და მყის წინა მიეგებნეს მთავარსა და, სადა იგი წყაროო [არს], განვიდეს ადგილსა მას» (156, 19).

«და ვითარცა მივიდა მდინარესა მას, წინაშე მათსა მყოფსა, და იხილა მცირე რაჲმე კლდე და გარდაჰკდა მას ზედა და დაჯდა და მოუწოდა ერთსა ყრმათაგანსა და ჰრქუა მას» (157, 37).

[1] გვერდები და სტრიქონები აღნიშნულია კ. კეკელიძის გამოცემით. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 147-182.

«და ვითარცა მოიწინეს წმიდანი იგი ადგილსა მას, და კუალადცა ეტყოდა მათ მთავარი იგი: „გევედრები... (158, 12).

«და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, და ჰკითხა მას კაცსა წმიდამან მან» (160, 16).

«და ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა ბაბგენ უწოდიან, და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას ბობხა წოდებულსა, და გჳთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მის გარბანელისა» (161, 33).

«ვილოცევდით რა ადგილსა მას, და აჰა ესერა კაცი იგი გარბანელი და ჰაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი და ორნი კაცნი უცხონი და მოიწინეს სწრაფით ჩუენდა» (163, 18).

«რაჟამს იგი წარმოხუედით თქუენ, და ჰაბუკი ესე იყო ფრიად მაშურალ» (163, 26).

«ხოლო მო-რა-იწია ჰაბუკი იგი წინაშე მთავრისა, და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად» (164, 24).

«და ვითარცა წარვიდა მიერ წმიდაჲ სერაპიონ და მოვიდა თჳსთა მათ თანა კრებულთა, და ყოველნი მიეგებნეს სიხარულით და მოიკითხეს სურვილით» (172, 20).

«და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებასა და მშვიდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისსა, და კეთილად წარემატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლაჲსა და შვილთა მისთადა» (173, 24).

«და ვითარცა განკსნეს მანდილი, რომელსა შინა გამოკრულ იქმნა, და იპოვა, ვითარცა პირველ ეთქუა კაცსა მას» (180, 6).

„ქართლის ცხოვრებიდან"

«აღავსის დრაკნით რა დღე სარწმუნოთა თუისთა ხელითა, და სამწუხროდ ცარიელი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა» (ანასეული ქ. ცხ. 227, 9-10).

«უკეთუ იძლივნენ, და იქმნენ თანა-ერთხმა სჯულისა და თუისი სჯული შეაჩუენონ» („თუ დამარცხდებიან, თქვენ რჯულს მივიღებთ და ჩვენსაზე ხელს ავიღებთო") (ანასეული ქ. ცხ. 229, 32-33).

დამოკიდებული და მთავარი წინადადებების დაკავშირების მიზნითვე იხმარება „ხოლო"-კავშირიც.

«აღეშენა რა წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით მიქელ და აღაშენა... ეგუტერი» (ბასილ ზარზმ. 150, 20).

«ხოლო ეუწყა რა უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მხეცებრივ, უწირავ და ბოროტ» (იქვე 153, 11).

«და ვითარცა მრავალგზის გუეევედრებოდა კაცი იგი, რათა ღამესა მას სავანე ვყოთ სახლსა მისსა, ხოლო წმიდამან მან მადლობით მიითუალა კეთილი იგი გონებაჲ მისი და ჰკითხა სახელი...» (იქვე 160, 5-7).

«და ვითარცა ვჰკითხავდით, თუ რაჲმე იყო ხმაჲ ესე და ძრავაჲ, ხოლო ამათ მოგვგეს და გურქუეს, რამეთუ „განიპო კლდე იგი...“» (იქვე 163, 33).

«და ვითარცა გარდავლეს მთაჲ იგი, არსიან წოდებული, და მივიდეს ხევსა ყუელისასა, ხოლო იქმნა რაჲმე მუნცა ნაკლულევანებისა სრულყოფაჲ განგებულებით, რამეთუ აჰა ესერა მოეგებნეს კაცნი ვინმე მონაზონნი და ჰრქუეს: .....» (იქვე 171, 33).

«და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჯალათა ანუ ნაჯარმაგევს, რომელი ყოველად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, ხოლო ცხენ-კეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან (v. l. მოინახიან), ეგრეთღა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა» (ანასეული ჭ. ცხ. 205, 20-23).

II

ასე მასობრივად „და“ და „ხოლო“ კავშირების ხმარება დამოკიდებული და მთავარი წინადადებების ერთიმეორესთან დასაკავშირებლად, რასაკვირველია, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს: მის შემთხვევითობას ძალას უკარგავს ის კანონზომიერება, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს ყველა ზემომოყვანილ მაგალითს: კავშირები „და“ და „ხოლო“ ნახმარია იმ შემთხვევაში, როდესაც დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს.

ძველ ენათა შორის ქართული, ამ მხრივ, არა დგას განმარტოებით. იგივე მოვლენა შეიმჩნევა ძველს ბერძნულშიც.

ბერძნული ენის გრამატიკებში აღნიშნულია, რომ ბერძნულს ენას არ უყვარს ახალს წინადადებაზე გადასვლა უკავშიროდ. ამ მიზნით მეორე შესაკავშირებელ წინადადებას ის აერთებს კავშირებით: *και* („და"), *δε* („ხოლო").

როგორც ტიპიური მაგალითები შეგვეძლო მოგვეყვანა შემდეგი წინადადებები:

1) „ილიადა" 22, 247:

ὡς φαμένη και κερδοσύνῃ ἡγήσατ' Ἀθήνη

თქვა რა ასე, და ვერაგულად წინ წამოდგა ათენა.

2) თუკიდიდე IV. 100: *ἄλλῳ τε τρόπῳ πειράζοντες καὶ μηχανὴν προσήγαγον* „სცადეს რა სხვა ხერხით[აც], და მანქანაც მოიტანეს.

ეს ორი მაგალითი არ არის ერთნაირი: მეორე შემთხვევაში (თუკიდიდესთან) *και* უდრის „აგრეთვეს", ქართულად „ც"-ს; მას წინამორბედ დამოკიდებულ წინადადებაში *τε* უძღვის. მეორე წინადადებაში კი, ჰომეროსთან, *και*-ს ასეთი მნიშვნელობა არა აქვს, ის უფრო კოპულაა, რომლის დანიშნულებაა გადააბას ორი წინადადება.

ხშირია რელატივური წინადადების შემდეგ *καί*-კავშირით დაწყებული წინადადება:

I კორინთ. 8, 6: *ἀλλ' ἡμῖν εἷς θεὸς ὁ πατήρ, ἐξ οὗ τὰ πάντα καὶ ἡμεῖς εἰς αὐτόν* არამედ ჩუენდა ერთი არს ღმერთი მამა, რომლისაგან არს ყოველი, და ჩუენ მისა მიმართ.

აბოკალ. 17, 2: *μεθ' ἧς ἐπόρνευσαν οἱ βασιλεῖς τῆς γῆς, καὶ ἐμεθύσθησαν οἱ κατοικοῦντες τὴν γῆν ἐκ τοῦ οἴνου τῆς πορνείας αὐτῆς* რომლისა თანა ისიძვეს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და დაითრვნეს ყოველნი მკუიდრნი ქუეყანისანი ღვინისა მისგან სიძვისა მისისა.

II პეტრე 2, 3: *οἷς τὸ κρῖμα ἔκπαλαι οὐκ ἀργεῖ, καὶ ἡ ἀπώλεια αὐτῶν οὐ νυστάζει* რომელთა სასჯელი პირველთაგან არა დასცხრების, და წარსაწყმედელსა მათსა არა ჰრულის.

მიზნის აღმნიშვნელ წინადადებას მომდევნო, ფუტურუმით გამოხატული წინადადება უკავშირდება *και*-თი.

ლკ 22, 30: *ἵνα ἔσθητε καὶ πίνητε ἐπὶ τῆς τραπέζης μου ἐν τῇ βασιλείᾳ μου, καὶ καθήσεσθε ἐπὶ θρόνων τὰς δώδεκα φυλὰς κρίνοντες τοῦ Ἰσραήλ* რაჲთა სჭამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ჩემსა, და დასხდეთ ათორმეტნი (DE თქვენ ათორმეტთა) საყდართა და სჯიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა.

„საღმრთო წერილის“ წიგნებიდან ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ქართულადაც „და“ არის ნახმარი და შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ ძველს ქართულში დამოკიდებული და მთავარი წინადადების შესაკავშირებლად ნახმარი „და“ ბერძნულის გავლენით აიხსნებოდეს. მაგრამ იმავე ლუკას სახარების სხვა ადგილას ჩვენ გვხვდება ქართულ წინადადებაში იმავე მიზნით ნახმარი „და“-კავშირი, იმ დროს როდესაც სათანადო ბერძნულ წინადადებაში ამგვარი კავშირი არაა.

«ვინაჲთგან აღდგეს სახლისა უფალი და დაჰკშას კარი, და გარეშე სდგეთ და იწყოთ რეკად კარსა და იტყოდით: უფალო, უფალო, განგუიღე ჩუენ!» (ლუკა 13, 25) („როდესაც სახლისუფალი ადგება და კარებს გამოგიკეტავთ, თქვენ გარეთ იდგებით და დაუწყებთ კაკუნს...“).

მაშასადამე, „და“-კავშირის ხმარება ქართული სინტაქსური წესით ყოფილა გამოწვეული და არა ბერძნულის გავლენით.

რაც შეეხება ძველს ბერძნულში ამ მოვლენის ახსნას, ჯერჯერობით შეგვიძლია შემდეგი ვთქვათ: ამ მოვლენისათვის ინდოევროპულ ნიადაგზე ახსნა მკვლევართა მიერ მოძებნილი არაა. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, როდესაც ვიკვლევდით „რომელი“-ნაცვალსახელის მნიშვნელობას, აღგვენიშნა, რომ ბერძნულში სადაოდ არის გამხდარი მისი რელატიური მნიშვნელობის წარმოშობის საკითხი და რომ მეტი წილი მკვლევართა იმ აზრს ადგას, „რომ ბერძნულმა ამ ნაცვალსახელის ფუნქცია, როგორც რელატიურისა,

დამოუკიდებლად კი არ განავითარა, არამედ წინაბერძნული დროიდან მოიტანა“ [1]. ადვილი შესაძლებელია, ჩვენს შემთხვევაშიც ბერძნული *και*-ს ფუნქცია იმავე წინაბერძნული დროის მასალებით უნდა აიხსნას.

III

ძველი ქართული ტექსტების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ დამოკიდებული და მთავარი წინადადებების ერთიმეორესთან გადაბმა ოდესღაც ხდებოდა რაიმე კავშირის მეშვეობით და ამ კავშირის როლს ასრულებდა არა მარტო „და“ და „ხოლო“, არამედ ზოგიერთი სხვა კავშირიც: „კუალად“. „მერმე“. „აწ კუალად“, „ვინაჲ აწ“. „ამისთუისცა“ და სხვა. ასეთი მაგალითი მრავალი გვხვდება იოანე პეტრიწთან.

«შემდგომად ათ და მეოთხისა თავისა, რომელთა შორის განყვნა არსთა ყოველთა აობანი სამტომად: მიუდრეკელად, და თუითმიმდრეკად და სხუისა მიერ მიდრეკილად — ხოლო აწ აჰა ამას თავსა შორის განყოფს უსხეულოსა და სხეულთა, ვინაჲ იტყუის...» (იოანე პეტრიწის შრომები, II. 48. 21).

«ვინაჲთგან ამას ზემოსა თავსა შორის სამად გაყო ერთი, და ორნი ერთნი მის ზესთაჲსა ერთისგან წარმოაყენნა, და თუით ზესთაი სირაი ერთი ზესთ დადვა. — ხოლო აწ ამას თავსა შორის სამად გაჰყოფს: მიზეზსა. და მიზეზოანსა, და უმიზეზოსა» (იქვე, II, 65, 25).

«ვითარ წარვლო სიტყუამან ერთისა და სიმრავლისათუის, რომელსა თუით ბუნებით ჰქონდეს თუის შორის სიძნელენი, ვინაი აწ შეეხების კატასკევსა, რომელ არს დაკაზმეაი აღმოსაჩენთაი, და იტყუის...» (იქვე II. 14. 28).

«სრულ ყო რაი სიტყუაი მეათორისა თავისაი, რომელი იტყოდა, ვითარმედ პირველი კეთილობაი არს უპირატესი მიზეზი ყოველთაი, და აწ ათ და მესამესა თავსა ზედა დაჰრთავს ერთისა და კეთილობისათუის, რომელთაც აღმოაჩენს მათ ერთ და იგივეობად» (იქვე II, 45. 5).

[1] იხ. თბ. სახ. უნ. შრომები, ტ. XXX-XXXI *ბ*, თბ., 1947, გვ. 428.

«სრულ ყო რაი თავი მეათერთე სიტყუაი და მტკიცეთა აღმოსაჩენთა მიერ შეკრა დაუხსნელი სირაი მათი, რომელი იტყოდა, ვითარმედ ერთი არსო ძირი და მიზეზი მყოფთა წარმოობისაი, აწ კუალად ზედ მოჰმართა მეათორესა თავსა აღმოსაჩენთასა, ვინაი იტყუის...» (იქვე II, 43, 23).

«სრულ ყო რაი თავი ათ და მეექუსე, კუალად ზედა დაჰრთო ათ და მეშუიდე» (იქვე II, 51, 6).

«ესთა რაი სრულ ყვნა ხედვანი ესე საუკუდავოთანი, კუალად მოჰმართა დასაბამებრსა ერთსა, მიზეზსა ყოვლისა სირაისასა, და იტყუის...» (იქვე II, 61, 24).

«სრულ ყო რაი ესე ხედვაი, კუალად მოქენესა და უმოქენოსა აღსიტყუავს და იტყუის...» (იქვე II, 62, 33).

«და ვითარცა ესე აღმოაჩინოს და დამსჭუალოს უძრავად და შეურყეველად ყოვლისა ცთომილისა მბრძოლისაგან, მერმე აღიღებს მას აღმოჩენილსა და უმხილებელსა პირსა და სხუასა შემდგომსა აღმოაჩენს» (იქვე II, 4, 7).

სხვა ძველი ქართული ტექსტების შესწავლაც ამ მხრივ, ვფიქრობთ, დაადასტურებს ჩვენ მიერ დადგენილ წესს ძველი ქართული სინტაქსისას.

С. Г. КАУХЧИШВИЛИ

ОБ ОДНОЙ СИНТАКСИЧЕСКОЙ ОСОБЕННОСТИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Автор устанавливает одну синтаксическую особенность в древнегрузинском языке: в ряде текстов, как переводных так и оригинальных, в подчиненном предложении главное предложение связывается с предшествующим ему придаточным предложением посредством союзов და („и“), ხოლო („но“, же) и других. Напр.:

«ხოლო მო-რა-იწია ჰაბუკი იგი წინაშე მთავრისა, და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად» („когда юноша прибыл к правителю страны, и всё рассказал ему последовательно“);

«და ვითარცა ვჰკითხავდით, თუ რაიმე იყო ხმაი ესე და ძრავაი, ხ ო ლ ო ამათ მოგუიგეს და გურჭუეს...» („когда мы спросили, что может означать этот шум, они же ответили и сказали нам...").

Излишние в этих примерах с точки зрения новогрузинского языка союзы და и ხოლო закономерно употребляются в ряде древнегрузинских текстов.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

მიხეილ ალავიძე

გიორგი ინასარიძის ვინაობის საკითხისათვის*

ლეჩხუმში ფართოდ არის გავრცელებული ხალხური თქმულება გიორგი ინასარიძის შესახებ. გ. ინასარიძე იყო ლეჩხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის მფლობელი, შესანიშნავი გმირი, რომელიც ლეკ და თურქ მძარცველ-ამაოხრებელთა ურდოებს ებრძოდა. ამ პირის ცხოვრებას საისტორიო წყაროები არ იცნობს.

გ. ინასარიძე დაკრძალულია სოფ. ლაბეჭინაში. ლაბეჭინა მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე, ჭრებალოს ჩრდილო-დასავლეთით. სოფელი გაშენებულია მაღალ ქედზე და გადაჰყურებს რიონის ხეობას ხიდიკარსა (ზემო რაჭის შესავალი) და ხვამლს (შუა ლეჩხუმი) შორის.

ლაბეჭინის ეკლესიის კუთხეში (გარეთ) ჩვენ ვიპოვეთ აკლდამა, სადაც დაუკრძალავთ გ. ინასარიძე და მისი მეუღლე ანა ჩხეტიძე.

აკლდამა ექვსი მთლიანი გათლილი ქვის კედლისაგან შედგება. მისი სიგრძეა ორი მეტრი. სიგანე კი — 120 სანტიმეტრი. შიგ მხოლოდ ცოლ-ქმრის ჩონჩხია მოთავსებული.

აკლდამას იცავდა ქვის შენობა, რომელიც ახლა დანგრეულია.

თქმულება გიორგი ინასარიძის შესახებ ჩვენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირისაგან მოგვისმენია.

გ. ინასარიძის თავგადასავალი მოგვითხრეს ეკა გორდეზიანმა, სერგი ალავიძემ, პანტელეიმონ ბოჭორიშვილმა (საირმე), ეფრემ ჩარკვიანმა (სურმუში), პოეტმა სევერიან ისიანმა (ზოგიში) და მელქისედეკ ასათიანმა (დერჩი).

თქმულების შინაარსი ასეთია:

---

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიაზე 1949 წლის 26 თებერვალს.

გიორგი ინასარიძის სამფლობელოს რიონის ხეობის ლეჩხუმი შეადგენდა. წიფლარიდან [1] და წუგნა-მალიეთიდან [2] ასკამდის [3] და ორპირამდის [4] რაც მიწა-წყალია, იმას ეკუთვნოდა.

გიორგი ინასარიძის იყო საირმე, ჟყვიში, ლაბეჭინა, ღვარდია, ზოგიში, აჭარ-ალპანა და კლდედაღმართის [5] სოფლები — ტვიში, ქორენიში, ორხვი, დერჩი, მექვენა, ვანი, ბენთქოულა, ონჭეიში, დღნორისა, საჩხეური, ჩორთისა, ჭაშლეთი და ღეხიდრისთავი.

ახლა ინასარიძეები ლეჩხუმში არ ცხოვრობენ. გიორგი ინასარიძეს სასახლე საირმეში ჰქონდა. საირმელები დღესაც სოფლის თავში მდებარე სახნავ მიწას „ინასარიძის ნამოსახლს“ უწოდებენ.

ინასარიძე ყოფილა შესახედავად წარმოსადეგი და ღონით ძლიერი. ომში იგი ატარებდა მუზარადსა და ჯაჭვის პერანგს. მეტსახელად „თვალიას“ ეძახდნენ.

გიორგი ინასარიძის დროს ლეჩხუმში შეჭრილან ლეკებისა და თათრების ჯარები. ინასარიძეს თავისი მეომრებით გაუნადგურებია ისინი.

ლეკებმა ქვემო დერჩში ცეცხლი გაუჩინეს თამარ მეფის დროის საუკეთესო ტაძარს. ინასარიძემ ეს შენობა დაწვას გადაარჩინა.

ინასარიძის მიერ აშენებული ციხეები აქ ახლაც არ არის დანგრეული. ერთი ამ ტაძარს იცავდა, მეორე კი ზემო დერჩში დგას.

ლეკებს ინასარიძე შებრძოლებია ზოგიშიც. თანავიშვილების ძველი ციხე-ნამოსახლის ახლოს. აქ მას ბინულის წყალი მტარვალთა სისხლით შეუღებავს. ამის შემდეგ დაერქვა ამ წყაროს „ლეკის წყალი“.

ერთხელ გიორგი თავისი ამალით ოკრიბაში ნადიმობდა.

ამ დროს ლეჩხუმს—ინასარიძის სამთავროს—იმერეთიდან, ცხენისწყლის ხეობით, თათრები შემოესივნენ. სოფლები აოხრეს, ცე-

---

[1] წიფლარი ღელე და ტყე იმერეთ-ლეჩხუმის საზღვართან.

[2] წუგნა-მალიეთი იმერეთ-ლეჩხუმის საზღვარი. წუგნა სახნავი მიწაა სოფ. ლეხიდრისთავში, მალიეთი კი ნასოფლარია.

[3] ასკი მდინარე, რაჭა-ლეჩხუმის საზღვარი.

[4] ორპირი — მდ. ლაჯანურის ხეობა (აჭარის ხიდიდან ჭილეშამდე).

[5] კლდედაღმართი — ქვემო ლეჩხუმი.

ცხლს მისცეს. გადმოიარეს გველითავი[1]. ბოლოს საირმე. ჭყვიში და ლაბეჭინაც დაარბიეს. გადაწვეს.

აწიოკებული მოსახლეობა მთებში გაიხიზნა.

ინასარიძემ შეიტყო მტრის თავდასხმა და სასახლისაკენ გაემართა.

წყალატორაში[2] შეხვდა თავდახრილი მოხუცი დედაბერი. გიორგიმ მას ამბავი გამოჰკითხა.

ქალმა, რომელსაც არ ენახა მთავარი, უპასუხა: თვალი დაუდგა თვალია ინასარიძეს, ის ოკრიბაში ქეიფობს და მისი სოფლები კაურჯულო ხალხმა აოხრაო.

ზოგიშის ხიდზე მარტო ერთი ხე დარჩენილიყო რიონზე გადებული. ინასარიძე მასზე გავიდა თავისი ჯორით. საჭაროდ გასწია საირმისაკენ.

ჯორი სწრაფად მიჰქროდა. მის ფეხის ნაკვალევს. რომელიც კლდოვან სოგორზე[3], კაზიურსა[4] და ლალუმელაშს[5] შუა, არის გაქვავებული. დღესაც „ჯორისწიხლისდანაკრავს“ უწოდებენ.

გიორგი ინასარიძეს ყველაფერი გადამწვარი დაუხვდა. საბუკიაზე[6] ბუკით შემოკრიბა თავისი ხალხი. აისხეს იარაღი და დაედევნენ მომხტურთ.

დაეწივნენ მტერს ხელიშურთან[7] და შეებრძოლნენ. თათრები დაამარცხეს.

ნადავლი დაიბრუნეს და შინისაკენ გამოსწიეს.

ინასარიძემ მეუღლეს გამარჯვების მახარობელი გაუგზავნა. ანა გამოეგება. მთავარი ჯორიდან ჩამოხტა.

ჯავშანს ის ისე დაებეჟა ბრძოლაში, რომ მეტისმეტად დაქანცულიყო, სხეულს ვეღარ მოერია და მიწაზე დაეცა.

ქმრის მოულოდნელი სიკვდილით ელდანაცემი ქალიც გარდაიცვალა.

---

[1] გ ვ ე ლ ი თ ა ვ ი ულელტებილი სურმუშ-გენდუშის მთაში.

[2] წ ყ ა ლ ა ტ ო რ ა ადგილი სოფ. ცაგერას მთაში.

[3] ს ო გ ო რ ი დაბალი სერი.

[4] კ ა ზ ი უ რ ი ტყით დაფარული გორა, რომლის ძირში დიდი ღელეა და მღვიმეა (საირმე).

[5] ლ ა ლ უ მ ე ლ ა შ ი ჩახნავი მიწა (საირმე).

[6] ს ა ბ უ კ ი ა სოფ. საირმის ერთ-ერთი კორტოხი.

[7] ხ ე ლ ი შ უ რ ი მდ. ლაჯანურის შენაკადი.

გიორგი ინასარიძემ თავის სიცოცხლეში ლაბეჭინის ეკლესიას სამხრეთ-დასავლეთით მიაშენა ქვის ოთახი. შიგ, დიდ აკლდამაში, დაბარხეს ცოლ-ქმარი.

* * *

წინათ ლაბეჭინის ეკლესიას ჰქონია ეკვდრები სამხრეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით. ახლა მათი კვალი აღარსად ჩანს. შესამჩნევია მხოლოდ მეოთხე ეკვდერი, რომელიც გიორგი ინასარიძის აკლდამას იცავდა. მისი სახურავი, თაღი და კედლები ჩამოქცეულია. ნანგრევებს დაუფარავს აღმაშენებლის საფლავი.

1910 წელს, როცა ე ქ ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა შეისწავლა ლაბეჭინის მატერიალური და წერილობითი ძეგლები, ამ ეკვდერს კედლები ჰქონდა, ხოლო ჩამოწოლილი თაღის ნანგრევებისაგან გაწმენდილი არ იყო.

ე. თაყაიშვილს აქ გათხრა არ ჩაუტარებია. მას გიორგი ინასარიძის საფლავი არ უნახავს.

სამხრეთ-დასავლეთის ეკვდერს, — წერს ე. თაყაიშვილი, — შესავალი დასავლეთიდან აქვს და აქედან მეორე კარს მიჰყავხართ დასავლეთის ეკვდერში. ამ კარს, ზემოთ, ქვაზე სანახევროდ გადასული ასომთავრული წარწერა აქვს: „აღვაგეთ ეკუდრი ესე ჩუენ ინასარიძემან [გიორგიმ] და თანამეცხედრემან ჩემმან ჩხეტიძის ქალმა ანამ მკსნელად ცოდვილისა [სულისა] ჩუენისათუის...“ [1]

გიორგი ინასარიძის საფლავის ქვაზე ირგვლივ შემდეგი ასომთავრული წარწერა ამოვიკითხეთ: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ინასარიძე გიორგი. ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე, ნეტარ არს გზა ესე, რომელსა წარმართებულ ვარ. შენ გეეედრები, ღმერთო, დიდება შენდა“.

ეს წარწერა, მცირეოდენი განსხვავებით, პირველად ამოიკითხა ადგილობრივმა მცხოვრებმა ბოჭორიშვილმა და თბილისში მიაწოდა ე. თაყაიშვილს (დასახელებული ნაშრომი, გვ. 14).

1936 წელს აკლდამა ჩვენ გავწმინდეთ, გავზომეთ და ეპიტაფიაც გადმოვიღეთ [2].

---

[1] არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, 1937, გვ. 14.

[2] ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941, გვ. 240.

გ. ინასარიძის ეპიტაფიის იგივე ტექსტი ამოიკითხა და დაბეჭდა პროფ. გ. ჩიტაიამაც [1].

ე. თაყაიშვილს აღწერილი აქვს ორი ხატი, რომლებიც ეკლესიისათვის შეუწირავთ გ. ინასარიძესა და მის მეუღლეს. მკვლევარი ამ ხატებს მე-17 საუკუნეს აკუთვნებს (დასახელებული ნაშრომი, გვ. 28-29).

როგორც ჩანს, ეპიტაფია ამ მთავრის გარდაცვალების თარიღს არ გვაცნობს. სამეცნიერო ლიტერატურაში კი გ. ინასარიძის ვინაობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ხალხი დღესაც გ. ინასარიძესა და მის ცოლს მეფე-დედოფლად იხსენიებს.

რომელ საუკუნეში იყო გ ინასარიძე?

ვახუშტი ბაგრატიონი რაჭის წარჩინებულთა შორის ინასარიძის გვარსაც ასახელებს [2].

„საინასარიძო" გვხვდება მარტვილის ტაძრის წარწერაში.

მარტვილის ტაძრის კედელზე გამოხატულია კაცია ჩიქვანი და მისი ოჯახის წევრები.

ცნობილია, რომ კაცია ჩიქვანს (ლეჩხუმის პატრონს) სამეგრელოს მთავარმა ლევან მესამემ უწყალობა სალიპარტიანოს ბატონობა და მთელი სადადიანოს ვაზირობაც. ლევანის სიკვდილის შემდეგ, 1681 წელს, კაცია სამეგრელოს სრული გამგებელი გახდა.

ამას თვით წარწერაც მოწმობს: „...ჩვენ ... ლეჩხუმის და საინასარიძოს და სალიპარტიანოს პატრონმან დიდის ხელმწიფისა მეფისა და დადიანის ვაზირმან. იმერეთისა-ოდიშისა თაუმან და სარდალმან ჩიქვანმან კაციამ და თანამეცხედრემან ჩვენმან დიდისა... და ძემან ჩვენმან გიორგიმ, იოსებ, ოტიამ დავახატვინეთ სამხრო ესე..." [3]

„საინასარიძოს" არსებობას ადასტურებს მარი ბროსეც. იგი წერს: „მოიპოვა რა გავლენა ლეჩხუმში და დადიანის ნდობა, კაცია შეიქნა საინასარიძო და სალიპარტიანო მაზრების მფლობელი" [4].

---

[1] ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XII-B. 1944, გვ. 262.

[2] აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 26.

[3] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 76.

[4] საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე, 1900, გვ. 205.

„საინასარიძოში“ ჩვენ ვგულისხმობთ გიორგი ინასარიძის სოფლებს — რიონის ხეობის ლეჩხუმს. სხვა გამოჩენილ ინასარიძეს ხალხური გადმოცემა არ იცნობს.

იმერთა მეფე ბაგრატ ალექსანდრეს-ძე 1669 წელს ვრცელ მიმართვას უგზავნის რუსეთის ხელმწიფეს ალექსის. ბაგრატი, როგორც ამ წერილში ვკითხულობთ, თაყვანს სცემს მას, დიდ იმედად მიიჩნევს, იმერეთზე მფარველობას სთხოვს.

მიმართვა შეიცავს იმერეთის სამეფოს წარჩინებულთა და სახელმწიფო საქმეების ბჭობაში მონაწილე პირთა სიას. სიაში მოხსენებულია „ბაიარი“ (თავადი) ინასარიძე გიორგიც [1].

ამ წყაროდან ვრწმუნდებით, რომ გ. ინასარიძე ბაგრატ მეფის ქვეშევრდომი იყო და იმერეთის სამეფო დარბაზში ირიცხებოდა.

მნიშვნელოვანია შემდეგი ცნობაც: ალექსანდრე მეფემ 1651 წელს თავის სახელოვან პირთა თანადასწრებით რუსეთის ხელმწიფის სახელზე ფიცი დასდო. აღნიშნული ფიცის წერილის [2] სიაში, თავადთა და შინაყმათა შორის, ვეცნობით ქაიხოსრო ინასარიძესაც.

შესაძლებელია, რომ გიორგი ინასარიძე ქაიხოსროს მემკვიდრე ან უახლოესი ნათესავი იყოს.

ქაიხოსროს დროს, გიორგი ინასარიძის გაძლიერებამდის, „საინასარიძო“ უფრო მცირე ტერიტორიას აერთიანებდა, მაგრამ ლეჩხუმის ფარგალს არ სცილდებოდა.

ამ აზრს ერთ-ერთი შეწირულების საბუთი ნათელყოფს: „ქკნს ჳამასორმოცდაექუსსა [1658] ჩვენ ინასარიძემან ხოსიამ და ჩემმა შვილმა მამუკამ და ქაიხოსრომ ესე წიგნი მოგართვით თქვენ ცაგერისა ღვთის შობელს ამა პირსა ზედა, რომ ლეხიდარსა და ჯვარდამწვარს შუა რაც ნოსაკრეფელობა მოვიდოდა, ყველასი შესამედი ჩვენი იყო და ორი წილი ცაგერლისა. აწ ჩვენი სულის საოხად ყველა ესე ხელმოხსნით შემოგვიწირავს ..“ [3]

ყურადღებას იპყრობს შემდეგი ძეგლიც:

ე. თაყაიშვილს განხილული აქვს ლაბეჭინის ეკლესიაში დაცული სახარების ხელნაწერი [4], რომელიც გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა და გადაწერილია მწირის გიორგი დვალის მიერ.

---

[1] ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, წიგნი პირველი, 1925, გვ. 207.

[2] ს. კაკაბაძე, მასალები, გვ. 206.

[3] ს. კაკაბაძე, საცაგერლოს გამოსაველის დავთარი, 1914, გვ. 14.

[4] ჟურ. პრომეთე, 1918, № 1, გვ. 71-78.

ოთხთავს ბოლოში ახლავს გაბრიელ ლაბეჭინელის წერილი, ნუსხახუცურით შესრულებული. ე. თაყაიშვილის აზრით იგი მე-14 საუკუნემდეა შედგენილი.

წერილში მოთხრობილია, თუ როგორ ააშენა მოძღვარმა გაბრიელ ლაბეჭინელმა ეს ეკლესია მე-13 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ძლიერმა მიწისძვრამ ის სრულიად დააქცია.

ერთგან, გაბრიელის შემწეთა შორის, ნახსენებია ვინმე ზოგიშელი გლეხი „ნიკოლოზის ინასარიძისეული ბენმუქისძე". ეს ნიკოლოზი ჩვენ გიორგი ინასარიძის წინაპრად მიგვაჩნია.

ამრიგად, „საინასარიძო" რიონის ხეობაში იყო. გიორგი ინასარიძე მე-17 საუკუნის სამოცდაათიან წლებში ცხოვრობდა.

М. Н. АЛАВИДЗЕ

К ВОПРОСУ О ЛИЧНОСТИ ГЕОРГИЯ ИНАСАРИДЗЕ

Резюме

В Лечхуми весьма распространено народное сказание о Георгии Инасаридзе. Георгий Инасаридзе был владетелем юго-восточной части Лечхуми и считался народным героем. Он вел борьбу против захватчиков Лечхуми — лезгин и турок.

В углу, с внешней стороны церкви села Лабечины, нами найден склеп, в котором похоронены Георгий Инасаридзе и его супруга, урожденная Чхетидзе.

Склеп состоит из шести цельных тесанных каменных стен, длиной в два метра, а шириной в 120 сантиметров. Внутри склепа были обнаружены только скелеты супругов. Склеп был защищен ныне разрушенной часовней.

На могильном резном камне Георгия Инасаридзе имеется надпись, прочтенная нами. Эпитафия не сообщает даты смерти владетеля.

В научной литературе относительно личности Георгия Инасаридзе нет никаких сведений.

В надписи Мартвильской церкви упомянуто „Саинасаридзо", что означает „владения Инасаридзе". Существование „Саинасаридзо" подтверждает также Мари Броссе.

„Саинасаридзо" нами толкуется как владения, т. е. села Георгия Инасаридзе. Народное сказание не указывает другого какого-либо выдающегося Инасаридзе.

Имеретинский царь Баграт в 1669 г. посылает пространное обращение к русскому государю Алексею Михайловичу. Баграт в этом письме бьет челом ему, называет его своей надеждой и просит покровительства.

В обращении имеется список знатных людей имеретинского царства и лиц, участвовавших в обсуждении государственных дел. В списке значится подпись „боярина" (князя) Инасаридзе Георгия.

Этот источник подтверждает, что Георгий Инасаридзе был подданным царя Баграта и числился в царском совете Имеретии.

Владения Инасаридзе („Саинасаридзо") находились в долине реки Рионн, и Георгий Инасаридзе жил в семидесятых годах XVII столетия.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

მიხეილ ალავიძე

მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რიონისა და ცხენისწყლის შუაწელის გასწვრივ მდებარე ტერიტორია და მდ. ლაჯანურის მთელი ხეობა ლეჩხუმის სახელით არის ცნობილი.

ლეჩხუმის საზღვრებია: აღმოსავლეთით მდ. ასკი (რაჭა), დასავლეთით ასხის მთა (სამეგრელო), სამხრეთით საზღვარა (იმერეთი) და ჩრდილოეთით ყვედრეშის ღელე (სვანეთი).

წინათ ლეჩხუმი, რომელსაც თაკვერს [1] უწოდებდნენ, იმერეთის სამეფოს ნაწილი იყო. შემდეგ ეს კუთხე და ქვემო სვანეთი რუსეთის თვითმპყრობელობის დამყარებამდის, თითქმის საუკუნენახევრის განმავლობაში, და შემდეგაც (1681-1853) სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა. მურში დადიანის სასახლე იდგა.

---

[1] ლეჩხუმი (და ზოგჯერ რაჭა-ლეჩხუმიც) ძველ ძეგლებში „თაკუერად" იხსენიება: „მომრცემია შენდა და გჭონდეს საუზუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, და თ ა კ უ ე რ ი, არაგუეთი და გურია" (ანასეული ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 153); „დალოცეს კვირიკეს ძე კახაბერი ერისთავი რაჭისა და თ ა კ უ ე რ ი ს ა " (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, მარიამ დედოფლისეული ნუსხა, 1906, გვ. 400); „...თ ა კ ვ ე რ ი, რომელსაც აწ ჰქვიან ლეჩხუმი..." (ქართლის ცხოვრების გაგრძელება, მ. ჯანაშვილი, 1907, გვ. 46).

გაბუშტი ემყარება ლეონტი მროველის თხზულებაში (ცხოვრება ქართველთა მეფეთა...) არსებულ ცნობას და ამბობს: „პირველად თაკვერს უწოდებდნენო რაჭას ბაგრატიონთამდე". თაკვერად ის ცხენისწყლის ხეობას მიიჩნევს (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 148).

„...იქნებ წინათ, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — „თაკუერი" საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ სახელი „რაჭა" შემოიღეს და თაკვერი კი ლეჩხუმს შერჩა" (ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1948, გვ. 48).

დღეს ეს სიტყვა ცოცხალ მეტყველებაში არ დასტურდება.

საგულისხმოა, რომ სოფ. ქვედა ლუხვანოში ერთ-ერთი უბნის („კიბაბეული") მახლობლად არის საძოვარი და სახნავი მიწა. ამ ადგილის სახელწოდებაა თ ა კ ვ ა რ ე ლ ი ა ნ ი (დოც. ი. სალიბაძის ცნობა).

აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა ხალხი. მას ჰქონდა ქართული დედაენა, ყოფა-ცხოვრება და ადათი.

ლეჩხუმის ბევრი სოფელი მაღლობზეა, მთის კალთებში არის მოქცეული. მთებს შორის უმაღლესია ხვამლი. უმეტესი სივრცე ვენახს, სახნავ-სათესს, ტყესა და კლდეს უჭირავს. დიდი საძოვრები და ველ-მინდვრები არ მოიპოვება. ყველაზე მეტ ფართობს ცხენისწყლის დაბლობი შეიცავს. ის ცაგერსა და სარეწკელას შორის იმყოფება. ლაჯანურს დობიროები — მაღლარები — აკრავს. რიონის ხეობაშია ფორაშჯალა, ღაბარები და ვანისჯალა; ნაველაშის, საირშის, ალპანა-ზოგიშის, ორხვისა და დერჩის ვენახები.

ნიადაგი ნოყიერია, ჰავა—ზომიერი. საუკეთესო ხარისხის პური, სიმინდი, ლობიო, ღვინო და ხილი მოდის. მდინარეებით ხე-ტყის მასალა მოაქვთ.

ერთი საუკუნის წინ უგზოობის გამო მურის კლდეში, სარეწკელაში, ღვირიშის ღელესა და ორპირში გასვლა არ შეიძლებოდა.

შორსმსვლელ მგზავრს მთა-კორტოხებზე უნდა ევლო, სადაც უღელი ხარი და საპალნიანი ცხენი ვერ გადადიოდა.

გლეხი ბილიკს მიჰყვებოდა. ზურგზე ეკიდა. რასაც ზიდავდა. შძიმე ტვირთით გადაივლიდა იგი გველითავს (რაჭისაკენ), კონჩხის მთასა და ნიკორიძირს (იმერეთისაკენ), ფიჩხიჯვარსა და ლახტორიის კონკროხს (სამეგრელოსაკენ).

ლეჩხუმლები უფრო ხშირად ქუთაისსა და ხონს მიდიოდნენ. რკინასა და მარილს იქ ყიდულობდნენ.

ყოველწლიურად დაწესებული იყო ორი ბაზრობა. ერთი, სექტემბრის თვეში, ორკვირიანი — ცაგერის ბაზრობა, რომელსაც დიდი ეკენობა ერქვა, და მეორე ორბელში—ახალჯალას, შვიდდღიანი. იგი მაისში იცოდნენ და იარმუკობას (Ярмарка) ეძახდნენ.

პარასკევ-კვირაობით ვაჭრობა წარმოებდა აგრეთვე ცაგერში, ღაიღაშსა და პრებალოში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ლეჩხუმიც სოციალისტურად გარდაიქმნა ამ კუთხეშიც საკოლმეურნეო ცხოვრებამ გაიმარჯვა, მშრომელ ხალხს ბედნიერება მოუპოვა.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად სოფლებში გაიყვანეს და გააფართოვეს გზები. ბევრ კოლმეურნეობაში მიწას ტრაქტორითა და გუთნით ხნავენ. მოსავლის აღებისას ავტოებს, სალეწ და სანიავებელ მანქანებს ამუშავებენ.

მარნებში ღვინოს ახალი წესით ამზადებენ. კოოპერაციებში სამრეწველო საქონელს იძენენ. ღამით შარაგზები და ოდები ელექტრონის შუქით არის გაჩირაღდნებული.

ყოველ სასოფლო საბჭოში სრული საშუალო სკოლა არსებობს. თითოეულ კოლმეურნეობას კლუბი, სამკითხველო და საექიმო პუნქტი აქვს. რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მრავალ ძვირფას ექსპონატს აგროვებს, იცავს და სწავლობს.

* * *

ეთნოგრაფიული წერილები ლეჩხუმელთა ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარესა და გარდასულ ზნე-ჩვეულებებს ასახავს. ლეჩხუმის ეთნოგრაფია ჯერჯერობით სპეციალურად არავის შეუსწავლია. ამ კრებულს სამეცნიერო ლიტერატურაში შეაქვს ახალი მასალა.

ხშირად საგანს ან მის ნაწილს მთელ ლეჩხუმში ერთსა და იმავე სახელს არ უწოდებენ. ზოგ სოფელში ერთი სიტყვა არის გავრცელებული, ზოგან — მეორე. აღწერაში ყველა სინონიმი შევიტანეთ.

ნარკვევი მდიდარ სალექსიკონო მასალას შეიცავს. ძირითადი ნაწილი უცნობია და ლეჩხუმურ კილოს ეკუთვნის. ბევრი სიტყვა ზანური ან სვანური წარმოშობისაა. ზოგიც ძველ ქართულში იყო, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში იდენტური ან განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება, თანამედროვე სალიტერატურო ენაში აღარ ცოცხლობს და ლეჩხუმურს შემოუნახავს.

შრომაში მოიპოვება იმერული და რაჭული ლექსიკის ნიმუშებიც. ისინი ლეჩხუმში, ოკრიბისა და ქვემო რაჭის მოსაზღვრე სოფლებში, იხმარება.

აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ საისტორიო და ლექსიკოგრაფიულ წყაროებში ლეჩხუმურის სახელით ცნობილი რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა შევამოწმეთ და დავაზუსტეთ.

კარ-მიდამო

კოლმეურნის ეზოს შემოვლებული აქვს ჯარჯული, მესრის ღობე ან ქვის ნაშენი. შესავალში ფიცრის ან წნელის ჭიშკარი დგას.

ჯარჯული მსხვილი თხილის ან შქერისაგან იღობება, რვა გირგალს ითვლის, სარებად მუხის გული აქვს.

ამგვარ ღობეს ჯარჯებით — ვაზის ნასხლავის კონებით — ხურავენ. იგი ოცდაათ წელიწადს ძლებს.

უბრალო ღობეს თავზე ერთი გირგალი — გრეხილი — გადაჰყვება. საბიჯელა ღობეზე გადასასვლელი ადგილია.

ლეჩხუმური ოდის ქვეშ არის პალატი, სადაც ზამთრობით ცხოვრობენ. პალატს შესავალში აქვს ჭანია — ფარდული.

ოდას მზიანი მხრისაკენ ორ გვერდზე აივანი აქვს. აივნიან კედლებში რამდენიმე კარი და ფანჯარაა. ჩრდილოეთის შუა კედელში ბუხარი არის აშენებული. ბუხარს ფიტონა — თარო — აქვს. ფიტონაზე სანათლისს — სანათურს — დგამენ.

ბირკვილი არის ფიგურებიანი რიკული (მოაჯირი), თალამა — მოკლე და დახვრეტილი თხელი ფიცრების თაღები აივნის სვეტთა შორის. აბარწა პატარა აივანია.

ქირიში ანუ დოშაყი კოჭია. ქირიშებზე ფიცრის იატაკია დაგებული. ქირიშები ჰერსაც აქვს. კოჭებს ლამფა — მიჭედილი თხელი ფიცრები — ჰფარავს ქვევიდან. სახურავის თაღიანი კოჭი არის მანდალიონი.

ჰერზე ორი ვაცა დგას. ვაცებს თავხე ეყრდნობა. თავხეზე კაკვებია, კაკვებზე — ლოფინები. ლოფინებზე შენდება სახურავი, რომელსაც ბასკები იმაგრებს. ბასკი მუხის ჯოხია (გათლილი) და ყავაზეა დაჭედილი.

დარბაზის ჰერის შუაგულში გაკეთებულია ხონჩა. მას ოთხკუთხედი ფორმა აქვს, ღრმაა და ჩუქურთმოვანი. ხონჩაზე ყურძნისა და ხილის ჯაგნებს ჰკიდებენ. ფოფრი არის ჯიქურას ცოცხი, ოთახის დასახვეტი.

ეზოში შორი-შორ აგებულია ბეღელი, მარანი ან ჰურისთავი, ბოსელი, საბძელი. ნალია, თორნე, საღორე და საქათმე. შრამელი ყოველგვარი შენობაა, გარდა საცხოვრებელი სახლისა,

ბეღელი უფანჯრო ფიცრულია, ყოველმხრივ დახშული ისე, რომ თაგვი ვერ შევიდეს. წინ შესავალი პატარა კარი აქვს. შიგ დატიხრულია თვლებად, სადაც მარცვლეულს ცალ-ცალკე ათავსებენ.

ჰურ-მარანი არის ჰურისთავი ფიცრულითურთ. მასში ამზადებენ და ინახავენ ღვინოს.

მარნის შემადგენლობაში შედის: ხორგო, ხრიკა, მელული ნიჩაბი, ოსირო, ძელბარი, ხის ურო და ღარები, თოხი, სარცხი, წბერი და არყის გამოსახდელი ხელსაწყოები. ბევრს მარტო ჰურისთავი აქვს. ჰურისთავს მაღლა ტალავერი ჰფარავს.

საჩიხე ანუ ქართა ეზოს შემოღობილი კუთხეა და პირუტყვთათვის არის განკუთვნილი.

საჩიხეში დგას ბოსელი (ქვის ან ხისა), სადაც ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი და თხა ბინადრობს ზამთრობით.

წ ა რ ბ უ ლ ი ბოსლის სქელი და დაბალი ფიცრის კედელია. ფიცარს გარეთა მხარეს გული მთელ სიგრძეზე სამკუთხედისებურად აქვს გამოთლილი. ლ ე ნ გ უ რ ი ა ბოსლის კარიანი სარკმელია.

იქვეა საღორე, რომელსაც თავზე საქათმე ადგას.

საბძელი უმეტესად მრგვალი შენობაა. მას წნელით ღობავენ. ფიცრით ან მრგვალი ხით დგამენ.

ჯ ა რ გ ვ ა ლ ი (ძელური) ექვს გვერდსა და ქილიქს ითვლის. იატაკი და ჭერი არა აქვს. საკვები რომ არ გაფუჭდეს, ძირს ნ ე რ ჩ ი ა (ანწლი, ძველი კოროლი) მოფენილი.

წინათ ყველა ბ უ რ უ ლ ს (სადგომი, შენობა) და განსაკუთრებით საბძელს კოროლით ხურავდნენ. კ ო რ ო ლ ი ზანდურის ან მახის ჩალა იყო. მას კ ვ ი ნ ჭ ი ლ ე ბ ა დ — პატარა-პატარა კონებად — შეკრავდნენ, საბძლის კონუსისებურ სახურავს შ ე კ ი რ ც ხ ლ ა ვ დ ნ ე ნ — ჰოკებითა და წნელით გააწყობდნენ. ს ა კ ი რ ც ხ ლ ში კვინჭილას თავით დაჰკიდებდნენ. კოროლი ათ წლამდის სძლებდა.

საბძელს კართან კალო და ცალმაგი ჰქონდა. ც ა ლ მ ა გ ი ფარდული იყო. კალოსაკენ კედელი არ ედგა. მასში აწყობდნენ გასაღეწ ჰურს. თუ გაავდრდებოდა, კალოში ჩადგმულ პურსაც იქ შეიტანდნენ. სხვა დროს ცალმაგში მშრალად ინახავდნენ ურემს, მარხილსა და ხე-ტყეს.

ნ ა ლ ი ა სასიმინდეა. ის დგას ოთხ ან ექვს სვეტზე ან ბ ა ჯ გ ზ ე — გაუთლელ ბოძზე.

ნალიას წნელით მოწნავენ ან დახვრეტილი თხელი ფიცრებით ააშენებენ, წინ პატარა კარს გაუკეთებენ, იატაკად სარის სიმსხო ხეებს გააწყობენ. შუაში ჩადგამენ ხ ვ ი რ ს — ვიწრო და მაღალ გოდორს, რომ ჰაერმა იმოძრაოს და სიმინდი გაახმოს.

ბოლოს დასცლიან: ქვეშ ძარს შეუდგამენ, ხვირს მაღლა ასწევენ, სიმინდს ნაწილ-ნაწილ გამოიღებენ და ჩელტზე, რომელიც კალოზე ან სოხანიან შენობაში დგას, გაფშვნიან.

სასიმინდის ქვეშ ხშირად კ ა რ ა პ ა ნ ი არის მოწყობილი. კარაპანი მშრალი და სუფთა ფიცრულია, სადაც ინახავენ კვახს, ჭაჭას, ლობიოს ჩენჩსა და ჩირს. ზოგჯერ ფიცრის იატაკს აიღებენ და ცხენის სადგომადაც იყენებენ.

თ ო რ ნ ე ცალკეა ან სახაბაზო შენობაში დგას. თორნე გამომწვარი თიხაა და ღია კასრს ჰგავს. მასში პურსა და მჭადს აცხობენ.

თორნეს ირგვლივ შემოლობავენ, კედლისა და ღობის შუა ადგილს თეთრი მიწით ამოავსებენ.

სახაბაზოს ერთი კარი, ერთი სარკმელი და მაღალი სახურავი აქვს. მასში შუაცეცხლიც ინთება და სადილ-ვახშამს ამზადებენ.

მაღლაა ცხვენი — მრგვალი ხეებით გაკეთებული ჭერი, სადაც ღურღს ახმობენ. ღურღი გადარჩენული სიმინდია. რომელსაც ღორებსა და ქათმებს აჭმევენ.

სახაბაზოში არის საფქვილე, სასაფურა, გობი. ბუჯერი. საცერი. ფიტონა, ბათმანი. კეცი, კარდალა, თენჯერა და სხვა საგნები.

სასაფურა ცომის ასაფუებელი ხის ჭურჭელია: ბუჯერი — მაგიდა, რომელზედაც გობში ცომეა წარმოებს; ფიტონა არის კედელზე მიქედილი ფიცარი, სადაც ჭურჭლეულს აწყობენ: კარდალა ხელიანი პატარა ქვაბია სპილენძისა; თენჯერა უმცირესი ქვაბია. მასში ლობიოს ხარშავენ, რძესაც ადუღებენ.

თორნე ხშირად ცალკეა. მის სახურავს ოთხი მაღალი სვეტი უდგას. ეზოსთანაა ვენახი და ნაფუზარი — ნაფუძარი, სახნავი მიწა.

კათხა სახლი

ძველებური დიდი სახლი ოთახებად არ იყო დაყოფილი. ჭერი და ფიცრის იატაკი არ ჰქონდა. სოხანეს თეთრი მიწით მოაგებდნენ. შუაში, კერიაზე, ცეცხლს დაანთებდნენ. ყვერბი ერქვა კერიის ჩაღრმავებულ ქვას, რომელსაც ღადარი ჰფარავდა.

შუაცეცხლის პირდაპირ, მაღლა, დირეთა შორის თხლად აწყობდნენ ოთხ-ხუთ ფიცარს — ცხვენს. მასზე კაკიბერა ეკიდა. კაკიბერა ანუ კაჩა ოთხკუთხედად შეკრული გათლილი ხეების ნაგებობაა. მასზე ჩხოლში — კვამლში — ახმობდნენ დამარილებული ღორის ხორცს. იქვე ამარგებდნენ საქვაბესაც.

ცხვენზე, კაკბიერას გვერდით, კადო იყო მოთავსებული. იგი რამდენიმე ფიცრისაგან შედგებოდა. კადოზე გარეცხილ ან დასველებულ ტანსაცმელს გააფენდნენ გასაშრობად.

ერთ-ერთი კედლის ნაპირი, კიდით-კიდემდე, ნიგვზის ხის საწოლს ეჭირა. საწოლს სვეტები და ყაფარი — მაღალი — სახურავი ჰქონდა.

ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე ან წყვილ-წყვილად ეძინათ. მათ ერთმანეთისაგან სკივრები ჰყოფდათ. სკივრი — ზანდუკისებური ნივთი, ტანსაცმლის შესანახი — ზანდუკისა და შკაფის შემოღებამდე

იყო გავრცელებული. ხის ნაწილებისაგან შედგებოდა. წინა კედელი და სახურავის ნაპირი მოჩუქურთმებული ჰქონდა.

ჟურჭლის შესანახად კუთხეში გამოკვეთილი იყო ბუჯერი — თარო. იქვე იდგა დორა — ორხელიანი კოკა — წყლისათვის, ჯერკოლა — მორისაგან გამოთლილი უფეხო სკამი — და სხვა ნივთები.

კუთხეში ორ მავთულზე ჩამოკიდებული იყო ჩოჩო — კარადისებური ხის ჟურჭელი. რომელსაც ძირი ტკეჩით ჰქონდა გამოწნული. კარს გააღებდნენ და შიგ საჭმელს შეინახავდნენ. ჩოჩოს თგგეი. კატა და ძაღლი ვერ შესწვდებოდა.

სახლს აფრები ედგა. აფრა შუა კედელში აღმართული ფიცარია. ორი კედლის ნაწილი (სარტყელს ზევით) სამკუთხედისებური ფორმისაა. მას ლირსი ერქვა. აფრა საძირკველს, სარტყელსა და ლირსებს შუაზე ჰყოფდა. სალირსი ლირსის ფიცარია.

ლირსებიან აფრას ორივე ნაპირი შიპიანი — ამოღარული — აქვს. მასში ფიცრების თავებია ჩასმული. ლირსების თავზე. ორ აფრას შორის. სახლის სათავე იყო გადებული.

კარს შუა კედელში უკეთებდნენ. სახლს ჩვეულებრივ ორი კარი ესაჭიროებოდა. თითოეულ კარს ორი აფრა აქვს. აფრის ცალი ნაპირი ამოღარულია. კარის აფრა საძირკველსა და სარტყელს აერთებდა. ორკარიან კათხა სახლს ორი ლირსებიანი აფრა და კარის ოთხი აფრა სჭირდებოდა.

სახურავზე მწკრივებად აფარებდნენ ლოფორჩანებს — გრძელსა და თხელ ყავრებს. ლოფორჩანებზე დააწყობდნენ ქვებს. რითაც ყავრის სახურავი არ ირღვეოდა.

ქილიქის კუთხეს კვაჭახური ეწოდებოდა, საწვეთლის რუს ნაკვალევს — ნარევალი. ნარევალსა და საძირკველს შორის მშრალ ადგილს — ლაფარი.

ლირსებიან კედელს მიაშენებდნენ მაქუდურს — ყაერის ან კოროლის სახურავს. იგი კედელს წვიმისა და თოვლისაგან იცავდა. ფარდულში მშრალად ინახავდნენ ურემს. მარხილსა და ხე-ტყის მასალას.

სანამ კათხა სახლს შემოიღებდნენ. ფაქუტაში ცხოვრობდნენ. ფაქუტას ისლით ან კოროლის კვინძილებით შეკირცხლავდნენ. სახურავში ჩხოლი რომ გასულიყო. ადგილს დატოვებდნენ. ამ საკვამურს ხანი ეწოდებოდა.

შემდეგ ხანებში კათხა სახლს ორი სართული ჰქონდა. ქვედა სართულის ქვის კედელს ბუხარს უკეთებდნენ. სამი კედელი ხის იყო.

შუაში იდგა ლონდირი — დედაბოძი. მის ზევით, საწე-ნურზე — თავხეზე, ფიცრის იატაკს მოაგებდნენ.

კათხა სახლის ლირსებიან კედელს კარსა და ჩალდაღს — ჩარდახს — მიაშენებდნენ.

ახლა კათხა სახლი აღარ მოიპოვება. ისინი ოდებად გადააკეთეს.

ხვნა-თესვა

მოჰყავთ სიმინდი, პური, ლობიო, ღომი, ურუში, ოსპი, ცერცვი, მჟაუნდო, კარტოფილი და კვახი.

სახნავი მიწის გაწმენდის დროს ცალკე კუთხეში ქვებს დიდ და გრძელ ხვავად აგროვებენ. ამგვარ ადგილზე წამოზრდილ ბუჩქნარს აჭე ეწოდება. უყი ყამირია, გაუტეხელი მიწა.

მთაში მიწას სახვნელით ამუშავებენ. სახვნელის ნაწილებია კავი — მოღუნული ხე, ერქვანი, რომელიც მხვნელს უჭირავს, ჭუსლი, სახნისი, ჩოგანი.

კავის თავში გაყრილია რიკი — მოკლე ჯოხი. მასზე წემბეშოთი ან ღვლეჭით მიბმულია გრძელი უღელი.

სახნავს პატარ-პატარა ნაკვეთებად დაანაწილებენ, ყოველ ერთ საჭენზე კვალებს გაავლებენ. თითოეულ ნაჭერს ნიხა ეწოდება.

ყანას ნიხობით ხნავენ. სიმინდსა და პურეულს ერთ ნიხაზე მოთესავენ და მიწაში ჩახნავენ. ამგვარივე წესით დაამუშავებენ სხვა ნიხებსაც.

ყველგან მოჰყავთ სიმინდი, ლობიო და პური. სოფლის ფართობის ნახევარი სიმინდსა და ლობიოს უჭირავს, ნახევარი — პურს.

ნაპურალზე სიმინდს თესავენ, წინა წელს რომ სიმინდი იყო, იქ კი — პურს.

სიმინდს ორჯერ თოხნიან. პირველ გათოხნას პირადი ანუ ხელადი ჰქვია, მოროდს — მორედი.

სიმინდს მოჰრიან, მერე ტაროებს აატეხენ. ჩალას შეკონავენ.

გასახმობად ჩერგენებს დადგამენ: სამ-ოთხ კონას დროებით ერთად ააყუდებენ და თავს ქუჩუჩოებით — თავთავებით — შეუკრავენ.

გუა ზვინის გულია (ხე), ნაღერალა — სიმინდის ძირი, რაც ჩალის მოჭრის შემდეგ რჩება ყანაში.

ტაროების ხვავს გაარჩევენ და ნალიაში მოათავსებენ. შანთი გრძელ ტაროს ჰქვია, კვინჭილა — წვრილს. დაბაზგბუ-

ლ ი ა ო, — სიმწიფეში შესულ სიმინდის ტაროზე ან პარკოვან მარცვლეულზე (ლობიო, ცერცვი, მუხუდო) ამბობენ.

ბ ე ღ ე ლ ა არის ერთად შეზრდილი ოთხი-ხუთი ტარო (კუნწი ერთი აქვს). მას სიმინდი იშვიათად იკეთებს და უხვი მოსავლის ნიშნად ბეღლის კუთხეში ჰკიდებენ.

სიმინდს, როცა გახმება, მანჭანით ან ზოგჯერ ჩ ე ვ ო ე ბ ზ ე — ჩელტებზე — ტ უ კ ე ბ ი თ — ხის უროებით — დაფშვნიან და ბეღელში შეინახავენ. ნ ა ქ უ რ ჩ ა ლ ა ს — გაფშვნილ ტაროს — შეშის მაგიერ იყენებენ.

ნახნავში, სიმინდის ამოსვლამდე, მწკრივად ლობიოს თესავს ორი კაცი. ერთი თოხნის, მეორე პეშვ თესლს ხნულში ყრის. ლობიოს თესვას რ გ ვ ა ს უწოდებენ, ხოლო ნარგავ ბუჩქს კი — მ უ დ რ ს ანუ ბ უ დ ნ ა ს.

ხარობს სხვადასხვა ჯიში: წითელი — ამყოლი (ბარდიანი), თეთრი (უბარდო; ჩასართავი); ჟ უ ჟ უ ნ ა მრგვალმარცვლოვანი, ჭრელი: მტრედისფერი და ყავისფერი ან მტრედისფერი და თეთრი (ბარდიანი, უბარდო; ჩასართავი); ფ ა რ დ ე ლ ი გრძელმარცვლოვანი და ზოლებიანი — თეთრი და შავი ან თეთრი და წითელი (ბარდიანი); შ უ რ ა უ ლ ა წვრილმარცვლოვანი, წითელი (უბარდო); ქ რ უ ნ ი მრგვალმარცვლოვანი, ნარევი ფერისა (თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი) — წერტილოვანი (ბარდიანი, უბარდო); მ ა მ ა კ ა ლ ი ა წვრილი და შავნაყოფიანი, დაბალი ხარისხისა (ბარდიანი); კ ვ ა რ კ ვ ა ლ ა მრგვალმარცვლოვანი, ჭრელი (ბარდიანი).

ჯ ღ ა ეწოდება ტოტებიან ხარდანს, რომელზედაც ლობიო და პამიდორი ადის.

გამხმარ ლობიოს ძირებიანად აიღებენ და კალოზე დაფშვნიან. მთელ ჩენჩს ნ ა ბ ე რ ძ ა ლ ი ანუ ძ ე ნ ძ ვ ი ჰქვია. მარტო პარკებისას კი კ ე პ ე ჭ ი.

ღომს კ ე კ ო თ ი — პატარა თოხით — მარგლავენ. თ ა ვ ე ლ ე ბ ს — თავთავებს — ცხვენზე, სამზარეულო სახლში, შუაცეცხლის კვამლში ახმობენ. ჩხო გაცეხვაში მიიღება, თავთავების ჩენჩია და წიწილებს დაუყრიან გამოსაკენკად.

ქ ე ნ ე შ ო სათესლე ღომის კონაა. მას მშრალ ადგილზე ჩამოჰკიდებენ და თესვის წინ ხელით გამოფშვნიან.

ჯ რ უ შ ი ანუ შ ა ვ ი ჭ ა დ ი ფეტვია. მის ნამცხვარს ჭ ა დ ი ს - ჭ ა დ ი ერქვა.

ო ს პ ი ს პარკებს ფშვნიდნენ. ნაყოფი მუხუდოს ჰგავდა და ცის-

ფერი იყო. სამარხვო საჭმელად ითვლებოდა. ლობიოსებურად ამზადებდნენ: გაქნიდნენ ან ჩასართავად აგუნდავებდნენ.

პურეულიდან მოჰყავდათ ზანდური, მახა, თავთუხი, იფქლი, ხულუგო, დიკა და ქერი.

ზანდურს თეთრი მარცვალი და გრძელი ფხები ჰქონდა. მოსაკრეფად ხმარობდნენ შანკებს — ნახევარი მეტრი სიგრძის მქონე გადაბმულ ორ გათლილ ჯოხს. შემდეგ გაახმობდნენ და საცეხველში ხელკავებით ცეხვავდნენ. მახა თეთრი იყო. უფხო. მასაც ზანდურივით კრეფდნენ და ცეხვავდნენ. ჩალას (კროლს) სახურავად იყენებდნენ.

ხვნა შემოდგომაზე წარმოებს და პურს მაშინვე თესავენ. ხოლო პურის გამოთესვას ავგისტოში აწარმოებენ. ნიწას თოხნიან, მარცვალს დამწიფებული სიმინდის ყანაში თესავენ.

პურის ყანის მომკილ ნაწილს სვრელი ჰქვია. ნამუჭი ნამჯაა. ორი ხელეული; ნამუჭებს გვარალით ჰკონავენ.

მომკილს დააცამეტებენ: თხუთმეტ კონას ცალკე დააწყობენ და ერთ ურემს შეადგენს.

ახალ ნამკალში ბავშვები პურს ხეშავენ — დარჩენილ თაეთავებს ღერ-ღერად აკრეფენ.

კონას, ხელის გულში რომ ჩაეტევა, შეკრაეენ და დაგრეხენ. მას ხეში ეწოდება.

ხეშებს შინ ჩელტზე ხელით გამოფშვნიან და ნახეშურს მიიღებენ.

გალეწილ პურს ბზეს კაკაბა ცხრილით აართმევენ. პურს კალოს შუაგულში არნადითა — ხელიანი ფიცრით — და არგაცოცხით — შინდის ცოცხით — მოახვავებენ.

მარცვალს გაანიავებენ, მზეზე გაფენენ — გაახმობენ, ისევ გაცხრილავენ და ბეღელში შეინახავენ.

მუწუხი ეწოდება შეუსვენებელი მუშაობის პერიოდს. როგორიცაა: ხვნა-თესვა, მკა, კალოობა, სიმინდისა და ლობიოს აღება, რთველი...

ტვირთსაზიდი საშუალებანი

ღიღ ტვირთს ზიდავენ გოგრებიანი ურმით. ზამთარში შეშა მოაქვთ მარხილითა და თავკავით.

ურმისა და მარხილისათვის საჭიროა ერთი უღელი ხარი. მარხილს აქვს ორი ფეხი — გრძელი ხე. ფეხებში გაყრილია ფიცხი-

ლ ე ბ ი — ხელნები. თითოეულ ფეხზე დგას კ ო ჭ ე ბ ი — ორი ჭოჭი. ორივე ფეხის კოჭებს აერთებს ტ აფ ა || კ ვ ა ტ უ შ ი — ფიცარი. მარხილს ორი ტაფა აქვს. ტაფებზე აწყობენ შეშას. კოჭებზე დაცმულია ლ ა ჯ ვ ა || ს ა მ ც რ ბ ა — დახვეული ღვლეში. კოჭებს ორი ლაჯვა აქვს, ფჩხილების თითებს კი — ერთი.

იხმარება ფ ა ხ ი ც ანუ გ ა ბ ა ნ დ უ ლ ი მ ა რ ხ ი ლ ი. ის სჭირდებათ მომკილი პურის, თივის, სიმინდის ჩალისა და ლობიოს მოსატანად.

ეს მარხილი დაბალია და ფართო. ტაფებზე დაკრული აქვს რამდენიმე ჰოკი. მისი ზედაპირი ალაგ-ალაგ წნელითაა დაწნული.

თ ა ვ კ ა ვ ი პატარა მარხილია და მხოლოდ ზამთარში იხმარება. ის კაეებიან ფეხებზე დგას. წინა კოჭები არა აქვს. შეშით სავსე თავკაცი ერთ კაცს შეუძლია მოზიდოს. მარხილს ფეხებზე, თოელში რომ არ დაცურდეს, ლ ა ჩ არ თ ა ნ ებ ს || გ ვ ე რ გ ვ ე ბ ს — დახვეულ ღვლეშებს — ამოაკრავენ.

თითქმის ყველგან პატარა ურემს იყენებენ, რათა მთაგორიან ადგილებში ნელა იმოძრაოს (გზიდან არ გადაგორდეს) და ხარები არ შეაწუხოს. ურმის ყველა ნაწილი ხეა.

ურემს ხის გოგრები აქვს. თითოეულს თვალი ჰქვია. ურმის თვლებს ცაცხვის, ლეკას ან თელის ხისაგან თლიან.

თელის გამოზნექილ გულს (მორგვს), რომელშიც ღერძის თავია მოთავსებული, კ ო პ ეს, ო რ ბ ას ანუ პ ე შ ვ ას უწოდებენ.

ურემს აქვს ფ ა ლ ა ნ გ ე ბ ი — ორი ზედსადგარი, რომელთა ზორისაც მოთავსებულია ფ ი ნ ე ბ ი — ფიცრები. ფალანგების თავსა და ბოლოს გაყრილია ორი ლ ე ფ ს ა (ხმალაც ჰქვია), რომ ფინები შეკრას, არ დაიშალოს. ს ა რ მ ა ნ ა ზედსადგრის სარია.

ზედსადგარს, შუაადგილს უკან, მიჭედილი აქვს ხის ნაჭერი — დ ა თ ვ ა (Ресор), რომელზედაც ღერძი ბრუნავს. ზედსადგარზე დათვას ამაგრებს კ ო ტ ე ბ ი ანუ ჰ ა ნ ჯ რ ი კ ე ბ ი — მანჭოები. ქვეშ კოტები იჭერს ღერძს. ღერძი კოტების ძირში ტრიალებს.

ჩ ო რ ჩ ა ლ ი არის ჩოთქი, რითაც რქაში გაქნილ საპონს ურმის ღერძზე დროგამოშვებით წაუსობენ.

ურემს სხვადასხვა ადგილზე გაყრილი აქვს კ ი ნ თ ა — დასამაგრებელი ჩხირი. კინთას უკეთებენ ღერძს ორივე თავში, ლეფსას — ცალ თავზე და კოტას — შუაში.

ზედსადგრების თავებში გაყრილია ფ ჩ ხ ი ლ ე ბ ი. ფჩხილების თითებს ჩამოცმული აქვს ტაფა (კვატუში) და ამაგრებს ლაჯვა.

ფჩხილებს აერთებს თავსაპირავი — ღვლეჭი. ფჩხილები დაწნული ტყავით (წემბეშო || ჯირიმი), ღვლეჭით ან რეზინის ჯამბარით უერთდება უღელს.

უღელს აქვს ტაბიკები და აპეურები. ხარებს რქებში თავსაბგელს ჩააბამენ და დააუღლებენ.

მომკილ პურს, თივას, სიმინდის ჩალასა და ლობიოს ურმითა და გაბანდული მარხილით მოზიდავენ.

ორივე თავში დაამაგრებენ ორკაპ ხეს (იღება || თხიპა), ურმის ორივე დათვას წინ, ზედსადგრების გვერდებზე, გამოაბამენ ღვლეჭებს, აიღებენ გრძელ თოკს (საჭირობელი || ტოულო ბაწარი), ერთ თავს მოუჭერენ მოკლე ორკაპ ჯოხზე (ჭყვე) და ძნას ყოველმხრივ შეკრავენ.

როცა მაღალი მთიდან აღებული პური და სიმინდი მოაქვთ, ნალოს ანუ სათრიელს აკეთებენ. ურემს უკან ტოტებიან ხეებს გამოაბამენ. ურემი ხეებს მოათრევს, ერთგვარად დამუხრუჭებულია, თავდაღმართში არ გაიქცევა და ხარებს დიდად ჰშველის.

მსხვილ და გრძელ ხეს ლოშკინით მოიტანენ: ფჩხილები ტაფითურთ დაშორებულია ურემს. ხის თავს ამაგრებენ ტაფა-ფჩხილაზე (ფჩხილა ტაფითურთ), ხეს მაღლა ასწევენ, ქვეშ შუა ადგილზე შეუდგამენ და ამოაკრავენ ურემს. ხე მიწას არ შეეხება და ადვილი წაშოსაღებია. ამგვარად გადააქვთ შორ მანძილზე საწნახელიც.

იხმარება თუშიც — მძიმე ტვირთსაზიდი (სათრევი). ის გაკეთებულია მუხის ან ძელქვის ხისაგან. ორი ფეხი აქვს. თუშით გადაიზიდება მერეტაფა, საცეხველი, დაკირული ქვევრი.

საწნახელსაც ზოგჯერ თუშზე დააკრავენ. თავში ფჩხილებს ამოუყრიან და თრევით წაიღებენ.

თუშისათვის ყევარია საჭირო. ყევარი ანუ პარუკი რამდენიმე უღელ ხარს (ორზე მეტს) შეადგენს. ყევარში იმდენ უღელ ხარს შეაბამენ, რამდენსაც შარაგზა (მიხვეულ-მოხვეულები) საშუალებას მისცემთ და რამდენიც ტვირთის სიმძიმეს დასძლევს.

ურემზე დგამენ ჯანაბერს, ძარსა და კაკაბა ძარს. ჯანაბერი ჩაღლტია, რომლითაც ნაკელს გაიტანენ ყანაში. არის ოთხსახელურიანი პატარა ჩელტიც (ჯინი || ჩათრი || კიჭაპია || ჯოჯობინა). მით ორ კაცს ბოსლიდან გარეთ, ეზოს კუთხეში, ნაკელი გააქვს. ძარში სიმინდის ტაროებს, კვახებს და ხილს ათავსებენ. კაკაბა ძარი || ძღინკი || კარია დიდია და თხლად არის მოწნული. მასში ბზეს ჰყრიან.

ხელით საზიდ ბზის გოდორს ძარგოდორა ჰქვია. თევზს დასაშერს კი — ხვირი.

ხვირს მდინარის ნაპირზე ქვებით დაამაგრებენ. მასში თევზი ჩადის და უკან ველარ ბრუნდება.

ლასტი ერთსახელურიანი პატარა და ფართო ჩელტია. მას კაკბერაზე ჰკიდებდნენ. ლასტში ზანდურისა და ღომის თავთავებს ათავსებდნენ, შუაცეცხლზე ახმობდნენ.

ძარსა და ჩელტს შინდის, თხილის, არწკლისა და ჰეჰკეტას წნელით წნავენ. ლასტს მარნეულითაც აკეთებენ.

ვენახში, კალოზე, მთასა და ყანაში საზიდავად იყენებენ კალათს, სალასტოს, ლაწებასა და გიდელს. ყველა ამათ თხილის ხისაგან ამზადებენ.

მსხვილ წნელს ცეცხლზე გაახურებენ, თხელ-თხელ ფენებად დახლეჩენ და გაატყავებენ. თითოეულ ანახლეჩს ტკეჩი ეწოდება.

სალასტოში ათავსებენ ყურძენს, ლობიოს, სიმინდს, კვახსა და ხახვს. ლაწება მთაში სამოგზაურო სალასტოა. ზურგზე ჰკიდიათ. თითოეულში ორი ფუთი მარცვლეული ჩადის. გიდელს ფართო თავი და ვიწრო ბოლო (მუჯური) აქვს. მაღლარში სჭირდებათ. ხეზე ან ხალახინზე აიტანენ და ყურძენს კრეფენ. გიდელს ტოტზე ჰყვით ჩამოჰკიდებენ.

გვიმის წისქვილი

ძველისძველად ჰქონდათ და დღესაც ზოგიერთ სოფელში მუშაობს გვიმის წისქვილი.

დიდი წისქვილი, სადაც სამი-ოთხი ბორბალი ბრუნავს, მდინარის (რიონი, ცხენისწყალი, ლაჯანური) ნაპირზე დგას.

გვიმის წისქვილი პატარაა, ერთი ბორბალი აქვს, ბინულის წყალი ჰყოფნის და დღე-ღამეში ორ ფუთამდე ფქვავს.

ის ეკუთვნის ორ-სამ ოჯახს, აშენებულია სათიბში ან ღელეში. სადაც მაგარი და სანდო ადგილია, წისქვილი წისქვილის ახლოს არის დადგმული.

დაბა ლაილაშში ბევრი ბინულის წყალი მოიპოვება. ყველაზე დიდია ოქრონიში. ეს წყარო ბაზრის ბოლოსაა და ოთხი მილით გადმოდის.

ერთი მილი გაყვანილია ქვედა ლაილაშში და სოფელს ჰყოფნის სასმელად. დანარჩენი სამი მილიდან გამომდინარე წყალი წისქვილებს ამუშავებს.

ოქრონიშის კორტოხიდან ქვედა ლაილაშის ძირამდის, თითქმის ჭრთი კილომეტრის სიმაღლეზე, ჩამწკრივებულია ოცზე მეტი წისქვილი.

მდინარის წისქვილს ღია ღარები აქვს. ღარების თავში, გვერდზე, დადგმულია ბელღარა — დიდი ღარი. წყალს ამ ღარზე გადააგდებენ და წისქვილის მუშაობას შეაჩერებენ.

პატარა წისქვილს გვიმი უდგას. გვიმი მსხვილი ფუღურო ხეა ან ქვით ნაშენი კოდი, სადაც ჩადის და გროვდება წყალი. ის მაღალი წნევით ფშტვირიდან (მილია, გვიმის ძირს უერთდება) მაგრად ხვდება ბორბლის ფრთებს და ქვას აბრუნებს. გვიმში წყალი რომ საჭირო დონეზე დააყენონ, ფშტვირს პირში ტკეჩს უკეთებენ.

ღარს, რომელიც რუდან გვიმს წყალს აწოდებს, კლდედალმართის სოფლებში ღაროშაპი ჰქვია.

როცა სურთ, ღარში საგდოლას — ხელიან ფიცარს — ჩადებენ და წყალს მოსწყვეტენ — წისქვილს არ ამუშავებენ.

ბორბალი ფეხზე დგას. ფეხის ასაწევ-დასაწევი არის ლამაქანია. მით შეიძლება ზედა ქვის დაყენება: აწევისას ღერღაფს ან მსხვილად ფქვავს, დაწევისას — წმინდად ფქვავს.

ბორბლის ღერძს თავზე წამოცმული აქვს ცულა — მოკლე რკინა, რომელზედაც ქვა ბრუნავს. ქვის გვერდზე შემოვლებულია გარსაგები — ხის ზღუდე. უმისოდ ფქვილი დაიბნევა და ერთად არ მოგროვდება.

ხვიმირა მარცვლეულის ჩასაყრელია. იგი თხელი ფიცრებისაგან არის გაკეთებული, კონუსისებური ფორმა აქვს და ქვის თავზე ჰკიდია.

ხვიმირას ქვეშ მიბმულია ლაკორა — პატარა ღარი. მას საჭირო ხარისხით არიკრიკა ამოძრავებს. მარცვლები ნელ-ნელა ცვივა ქვის ღია გულში.

ფქვილი გროვდება ჩიბეში, იღებენ პატარა ნიჩბით (ჩოჩილა) და ხვეტენ ქათმის ფრთის კონით (საფოთარა).

ფქვილს დაქფულს ეძახიან, ღერღილს — დახეხვილს.

ხრილი გარსაგებზე მოდებული ფქვილია.

როცა პირი გაუსწორდებათ, ზედა და ქვედა ქვას მოკოდავენ. სადოლავი მოსაკოდ ჩაქუჩს ჰქვია.

ქვედა ქვის გულში ტირიფის მრგვალი ნაჭერია ჩაჭედილი. ხე გაბზარულია. მასში ბორბლის თავი ტრიალებს.

ჩის მილი ცვდება, ფართოვდება. ამ დროს წისქვილს მოხე-

შავენ ანუ მოჭვალავენ — ხის გულში სამ-ოთხ სოლს ჩაასობენ, მილს დაავიწროებენ. მილი ბორბლის თავს მოუჭერს და მარცვალი არ ჩაიბნევა.

წისქვილის შენობა თითქმის ყველგან ფიცრულს წარმოადგენს.

ვაზის ჯიშები

დაბლარი ვენახი ხარდნებზეა გაშენებული, მაღლარი კი ხალახინებზე—ტოტებიან ხარდნებზე, ტალავრებსა და ცოცხალ ხეებზე ხარობს.

გავრცელებულია შავი ყურძნის შემდეგი ჯიშები: ალექსანდრეული მარცვალი მრგვალია, მტევანი გრძელი, ღვინო — საუკეთესო; მრგვალი კაბიშტონი მარცვალი მსხვილია, მტევანი სავსე, ღვინო — საუკეთესო; მუჯურეთული ანუ წურწუტა მარცვალი და მტევანი გრძელია, სავსე, ღვინო — საუკეთესო; ნაკუთნოური მარცვალი მრგვალია, მტევანი მოგრძო, ღვინო — სუსტი; ოჯალეში მარცვალი მრგვალია, მტევანი გრძელი და სავსე, მაღლარზე ხარობს, ღვინო — საუკეთესო; მგალობლიშვილი მარცვალი მრგვალია, მტევანი ღია, ღვინო — კარგი; კახური საფერავი მარცვალი მრგვალია, მტევანი მოგრძო და სავსე, ღვინო — საუკეთესო; ოცხანური საფერავი მარცვალი წვრილია, მტევანი მოგრძო და სავსე, ღვინო — კარგი; უსახელაური მარცვალი მრგვალია, მტევანი მოგრძო და სავსე, ღვინო — საუკეთესო.

თეთრი ყურძნის ჯიშები: ადესა იზაბელა (არის შავიც), ალიგოდი ფრანგული ალიკოტე, მარცვალი მრგვალია, მტევანი სავსე, ღვინო — კარგი; ბუდეშური მარცვალი მსხვილია, მტევანი დიდი და სავსე, ღვინო — კარგი; თითა მარცვალი და მტევანი გრძელია, საჭმელად მოჰყავთ; კრახუნა მარცვალი მოგრძოა, მტევანი სავსე, ღვინო — კარგი; მწვანეკუნძა მარცვალი მსხვილია, მტევანი სავსე, დიდი გამოსავლისაა, ღვინო — კარგი; ოჩხამური მარცვალი მსხვილია, მტევანი სავსე, მოჰყავთ საჭმელად; რქაწითელი მარცვალი და მტევანი გრძელია, ღვინო — საუკეთესო; ფაჩხატა მარცვალი წვრილია, მტევანი ღია, ღვინო — სუსტი; ციცქა მარცვალი წვრილია, მტევანი მოგრძო და სავსე, ღვინო — საუკეთესო; ცოლიკოური მარცვალი მრგვალია, მტევანი ღია, ღვინო — კარგი; ცხვედიანის თეთრა მარცვალი მრგვალია, მტევანი ღია, ღვინო — კარგი; წულუკიძის თეთრა

მარცვალი მოგრძოა, მტევანი ღია, ღვინო — კარგი; ხიხვი მარცვალი მრგვალია, მტევანი სავსე, ღვინო — საუკეთესო.

წინათ ხარობდა, მაგრამ ფილოქსერამ გაანადგურა და მყნობით ალარ განუახლებიათ შავი ყურძნის ჯიშები:

ანადასტური მრგვალმარცვლოვანი იყო, გრძელი და ღია მტევანი ჰქონდა, მაღლარზე ხარობდა და კარგ ღვინოს იძლეოდა (კლდედაღმართი); არაბოული მრგვალმარცვლოვანი, გრძელი და სავსე მტევანი ჰქონდა და საუკეთესო ღვინოს იძლეოდა (ზოგიში, საირმე); ბელარიანი მრგვალმარცვლოვანი, სავსე მტევანი ჰქონდა და ხეებზე ხარობდა (სურმუში); გაბაშა მრგვალმარცვლოვანი, მჟავე ღვინოდ დგებოდა (სურმუში); დუდღვაბო დაბალი ხარისხის ღვინოს იძლეოდა (ლაცარია); ოხტოური ხეებზე ხარობდა, საუკეთესო ღვინო ჰქონდა (კლდედაღმართი); რუდუ საშუალო ხარისხის ღვინო იცოდა (ლასხანა); ფორთუგა მრგვალმარცვლოვანი, სავსე მტევანი ჰქონდა, სუსტ ღვინოს იძლეოდა (ზარაგულა); ღარასულა წვრილმარცვლოვანი, პატარა და სავსე მტევანი ჰქონდა, კარგ ღვინოს იძლეოდა (კლდედაღმართი); ღორთვალა მრგვალმარცვლოვანი, მსუბუქი ღვინო იცოდა (საირმე); ყორნისთვალა გრძელმარცვლოვანი, სავსე მტევანი ჰქონდა. მაღლარზე ხარობდა და საჭმელად მოჰყავდათ (კლდედაღმართი); შავჩოხია კარგ ღვინოდ დგებოდა (ლასურიაში); ჰუბულო მოგრძომტევნიანი, კარგი ღვინო იცოდა (დეხვირი, სპათაგორი); ჯოდილო მრგვალმარცვლოვანი, დაბალი ხარისხის ღვინო ჰქონდა (დეხვირი);

თეთრი ყურძნის ჯიშები: თბილური კარგი ღვინო იცოდა (ლასხანა); კინალა კარგი ღვინო ჰქონდა (ჩვალბეჩი); მაური გრძელმტევნიანი, ხეებზე ხარობდა, მაგარ ღვინოს იძლეოდა (კლდედაღმართი); მაისა მაისში ყვავოდა, რთვილი არ წვავდა, მსუბუქი ღვინო იცოდა (კლდედაღმართი); ორხულა მრგვალმარცვლოვანი, გრძელი და ღია მტევანი ჰქონდა, საჭმელად მოჰყავდათ (ორხვი); ჰიტილოური მრგვალმარცვლოვანი და მტევნიანი, საუკეთესო ღვინოს იძლეოდა (ჩხუტელი).

აქა-იქ გვხვდება გამი შავი, მრგვალმარცვლოვანი, კარგი ღვინო აქვს (ჭყვიში); მტევანგრძელი შავი, მრგვალმარცვლოვანი, კარგი ღვინო აქვს (უსახელო); უწამლო ანუ ფრანგუდა შავი, მრგვალმარცვლოვანი, სუსტი ღვინო აქვს (საირმე); ღორათანა შავი, მრგვალმარცვლოვანი, კარგი ღვინო აქვს (ლასურიაში);

ძ ე ე ლ შ ა ვ ი შავი, ორგვარია: მსხვილმარცვლოვანი — დიდი მტევანი და სუსტი ღვინო აქვს და წვრილმარცვლოვანი — საუკეთესო ღვინოს იძლევა (საირმე); კ ა მ უ რ ი თეთრი, მოგრძო და ღია მტევანი აქვს, გვიან მწიფდება და დიდხანს ინახება (კლდედაღმართი); ა ფ ხ ა ზ უ რ ა შავი, გრძელმარცვლოვანი, მაღლარზეა, საუკეთესო ღვინო იცის (ტვიში, ორხვი).

ტყის ვაზის სახელებია: ძ ღ ვ ა მ ბ ლ ი, მ ც ხ ე რ ო, ო მ ც ხ ვ ა რ ო[1].

ბ ი მ ბ ი ლ ი ყურძნის მარცვალია. წ ი მ წ ა — თესლი (კურკა), ბ ო რ ძ ღ ვ ი მარცვლებგაცლილი მტევანია. კ ა ვ ა ნ ა ბრჭყალია (ბწკალია), რითაც ვაზი ხარდანს და ხეს ეხვევა. იგი აქვს აგრეთვე კვახს, ციცაბარდასა და ლობიოს. ნ ა წ ი კ ა რ ი გადაწვენილი ვაზი ან ხეა.

ღ ვ ი ნ ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ა

დაკრეფილ ყურძენს ხორგოში — საწნახელში — აგროვებენ და წურავენ.

ჩ ა რ ჭ ი ლ ა პატარა ხორგოა, ურმით დააქვთ — ყურძნის საზიდავად იხმარება.

ხ ო რ გ ო გამოფუღუროებული გათლილი დიდი ცაცხვის ხეა. უდიდესი საწნახლის სიგრძე ოთხ მეტრს აღემატება, განი და სიღრმე თითო მეტრი აქვს, შიგ ას ფუთზე მეტი ღვინო ჩადის. თავსა და ბოლოში თხელი ფიცრის კედლები აქვს ჩადგმული. წინა კედელს, რომლის ძირში ღარით ღვინო გამოდის, ს ა შ უ ბ ურ ს უწოდებენ.

საშუბურის თავი ხ მ ა ლ ა შ ი არის მოთავსებული. ხმალა ხორგოს გვერდებშია გაყრილი.

საწნახლის გარეთა ნაწილი — ღარიანი პირი, საიდანაც ტკბილი გადმოჩქეფს, არის ი ნ დ ურ ი.

ყურძნის დაწნეხამდის ხორგოდან ნ ა წ რ ე ტ ს გამოუშვებენ და ჰურში შუმად აადუღებენ.

ერთი ან ორი კაცი ყურძენს ფეხებით წურავს, მაჭარი ღარით ჰურებში ჩადის.

---

[1] აქ დასახელებულ ვაზის ჯიშთაგან ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევაში (საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე. 1935, გვ. 505-512) შეტანილი არ არის: ალიგოდი, ადესა, მგალობლიშვილი, ცხვედიანის თეთრა, შავჩოხია, ბელარიანი, ობტოური, რუდუ, ფოროთუგა, ჰუბულო, ჯოდილო, კინალა, გამი, უწამლო (ფრანგულა).

დაწნეხვის შემდეგ ტკბილს ამოიღებენ და ჭაჭიან ხორგოში ჩაასხამენ. ღვინო რვა დღის განმავლობაში დუღს, ჭაჭას თავზე მოერთმევს. დუღილი შეწყდება. ჭაჭა ძირს დაიწევს.

ღვინოს საბოლოოდ ჩაუშვებენ ჭურებში. ჭაჭას, სანამ მთლად არ გამოიწურება, მელული ნიჩბით — დახვრეტილი ოთხთითა ნიჩბით — საწნახლის თავიდან გასწევენ, ბოლომდის მიიტანენ, ერთად დააგროვებენ.

ჭაჭას სხვადასხვაგვარად იყენებენ: წბერში ანუ საქაჭველში (Пресс) გაატარებენ. მის ღვინოს ცალკე შეინახავენ.

ძველებური წბერი ასეთი იყო: მარნის ერთი მხარე, კიდით კიდემდე, წბერს ეჭირა. მარცხნივ (კუთხეში) მიწაში ორი ფეხით ჩაასობდნენ კაცას — მსხვილი მუხის ან ნიგვზის ბოძალ ხეს. მისი თავი მარნის ჭერამდე აღწევდა.

კაცას შუაში გაუყრიდნენ და თავით მიამაგრებდნენ დირეს, რომელიც მოძრაობდა. მეორე თავზე დირეს (მარჯვნივ) ქუდი ეხურა.

ქუდსა და დირეში ზევით და ქვევით ადი-ჩამოდიოდა დახრახნილი ხის მსხვილი ისარი. მას უერთდებოდა კვირისთავი — მრგვალი და მძიმე ქვა. ისარში გაუყრიდნენ ხეს. მით ორი კაცი კვირისთავს აბრუნებდა.

კაცას ახლოს იყო მერეტაფა — ფართო ქვა ან ხე, დანელებზე — ხის კუნძებზე — იდგა და გულზე წრედ ოთხკუთხედი ღარი ჰქონდა.

მერეტაფაზე კაპიწებით — თხელი ფიცრებით — კოდს დააშენებდნენ.

კოდს — ჭაჭის პერანგს — მაღლით კეტავდა უღელი. მას კაცაზე ჰკიდებდნენ.

კოდში ჭაჭას ჩაყრიდნენ, თავზე კაკალას — სქელ ფიცარს — დააფარებდნენ. კაკალასა და დირეს შორის კველობებს — ფიცრის ნაჭრებს — ერთმანეთზე დაადგამდნენ.

ორი კაცი ისრიან ქვას წაღმა დააბრუნებდა, კვირისთავი მაღლა აიწევდა, დირე ძირს დაეშვებოდა და ჭაჭა დაიწურებოდა. ყოველ აჯანებაზე კოდიდან სამ-სამი ფუთი ღვინო გამოდიოდა.

ჭაჭაში წყალსაც შეურევენ და დააყენებენ — შვაღვინოს დაამზადებენ.

ჭაჭიდან არაყს ხდიან. როფს, რომელშიც წყალი დგას და მილს აცივებს, ორიკა ეწოდება. ზარფუში არის საარყე ქვაბის თავი (სპილენძისა).

პირველად წინწანაჭარი გამოდის, ბოლოს საიას მიიღებენ. ჰაჰის არაყს არ აბრუნებენ.

კაცი დიდ ჭურში ჩავა და რეცხავს თავცეცხლათი ანუ კრაზანათი, თაგვისარათი ან ღომის ჩალით.

თავცეცხლა წვრილი და მაგარი ყვითელნაყოფიანი ბალახია, თაგვისარა ეკლიანი მწვანე ბალახია. მით ბუხარსაც წმენდენ.

ყვიბარს მაღლიდან რეცხავენ. გლეხი ქვევრის თავზე ზის და ხელში სარცხი უჭირავს.

სარცხი ჯოხზე წამოცმული ოფიჭოს — ბლის ქერქის — კონაა, ქეფერჩხო — ჭურის თავის გასარეცხი.

ქვევრის ფსკერში დარჩენილ წყალს ოსიროთი — ჯოხზე დამაგრებული ჩერით — ამოაშრობენ. ღვინოს და წყალს ხრიკით იღებენ. ხრიკა გამხმარი მწარე კვახისაგან კეთდება. პრკეს ტიშლს უწოდებენ, შეძმარებულ ღვინოს კი — მოკანჭულს. ქვევრის თავს ძელბარით — ხის ბარით — მოხდიან. ორგო მრგვალი ფიცარია, ჭურის სარქველი.

ძელგი მაგარი და არასასიამოვნო დასალევი ღვინოა. საკოკია (გოქშო) ეკლიანი მცენარის თავთავია. მას დოქზე დააცობენ და მაჭარს გაწურავენ.

ორჭიპო ანუ ხარატული ხის ფოლაქია, რომელსაც გახეულ კუპრს უკეთებენ.

თხის ტყავისაგან აკეთებდნენ ქელეშს — მოუკუპრავ დიდ გუდას. დაუდუღებელ ღვინოს, კუპრს რომ არ გაეფუჭებინა, ქელეშში ჩაასხამდნენ და მით სადმე წაიღებდნენ.

ხაზომ-საწყაონი

მარცვლეულს სხვადასხვა ერთეულით წყავდნენ. გოროში ორი ფუთი ჩადიოდა, ლეშკი ანუ ქილა ერთ ფუთს იწონიდა, ფოხალი, ნაოთხალი და ბათმანი ერთი და იგივეა (ნახევარი ფუთი). კოდი სამი ბათმანია, ყურიანა ნახევარი ბათმანია, კორუა ნახევარი ყურიანაა. ჭურჭელი (ბათმანი, ყურიანა, კორუა) ხის იყო.

ტაროებით სავსე რვა სალასტო ერთი ძარია. ამგვარ ძარში გაფშვნილი ოთხი გორო სიმინდი გამოდის.

ერთი ურემი თხუთმეტ კონა პურს შეიცავს. ვალეწილი ურემი ერთი გოროა.

შვიდი კაცის ტვირთი შეშა (შვიდი კონა) ერთი მარხილია, თორმეტი მარხილი საქენია, საქენს სიმაღლე და სიგანე ცალ-ცალკე სამი არშინი აქვს.

დორაში 72 გირვანქა ღვინო ჩადიოდა. მენახევრე დორის ნახევარია (36 გირვანქა), ორი დორა გოროა, სამი გორო საპალნეა. საწყაო ჭურჭელი (მენახევრიანი დორა—ორხელიანი კოკა) თიხისაგან კეთდებოდა.

ჩარექი ერთ ლიტრს შეადგენდა, მანერკა—ორს, კვარტი—სამ გირვანქას, თუნგი—ოთხ კვარტს; ჩარექი ყველი—კილოგრამს, ოყა—სამ გირვანქას.

წიფხას ხის ფეხიან სასმისს უწოდებდნენ, ნახევარ ლიტრს იტევდა.

მატყლს, ბამბასა და თუთუნს კვერცხებით წონიდნენ. რვა კვერცხი ერთი გირვანქა იყო შვიდი კვერცხის წონას ქსანი ერქვა.

ორი თითის დადება ვერშოკია, ციდა—ოთხი ვერშოკი, მტკაველი—ხუთი ვერშოკი, ალაბი—არშინი, წყრთა (იდაყვიდან შუანათითის ფრჩხილამდე)—ნახევარი მეტრი. მოხვეტილი წყრთა 60 სანტიმეტრს უდრიდა. ზომვას იდაყვიდან დაიწყებდნენ. თითებს გამართავდნენ და ხელის გულს ქსოვილით დაჰფარავდნენ.

ადამიანთა სახელები

წინათ გავრცელებული იყო დედაკაცის სახელები: მანიჟა, გულჩინა, დარუხანა, სევდია, აღათი, სურათა, მზეხა, სულიკო, ელნოსია, ქატია, ლოკსანა, ტუფა, სეფორე, რესიმე მახუა, ყაზმისი, მატა, ქანა, აპია, პისტი, იუსტი, ოსანა, ხაზუ, ადია, თათია, ხვახვა, აგნია, თარუა, სერნო, დორია, დონია, კონია, საბედა, სიდონია, ტერეზია, ბუჟღუნტია, კუკუშა, ვარდიკონა, ხვაშა, გურჭანა (გულჭანი), ზენო (ზეინაბი), კესარია (კესო).

მამაკაცის სახელებია: ვარადებული, ერაჯი, აღდგომელა, ქუჩუკი, ლომერი, ქაჭუჩელა, გენადი, ინდიკო, მგზავსიერი, ბიჭილა (ბიჭინა), ნასყიდა, შოშიტა, სარიდანი, ყათნარი, მუხიერი, წყალობა, უფლისა, ნაძენიკი. ბააკა, სადალო, პაჭულია, კიკოლია, პაჩოლია, ჩიჩოლია, ოსია, სეფე. აბიბო, ლებეზი, კვირია, კაცოლია (კაცინა), თვალია, ბერი, საყვარელა, სისონია, საჩინო, მიზანა, დულუნგი, გადოლია, გოტე. ვაღურია, ბაბუსია, გახო, მამუკა, გლახუა, სეხნია, ხუჩუკელა, გოგიჩა (გიორგი), ქიტესა (ქრისტეფორე), ყარავანა (ყარამანი), ხაზუ (ხაჩა), ხვთისო (ღვთისავარი), ძურაბე (ზურაბი).

ცხოველები და ფრინველები

პირუტყვის მუცლის უკანა ნაწილს უწუმარი ჰქვია, ჯიქანს — ტუა, ნაზამთრ თმას — ნალისი, თამაშს — აპუტარა.

გვილა მსხვილი და მოკლერქებიანი ხარია. ჰოტა სწორ რჩას აღნიშნავს.

ხირაგა არის სამფეხა დგამი, რომელსაც ხარის დაჭედვის დროს ხმარობენ. ლოფირა გეჯაა — ღორების საჭმლის ჩასაყრელი როფი.

უცადი ანუ უშადი უშობელია, თარგილა — უშვილო თხა (ერთ წლამდის), დულო — დოლა, ურჩო თხა, თოხლი — უწლო ცხვარი, ნამცხედვარი — შემოდგომაზე მოგებული გოჭი.

გელცემული ავადმყოფობაა: საქონელს უეცრად გამოუვლის და მოკლავს; ჰიჭყინა ცალ ბეჭს გაუსივებს, პირუტყვი ფეხზე ვერ დადგება; ხვნის დროს, წვიმიან ამინდში, ლურსმანა ჩნდება: ხარს კისერი გაუსივდება და დაუმუწუკდება; ფანცალა ძაღლის ჰირია. ძაღლი ბანცალობს, სიარული არ შეუძლია.

ცხენს ბზეს. სიმინდსა და თივას ქილახორში ჩაუყრიან. ქილახორი გრძელია, ყუთივითაა შეკრული და ხის ფეხებზე დგას.

ცხენს მინდორში ბაგირით დააბამენ. თოკი ღორის ჯაგრისაგან არის მოწნული, გამძლეა, წვიმა ვერ ალპობს.

მგზავრობის დროს, როცა მოასვენებენ, თოფრით საკვებს აძლევენ.

თოფრა ჩანთაა. მასში ბზენარევ სიმინდს ან ქერს ჩაყრიან, ცხენს თავზე ჩამოჰკიდებენ.

კტომი არის დიდი და ძლიერი მოხუცი დათვი. გაკტომებული დაუძლეველს (დათვს) ჰქვია.

ქვერნას რკვენას უწოდებენ, კურდღელს — ყურდგელს.

ხარი ანუ ჯიჯაფეხა ხარაბუზაა, დედალობო — თრითინა.

პირუტყვის ფერებია: თეთრი, შავი, წითელი, ქისონი თაგვისფერი მოწითალო ელფერით; ვეჟანი ორგვარია: ყავისფერი ღია შავი ზოლებითურთ და ნაცრისფერი მოყვითალო ზოლებითურთ; ფარდელი ზოლებიანი (თეთრი და შავი); გიშერა უნიშნო შავი, წვავისფერი; ჯორა წაბლისფერი (ზურგზე გაჰყვება შავი); ნისლა ნაცრისფერი; ყვავილა ჰრელი (წითელი და თეთრი); ნიშა წითელია ან შავი, ხოლო პირისახე თეთრი აქვს;

კიოფა წითელია ან შავი და შუბლი თეთრი აქვს; ფარნახარი ჰრელია: თეძოები და თავი შავია და ზურგზე გადავლებული აქვს თეთრი; საღარი თეთრშუბლიანი შავი ან წითელი ცხენის ფერია; ჰრელ გოჭზე ამბობენ: თხიროლიაო.

საკიდელი რძის დასაკვეთია. სველი სითხე, რომელიც ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩება ჭურჭელში. ჩოჩო არის ხის ქერქის ჭურჭელი, ძირი ტკეჩით აქვს გამოწნული. მასში ახლადამოყვანილ ყველს დროებით ათავსებენ. ყველი იწურება, სველი კალათში გადის.

ნამწათხო ხალამში შენახული ყველის წვენია (მარილიანი). ნოგა ხის ჭურჭელი იყო და წველის დროს ხმარობდნენ.

სხენი წყლიანი რძეა, ძროხას უჩნდება ძუძუში ერთი კვირით ადრე ხბოს მოგებამდე, უქრება მშობიარობის შემდეგ ხუთ დღეში.

დაკლულ პირუტყვს ასო-ასოდ დაანაწილებენ. ხარისა და ძროხის ხორცი ათ ასოს შეადგენს: ბეჭები (ორი ასო), ბარკლები (ორი ასო), თეძო (ერთი ასო), სათბილო (ერთი ასო), გვერდები (ერთი ასო), მკერდი და კისერი (ერთი ასო), გულ-ღვიძლი (ერთი ასო) და თავ-ფეხი (ერთი ასო).

ზურგის ნაწილი, კისერსა და სათბილოს შორის, არის სხაპი.

გასუქებულ ღორს ზამთარში დაკლავენ. დასაშაშხი ხორცი სამი ნაწილისაგან შედგება: ორი ფელიკი ყბებითურთ და ზურგის ძვალი.

თავსა და გულ-ღვიძლს არ ინახავენ.

ფელიკს რცმელს || ნაფერდალს — ფენთხს — და კელავერს (ნაწილია ბეჭთან) ახდიან (მთლად არ დააშორებენ). ხორცს დაამარილებენ და ერთმანეთზე დააწყობენ. რვა დღეს გააჩერებენ.

წვერწათლილ პატარა ჯოხებს რცმელებსა და კელავერებს შეუყენებენ.

ფელიკებს სამზარეულო სახლში, შუაცეცხლის პირდაპირ, კაკვებზე ღვლეჭებით ჩამოკიდებენ, ჩხოლზე გაახმობენ.

ნაწლავებისაგან კეპილებს — კუპატებს — აკეთებენ. ფელიკების გვერდით მოათავსებენ.

ნარჩიელა ნაწლავების გარეთა ქონია, ნახარჩო — შაშხის ნახარში წვენი.

დაკლული ცხვრის ნახევარი არის ფეშხო.

ფოცოცი სავარცხლისებური ხორცია და ქათამს თავზე აქვს

(ბიბილო), ჰონტო მოჩეტია, ნამჩხოვედი აგვისტოს შემდეგ გამოჩეკილი წიწილებია. კოშია ინდოურია, კვაწალია ინდოურის ჯუკია.

მსხვილ და მძიმე კვერცხზე იტყვიან: ბეზუნააო. ლაყეზე — ნამოკვარიაო.

ზოგიერთ ფრინველს ერუნი — შავი და თეთრი — ფერი აქვს.

ერთ-ერთ თეთრკისრიან ჩიტს მანჭია ჰქვია. კისერს ხშირად ამოძრაველებს. ბევრი ბარტყი ჰყავს.

დიდ მთაში ბინადრობს მაღირღოლია — ქორის მსგავსი ფრინველი. ჭრელია, მაღალფეხებიანი. მტაცებელი არაა. ღამე გაკივის „მოვალო".

წულიკიორა ნაცრისფერი ჩიტია, მდინარის ან ღელის პირას ცხოვრობს.

ნამცხვარი და საჭამადი

პურს ამგვარად აცხობენ:

ფქვილს მერდიმში — წმინდა საცერში — გაატარებენ, გობზე მოათავსებენ, შიგ საფუარს ჩაურთავენ, თბილ წყალს დაასხამენ, მოზელენ და გააღვივებენ. ანაქოტს — ანაცერს პირუტყვს აჭმევენ.

საფენალი მშრალი ფქვილია. მას გობში მოაფენენ, რომ ცომი დაგუნდავების დროს მცხობელს ხელებზე არ მიეკრას.

ცომს გობზე გუნდებად მოამწკრივებენ, გააბრტყელებენ და თორნეში ჩააცხობენ.

პურში ურთავენ ყველს, ნიგოზს, ლობიოს, მხალსა და სიმინდს.

თორნეში აცხობენ ლავაშს. კოტეტიანი პური მრგვალთავიანი სქელი ლავაშია, საძღენო; ხმიადი გაუღვივებელი ცომის ნამცხვარია, ხმელაპური ანუ გომიჯი კი გაღვივებული ცომისაგან მიიღება; ნაზუქი ქადაა, ერბოკვერცხიანი ნამცხვარი; გორგოლა პატარა, მრგვალი და გულგამოჭრილი პურია (Бублик), ბავშვს უყვარს; განატეხი იყო ჯვარგამოსახული ნამცხვარი (ყველიანი ან ნიგვზიანი) და ლოცვის დღისათვის ამზადებდნენ.

მეთორნეები წინათ იყენებდნენ ორომს. ამ ხელსაწყოთი სწრაფად ბევრ პურს აცხობდნენ. ეს სიტყვა „...დღესაც ცოცხალია ზემო იმერეთში, სახელდობრ, ხუნევისა და ღორეშას მიდამოებში. ორომი ეწოდება ძრკვალად გამოხერხილ ან გამოთლილ ბრტყელ ფიცარს, რომელსაც ცალი სიბრტყის მხრივ შუა ადგილს ხელის ჩასაჭიდი ტარი აქვს მიმაგრებული. ხაბაზებს ოროში ხელში ამ ტა-

რით უჭირავთ და ზედ მოთავსებულ ცომს თონეში გადმოტრიალებით ჩააკრავენ ხოლმე“ [1].

შემდგომ ორომი ტილოს ბალიშიანზე ჩოგანმა შეცვალა.

კეცი უმთავრესად მჭადისათვის ესაჭიროებათ. მასში გამომცხვარს ნაკეცური ჰქვია.

პურს აცხობენ დღესასწაულის, ქორწილისა და ტირილის დროს. ყოველდღიურად მჭადს ან სიმინდიან პურს აცხობენ. სიმინდს აჭმევენ შინაურ პირუტყვებსა და ფრინველებს. დაღერღილ სიმინდს ან ქერს როში ჰქვია.

ლობიოს ამოლესავენ — ქოთანში ლაფერთხით — ტოტებიანი ფიჩვის ჯოხით — გაჭნიან ან პირშილად აკეთებენ — გაუქნელად კაზმავენ. ასევე ამზადებდნენ ცერცვს, მუხუდოსა და ოსპს.

ლახანა თავშეუხვეველი კომბოსტოა, ჭილო—ხახვის ბოლქვი.

კრეფენ გარეულ მხალს. საჭმელად კარგია ტყის მხალეულები: ზერჩო (არჯაკელი), თიორში (მთის შროშანი), კვლიავი (ტყიურა), მწვადინელა (ცისთვალი), ქალაკოდა (ნიუკა), ქალშავა (თეთრყვავილა ლაშქარა, მხალშავა); მინდვრის მხალეულები: დუხტი (ტუხტი), თიკნისყურა, მგლისხორხა (თეთრი ნარი), ქისუნარა (შავჩოხა), შლუყურა შვლისყურა; სათიბის მხალეულები: ღვალო (ღოლო), ფშალა (სვია) და სხვა მხალეულები: ბზინდარა (საათა), ქათანაცერა (ნაცარქათამა). ჯიჯილაყა.

თიორშს, ღვალოსა და მწვადინელას დაწნავენ, გაახმობენ და ზამთრისათვის საჭმელად შეინახავენ.

კვლიავი ტყის მაღალი ბალახია. მის თესლს ნაყავენ, ღვინისთბილსა და მაყვლიან საჭმელს კაზმავენ.

ღვინისთბილს ადუღებული ღვინით, დანაყული ნიგვზითა და კვლიავის თესლით ამზადებენ.

აკეთებენ ქაშს, ნადუღსა და ფაფას. დაუშუშებელ ღომზე, ფაფასა და ფელამუშზე იტყვიან: მოლღე არისო.

ხეხილი

ხილი ყველა სოფელში უხვად მოდის. იგი გამძლეა, მგზავრობას იტანს და კარგი გემო აქვს.

ადგილობრივ ძველ ჯიშებს ეკუთვნის ვაშლები: აბილოური

[1] დ. შენგელაია, გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, № 21.

საშემოდგომოა, მოწითალო ფერისა; დანავაშლი საზამთროა, მოგრძო, თეთრი; თურაშაული; კიტრავაშლი საშემოდგომოა, მოგრძო, თეთრი; ტყაპავაშლი საშემოდგომოა, ბრტყელი, წითელი; ღომავაშლი საშემოდგომოა, წვრილი, თეთრი; ყინულისვაშლი საზამთროა, მრგვალი, წითელი, ყრუაშვილის ვაშლი საზამთრო იყო, მსხვილი, თეთრი, გადაშენდა.

მსხლები: გამპარვია ჰკუტა საზაფხულოა, წვრილი; კაცითავა საშემოდგომოა, მსხვილი; კვირისტავა საზაფხულოა, თეთრი; საკალო ჰკუტა საზაფხულო მსხვილი პანტაა; სასელო საზაფხულოა, საშუალო ზომისა; ურიამსხალა საზამთროა, წვრილი, შავი; შავმსხალა საზამთროა, მოშავო ფერისა; წითელგვერდა საშემოდგომო მსხვილი პანტაა; ჭალოულა საზაფხულოა, თეთრი; ხეჭეჭური საზამთროა, შავი, ჭურში ინახავენ.

ქლიავები: შავი ქლიავი, ღოღნაშო (წვრილი); თეთრია აგრეშუულა ადრე შემოდის, გვირილა, კატაყვერა, ჭანჭური, ორტოლო მოწითალოა, გრძელი და მჟავე. წყალქლიავა ნახევარი გვერდი წითელი აქვს.

მწიფე ბალზე ამბობენ: მიყვანჭალებულიაო, მწიფე მსხალზე—ყვინწკლივითააო. უგალავი დაუმწიფებელ ხილს აღნიშნავს. ხე როცა ბევრს მოისხამს, იტყვიან: ნაყოფი ერთმანეთზე მიყურულიაო, თუ ხილს ჩამოყრიან—ჩამოუხოლავთო.

ხილის ნაყოფის გულს, რომელსაც ადამიანი არ ჭამს, ნაღუჭი ეწოდება.

გასხეპილ სწორ ხეს სორსალი ჰქვია. ბუნებრივს—ლატანი. ყვინჯი დიდი კორძია.

ბორჯოყო ადგილია ხის შესავალში დედა ტოტთა შორის. მის ზევით ბოჯღოტებია. ბოჯღოტთან წვრილი ტოტები იყოფა.

ზოგიერთ ხეს უცნობი სახელი აქვს. ასეთია: არწკლი ანუ ძუმელა შინდის მსგავსია, მწვანე (შინდანწლა). მას იყენებენ წნელად, აგრეთვე ჩიბუხის ტარადაც; ბაგუნდი||ჩიჭუნი||ბურტყილა—მდგნალი ანუ კატატირიფა (საბა)—თეთრი ტირიფია, რომელიც ისხამს ბუმბულს (ბეიტები) გაფოთლებამდის; ბაძგარი—ეკლიანი ჭყორნალი (საბა)—ეკლიანფოთლებიანია და შქერს ჰგავს; თხიფსელა წითელგულიანია (ხეჭრელი); კაკათხილა მსხვილი

თხილია; ლობიოკალა აკაციის ხეა; ღორისტყემალა წითელი კუნელია; შკორე არის მელიჭაური — დაბალი მცენარე მაღალ საძოვარზე (ძუღური, თარიკონი), სიცივეშია, ხშირი სეტყვის გამო არ იზრდება; ჰეჰკეტა კაპარის მსგავსია, თეთრზოლებიანი. ხმარობენ წნელად, აგრეთვე ჩიბუხის ტარადაც. შკობა არის რთხმელის ბუჩქნარი.

შაშვიპურა ეკალას ნაყოფია, კვრიხილი — თხილის ყვავილი, ბუძგვი — წაბლის ეკლიანი საფარი.

ხვამლის, ლეხერის, ზოგიშისა და ქულბაქის მთებში დიდი ხნის ტყეებია. აქ სახლის მასალას ამზადებენ

ქ ხ ო ვ ა

წინათ შემოსილი იყვნენ წინაური ნაწარმით. კანაფს რთავდნენ და ტილოს ამზადებდნენ, ცხვრის მატყლით შალს ქსოვდნენ. პირუტყვის ტყავისაგან ქალამანსა და ბანდულს იკერავდნენ. ბანდულს ზამთარში იცვამდნენ. ფეხი კოჭამდის ჩადიოდა. ბალნიანი ძირი ჰქონდა. ბანდულში ჩაუტნევდნენ წმინდა ბალახს — წერაქოს (თოში), მელეზერს (ბერსელა, წბილა) ან გეჩეჩურს. ბზინდისაგან (ბლის კანია) ჩანთებს წნავდნენ.

მატყლს გაჩეჩავდნენ და ჩერიათი — კვირისთავიან თითისტრით — შერთავდნენ.

სტვის — რთვის — დროს ხდებოდა გადაჩაკვა: თითისტრის წვერზე ძაფს ისე შემოახვევდნენ და გადანასკვავდნენ, რომ ნართავი არ დარღვეულიყო. რთვას განაგრძობდნენ, გადაჩაკვილ ადგილს გახსნიდნენ, ძაფს თირისტრის ტანზე დაახვევდნენ და ისევ წვერთან გადაჩაკვავდნენ.

ძაფს მურგვად დაახვევდნენ. ტარ-კვირისთავზე დაძახავდნენ — ორმაგ ძაფს ერთად შეაგრეხდნენ. შემდეგ მის მურგვს გააკეთებდნენ.

სამუხელზე — ბოძალ შინდის ხეზე — დახვეულ შესაღებ ძაფს შულოს უწოდებდნენ.

ძაფს წერით ღებავდნენ. მას კაკლის ხის ცილისაგან ან ძირისაგან გამოხდიდნენ.

წინდას, ხელთათმანს, შარფსა და კაბას (წელს ქვეით) წინდისჩხირებითა და ყასნაყით ქსოვდნენ.

ჭელს საქსოვის ჩარჩოში გააბამდნენ. საქსოვი დაზგა ოთხი

სვეტისაგან შედგებოდა. ცანდი მოსაქსოვის სიგრძეს ნიშნავდა, ლანდი — ძაფების სიმრავლეს განში. ცანდს ჰკეცავდნენ.

დგიმს ორი ნაწილი ჰქონდა, თითოეული ნაწილი (ორჯოხიანი) სიმაღლეზე ადი-ჩამოდიოდა. სავარცხელი ცანდში მოძრაობდა და ძაფს ბეჭავდა. ლაფათინი სავარცხლის ჩარჩო (ხისა) იყო.

პირღია დგიმში მაქვა მასრით გაჰქონდ-გამოჰქონდათ. მაქვა ღრუ ხეა, თავ-ბოლო წაწვრილებული. მასში მასრა მავთულზე ბრუნავდა. მასრაზე დახვეული ძაფი ირღვეოდა.

საკინწალაზე — ბაწარზე — დგიმ-სავარცხელი ეკიდა. დგიმს ჰქონდა ორი ყვანთალა — მოკლე მოძრავი ჯოხი.

ნაქსოვი ეხვეოდა რვილაზე, რომელიც დაზგის სვეტებზე იყო მიმაგრებული.

ქსოვილს მოთელავდნენ, გარეცხავდნენ, გააშრობდნენ და შეღებავდნენ.

შალისაგან ჩოხას, შარვალს, პაიჭსა და ყაბალახს იკერავდნენ.

შალისა და აბრეშუმისაგან მზადდებოდა ლეკურთხი ლეკვერთხი — პაიჭის ან ჩულქის წვივზე დასამაგრებელი ზონარი (Подвязка). პაჭანიკი იყო პაიჭის ან აზიური მუჭასარის — შარვლის ტოტის — ბოლოზე ორივე თავით დაკერებული ზონარი, ფეხის გულზე ამოსაკრავი, პაიჭისა და შარვლის დასაყენებელი.

ლაინი ხამს ერქვა. მას ლურჯად ღებავდნენ, საახალწლე ქსოვილი იყო.

მეჰურჰლეობა

მეჰურჰლეობა განვითარებული იყო საირმეში. ამ სოფლის ადგილებში — უთილაშში, კახურაშსა და არმოდიაში საუკეთესო ხარისხის თიხა (აყალო მიწა) მოიპოვება.

საირმეში მზადდებოდა ყოველგვარი ჰურჰელი — ქვევრი დიდი (ჰური) და პატარა (ყვიბარი), დორა, კოკა, დოქი, თორნე და ხალამი. მათ შესაძენად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სოფლებიდან მოდიოდნენ.

ორი გლეხი შეამხანაგდებოდა. მუშაობას აწარმოებდნენ მაისიდან ოქტომბრამდე. ორივეს ჰქონდა ქარისაგან დაცული სადგომი. უმეტესად პალატში იყვნენ.

მოიმარაგებდნენ მიწასა და სილას. მიწას შემოღობილ ადგილზე წყლით ნედლად ინახავდნენ. მიწასა და სილას მოზელდნენ, ანაჰრებად დააწყობდნენ. თავზე ანწლს გადააფარებდნენ.

პირველად ჭურების კეთებას შეუდგებოდნენ. მუჯუროს — ჭურის ფსკერს — მურგვზე ამთავრებდნენ.

მურგვი ხის მბრუნავი ხელსაწყო იყო — მრგვალი ფიცარი, რომელიც კონუსისებურ ფეხზე იდგა.

მუჯუროს შემდეგ თავღია სკამში მოათავსებდნენ. რამდენიმე გურგუსალს — მოზელილ გუნდას — შემოავლებდნენ.

უკანასკნელად კიდევ ცალკე გადადგამდნენ, ქვებსა და ბინიკებს || ბიგებს — ჯოხებს — შეუყენებდნენ. კედელი რომ არ დაზიანებულიყო, ბინიკზე ხის ქერქს დაუტნევდნენ. შენებას გააგრძელებდნენ.

როცა მუშაობას შეწყვეტდნენ, ნაპირებზე, რომ არ შემხმარიყო, ვაზის, კვახის ან ღელაღუნტას (ფართოფოთლიანი ბალახია) ფოთლებს დააფარებდნენ.

ერთსა და იმავე დროს ამზადებდნენ ოთხ ჭურს (თითოეული 40-60 ფუთს იტევდა), შუაში ჩასადგამს (8 ფ.) და თორმეტ ყვიბარს (4-6 ფ.).

შემდეგ აკეთებდნენ მენახევრიან დორას, კოკასა და ხალამს. ამ ჭურჭლებს კი მურგვზე ამთავრებდნენ.

ოსტატის ხელსაწყოებს შეადგენდა: დანაჩხირი, სავარცხელი, სატკეცი და საჭოჭიალო.

დანაჩხირი დანისებური ყავრის სქელპირიანი ნაჭერი იყო. ცალი ხელით მურგვს ატრიალებდნენ. მეორე ხელში დანაჩხირი ეჭირათ და კედელს თლიდნენ.

სავარცხელადაც ყავრის ნაჭერი ჰქონდათ. მით კედელს შიგ და გარეთ წმენდდნენ, ალამაზებდნენ.

სატკეცი ჩოგანს ჰგავდა. მით ქვევრის თავის მოსწორება ხდებოდა.

საჭოჭიალოთი დორის, დოქისა და ხალმის ყელს აჩუქურთშებდნენ.

სველი ტილოს მჭვრით თავსა და ყელს ასუფთავებდნენ.

იმავე სამუშაოს მეორე ოჯახში განაახლებდნენ. ამასობაში პირველი წყება ჭურჭლეული გახმებოდა და ქურაში გადაიტანდნენ. ქვევრებს ქვეშ დადგამდნენ, დანარჩენს მაღლა მოათავსებდნენ.

ქურას წინა პირს ამოუშენებდნენ, ქვეშ ცეცხლის შესანთებად ხუთ კარს დაუტოვებდნენ.

უკანა კედელს ჰქონდა ჭუკები — ორი სარკმელი, რომლებსაც დატალახიანებული ფუჩეჩით ან კოროლით ამოავსებდნენ.

ფ ო ტ ო რ ო ს — ზეზე დამპალ ხეს — ცეცხლს შეუნთებდნენ. იგი ხუთივე კარში რვა დღეს ხრჩოლავდა. ბოლოს ჯირკებს შეყრიდნენ, ქურაში ცეცხლს ერთი ღამის განმავლობაში გააჩაღებდნენ. ექვსმარხილი (ნახევარი საჟენი) შეშა დაიწვოდა.

ცეცხლი ჭუკებში რომ გავიდოდა, ქურა გამომწვარად მიაჩნდათ.

ქურა განელდებოდა. სამი დღის შემდეგ ცივი იყო. წინა ჰერს დაარღვევდნენ და ჰურჰლეულს გამოიტანდნენ.

მეორე წყებასაც ამგვარად გამოწვავდნენ.

ორი გლეხი ერთ წელიწადში ხუთ-ექვს ქურა ჰურჰლეულს დაამზადებდა.

კ ა ლ ა ტ ო ზ ო ბ ა

საირმე განთქმულია კალატოზობითაც. აქ ახლაც ბევრი ოსტატი ცხოვრობს. საირმელები ქვითკირის შენობებს სხვა სოფლებშიც დგამენ.

ყველგან მოიპოვება კ ა ს ა ლ ი ქ ვ ა — ძირითადი მაგარი საშენი მასალა. მას ტეხენ, არ ითლება. წინათ სახლებს ს პ ო ნ დ ი ო ს ქვითაც აგებდნენ. წ ი წ ი ლ ე ბ ი ა ნ ი ქ ვ ა დიდია, კენჭოვანი და მკვრივი.

წისქვილის ქვები და ბ უ ხ რ ი ს ფ ე ხ ე ბ ი — კედლები — ჟონეთიდან (იმერეთი) შეაქვთ.

ზოგი ქვის სეტი წვდენებისაგან შედგება. წ ვ დ ე ნ ი ერთიანი ქვაა, შუბლიან ორ ქვაზეა დადგმული. შ უ ბ ლ ი ა ნ ი ქ ვ ა სეტის მეორე გვერდზე წვდენია. შუბლიანი ქვები წვდენებშია ჩაკეტილი.

საირმის უდაბნოში ჰრიან ბ ა ღ დ ა დ ი ს ქ ვ ა ს. ეს ქვა საუკეთესოა, თეთრი და თავისუფლად ითლება.

ბაღდადის ქვით აშენებენ ოდის ქვედა სართულის ორ კედელს, გვიმს, კედელსა და ნობს წყაროზე. ნ ო ბ ი კოდია. ბინული ავსებს და გადმოდის. დიდ წყაროსთან ნობს პირუტყვთათვის აკეთებენ. ბაღდადის ქვით ამზადებენ აგრეთვე ბუხრის თავს, საცეხველს და ჰიშკრის, ფარდულის ან სასიმინდის სეტებს.

კალატოზს ესაჭიროება შემდეგი ხელსაწყოები: დ ი შ ლ ი — ბრტყელპირიანი ჩაქუჩი. მას ორივე მხრივ რკინის კბილები აქვს; ტ ა რ ა ღ ი ც ბრტყელპირიანია, მაგრამ უკბილო ქვა ითლება დიშლით, შემდეგ — ტარაღით; შ ი მ შ ა — კუთხედი სწორი ჯოხი, სახაზავი; თ ა რ ა ზ ო — სასწორი, კედლის სამართი (Ватерпас); ქ ო -

ფჩი — რკინის მცირე ნიჩაბი, ცემენტისა და კირის ასაღები; რკინის გონიო—სწორკუთხედი; გონიობურს ბლაგვი კუთხე გამოჭყაკს.

დურგლის იარაღები

ამ პროფესიის ლექსიკისათვის (ფიცრულისა და ავეჯეულობის ნაწილთა სახელწოდებანი) იხილეთ წერილები: კარ-მიდამო, კათხა სახლი, ტვირთსაზიდი საშუალებანი, გვიმის წისქვილი, ღეინის დაყენება.

ბაზო კარის ან ფანჯრის დარაბის გულის ჩარჩოა (სიმაღლეზე), განის ყაიდი — ფიცარი, რომელიც ორ ბაზოს აერთებს; ბაზოსა და განის ყაიდის ამოღარულ ნაწილს (ნაპირში) შიპი ეწოდება. შიპი აფრასაც აქვს.

ქანის შკაფი შიპის ამოსაღებია, პირთხელი — შიპის გასაწმენდი.

შალაშინი სხვადასხვა სახისაა: ხუშტარა გრძელია და წვრილი, ფიცრის ნაპირს ორ სანტიმეტრზე ჩამოჭრის, ფიცარს შემდეგ დიდი შალაშინი მოასწორებს; შპუნთი კორძებს წმენდს, ცირკლი — ფიცარს საბოლოდ; სეთიღი სამკბილაა, კარისა და ფანჯრის ფიგურებისათვისაა საჭირო; ფიგარას კარის ან ფანჯრის დარაბის გულის ნაპირი გამოჭყავს; გარტიელი ღრმა კვალს აჩენს.

გახრილ ფიცარს შიმშათი და შვეულით (ზუბარა — ტყვია თოკითურთ) დააყარაულებენ — გაასწორებენ. ზუბარათი ქვის დაყარაულებას კალატოზებიც აწარმოებენ.

ბარამბა კარის დასაკეტია — ლურსმნით მიჭედილი სარაზანი. საზოგადოდ კი სამკუთხედს ნიშნავს. იტყვიან: კოჭის თავი ბარამბულად ჩავკეტე საძირკველშიო.

ხათქაში („რესმისი") არის მზომავი (ხისაა), ბურაო — ბურღი.

ბირკვილისა და თაღლამას ფიცარს ხვრეტენ წვრილი და გრძელი ხვრეტით, რომელსაც აქვს სხვადასხვა სახელი: შაბაქა, მელაკუდა და ძინწოფილა.

სისოხერხი პატარა, თხელი ხერხია, ერთ კაცს უჭირავს ხელში, მისი პირი თოკით არის გაჭიმული (მაღლა).

კბილსაყარი რკინის ხელსაწყოა, რითაც ხერხის კბილების გაჭოპირვა ხდება.

ჩულუხი რკინის დიდი სატეხია, მით ურმისა და მარხილის ნაწილებს ხვრეტენ; თეგი პატარა სატეხია.

ღირსშესანიშნავი ადგილები

ბევრ სოფელში არის ციხე ან ნაციხარი. შემოსეულ მტრებს აქედან ებრძოდნენ. მურის, ორბელის, დეხვირისა და გვესოს ციხეებში მთავარ სიმაგრეებად ითვლებოდა.

ციხეები ახლაც დგას მურში, ორბელში, გვესოსა და დერჩში.

ციხის ნაშთები ან ნაციხარი ადგილებია დეხვირში, ზუბში, უცხერში, უსახელოში, ნასპერში, ჭყვიშში, გენდუშში, ზოგიშში, მექვენაში, თაბორში, ლაილაშსა და ლეშკაშში.

მიუვალი ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულები არის ხვამლის, ორხვის, სარეწკელასა და ორპირის კლდეებში.

ზოგიერთი ადგილი, სადაც ხატობას იხდიდნენ, ეკლესიითა და მრავალწლოვანი ცაცხვის, მუხისა და ნაძვის ხეებით ახლაც დაცულია.

მაღლობებზეა, შორეულ თვალსაწიერში (სივრცეა, რასაც თვალი მისწვდება) და ნათლად მოჩანს ლაბეჭინის, შხუდალას, გუდულაშის, მცხეთის, ნაკურალეშის, ლარჩვალისა და ჩქუმის სალოცავები.

მონასტრები იყო ხვამლზე, საირმის უდაბნოსა და ნამარნევში.

მინერალური წყლები მოიპოვება ახალჭალაში, ლაშიჭალაში, ძუღურში, ზედა სურმუშში (დასალევი), ქვედა და ზედა სურმუშში, ზუბში, აღვსა და ალპანაში (გოგირდოვანი),

სახელმწიფო მარნები არის ჭრებალოში, ორბელში, ტვიშსა და ოყურეშში. კრამიტის ქარხნებია გუგულეჩსა და ჭრებალოში

აგებულია მექვენჰესი და ქორენიშჰესი. ელსადგურები შენდება აგრეთვე ორბელში (მდ. ლაჯანურზე) და ისუნდერში (მდ. რაჩხაზე).

დ ღ ე ო ბ ა ნ ი

ძველად სხვადასხვა ხალხურ წეს-ჩვეულებას იცავდნენ. ახლა ზოგი აღარ ასრულებენ. ისინი მოხუცთა მოგონებების მიხედვით აღვწერეთ.

დღეობას დიახწველი ერქვა. ახალი წლის წინა დღე კალანდობა იყო. ამ დღისათვის გლეხს დასაკლავი ღორი ჰყავდა.

გლეხი ღორს კალანდობას, დილით, დაკლავდა, კაკვზე ჩამოჰკიდებდა, ბარკალსა და უწუმარს საღამოს მოხარშავდა. მოჭრილ თავს ნათლისღებისათვის შეინახავდა.

კალანდა დღეს ჩიჩილაკებს დაამზადებდნენ. ჩიჩილაკი თხილის ხისაგან კეთდებოდა. ხეზე, ცალი თავით, მისივე კანის ნათ-

ლები ეკიდა. გახლეჩილ თავში ბაძგარის შტოსა და კუნელას მტევანს დაამაგრებდნენ. საღამოს ჩიჩილაკს ყველა შენობის წინ და ჭურისთავზე დაასობდნენ.

ოჯახის უფროსი სამკლოვიაროს დაამზადებდა და ბეღელში შეინახავდა. ახალი წლის განთიადზე ადგებოდა და სახლში მიიტანდა.

ცალ ხელში ეჭირა ვაზის გვერგვი — სალტე, რომელშიც ჩიჩილაკები ჯვარედინად იყო გაყრილი. გვერგვზე ედო ნამცხვარი (ლობიანი ან ცერცვიანი), საკალანდო ღორის მოხარშული გულ-ღვიძლი, ხილი, თაფლი და ტყვია. მეორე ხელით ღვინით სავსე დოქი მიჰქონდა.

სამჯერ რომ დაიძახებდა, კარს გაუღებდნენ. ყველა წევრს მიუკვლევდა თაფლს და დალოცავდა: ასე დატკბა თქვენი სიცოცხლეს ტყვია მოხვდა თქვენს მტერსა და ორგულსო.

ეს ოჯახის მკლოვიარე იყო. მერე მეზობლისაგან მეკვლევი მივიდოდა ტაბლა-პურითა და დოქი ღვინით. ის კარებში შესვლისთანავე წარმოსთქვამდა: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ნათვლა-ქორწილში, სიმრთელ-სიმხიარულეში, შემდეგ პეშვ ღომს სოხანეზე მოყრიდა და იტყოდა: ამდენი გოჭი და ქათამი გაჩნდეს და გაიზარდოს ამ ოჯახშიო. მეკვლევს საჩუქარს გაატანდნენ.

ახალი წლის მეორე დღეს ფეხისდაბწინას ეძახდნენ. მიიპატიჟებდნენ ძმობილს, დობილს, ნათლიას. სადილს გამართავდნენ.

სტუმრებს ერთი მასპინძელთაგანი ღვინით ხელს დააბანინებდა, თან მარილს წაამცვრევდა და ეტყოდა: ბევრი ახალი წელიწადი მოგსწრებოდეთო!

საღამოს შინ გასწევდნენ. მასპინძელი მეორე დღეს მათთან უნდა მისულიყო. ამგვარი მისვლა-მოსვლა და სტუმარმასპინძლობა ხშირად სამ-ოთხ დღეს გასტანდა.

6 იანვარს, ნათლისღებას, დილით, საკალანდო ღორის თავს მოხარშავდნენ.

ოჯახის უფროსს პური და ღორის თავი მარანში მიჰქონდა. სავსე ქვევრს მოხდიდა, გომიჯს თავზე შემოაელებდა და ილოცავდა: ღმერთო, შენ მიეცი ბარაქა ჩვენს ბეღელს, ნუ ამოგვილევ ჭურში ღვინოსო!.. ხორცს მოთლიდა და ღვინოს შესვამდა.

ნასადილევს სამკლოვიარო გვერგვს სახლის თავზე შეაგდებდნენ.

აღებანის ხუთშაბათს, მარიამობას, განატეხს გამოაცხობდნენ, ნაკრტენით დასვრეტდნენ, სამტკიცზე ან კაკაბა ცხრილზე დადებდნენ და წაღმა დააბრუნებდნენ, ქათმებს ულოცავდნენ.

ოთხშაბათი და პარასკევი მარხვად ითვლებოდა. ოთხშაბათს ან პარასკევს მგზევსი ეწოდებოდა, თუ ამ დღეს რომელიმე დღესასწაული იყო.

მგზევსი გახსნილებულ ოთხშაბათს ან პარასკევს ნიშნავდა, აღებანის ოთხშაბათი და პარასკევიც მგზევსებად მიაჩნდათ.

თ ე თ რ ი ო რ შ ა ბ ა თ ი ყველიერის პირველ დღეს ერქვა.

დიდმარხვის პირველ დღეს, შ ა ვ ო რ შ ა ბ ა თ ს, რ კ ი ნ ო ბ ა იცოდნენ. კვირას, საღამოს, ხეებს დარკინავდნენ — ტანზე რკინის იარაღს შემოუკაკუნებდნენ. შემდეგ ყველა იარაღს დამალავდნენ და მეორე საღამომდის ხელს არ ახლებდნენ.

შავ ორშაბათს, საღამოს, ილოცავდნენ. ჭივჭინასა და ვაჭინას შესანდობარს დალევდნენ (ამ დღეს ორი ძმა სანადიროდ წავიდა, მხეცს შეებნენ და დაიღუპნენ) და რკინას გახსნიდნენ: მისი ხმარება იმ ღამესვე შეიძლებოდა.

დიდმარხვაში, პირველი კვირის შაბათს, თესლის გაღების დღე იყო. თ ე დ რ ო ბ ა ერქვა. მარცვლეულის თესლს პეშვით (კ ვ ა ნ ჩ ხ ი თ) აიღებდნენ, ციწაში ჩათესავდნენ და დალოცავდნენ. თედრობა ცხენის ლოცვის დღეც იყო.

სოფელ ლუხვანოში, თებერვლის თვეში, ერთ დღეს ცხრა მიცვალებული დაუკრძალავთ. მათს ხსოვნას გულისხმობდა დღეობა ს ა კ ა ც უ რ ო ბ ა, რომელსაც ყოველწლიურად აღნიშნავდნენ.

აღდგომის მეორე დღე გ ო რ გ ო თ ო ბ ა იყო. მაისში კ ვ ი რ ტ ო ბ ა ს იხდიდნენ.

დებვირის საზოგადოებას (დებვირი, მცხეთა, ლასხანა, თხიზურგა, ჩვალბეჩი, ლესინდი, ლეშკედა და წილამიერი) აღდგომის შემდეგ მესამე ორშაბათი უქმ დღედ ჰქონდა გამოცხადებული.

ამ დღესასწაულს ხ ა ტ ა რ ე შ ო ბ ა ეწოდებოდა.

ხატარეშობას დებვირის ციხიდან ბუკს დაუკრავდნენ. სადებვირო გაიგონებდა. ყველა მცხეთისაკენ გაემართებოდა.

ეკლესიიდან ხატს ერთ კილომეტრზე გალობით გაჰყვებოდნენ.

ხატს დაასვენებდნენ ებელარში, ცაცხვის ხისქვეშ. იქ იდვა დიდი კუთხედი ლოდი. მის ქვეშ შენახული იყო პატარა და ბურთივით მრგვალი ქვა.

ამ მრგვალ ქვას მონახავდნენ. ვინმე მკლავმაგარი ახალგაზრდა ვაჟკაცი ქვას აიღებდა, აღმოსავლეთისაკენ გაიქცეოდა და ღელეს გაღმა გაისროდა.

გამოყოფილი ჰყავდათ კაცი, ის უყურებდა, ქვა სად დაეცემოდა და რომელ მხარეს შეტრიალდებოდა.

ქვა თუ წაღმა შემობრუნდებოდა მიწაზე დაცემის დროს, იტყოდნენ: წრეულს კარგი წელიწადი იქნებაო. ბოლოს დეხვირის ციხისაკენ გასწევდნენ, ლხინს გამართავდნენ.

ხატარეშობა დღეს ქვემო სვანეთში უსტატაბლიერობა იყო. ამ დღეობაზე ცაგერის მახლობელი სოფლების მცხოვრებნიც დაბრიოდნენ.

მაისის თვეში ნაკურალეშში ისკელიტობას იხდიდნენ. ისკელიტა ადგილია, სადაც ხელუხლებელი დიდი წიფლის ხე დგას.

ისკელიტობა საქორწილო ლოცვა იყო.

ამ დღისათვის მახისა და ზანდურის განატეხებს გამოაცხობდნენ. მივიდოდნენ ბოსელსა და საღორესთან. პირუტყვს ულოცავდნენ და კვერს შეჭამდნენ.

ისაუზმებდნენ და ისკელიტასაკენ გასწევდნენ.

ხესთან ლიტანიას შეასრულებდნენ: ღმერთო, გაგვიმრავლე საქონელი, ასად აქციე ჩვენი ძროხა, ღორი, ცხვარი, მშვიდობით გვამყოფეო!.. შემდეგ ისადილებდნენ.

20 ივლისს ხვამლობა იცოდნენ. ხვამლის მთაზე ხატობა იმართებოდა. მოსავლისათვის ლოცულობდნენ. ხვამლს ევედრებოდნენ: გვალვისა და სეტყვისაგან დაგვიფარეო. ვისაც ხვამლი სწყალობს, — ნათქვამია, — მისი ბელელი არ დაიცლებაო.

ხვამლობისათვის გლეხებს შეწირული ჰქონდათ ნიგვზის ხე — სახვამლო კაკა. პატრონი მას არ ჭრიდა, მის ნაყოფს არ ჭყიდდა და არც ოჯახში სარგებლობდა.

თუ ვინმე შეჭამდა, იტყოდნენ: ბავშვებს ხველას დააწყებინებსო. ამ დღეს, სახვამლო კაკლის ხის ძირში, ქალები სუფრას გაშლიდნენ, განატეხს — ნიგვზიან ხმიადს, ღვინოსა და შემწვარ ქათამს მიიტანდნენ.

დედა იღოცავდა: ლებანოს მადლმა ქსენა და ხველა ააშორე ჩემს ოჯახსო!

ივლისში წიფელობას დღესასწაულობდნენ.

შემოდგომაზე, 24 სექტემბერს, ჩხუტელსა და მექვენაში ჩიტობას იხდიდნენ. მოსავალს ულოცავდნენ, ჩიტებმა არ შეჭამონო. როცა წლიურ მოსავალს აიღებდნენ, დიდ ვახშამს გამართავდნენ.

ამ დროს, წიფის ჩათავების დღეს, მაგიდას ჰურ-ღვინით ავსებდნენ.

ოჯახის უფროსი აიღებდა ცალ ხელში განატეხს, მეორეში ღვინით სავსე ჭიქას და შეევედრებოდა ღმერთს: უფალო, ეს შენი ნაწყალები ჭირნახული ნათვლა-ქორწილში მოგვახმარე, დაგვიცავი ჭირ-ბოროტისაგან, გვიბოძე სიმრთელ-სიმხიარულეო!.. ღვინოს დალევდა, პურს ლუკმას მოსტეხდა და შეჭამდა. შემდეგ ყველანი ივახშმებდნენ.

ჰანტილობას — შობის წინა ღამეს, ვახშმად ამზადებდნენ ნიგვზითა და ხახვით შეკაზმულ მოხარშულ პურს.

შობას, დილით, კლავდნენ ქათამს. შიგანს ამოიღებდნენ, ყველსა და ბრინჯს ჩაურთავდნენ, მოხარშავდნენ და ისაუზმებდნენ. შობის საუზმეს ხაციცი ეწოდებოდა.

ქორწინება

ქალს სასიძო დანიშნავდა: ბეჭდებს მიართმევდა და კაბას შეუკერავდა.

ქალს მზითევს ქორწილის დღეს მისცემდნენ. დატვირთავდნენ ორ-სამ ურემს.

დედ-მამა და ძმები ქალს აძლევდნენ საგებ-სახურავს — ბუმბულებს, ლებებს, ბალიშებს, საბნებს, ნოხ-ფარდაგს; სკივრს, ზანდუკს; ჰურჭელეულობას — ქვაბებს, ტაშტებსა და ჭიქა-საინებს. გაატანდნენ აგრეთვე ერთ უშობელს შეადგენდნენ მზითევის სიას.

ძველად ქალს „ვეფხისტყაოსანსაც“ აზიზითებდნენ. სიაში ყველაზე პირველად იმას ჩაწერდნენ.

სიძე ცხენოსან მაყრებს მიიყვანდა. ლხინი გაჩაღდებოდა. დაღამების ჟამს წავიდოდნენ. დედოფალს თავისი მაყრებიც გაჰყვებოდნენ.

სიძის ოჯახში დიდი სამზადისი იყო. როცა სახლს დაუახლოვდებოდნენ, ორი-სამი მახარობელი დაწინაურდებოდა და მისვლას აცნობებდნენ.

ბავშვებს ჟინჟღილები ეკრათ, პირისპირ ჩამწკრივებული იყვნენ, სტუმრებს შუკასა და ეზოს უნათებდნენ.

დედა მეფე-დედოფალს შეეგებებოდა სახლის საძირკველთან, კარებში, შაქარყინულს პირში ჩაუდებდა და დალოცავდა.

ცეკვა-თამაშს გამართავდნენ. მერე სუფრას შემოუსხდებოდნენ. მეფე-დედოფალი ერთად იყო.

მათ იქ მყოფი ნათესავები და მეზობლები სათითაოდ ჩამოართმევდნენ ხელს, მიულოცავდნენ და თავზე გადასაგდებს — ფულს, ნივთს ან რაიმე ქსოვილს აჩუქებდნენ.

ქალს მდადი იცავდა. იგი მას ქორწილის დამთავრებამდის ახლდა, გვერდითაც უწვა. პატარძალი რასაც ინებებდა, უსრულებდა. „დედოფალი მეფესა, მდადი მექორწილესაო“, — მღეროდნენ ვაჟის მაყრები.

ქორწილი ორი-სამი დღე გრძელდებოდა.

მშობიარობის შემდეგ ძღვენს მიიტანდნენ და ახალდაბადებულს ადღეგრძელებდნენ. ამ დღისათვის საგანგებოდ კოტეტიან პურებსა და გორგოლებს გამოაცხობდნენ. ბავშვს ძმობილი მოინათლავდა.

მიცვალებულის დატირება

თუ ოჯახში რომელიმე წევრი გარდაიცვლებოდა, მეზობლები მაშინვე მივიდოდნენ და შეიცხადებდნენ. შემდეგ დასაფლავების დღეს დანიშნავდნენ.

ამ დღისათვის მაწვიერს გაგზავნიდნენ. მიიწვევდნენ მეზობლებს, აგრეთვე მოკეთეებს სხვა სოფლებიდან.

მივიდოდნენ. გაიმართებოდა ტირილი.

მიიტანდნენ გადასაფენს — შენაწევარს: ღვინოს, ფქვილს ან ფულს.

შეადგენდნენ გადასაფენის მომტანთა სიას, რითაც ოჯახი სამაგიეროს უხდიდა თავისიანთ ამგვარი შემთხვევის დროს.

შორებლები მოტირალით მივიდოდნენ. ყველას თავისი მოტირალისათვის ღვინო და სანოვაგე მიჰქონდა.

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ჰირისუფლის ოჯახში დაბრუნდებოდნენ.

ივახშმებდნენ და შინ წავიდოდნენ.

შვიდი დღის შემდეგ, შაბათს ან მარხვის გასვლისთანავე, ცხვარს დაკლავდნენ და აკურთხევდნენ. მანამდის ჰირისუფალი ხორცს არ შეჭამდა. ამ დღეს ხელისგახსნა ერქვა. ის ჰირისუფლის გახხნილების დღე იყო.

ერთი წლის განმავლობაში, ყოველ შაბათობით, ჰირისუფალი მიცვალებულს საკურთხს — პურ-ღვინოს — უმზადებდა.

წლისთავზე საბოლოო კურთხევას გადაიხდიდნენ. მეზობლებსა და მოყვრებს მიიპატიჟებდნენ. ეს დღე სუფრისაღება იყო და გლოვის დამთავრებას ნიშნავდა.

დედა კი თავის შვილს ხშირად დასტიროდა და შავ ტანსაცმელსაც დიდხანს ატარებდა.

მასალა მოგვაწოდეს კოლმეურნეებმა ეურემ ჩარკვიანმა (სურმუში), ექვთიმე აბელედიანმა (ცაგერი), სერგი ალავიძემ, ეკა გორდეზიანმა (საირმე), სამსონ დავითულიანმა (გაგულეჩი), გულჩინა ჯინჭარაძემ (ლაილაში), მართა ლეშკაშელმა (სპათაგორი), მინა ბურჯალიანმა (ორბელი), მარიამ გუგავამ (უსახელო), ნატო ჩხეტიანმა (ალპანა); ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ვარლამ მახარობლიძემ, ისტორიკოსმა სამსონ კოპალიანმა (ლუხვანო); აგრონომებმა მელქისედეკ ასათიანმა (დერჩი) და ნოე ალავიძემ (საირმე); პედაგოგებმა სოკრატ ასათიანმა (ტვიში), გერონტი და ვახტანგ კოპალიანებმა (ლუხვანო, ზარაგულა), პეტრე ჭაბუკიანმა (დეხვირი), თამარ ჩაჩხიანმა, მარიამ ფრუიძემ (ლაილაში), შაყვალა ყურაშვილმა (აღვი), შალვა ჭობონელიძემ და პანტელეიმონ ბოჭორიშვილმა (საირმე) და ძაძუ ჩხეტიანმა (ლაჯანა).

ისკელიტობის შესახებ პროფ. მ. ჩიქოვანის ცნობას დავემყარეთ.

ქვემოლეჩხუმური (კლდედაღმართული) და ოკრიბული ლექსიკიდან საერთო მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვა ჩაწერა პოეტმა დ. თომაშვილმა.

ნაშრომს რედაქცია გაუკეთეს პროფ. გ. ჩიტაიამ და პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა, რომელთაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

შალვა აბრამიძე

საისტორიო წყაროები მიუნსტერის ანაბაპტისტების შესახებ

I

1534 წელს თებერვალში მიუნსტერში დამყარდა ანაბაპტისტების მმართველობა. აღნიშნული ფაქტიდან ჩვენ დაცილებული ვართ მხოლოდ ოთხი საუკუნით, მაგრამ წყაროების მხრივ სავსებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ გვაქვს.

ამ დროს გერმანიაში უკვე გავრცელებული იყო ბეჭდვა. ამის შესახებ ფრ. ბეცოლდი სამართლიანად აღნიშნავს: „აღორძინების ხანის უდიდეს გონებრივ გადატრიალებასთან ჩვეულებრივ ფრიად მჭიდრო კავშირში მოჰყავთ წიგნის ბეჭდვის გამოგონება. და მართლაც ჰუტენბერგის გენიალურმა გამოგონებამ, რომელიც ლითონზე ზუსტმა მუშაობამ მიიყვანა ბედნიერ აზრამდე, რომ შესაძლებელია აღდგენის საუკეთესო ახალი ტექნიკა, მძლავრი ბიძგი მისცა ადამიანთა კულტურის განვითარებას“[1]. აგრეთვე კ. ლამპრეხტი მიუთითებს, რომ „ამჟამად ფრიად ძნელი წარმოსადგენია სრული სიცხადით, თუ როგორი არაჩვეულებრივი ცვლილებანი უნდა გამოეწვია XV საუკუნის დასასრულს „ადამიანთა გონებაში ამ ახალ მოვლენებს“. მას მოჰყავს სიტყვები ვიმპლენგისა, იმ ადამიანის, რომელიც ჰუტენბერგის აღმოჩენის შემდეგ, მეორე თაობას ეკუთვნოდა; განსაკუთრებით საამაყოა წიგნის ბეჭდვის გამოგონება, რომლის საშუალებით ჩვენ ქრისტიანული მოძღვრების ახალ მატარებლებად შევიქენით“[2].

---

[1] ფრ. ბეცოლდი, История реформаций в Германии, ტ. I, ნ. 1900, გვ. 215.

[2] კ. ლამპრეხტი, История Германского народа, მოსკოვი, 1896, ტ. III, ნაწ. V, გვ. 87.

ამ მოვლენამ ფრიად შეუწყო ხელი რეფორმაციის ეპოქაში მის მომხრეთა პროპაგანდისტულ საქმიანობას, ბიბლიის მასობრივ გავრცელებასა და შესწავლას, და, რაც მთავარია, პოლემიკური და პამფლეტური ლიტერატურის გავრცელებას. ცნობილია, რომ ანაბაპტისტები სასტიკ დევნას განიცდიდნენ. 1529 წ. შპაიერში შეკრებილმა საიმპერიო სეიმმა ხელმეორედ მონათვლისათვის დააწესა სიკვდილით დასჯა კოცონზე დაწვით. „თითოეულ მოზრდილ ანაბაპტისტს სასამართლოსა და გამოძიების გარეშე სასულიერო მსაჯულნი სიკვდილს მიუსჯიდნენ“ [1].

კ. ლამპრეხტი აღნიშნავს, რომ 1528 წ. 4 იანვრის საიმპერიო ბანდატი მოითხოვდა ანაბაპტისტების (გადანათლულთა) სიკვდილით დასჯას. ანაბაპტისტების დევნის მაგალითს წარმოადგენს შვაბიის როტენბურგში გადანათლულ მიხეილ ტაუბერის დასჯა. მას მოსჭრეს ენა, აწამეს იგი და შემდეგ კოცონზე დასწვეს. დასასრულ კ. ლამპრეხტი დასძენს, რომ „მათ კლავდნენ ათასობით და მათზე ნადირობდნენ, როგორც გარეულ მხეცებზე“ [2].

ბუნებრივია, რომ მათი მსოფლხედველობის გამომხატველ ლიტერატურას მსგავსი ბედი შეემთხვეოდა. ამის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ მიუნსტერის აღების დროს ეპისკოპოსის ლანდსკნეხტებმა ჭალაში დაარბიეს, რის დროსაც განადგურდა მრავალი მნიშვნელოვანი საბუთი, ანაბაპტისტების მსოფლმხედველობისა და მმართველობის დამახასიათებელი.

II

მიუნსტერის ანაბაპტისტთა მმართველობის შესახებ გვაწვდიან ცნობებს თანამედროვენი, მოპირდაპირე ბანაკიდან გამოსულნი, ჰენრიხ დორპი, ჰერმან კერსენბროხი და ჰენრიხ გრესბეკი. დასახელებულნი თანამედროვენი თანამხილველნი და მონაწილენი იყვნენ მიუნსტერის ამბებისა. მიუხედავად მათი პირადი უარყოფითი დამოკიდებულებისა ანაბაპტისტების მიმართ, რაც განპირობებულია მათ განსხვავებულ პარტიული და საზოგადოებრივი ტენდენციებით. უკანასკნელი ორი საკმაო უხვ მასალას გვაწვდის, რაც, რასაკვირველია, საჭიროებს ისტორიულ-კრიტიკულ შესწავლას და შედარებათა და დაპირისპირებათა საშუალებით ფაქტიური მასალის დადგენას.

[1] ფრ. ბეცოლდი, დასახელებული შრომა, ტ. II, გვ. 202.
[2] კ. ლამპრეხტი, დასახელებული შრომა, ტ. III, ნაწ. V, გვ. 87.

ბრეთვე უხვი მასალა მოგვეპოვება უფრო გვიანდელ, მიუნსტერის კომუნის შემდეგ გამოცემულ და მის მეცნიერულ შესწავლის უადრეს ცდაში კორნელიუსის შრომაში და აგრეთვე საარქივო მასალების, დოკუმენტების, ოქმებისა და სხვა იმდროინდელ წერილობითი საბუთების შემცველ ისეთ კრებულთა გამოცემაში, როგორიც არის ნიზერტის ნაშრომი.

მიუნსტერის დაცემის შემდეგ თითქმის წელსაც არ გაუვლია, რომ 1536 წ. გამოვიდა ჰენრიხ დორპის *(Heinrich Dorp)* შრომა: „ნამდვილი ისტორია, როგორ დაიწყო სახარება მიუნსტერში, თუ როგორ გაავრცელეს იგი გადანათლულებმა და როგორ შეწყდა. ამასთან ერთად მთელი ვაჭრობა ამ ბიჭებით“ [1].

მართალია, ეს ნაშრომი ქრონოლოგიურად პირველია, რომელიც მიუნსტერში რეფორმაციის დასაწყისისა და გადანათლულთა შესახებ მოგვითხრობს, ეკუთვნის თანამედროვეს, თითქოს თანამხილველს, მაგრამ იგი, როგორც საისტორიო წყარო, ფრიად დაბალი ღირსებისაა და არავითარ ღირებულებას ამ საკითხის შესასწავლად არ წარმოადგენს. მისი ავტორი ფრიად ტენდენციურია. მას შრომა მარტინ ლუთერისა და მისი ვიტენბერგელი მეგობრების გულისმოსაგებად გაუთვალისწინებია და ამ შრომით მათ შორის სიამოვნება და სიხარული გამოუწვევია კიდეც.

მაშასადამე, ნაშრომი აშკარა ლუთერული თვალსაზრისით არის დაწერილი, თანაც ჰენრიხ დორპი სრულიადაც არ არის მის მიერ აღწერილ მოვლენათა თანამხილველი როგორც კორნელიუსი ამტკიცებს, დორპი მიუნსტერში არასოდეს არ ყოფილა და რაიმე მნიშვნელოვანი საბუთებითაც არ უსარგებლია. კორნელისიუსი უარყოფითად აფასებს მას და შენიშნავს, რომ „წიგნი დაწერილია იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგის სულიერი დაცემულობა საკუთარი მიმდინარეობის განსადიდებლად გამოეყენებიათ“ [2].

კ. კაუცკი შენიშნავს, რომ „თვით სათაური საშინელ სიცრუეს შეიცავს“ [3], მართლაც არავითარი „ნამდვილი ისტორია“ იქ არ არის მოთხრობილი და არც კომუნის აღწერაში ჩანს დორპის „ბე-

[1] „*Wahrhaftige Historie, wie das Evangelium zu Münster angefangen und darnach durch die Wiedertäufer verstöret wieder aufgehört hat. Darzu die ganze Handelung derselbigen Buben*“...

[2] კ. კაუცკი. Предшественники новейшего социализма. ნაწილი I სპ., 1907, გვ. 353.

[3] იქვე.

ჯითობა". მისი შრომის სათაურს აგრეთვე დართული აქვს „მთელი ვაჭრობა ამ ბიუებითო", რაც ცილისწამებას წარმოადგენს ანაბაპტისტების მიმართ, რადგან არავითარ მსგავს მოვლენას მიუნსტერში ადგილი არ ქონია.

ზოგი მკვლევარი კონფესიონალურ მიკერძოებას ამჟღავნებს. პროტესტანტი ჰაზე ემხრობა დორპს და ცდილობს იგი დაიცვას კორნელიუსის შენიშვნებისაგან. კორნელიუსი კათოლიკე იყო. კ. კაუცკის აზრით დორპის დაცვა მან მაინც ვერ შეძლო[1].

დორპს განსაცვიფრებელი ნდობით ეპყრობოდა ლეოპოლდ რანკე. ამ გარემოების დასადასტურებლად საკმაოა ერთი ეპიზოდის განხილვა. იოჰანე ლაიდენელმა თვითონვე დასაჯა ერთი უცხო ვინმე, ალბათ ანაბაპტისტების წრეში შეპარული მსტოვარი, რომელიც საიდუმლო სერობაზე არ იყო გამოწყობილი საქორწილო ტანისამოსში *(der kein hoschzeitliches kleid anhalle)*. ლ. რანკეს აკვირვებს მორწმუნეობა, შერეული განცხრომასთან და სისხლის წყურვილთან. იგი სავსებით ენდობა დორპს იმაში, რომ თითქოს ეს მკვლელობა მოსწონდა იოჰანე ლაიდენელს იმდენად, რომ იგი კიდეც მხიარულად იცინოდა[2].

ამ ამბის ასეთი შეფასება უმართებულოა. იოჰანე ლაიდენელი კარგად იცნობდა თითოეულ თანამებრძოლს. უცხო ვინმეს გაჩენა, რომელსაც საზეიმო ტანისამოსი არ ეცვა და თავის ვინაობის გამომჟღავნებას ერიდებოდა, ეჭვს გამოიწვევდა. მას ღალატი დასწამეს. კიდეც აღნიშნა მან (იოჰანემ), რომ იგი იუდას მსგავსად მოევლინა მათ. იოჰანემ მას თვითვე მოკვეთა თავი.

გარემოცულ ქალაქში ღალატი სასტიკად უნდა დასჯილიყო, სასჯელს თვით მეთაური, მეფე და მხედართმთავარი ახორციელებს და კვლავ ზეიმს უბრუნდება. საზეიმო განწყობილება არ ირღვევა. ო. ვაინშტეინი კიდეც უსაყვედურებს რანკეს, რომ იგი მიუნსტერში ანაბაპტისტთა გადატრიალების შესწავლისას სარგებლობს მღერიე და უმართებულო წყაროებით მათდამი კრიტიკული მიდგომის გარეშე[3]. ისტორიკოსმა მკვლევარმა ყოველგვარი პირველწყაროებით უნდა ისარგებლოს. რანკეს შეეძლო ესარგებლა დორპით და გან-

[1] კ. კაუცკი, Предшественники новейшего социализма, ნაწილი I გვ., 1907, გვ. 353.

[2] ლ. რანკე, *Deutsche Geschichte im Zeitalter der Reformation, Drite Band*. 1881, გვ. 390.

[3] ო. ა. ვაინშტეინი, Историография средних веков. 1940, გვ. 167.

საკუთრებით გრესბეკით, რადგან უკანასკნელი მოვლენის თანამხილველი და უშუალო მონაწილე იყო. ოღონდ კრიტიკულად მოპყრობოდა მათ, შეედარებინა სხვა დოკუმენტებთან, გაეთვალისწინებინა მათი მიკერძოების საწყისი. მაგრამ, როგორც ანაბაპტისტების პირველ მეისტორიეთ ისე, რანკეს კომუნიზმის აჩრდილი გვრიდა შიშს და უჭლუნგებდა ისტორიული კრიტიკის ალღოს.

მიუნსტერის კომუნის ისტორიას გვაწვდის აგრეთვე ჰერმან კერსენბროხი *(Hermann von Kerssenbrock)*, ლათინური დამწერლობით კერსენბროიკი *(Kerssenbroick)*. იგი დაიბადა 1519 წ.[1], გარდაიცვალა 1585 წელს. მიუნსტერში ანაბაპტისტების მმართველობის დამყარების დროს იგი მოწაფე გიმნაზიელი იყო. ზოგიერთი მის მიერ ნაამბობი მოვლენა თანამხილველის მოწმობას და უშუალოდ განცდილის გადმოცემას წარმოადგენს. მაგალითად, იგი მოგვითხრობს, თუ როგორ გააცილა მან ამხანაგი. მათ ჰქონდათ ფუნთუშები *(„zwei kleine Weizenbrüte")*. ჭიშკრის მცველებმა აუკრძალეს ფუნთუშების გატანა ქალაქიდან. ამიტომ მათ იქვე შესჭამეს ფუნთუშები და ამის შემდეგ ქალაქიდან გასვლის ნებართვა მიიღეს. თვითონ კი შემდეგ სხვა ჭიშკრით ქალაქში დაბრუნებულა[2].

შემდეგ იგი მასწავლებლად და სკოლის რექტორად მსახურობდა მიუნსტერში 1550-1575 წლებში, რაც მას საშუალებას აძლევდა საკუთარი ბაგშობის შთაბეჭდილებათა გარდა, მრავალი ზეპირი ცნობა შეეკრიბა და, რაც რთავარია, წერილობითა საბუთები უხვად გამოეყენებინა. იგი იშვიათად ასახელებს, თუ რა წყაროებით სარგებლობდა. კლ. ლოფლერის ცნობით, მის მიერ დაწერილი 300 ნაკვეთისათვის საბუთთა მესამედის პოვნა ამჟამად შეუძლებელია[3].

ჰერმან კერსენბროხის შრომა დაწერილია ხელნაწერის სახით ლათინურ ენაზე: *„Anabaptistici furoris historica narratio"*, როდესაც 1573 წ. სურდათ მისი დაბეჭდვა, მიუნსტერის ქალაქის საბჭომ აკრძალა მისი გამოცემა. ამ ნაშრომის გერმანული თარგმანი გამოიცა 1771 წ., იგივე თარგმანი ხელმეორედ გამოიცა 1881 წელს. კლ. ლოფლერი შენიშნავს, რომ ძველი გერმანული თარგმანი შეიცავს მრავალ უხეშ შეცდომასო. ლოფლერი სარგე-

[1] ამ თარიღს აღნიშნავს ლოფლერი, კაუცკი კი 1520 წელს.

[2] კერსენბროხი, 502 *„Feucht der Bürger"*.

[3] კლ. ლოფლერი, *Die Wiedertäufer zu Münster* 1534-35, *Jena*, 1923, გვ. 6.

ბლოხდა დეტმერის კრიტიკული გამოცემით (მიუნსტერი, 1899-1900 წლები) [1].

კერსენბროხი ეპისკოპოსის მომხრე კათოლიკეა. იგი თავის მისწრაფებებსა და შეხედულებებს არ მალავს. იგი გვიამბობს, რომ „თითქოს ეპისკოპოსი იტანჯებოდა ქალაქის ბედის გამო, მას შემდეგ, რაც მან ვერც შეგონებით, ვერც მეგობრული ვედრებით, ვერც დაპატიმრებით და ვერც სხვა უფლებრივი საშუალებით ვერ მოახერხა ჩაეგონებინა მოქალაქეთათვის თავის უღმერთო საქმეზე ხელის აღება“ [2]. მაგრამ იგი არც ცილისწამებას ერიდება, მაგალითად, „ცეცხლით ნათლობის“ (*„Die Feuertaufe“*) აღწერაში: „მქადაგებელ იოჰანე მატისს (*„der Prophet Iohann Matthys“*) შეუკრებია ორივე სქესის გადანათლულნი კრისპენდოლინგის კარგად მორთულ ბინაში. როდესაც ისინი შეიკრიბნენ, მქადაგებელი დამდგარა ჭალის ქვეშ და უქადაგნია. როდესაც უთქვამთ სიტყვები: „იყავით ნაყოფიერი, გამრავლდით, აავსეთ მიწა“ (*„seid fruchtbar und mehret euch und erfüllt die Erde“*), ჩაუქვრიათ სინათლე. თუ როგორ უსინდისობას ჰქონდა ადგილი მაშინ, ეს თვით მქადაგებელმა დაინახა.

ამას გამოუწვია მითქმა-მოთქმა, თითქოს თვით მქადაგებელი ქალიშვილის მუხლებზე უპოვნიათ. ამას ისინი ცეცხლით ნათლობას უწოდებდნენ. ეს ამბავი მას გაუგია მისი სახლის პატრონისაგან ვესლინგისაგან, რომელსაც ხორბლის პურის ფასად დაუქირაებია დედაკაცი. უკანასკნელს გაუგია გადანათლულთა ლოზუნგი და მოტყუებით დასწრებია მათ კრებას.

ეს ამბავი კაუცკისაც აქვს მოტანილი, რომ ნათელჰყოს კერსენბროხის ცალმხრივობა და მიკერძოება. რასაკვირველია, ავტორის მიზანია გადანათლულთა გარყვნილების დადასტურება, ვითომ ამ ურყევი „ფაქტის“ დადგენით, რაც მისი ტენდენციურობის დამადასტურებელია. მაგრამ თვით ამ ამბის კრიტიკული შესწავლა გვარწმუნებს, რომ მართებულად არის გადმოცემული გადანათლულთა ქადაგებანი, მქადაგებლები და ის სულიერი აღტყინება, შინაგანი ცეცხლი, რომელსაც მათი სიტყვები იწვევდნენ მიმდევართა შორის [3].

---

[1] კლ. ლოფლერი, დასახელებული შრომა, გვ. 6.
[2] კერსენბროხი, 474 *Edikt des Bischofs.*
[3] კერსენბროხი, 511 *Die Feuertaufe.*

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ იგი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის, მაგალითად, ცნობებს ეპისკოპოსის მიერ მიუნსტერის გარემოცვისათვის ლაშქრის დაქირავების პირობათა შესახებ[1].

III

აგრეთვე, მოვლენათა თანამხილველი და მონაწილეა დურგალი ჰენრიხ გრესბეკი *(Heinrich Gresbeck)*, წარმოშობით მიუნსტერელი. იგი 1534 წ. დაბრუნდა სამშობლოში, რომელიც ოთხი წლით ადრე დასტოვა, და შეუერთდა ანაბაპტისტებს თითქო ხელმეორე ნათლობის მიუღებლად. მან გარემოცულ ქალაქში დაჰყო 1535 წლის 23 მაისამდე, შემდეგ მოპირდაპირე მხარეს შეუერთდა და ეპისკოპოსის ლანდსკნეხტებს გზა უჩვენა ქალაქისაკენ. იგი მოღალატეა.

იგი აღწერს მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთა თანამხილველი თვით იყო. მაგრამ, რადგან იგი მიუნსტერის კომუნის რიგითი წევრი იყო, გადანათლულთა იდეური თანამოაზრე არ ყოფილა, სწერდა რამდენიმე წლის შემდეგ, ამიტომ მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენა, როგორიც იყო კომუნის ხელმძღვანელების მოღვაწეობა, მათი ურთიერთობა, ანაბაპტისტთა მოძღვრების დედააზრი, მისთვის მიუწვდომელი იყო. ამიტომ მისი აღწერილობა ამ მხარეებს მოკლებულია. მისი ნაშრომი *„Bericht von der Wiedertaufe in Münster“* პირველად დაბეჭდა კორნელიუსმა *(g. A. Cornelius)* თავის ნაშრომში *„Berichte der Augenzeugen über münsterische Wiedertäuferreich, Münster* 1853“. ზოგი მკვლევარი კორნელიუსის ნაშრომს კლასიკურ გამოკვლევად თელის მიუნსტერის აჯანყების შესახებ და იგი მხოლოდ მონოგრაფიად მიაჩნია.

შელერ-მიხაილოვი მას წყაროდ არ თელის და აღნიშნავს მხოლოდ დორპიუსს (იგივე დორპი), გრესბეკსა და კერსენბროიკს[2].

კორნელიუსის დასახელებულ ნაშრომში აგრეთვე მრავალი აქტი და საერთოდ საბუთი არის გამოქვეყნებული. ამიტომ კორნელიუსის დასახელებული „თანამხილველთა ცნობანი მიუნსტერის ანაბაპტისტთა სამეფოს შესახებ“ წარმოადგენს ძვირფას წყაროს ამ მოვლენის შესასწავლად. ლეოპოლდ რანკე აღნიშნავს, რომ კორნელიუსმა დაწერა მიუნსტერის აჯანყების ისტორია, ფრიად ჰკუის

[1] კერსენბროხი, 527 *Kriegsartikel.*

[2] შელერ-მიხაილოვი, Революционный анабаптизм. (ტომი XVI, 1905). გვ. 630.

დამრიგებელი და ბეჯითად შესრულებული შრომა[1]. კორნელიუსის შრომა შეიცავს გრესბეკის „ცნობებს მიუნსტერში გადანათლულთა შესახებ“ და სხვა წყაროებს. მაგალითად, კორნელიუსმა მასში გამოაქვეყნა მარბურგის არქივში დაცული გადანათლულთა ტრაქტატი: „*Bekenntnis des glaubens und Lebens der gemeinde Christ zu Münster*“ ამიტომ ჩვენთვის კორნელიუსის ნაშრომი წარმოადგენს უფრო მეტად წყაროს და არა მხოლოდ მონოგრაფიას.

ანაბაპტისტების შესახებ არსებობს მდიდარი საარქივო მასალა, სხვადასხვა აქტები, „ტყვეთა ჩვენებანი“, დაკითხვათა ოქმები, თანამედროვეთა მ წერ-მოწერა. აღნიშნული მასალა ნაწილობრივ შეკრიბა და გამოსცა ნიზერტმა *(I. Niesert)* „*Münsterischen Urkundensammlung*“ 1826.

გამოუქვეყნებელი საბუთების ნაწილი უშუალოდ არქივებიდან პირველად დაბეჭდა კლემენს ლოფლერმა *(Klemens Löffler)*. მის მიერ შეკრებილი, შერჩეული და გერმანულად თარგმანილი მასალები მოთავსებულია წიგნში *Die Wiedertäufer zu Münster* 1534/35“ *Iena* 1923. წარმოდგენილ საბუთებში აღსანიშნავია როტმანის „რესტიტუცია“ *(„Restitution“)* მოტანილი ნაბეჭდი ორიგინალიდან. ეს შრომა კლოპრიცის დახმარებით გამოუქვეყნებია როტმანს 1534 წლის ოქტომბერში.

აღნიშნული შრომა წარმოადგენს მიუნსტერის ანაბაპტისტების მსოფლმხედველობის დასაბუთებას და ამიტომ, კიდეც, გრესბეკის მოწმობით, მათ უცდიათ მისი გავრცელება.

აგრეთვე ძვირფას მასალას, პირველწყაროებს, წარმოადგენენ დაკითხვის ოქმები, მიუნსტერელ ანაბაპტისტების ფურცლები და თანამედროვეთა წერილები. მაგალითად, 536 წელ ორი ჰესენელი მჭადაგებელი გაუგზავნიათ, რათა კამათი გაემართათ დატყვევებულ „მეფესთან“ იოჰანე ლაიდენელთან. კორესპონდენციას ეს საუბარი ჩაუწერია სიტყვასიტყვით და კიდეც დაუბეჭდავს ვიტენბერგში. ამ ამბავს სწერს იგი მოკლედ გიოროგი სპალატინს.

კრებულში პირველად გამოქვეყნებულია იოჰანე ლაიდენელის კარის გაგება, რომელიც წარმოადგენს პროკლამაციას *(Flugblatt)* და დასათაურებულია: „*Die Münsterischen Königs Iohann von Leiden Hofordnung im Iahre* 1534 *und* 1535“. აღნიშნული ფურცელი ძვირფასს საბუთს წარმოადგენს, რადგან მისი საშუალებით ვარკვევთ

[1] ლ. რანკე, დასახელებულზ შრომა, ტ. III, გვ. 361.

მიუნსტერის გადანათლულთა ხელმძღვანელ ბირთეს. და აგრეთვე ვრწმუნდებით, რომ კერსენბროხი და გრესბეკი თავიანთ ნაშრომებში სისწორით გადმოგვცემენ მათს დასახელებას, თანამდებობებს და ნაწილობრივ მათს საქმიანობას.

მიუნსტერის ანაბაპტისტების შესასწავლად აღსანიშნავია კერსენბროხის, გრესბეკის და კორნელიუსის ცნობები, ნიზერტისა და ლოფლერის მიერ გამოქვეყნებული საარქივო მასალები.

ჩ. ბერდი მართებულად აღნიშნავს, რომ ანაბაპტისტებს (გადანათლულებს) ვიცნობთ უმთავრესად მათი მტრების მოწმობით და ჩვენ შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ ისტორია მათ მომავალში უფრო მეგობრულად მოეპყრობა, ვიდრე წინეთ[1].

ბერდის შენიშვნა ემთხვევა ერთ-ერთი მკვლევარის მოსწრებულ შენიშვნას, რომ ისტორია გამარჯვებულმა დაწერა და დამარცხებული დავიწყებულ იქნაო. ამიტომ ანაბაპტისტების საქმიანობის შესწავლისას ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ გარემოებას, რომ წარსულში მათ მიმართ დაშვებული იქმნა უსამართლობა.

---

[1] ჩ. ბერდი, Реформация XVI века. 1897, გვ. 218.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

ალექსანდრე ნამორაძე

ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს

I

„სათემო მიწების საკითხი რევოლუციამდელი (ძველი წყობილების) საფრანგეთისათვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხთაგანს წარმოადგენდა"-ო [1], — აღნიშნავს საფრანგეთის აგრარულ ურთიერთობათა ფრიად ცნობილი რუსი მკვლევარი ლუჩიცკი.

იმავე აგრარულ ურთიერთობათა აგრეთვე ცნობილი ფრანგი მკვლევარის—*Henri Sée*-ს მიხედვით: „ძველი საფრანგეთის საზოგადოებრივ ეკონომიკაში სათემო მიწები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ" [2].

მართალია, საფრანგეთის გლეხობას, ჯერ კიდევ 1789 წლის რევოლუციის დაწყებამდე, უაღრესად აღელვებდა სენიორული გადასახადების საკითხი, მაგრამ მას აღელვებდა აგრეთვე სათემო მიწათმფლობელობის საკითხიც.

მე-17-18 საუკ. განმავლობაში, ვიდრე რევოლუცია დაიწყებოდა, საფრანგეთის აზნაურობა სისტემატურად ითვისებდა სათემო მიწებს. ითვისებდნენ არა მარტო აზნაურები, არამედ აგრეთვე შეძლებული ვაჭრები, ეპისკოპოსები და მონასტრები, ე. ი. ყველა ის, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

აღნიშნული მოვლენა, აღებული საფრანგეთის სინამდვილიდან, მიწების იმ შემოფარგვლის პროცესს მოგვაგონებს, რომელსაც ვხვდებთ ინგლისში. მართალია, ამ პროცესს არ მიუღია საფრანგეთში ისეთი მძლავრი, მასობრივი ხასიათი, როგორც ამას ადგილი

[1] Лучицкий, И. В. Состояние земледельческих классов во Франции накануне революции и аграрная реформа 1789-1793 г. г., გვ. 119.

[2] *Henri Sée, La Vie Eeonomique et les classes sociales en France au XVIII-e siècle, Paris. 1924,* გვ. 54. „*Dans l'économie sociale de l'ancienne France, les biens communaux ont joué un rôle fort important*".

ჰქონდა ინგლისში და არც იმ ეკონომიური ნიშნით მიმდინარეობდა იგი, როგორც ამ უკანასკნელში, მაგრამ, როგორც იქ, ისე აქ, აღნიშნულ პროცესს ერთი და იგივე სოციალური შინაარსი ჰქონდა.

საფრანგეთის გლეხობა, მოკლებული სათემო მიწებს, უაღრესად შეიწროებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა 1789 წლის რევოლუციის წინ და ფრიად გასაგებია საფრანგეთის გლეხების ის ჩივილი, რომელიც მკაცრი ბრალდების სახით მოისმის მათ „რვეულებში".

1789 წლის „ჩივილთა რვეულები" (*Cahiers des doléances*)[1] ერთხმად აღნიშნავენ იმ უმწეო მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდნენ სათემო მიწებს მოკლებული გლეხები.

აღნიშნული „*Cahiers*" კატეგორიულად მოითხოვენ სათემო მიწების დაბრუნებას და ტრიაჟის კანონის მოსპობას.

„მოისპოს ტრიაჟის კანონი და დაუბრუნდეს თემებს მინდვრების ის ნაწილი, რომელიც მითვისებულ იქნა სენიორების მიერ აღნიშნული კანონის ძალით; მიეცეს იმავე თემებს უფლება გამოიყენონ ის ნერგი, რომელიც დაბრუნებულ მიწაზე აღმოჩნდება". — ვკითხულობთ არასის ბალიაჟის 1789 წლის ჩივილთა რვეულში [2].

იმავე რვეულში „თემი *Annay* უჩივის *Saint-Pierre-les-Grand*-ის სააბატოს მიერ გამოწვეულ სამხედრო რაზმების ძალმომრეობას; ეს რაზმები გამოწვეულ იქნა აღნიშნული სააბატოს მიერ მიღებული ტრიაჟის უფლების განსახორციელებლად. აღნიშნული უფლება უსამართლოდ იქნა მიღებული სააბატოს მიერ, ვინაიდან ხსენებულ თემს მოეპოვება საბუთები იმის შესახებ, რომ მან თავისი მინდვრები დაუთმო სააბატოს განსაზღვრული გადასახადების პირობით" [3].

„თემები *Harnes*, *Annay* და *Loison* თხოულობენ, რომ იმავე

---

[1] „ჩივილთა რვეულების" შეუსების შესახებ, როგორც საისტორიო წყაროსი, იხ. А. Ону, Выборы 1789 года во Франции и наказы третьего сословия с-точки зрения их соответствия истинному настроению страны. С. П. 1905 г.

[2] *Henri Loriquet, Cahiers de doléances de 1789 dans le département du Pa-de-Calais, accompagnés d'un glossaire historique et d'une bibliographie speciale. Arras. 1891 2 vol. t. I. p. 62, § 91. „Supression du droit de triage, et réintégration des communautés dans les parties de marais que les seigneurs ont obtenues à ce titre et dans le plantis qui s'y trouve".*

[3] *Ibidem. p. 69. § 162. „La communauté d'Annay réclame contre les violences commises par les troupes que l'abbaye de Saint-Pierre-les-Grand a obtenu pour faire exécuter un triage injustement obtenu, cette communauté ayant des titres qui prouvent que son marais est de concession onéreuse".*

საბატოს (*Saint-Pierre-les-Grand*) მიერ ჩაყრილი ნერგი მათ სათემო მიწებზე გამოცხადებული იქნეს მათ საკუთრებად, ვინაიდან საბატოს არავითარი უფლება არ ჰქონდა მოეშენებინა ეს ნერგი" [1].

„სოფელ *Éterpigny*-ს ნაწილი, რომელიც *Artois*-ს ეკუთვნის, თხოულობს აღდგენილ იქნეს მისი საკუთრების უფლება, იმ სათემო მინდვრებზე, რომელიც ნაწილობრივ *Flandre*-ში მოიპოვება და ნაწილობრივ კი *Artois*-ში," — ვკითხულობთ იმავე ბალიაჟის ჩივილთა რვეულში [2].

ანალოგიური მოთხოვნებით აჭრელებულია ფრიად ცნობილი „ჩივილთა რვეულები" წარდგენილი კონსტიტუანტაში 1789 წელს. ფრანგი გლეხები მოითხოვდნენ დაებრუნებინათ ისევ თემებისათვის ის სათემო მიწები, რომელნიც უზურპირებულ (მითვისებულ) იქმნენ, როგორც საერო, ისე სასულიერო სენიორების მიერ.

მიწების მითვისებამ, რომელიც უმთავრესად აშკარა ძალმომრეობით ტარდებოდა, უფრო სისტემატური და უფრო ფართო ხასიათი გვიან საშუალო საუკუნეებში მიიღო, რაც იმ დროისათვის ფრიად ცნობილი ლოზუნგით საბუთდებოდა — არა არს მიწა უსენიოროდ (*Nulle terre sans seigneur*).

მე-16 საუკუნეში უკვე გამწვავებულ ბრძოლას ეპოვებთ სათემო მამულების ირგვლივ სენიორებსა და თემებს შორის. მე-17 საუკუნეში ეს ბრძოლა აღიბეჭდა ხსენებული უზურპაციების დაკანონებით. 1669 წელს გამოიცა ლუი მე-14 დროს ედიქტი ტრიაჟის შესახებ (*le triage*), რომლითაც უფლება ენიჭებოდა ყოველ სენიორს გამოეყო სათემო მიწებიდან მესამედი ნაწილი თავის სრულ საკუთრებად [3]. ამიერიდან უზურპაციები ლეგალიზებულ იქნა და სენიორები უკვე კანონის ძალით იტაცებდნენ სათემო მიწების საუკეთესო ნაწილს. მართალია, ტრიაჟის კანონის ძალით შეიძლებოდა მხოლოდ მესამედის გამოყოფა და დასაკუთრება, მაგრამ ის კომისიები, რომელნიც ამას ტექნიკურად ახორციელებდნენ, ჩვეულებრივ სენიორების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ; მოსყიდვით ანდა ტერორით

[1] *Henri Loriquet*, ხსენებული კრებული, გვ. 69. § 164, „*Les mêmes communautés* (იგულისხმება თემები — *Harnes, Annay* და *Loison*) *demandent que les plantis faits par ladite abbaye dans leurs communaux soient déclarés leur appartenir, ladite abbaye n'ayant eu aucun droit de faire ces plantations*".

[2] *Ibidem. p. 69, § 165. „La partie Artois du village d'Eterpignie demande la restitution des marais communs entre les parties Flandre et Artois*".

[3] *Duvergier. Collection complète de lois, décrets, ordonnances etc.* ტ. I.

სენიორი აიძულებდა კომისიას გამოეყო მისთვის სათემო მიწებიდან მესამედზე გაცილებით მეტი.

მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში ფართოდ გაიშალა ხსენებული ხასიათის უზურპაციები. იტაცებდნენ არა მარტო აღნიშნული კანონის ძალით, არამედ მის გარეშეც.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის სენიორი აიღებდა თემისაგან მიწის ნაჭერს დროებითი სარგებლობისათვის განსაზღვრული მცირე ვალდებულებით იმავე თემისადმი, მაგრამ შემდეგში ადმინისტრაციის დახმარებით (ძალმომრეობით) მას იგი თავის საკუთრებად გარდააქცევდა, ანდა გამოჰყოფდა სათემო მიწის რომელიმე ნაწილს მისი დაცვის მიზნით (*reserve*) და შემდეგ იმავე საშუალებით დაეპატრონებოდა მას იმ განზრახვით, რომ ესეც თავისი საკუთარი მამულის მსგავსად იჯარით გაეცა იმავე თემის გლეხებზე.

ასევე იქცეოდნენ მონასტრები. ძიძღებდნენ რა თემის თანხმობით ამა თუ იმ ნაჭერს სათემო მიწებიდან დროებითი სარგებლობისათვის, ჩაჰყრიდნენ ნერგს, კულტურულად დაამუშავებდნენ ამ ნაკვეთს და შემდეგ თავის საკუთრებად გამოაცხადებდნენ.

ხშირი იყო აგრეთვე შემთხვევა, როდესაც საერო და სასულიერო სენიორები ჰქმნიდნენ ყალბ საბუთებს, რომ განეცხადებინათ თავიანთი პრეტენზიები ამა თუ იმ სათემო მიწების მფლობელობაზე.

საერო და სასულიერო სენიორებს არ ჩამოუვარდებოდნენ სათემო მიწების მითვისებაში აგრეთვე ვაჭრები. მათ, როგორც მევახშეებს, ხელში უვარდებოდათ არა მარტო ესა თუ ის გლეხი, არამედ თვით თემი მთლიანად და გაუსტუმრებელი ვალის ანგარიშში ითვისებდნენ სათემო მიწებს.

საფრანგეთის სენიორები სარგებლობდნენ შემოფარგვლის უფლებით (*bornage*), აგრეთვე ჭაობიანი ანდა წყლიანი მიწების გამოსაყენებლად. ესენი ჰკაფავდნენ ჯაგნარს ანდა აშრობ ნენ ჭაობებს, აქცევ ნენ სახნავ ან საძოვარ იწად, იძენდნენ ადგილობრივი პარლამენტისაგან ან ი თვი მეფისაგან საოანადო საბუთს ამ მიწების მფლობელობაზე და ათვარ ოვებდნენ საკუთარ ადგილ-მამულებს [1]. გლეხობა კი უაღრესად შეიწროებულ მდგომარეობაში ვარ ებოდა, ვინაიდან ხელიდან ეცლებოდა სა ლმო მიწები, რასაც მნიშვნელო-

[1] Кропоткин, Великая Французская революция. 1918, გვ. 409-413. „1789 წლის „ჩივილის რვეულებში" გლეხები უჩიოდნენ იმ შემოფარგვლის საქმეს, რომელიც ნებადართულ იქნა მეფის მიერ ზოგიერთ პროვინციაში 1769 და 1777 წლებში".

ვანი ადგილი ეკავა საფრანგეთის საგლეხო მეურნეობაში, განსაკუთრებით კი საშუალო და ღარიბი გლეხობის მეურნეობაში.

სათემო მიწების საკითხი, რა თქმა უნდა, არ მიიღებოდა ისეთ გამწვავებულ ხასიათს იმ შემთხვევაში, თუ ფრანგ გლეხს (მხედველობაშია უმთავრესად საშუალო და ღარიბი გლეხი) საკუთარი მიწა ექნებოდა იმ რაოდენობით, რაც მას საშუალებას მისცემდა ოჯახიც გამოეკვება და ცოცხალი ინვენტარიც შეენახა.

ამის მიხედვით დაისმის საკითხი, თუ რამდენად იყო დაკმაყოფილებული მიწით ფრანგი გლეხი რევოლუციამდე, რა რაოდენობით გააჩნდა მას საკუთარი სახნავი მიწა.

საგლეხო მიწათმფლობელობის საკითხი საგნის საისტორიო ლიტერატურაში საბოლოოდ გარკვეული არ არის.

II

საგნის საისტორიო ლიტერატურაში ერთ დროს განმტკიცებული იყო აზრი, რომ საფრანგეთში, რევოლუციის წინ, მიწამ, მისი კონცენტრაციის გამო, თავი მოიყარა პრივილეგიური კლასების ხელში, რის შედეგად საფრანგეთის გლეხობის უმეტესი ნაწილი, იმავე რევოლუციის წინ, მიწათმფლობელობის გარეშე დარჩა. ამ აზრისაა შამპიონი, რამო, მარიონი და სხვა, რომელთაც აინტერესებთ წვრილი საგლეხო მესაკუთრეობის მდგომარეობა და საერთოდ ის საკითხი, თუ როგორ იყო განაწილებული მიწის საკუთრება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის საფრანგეთში რევოლუციამდე.

Edme Champion-ი, როგორც ეს მისი წიგნის სათაურიდანაც ჩანს, ზემოაღნიშნულ საკითხს ჩივილის რვეულების მიხედვით არკვევს და კატეგორიულად აღნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში სენიორი ფლობდა მიწის ერთ მესამედზე მეტს და ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის ნახევარზე მეტსაც[1]. მას მოტანილი აქვს აგრე-

[1] *Champion, Edme. La France d'après les Cahiers de 1789. Paris. 1897.* იხ. *Chapitre X. Les campagnes et les droits féodaux.* გვ. *133* და შემდეგ. მას მოტანილი აქვს სხვადასხვა ადგილი ჩივილთა რვეულებიდან თავისი დებულების დასამტკიცებლად. *„A Viarmes le seigneur a un tiers du territoire; à Soisy sous Etiolles, à Tigery, les trois quarts de la paroisse sont à des privilégiés qui ne paient aucune charge“, AP, V, 131, 138. „A Fosses on demande que le seigneur ne puisse avoir plus du quart ou du cinquième de la paroisse.* იქვე. გვ. *136.* შეს. *1. „A Bruc, en Provence „les habitants ne possèdent rien, Messire Georges de Roux étant le seul propriétaire et seigneur“..., AP.* VI. 265 და სხვა.

თვე *Arthur Joung*-ის ცნობა, რომელიც საფრანგეთის ბევრ კუთხეში (*Beauce*-ისა, *Picardie*-სა, არტუაში და სხვაგან) ვერ შეხვედრია მიწის წვრილ მესაკუთრეობას (*les petites propriétés*) [1].

თუ ზოგიერთი ისტორიკოსის მიხედვით საფრანგეთში რევოლუციის წინ მრავალი იყო წვრილი მესაკუთრე გლეხი, მ ა მ ი ო ნ ი სათვის ეს აზრი მიუღებელია, ვინაიდან მისთვის გაუგებარი რჩება, თუ რის მესაკუთრე უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი მრავალი გლეხი [2]. რევოლუციის წინ, მისი მიხედვით, საფრანგეთში განვითარებული იყო მიწის უფრო მსხვილი მესაკუთრეობა და არა წვრილი მესაკუთრეობა. მიწა თითქმის მთლად აზნაურობისა და სამღვდელოების ხელში იმყოფებოდა [3] და, თუ გლეხების განკარგულებაში მოიპოვებოდა მცირეოდენი ნაწილი მიწებისა, ესეც ან საშუალო ხარისხისა ანდა სრულიად უვარგისი იყო დასამუშავებლად [4].

მ ა რ ი ო ნ ი, რომელსაც ლ უ ჩ ი ც კ ი ეკამათება, იმ აზრისაა, რომ საფრანგეთში, რევოლუციის წინ, უმთავრესად მიწების კონცენტრაციის პროცესთან გვაქვს საქმე, ვიდრე მათ დანაწილებასა და დაქუცმაცებასთან [5]. ამ დებულების დასამტკიცებლად იგი მიუთითებს *Cotes*-ს რაოდენობის შემცირებაზე ზოგიერთ მრეველში.

ფრიად მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხისათვის ლუჩიცკის გამოკვლევა *rôles des vingtièmes*-ს მიხედვით.

მისი გამოკვლევით *Cotes*-ს რაოდენობის შემცირება იმ მრეველებში, რომელიც მხედველობაში აქვს მარიონს, შედეგია არა მიწების კონცენტრაციის პროცესისა (ე. ი. რამდენიმე *Cotes*-ს ერთად შეერთებისა), არამედ კონტროლიორების მიერ მოცემულ ანგარიშებისა.

Cotes-ი წარმოადგენდა მიწის მცირე ნაჭერს, რომელიც მფლობელის მიერ ხშირად დაუმუშავებელი რჩებოდა. ამგვარი მფლობე-

---

[1] *Champion, E, La France d'après les cahiers de 1789.* გვ. *13.*

[2] *Ibidem.* გვ. *135.* შენ. *3.* „...*si les petits propriétaires avaient été tres nombreux, de quoi auraient–ils été proprietaires?*"

[3] *Ibidem.* გვ. *136.* „*Les textes ne sont pas rares où on lit que le seigneur est presque seul ou même seul propriétaire*".

[4] *Ibidem.* გვ. *135.* „...*les bonnes terres sont à lui* (ე. ი. სენიორისაა), *aux gens d'église, et les paysans n'en ont guère que de médiocres ou de mauvaises*".

[5] Л у ч и ц к и й, И. В. Крестьянское землевладение во Франции накануне Революции, преимущественно в Лимузене, Киев, 1900.

ლობა გადასახადის შეწერისათვის ისეთი მცირე საკუთრება იყო, რომ კონტროლიორები *Rôles des vingtièmes*-ს შედგენის დროს ჩვეულებრივ არ აღნიშნავდნენ მას. ამის გამო, *Rôles des vingtièmes*-ის შესწავლის დროს, მკვლევარს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს *Cotes*-ს რაოდენობა ზოგიერთ მრეველში მცირდებოდა და მიწების კონცენტრაცია წარმოებდა.

ნამდვილად კი აქ ჩვენ საქმე გვაქვს, ლუჩიცკის აზრით, არა იმდენად მიწის კონცენტრაციასთან, რამდენადაც კონტროლიორების მოქმედებასთან და თუ მაინც ადგილი ჰქონდა კონცენტრაციას, ყოველ შემთხვევაში არა ისეთი მასშტაბით, როგორც ეს მარიონს წარმოუდგენია[1].

ლუჩიცკი იძლევა ტაბულას იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იცვლებოდა *Cotes*-ს რაოდენობა ტულუზის ოლქის ამა თუ იმ მრეველში 1762 წლიდან 1782 წლამდე[2]. როგორც ამ ტაბულიდან ირკვევა *Cotes*-ს რაოდენობა უცვლელი დარჩენილა აღნიშნულ ოლქის მხოლოდ ექვს მრეველში; 19 მრეველში იგი შემცირებულა, სამაგიეროდ 33 მრეველში კი გაზრდილა; ამგვარად, თუ აღნიშნულ მხარეში მაინც ადგილი ჰქონდა მიწის კონცენტრაციის პროცესს, ყოველ შემთხვევაში იგი უფრო სუსტი იყო, ვიდრე მიწის დაქუცმაცების პროცესი. ლუჩიცკი იძლევა ანალოგიურ ცნობებს (ტაბულების სახით) ავრეთვე ოვერნისა, ბერისა, ტურენისა ლიმუზენის შესახებ[3] და დასძენს, რომ, თუ საფრანგეთში რევოლუციის წინ ადგილი ჰქონდა მიწების კონცენტრაციას, ყოველ შემთხვევაში, ეს პროცესი უფრო სუსტი იყო, ვიდრე მიწათმფლობელობის დეკონცენტრაციის პროცესი.

თუ საფრანგეთში, რევოლუციის წინ, ადგილი ჰქონდა მიწის საკუთრების დაქუცმაცების პროცესს, ამ შემთხვევაში დაისმის მეორე საკითხი, თუ ვის ხელში გადადიოდა დაქუცმაცებული მიწა, რა ხასიათისა იყო მიწის საკუთრების გადაჯგუფება და რა პროპორციით წარმოებდა მისი განაწილება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის.

---

[1] Лучицкий, И. В. Крестьянское землевладение во Франции накануне Революции, преимущественно в Лимузене. Киев, 1900, გვ. 180.

[2] *Ibidem*. გვ. 182, იხ. ტაბულა XXVII.

[3] *Ibidem*. გვ. 184. ბერში *Cotes*-ს რაოდენობის გადიდება 52-ჯერ სჭარბობს მათ შემცირებას, ოვერნში—41-ჯერ, ტურენში—9-ჯერ და ლიმუზენში—28-ჯერ.

Rôles des vingtièmes-ში ყოველთვის აღინიშნებოდა მიწების შესყიდვისა და გაყიდვის ყოველი აქტი დაახლოებით 1791 წლამდე, ვიდრე შემოიღებდნენ გადასახადების ახალ სისტემას[1].

ამგვარი დოკუმენტალური მასალა საშუალებას იძლევა გამორკვეულ იქნას, თუ რომელი სოციალური ჯგუფის სასარგებლოდ წარმოებდა მიწის საკუთრების დაქუცმაცება და განაწილება. ამიტომ აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად ლუჩიცკი ისევ ამ დოკუმენტებს მიმართავს, რომელთა საშუალებითაც მან მიწის საკუთრების დაქუცმაცების საკითხი გამოარკვია.

მიწის საკუთრების დაქუცმაცების საკითხს მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა კიდევ იმ გარემოების გამო, რომ ხსენებული მეცნიერი მას წვრილ საგლეხო მიწათმფლობელობის ზრდის პროცესს უკავშირებს. მისთვის ეს ორი ინსტიტუტი რევოლუციის კრეატურას არ წარმოადგენს — ორივე პროცესს ადგილი ჰქონდა რევოლუციის წინაპერიოდში.

მიწის საკუთრების გადაჯგუფების პროცესის გამოსარკვევად იგი იღებს საფრანგეთის ჩრდილოეთს, ცენტრალურ ნაწილსა და სამხრეთს ცალ-ცალკე. ეს სამი მხარე განსხვავდებოდა ერთი მეორისაგან, როგორც აგრარული წყობილებით, ისე მრეწველობით, როგორც ისტორიული პირობებით, ისე თავისი დაწესებულებებითა და მოსახლეობით. მის კვლევის საგანს საფრანგეთის სამი კუთხე შეადგენს: ტულუზა, ლიმუზენი და ლაონუა.

აქ მოტანილი გვაქვს მისი მხოლოდ ერთი ტაბულათაგანი (მისი ენა, საერთოდ, ტაბულებისა და უამრავი სტატისტიკური ციფრების ენაა), რომელიც *Laonnois*-ს ეხება იმ მხრით, თუ როგორ მიმდინარეობდა საკუთრების გადაჯგუფება წოდებებს შორის 1750 წლიდან 1785 წლამდე[2].

---

[1] *Vingtième*-ს ობიექტს წარმოადგენდა: მიწა, სენიორული რენტა და მრეწველობა. იგი შემოღებულ იქნა **1749** წელს. მეფის ყოველი ქვეშევრდომი (*sujet*), რა წოდებასაც არ ეკუთვნოდა იგი, ვალდებული იყო გადაეხადა თავის წმინდა შემოსავლიდან აღნიშნული გადასახადი, რომელიც 5% უდრიდა. ყოველი მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც კი შემოსავალს იძლეოდა (იქნებოდა ეს სამრეწველო საწარმოო, ფულადი კაპიტალი, მიწა, საძოვარი ადგილები და სათიბი, თუ ცენზი (ჩინში), რენტა, *péages*, *passages*, თუ სენიორული უფლებები და სხვა) ექვემდებარებოდა აღნიშნულ გადასახადს. იხ. Лучицкий, И. В. ხსენ. ნაშრომი, გვ. 28-36.

[2] ტაბულა გვიჩვენებს, რომ გლეხობას *Laonnois*-ს მხარეში, აღნიშნული წლების განმავლობაში, გაუფართოებია უმთავრესად ბურჟუაზიის ანგარიშზე თავისი მიწათმფლობელობა 264½ არპანით. ყველაზე უფრო დაზარალებულა ლაო-

Paroisses	*Nobles*		*Bourgeoisie*		*Paysans*	
	+	—	+	—	+	—
1. *Any Maritincaux*	—	33 *a.*	61.39 *v.*	—	—	28.39 *v.*
2. *Autremencourt*	300 *a.*	—	—	321.44 *v.*	21.44 *v.*	—
3. *Boncourt*	—	—	—	20.80 *v.*	20.80 *v.*	—
4. *Boucigny*	—	—	—	22.50 *v.*	22.50 *v.*	—
5. *Boué*	—	—	—	25.57 *v.*	25.57 *v.*	—
6. *Bourguignon*	90 *v.*	—	8.5 *v.*	—	—	8.95 *v.*
7. *Creuttes*	—	—	24.86 *v.*	—	—	24.86 *v.*
8. *Cuirieux*	—	62.34 *v.*	—	—	62.34 *v.*	—
9. *Iviers*	—	—	—	17.47 *v.*	17.47 *v.*	—
10. *La Selve*	97.68 *v*	—	—	261.12 *v.*	163.44 *v.*	—
11. *Mons en L...*	—	4.93 *v.*	2.40 *v.*	—	2.53 *v.*	—
12. *Montigny sous Marle* . . .	—	—	—	5.20 *v.*	5.20 *v.*	—
13. *Morgny*	—	3 *a.*	—	—	3 *a.*	—
14. *Pontsericourt*	—	—	10.22 *v*	—	—	10.22 *v.*
15. *Rigny*	44.70 *v.*	—	—	39.65 *v.*	—	5 *a.* 5 *v.*
16. *St. Pièrre du Mont* . . .	42.31 *v.*	—	—	40.31 *v.*	—	2 *v.*
17. *Thiernut*	—	—	30 *v.*	—	—	30 *v.*
Total	485*a.* 59*v.*	103*a.* 27*v.*	107*a.* 22*v.*	754*a.* 6*v.*	344*a.* 29*v.*	79*a.* 77*v.*
+	382 *a.* 32 *v.*		—		264 *a.* 52 *v.*	
—	—		646 *a.* 94 *v.*		—	

წესს ბეჭდავდნენ. მას დაეკისრებოდა 646 *argent-e* და 94 *verges*, რომელთაც მისცემდნენ ახალწყობაში და გადიხდიდა შეღებვის. ლაინდესს ახალწყობას გაეგებოდნენ ოთხი მიწაზომელობით 382 არავინი და 32 ვერგით. გადებდნენ ლაინდესში ნაცლებად ღასაწყებლით ახალწყობის მიწებით, მაგრამ არც ახალწყობას შეხებიდნენ ბევრი რამ გადების მიწებიდან. მის მიერ შეძენილი მიწა გადებისაგან ეხდის 7 არავინ და 95 ვერგს. იხ. Лучицкій, И. В. Описаніе, გვ. 198-199.

სამღვდელოებას ლაონუას რაიონში თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მიწების ყიდვა-გაყიდვაში და მთავარ აგენტებად მიწის საკუთრების გადაჯგუფებაში, როგორც ეს მოტანილი ტაბულიდან ჩანს, ერთი მხრით აზნაურობა და ბურჟუაზია, მეორე მხრით კი გლეხობა ყოფილა. აზნაურობა ისე არ დაზარალებულა, რამდენადაც დაზარალებულა ბურჟუაზია, მაგრამ მას ვერც იმდენი მოუგია, რამდენიც მოუგია გლეხობას. ლაონუას რაიონში გლეხობა უფრო მოგებული გამოსულა, ვიდრე ბურჟუაზია და აზნაურობა.

ტულუზაშიც საგლეხო მიწათმფლობელობა ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის მიწათმფლობელობის ანგარიშზე გაფართოებულა. რაც შეეხება ლიმუზენის რაიონს, მართალია, აქ ბურჟუაზია უფრო მოგებული აღმოჩენილა, ვიდრე ლაონუას რაიონში — მას თითქმის ოთხჯერ მეტი შეუძენია შედარებით აზნაურობასთან, მაგრამ, რაც მას 1779-1791 წლების განმავლობაში შეუძენია, ისევ მთლიანად გაუყიდია და თანმიუყოლებია ის მიწებიც, რომელიც მას 1779 წლამდე ჰქონდა შეძენილი.

ამგვარად, ლიმუზენში ბურჟუაზიას არ გაუწევია მიწების კონცენტრაციის აგენტის როლი, პირიქით, იგი მიწების დამქუცმაცებელ და დამმანაწილებელ როლში გამოსულა — მას ხუთი ათასს *Set*-მდე მიწა უმთავრესად გლეხებისათვის მიუყიდია. ამ რაიონშიც გლეხობას მეტი მიწები შეუძენია, ვიდრე აზნაურობასა და ბურჟუაზიას. აქ თითქმის ერთადერთი შემსყიდველი მიწებისა გლეხობა ყოფილა.

საკუთრების გადაჯგუფების პროცესი ლიმუზენში, ლუჩიცკას მიხედვით, სრულიადაც არ იწვევდა მიწის საკუთრების კონცენტრაციას, პირიქით, იგი ანაწილებდა და აქუცმაცებდა მიწის საკუთრებას, იგი წვრილ მესაკუთრეობას ჰქმნიდა, ამრავლებდა წვრილ საგლეხო მიწათმფლობელობას.

აღნიშნული დებულება ლუჩიცკისა ახალი არ არის საგნის საისტორიო ლიტერატურაში. მასზე ადრე ამავე დასკვნამდე მივიდა ტოკვილი: „*C'est donc suivre une erreur commune que de croire que la division de la propriété foncière dat en France de la Révolution; le fait est bien plus vieux qu'elle*“ [1]. ტოკვილი, ასე ვთქვათ, მამა-

[1] *Tocqueville, A. L'ancien régime et la Révolution, Paris, 1877, გვ. 38.*

მთავარია იმ ცნობილ მიმართულებისა, რომლის მიხედვით საფრანგეთში რევოლუციის წინ ადგილი ჰქონდა წვრილ მესაკუთრეობას. ლუჩიცკიმ განავითარა ტოკვილის დებულება და სტატისტიკური მეთოდით ფართოდ და დამაჯერებლად დაასაბუთა იგი. თვით ფრანგი ისტორიკოსები აღნიშნავენ ლუჩიცკის დიდ დამსახურებას ამ მხრით და ანგარიშს უწევენ მას.

სულ სხვა აზრისაა ცნობილი რუსი მკვლევარი მ. კოვალევსკი: იგი უარჰყოფს ტოკვილის აზრს: „...не помешало Токвилю, по примеру составителей „Кутюмье XVI и следующих столетий, говорить о крестьянском землевладении, как о собственности, и признать особенностью „старого порядка" то дробление недвижимых имуществ на мелкие участки, какое продолжается во Франции и по настоящий день" [1]. ამასთან დაკავშირებით კოვალევსკი ეკამათება აგრეთვე ლუჩიცკის და უარჰყოფს მ-ს მიერ წამოყენებულ დებულებას კერძო საგლეხო მიწათმფლობელობის შესახებ.

თუ ლუჩიცკისათვის უდავოა, რომ საფრანგეთში რევოლუციის წინ ფართოვდებოდა წვრილი საგლეხო მესაკუთრეობა, სამაგიეროდ კოვალევსკისათვის ეს სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს — „...на самом деле эти мелкие собственники, აღნიშნავს იგი, оказываются не более, как с'емщиками или фермерами" [2].

რევოლუციამდელ საფრანგეთში,— ამბობს კოვალევსკი,— „...известно было одно зависимое владение сельских возделывателей земли, нечто подобное вечно наследственной аренде, связанной, где с несеннем барщины, где — с платежом оброка деньгами или натуральными продуктами" [3]. საფუძველს იგი ეძებს უმთავრესად საფრანგეთის სხვადასხვა კუთხის ჩვილთა რვეულებში და ყოველთვის ერთსა და იმავე ფორმულას იძლევა. ამ რვეულებიდან მიღებული ფაქტები და შთაბეჭდილება,— ამბობს იგი,— неблагоприятно признанию широкого распространения мелкой крестьянской собственности— именно собственности, а не пользования, пожизненного или наследствен-

[1] М. Ковалевский, Происхождение мелкой крестьянской собственности во Франции, СПБ. 1912. стр. 38.

[2] იგივე, გვ. 16.

[3] იგივე, გვ. 2.

ного“ [1]. ეხება იგი რა კერძოთ ნორმანდიას, აღნიშნავს: „О крестьянах — собственниках я не нахожу никаких упоминаний“ [2]. „О мелкой собственности во многих приходах нет и помину“ [3].

კოვალევსკი არ უარყოფს, რომ ლუჩიცკის ზედმიწევნით შესწავლილი აქვს ლიმუზენი გლეხ მესაკუთრეების რაოდენობის გამორკვევის მიზნით, მაგრამ დასძენს: „Для меня далеко недоказанным является, впрочем, утверждение, что крестьяне Лимузена пользовались своими землями, как собственники, а не как наследственные с'емщики (კურსივი ყველგან ჩვენია), т. к. признание за ними характера собственников местными обычаями не исключало возможности ... платежа ими оброка помещикам“ [4].

ჩვენ აღარ შევჩერდებით ლუჩიცკისა და კოვალევსკის მიერ ატეხილ დავაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, საკითხი ისმოდა ცენზიტარული მიწათმფლობელობის შესახებ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს იგი, როგორც სრული თავისუფალი საკუთრება, თუ როგორც მოკლევადიანი ანდა სამუდამო მემკვიდრეობითი იჯარა.

ამჟამად, ვეხებით რა სათემო მიწების საკითხს, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ საკითხს, თუ რას წარმოადგენდა ის მიწა, რომელიც ხელთ ჰქონდა რევოლუციამდელ ფრანგ გლეხს — მის სრულ საკუთრებას, თუ იჯარით აღებულ მიწას.

თუ იმ დროს „კუტუმების“ (ადათობრივი სამართლის) მიხედვით მოიჯარე გლეხი ითვლებოდა მესაკუთრედ [5], მაშასადამე, იგივე „კუტუმები“ მას უფლებას აძლევდნენ ესარგებლა სათემო მიწებით. იმდროინდელი მოიჯარე გლეხიც დაინტერესებული უნდა ყოფი-

---

[1] М. Ковалевский, Происхождение мелкой крестьянской собственности во Франции, СПБ, 1912, стр. 14.

[2] იგივე, გვ. 18.

[3] იგივე, გვ. 29.

[4] იგივე, გვ. 4.

[5] კოვალევსკის იგივე ნაშრომი, გვ. 38. „Так как барщина исчезла уже в большинстве провинций, уступая место чиншевому праву или оброку, то немудрено, что с XVI столетия, Кутумье — своды земского права отдельных областей и округов Франции — стали применять к крестьянскому владению термин „собственность“, невзирая на то, что это владение обременено было, как натуральными, так и денежными платежами в пользу сеньера“.

ლიყო სათემო მიწების სვე-ბედით. ამიტომ, ამჟამად, ჩვენთვის სულერთია — გლეხი მიწის მესაკუთრე იყო ლუჩიცკის გაგებით, თუ იგი იყო მხოლოდ მიწის მოიჯარე კოვალევსკის გაგებით. ორივე შემთხვევაში რევოლუციამდელ ფრანგ გლეხს სჭირდებოდა სათემო მიწები.

მართალია, ყოველ ჩვენთაგანს შეუძლიან გაიმეოროს კოვალევსკისთან ერთად, რომ: „Ею одной (ე. ი. საფრანგეთის 1739 წლის რევოლუციის მიერ) вызвана к жизни ... мелкая крестьянская собственность [1], свободная от всех пут, как сеньериального права, так и аграрного коммунизма“ [2], მაგრამ ისიც ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ რევოლუციამდელ საფრანგეთში ფრიად გავრცელებული იყო ცენზიტარული მიწათმფლობელობა, რომ მას აქ ფართო ადგილი ეკავა და რომ ცენზიტარი აგრეთვე საჭიროებდა სათემო მიწებს.

ამასთანავე საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ რევოლუციამდელ საფრანგეთში ადგილი არ ჰქონდა ისეთ მოვლენას, რასაც ადგილი ჰქონდა ინგლისში აგრარული გადატრიალების შედეგად, რომ რევოლუციამდელ საფრანგეთში გლეხობა არ იყო ისე მასობრივად გაუმიწაწყლოებული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ინგლისში აგრარული გადატრიალების შედეგად; და მაშასადამე, XVIII საუკუნის საფრანგეთისა და ინგლისის აგრარული წყობილების სურათი სულ სხვადასხვა იყო.

ამას არ უარჰყოფს თვით კოვალევსკიც. როგორც ზემოთ დავინახეთ, კოვალევსკი, მართალია, უსაყვედურებს ტოკვილს, რომ იგი საგლეხო მიწათმფლობელობას სთვლის საკუთრებად და უძრავი ქონების დაქუცმაცებას კი „ძველი რეჟიმის“ დამახასიათებელ თვისებად, მაგრამ ამავე დროს კოვალევსკი შენიშნავს: „В известном смысле он (ე. ი. ტოკვილი) был прав: это особенно выступает при сопоставлении французских порядков с английскими“ [3].

---

[1] აქ მხედველობაშია არა ის, რომ საფრანგეთის რევოლუციამ მ ო ა მ რ ა ვ ლ ა წვრილი საგლეხო მესაკუთრეობა (ეს სულ სხვა ცალკე სადავო საკითხს შეადგენს) არამედ მხედველობაშია ის, რომ საფრანგეთის რევოლუციამ ფეოდალური პირობითი მესაკუთრეობა (условное землевладение) აქცია თავისუფალ და სრულ (ბურჟუაზიულ) მესაკუთრეობად და მიწათმფლობელობად.

[2] კოვალევსკის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 47.

[3] М. Ковалевский, Происхождение мелкой крестьянской собственности, стр. 38.

კოვალევსკის აქ მხედველობაში აქვს მეცხვარეობა, რომელმაც სრუ
ლიად შეცვალა ინგლისის სოფლის სოციალური წყობილება, რასაც
ადგილი არ ჰქონდა საფრანგეთში. ამის შემდეგ იგი დასძენს: „Эти
различия имели ближайшим своим последствием сохранени
во Франции мелкого землепользования и, наоборот
округление поместий и ферм в Англии“ [1].

ვიმეორებთ, ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს მხოლოდ ის, რო
რევოლუციამდელი საფრანგეთის გლეხობას მოეპოვებოდა დასამუ
შავებელი მიწა, რასაც არ უარჰყოფს კოვალევსკი და ამჟამად აც
გვაინტერესებს ის, თუ რა სახით ფლობდა ფრანგი გლეხი მიწას –
კერძო საკუთრების სახით, თუ მემკვიდრეობითი იჯარის მსგავს
სახით. ორივე შემთხვევაში ფრანგ გლეხს ესაჭიროებოდა სათემო
მიწა.

ლუჩიცკისათვის უდავოა, რომ საფრანგეთში უკვე რევოლუცი
ამდე წარმოებდა საკუთრების დაქუცმაცება და ამასთანავე მრავლ
დებოდა წვრილი საგლეხო მიწათმფლობელობა.

ამასვე ადასტურებს ცნობილი ფრანგი მკვლევარი *Henri Sée*
„ლუჩიცკიმ თავისი გამოკვლევებით ძალიან შეუწყო ხელი იმ ჭეშ
მარიტების საბოლოო დადგენას [2], რომ საგლეხო მიწათმფლობე
ლობა არსებობდა საფრანგეთში მთელი მე-18 საუკუნის განმავლო
ბაში და ადგილი არ ჰქონდა ამავე საუკუნის დამლევს მიწი
საკუთრების კონცენტრაციას“ [3]. ჰანრი სე-ს აზრით საფრან
გეთში მრავლად მოიპოვებოდა გლეხი-მესაკუთრე
რასაც ადგილი არ ჰქონდა სხვა ქვეყნებში [4].

---

[1] М. Ковалевский, Происхождение мелкой крестьянской соб
ственности, стр. 39.

[2] Указания на перемены владельцев, встречающиеся в *rôles de vingt
èmes*, означаютъ Анри Сэ, скорее даже могут свидетельствовать, что нак
куне революции увеличивалось раздробление, совершался рост крестьян
ской собственности“. იხ. *Henri Sée* „Чем экономическая и социальна
история Франции в XVIII в. обязана трудам Лучицкого“. Научный исто
рический Журнал“ под. ред. профессора Кареева, Н. И. 1914 г. № 4
-т. II. в. 2, стр. 24.

[3] *Henri Sée*. დასახელებული ნაშრომი, გვ. 24.

[4] იგივე, გვ. 24. „Во Франции было много крестьян-соб
ственников; это был общественный класс, который мы тщетно ста
бы искать в восточной Германии... в России, даже в Италии и в Англии
იხ. „Научный Исторический Журнал“ под. ред. проф. Кареева. 1914
№ 4. т. II, в. 2.

თუ საფრანგეთში უკვე რევოლუციამდე განვითარებული იყო წვრილი საგლეხო მიწათმფლობელობა (თუნდაც მემკვიდრეობითი იჯარის სახით), გასაგები უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის გლეხობისათვის სათემო მიწებს, თუ რამდენად საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა იგი „ძველი საფრანგეთისათვის“ [1] და, თუ რა საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა 1789 წლის რევოლუციის წინაშე, რომელიც მოწოდებული იყო გადაეწყვიტა სხვა საკითხებთან ერთად აგრეთვე სათემო მიწათმფლობელობის საკითხი.

III

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ჯერ კიდევ მე-14 საუკუნიდან მოყოლებული, წარმოებდა სათემო მიწების მითვისება სენიორების მიერ. სათემო მიწების დატაცების პროცესმა უკვე ისეთი ფართო ხასიათი მიიღო მე-16 საუკუნეში და ისეთ საფრთხეში ჩააყენა გლეხების მეურნეობა სათემო მიწების ფონდის შემცირების გამო, რომ თვით მთავრობა იძულებული გახდა მიეღო ამის საწინააღმდეგოდ ერთგვარი ზომები. საერთო საძოვრების უქონლობა გამოიწვევდა შინაური პირუტყვის რაოდენობის შემცირებას. ამასთან დაკავშირებით გლეხებს მოაკლდებოდათ მიწების განოყიერებისათვის საჭირო სასუქი, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ცუდი მოსავალი. გლეხი უკიდურესად გაღატაკდებოდა და მთავრობისათვის უვარგისი საგადასახადო ობიექტი შეიქმნებოდა.

მაგრამ მთავრობა უძლური აღმოჩნდა ბოლო მოეღო ამ არასასურველ გარემოებისათვის. იგი რადიკალურ ზომებს ვერ მიიღებდა, ვინაიდან საგრძნობლად შელახავდა იმ კლასის ინტერესებს, რომელთაც თვით ედგა დარაჯად. მთავრობას ერთი გამოსავალი ღა რჩებოდა — მიეცა ამ გარემოებისათვის კანონიერი სახე და განსა-

[1] *Henri Sée. „La vie économique et les classes sociales en France au XVIII siècle“. Paris. 1924.* გვ-ბი *54-55. „Dans l'économie sociale de l'ancienne France, les biens communaux ont joué un rôle fort important. Quelle que soit leur origine, qu'ils marquent la survivance d'une ancienne propriété collective ou qu'ils dérivent de droits d'usage concédés par les seigneurs, en fait, ils ont le caractère juridique d'une propriété indivise entre le seigneur et ses sujets, et, à considérer leur valeur économique, ils apparaissent comme tout à fait indispensables pour les paysans, qui ont lesoin de bois pour le chauffage et la glandée, et de pâturages pour la nourriture de leur bétail“.*

ზღვრულ პირობებში ჩაეყენებინა. 1669 წელს გამოცემული ორდონანსით ლუი მე-14-ე უფლებას აძლევდა სენიორებს ერთგვარი პირობების მიხედვით გამოეყოთ სათემო მიწებიდან მესამედი ნაწილი თავის საკუთრებად (*droit de triage*). აღნიშნული წლიდან ხანგრძლივად დაკანონდა სათემო მიწების „უზურპაციები“.

დამფუძნებელი კრება (კონსტიტუანტი), როგორც საკანონმდებლო ორგანო, რომელიც რევოლუციის დროს მოქმედებდა, რა თქმა უნდა, გზას ვერ აუხვევდა ტრიაჟის კანონს. მას უნდა გაეუქმებინა იგი და ამავე დროს უნდა დაებრუნებინა გლეხებისათვის სენიორების მიერ იმავე კანონის ძალით მითვისებული სათემო მიწები. მაგრამ ეს მეორე საკითხი დამფუძნებელმა კრებამ ხელუხლებელი დასტოვა. სათემო მიწების საკითხის შესწავლისათვის და გადასაწყვეტად დამფუძნებელ კრებას არ გამოუყვია ცალკე სპეციალური კომიტეტი, რაც უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა. ამ საკითხს იხილავდა ორი კომიტეტი — *Comité d'agricnlture et de commerce*“ (მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის კომიტეტი) და „*Comité des droits feodaux*“ (ფეოდალურ უფლებათა კომიტეტი). მეორე კომიტეტს, სხვა აგრარულ საკითხებთან ერთად, უნდა შეესწავლა სათემო მიწების საკითხიც. მის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე „ტრიაჟთან“ დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

დადგენილება „ფეოდალურ უფლებათა კომიტეტის“ დაარსების შესახებ დამფუძნებელმა კრებამ ოთხი აგვისტოს ღამის ფრიად ცნობილი სხდომის შემდეგ მიიღო, სახელდობრ, 1789 წლის 12 აგვისტოს.

მისი მუშაობის მთლიანი სურათი შეიძლება აღდგენილიყო მისი სხდომების ოქმებიდან, მაგრამ ამგვარი რამ არ შენახულა.

ფეოდალურ უფლებათა კომიტეტი თავდაპირველად შედგებოდა 30 წევრისაგან, მაგრამ შემდეგში წევრების რაოდენობა შემცირდა. მისი წევრების უმრავლესობა მესამე წოდებას ეკუთვნოდა და არა აზნაურობას, მაგრამ კომიტეტი თავისი შემადგენლობით კონსერვატული მიმართულებისა იყო. მარტო ის ფაქტი, რომ 30 წევრიდან 16 ვექილი იყო და მხოლოდ ორი გლეხი (დანარჩენი იყვნენ აზნაურები და სხვადასხვა პროფესიის პირნი) კარგს არაფერს უქადდა საფრანგეთის გლეხობას მისთვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის საქმეში. 16 ვექილი — ფევდისტი, ფეოდალურ უფლებათა სპეციალისტი, რომელთა შორისაც იმყოფებოდა იმ დროისათვის ფრიად ცნობილი ორი იურისტი — ტრონშე და მერლენი,

დაკავშირებული იყვნენ გაბატონებულ კლასებთან და უფრო ძველი დროისკენ გაიყურებოდნენ. კომიტეტის მუშაობის ხელმძღვანელობა ამ ორ ცნობილ იურისტს ჩაუვარდა ხელში და კომიტეტის მუშაობაც ისე წარიმართა, რომ გლეხებს იმედი გაუცრუვდათ.

ეს ის კომიტეტი იყო, რომელმაც 1790 წლის 15 მარტის აგრარული დეკრეტის პროექტი შეიმუშავა. დეკრეტი უმთავრესად სენიორულ გადასახადების მოსპობის საკითხებს სწყვეტდა, მაგრამ მისი რამდენიმე მუხლი ტრიაჟის კანონსაც ეხებოდა. ამ დეკრეტის II კარის 30-ე მუხლით უქმდებოდა ტრიაჟის კანონი[1]. მაგრამ დამფუძნებელი კრება ვერ დააკმაყოფილებდა გლეხობას მარტო ტრიაჟის კანონის მოსპობით; გლეხობა, ამჟამად, ამ რევოლუციურ ხანში, მოითხოვდა უფრო მეტს, სახელდობრ, იმ სათემო მიწების დაბრუნებას, რაც მითვისებული ჰქონდათ სენიორებს რევოლუციის დაწყებამდე. ამგვარი ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა დამფუძნებელმა კრებამ, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, არ გაბედა და ნახევარ გზაზე შეჩერდა საკითხის რადიკალურად გადაწყვეტის საქმეში. ამ ხერით მას რეალური რამ არ მიუცია გლეხობისათვის. მართალია, იმავე დეკრეტის 31 მუხლის ძალით გლეხებს შეეძლოთ დაებრუნებინათ სენიორის მიერ მითვისებული სათემო მიწები, თუ კი დაუმტკიცებდნენ წერილობითი საბუთებით თავიანთი მფლობელობის უფლებას ხსენებულ მიწებზე. ამის დამტკიცება უნდა მომხდარიყო სათანადო ტრიბუნალის მეშვეობით. წერილობითი საბუთების წარდგენის ვადა დადებული იყო ხუთი წლით. მაგრამ მფლობელობის დამადასტურებელი წერილობითი საბუთები იშვიათად თუ მოეპოვებოდათ გლეხებს და თუ მოეპოვებოდათ, მაინც ვერ მიაღწევდნენ უმეტესს შემთხვევაში თავის მიზანს, ვინაიდან ტრიბუნალი გაბატონებული კლასების ინტერესებს ემსახურებოდა. ამ გარემოების გამო სენიორების მიერ მითვისებული სათემო მიწები, უმეტეს შემთხვევაში, ისევ სენიორების ხელში რჩებოდა.

1790 წლის 15 მარტის დეკრეტით დამფუძნებელმა კრებამ, მართალია, გააუქმა 1669 წლის „ტრიაჟის“ კანონი, მაგრამ ამით მან

[1] ხსენებული დეკრეტის II კარის 30-ე მუხლში აღნიშნული იყო შემდეგი: „1669 წელს გამოცემული ორდონანსის XXV კარის მეორე მუხლით დაწესებული ტრიაჟის კანონი წყლებისა და ტყეების შესახებ ამიერიდან ისპობა“. იხ. *Duvergier Collection complète des lois, décrets, ordonnances etc*, ტ. I, გვ. 172, ციტირებულია კუნისკისა და პოზნიაკოვის მიხედვით — Общинныя земли в эпоху великой Французской революции, стр. 81.

მხოლოდ იურიდიულად გააფორმა ფაქტიურად შექმნილი მდგომარეობა, ვინაიდან 4 აგვისტოს ცნობილ დეკრეტთან დაკავშირებით გლეხობა თვითნებურად ეუფლებოდა სენიორების მიერ დატაცებულ სათემო მიწებს და, მაშასადამე, თვით რევოლუციურ პროცესში ფაქტიურად ბოლო ეღებოდა ტრიაჟის კანონს. სენიორების მიერ რევოლუციამდე მითვისებული სათემო მიწები კი დამფუძნებელმა კრებამ არ დაუბრუნა გლეხებს, რაც იმაზე გლეხებისათვის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა. პირიქით, 1790 წლის 15 მარტის შემდეგ დამფუძნებელი კრება თანდათან უფრო გაბედულად ააშკარავებდა სხვადასხვა დეკრეტისა და განკარგულების სახით თავის მიდრეკილებას პრივილეგიურ კლასებისადმი. ასე, მაგალითად, 1791 წლის 13 აპრილის კანონით მან დაუმტკიცა და დაუკანონა სენიორებს მათ მიერ რევოლუციამდე მითვისებული სათემო მიწები[1].

როგორც დამფუძნებელ კრებას, ისე მის ფეოდალურ უფლებათა კომიტეტს, აზრადაც არ ჰქონდა რეალური გადამწყვეტი ზომები მიეღო გლეხების სასარგებლოთ სათემო მიწების საკითხის მოგვარების საქმეში, მაგრამ გლეხობა ღელავდა და დამფუძნებელი კრება, რომელსაც საერთოდ არ სურდა რაიმე დაეთმო გლეხობისათვის, ამ შემთხვევაში იძულებული შეიქმნა რაიმე ნაბიჯი გადაედგა. დამფუძნებელ კრებას სურდა რეპრესიული ზომები მიეღო მეამბოხე გლეხობის მიმართ, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წინასწარ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თითქოს, მან ხსენებული საკითხი გლეხების სასარგებლოდ გადაჭრა. თუ ამის შემდეგაც გლეხობა არ დაშოშმანდებოდა, მას ფორმალური უფლება მიეცემოდა რეპრესიებისათვის მიერთო. საჭიროა რეპრესიები ერთგვარი რეფორმების შემდეგ — ასეთი იყო მოსაზრება და ტაქტიკა დამფუძნებელი კრებისა. სათემო მიწების საკითხს, ისე როგორც სენიორული გადასახადების მოსპობის საკითხს, იგი იძულებით სწყვეტდა და ცდილობდა საქმე ისე მოეგვარებინა, რომ არ დაეზარალებინა გაბატონებული კლასები და ამავე დროს გლეხობისათვისაც მოეჩ-

[1] აღნიშნული კანონი უტოვებდა სენიორებს არა მარტო რევოლუციამდე მითვისებულ სათემო მიწებს, არამედ აგრეთვე იმ სათემო მიწებსაც, რომელნიც მათ მიერ მითვისებულ იქნა რევოლუციის დაწყებიდან 4 აგვისტომდე. მაგრამ რევოლუციის დაწყების შემდეგ რომელი ერთი სენიორი გაბედავდა სათემო მიწების მითვისებას. იხ. *Duvergier. Collection complète des bois...* ტ. II, გვ. 35, მუხლი 7-13. ციტირებულია კუნისკისა და პოხნიაკოვის მიხედვით — Общинные земли в эпоху великой Французской революции, стр. 83.

ვენებინა, რომ მან საკითხი მის სასარგებლოდ გადასჭრა. ამ საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრებისათვის მიზანი კი არ იყო, არამედ საშუალება, იგი მისთვის პოლიტიკური ხასიათის ზომა იყო.

მოსალოდნელი იყო, რომ სათემო მიწების საკითხს, ერთგვარად წინ წაუწევდა საკანონმდებლო კრება შედარებით დამფუძნებელ კრებასთან.

IV

მსგავსად დამფუძნებელი კრებისა, საკანონმდებლო კრებასაც (ლეგისლატივს) ორი კომიტეტი მოეპოვებოდა, რომელთაც სათემო მიწების საქმის მოგვარება ექვემდებარებოდა: სამიწათმოქმედო კომიტეტი *(Comité d'agriculture)* და ფეოდალური კომიტეტი *(Comité de feodalité)*. ორივე კომიტეტი 1791 წლის ოქტომბერს ჩამოყალიბდა. როგორც სათანადო წყაროებიდან ირკვევა, ფეოდალურ კომიტეტს ნაწილობრივ ხელი აუღია სათემო მიწების საკითხზე [1] და ეს უკანასკნელი უმთავრესად სამიწათმოქმედო კომიტეტის განსახილველი ობიექტი გამხდარა [2].

სამიწათმოქმედო კომიტეტი, როგორც ეს სათანადო დოკუმენტებიდან ჩანს, 24 წევრისაგან შედგებოდა [3]. აქედან უმეტესი ნაწილი მოხელეებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან იყო შემდგარი და არა ფევდისტ-იურისტებისაგან, საერთოდ. არა ფეოდალური ელემენტებისაგან, რომელთაც ფართო ადგილი ეკავათ დამფუძნებელი კრების ფეოდალურ უფლებათა კომიტეტში *(Comité des droits feodaux)* და რომელნიც უფრო კონსერვატული მიმართულებისა იყვნენ.

---

[1] თუმცა ძნელია გარკვევით თქმა, თუ რამდენად იღებდა მონაწილეობას ფეოდალური კომიტეტი სათემო მიწების საკითხის გადაწყვეტაში ამავე კომიტეტის ოქმების უქონლობის გამო.

[2] ფეოდალური კომიტეტის შესახებ იხ. *Gerbaux et Shmidt. „Procès — verbaux des comités d'agriculture et de commerce de la Constituante et de la Législative"*. ტ. II. შესავალი.

[3] *„...sept cultivateurs et propriétaires; un agronome; un membre de l'Académi des Sciences; un négociant; un marchand voiturier par eau; un maître de poste; troi membres de directoire de département; quatre administrateurs de département; un procureur général syndic de département; deux procureurs syndics de district; un juge de tribunal et un maire de commune". Procès — verbaux d2 Comités d'agriculture et de commerce de la Constituante de la legislative et de la Comvention", pulliés et annotés par Gerbaux et Chmidt (Collection de documents inédits); tome* II. *Introduction p.* VI.

რამდენადაც საკანონმდებლო კრების სამიწათმოქმედო კომიტეტი განსხვავდებოდა თავისი შემადგენლობით დამფუძნებელი კრების ფეოდალური კომიტეტისაგან, იმდენად მოსალოდნელი იყო, რომ სამიწათმოქმედო კომიტეტი უფრო კატეგორიულად დააყენებდა სათემო მიწების საკითხს. ეს ასეც მოხდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არ მომხდარა მხოლოდ თვით საკანონმდებლო კრებისა და მისი სამიწათმოქმედო კომიტეტის ნებაყოფლობით. მათზე მოქმედებდა აგრეთვე გარეშე ძალა — ქალაქისა და სოფლის ფართო მასების მოძრაობა (ვანჯეა, 10 აგვისტოს გადატრიალება და სხვა).

საკანონმდებლო კრების სამიწათმოქმედო კომიტეტის წინაშე შედარებით უფრო რთული საკითხი იდგა გადასაჭრელად სათემო მიწების შესახებ, ვიდრე დამფუძნებელი კრების ფეოდალური კომიტეტის წინაშე. ეს კიდევ ერთი განსხვავება იყო მათ შორის. თუ დამფუძნებელმა კრებამ, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, მოსპო ტრიაჟის კანონი და ამით დაკმაყოფილდა, სამაგიეროდ საკანონმდებლო კრებას რევოლუციის გართულებულ პირობებში, უნდა გადაეწყვიტა აზნაურების მიერ დატაცებული სათემო მიწების დაბრუნების საკითხი და ამ სათემო მიწების გაყოფის საკითხიც.

სენიორების მიერ დატაცებულ სათემო მიწებს დაბრუნებაში დაინტერესებული იყო მთელი გლეხობა, მაგრამ სათემო მიწების გაყოფაში კი დაინტერესებული იყო ხოლოდ შეძლებული გლეხობა და ისიც არა მთელი ფენა, აღებული მთელი საფრანგეთის მასშტაბით, არამედ მხოლოდ ერთი ნაწილი ამ ფენისა.

სამიწათმოქმედო რაიონებში შეძლებული გლეხობა, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო როგორც სენიორების მიერ მითვისებული სათემო მიწების დაბრუნებაში, ისე ამ მიწების გაყოფაში, გაყოფილიყო ეს მიწა თემის წევრებს შორის კერძო საკუთრებად. ამგვარი რაიონების შეძლებული გლეხები დაინტერესებული იყვნენ გაეყოთ აგრეთვე საკუთრებად თემის წევრებს შორის ის სათემო მიწებიც, რომლებიც თვით თემის საერთო მფლობელობაში იმყოფებოდა, რომლებითაც თემის ყოველი წევრი თანასწორი უფლებით სარგებლობდა. თუ სათემო მიწები სამიწათმოქმედო რაიონებში გაყოფილი იქნებოდა თემში შემავალ წევრებს შორის პირდაპირი პროპორციით მიმართ ამა თუ იმ წევრის საკუთარი სახნავი მიწისა, რა თქმა უნდა, ეს ფრიად ხელსაყრელი იქნებოდა შეძლებული გლეხისათვის. ეს უკანასკნელი ამიტომ კატეგორიული მომხრე იქნებოდა სათემო მიწების გაყოფისა. მას ერგებოდა სათემო მიწები-

დან გაყოფის დროს უფრო მეტი წილი, ვიდრე იმ გლეხს, რომელსაც გაცილებით ნაკლები საკუთარი მიწა გააჩნდა. შეძლებული გლეხი, რომელსაც უამისოდაც საკმაო მიწა ჰქონდა, კიდევ მნიშვნელოვან ნაწილს მიიღებდა სათემო მიწებიდანაც და ამგვარად მას ხელში ჩაუვარდებოდა იმდენი ადგილ-მამული, რომელიც მას საშუალებას მისცემდა თავისივე საკუთარ მამულზე გამოეკვება თავისი შინაური პირუტყვი. ამის მიხედვით მისთვის საჭირო აღარ იქნებოდა სათემო მიწების არსებობა და აუცილებლობა.

მაგრამ, თუ ავიღებთ ისეთ რაიონებს, სადაც უმთავრესად მეჯოგეობა იყო განვითარებული, შეძლებული გლეხობა, რომელიც ამგვარ რაიონებში აგრეთვე მეჯოგეობას მისდევდა, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იქნებოდა სათემო მიწების გაყოფისა.

იმავე მოსაზრების გამო, ე. ი. ვინაიდან სათემო მიწების გაყოფა იგულისხმებოდა პირდაპირი პროპორციით მიხედვით იმისა, თუ რა რიოდენობის საკუთარი მიწა გააჩნდა ამა თუ იმ გლეხს, ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო გლეხები წინააღმდეგი იქმნებოდნენ გაეყოთ სათემო მიწები გლეხებს შორის საკუთრებად. ამ შემთხვევაში ღარიბი გლეხები, რომელთაც საკუთარი მიწა არ გააჩნდათ, ვერაფერს მიიღებდნენ სათემო მიწებიდან. საშუალო გლეხები კი მიიღებდნენ მიწის ისეთ მცირე ნაწილს, რაც მათ ერთი მხრით არ ეყოფოდათ შინაური პირუტყვის გამოსაკვებად და მეორე მხრით სათემო საძოვრებსაც მოკლებული იქნებოდნენ მათი გაყოფის გამო. ესენი ცოცხალი ინვენტარის შენახვას ვერ შეძლებდნენ და მეურნეობისათვის ძალაუნებურად თავი უნდა მიენებებინათ, ხელი უნდა აელოთ კერძო მეურნეობაზე.

ამგვარად, ღარიბი და საშუალო გლეხობა, ცხადია, დაინტერესებული იყო ჩაშორთმევოდათ სენიორებს მათ მიერ დატაცებული სათემო მიწები და გადაეცათ თემებისათვის საერთო ხმარებაში და არა თემში შემავალ გლეხებს შორის გასაყოფად. აღნიშნული კატეგორიის გლეხობას აინტერესებდა სათემო მიწების საერთო მფლობელობა და არა ინდივიდუალური. ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო გლეხობა წინააღმდეგი იყო გაყოფილიყო თემში შემავალ გლეხებს შორის აგრეთვე ის სათემო მიწები, რაც თავიდანვე თვით თემის საერთო მფლობელობაში იმყოფებოდა [1].

---

[1] როდესაც თემს გააჩნდა საერთო საძოვარი მინდვრები, იმავე თემის ამა თუ იმ წევრს „რომელსაც მხოლოდ ქოხი მოეპოვებოდა, შეეძლო, ვკითხულობთ *La*

მაგრამ გლეხების მოთხოვნები ერთგვარად იცვლებოდა რაიონების მიხედვით, რაც დამოკიდებული იყო თვით რაიონის მეურნეობის ხასიათზე — იქნებოდა იგი მეჯოგეობის რაიონი, თუ მიწათმოქმედების რაიონი და სხვა.

სათემო მიწების საკითხის გამო სოფლად მწვავდებოდა ბრძოლა გლეხობის სხვადასხვა ფენას შორის. აზრთა შეხლა-შემოხლას და მძაფრ კამათს ადგილი ექნებოდა აგრეთვე საკანონმდებლო კრების ორ კომიტეტში — ფეოდალურ და სამიწათმოქმედო კომიტეტებში, ვინაიდან სოფლად არსებული ბრძოლა გლეხობის სხვადასხვა ფენას შორის სათემო მიწების გამო, თავის სათანადო გამოხმაურებას, რა თქმა უნდა, აღნიშნულ კომიტეტებშიაც ჰპოვებდა. გლეხების სურვილს სათემო მიწების შესახებ, ჩვენ ვეცნობით მათივე პეტიციების საშუალებით, რომელნიც შეკრებილი და გამოცემული აქვს ბურჟენს [1].

თუ როგორ პასუხს უმზადებდა საკანონმდებლო კრება თავისი კომიტეტით გლეხებს, თუ რუგორ ეკიდებოდა იგი მათ სურვილს, თუ გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ სწყვეტდა იგი სათემო მიწების საკითხს, სათანადო მასალას ამის შესახებ ჩვენ უნდა ვპოვებდეთ იმავე საკანონმდებლო კრების ორივე კომიტეტის ოქმებში, რომელთაც უნდა დაემზადებინათ დეკრეტის პროექტი საკანონმდებლო კრებისათვის განსახილველად და დასამტკიცებლად. საკითხის გადაწყვეტის სიმძიმის ცენტრი, როგორც ჩანს, სამიწათმოქმედო კომიტეტში გადატანილა, რომლის ოქმები შეკრებილი და გამოცემულია ჟერბოსა და შმიდტის მიერ [2]. ხსენებული კო-

---

Nouage-ის მრევლის ჩივილთა რეესტრში, ჰყოლოდა ძროხა ან თხა, რაც ხელს უწყობდა მას გამოეკვება თავისი პატარა ოჯახი; ამჟამად კი იგი საარსებო საშუალებათა გარეშე რჩება უმწეო მიწების (пустопорожные земли) შემოფარგლის გამო". იგივე ღარიბი გლეხები აღნიშნავენ, რომ „სათემო მიწები ღარიბების ერთადერთ სიმდიდრეს შეადგენდნენ და ამჟამად კი მოსახლეობა სიღატაკეში ვარდება და რიცხობრივობადაც მცირდება. *See et Lesort. Cahiers de doléances de la sénéchaussé de Rennes.* ტ. II, გვ. 77, 527, 614, 721 და სხვა. ციტირებულია ზავინტევიჩის მიხედვით — Расслоение крестьян в Бретани накануне Французской революции 1789 г., 1931 წ., გვ. 96.

[1] *Le partage des biens communaux. Documents sur la préparation de la loi du 19 juin 1793, publiés par Georges Bourgin. Paris. MDCCCCVIII.*

[2] *Procès-verbaux des Comités d'Agriculture et de Commerce de la Constituante de la Législative et de la Convention, publiés et annotés par Fernard Gerbaux et Charles Schmidt. Paris. MDCCCCVII.* ტ. I-III.

მიტეტი სათემო მიწების საკითხის სახით ძნელი და რთული პრობლემის წინაშე იდგა. მას, როგორც უკვე ნათქვამი იყო, უნდა გადაეწყვიტა არა მარტო სენიორების მიერ დატაცებული სათემო მიწების დაბრუნების საკითხი, რასაც მოითხოვდნენ გლეხები, არამედ მას უნდა გაერკვია, აგრეთვე, თუ რა სახით უნდა გადაეცა დაბრუნებული სათემო მიწები თემებისათვის — საერთო სარგებლობისათვის, თუ ინდივიდუალური მფლობელობისათვის.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. თუ კანონმდებლები დაადგენდნენ გაეყოთ სათემო მიწები კერძო საკუთრებად თემში შემავალ გლეხებს შორის, საჭირო იყო ისიც გარკვეულიყო, თუ რა ხასიათისა უნდა ყოფილიყო დადგენილება საოემო მიწების გაყოფის შესახებ — სავალდებულო ყველა თემისათვის (იძულებითი. იმპერატივული), თუ ფაკულტატივური, ე. ი. ნებაყოფლობითი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამა თუ იმ თემის სურვილზე იქნებოდა დამოკიდებული, მიიღებდა იგი თუ არა კანონმდებლების წინადადებას სავალდებულო წესად და დათანხმდებოდა გაეყო სათემო მიწები ინდივიდუალური მფლობელობისათვის, თუ ხელს აიღებდა მიწების გაყოფაზე და ამ სათემო მიწებს თემის ისევ საერთო მფლობელობისათვის და საერთო გამოყენებისათვის დასტოვებდა.

ფრიად გასაგებია, რომ იმ რაიონებში, სადაც უმთავრესად მეჯოგეობას მისდევდნენ, გლეხები წინააღმდეგი იქნებოდნენ გაეყოთ სათემო მიწები თემში შემავალ წევრებს შორის. ამით მოისპობოდა თემის საერთო საძოვრები და მეჯოგეობაც შეუძლებელი გახდებოდა.

იქნებოდა სათემო მიწების გაყოფა იმპერატივული, თუ ფაკულტატივური ხასიათისა, ამით საკითხი მაინც საბოლოოდ არ წყდებოდა. თუ დააკანონებდნენ, რომ სათემო მიწები პირადი მფლობელობისათვის დაურიგდებოდათ გლეხებს, კვლავ წამოიჭრებოდა საკითხი — რის მიხედვით, რა წესით უნდა გაენაწილებინათ გლეხებისათვის სათემო მიწები, რა უნდა მიღებულიყო ამისათვის მხედველობაში: კომლი, ცალკეული პირი, თუ გადასახადების ოდენობა რომელსაც იხდიდა ესა თუ ის გლეხი, ან და გლეხის ის საკუთარი სახნავი მიწა, რომლის შესატყვისად იგი მიიღებდა პირდაპირი პროპორციის წესით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთს სათემო მიწებიდან. ერთი სიტყვით, კანონმდებლებს უნდა შეემუშავებინათ აგრეთვე სათემო მიწების გაყოფის მოდუსი.

ყველა ეს საკითხი, რა თქმა უნდა, გაცხოველებულ კამათს გამოიწვევდა სამიწათმოქმედო კომიტეტში, მაგრამ, სამწუხაროდ,

მის ოქმებში, რომელნიც მოკლეთ და მშრალი ენითაა მოცემული, სრულებით აღბეჭდილი არ არის მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა დეკრეტის პროექტის შემუშავების შესახებ.

ჟერბოსა და შმიდტის მიერ შეკრებილ ოქმებში მოცემულია სულ რამდენიმე მოკლე ცნობა: „*M. Aveline a été chargé du rapport du partage des communaux et de présenter ses vues au Comité*“ [1]. (აველინს დაავალეს გაეკეთებინა მოხსენება სათემო მიწების გაყოფის შესახებ და წარმოედგინა თავისი მოსაზრებანი კომიტეტისათვის). როგორც სათანადო საბუთებიდან ჩანს, აველინს წაუკითხავს თავისი მოხსენება კომიტეტში სათემო მიწების საკითხის შესახებ და კომიტეტს დაუდგენია: „*Après une très longue discussion, le Comité a arrêté que la discussion sera continuée à la première séance*“ [2] (ძალიან ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, კომიტეტმა დაადგინა, რომ დისკუსია გაგრძელებულ იქნება პირველ მორიგ სხდომაზე). თუ რა შინაარსისა და ხასიათისა იყო აღნიშნული „ხანგრძლივი დისკუსია“ ჩვენთვის სრულიად უცნობი რჩება — არსებული დოკუმენტები ამის შესახებ არავითარ მასალას არ იძლევიან. ჩანს მხოლოდ, რომ დისკუსია გაგრძელებულა რამდენიმე სხდომის მანძილზე.

58-ე სხდომა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1792 წლის 11 ივნისს, დაწყებულა აველინის ინფორმაციით, თუ როგორ მიმდინარეობდა მისი მუშაობა სათემო მიწების შესახებ. მაგრამ, ვიდრე დისკუსია დაიწყებოდა მის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტის ირგვლივ, კომიტეტს მიუღია სამი პრინციპული დებულება: 1. „*Que les biens communaux ne doivent point être regardés appartenir à la Nation;* 2- *Que la loi sur le partage dont le projet va être discuté sera facultative et non impérative;* 3. *Que, par l'effet du partage, la portion de chaque copartageant ne lui restera pas seulement en usufruit ou pour un temps déterminé, mais en propriété*“ [3].

თუ სათემო მიწები კომიტეტის მიხედვით წარმოადგენდნენ თემის საკუთრებას და არა სახელმწიფო ქონებას (ერის ქონებას), ამ შემთხვევაში მას შეეძლო დაედგინა, რომ სათემო მიწების გაყოფას

[1] „*Procès-verbaux des Comités d'agriculture et de Commerce de la Constituante*“, *publiés et annotés par Gerbaux et Schmidt.* ტ. II. გვ. 479.

[2] *Ibidem.* ტ. II. გვ. 578. „*M. Aveline a fait la lecture de son rapport sur les communaux et des articles de son projet de décret*“.

[3] „*Procès-verbaux...*“ *publiés par Gerbaux et Schmidt.* ტ. II. გვ. 581.

ფაკულტატივური ხასიათი ჰქონოდა და არა იმპერატივული და გაყოფის ყოველ მონაწილეს მისცემოდა სათემო მიწებიდან ნაკვეთი საკუთრებად და არა მარტო განსაზღვრული დროით ან და ამ ნაკვეთის მხოლოდ მოხმარების უფლებით.

ზემოხსენებული სამი პრინციპული დებულების მიღების შემდეგ დაწყებულა დისკუსია წარმოდგენილ კანონ-პროექტის პირველი მუხლის შესახებ, მაგრამ იგი ვერ დამთავრებულა და შემდეგი სხდომისათვის გადაუდვიათ. მნიშვნელოვან კამათს სათემო მიწების გაყოფის შესახებ ადგილი ჰქონია 13 ივნისის სხდომაზე, მაგრამ კვლავ გადაუდვიათ კამათი მორიგი სხდომისათვის. 18 ივნისის სხდომის ოქმში აღნიშნულია შემდეგი: „*La séance s'est ouverte par la discussion sur les communaux qui s'est prolongée jusqu'à* 11 *heurs sans qu'il ait été rien arrêté, et elle a été ajournée*“ [1]. კამათი გაგრძელებულა ღამის 11 საათამდე, არავითარი დადგენილება არ გამოუტანიათ და საკითხის განხილვა კვლავ გადაუდვიათ მორიგი სხდომისათვის.

იმავე საკითხს შეხებიან 22 და 27 ივნისის, 4 და 6 ივლისის სხდომებზე და სათანადო ოქმებში ვპოვებთ მხოლოდ დაახლოებით ერთსა და იმავე მოკლე მშრალ ცნობას შემდეგი სახისას: „*On a repris la suite de la discussion sur les communaux; après plusieurs observations, la suite a été ajournée à la prochaine séance*“ [2]. 1792 წლის მხოლოდ 25 ივლისის სხდომაზე ღა გაუკეთებია აველინს მოხსენება და წარუდგენია დეკრეტის საბოლოო პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ და კომიტეტს დაუდგენია: „*Que les rapport et projet de décret de M. Aveline sur le partage des communaux seront imprimés pour être distribués aux membres du corps législatif*“ [3]. აველინის აღნიშნული მოხსენება და დეკრეტის პროექტი ლეჟისლატივის (საკანონმდებლო კრების) დადგენილებით დაბეჭდილ იქნა 1792 წლის 28 ივლისს, რაც ამავე ლეჟისლატივის დეპუტატებს დაურიგდათ.

მეორე მოხსენება, — აღნიშნავს ბურჟენი, — იმავე სათემო მიწების შესახებ, — „*est l'oeuvre de Danthon, député de l'Isère, qui le présenta au Comité d'agriculture à une date que je n'ai pu déter-*

[1] *Gerbaux et Schmidt. Procès — verbaux*, ტ. II, გვ. 583.
[2] *Ibidem*, გვ. 589.
[3] *Ibidem*, გვ. 592.

miner“ [1]. ბერჟენის აზრით, ეს მეორე მოხსენება, რომელიც იზერის დეპუტატს დანტონს ეკუთვნის, წარდგენილი იქნებოდა კომიტეტისათვის არა უგვიანეს 1792 წლის 14 აგვისტოსი. მისივე აზრით, დანტონის მოხსენება, მართალია, ისეთივე მნიშვნელოვანი არ არის, როგორიცაა აველინის მოხსენება, მაგრამ მაინც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი სათემო მიწების გაყიდვას მოითხოვს [2].

ამგვარად ხელთ გვრჩება მხოლოდ ეს ორი მოხსენება — აველინისა და დანტონისა, რომელთა მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან მსჯელობა ვიქონიოთ შესახებ იმისა, თუ როგორ იდგა სათემო მიწების საკითხი ლეჟისლატივის (საკანონმდებლო კრების) სამიწათმოქმედო კომიტეტში. ორივე მოხსენებას ვპოვებთ ბერჟენის მიერ გამოცემულ დოკუმენტებში [3].

აველინის მოხსენება, ისე როგორც დანტონისა, ჩვენ გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც. მათ მიერ წამოყენებული დებულებები და მოსაზრებანი, საშუალებას მოგვცემენ გამოვარკვიოთ, თუ როგორ იქნა დასმული სათემო მიწების საკითხი ლეჟისლატივში (საკანონმდებლო კრებაში) და ვის ინტერესებს ისახავდა ლეჟისლატივი თავისი სამიწათმოქმედო კომიტეტით.

პირველი ნაკვეთის დასასრული.

---

[1] *Bourgin, Le partage des biens communaux. Paris. 1908, Introduction.* გვ. XVI-XVII.

[2] *Ibidem. „Le partage“... Introduction,* გვ. XVII. *„si ce rapport* (მხედველობაშია დანტონის მოხსენება) *n'a pas la mém importance que celui d'Aveline. il offre cependant de l'intérêt en ce qu'il oppose à la thèse du partage des communaux celle de la vente des communaux“.*

[3] *Bourgin, Le partage,* გვ. 337-365 და 374-391.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

ირაკლი მათურელი

იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის რუკა *

საქართველოს კარტოგრაფიის ისტორიიდან

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველი ერი საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ერთ-ერთი უძველესი ერთაგანია. მისი სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარების ისტორია თავის საწყისს უხსოვარ დროიდან ღებულობს. ჩვენ დრომდის მოღწეული კულტურის უნიკალური ძეგლები როგორც მწერლობის, ისევე ხუროთმოძღვრების დარგში მოწმობენ ქართველი ერის კულტურული ტრადიციების სიმტკიცეს, რომლის მოსპობა ვერ შესძლეს არაბთა, სპარსთა, მონგოლთა და თურქთა შემოსევებმა.

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა ხასიათდება ქართული ნაციონალური კულტურის უდიდესი აღმავლობით. ამ დროს საქართველო წარმოადგენდა უძლიერეს სახელმწიფოს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო ცხოვრებაში და აწარმოებდა საკუთარ საგარეო პოლიტიკასაც.

ამ ეპოქას ეკუთვნიან ქართველი ფილოსოფოსნი და მწერალნი: იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, შავთელი, ჩახრუხაძე და რუსთაველი. მათი უკვდავი ნაწარმოებები ცხადჰყოფენ ქართველი ერის ნაციონალური კულტურის დონეს. ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ XII ს. დასაწყისში გელათში არსებობდა აკადემია, სადაც „ისწავლებოდა შვიდი დისციპლინა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია და ასტრონომია“ [1] და აგრეთვე იყალთოს აკადემია, რომელიც „იმ დროს იყო არა თუ მარტო სასწავლებელი, არამედ სამეცნიერო დაწესებულე-

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიაზე 1949 წლის 25 თებერვალს.

[1] ს. ყაუხჩიშვილი. გელათის აკადემია, 1948, გვ. 15.

ბაც, სადაც იკრიბებოდნენ სპეციალისტები, მეცნიერების წარმომადგენელნი საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად“ [1]. ძველი დროის ქართველი ერის მეცნიერების ეს ოჯი ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი კერა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ქართველი ერის განვითარება არ შეიძლება ყოფილიყოს ცალმხრივი, რომ მისი ნიჭიერი და მამაცი მეომრების გვერდით იდგნენ ხუროთმოძღვრების საუკეთესო ოსტატები, მწერლობის ნიჭიერი შემოქმედნი და ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელნი, რომელთაც ჩვენ ჯერჯერობით ყველას ვერ ვიცნობთ. როდესაც ვუყურებთ დღემდის მოღწეულ ძველი საქართველოს მონუმენტალური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლებს, კერძოთ, მცხეთის ჯვარის მონასტერს, ვარძიას, ხახულს, საფარას, გელათს და სხვა, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ქართველი ერის კულტურის ისტორიაში, ვფიქრობთ დაუშვებელია, რომ მათი აგება ხდებოდა წინასწარი დაგეგმვისა და გაანგარიშების გარეშე ისევე, როგორც წარმოუდგენელია ძლევამოსილი და ფართო მასშტაბის ომების წარმოება ქართველთა მიერ ადგილმდებარეობის წინასწარი შესწავლისა და სათანადო გეგმის შედგენის გარეშე. თუ ეს მისაღები და დამაჯერებელი დასკვნაა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ აგეგმვა ხდებოდა არა მარტო საომარ ასპარეზებისა, არამედ მთელი საქართველოს ტერიტორიისაც როგორც სამხედრო, ისევე სამეურნეო მიზნებისათვის. ამ ფრიად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო სამუშაოების ჩასატარებლად (ადგილმდებარეობის გეოგრაფიული აღწერილობა და მისი ზედაპირის სიბრტყეზე გამოსახვა) ქართველ ერს თავიდანვე ეყოლებოდა ეპოქის კულტურის დონის შესაბამისად თავისი ნაციონალური კადრები.

უცხოელთა განუწყვეტელმა შემოსევებმა და ომებმა შთანთქა წერილობითი ძეგლები ქართველი ერის კულტურისა, ხოლო გადარჩენილნი გაფანტა სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა თორნიკე ჭყონიას სტატია, მოთავსებული გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ 1947 წ. 22 მარტს. ავტორი 1939 წლიდან მუშაობს ძველი საქართველოს კულტურის ძეგლების გამოვლინებაზე და შესძლო დაედგინა, რომ ასეთი ძეგლები მოიპოვება საბჭოთა კავშირის სულ ცოტა 14 ქალაქში. ეს გარემოება გვისახავს კარგ პერს-

[1] გ. ჩუბინაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, 1923, გვ. 120.

პექტივას საქართველოს კარტოგრაფიის ისტორიის შესწავლისათვისაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდის მტკიცედ არსებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს კარტოგრაფიის პრიორიტეტი ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის, გადასინჯული უნდა იქნეს. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ რამდენადმე დაიჩრდილოს ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიის შესწავლის საქმეში.

ვახუშტის ისტორიული, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მოღვაწეობა ცნობილია და ღირსეულად არის შეფასებული როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. ჩვენი მიზანია შუქი მოვფინოთ (შეძლებისდაგვარად) ვახუშტი ბაგრატიონის წინა პერიოდს და დავასაბუთოთ ის გარემოება, რომ საქართველოში კარტოგრაფიამ განვლო თავისი განვითარების იგივე ეტაპები, რაც რუსეთის და სხვა ქვეყნების კარტოგრაფიამ და რომ ვახუშტი ბაგრატიონის უკვდავი კარტოგრაფიული ნაშრომები საქართველოში არსებულ კარტოგრაფიულ ტრადიციებზე აღმოცენდა. ამ ამოცანის გადაწყვეტა, ვფიქრობთ, კიდევ მეტად გააშუქებს და ცხადჰყოფს ქართველი ერის მრავალსაუკუნიან კულტურას და შეავსებს კიდევ ერთი დეტალით ჩვენი სამშობლოს კარტოგრაფიის ისტორიას.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ჩვენს მიერ ნახულ იმერეთის მეფის ალექსანდრე V რუკაზედ [1].

ალექსანდრე V მეფობდა იმერეთში 1721-1752 წლებში. იმ დროს დასავლეთ საქართველოში იყო იმერეთის სამეფო, სამეგრელო, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები, აღმოსავლეთ საქართველოში კი ქართლისა და კახეთის სამეფოები. იმერეთის სამეფო და დასავლეთ საქართველოს სამთავროები ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ოსმალეთთან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სამთავროები კი — სპარსეთთან. მესხეთი ოსმალეთის უშუალო მმართველობაში იყო.

იმერეთის სამეფო ალექსანდრემ ჩაიბარა 1721 წელს. ცხოვრება ალექსანდრე მეფისა მოცული იყო განუწყვეტელი ბრძოლებით ოტია დადიანთან, რაჭის ერისთავთან, ზურაბ აბაშიძესთან და სხვებთან, ვინც კი ურჩობას იჩენდა მეფისადმი. ეს ბრძოლები ხშირად მწვავე ხასიათს ღებულობდნენ, რის შედეგადაც უმოწყალოდ ნადგურდებოდა მთელი რიგი დასახლებული ადგილებისა, ხოლო

[1] რუკა ინახება ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო საისტორიო არქივში.

ტყვედ ჩავარდნილნი იყიდებოდნენ ოსმალებზე. ასეთი შინაური ხასიათის ბრძოლა იქამდისაც კი მიდიოდა, რომ რომელიმე მოწინააღმდეგე მხარე სამხედრო დახმარებისათვის მიმართავდა მათ საერთო მტერს — ოსმალებს და უბრძოლველად უთმობდა თავიანთ ციხე-სიმაგრეებს.

ამრიგად, „ფეოდალური არეულობა შეუნელებლად გრძელდებოდა. სათავადოების სისტემა აქ შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაცემულიყო. სამეფო-სახასო ქვეყნები, ციხე-სიმაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცათ. ძლიერდებოდა ოსმალთა გავლენა იმერეთში... ოსმალთა ეს გაძლიერება მეტისმეტად სახიფათო გახდა. ციხეები ტყვისმსყიდველთა ბუნაგებად გადაქცეულიყო. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ“ [1].

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ალექსანდრე მეფის დროინდელი იმერეთი, საჭირო იყო მას სამუდამოდ დაეწყნარებინა შინაური არეულობა და, რაც მთავარია, დაეხსნა თავისი მხარე გამაჰმადიანებისაგან, ამისათვის კი მას ძალა არ შესწევდა. მის წინაპართა მაგალითებრს მიხედვით, ალექსანდრე მეფემაც გადასწყვიტა დახმარებისათვის მიემართა რუსეთისათვის. ბროსეს მიერ 1861 წ. გამოცემულ „Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1770 г.“. LXXX გვერდზე ვკითხულობთ: „1726 г. капитан поручик Дадиан сообщил Коллегии иностранных дел запоздалое письмо, от 1-го июля 1724 года, полученное им от имеретинского Царя Александра, который жаловался на сиротство свое, после отъезда своего благодетеля, дяди, карталинского Царя, уехавшего в Россию по повелению Государя; просил жалования и печать, для доставления под оною грамот в Россию; упоминал о поручении данном им митрополиту тифлисскому, касательно донесения посредством Дадиана о настоящем положении Имеретинцев, Мингрельцев, Гурийцев, духовенства, шляхтичей, черни, пребывающих в Кутаиси; ходатайствовая помощи Государя, для водворения тишины

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, მეორე გამოცემა, 1946, გვ. 389.

в тамошнем крае, и даже посещения Его Величества тех стран, утверждая, что Высочайшее присутствие будет иметь самое благодетельное действие; уведомлял о построении Турками крепостей в Гегуте, Цуцхвате, Анакопии и других местах, и городов в Поти, Гурии, Чакви и Батуме, и о возможности построить еще таковые, если им в том не воспрепятствовать; он заключал известием о пленении и обращении многих христиан в магометанскую веру Турками". ბართალია, ზემომოყვანილ ცნობაში არაფერია ნათქვამი რუკის შესახებ, მაგრამ როგორც ირკვევა გარდა აღნიშნულ წერილობითი მიმართვისა, ალექსანდრე მეფემ განიზრახა რუსეთის მთავრობისათვის გაეგზავნა თავისი სამეფოს რუკაც. ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ ის რუკაა, რომელიც მოიხსენიეს პროფ. ა. ცაგარელმა [1], აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა [2], მ. ბროსემ [3], და რომლის აღწერა შეადგენს წინამდებარე შრომის საგანს.

რ უ კ ი ს ზ ო მ ე ბ ი

რუკა მოხაზულია თხელ ქაღალდზე, ზომით 184×78 სმ. (იხ. სურ. 1). როგორც ეტყობა, მისი უკეთესად შენახვის მიზნით არქივარიუსს იგი დაუწებებია უფრო სქელ რუხ ქაღალდზე, მაგრამ ამ „რესტავრაციის" დაუდევრად შესრულების შედეგად რუკას საგრძნობი დეფორმაცია განუცდია, რის გამოც შეუძლებელი ხდება რუკის ზუსტი ზომების გამორკვევა და აგრეთვე ზოგიერთი წარწერის გარჩევა. რუკას არა აქვს ჩარჩო და ამიტომ ზემოთმოყვანილი მისი ზომები მოცემულია როგორც თვით ქაღალდის ზომა, რომელზედაც რუკაა მოხაზული. რუკა ორიენტირებულია აღმოსავლეთზე: მის ოთხივე კიდეზე მოთავსებული წარწერების თანახმად, ტერიტორია, რომელიც რუკაზეა მოცემული, შემოსაზღვრულია შემდეგნაირად: „ჩრდილოეთი სვანეთის გზა". „აღმოსავლეთი ქართლის: საზღვარი", „დასავლეთი: პონტოს ზღვა შავ ზღვას ეძახიან", „სამხრეთი: ახალციხის მთა და გზა".

---

[1] Новые материалы для жизнеописания и деятельности Степана Даниловича Бурнашева, бывшего в Грузии с 1778 по 1787 г., под редакцией проф. А. А. Цагарели, Спб., 1901.

[2] საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, 1919.

[3] *Mélanges Asiatiques, Tome III, 1859.*



სურ. 1.

რუკის დანიშნულება

რუკა თავისი შინაარსით სპეციალური დანიშნულებისაა. მას ჩვენ სამხედრო რუკათა კატეგორიას ვაკუთვნებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე მეფემ, გარდა წერილობითი მიმართვისა, გადასწყვიტა დასავლეთ საქართველოს რუკის შედგენა სპეციალურად რუსეთის მთავრობისადმი გასაგზავნად. ასეთი მიზანი მეფეს უნდა დასახოდა იმიტომ, რომ:

1. იგი რუსეთის მთავრობას სთხოვდა სამხედრო დახმარებას და, ცხადია, ამისათვის საჭირო იყო იმ ადგილმდებარეობის წინასწარი გაცნობა, სადაც უნდა გაგზავნილიყო სამხედრო დახმარება.

2. საჭირო იყო, მოცემულ ტერიტორიაზე არსებული ციხე-სიმაგრეების განლაგების ჩვენება და მათი დახასიათება სამხედრო მნიშვნელობის თვალსაზრისით.

3. საჭირო იყო ზუსტი ცნობები იმ ციხე-სიმაგრეების შესახებ, რომლებიც ოსმალთ ეპყრათ.


4. და ბოლოს, სასურველი იყო რუსეთის მეფე წინასწარ გასცნობოდა საქართველოს იმ ლამაზ კუთხეს, სადაც მას ალექსანდრე მეფე ეპატიჟებოდა.

რუკის ავტორი

ავტორობის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია კარტოგრაფიაში, რადგან, როგორც ცნობილია, რუკა არ წარმოადგენს ადგილმდებარეობის მექანიკურად შემცირებულ გამოსახულებას სიბრტყეზე (ქაღალდზე). იგი შემსრულებლის შემოქმედებითი შრომის შედეგია და ამიტომ ხშირად რუკის შინაარსისა და გაფორმების მიხედვით შეგვიძლიან ვიმსჯელოთ მისი შემდგენელის კვალიფიკაციაზე.

სამწუხაროდ, ისევე, როგორც მრავალ სხვა ისტორიულ საბუთებზე, აღნიშნულ რუკასაც არ აწერია მისი შემსრულებლის ვინაობა. ჩვენ ამ რუკას ვუწოდებთ მეფე ალექსანდრე V რუკას პირობით, რადგან იგი შესრულებული უნდა ყოფილიყო მისი ბრძანებით — მისივე ქარის მსახურის მიერ.

რაც შეეხება რუკის უცნობი ავტორის კარტოგრაფიულ კვალიფიკაციას (თუ კი რუკა შედგენილია ერთი პიროვნების მიერ), შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუკა უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რაც გამომდინარეობს მისი დანიშნულებიდან. ეს უკანასკნელი კი მოწ-



სურ. 2.

მობს ავტორის კვალიფიკაციის იმ დონეს, რომელიც შეესაბამებოდა თავისი ეპოქის კარტოგრაფიულ კულტურას.

რუკის შუა ნაწილში, „ქუთაისის ციხის“ გამოსახულების ქვეშ ვკითხულობთ: „მეფე: მელეთინწკისა: ალექსანდრე: მართლმადიდებელი გვირგვინოსანი დანადგომითა პატრიარქისა: [ჩვ]ენისა: გრიგოლისათა: და ყოველთა: ერთათა: დ|ა ?|შითა: ქარტასა: მელეთინწკისასა: მივართმევთ. [რუსთა]სა: ხელმწიფესა: იმპერატრიცას; ანნას [ასულს] იოანნას: ყოველთა მიტროპოლიტის ტიმოთესი-“. (იხ. სურ. 2).

აი ერთადერთი წარწერა რუკაზე, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ, თუ ვისგან და ვის გაუგზავნეს იგი.

ამრიგად, რუკა ალექსანდრე მეფის უშუალო მონაწილეობით თუ არა მის მახლობელ პირთა მიერ შესრულებული მაინც უნდა იყოს.

დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

რუკის შედგენის თარიღის დასადგენად შედარებით მეტი საბუთები მოგვეპოვება. რუკას მეორე გვერდზე ერთ კუთხეში შავი ფერით გაკეთებული აქვს წარწერა და წარწერის ბოლოს არის „1732“. წარწერის გარჩევა მისი სიმკრთალის გამო შეუძლებელია, ხოლო, „1732“ უკანასკნელი ორი ციფრი ძნელად იკითხება. ჩვენ აქ მას ვწერთ როგორც 32, რადგან ა. ცაგარელს და ივანე ჯავახიშვილს მიღებული აქვთ როგორც 1732 წ.

ჩვენ შევეცადეთ რუკის შედგენის თარიღი უფრო დაგვეზუსტებინა შემდეგი საშუალებებით:

ზემოდმოყვანილი რუკის ცენტრში მოთავსებულ ტექსტში ნათქვამია: „...მივართმევთ: [რუსთა]სა: ხელმწიფესა: იმპერატრიცას: ანნას [ასულს] იოანნას...“, ე. ი. რუსეთის იმპერატრიცას ანნა იოანეს ასულს, იგი კი მეფობდა 1730-1740 წლამდე. მაშასადამე, ზემოდ ნაჩვენები თარიღი ჰყვება ამ პერიოდში, მაგრამ მის უფრო დასაზუსტებლად გვეხმარება თვით რუკაზე არსებული ერთ-ერთი წარწერა: „ქალაქი ჩხარი წმინდის გიორგის მონასტერი: ახლად აღშენებული მეფის ალექსანდრესაგან: ქეს. აქეთ ჩ: ღ: ლზ.“ და იქვე რუსულად ნათარგმნი — „Монастыр Святого Георгия в 1737 году построил царь Александр“. მაშასადამე, რუკის შედგენა (ან დამთავრება) 1737 წელს ან მის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამავე

თარიღს ადასტურებს ფრანგი მოგზაური გამბა. მას თავისი ნაშრომის („*Voyage dans la Russie*") 338 გვერდზე მოთავსებული აქვს იმერეთის მეფის ალექსანდრე V რუკიდან გადახაზული სქემა შემდეგი სათაურით — „*Système du cours du Rhion ou Phase*" [1]. სქემაზე მოცემულია მხოლოდ: ჰიდროგრაფიული ქსელი, დასახლებული პუნქტები პირობითი ნიშნებით და ქართული სახელწოდებები ფრანგული ტრანსკრიპციით.

ამ ნახაზზე ყურადღებას იპყრობს მის აღმოსავლეთ ჩარჩოსთან შიგნით მოთავსებული შემდეგი წარწერა: „ეს რუკა გადმოღებულია ორიგინალიდან, რომელიც შესრულებულია ქართულად და რუსულად და რომელიც ინახება პარიზის საზღვაო არქივში. იგი გაუგზავნია იმერეთის მეფეს ალექსანდრეს რუსეთის იმპერატრიცასთვის 1738 წ. და ქუთაისის მიტროპოლიტს ტიმოთეს მიურთმევია მისი უდიდებულესობისათვის პეტერბურგში 1738 წლის 8 ივლისს" [2]. ვფიქრობთ, ზემოდნათქვამი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ რუკის შედგენის თარიღად მივიღოთ 1737-38 წ. წ.

საგულისხმოა გამბას ცნობა იმის შესახებ, რომ მას თავის წიგნში მოთავსებული ასლი გადაუღია იმერეთის მეფის ალექსანდრეს რუკის ორიგინალიდან, რომელიც ინახება პარიზის საზღვაო არქივში. თავისთავად ისმება საკითხი: რომელი რუკა უნდა ჩაითვალოს ორიგინალად. ის, რომელიც ჩვენ მიერაა ნახული, თუ ის რუკა, რომელიც პარიზის საზღვაო არქივშია? გამბას მიერ დასახელებული „პარიზის ორიგინალი" ხომ არ არის ასლი იმ რუკისა, რომელიც ამჟამად ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს? გამბას წიგნში მოთავსებული სქემის შედარება ჩვენ მიერ შესწავლილ რუკასთან ადასტურებს, რომ იგი ამ რუკის (არა სრული) ასლია. მაშასადამე, „პარიზის ორიგინალი" და ჩვენი რუკის ორიგინალები ერთმანეთის ასლს წარმოადგენენ, მაგრამ რომელია ამ ორი რუკიდან ორიგინალი, ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვით „პარიზის ორიგინალის" უქონლობის გამო. მომავალში კი ვეცდებით, ეს საკითხი საბოლოოდ გამოვარკვიოთ.

---

[1] *Gamba „Voyage dans la Russie", Paris, 1826.*

[2] იგივე, გვ. *338. „Cette carte est traduite d'après l'original, qui est écrit en géorgien et russe, et qui est conservé dans le dépôt de la marine à Paris. Elle fut envoyée par Alexandre, Roi d'Imerette, à l'impératrice de Russie, en 1738, et fut presentée à S. M. I. par le Métropolite de Koutays Timothée, à St. Pétersbourg le 8 juillet 1738".*

რუკის მასშტაბი, კარტოგრაფიული და ტოპოგრაფიული საფუძველი

რუკის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასზე არაა ნაჩვენები მასშტაბი. ჩვენი განსაზღვრის (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო) შედეგად რუკის მასშტაბია დაახლოებით 1 : 150 000; მაშასადამე, რუკა მსხვილმასშტაბიანი რუკების კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა რიცხვში სამხედრო რუკებიც შედიან.

რუკაზე არაა მოცემული კარტოგრაფიული ბადე, რაც მოწმობს იმას, რომ მას საფუძვლად არ უდევს პროექცია. მაგრამ ეს დიდ ნაკლად არ ჩაითვლება.

ცნობილია, რომ, საერთოდ, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, დედამიწის ზედაპირის ტოპოგრაფიული გადაღებები წარმოებდა მცირე ფართობებზე არა ზუსტი ინსტრუმენტებითა და მეთოდებით, ამიტომ, ცხადია, არ წამოიჭრებოდა საკითხი დედამიწის სფეროულობის მხედველობაში მიღებისა და, აქედან გამომდინარე, კარტოგრაფიული პროექციის საჭიროებისა. ამ მხრივ ალექსანდრე V რუკა არ შეადგენს გამონაკლისს. ეს ნაკლი ეპოქის მეტწილ ტოპოგრაფიულ რუკებს აქვთ.

საფიქრებელია, რომ ალექსანდრე V რუკა უნდა იყოს შედეგი ადგილმდებარეობის თვალზომითი აგეგმვისა, რომლის დროსაც მუშაობა მიმდინარეობდა მარშრუტების სახით უმთავრესად მდინარეების მიმართულებით. გადაღების პროცესში საყრდენი ბადის როლს ასრულებდა ჰიდროგრაფიული ქსელი, რომლის საშუალებითაც ამგეგმავს შეეძლო რამდენადმე მართებულად გადაეტანა ქაღალდზე ადგილმდებარეობის ყველა ელემენტი მათი ურთიერთგანლაგებისა და შეფარდებითი მანძილების დაცვით.

ჰ ი დ რ ო გ რ ა ფ ი ა

რუკაზე ლურჯი ფერის აკვარელის საღებავით მოცემულია: მდინარეთა ქსელი და შავი ზღვის ნაწილი — „კაპოეტის წყალიდან“ (ბზიფი) ბათუმამდე. ყველა მდინარე, განურჩევლად მისი სიგრძისა და სიგანისა, მოცემულია ორმაგი ხაზებით, მაგრამ სანაპირო ხაზი, როგორც ზღვის, ისევე მდინარეებისა არაა მკაფიოდ გამოსახული; იგი რუკაზე წარმოდგენილია როგორც ორი საღებავის (ლურჯისა და მწვანის) შეხვედრის ხაზი.

დაწყებული რუკის ქვედა მარცხენა კუთხიდან, შავ ზღვაში ჩაე-

დინებიან შემდეგი მდინარეები: მდ. კაპოეტის წყალი[1], შემდეგ სამი მდინარე უსახელო, მდ. კოდორი, მდ. აღაცუ (ძნელად იკითხება), მდ. ღალიცკა, მდ. ეგური მარცხენა შენაკადებით — მდ. ჭანის წყალი და ხოფის წყალი, მდ. რიონი თავის შენაკადებით: მარჯვენა შენაკადები — მდ. ტეხური და მდ. აბაშა (ეს ორი მდინარე ერთიმეორეს ერთვის ციხე „ნაქალაქევთან", ამის შემდეგ მდინარეს არა აქვს სახელწოდება და მდ. რიონთან შეერთებამდის მას მარჯვენა მხრიდან უერთდება კიდევ ერთი უსახელო მდინარე); მდ. ცხენისწყალი და მდ. გუბისწყალი. მარცხენა შენაკადები — პირველი სამი მდინარე უსახელოა, მეოთხე შენაკადია მდ. ძირულა, რომელსაც თავის მხრივ სამი უსახელო მარცხენა შენაკადი აქვს. შემდეგია მდ. სუფსა, მდ. შეკვეთილი და კიდევ ერთი მდინარე, რომლის სახელწოდება ძნელად გასარჩევია.

რუკაზე მოცემულია „პალიასტომის ზღვა", რომელიც შეერთებულია მდ. რიონთან შედარებით უფრო ვიწრო ყელით და შავ ზღვასთან უფრო განიერით. „პალიასტომის ზღვის" მოხაზულობა არ წააგავს თანამედროვეს.

საერთოდ, ჰიდროგრაფია მოცემულია სქემატურად, რაც გამოიხატება იმაში, რომ თავიანთი დინების მოხაზულობის ხასიათით მდინარეები რუკაზე ერთმანეთის მსგავსნი არიან. სათავეში ისინი მცირე მანძილზე ვიწროედებიან, იქვე ახლოს (სათავესთან) განიერდებიან და ამ სიგანეს შესართავამდე ინარჩუნებენ. მდინარეთა სიგანე არაა გამოსახული მასშტაბში.

ჰიდროგრაფიული ქსელის გამოსახულება რუკაზე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ თვალზომითი აგეგმვა ჩატარებულა იმერეთის სამეფოს ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში რუკაზე მდ. ცხენისწყალი და ენგური გაცილებით უფრო გრძლად იქნებოდნენ გამოსახული.

დახახლებული პუნქტები

დასახლებული პუნქტები რუკაზე მოცემულია პერსპექტიული ნახატების სახით, ე. ი. ისე, როგორც მათ ხედავს შემსრულებელი ბუნებაში.

დასახლებული ადგილების, რელიეფის, მცენარეული საფარის და სხვა ელემენტების რუკაზე გამოსახვის ასეთ მეთოდს დიდი გა-

[1] ორიგინალის ორთოგრაფია დაცულია ყველა სახელწოდებისათვის.

ვრცელება ჰქონდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდის. იმ დროს რუკები მოკლებული იყო მათემატიკურ საფუძველს, ადგილმდებარეობის ვეგმის გადაღება წარმოებდა თვალით ან და სრულიად მარტივი იარაღებით და ამიტომ რუკის შედგენის დროს, მისი ელემენტების გამოსახვის თვალსაჩინობას უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე მათი განლაგების სიზუსტეს.

მაგალითისათვის შეგვიძლიან მოვიყვანოთ: რემეზოვის „Чертежная книга Сибири", ტუსენა დენის — იტალიის რუკა, კასინის — საფრანგეთის რუკა, რუსელის — პირენეის მთების რუკა და სხვა.

მართალია, დასახლებული პუნქტების პერსპექტიული გამოსახულება რუკაზე იშვერდა გაცილებით დიდ ფართობს, ვინემ მას შეესაბამებოდა სინამდვილეში, არ იძლეოდა საშუალებას დასახლებული ადგილების შორის მანძილების გაზომვისას, მაგრამ სამაგიეროდ პერსპექტიული ნახატით შესრულებული რუკა თვალსაჩინო და ყველასათვის გასაგები იყო. გარდა ამისა, დასახლებული პუნქტების ასეთი მეთოდით გამოსახვის დროს შემსრულებელს საშუალება ეძლეოდა (თუ კი ეს საჭირო იყო), გადმოეცა ამა თუ იმ პუნქტის როგორც არქიტექტორული, ისევე სხვა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. უნდა ითქვას, რომ ხსენებული მეთოდი ალექსანდრე V რუკაზე მოხერხებულადაა გამოყენებული. რუკის ავტორი გვიჩვენებს არა მარტო მათ ადგილმდებარეობას, საერთო ფორმას, შეფარდებით სიდიდეებს და ორიენტაციას, არამედ აგრეთვე გადმოგვცემს თითოეული პუნქტის არქიტექტორულ თავისებურებასაც. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ რუკაზე ვერ ნახავთ ორ ერთმანეთის მსგავს ნახატს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი მდინარის ნაპირზე გამოხატული რამდენიმე (სტანდარტულ ფორმის) ციხეების აღნიშვნას.

მაგრამ ყველა დასახლებული პუნქტი როდია გამოსახული პერსპექტივაში. ამიტომ რუკაზე აღნიშნული დასახლებული პუნქტები მათი გამოსახვის საშუალებების მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: პირველ ჯგუფს ვაკუთვნებთ ყველა იმ პუნქტებს, რომლებიც რუკაზე მოცემული არის პერსპექტივაში, მაგ. „გაეთანი", „შორაპანი", „რუხის ციხე" და სხვა. მეორე ჯგუფს ვაკუთვნებთ იმ პუნქტებს, რომელთა წინხედია მოცემული, მაგ. ქუთაისში „სამეფო სასახლე" (იხ. სურ. 2) და რამდენიმე ციხე-სიმაგრე. მესამე ჯგუფს ვაკუთნებთ იმ პუნქტებს, რომელთა ზედხედია მოცემული. მაგ. „ქ. ფოთის ციხე", „ანაკლიის ციხე", „სოხუმის ციხე" და

სხვა. დასახლებული პუნქტების გამოსახულება რუკაზე, მათი შესრულების დეტალობა და გრაფიკა ნათლად გვიჩვენებს შემსრულებლის დაკვირვებას, ცოდნასა და საქმისადმი სიყვარულს.

წარწერები

წარწერები რუკაზე მოცემულია ქართულად და რუსულად. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ რუკა რუსეთში გადასაგზავნად უნდოდათ. წარწერების განლაგება ობიექტების მიმართ არ ემორჩილება რაიმე გარკვეულ წესს. ავტორი მათ ათავსებს იქ, სადაც მისთვის მოსახერხებელია, მიუხედავად ამისა, რუკის კითხვის დროს არა აქვს ადგილი გაუგებრობას, თუ რომელი წარწერა რომელ ობიექტს ეკუთვნის.


რუკაზე, გეოგრაფიული ობიექტების საკუთარი სახელწოდებების გარდა, მოცემულია აგრეთვე განმარტებითი წარწერები, რაც რუკის სპეციალური, სამხედრო დანიშნულებით არის გამოწვეული, მაგ., „ქ. ფოთის ციხე: ქართულად. ძველად. ქალაქიც ყოფილა. ფასუს ქვიან: ორი: თოლიანი. ფაშა. ზის: 1723 ქეს. ააშენეს თათართ..." ციხის გამოსახულების გარეთ აწერია — „ორასი კაცი დგას" (იხ. სურ. 3).

მეორე მაგალითი — „რუხის ციხე: თათართ უჭირავს ხან დადგება ხან წავა".

მესამე მაგალითი — „ქუთათისის ციხე: თათარნი დგანან ხუთასი კაცი დგას" (იხ. სურ. 2). მეოთხე მაგალითი — „ქ. ბაღდადის ციხე თათართ აშენებული დგას ასი კაცი თათარი" და სხვა.

მდინარეთა სახელწოდებები, როგორც წესი, ქართულად მოცემულია მდინარის სათავეში, რუსულად კი მის შუა წელში. მდინარეებზე განმარტებითი წარწერებიდან აღსანიშნავია შემდეგი: მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, იმ ადგილას, სადაც მას ქვედა პირველი მარცხენა (უსახელო) შენაკადი ერთვის, — აწერია, „აქამდის [ნავნი] და მ (40): ზარბაზნიანი ნავი დიდი მოვა".

ქუთაისთან მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე ვკითხულობთ: „აქამდის მოდიდო ნავი ამოვა...". მდ. რიონისა და ყვირილას შესართავთან რიონის დინების მიმართულებით ვკითხულობთ: „До сего места небольшия Галеры ходят". მდ. კოდორის სათავეში ნაჩვენებ ხიდს აქვს წარწერა „ხიდი ქვიტკირისა". გარდა ზემოხსენებული წარწერებისა, რუკაზე მოცემულია წარწერები იმ ადგილებისა, რომლებიც მაშინ ცნობილი იყო წიაღისეული სიმდიდრეებით. მაგ. მდ.



სურ. 3.

რიონის სათავეში ვკითხულობთ: „გლოლა ვერცხლის ღითონი აქ არის“, შემდეგ „ონი აქაც ვერცხლის ღითონი“. „ვარდის ციხე და სასახლე. ვერცხლის ღითონი დიაღ კარგი: და რკინის ქანი მრავალი...“ და სხვა.

გზათა ქსელი

რუკაზე არაა მოცემული გზათა ქსელი, მაგრამ ეს შემთხვევითი როდია. უნდა ვიფიქროთ, რომ მთავარი გზები გადიოდა მდინარეების გაყოლებით და მათი გამოსახვა რუკაზე მდინარეების პარალელურად მოუხერხებელი და ულამაზო იქნებოდა გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში რუკაზე დასახელებული ადგილების გამოსახულების სიხშირეს და სიდიდეს, მაშინ გზები რუკაზე გამოისახებოდნენ მოკლე მონაკვეთებად, რაც არ იქნებოდა თვალსაჩინო.

ზოგიერთ მდინარეზე ნაჩვენებია ხიდები პირობითი ნიშნებით. ვარჩევთ ორი სახის ხიდებს — ქვითკირისას და ხისას (ან სხვა მასალისაგან გაკეთებულს). როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ მდ. კოდორის სათავეში ნაჩვენებ ხიდს, აქვს წარწერა: „ხიდი ქვითკირისა“. ასევეთივე პირობითი ნიშნითაა ნაჩვენები ხიდი მდ. რიონზე ქუთაისთან (იხ. სურ. 2), ხიდს არა აქვს წარწერა, რომ ის ქვითკირისაა. ჩვენ მას ქვითკირის ხიდად ვთვლით, რადგან მისი პირობითი ნიშანი მსგავსია მდ. კოდორზე ნაჩვენები ხიდისა. ხსენებულ ხიდებს გარდა, რუკაზე ნაჩვენებია კიდევ ორი ხიდი — ერთი მდინარე რიონის სათავეში, მეორე — მდ. ძირულაზე. ამ ორი ხიდის პირობითი ნიშნები ერთნაირია, მხოლოდ განსხვავდებიან ზემოდხსენებული ორი ხიდის პირობითი ნიშნისაგან. ეს ორი ხიდი, ჩვენის აზრით, ხის (ან დაკიდული) უნდა იყოს.

მცენარეული საფარი

რუკაზე მცენარეულობა წარმოდგენილია ტყის სახით ხეების პერსპექტიული ნახატების საშუალებით. სხვაგვარი მცენარეულობის აღნიშვნას რუკაზე ვერ ვნახულობთ. ხეების ნახატები ფორმით ერთნაირია და შედგება ცალმაგი ან ორმაგი ღეროსაგან და ფოთლებისაგან. მათი ზომები მერყეობენ 1,0 სმ. დან 2,5 სმ.-მდე.

რუკაზე ქუთაისში, რიონის მარცხენა ნაპირზე, მკვეთრად გამოირჩევა ორი ხის ნახატი (წარწერასთან „სანეფო სასახლე“) ერთის ზომაა 5,7 სმ., მეორეს — 3,8 სმ. ეს, ალბათ, ისტორიულად ცნობილი მეფის სასახლის ჰადრის ხეები უნდა იყოს. ერთი დღესაც

დგას რიონის პირს, იმ ადგილს, სადაც უწინ მეფის სასახლე ყოფილა. მეორეს ჩვენამდის ვერ მოუღწევია, ხოლო ადგილი, სადაც იგი მდგარა, დღესაც შესამჩნევია.

ტყის ხეების განლაგება რუკაზე უსისტემოა. მათი მიმართულება არ ინარჩუნებს პარალელობას რუკის რომელიმე კიდისადმი, მათი სიხშირე დიდია მთებზე და უფრო ნაკლები დაბლობ ადგილებში. გარდა ამისა, მეტწილ მდინარეებს ორივე ნაპირზე მიყვებიან ერთნაირ მანძილზე დაშორებული ხეების ნახატები.

ხსენებული მეთოდის საშუალებით ავტორი გადმოგვცემს ამ მხარის ტყეებით დაფარვის მხოლოდ საერთო სურათს.

რ ე ლ ი ე ფ ი

რუკაზე მოცემულია რელიეფი, რომლის გამოსახვის მეთოდი წააგავს იმდროინდელი ფართოდ გავრცელებული რელიეფის პერსპექტიული გამოსახვის მეთოდს. ავტორი ცდილობს წარმოგვიდგინოს ამ მხარის გეომორფოლოგიურად რთული ლანდშაფტი ერთმანეთზე გადაბმული გორაკების სახით, ხოლო ეს უკანასკნელნი წარმოდგენილნი არიან უფრო პროფილში, ვიდრე პერსპექტივაში.

ცხადია, რომ ასეთი მეთოდით რუკაზე გამოსახული რელიეფი, რომელიც მთლიანად შემსრულებლის წარმოდგენიდან გამომდინარეობდა, არ ემყარება რაიმე გარკვეულ მათემატიკურ კანონს, რის გამოც შეუძლებელია მისი საშუალებით ვიმსჯელოთ რელიეფის ფორმებზე, ცალკეული მწვერვალების აბსოლუტურ და შეფარდებით სიმაღლეებზე, ფერდობის დახრილობაზე და ა. შ.

აღნიშნული უარყოფითი მხარეები რუკაზე რელიეფის პერსპექტიული გამოსახვისა მთლიანად ეკუთვნის XV-XVIII სს. რუკებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთ მათგანზე უფრო მეტი ხელოვნებითა და მხატვრული გაფორმებით იყო წარმოდგენილი რელიეფი, ზოგიერთზე — პირიქით.

რ უ კ ი ს გ ა ფ ო რ მ ე ბ ა

რუკა შესრულებულია აკვარელის საღებავებით. საერთო ფონი რუკისა ღია მწვანე საღებავებითაა მოცემული. ზღვა და მდინარეები — ლურჯი ფერით. ხეების პერსპექტიული ნახატები შესრულებულია ორი ფერით: ხის ღერო ყავისფრად, ხოლო ფოთლები მწვანე ფერით. რელიეფი გამოსახულია მწვანე ფერით, მხოლოდ უფრო მუქად, ვიდრე რუკის საერთო ფონია. რელიეფის გორაკების

გამუქება არ ემორჩილება სინათლის განსაზღვრულ წყაროს. დასახელებული ადგილების შენობები შესრულებულია ყავისფერი და შავი საღებავებით. წარწერები როგორც ქართულ ისე რუსულ ენაზე შავი ფერითაა გაკეთებული. თავისი გაფორმების მხრივ რუკა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. იგი არაა გადატვირთული შინაარსით, რის შედეგადაც ადვილად იკითხება. საღებავის ურთიერთ კარგი შეხამება და, რაც მთავარია, ავტორის მისწრაფება — რუკის ფერების შეფარდება ბუნებრივ ფერებთან — ზრდის რუკის მხატვრულ ღირებულებას.

დასკვნა

საერთოდ, ცნობილია, რომ რუკის ღირსება და ადგილი კარტოგრაფიაში განისაზღვრება მისი სისრულით, რომელიც იმავე რუკის დანიშნულებიდან გამომდინარეობს. ამავე თვალსაზრისით ვუდგებით ჩვენ მიერ განხილულ რუკას. რუკის ავტორის მიზანს შეადგენდა, შეექმნა სამხედრო დანიშნულებისა და მხატვრული გეოგრაფიით გაფორმებული რუკა. უდავოა, რომ მან ამ მიზანს მიაღწია. მართლაც, რუკის შემადგენელი ელემენტებიდან ამორჩეულია ისეთი ელემენტები, რომელთაც დიდი სამხედრო, სტრატეგიული და ტაქტიკური მნიშვნელობა აქვთ.

როგორც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რუკაზე მოცემულია:

1) ჰიდროგრაფიული ქსელი, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს, წინააღმდეგობას მისი გადალახვის დროს და მიმოსვლის საშუალებას.

2) დასახლებული ადგილები, რომელთაგან უმეტეს წილად ნაჩვენებია ციხე-სიმაგრეები, როგორც ტაქტიკური დანიშნულების ნაგებობანი და სხვა პუნქტები, რომლებიც სამხედრო თვალსაზრისით კარგ ორიენტირებს წარმოადგენენ.

3) რელიეფი, რომლის სამხედრო მნიშვნელობა არ საჭიროებს განმარტებას და

4) ტყე, რომელსაც ჰქონდა და აქვს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა.

გარდა ყველა ჩამოთვლილი ნიშნებისა, რუკის სამხედრო დანიშნულებას ერთხელ კიდევ ადასტურებს, აგრეთვე მასზე მოცემული განმარტებები — მდინარეებზე იმ ადგილების აღნიშვნა, სადამდისაც „ზარბაზნიანი“ ნავები ამოდიან, ციხე-სიმაგრეებში მდგომ ჯარისკა-

ცთა რიცხვის ჩვენება, ხიდების ხარისხის განმარტება და რკინისა და ვერცხლის საბადოების აღნიშვნა.

ცხადია, რომ ასეთი კარტოგრაფიული ნაწარმოები უნდა შექმნილიყო საქართველოში კარტოგრაფიის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. განხილულ რუკას საქართველოს კარტოგრაფიის განვითარების ისტორიაში შეაქვს ახალი დარგი — სამხედრო კარტოგრაფია, რომლის შესახებაც დღემდის ცნობა არ მოგვეპოვებოდა.

გარდა ყველა ზემოთნათქვამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე V რუკა უთუოდ გამოყენებული ექნებოდა ვახუშტი ბაგრატიონს საქართველოს რუკების შედგენის დროს, მაგრამ ეს ჩვენი შემდგომი კვლევის ობიექტს შეადგენს.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები. ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

შალვა ქოჩიძე

კაპიტალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგების კანონი

მარქსი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივი წარმოების პროცესი ადამიანის ცხოვრების მატერიალურ პირობათა წარმოების პროცესია საერთოდ და ამასთან ისეთი, რომელიც ერთსადაიმავე დროს სპეციფიკურ ისტორიულ-ეკონომიური წარმოების პირობებში მიმდინარეობს. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების პროცესი ისტორიულად განსაზღვრული ფორმაა საზოგადოებრივი წარმოების პროცესისა საერთოდ, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი განვითარების კანონი. ამ კანონის მოქმედების შედეგად კაპიტალიზმი ჯერ ცალკე ქვეყნის ნაციონალურ საზღვრებში იზრდება და ვითარდება. შემდეგ კი კაპიტალიზმის დამახასიათებელია ნაციონალური საზღვრების გადალახვა, მსოფლიო ბაზრის შექმნა, სახალხო მეურნეობის დარგების სტიქიური, არათანაბარი განვითარება და განლაგება შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე. შრომის ეს საერთაშორისო დანაწილება კაპიტალისტური სამყაროს ცალკე ქვეყნების სამეურნეო სპეციალიზაციაში პოულობს თავის გამოვლენას.

სამეურნეო სპეციალიზაციის მთავარი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნების ერთი ჯგუფი გადაქცეულია ქვეყნების მეორე ჯგუფის აგრარულ-სანედლეულო დანამატად. ვ. ლენინი და ი. სტალინი გვასწავლიან, რომ მეტროპოლიური ქვეყნების ხელში თავმოყრილია კაპიტალისტური სამყაროს წარმოების უდიდესი ნაწილი. ლ. ზიმანი პირველი მსოფლიო ომის წინ სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის განლაგების შემდეგ სურათს გვიხატავს: „დასავლეთ ევროპაში (ევროპის ყველა ქვეყანაში გარდა რუსეთისა) და ჩრდილო ამერიკაში თავმოყრილი იყო: მსოფლიო მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკური მრეწველობის, ცელულოზისა და ქაღალდის მასსის წარმოების 95%, ლითონებისა და მინერალური სათბობის 88%, მსოფლიო საფეიქრო მრეწველობის 71% და მსოფლიო სოფლის მეურნეობის პროდუქციის (დაახლოებით) 66%. დასავლეთ ევროპას და

ჩრდილო ამერიკას, მთელი მსოფლიოს ტერიტორიის დაახლოებით 10% უკავია (12.8 მილ. კ. კ. 132-დან).

XIX საუკ. დასაწყისში აქ ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 22%... ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ დაახლოებით 25%... ამრიგად, კაპიტალიზმს არ მოუხდენია არსებითი ცვლილებები დედამიწის მოსახლეობის ძირითადი მასების განლაგებაში, მაგრამ მან შექმნა საწარმოო ძალთა განლაგების კოლოსალური უთანაბრობა.

მოსახლეობის ერთი მეოთხედი, რომელიც ცხოვრობს დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში აწარმოებდა დაახლოებით მთელი პროდუქტების სამმეოთხედს" [1].

მეორე მსოფლიო ომის წინ ოთხი მთავარი კაპიტალისტური ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა ხვედრითი წილი კაპიტალისტურ მსოფლიოში 70% მეტს უდრიდა „კაპიტალისტური მსოფლიოს სამრეწველო საწარმოთა 70% მეტი თავმოყრილი იყო ოთხ უდიდეს იმპერიალისტურ ქვეყანაში: აშშ., ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში, რომლებშიც ცხოვრობს კაპიტალისტურ მსოფლიოს მოსახლეობის არა უმეტეს 15%; თავისი ტერიტორიით ეს ქვეყნები უფრო მცირე ხვედრით წონისაა — დაახლოებით 8%. ამავე დროს კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში, სადაც კაცობრიობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს და რომელთა ტერიტორია მრავალჯერ აღემატება ზემოდ დასახელებულ იმპერიალისტური ქვეყნების ტერიტორიას. მსხვილი მრეწველობა ან სრულიად არ არის ან ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფება" [2].

როგორც ვხედავთ, ეს მეტად არათანაბარი განლაგებაა. ეს არათანაბარი განლაგება კაპიტალისტურ წარმოებას ახასიათებს არა მარტო კაპიტალისტური მსოფლიოს მასშტაბით, არამედ ცალკე აღებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც. ცალკე ქვეყნებშიც გვხვდება ძლიერ განვითარებული სამრეწველო რაიონი, როგორც, მაგალითად: ა. შ. შტატების მაღალინდუსტრიული ჩრდილო აღმოსავლეთი, ლონდონის რაიონი, ბირმინგამ-შეფფილდი, ლანკაშირი, რურის რაიონი და სხვა, და მათთან ერთად ინდუსტრიულად სუსტად განვითარებული რაიონები.

---

[1] Зиман, Л. Размещение капиталистического производства и теория „Штандорта". Жур. Проблемы экономики, 1931, № 4-5, стр. 72.

[2] Экономическая география СССР, часть I, стр. 81. Под редакцией С. С. Бальзака и др. Гос. соцэкгиз, 1940, Москва.

ცნობილია, რომ კაპიტალისტებს და მათ აპოლოგეტებს, ბურჟუაზიულ მეცნიერებს, ასეთი განლაგება მეტად რაციონალურ განლაგებად მიაჩნიათ. ცნობილია, რომ მათ ეს განლაგება არ გამოჰყავთ კაპიტალისტური წარმოების წესის არათანაბარი განვითარების კანონიდან, ნამდვილად კი მოყვანილი ციფრობრივი მონაცემების ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ ყოველი საღი გონების ადამიანის წინაშე დაისვას საკითხი — რა პირობები მართავენ წარმოების ასეთ დამახინჯებულ, ასეთ უწესრიგო განლაგებას.

ამ კითხვაზე, უპირველესად ყოვლისა, ერთი პასუხი უნდა იქნას გაცემული, სახელდობრ ის, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოში ამჟამად ფაქტიურად არსებული მეტად არათანაბარი განლაგება მრეწველობისა, არ შეიძლება იყოს ადამიანთა საზოგადოების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის განხორციელების შედეგი. ასეთი განლაგება, რომ წინასწარ განზრახული, წინასწარ შემუშავებული გეგმების განხორციელების შედეგად ყოფილიყო მიღებული დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მას ვერც ერთი ჰკუათმყოფელი გამართლებას ვერ უპოვიდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ასეთი მიზანის დასახვაც კაპიტალისტურ მსოფლიოში განუხორციელებელი იქნებოდა, რადგან კაპიტალისტური წარმოება ანარქიულია, სტიქიურია.

ყოველგვარი ცდა ბურჟუაზიულ მეცნიერებისა, წარმოების განლაგების მოწესრიგებისა და დაგეგმვის შესახებ განუხორციელებელია კაპიტალისტური წარმოების ანარქიულობის გამო. ასეთ ცდებს კი ადგილი ჰქონდა. საკმარისია დავასახელოთ პირველი მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი მსოფლიო ეკონომიური კონფერენციები.

1922 წელს გენუაში მოწვეულ იქნა კონფერენცია, სადაც უნდოდათ გამოენახათ საშუალებანი ომით დანგრეული მეურნეობის აღსადგენად, 1927 წელს — კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის პირველ წელს ჟენევაში და 1933 წელს — მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროს ლონდონში შედგა კონფერენცია. ამ კონფერენციების ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ რამენაირად გაეჯანსაღებინათ წარმოება, გაეუართოებინათ მსოფლიო ვაჭრობა, განემტკიცებინათ ვალუტა, მოეწესრიგებინათ საბაჟო ტარიფები, მოენახათ გამოსავალი კრიზისიდან და სხვა. კაპიტალიზმის მკურნალობის ამ ცდებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. პირიქით, რაც დრო გადიოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო

15. კუიბაისის პლანსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1940.

და უფრო მწვავდებოდა წინააღმდეგობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და თვით კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით.

კაპიტალისტური წარმოება და წარმოების გეგმიანი განლაგება კატეგორიულად გამორიცხავს ერთი მეორეს. თუ წარმოება კაპიტალისტურია, იგი თავისი შინაგანი ბუნების გამო არ შეიძლება იყოს გეგმიანი და პირიქით, თუ წარმოების განვითარება, წარმოების განლაგება გეგმიანია, იგი არ შეიძლება იყოს კაპიტალისტური.

კაპიტალიზმის ანარქიულ და სტიქიურ განვითარებასთან ერთად სიერცობრივი განლაგებაც ანარქიული და სტიქიურია. თითოეული კაპიტალისტი, რომელიც მრეწველობის, ტრანსპორტის თუ სოფლის მეურნეობის დარგში კაპიტალს აბანდებს, — წარმოებას ქმნის — სიერცობრივად კაპიტალის განლაგებას ახდენს. მაგრამ ეს აქტი წარმოების აღმოცენებისა, წარმოების გარკვეული დარგის და მისი ს მყოფელი ადგილის შერჩევისა, მოსახლეობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის და სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო მიზნებისა და ამოცანებისაგან კი არ გამომდინარეობენ, არამედ თვით კაპიტალისტის პირადი სარგებლიანობის ინტერესიდან ამასთან ეს პროცესი საწარმოო ერთეულის გაადგილებისა მძაფრი საკონკურენციო ბრძოლის პირობებში ხდება. თვით ის ფაქტი, რომ წარმოების დარგი, მისი განლაგების ადგილი, საკონკურენციო ბრძოლით განისაზღვრება აშკარად ღაღადებს განლაგების სტიქიურობასა და ანარქიულობაზე.

სტიქიურია და ანარქიული კაპიტალისტური მეურნეობა არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ იქ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, სახელმწიფოებრივი, მარეგულირებელი, დამგეგმავი ცენტრი, რომ თითოეულ კაპიტალისტს ცალ-ცალკე, დაოუკიდებლად უხდებათ, თვითონვე დაგეგმონ სად და რა დარგი განავითარონ, არამედ იმიტომ, რომ თვით ეს სურვილი მათი მოქმედებისა ამ მიმართებით საკონკურენციო ბრძოლის პირობებით განისაზღვრება. ამიტომაა, რომ კაპიტალიზმის დროს წარმოების გეოგრაფიული განლაგების დამახასიათებელია უკიდურესი არათანაბრობა, უალრესად შეჯგუფული ინდუსტრიული ცენტრების შექმნა, მრეწველობის საბოლოოდ მოწყვეტა სოფლის მეურნეობისაგან და ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის გამწვავება, ბრძოლა ძველსა და ახალ რაიონებს შორის, მრეწველობის მოწყვეტა სანედლეულო ბაზებიდან და სხვა.

მაშასადამე, საზოგადოებრივი შრომის ეკონომიის და ბუნებრივი

რესურსების მიზანშეწონილი გამოყენების თვალსაზრისით კაპიტალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგება არარაციონალურია. არარაციონალური, სტიქიური და ანარქიულია კაპიტალისტური წარმოების განლაგება. მაგრამ იგი მაინც არსებულ სინამდვილეს წარმოადგენს. ამ სინამდვილის შექმნას გარკვეული კანონები განაგებენ, ეს კანონები თვით კაპიტალისტური წარმოების წესის ძირითად კანონში უნდა ვეძიოთ, რომელიც ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას გააჩნია. ეს ფორმაცია კი „მარქსის თეორიით, საშარმოო ურთიერთობის ყოველი ასეთი სისტემა განსაკუთრებული სოციალური ორგანიზმია, რომელსაც აქვს თავისი წარმოშობის, მოქმედების და უმაღლეს ფაზაში გადასვლის, სხვა ორგანიზმად გადაქცევის საკუთარი კანონები“ [1].

საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ეს საკუთარი კანონები განაგებენ აგრეთვე წარმოების განლაგებასაც. თუ არაა შეცნობილი წარმოების განლაგების კანონი, ისე შეუძლებელია სწორად იქნას ახსნილი და შესწავლილი კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე ეკონომიური გეოგრაფიის ისეთი საკითხები როგორიცაა: ქვეყნის და მისი ცალკე რაიონების მრეწველობის განლაგება, ტემპი, დონე, განვითარების თავისებურებანი, ქვეყნის ეკონომიური განვითარების ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და მისი გამოყენების, სარგებლობის სპეციფიკა, ეკონომიური წყობის თავისებურებანი, საგარეო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობანი, კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების წარმოების განლაგება და სხვა.

კანონი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით არის ის, რაც მოძრაობის საუუძველსა და ცენტრში ძევს, რაც მოვლენის საფუძველსა და ცენტრში ძევს, რაც განაპირობებს მოძრაობას. კანონი არის მყარი, ძირითადი შინაარსი მოვლენისა, ძირითადი შინაარსი და ძირითადი პირობა ყოველი მოძრაობისა.

მეცნიერული კომუნიზმის მამათმთავრები ზედმეტ ღირებულებას სცნობენ კაპიტალიზმის მოძრაობის კანონად. ფ. ენგელსი თავის სიტყვაში მარქსის საფლავზე აღნიშნავდა, რომ მარქსმა აღმოაჩინა თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების წესის მოძრაობის სპეციალური კანონი — ზედმეტი ღირებულების კანონი და ამ აღმო-

[1] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 384. პარტგამომცემლობა, 1934 ტფილისი.

ჩენამ პოლიტიკურ ეკონომიაში მყისვე სიცხადე შეიტანაო. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების კანონი კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ქვაკუთხედია, კაპიტალიზმის შინაარსი და მისი არსებობის საფუძველია.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია გვიხსნის კაპიტალისტური წარმოების, როგორც გარკვეული ისტორიული მოვლენის აღმოცენების, განვითარების და დაღუპვის პირობებს.

რომელიმე მოვლენის შესწავლა, უპირველესად ყოვლისა, ნიშნავს ამ მოვლენის დამახასიათებელი თავისებურებების შესწავლას. ამიტომ პოლიტიკური ეკონომია „უწინარეს ყოვლისა, წარმოების და გაცვლა-გამოცვლის თითოეული განცალკევებული განვითარების საფეხურის განსაკუთრებულ კანონებს იკვლევს და მხოლოდ ამ გამოკვლევის დასასრულს შეუძლია წამოაყენოს ორიოდე ზოგადი კანონი, რომელსაც ძალა აქვს წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საერთოდ“ [1].

მარქსი და ენგელსი მიუთითებენ, რომ მათ მიერ აღმოჩენილი კანონები ისტორიულად განსაზღვრული წარმოების წესის კანონებია, რომლებიც თავიანთ ძალას ინარჩუნებენ მთელი ისტორიული პერიოდისათვის „თავისთავად იგულისხმება, რომ კანონები, რომელთაც ძალა აქვთ განსაზღვრული წარმოების წესებისა და გაცვლა-გამოცვლის ფორმებისათვის, ამ ძალას ინარჩუნებენ ყველა ისტორიული პერიოდისათვის, რომელშიც ეს წარმოების წესი და გაცვლა-გამოცვლის ფორმები ბატონობენ“ [2]. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების წესის კანონი თავის ძალას ინარჩუნებს თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმშიც და მონოპოლისტური, საფინანსო კაპიტალიზმის ეპოქაშიც. შეიძლება ამ კანონს გამოვლენის სხვადასხვა სახე ჰქონდეს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მაგრამ იგი მათი საერთო კანონია.

კაპიტალიზმის ეს ძირითადი კანონი ყველგან ერთნაირად არ მოქმედობს. საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცალკე საფეხურებზე გამოვლენის სხვა სახე აქვს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მთელი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს თავის ძალას. მეორე, სვადასხვა ქვეყანაში, კაპიტალიზმის განვითარების ძირითადი კა-

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 116-117, 1933, თბილისი.
[2] იქვე, გვ. 117.

ნონი, რამდენადმე იცვლის სახეს და მოდიფიცირებული სახით გვევლინება. ეს იმიტომ, რომ მასზე ერთგვარ უკუ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკური, ისტორიულ-ეკონომიური პირობები განვითარებისა. კ. მარქსი ამას ასე განმარტავს: „თეორიაში იგულისხმება, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის კანონები წმინდა სახით ვითარდება. სინამდვილეში კი მხოლოდ დაახლოებას აქვს ადგილი: მაგრამ ეს დაახლოება მით უფრო დიდია, რაც უფრო განვითარებულია წარმოების კაპიტალისტური წესი და რაც უფრო გაწმენდილი და დახვეწილია იგი უწინდელი ეკონომიური მდგომარეობის ნაშთებისაგან“ [1]. ე. ი. თუ რომელიმე ქვეყანას არ ახასიათებს ან თითქმის არ ახასიათებს ფეოდალიზმის ნაშთები. იქ კაპიტალიზმის განვითარების კანონი შედარებით წმინდა სახით ვითარდება. ხოლო ქვეყნებში, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ახასიათებთ ფეოდალიზმის ნაშთები, აქ მიახლოება წმინდა სახესთან უფრო მცირეა.

კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების კანონებიდან განუყოფელია წარმოების განლაგების კანონები. კაპიტალიზმის ეს ძირითადი კანონი წარმოების განლაგების პროცესებში გარკვეული სახით მოდიფიცირდებიან და თითოეულ ქვეყანაში, თითოეულ რაიონში ან მეურნეობის სხვადასხვა დარგში სპეციფიკურ კანონზომიერებებად ყალიბდებიან.

კაპიტალისტური წარმოების განლაგების საფუძვლად იგივე წინააღმდეგობანი ძევს, რა წინააღმდეგობანიც ახასიათებს თვით კაპიტალიზმის განვითარებას, როგორიცაა ანარქია, კონკურენცია, არათანაბარი განლაგება და სხვა.

კაპიტალისტური წარმოების განვითარებისა და განლაგების განმსაზღვრელი ფაქტორია მოგების ნორმა. ეს არის ის ძალა, რომელიც ამოქმედებს თითოეულ კაპიტალისტს და მთლიანად კაპიტალისტების კლასს, რომელიც ამოძრავებს მათ, ხელი მოკიდონ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას. მარქსი გვასწავლის, რომ „მოგების ნორმა მამოძრავებელი ძალაა კაპიტალისტურ წარმოებაში; იწარმოება მხოლოდ ის და იმდენად, რაც და რამდენადაც მოგებით შეიძლება წარმოებულ იქნეს“ [2]. მაშასადამე, მოგება და არა მარტო უბრალოდ მოგება, არამედ მოგების

[1] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III[1], გვ. 142. სახელგამი, 1932. თბილისი.
[2] იქვე, გვ. 221.

მაღალი ნორმის მიღებისადმი მისწრაფება წარმოადგენს საბოლოო მიზანს და განმსაზღვრელ ძალას, რომელიც ბატონობს კაპიტალისტური წარმოების დროს.

მარქსი გვასწავლის, რომ ორი დამახასიათებელი ნიშანი ახასიათებს კაპიტალისტური წარმოების წესს. პირველი ეს ის არის, რომ იგი პროდუქტებს საქონლის სახით აწარმოებს. კაპიტალიზმი იმით კი არ განსხვავდებაო, — ამბობს მარქსი, — სხვა ეკონომიური ფორმაციებიდან, რომ საქონელს ამზადებს, არამედ იმით, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქტების საქონლად ყოფნას გაბატონებული და განმსაზღვრელი ხასიათი აქვს, მეორე „რაც სპეციალურად ახასიათებს წარმოების კაპიტალისტურ წესს, არის ზედმეტი ღირებულების წარმოება, როგორც პირდაპირი მიზანი და განმსაზღვრელი მოტივი წარმოებისა“ [1]. ან კიდევ „კაპიტალისტური წარმოების ნამდვილი ზღუდე თვით კაპიტალია, ეს ნიშნავს: რომ კაპიტალი და მისი ღირებულების თვითზრდა გვევლინება როგორც წარმოების გამოსავალი და საბოლოო პუნქტი, როგორც მოტივი და მიზანი“ [2]. სხვა არავითარი კეთილშობილური აზრი არ ამოქმედებს კაპიტალისტს. მისი მიზანია — იმ კაპიტალიდან, რომელიც მან წარმოებაში დააბანდა, წარმოების ყოველი წრე ბრუნვის დასასრულს გარკვეული რაოდენობა ზედმეტი ღირებულებისა მიიღოს. იგი არ დაკმაყოფილდება ყოველგვარი ზედმეტი ღირებულებით. იგი იქ მიისწრაფვის, სადაც ეს ზედმეტი ღირებულება სხვა შესაძლებელ ადგილებთან შედარებით უფრო დიდია. მაშასადამე, არა ყოველი მოგება ამოქმედებს კაპიტალისტს, არამედ, რაც შეიძლება, მოგების მაღალი ნორმა. მარქსი გვასწავლის, რომ ზედმეტი ღირებულების ნაწილი იხარჯება როგორც შემოსავალი, ხოლო მეორე ნაწილი კაპიტალად გარდაიქმნება და თავდაპირველად აგანსად გაღებული კაპიტალი გაიზრდება. აქედან ხდება კაპიტალის დაგროვება. მარქსი იმ აზრს, რომ თითქოს კაპიტალის დაგროვება კაპიტალისტის მიერ მოხმარების შემცირების ხარჯზე ხდებოდეს, ილუზიას უწოდებს და წერს, რომ ეს „კაპიტალისტური წარმოების არსებას ეწინააღმდეგება, რადგან მით იგულისხმება, რომ ამ წარმოების მიზანს და მამოძრავებელ მოტივს შეადგენს მოხმარება

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III², გვ. 393, პარტგამომცემლობა, 1934, თბილისი.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III¹, გვ. 213.

და არა ზედმეტი ღირებულების მიღება და კაპიტალიზაცია, ე. ი. დაგროვება" [1]. კაპიტალიზმი კარგავს ყოველგვარ აზრს: „კაპიტალიზმი უკვე თავის ფუძეში ისპობა, თუ დავუშვებთ, რომ მამოძრავებელ მოტივს შეადგენს პირადი მოხმარება და არა თვით გამდიდრება" [2]. „კაპიტალის" მეორე ტომის მეორე თავში (პროდუქტული კაპიტალის წრებრუნვა) მარქსი სრული სიცხადით უჩვენებს აუცილებლობას კაპიტალის მუდმივი გადიდებისას. რაკი ერთხელ დაიწყო კაპიტალის დაგროვება ზედმეტი ღირებულების მითვისებით, შემდეგში, მისი შენარჩუნებისათვის კაპიტალის მუდმივი გადიდება აუცილებელი პირობა ხდება „კაპიტალის წარმოების მთელი ხასიათი განისაზღვრება ავანსად გაღებული კაპიტალღირებულების ზრდით... ... დაგროვება ანუ წარმოება გაფართოებული მასშტაბით წარმოადგენს რა საშუალებას... ... კაპიტალისტის გამდიდრებისათვის, წარმოადგენს რა კაპიტალისტის პირად მიზანს. და შეადგენს რა კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთ საყოველთაო ტენდენციას, — შეძლეგ როგორც პირველ წიგნშია ნაჩვენები, თავისი განვითარების გამო აუცილებლობად იქცევა თითოეული ინდივიდუალური კაპიტალისტისათვის. კაპიტალის მუდმივი გადიდება პირობა ხდება მისი შენარჩუნებისათვის" [3]. მეტად საინტერესო და დამახასიათებელი მომენტია კაპიტალისტური წარმოებისა — დაგროვებულ კაპიტალს ვერ შეინარჩუნებ, თუ მუდმივად არ აწარმოვე მისი გადიდება.

XVI პარტიულ ყრილობაზე, ახასიათებდა რა წარმოების ორ სისტემას, ამხანაგი სტალინი ამბობდა: „მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა ნიშნავს, რომ... ... წარმოება ემორჩილება არა მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრინციპს, არამედ მაღალი კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს" [4]. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კაპიტალიზმის დროს წარმოების გაფართოება ხდება სრულიად სხვა მოტივებით, რომ კაპიტალი მიისწრაფვის მეურნეობის იმ დარგებში, სადაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მოგების ნორმა.

ამხანაგი სტალინი თავის ცნობილ შრომაში — „დიალექტი-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, გვ. 451, სახელგამი, 1933, თბილისი.
[2] იქვე, გვ. 90.
[3] იქვე, გვ. 51.
[4] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 630, სახელგამი, 1930, თბილისი.

კური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" იხილავს რა წარმოების თავისებურებებს, ამბობს, რომ, როცა ფეოდალური წყობილების დროს საამქრო სახელოსნოთა გვერდით ევროპის ბურჟუაზიამ მანუფაქტურული საწარმოები განავითარა, მან არ იცოდა თუ რა საზოგადოებრივი შედეგი მოჰყვებოდა ამ სიახლეს: „მას მხოლოდ უნდოდა გაეიაფებინა საქონლის წარმოება. რაც შეიძლება მეტი საქონელი გამოეშვა აზიისა და ახლად აღმოჩენილი ამერიკის ბაზრებზე და მიეღო რაც შეიძლება მეტი მოგება, — მისი შეგნებული საქმიანობა ამ ყოველდღიური პრაქტიკის ვიწრო ჩარჩოებით იფარგლებოდა" [1]. აქედან ნათლად ჩანს, რომ ბურჟუაზიას კაპიტალისტური საზოგადოების და მისი წარმოების განვითარების ზოგადი ინტერესები კი არ ამოქმედებდა, არც ფიქრობდა ის ამის შესახებ. არამედ უბრალო, ვიწრო სურვილი, რაც შეძლება მეტი მოგება მიეღო. კაპიტალიზმი იმიტომაა კაპიტალიზმი, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, რომ იგი თავის პირად ინტერესებზე ფიქრობს და სრულიად არ აწუხებს მას სახალხო ინტერესი. „კაპიტალიზმს, რომ შეეძლოს შეუგუოს წარმოება არა მოგების მაქსიმუმის მიღებას, არამედ ხალხურ მასების მატერიალური მდგომარეობის სისტემატურ გაუმჯობესებას,.. ... მაშინ კრიზისები აღარ იქნებოდა. მაგრამ მაშინ კაპიტალიზმიც აღარ იქნებოდა კაპიტალიზმი" [2].

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტური წარმოების განლაგების კანონი მოგების ნორმაა.

განვიხილოთ ახლა კაპიტალისტური მრეწველობის ამა თუ იმ დარგის აღმოცენების ორგანიზაცია. მისი წარმოებისა და მიმოქცევის პროცესი და მოგების ნორმის სიმაღლის როლი მრეწველობის განლაგებაში.

კაპიტალის წრებრუნვის პროცესში დაბანდებული გარკვეული რაოდენობის კაპიტალღირებულება, როგორც გამოსავალი პუნქტი და ღირებულება გაზრდილი კაპიტალღირებულება როგორც უკუდაბრუნების პუნქტი, სადაც ავანსად გაღებული კაპიტალღირებულება იმის საშუალებად წარმოგვიდგება, რომ პროცესის დასასრულს ღირებულება გაზრდილი კაპიტალღირებულება იქნას მიღებული.

---

[1] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი; გვ. 157, სახელგამი, პოლიტლიტერ. სექტორი, 1938, თბილისი.

[2] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 575-576, სახელგამი, 1933, თბილისი.

როგორც მთელი ამ ოპერაციის მამოძრავებელი, მარქსს მოცემული აქვს შემდეგი ფორმულით: ფ—ს..... პ..... ს'..... ფ' ანუ მისი ცხადი ფორმით ფ—ს $\left\{\begin{matrix} მ \\ წშ \end{matrix}\right.$ ..... პ..... ს' (ს+ს)—ფ'(ფ+ფ). კაპიტალის წრებრუნვის ამ პროცესში სამი ფაზაა. რომელთაგან ორი ფ—ს და ს'—ფ' ეკუთვნის მიმოქცევის სფეროს, ხოლო მესამე ს..... პ..... ს' ეკუთვნის წარმოების სფეროს. ჩვენი მიზნისათვის აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პროცესის დასასრულს კაპიტალიზირებულება იმავე ფორმაშია რითაც დაიწყო (ფულად ფორმაში), მაშასადამე, კვლავ შეუძლია დაიწყოს წრებრუნვა. ცვლილება არის არა ფორმაში, არამედ კაპიტალიზირებულების სიდიდეში. ეს სიდიდე არ შეიძლება იყოს მუდმივი როგორც სხვადასხვა წრებრუნვის დროს ისე მრეწველობის სხვადასხვა დარგში. მაშასადამე, უნდა დავუშვათ ისე, როგორც ნამდვილად არის რეალურ სინამდვილეში, მოგების სხვადასხვა ნორმა.

სიმარტივისათვის ავიღოთ ორი დარგი: საფეიქრო მრეწველობა და ფეხსაცმელების წარმოება. დავუშვათ რომ ავანსად გასაღები კაპიტალი ორივე დარგში ერთი სიდიდისაა. სახელდობრ, ასიათასი მანეთი თითოეულში. დავუშვათ, რომ კაპიტალის მოძრაობა წარმოების სფეროში და მიმოქცევის ორივე ფაზა განუწყვეტელია და გარკვეულ დროში სრულდება.

დროის ეს ხანგრძლივობა ორივე დარგში ერთნაირია, ცვალებადია მხოლოდ მოგების ნორმა. თუ დავუშვებთ, რომ მოგების ნორმა საფეიქრო მრეწველობაში შეადგენს 30%, ხოლო ფეხსაცმელების წარმოებაში 40%, მაშინ კაპიტალიზირებულების ზრდა კაპიტალის ორი წრებრუნვის შემდეგ ასეთ სურათს გვიჩვენებს:

საფეიქრო მრეწველობა. ავანსად გაღებული კაპიტალი—ფ—ასი ათასი მანეთია, მოგების ნორმა 30%-ია, პირველი წრებრუნვის დასასრულს ფ' იქნება 130.000 მანეთი. აქედან 10.000 მანეთი პირად მოხმარებაზე დაიხარჯა. მაშასადამე. მეორე წრებრუნვისათვის ავანსად გასაღები კაპიტალი იქნება 120.000 მანეთი. თუ მოგების ნორმა მეორე წრებრუნვაშიც იგივე დარჩა, რაც პირველ წრებრუნვაში იყო, მაშინ წრებრუნვის დასასრულს ღირებულება გაზრდილი კაპიტალიზირებულება იქნება 156.000 მანეთი.

ფეხსაცმელების წარმოება. ავანსად გაღებული კაპიტალი—ფ—ასი ათასი მანეთია, მოგების ნორმა 40%-ია, პირველი წრებრუნვის დასასრულს ფ' იქნება 140.000 მანეთი, აქედან 10.000

მანეთი პირად მოხმარებაზე დაიხარჯა. მაშასადამე, მეორე წრებრუნვისათვის ავანსად გასაღები კაპიტალი იქნება 130.000 მანეთი. თუ მოგების ნორმა მეორე წრებრუნვაშიც იგივე დარჩა, რაც პირველ წრებრუნვაში იყო, მაშინ წრებრუნვის დასასრულს, ღირებულება გაზრდილი კაპიტალღირებულება იქნება 182.000 მანეთი. მაშასადამე, ორი წრებრუნვის შემდეგ ერთი და იმავე სიდიდის ავანსად გაღებულ კაპიტალზე საფეიქრო მრეწველობაში მოგება მცირეა ფეხსაცმელების წარმოების მოგებასთან შედარებით 26.000 მანეთით. შედეგად ამისა მოხდება კაპიტალების დენა საფეიქრო მრეწველობიდან ფეხსაცმელების წარმოებაში. ეს შეიძლება ასე გამოვსახოთ.

საფეიქრო მრეწველობა

I წრებრუნვა

ფ(100.000) – ს { მ წუ....პ....ს'(ს+ს) – ფ'(ფ+ფ) = (100.000+30.000) = 130.000 მ.

II წრებრუნვა

ფ(120.000) – ს { მ წუ....პ....ს'(ს+ს) – ფ'(ფ+ფ) = (120.000+36.000) = 156.000 მ.

ფეხსაცმელების წარმოება.

I წრებრუნვა

ფ(100.000) – ს { მ წუ....პ....ს'(ს+ს) – ფ'(ფ+ფ) = (100.000+40.000) = 140.000 მ. ←

II წრებრუნვა

ფ(130.000) – ს { მ წუ....პ....ს'(ს+ს) – ფ'(ფ+ფ) = (130.000+52.000) = 182.000 მ. ←

კაპიტალების დენა

უფრო მაღალი მოგების ნორმა ფეხსაცმელების წარმოებაში იწვევს კაპიტალების დენას საფეიქრო მრეწველობიდან ფეხსაცმელების წარმოებაში. კაპიტალისათვის საფეიქრო მრეწველობა უკვე აღარ არის მიმზიდველი, რადგან „ზედმეტი ღირებულების წარმოება ანუ მოგების მოპოვება — ასეთია ამ წარმოების წესის აბსოლუტური კანონი“ [1], ხოლო საფეიქრო მრეწველობა არ უზრუნველყოფს კაპიტალისტისათვის მაღალ მოგებას. კაპიტალების დენა საფეიქროდან ფეხსაცმელების წარმოებაში გაგრძელდება მანამ, სანამ ფეხსაცმელების წარმოებაში მოგების ნორმა არ დაეცემა. ეს კი მოხდება აუცილებლად და შემდეგნაირად: საფეიქრო მრეწველობიდან ფეხსაცმელების წარმოებაში კაპიტალების დენის შედეგად ახალი ფაბრიკები იქნა აგებული. გაიზარდა ფეხსაცმელების წარ-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 564. სახელგამი, 1930, თბილისი.

მოება, გაიზარდა კაპიტალის ორგანული შემაღგენლობა, გაიზარდა ფეხსაცმელების მიწოდებაც ბაზარზე და მიწოდება მოთხოვნილებას სჭარბობს. საქონელი თავის ღირებულებაზე დაბლა გაიყიდება და მოგების ნორმა ფეხსაცმელების წარმოებაში შემცირდება საფეიქრო მრეწველობაში კი, საიდანაც კაპიტალები ფეხსაცმელების წარმოებაში გადმობარგდა, შემცირდა კაპიტალები, შემცირდა წარმოება, შემცირდა მიწოდება, მოთხოვნილება მიწოდებას სჭარბობს, საქონელი თავის ღირებულებაზე მაღლა გაიყიდება და მოგების ნორმაც გაიზრდება. ახლა შებრუნებულ სურათს მივიღებთ.

ს ა ფ ე ი ქ რ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

I წრებრუნვა

ფ(100.000) — ს { მ წგ....პ....ს' ს+ს) — ფ'(ფ+ფ)=(100.000+40.000)=140.000 მ. ←

II წრებრუნვა

ფ(130.000) — ს { მ წგ....პ....ს'(ს+ს) — ფ'(ფ+ფ)=(130.000+52.000)=182.000 მ.←

ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა

I წრებრუნვა

ფ'100.000) — ს { მ წგ....პ....ს'(ს+ს) — ფ'(ფ+ფ)=(100.000+30.000)=130.000 მ.

II წრებრუნვა

ფ 120.000) — ს { მ წგ....პ....ს' ს+ს) — ფ'(ფ+ფ)=(120.000+36.000)=156.000 მ.

ეფექტი ეფექტზე

ეს მაგალითები მარტივი სახით მაგრამ მაინც წარმოდგენას გვაძლევენ, თუ როგორ ხდება წარმოების განლაგება კაპიტალისტურ მსოფლიოში და რა არის ამ განლაგების მამოძრავებელი, განმსაზღვრელი კანონი. კაპიტალების ამ მიზ-დულობაში ჩვენ ვხედავთ თითოეული კაპიტალისტის სწრაფვას თვითგამდიდრებისაკენ, კაპიტალების დაგროვებისა და გადიდებისაკენ. მათ სრულიად არ აინტერესებთ საფეიქრო ნაწარმს დაამზადებენ თუ ფეხსაცმელებს, მათ იგი იმდენად აინტერესებთ, რამდენად მაღალ მოგებას მიიღებენ. შესანიშნავად ამბობს ამის შესახებ მარქსი. „მიმოქცევის ფორმა ფ..... ფ', რომლის გამოსავალ და საბოლოო პუნქტს ნამდვილი ფული შეადგენს, უალრესი თვალსაჩინობით გამოსახავს ფულის კეთებას, კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელ მოტივს. წარმოების პროცესი გვევლინება მხოლოდ აუცილებელ ბოროტებად, აუცილებელ საშუალებათ ფულის კეთების განხორციელებისათვის“ [1].

[1] კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. II, გვ. 31.

ფულის კეთების განხორციელების უზრუნველსაყოფად კაპიტალისტებმა წარმოების ტექნიკა უნდა განავითარონ, წარმოება უნდა გააფართოვონ. ზედმეტი ღირებულების მიღების სურვილი, წარმოების მუდმივ გაფართოებას კაპიტალისტისათვის იძულებით კანონად აქცევს. მაგრამ ზედმეტი ღირებულების განაწილება ცალკე კაპიტალისტებს შორის მკაცრი საკონკურენციო ბრძოლის პირობებში ხდება. საკონკურენციო ბრძოლაში, რომ გაიმარჯვოს კაპიტალისტი იძულებულია წარმოება გააფართოვოს, წარმოების ტექნიკა გააუმჯობესოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაკოტრება მოელის. ჩვენ ახლა აქ არ ვიხილავთ წარმოების გაფართოებას, წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებას, კაპიტალის ორგანიული შემადგენლობის ამაღლება და მოგების ნორმის შემცირება რომ მოსდევს, ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, რომ „კაპიტალისტური წარმოების განვითარება აუცილებელს ხდის ინდუსტრიულ სარეწაოში დაბანდებული კაპიტალის განუწყვეტელ ზრდას, ხოლო კონკურენცია თითოეულ ინდივიდუალურ კაპიტალისტს უკარნახებს კაპიტალისტური წარმოების იმანენტურ კანონებს, როგორც გარეშე იძულებითს კანონებს. იგი არ ანებებს მას შეინარჩუნოს თავისი კაპიტალი ისე, რომ განუწყვეტლად არ აფართოვებდეს მას. მისი გაფართოვება კი მას შეუძლია მხოლოდ შეუწყვეტელი დაგროვების გზით“ [1].

მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების განლაგების პროცესები საკონკურენციო ბრძოლის პირობებში თვით კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობებს გამოამეღავნებს. მარქსი გვასწავლის, რომ კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონები, რომლებიც მის შინაგან ბუნებას ახასიათებენ, თავის თავს გარეგნულ მოძრაობაში იჩენენ. ეს იმანენტური კანონები თითოეული კაპიტალისტისათვის შეუმჩნეველია სანამ კონკურენციის იძულებითი კანონების ფორმით არ გამოვლინდებიან და მხოლოდ ამ გამოვლენის ფორმით აღწევენ ისინი კაპიტალისტის შეგნებამდე. ბაზარზე, საქონლის რეალიზაციის დროს დაეჯახება კაპიტალისტი თითქოს გარეშე იძულებითს კანონებს, რომელიც აიძულებს მას მუდამ აუმჯობესებდეს და აფართოებდეს წარმოებას კაპიტალიზმის შინაგან თვისებას კაპიტალისტი საკონკურენციო ბრძოლის ფორმით შეიგნებს „კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონები კონკურენციის სფეროში გამოიხატება“ [2]. ეკამათება რა დიურინგს, ენგელსი

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 537.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III[1], გვ. 190.

მარქსის ამ მოძღვრებას ასეთ შეფასებას აძლევს: „მარქსის მიხედვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონები კაპიტალების გარეგან მოძრაობაში იხატებიან, როგორც კონკურენციის იძულების კანონები და ინდივიდუალური კაპიტალისტი მას ამ სახით შეიგნებს, როგორც მამოძრავებელ მოტივს;... ... განსაზღვრული კანონი, ღირებულების კანონი გარკვეულ შემთხვევაში კონკურენციაში მყღავნდება და თავის მამოძრავებელ ძალას ამხელს“ [1]. ამ საკონკურენციო ბრძოლაში მყღავნდება კაპიტალისტური წარმოების ანარქიულობა. სოციალისტური წარმოების წესი წარმოების გაფართოებას, ტექნიკის გაუმჯობესებას კონკურენციის იძულების კანონის ძალით კი არ ახდენს, არამედ შეგნებულად, მიზანშეწონილად, წინასწარი დაგეგმვით, რაც საზოგადოების მოთხოვნილებით ვანიზომება, ხოლო კაპიტალისტურ საზოგადოებაში „თანამედროვე მანქანების უაღრესად განვითარებული გაუმჯობესების შესაძლებლობა, წარმოების ანარქიის გამო საზოგადოებაში ცალკე ინდუსტრიული კაპიტალისტებისათვის იქცევა იძულებად თავიანთი მანქანები მუდამ გააუმჯობესონ, მათი საწარმოო ძალა მუდამ ზევით ასწიონ. ასეთივე იძულებად იქცევა მათთვის უბრალო ფაქტიური შესაძლებლობა თავიანთი წარმოების სფეროს გაფართოებისა“ [2]. მაშასადამე, საკონკურენციო ბრძოლასთან მჭიდროდ დაკავშირებულია წარმოების დარგების ასეთი თუ ისეთი განლაგება. საკონკურენციო ბრძოლა მოქმედებს განლაგებაზე არა მარტო კაპიტალიზმის თავისუფალი კონკურენციის ეპოქაში, არამედ შემდეგაც, მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროსაც. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ წარმოების კონცენტრაცია თავისუფალი კონკურენციიდან წარმოიშვა, რომლებიც ბოლოს მონოპოლიებად იქცევიან. მონოპოლია არ სპობს კონკურენციას, არამედ კიდევ უფრო აწვავებს მას. როცა კაპიტალისტი სამრეწველო საწარმოს აგებას ფიქრობს, ჯერ იმ ადგილს შეარჩევს, რომელიც უფრო კონკურენტუნარიანი იქნება. აქედან მომდინარეობს არარაციონალური განლაგება. მინიმალური დანახარჯების პრინციპი და მაქსიმალური მოგების ნორმის მიღების წყურვილი არათანაბარ განლაგებას იწვევს. სტიქიურობა და ანარქიულობა გამორიცხავს შრომისა და ბუნებრივი რესურსების მიზანშეწონილ განლაგებას. ფ. ენგელსი გვასწავლის,

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 176-177.
[2] იქვე, გვ. 232.

რომ საქონლის წარმოების კანონები ანარქიაში და ანარქიის მეშვეობით მქმედებენ. ენგელსი წერს: „მაგრამ ყოველ საზოგადოებას, რომელიც საქონლის წარმოებაზეა დაყრდნობილი, ის თავისებურება ახასიათებს, რომ იქ მწარმოებლებს დაკარგული აქვთ ბატონობა თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ. თითოეული პირი თავისთავად აწარმოებს... ... არაფინ იცის რამდენი გავა მისი საკუთარი ნაწარმოებიდან ბაზარზე, რამდენი მათგანი შევა საზოგადოდ მოხმარებაში. საჭირო იქნება იგი თუ არა ნამდვილად, აანაზღაურებს თუ არა თავის ხარჯს და საზოგადოდ შესაძლებელი იქნება თუ არა მისი გაყიდვა. საზოგადოებრივ წარმოებაში ანარქია მეფობს. მაგრამ საქონლის წარმოებას, ისევე როგორც ყოველი სხვა წარმოების ფორმას, თავისი განსაკუთრებული, შინაგანი, მისგან გამოუყოფელი კანონები აქვს; და ეს კანონები, ანარქიის მიუხედავად, ანარქიაში და ანარქიის შემწეობით მქმედებენ. ეს კანონები აშკარავდებიან საზოგადოებრივ ურთიერთობის ერთადერთ გადარჩენილ ფორმაში, ალებ-მიცემობაში და განცალკევებულ მწარმოებლებს იმორჩილებენ როგორც კონკურენციის იძულებითი კანონები“ [1]. ასეთია კაპიტალისტური წარმოების ანარქიული ხასიათი. კაპიტალისტური წარმოების ანარქია, სადაც ყველაფერი ბნელ კანონებზეა დამოკიდებული და სადაც ეს კანონები ადამიანებზე უსმობლად ბატონობენ, საბოლოო შედეგად ისეთ მნიშვნელოვან ძალას ჰქმნის, რომელიც თვით ამ ანარქიას ეღება ბოლოს. კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია არ შექმნას ეს ძალა, თუმცა იგი მისი მესაფლავეა. ეს არის შედეგი კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელი წინააღმდეგობისა, საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის რომ არსებობს. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი და მითვისების კერძო ხასიათი „წარმოების საზოგადოებრივი ანარქიის მამოძრავებელი ძალაა. რომელიც ადამიანთა დიდ უმრავლესობას თანდათან პროლეტარებათ აქცევს და ეს თავის მხრით პროლეტართა მასებია, რომელნიც წარმოების ანარქიას ბოლოს მოუღებენ“ [2]. მაშასადამე, კაპიტალიზმის დროს წარმოების განლაგების სტიქიურობა და ანარქიულობა აუცილებელი მოვლენაა. რომლისაგან თავს ვერ გაითავისუფლებს კაპიტალისტური მეურნეობა, სანამ ის კაპიტალისტურ

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 229.
[2] იქვე, გვ. 231.

მეურნეობად რჩება. და თუ კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება სტიქიური და ანარქიულია, მაშინ უნაყოფოა ცდა გეგმაშეწონილ, რაციონალურ განლაგებაზე. ისეთ განლაგებაზე, რომელიც მართლაც ეკონომიურად ხელსაყრელად გამოიყენებდა როგორც საზოგადოებრივ შრომას, ისე ბუნებრივ რესურსებსაც.

კაპიტალისტებს და მათ დამცველებს, ბურჟუაზიულ მეცნიერებს, სწორედ იმის გამო, რომ დაიცვან კაპიტალიზმი, გაახანგრძლივონ მისი არსებობა, წარმოგვიდგინონ იგი, როგორც მუდმივი მოვლენა, არ სურთ შეიცნონ კაპიტალისტური წარმოების განლაგების ნამდვილი კანონები. კაპიტალიზმის დროს ამ კანონების შეცნობა და მათი შეგნებული გამოყენება კი არ ხდება. არამედ ეს კანონები ბატონობენ ადამიანებზე. შეუცნობელი კანონები ბრმად მოქმედებენ. „საზოგადოებრივი ძალები სანამ, ჩვენ მათ არ შეიცნობთ და ანგარიშს არ გავუწევთ, სავსებით ისე მოქმედებენ, როგორც ბუნების ძალები: ბრმად, ძალადატანებულად, გამანადგურებლად“ [1]. ახლოლოდ ჩვენში სოციალისტური წარმოების წესის პირობებშია შესაძლებელი საზოგადოებრივი წარმოების განვითარების კანონების ნამდვილად შეცნობა და „რაკი თანამედროვე საწარმოო ძალებს ბოლოს მათი შეცნობილი ბუნების მიხედვით მოვეპყრობით, საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის ადგილს დაიკერს წარმოების საზოგადოებრივად გეგმაშეწონილი მოწესრიგება“ [2]. მაგრამ ეს შესაძლებელი არ არის იქ, სადაც წარმოება კერძო პირთა ხელშია, სადაც წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს მითვისების კერძო ხასიათი აქვს, იქ, რანაირადაც ზედმიწევნით არ შეიცნოთ საზოგადოებრივი წარმოების მოძრაობის კანონები, ამ კანონებს მაინც ვერ დაიმორჩილებთ და თქვენი გეგმის მიხედვით ვერ აამოქმედებთ. მხოლოდ „როცა საზოგადოება საწარმოო ძალებს დაეპატრონება. მოისპობა საქონლის წარმოება და ამავე დროს პროდუქტის ბატონობა მწარმოებელზე. საზოგადოებრივი წარმოების ანარქიას გეგმაშეწონილი, შეგნებული ორგანიზაცია შესცვლის“ [3]. მაშასადამე, როცა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს მისი შესაბამისი საზოგადოებრივი საკუთრებაც ექნება, საზოგადოების განვითარების კანონები ადამიანთა განკარგულებაში შეასრულებენ იმას, რასაც მისი

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 236.
[2] იქვე, გვ. 236.
[3] იქვე გვ. 239.

განმკარგულებელი საზოგადოება ისურვებს. როგორც ეს საბჭოთა კავშირში განხორციელდა.

„მაშასადამე, საზოგადოების ისტორიის კანონების შესწავლის გასაღები უნდა ვეძებოთ არა ადამიანთა თავებში, არა საზოგადოების შეხედულებებსა და იდეებში, არამედ წარმოების წესში, რომელსაც იყენებს საზოგადოება ყოველ მოცემულ ისტორიულ პერიოდში, — უნდა ვეძებოთ საზოგადოების ეკონომიკაში“ [1].

---

[1] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 147.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

პოლიკარპე ჯაჯანიძე

მასალები იმერული ლექსიკონისათვის

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრამ თავის ხუთწლიან გეგმაში იმერული დიალექტის ყოველმხრივ შესწავლა გაითვალისწინა. წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული გეგმის ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენს.

ლექსიკონში შეტანილი სიტყვები შეკრებილია ჩემ მიერ იმერეთის სხვადასხვა კუთხეში დიალექტოლოგიურ საკითხებზე მუშაობის დროს.

რადგან ბევრი სიტყვის გავრცელების არე საზოგადოდ ცვალებადია, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიე ჩაწერის მომენტში სიტყვის ხმარების ადგილის აღნიშვნა (ამ შემთხვევაში დასაელებულია სოფელი ან კუთხე).

ლექსიკონში წარმოდგენილია ᲔᲕ0-მდე სიტყვა. ბევრი მათგანი უცნობია. ზოგიც ცნობილია ლექსიკონებიდან, მაგრამ აქ განსხვავებული ან ნაწილობრივ განსხვავებული მნიშვნელობითაა ნახმარი. რომ უფრო მკაფიო და გასაგები ყოფილიყო სიტყვის მნიშვნელობა, ზოგი მათგანის განმარტებას თან დავურთე ფრაზეოლოგია, რომელიც ჩემ მიერ ჩაწერილი ტექსტებიდანაა ამოღებული.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ალ ა ვ. — მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბ ე რ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1938.

ალ ა ვ. ეთნ. — მ ი ხ ე ი ლ ა ლ ა ვ ი ძ ე, მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.

ბ ე რ. — ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, С.-Пт6., 1912.

მ ა კ ა ლ. თუშ. — ს ე რ გ ი მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, ტბილისი, 1933.

მ ა ყ. — დოც. ა ლ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, I, მცენარეულობა, თბილისი, 1938.

მ ე ნ თ. — ს ტ ე ფ ა ნ ე მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით, თბილისი, 1943.

ჟ ღ. — ს ე რ გ ი ჟ ღ ე ნ ტ ი, გურული კილო, თბილისი, 1936.

ჟ ღ. ჭან. — ს ე რ გ ი ჟ ღ ე ნ ტ ი, ჭანური ტექსტები, თბილისი, 1938.

ს ა ბ ა — ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა და პროფ. ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1928.

ყუბ. — სოლ. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946. დართული აქვს მ. ჰაბაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი,

შან. სინტაქსი — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1948. დართული აქვს ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

შან. — აკაკი შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბილისი, 1946.

შარაშ. — გ შარაშიძე, გურული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

ჩუბ — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.-Птб., 1887.

წერ. — ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

ჰყ. — ილია ჭყონია, სიტყვის-კონა, С.-Птб., 1910.

ჯავახ. საქ. ეკონ. ისტორია, I — ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბილისი, 1930.

ჯავახ. საფას. საზ. — ივანე ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბილისი, 1925.

არს. სახ. — არსებითი სახელი.
ბზვ. — ბზვანი.
გადატ. — გადატანით.
ვრძ. — ვარძია.
ვახ. — ვახანი.
ვახ.-ხიდ. — ვახანი-ხიდარი.
ზედუბ. — ზედუბანი.
ზ. იმერ. — ზემო იმერეთი.
ინაშ. — ინაშაური.
ლეღვ. — ლეღვანი.
მეგრ. — მეგრული.
მოლ. — მოლითი.
მხ. — მხოლობითი.
ნ. — ნახე.
ნ. კიდევ — ნახე კიდევ.
საწყ. — საწყისი.
სერბ. — სერბაისი.
უბ. — უბისა.
უხ. — უხუთი.
ფარცხ. — ფარცხანაყანევი.
ქვბ. — ქვები.
ქვ. იმერ. — ქვემო იმერეთი.
შრშ. — შრომა.
ძირ. — ძირულა.
ხიდ. — ხიდარი.

ა

აბედა (ვრძ.) აბიდი (ნ. საბა, ჩუბ. აბედი).

აბოთიალება (შრშ.) უგუნური, მოუხეშავი მოქცევა ადამიანისა. „ჰკვა უნდა ისტავლო, ბიძია! რო აბოთიალდები ხანდახან, კაი რავა მოგივა?!“ ნ. ბრთე.

აბრაგი (ქვ. იმერ.) უშნო, შეუსაბამო მაღალი. ჩვეულებრივ ოთხფეხა ცხოველის მიმართ იტყვიან (ნ. კიდევ ბერ., ჟღ.).

აბრიალება ძლიერი ალიანი ცეცხლის ანთება (ნ. ჟღ. აბჟღრიალება).

აბუდგული, აბუთქული (ვახ.) აფუთქული.

აბღრიალება (ვახ.) აღრიალება, ხმამაღლა ატირება. „მეზობლის ბღარმა (ნ.) ააბღრიალა გოგოი“.

აგე აგრე, ასე. „აგე ახლო არი ვარძიაი?“.

ადგირი ადგილი.

ავანჩავანი კაცი მოხერხებული, ავისა და კარგის მცოდნე ადამიანი (შდრ. ჭყ., ნ. მენთ.).

აკოლიკება, აპოლიკება კოლიფების (ნ.) ერთმანეთზე შეწყობა.; გადატ. იტყვიან იმ კაცის მიმართ, რომელიც თავისი დანაშაულის დასაფარავად ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოსაზრებებს აყენებს. „აკოლიკებს რაღაცას, მარა ხუთ წელწადს მაინც დააჟენენ“.

ალაანი (ვახ.) ალალი, პატიოსანი.

ალაყურტა (ქვ. იმერ.) დანაყული ნიგვზით გაკეთებული ფაფა (ნ. ბერ. ალაყურტი).

ამათაა (ვახ.) ამათთანა, ამათი მსგავსი.

ამის გულობისთვის ამის გულისთვის, ამისთვის.

ამობმა (შრშ.) „ჯერე ჩაფის მუცელს ამოვაბამ, მერე ყელს გოუკეთეფ“.

ამოკოშვა (შრშ.) მიწის გაფხვიერება, კარგად დამუშავება. „ისე კარგა გადუბრუნებია, რომე მიწაი სულ ამოუკოშია“.

ამოკრეფა (ხ. იმერ.) **ამობოჭვა** (ქვ. იმერ.). „წყალი დეეწამლათ და ძიერ ბევრი თებზი ამეეკრიფაო“.

ამოწიკვა ამოზიდვა, ამოტანა.

ამოხ(რ)იგინება (ვახ.) ხმაურით ამოვლა. „ამეიხიგინებს ყოველდღეი მაშინაი“.

ამოხიკვა (ქვ. იმერ.) ნ. ამოკრეფა.

ამოხრუკვა (შრშ.) 1. ამობურცვა, ამოხრა; 2. ამოწვა.

ამტელი (ვახ.) ამდენი. „ამტელი ნასტავლი სა იყო ძველათ, ბიძია?!

ამყველა|ე-ი (ინაშ.) ამდენი. „მე ერთი თავი ქთხოვე, ამყველეი არ მინდა“.

ანაოდა, ანეოდა (შრშ.) ანდა.

აპოური, აპყოური (ხ. იმერ.), **აყპოური** (ქვ. იმერ.) ტაბიკების ერთმანეთზე მისაბმელი წვრილი და მოკლე თოკი (ნ. საბა, ჩუბ. აპაური, ჭღ. ამპოური, ალავ. აპოური).

ატკოჩილი ატკეჩილი. „ხეი დეეცა იმასა და ძვალი აქ ატკოჩილი ფეხზე“.

აფერი (ვახ.) არაფერი. „ძიერ სიცხეებია და აფერი კეთთება ყანაშია“.

აფრა (ზ. იმერ.) სქელი ფიცარი, რომელიც ერთი თავით საძირკველშია ჩაშვებული, ხოლო მეორე თავზე სარტყელი აქვს დამაგრებული. აქეთ-იქით ამოღარულ მხარეებში კედლის ფიცრების თავებია შეშვებული. ამგვარ ფიცარს ქვ. იმერეთში საზოგადოდ ბოყვს ეძახიან. აფრა ჰქვია ორგვერდად დახურული სახლის მოპირდაპირე საძირკვლებიდან აღმართულ იმ ორ ფიცარს, რომელთა თავებზე სახლის სათავეა გადებული (შდრ. საბა, ჩუბ.; ნ. ბერ., მენთ., ალავ. ეთნ. 135).

აქათ (შრშ.) აქეთ (ნ. ჩუბ.).

აქეთებური (შრშ.) აქეთური, აქაური (შდრ. ჩუბ. აქეთი).

აჩაჩა ურემი (ვახ.) დაბალი (ჩოჩიალა ქვ. იმერ.) ურემი, რომელსაც გოგრები ხელნა ურმის (ნ.) მსგავსი აქვს. ქვ. იმერეთში ამგვარ ურემს ჩვეულებრივ ფიცრის გოგრებს უკეთებენ (შდრ. საბა, ჩუბ., ჯავახ., საქ. ეკონომ. ისტორია, I, გვ. 159, მაყ. აჩაჩა).

აწიკვა (ვახ.) აწევა, აღება, აზიდვა. „აწიკა მეფემა ბულთი ხელშიდ“ (ნ. ამოწიკვა).

ახმახი უშნო მაღალი (ნ. ჩუბ.).

ბ

ბარძიმი (შრშ.) ქვევრის თავსახურავის პირველი ფენა, რომლის ზევით სარქველია მოთავსებული (შდრ. საბა, ჩუბ., შან.).

ბარძუკი (ვახ.) ბორძიკი. ნ. გადაბარძუკება.

ბაჯაჯგინა კაცი ტანდაბალი, ჩასუქებული კაცი (შდრ. შან. სინტაქსი ბაჯაჯგუნა; ნ. ალავ. ბაჯაჯღანა).

ბეებანი (ხიდ.) ძალიან ვაკე ადგილი. „აღმართები არაა, კაცო! სუ ბეებანი ადგილები აქ კოლექტივს და მოსავალიც კაი მოჰყავს“.

ბიგა (ზ. იმერ.), **ბარჯგი** (ქვ. იმერ.) ბიჯგი, ხის მოგრძო ნაჭერი, რომელიც გასამაგრებლად აქვს რამეს შეყენებული (ნ. ჭყ.; შდრ. ჯღ.).

ბოთე სულელი, საწყალი, დაგლახავებული (შდრ. ბერ. ბოთაროზა, ჭყ. ბოთე; ნ. აბოთიალება).

ბოთლა (ვახ.) ბოთლი. „ვორი ბოთლა ღვინოი დავლიე“.

ბოყვი 1. მოწნული ჭურჭელი: გოდორი, ძარი თუ სხვა (შდრ. საბა, ჭყ., მენთ.); 2. კრამიტის ნახევარსფერულად მოსამრგვალებელი ყალიბი—კრამიტის საჭრელი ბოყვი (ნ. წერ.); 3. ხის მრგვალი ყუთი, რომელიც ჭურჭლადაა გამოყენებული (ნ. ჩუბ.); 4. სახლის საძირკველსა და სარტყელს შორის ვერტიკალურად აღმართული სქელი ფიცარი, რომლის ამოღარულ კიდეებში კედლის ფიცრის თავებია შეშვებული (ნ. ბერ.; შდრ. მენთ., ჟღ.).

ბოძვი (შრშ.) ბოძი (ნ. საბა, ჩუბ. ბოძი, მაკ. თუშეთი, გვ. 35, ბოძი).

ბოჭიტა (ვახ.-ხიდ.) სახლის კედელში საგანგებოდ დატნეული ნახვრეტი, სათოფური.

ბრუსიალი (ვახ.) რისამე გარშემო ბრუნვა, ბრუალი (შდრ. ბერ. ბრუალი). „ვიბრუსიალე, ვიბრუსიალე ხის გარშემო, მარა დათვს ვერ დევემალე". ნ. კიდევ გაბრუსიალება.

ბუგე, ბუგელა (შრშ.) გუბე, დამდგარი წყალი (ნ. საბა, ჩუბ. გუბე).

ბუგეთ (შრშ.) 1. გუნდად, ჯგუფად, რამდენიმე ერთად. „ბუგეთ მოდიოდენ ჩიტები" (შდრ. წერ. ბურქვი); 2. ყრუდ. ,,ბუგეთ ისმოდა ხმაი''.

ბუგელა (ძირ.) ნ. ბუგე.

ბუდნა მარცვლეულის ჩასათესად ამოთხრილი პატარა ორმო. საზოგადოდ ასეთ ორმოებში თესავენ საზამთროს, პამიდორის, ნესვისა და კიტრის მარცვლებს (ნ. ჩუბ., ჭყ.; მაყ. ბუდნა-ბუდნა ნათესი); 2. თივა, რომელიც ქათმის ბუდეშია ჩაფენილი (ინაშ.); 3. აბრეშუმის ნაძირი. ,,ერთი კვირის მერე გამოუცვლი აბრეშუმს ბუდნას''.

ბუნი (ვახ.) ჯიში, მოდგმა (შდრ. საბა).

ბურგალი ნ. ბურჭალი.

ბურტყუნი ნ. პუტყუნი.

ბურჭალი (ზ. იმერ.), **ბურგალი** (ქვ. იმერ.) ბავშვების უხეირო ჰიდაობა, თამაში, ცელქობა. ,,ბღარები ბურჭალობენ და მიწაზე ისვრებიენ''. ,,საქმე გამოლეული კაცი ბურჭალს დეიწყებს'' (ნ. ჭყ.; შარაშ. ბურგალი).

ბუყე (ვახ.), **ბუვე** (ქვ. იმერ.) გაურკვეველი ხმაური. ,,როდ ურტყამდი თოხს მიწასა, ბუყე ხმაი ისმოდა. თურმე ჭურები ყოფილა მიწაშია'' (ნ. ბუგეთ).

ბუძე, ბუძუ (ინაშ.), **ბუძო** ძირდადგმული სახლის კარებთან არ-

სებულ ადგილებზე, ურდულის გასაყარის ზევით ჩაკიდებული ადგილი. ოჯახის წვრილმან ნივთებს ინახავენ მასზე (შდრ. ბერ., ქღ.).

ბუძუნღო (ხიდ.), **ნაბურძღანა** (ინაშ.) ყურძნის გაკუმპლული მტევანი (ნ. საბა ბურძღენი, ჰყ. გუძუნძღო, წერ. ბონძღალი, შარაშ. ბუნძღალაი, ალავ. ეთნ. ბორძღვი, 145).

ბუჯერი (ქვ. იმერ.) სამზარეულოს პატარა თარო, რომელზეც მოწყობილობას ინახავენ. სამზარეულოს პატარა კარადასაც ბუჯერს ეძახიან (შდრ. საბა, ჩუბ., ბერ., ქღ., ალავ. ეთნ. 134-135).

ბღარი (ვახ.) ბავშვი. ,,ჩემი ბღარი პაწიაია ჯერე, მარა კავი ქე ჩამეიტანა თიდან“ (მთიდან).

გ

გაბეცება: გაბეცდა, ბეცს დაემსგავსა, თვალთ დაუბნელდა. ,,თორმეტი წლის უნახავი შვილი მუადგა მამასა; უცეფ გაბეცთა მამაი, მარა მერე იცნო შვილი“.

გაბიდნვა (შრშ.) ნაპრალის ან ამოთხრილი ორმოს რითიმე ამოვსება. ,,გვირაბი იყო უწინ იქ, მარა მიწით გაბიდნულიყო და არაფელი აჩთა“.

გაბიდნული ნ. გაბიდნვა.

გაბლიგვება (უბ.), **გალიგვება** (ვანი) ძალიან გაცივება. სიცივისაგან მოძრაობის უნარის დაკარგვა. ,,მისანა სიცივე იყო, რომე სულ გავბლიგვდი, ხელებს ვეღარ ვანძრევდი“ (ნ. წერ. გაბლიკება, ალავ. გალიგვება).

გაბრინჯული პური სუფთა, დარჩეული პურის მარცვალი (შდრ. მენთ. გაბრინჯული).

გაბრუსიალება ძლიერი დარტყმის, დიდი მწუხარებისა ან სიხარულის გამო აზროვნების დაკარგვა, გაბრუება, თავბრუდახვევა.

გაბურძგნული გაბუძგული, თმადაუვარცხნელი, წვერგაუპარსავი.

გაგონვა (შრშ.) გაგონება. ,,მაგის გაგონვა არ მინდა, სტორეთ!“

გადაბარძუკება, გადაფანდალება (ხიდ.) გადაბორძიკება, სიარულის დროს (სიმოვრალის ან რაიმე საგანზე ფეხის წაკვრის გამო) წონასწორობის დარღვევა. ,,თვრალი კაცი გადაბარძუკდება ხან იქით და ხან აქით, აბა რას იზამს?!“

გადაკნაჭვა (ხიდ.) თმის ძირში აღება, გაპარსვა.

გადასაკიდებელი, გადასაკიდელი, გადასაკიდი, გარასაკიდელი (ხ. იმერ.), **ლარძაყინი** (ქვ. იმერ.), ხე, რომელიც აერთებს სახლის

სათავესა და სარტყელს. ასეთი ხე რამდენიმე სჭირდება სახლს. მათზე იჭედება სახურავის ფიცები.

გადასვლა გადაშენება, მოსპობა (შდრ. ჩუბ.; ნ. ჭყ. გადაშენება). ,,მაღლარი ვენახი სულ გადვიდა ჩვენში''.

გადასტვა, გადახერგვა (შრშ.) გადასხლტვა, ეკლიანი საღობავით გადაღობვა.

გადაფანდალება ნ. გადაბარძუკება.

გადაღვედება (ვრძ.) ღვედით, ქამრით ცემა. ,,მათრახი გამამყოლოდა, ერთი ორს გადაგიღვედებდი''.

გადალმიელი (ვახ.) გადალმელი; გადატ. უცხო, უცნობი.

გადალშობა (შრშ.) გადალმა. ,,ეიმ თის (მთის) გადალმომა ბევრი ხალხი ცხოვრობენ''.

გადაცოდინარებული (ვახ.) გადავიწყებული, მახსოვრობისა და ცოდნის შეძენის უნარდაკარგული. ,,გადაცოდინარებული მაქ გული: მე ძველს ვერაფერს გეტყვი''.

გადაწყობა გადაშენება, მოსპობა. ,,ამ სოფელში მუხნარი იყო, მარა ჩემ სინახსორეში გადაწყვა''. ნ. გაწყობა.

გადახერგვა (შრშ.) ნ. გადასტვა.

გაელებული (ქვ. იმერ.) გაცხელებული; 1. გადაჭარბებით გულმოსული, გაცხარებული; 2. ხანგრძლივი სირბილის ან მუშაობის შედეგად გახურებული.

გაერთება (ხიდ.) გაყოფა, გაზიარება (წილის მიცემა). ,,წყაროსან კაცები იქდა. წყალს კი სვავდენ, მარა კაცის ფერი არ ქონდაყე. ერთმა საშმელი ინატრა. მე უთხარიყე: ჩემ საგძალს გაგიერთეფყე და მერე კიდო რაცხას ვიშონი-თქვა'' (შდრ. ჩუბ.).

გათავთავისება (ხიდ.) თავთავისთვის წასვლა, განშორება. ოჯახის წევრთა გაყოფა. ,,ესაები გაათავთავისა სასამართლომ''.

გათითხნილი, გათუთხნული, გათხუპნული ტალახით ან სხვა თხევადი სიბინძურით ძლიერ გასვრილი (ნ. ჩუბ. გათითხნვა, ჭყ. გათხინვა).

გალიბარდის ქუდი (ხიდ.), ბოხოხი, ბუხრის ქუდი (კრაველის).

გალიკნილი გატყაული; გადატ. არაფრის მჭონე. ,,მატმა შეჭამა მუხის ფოთლები და გალიკნილი იდგა საწყალი ხეი''.

გამოპრაწვა თვალისა თვალის ჩვეულებრივზე მეტად გაღება (შდრ. ჭყ. თვალების ბრიალი, ქაჩვა). ,,უცეფ გული მოუდა და გამოპრაწა თვალები''.

გამოფშეტა (ვახ.) გამოშრობა, გამოხმობა; გადატ. მოხუცება.

სიკვდილი. „ამტელი ხნისა ხარ და თვარ გამეიფშიტო, სუიცეკვე“.

გამოკობილი, გამოქვაბილი (შრშ.) გამოქვაბული.

გამოჩალვა ჩალის გამოჭრა, გამომარგვლა.

განაცალი (ქვბ.) განაყოფი. ,,ეიმ ეზოში ჩემი განაცალი ბიძა ცხოვრობს''.

განუქთვა (ვახ.). **განიქვთა** (ინაშ.) გაქვითვა, ანგარიშში ჩათვლა. გაგინიქვთებდი გამოგიკლებდი, გამოგიანგარიშებდი, გამოგინიქვთავდი.

გარამთიელი (ვანი) გადამთიელი, შორებელი.

გასაქმება (ვანი) გაყიდვა, გამოყენება. ,,ერთი საპანე ღვინოს მოქცემ, შენ გეისაქმე და შამოდგომაზე მემეცი''.

გასესვა, გასისვა (ქვ. იმერ.) ძალიან გაძლომა.

გასხლეპვა (ვახ.) 1. გატყავება; 2. გასახმობად ტყავის ჯოხზე გაჭიმვა (ქვ. იმერ. გაწკიპარტება). „დაკლა და გასხლიპა ცხვარი“ (შდრ. საბა გასხირპვა, წერ. გასხეპვა).

გატიტიკება, გაციცინება (სერბ.), **გატიტინება, გატივტივება** (ქვ. იმერ.) ჭურჭლის პირამდე ავსება. ,,მიმიყვანა გატიტიკებულ ზღვაზე''.

გაფენჩხვა (ვახ.) გაკვირტვა, ზედმეტი კვირტის გაცლა. „ვაზს ბევჯელ უნდა გაფენჩხვაი“.

გაფოლოცება (ვახ.) გაცალიერება, განადგურება, განიავება. „მეშენიკების დროს ჩვენში ყოლიფერი გაფოლოცთა“ (შდრ. საბა ფოლორცი).

გაფხეკილი გადატ. გაღატაკებული, არაფრისმქონე.

გაქილაქება სიტყვისა (ვახ.), **გაკილაკება** (შრშ.) სიტყვის გაკილვა, სხვა მნიშვნელობის მიცემა ბგერითი მიმსგავსების მიხედვით. „გამიქილაქა სიტყვაი და ეცინება“.

გაჩაირება სახლისა (ვანი) სახლის კარგად მორთვა, მოწყობა, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

გაჩალანდრებული (შრშ.) გაშეშებული, დაბეჩავებული, ღონემიხდილი. „მუხლები და წელი ძაან მტკივა, ასე ვარ გაჩალანდრებული“.

გაციცინება რაიმე ჭურჭლის პირამდე ავსება. გააციცინეს გოდორი, მაგრამ დააციცინეს გოდრები. ნ. გატიტიკება.

გაცრა: ტანში გაცრა—ძლიერ შეეშინდა (შდრ. საბა, ჩუბ.).

გაცხელებული (ხიდ.) გაცხარებული, გაჯავრებული. ნ. კიდევ გაელებული.

გაძაგრვა ხელ-ფეხის მაგრად გაკვრა, გაკოჭვა; გადატ. შეპყრობა, დაჭერა (ნ. მენთ.).

გაწყობა (შრშ.) მოსპობა. „თხები უნდა გავაწყოთ ისე, რო ერთი არ დარჩეს სოფელში“ (ნ. საბა მოწყუეტა, ჩუბ. გაწყდომა; ნ. გადაწყობა).

გაჭიჭინება პატარა ბავშვის ხანგრძლივი ტირილი. გადატ. ძალიან გულმოსული ადამიანის მიმართაც იტყვიან.

გახირული გარჩენილი. „ჯოხი მაღლა ხეზე იყო გახირული“ (ნ. ჩუბ. გახირვა, შან. სინტაქსი გახიდვა).

გოსორი ადგილი (ვახ.) უნაყოფო, მოუსავლიანი, კლდიანი ადგილი.

გულის პასუხი (ვახ.) გულისთქმა, საიდუმლოება. „არ კი გითხარი, სხვას ნუ ეტყვი შენ გულის პასუხს-თქვა?!“ (ნ. ჩუბ. გულის სიტყვა).

გუნდრუში (ვახ.) საგანგებო მოვლა-მოფერება ბავშვისა.

გურშამო (შრშ.) ირგვლივ (ნ. ბერ. გრულიაშამო, ალავ. გრულშემო, გრულია).

გუშინეწილა გუშინწინ (შდრ. საბა გუშინას წინ).

დ

დაალხვა (შრშ.) კუჭ-ნაწლავის აშლილობა. „ნუღა ჭამ, ბაბუა, კაკალს, თვარა გაწყენს. დაალხა ბღარი (ნ.) კაკალმა“.

დაზიზნული (შრშ.) ძალიან დასვრილი.

დაზმანვა დაზოშვა. „დაიზმანეთ ე ჯოხიო, — უთხრა ვაჭარმა“.

დათვა ნ. კვერნა.

დაკოინებული ნ. დაყიფსული.

დალაღანა, დარლალი (ვახ.) ზარმაცი, მოუხერხებელი, ფიზიკურად სუსტი ადამიანი.

დალიავება დანიავება.

დამაშვა (ხიდ.) აყალო მიწით დაგლესილი ქვევრის თავზე ფხვიერი მიწის წაყრა (ეს უკანასკნელი საგლესს იცავს გამოშრობისაგან).

დამახლოვ (ვახ.) დაახლოებით. „ეზოს დამახლოვ ნახა პერანგი“.

დანდიდრული ვაზი კარგად მოსხმული ვაზი. „ვენახს კარგა აბია, სულ დანდიდრულია“.

დანდალი (ხ. იმერ.) ურმის ხელნების შემაერთებელი ვიწრო ფიცრები. ქვემო იმერეთში დანდალს ეძახიან ხელნების ბოლოში დამაგრებულ სქელ ფიცარს (შდრ. საბა, ჩუბ., ჭყ., მენთ., ყუბ., ალავ. ეთნ. 146).

დაპასუხება (სერბ.) პასუხის მიცემა, სამაგიეროს თქმა, დალაპარაკება. „ძველათ ძალი მამას ვერ დეეპასუხებოდა“.

დაპაყული ტანდაბალი, გვაჯა, ასაკთან შეუფერებელი სიდაბლის მქონე მოზარდი (ნ. წერ. დაპაპყული).

დარლალი ნ. დალალანა.

დარწმელვა (ხიდ.) ჭაჭისაგან ღვინის გამოწურვა საწნახელში.

დასამპლვა (ვრძ.) ჩაყლაპვა. „დევმა სუ დასამპლა ცხოველები, გაძღა და დეიძინა“.

დასარჭვა (ვანი) ორი პირუტყვის თოკით ერთმანეთზე გადაბმა.

დახაქმება (ხ. იმერ.) დავალება, დატვირთვა.

დახიახლოება (ვახ.) დაახლოება. „ამ კაცმა დოუსიახლოვდა სახს“.

დაფეხვილი (ინაშ.) ფეხებდაზიანებული, კოჭლი.

დაღურჭუმალება წყალში ჩაყვითვა.

დაყიფსული (ხ. იმერ.), **დაკოინებული** (ქვ. იმერ.), ძალიან პატარა, დაკნინებული (ნ. წერ. ყვიპსი, დაყვიპსული).

დაციცინება (ქვ. იმერ.) რამდენიმე ჟურჭლის პირამდე ავსება (შდრ. გაციცინება).

დაწრეტა რისამე (ჩვეულებრივ სითხეების) მთლიანად გამოლევა. „ღვინოი კი მაქ, მარა სიმიდზე ვარ დაწრეტილი (შდრ. საბა დაწრედა).

დაჭვირთვა დატვირთვა.

დაჭიმნებული კაცი ბეჯითი, გამრჯე, ერთგული ადამიანი.

დებიერისი (სერბ.) მდებარეობით. „ჩემი ეზოი დებიერისი ვაკე არაა“.

დედაბუდიანა (ზედუბ.) დედაბუდიანად, ძირფესვიანად, მთელი მემკვიდრეობით. „დედაბუდიანა უნდა აქყაროვო, — დეეჩემა გურგენიძე თავის ყმასა“ (შდრ. მენთ.).

დერგი (ხ. იმერ.), **ხალამი** (ქვ. იმერ.), პატარა ქვევრის მსგავსი თიხის ჭურჭელია. მასში უფრო ხშირად ყველს ინახავენ (შდრ. საბა, ჩუბ; ნ. ჟღ.).

დიედა (ზ. იმერ.) დიდედა, ბებია (ნ. შ ა ნ. სინტაქსი დიდი დედა).

დობილო 1. გაუვალი ტყით დაფარული ადგილი (ზ. იმერ.); 2. დაბალი, ვაკე, ჭაობიანი ადგილი — ქვ. იმერეთში (შდრ. ჩ უ ბ., ჰ ყ., ჟ ღ., ა ლ ა ვ. ეთნ. დობირო 130).

დრენდერა კაცი (ქვბ.) მსხვილ-მსხვილი, ჩასუქებული ადამიანი.

ე

ე ეს. „ე ვთქვი და გავათავე".

ეგე ეგ; ეგერ, იქ (ნ. ჩ უ ბ.).

ეიმას იმას.

ემტელა ამოდენა. „ე მ ტ ე ლ ა ბიჭს არ უნდა ეშინოდეს".

ენგრე ეგრე, ასე. „ე ნ გ რ ე არ გვაქ წისქვილები ჩვენე".

ენისჭევლი კაცი (ზ. იმერ.) ენამჭევრი, ოქროპირი (ნ. ჩ უ ბ. ენამჭევრი, ჰ ყ. ენა-მოქარგული, ბ ე რ., შ ა რ ა შ. ენამრავალი).

ერენჭიკა, ელენჭიკა, ირენჭკა ჩიტის დასაჭერი ერთგვარი მახე (ნ. ბ ე რ. ერენჭიკა/ე-ჲ, ჟ ღ. ირენჭკა, ა ლ ა ვ. ლენჯიკა; შდრ. ყ უ ბ. ირეჯი).

ერთიცახე ძალიან პატარა, ფინჩხის ოდენა (შდრ. ჩ უ ბ. ერთი ბეწო, ჰ ყ. ერთცახე, ბ ე რ. ერცუცქნა, ჟ ღ. ერიცახე, ა ლ ა ვ. ეცუცუნა, ყ უ ბ. ერთცახე).

ვ

ვარყა (ხიდ.) არყა სოკო (ნ. ს ა ბ ა ვარყა, ჰ ყ. არყის სოკო).

ვითაბიერი (ფარცხ.) შორებელი, გადამთიელი (ნ.).

ვინც[ა]ხა (ინაშ.), **ვინძლა, ვინძახა** (სერბ.) ვიღაც[ა].

ზ

ზამ: ვიზმოდი, იზმოდი, იზმოდა (შრშ.); ვიზამდი, იზამდი, იზამდა.

ზესადგარი (შრშ.), **ზედადგარი** (ინაშ.) ზედსადგარი (შდრ. ს ა ბ ა ზედადგარი, ჩ უ ბ., მ ე ხ თ., შ ა ნ. სინტაქსი; ნ. ბ ე რ. დგ:).

ზესხო (ვახ.) კვამლში გამხმარი ხორცი, შაშხი. „საწყალი გოგოი ისე იყო გამხმარი, ზ ე ს ხ ო ს ა გავდა".

ზესხონი (ვახ.), **ზესხვანი** (შრშ.) ძირდაგმული, შუაცეცხლიანი სახლის სახურავსა და ჭერს (ასეთ სახლს ჭერად საზოგადოდ ჩელტი ჰქონდა) შორის მოთავსებული ადგილი, სადაც ზოგჯერ ჰირნახულს ახმობენ (შდრ. ს ა ბ ა სხვენი, ჟ ღ. სხვენი, ა ლ ა ვ. ეთნ. ცხვენი 134).

ზვარე (შრშ.) ადგილი, სადაც ვაზია გაშენებული (შდრ. საბა ზვარი; ნ. ჩუბ.).

ზვილება (ვახ.) **ზულება** (ინაშ.) რამდენიმე კაცის (ან საზოგადოდ ცოცხალ არსებათა) ერთად ამოძახილი. „რო იზვილებდენ მოწმეები... სასჯელებს (მოსამართლეებს) ყურები გოუჭრუვდებოდა“.

ზოზინი ნელა, აუჩქარებლად სიარული ან რისამე კეთება (ნ. ჩუბ., ბერ. ზოზმანი).

ზურგი (ხ. იმერ.), **ჰვირთი** (ქვ. იმერ.), ტვირთი. „ამ მოხუცებულს რამდონი ზურგი მოუკიდია?!“ (შდრ. საბა, ჩუბ.; ნ. მენთ.).

ზღუდის ბარტყები ზღუდის ლარძაყინებზე მიჭედებული პატარა ლარძაყინები.

თ

თა (ვახ.) მთა. „ჩვენი საქონელი თაშია მუდნიმ“.

თავათ. თითვან თვითონ.

თაკდოვანი კაცი (შრშ.) დავრდომილი ადამიანი. „მე ერთი თავდოვანი კაცი ვარ. სიარული აღარ შემიძლია და ვის რა უნდა წოუხთინო?!“

თავ|ნი კაცი მეთაური, პატივსაცემი, ჭკუის საკითხავი ადამიანი (ნ. ჭყ.).

თავის წათხრა (ქვ. იმერ.) ნ. დამაშვა.

თავცემა (ვახ.) ტირილის დროს ხელების თავ-პირში ცემა, დიდი მწუხარება. „ბევრი ვითავცემე შვილების გამო: სამი შვილი მამიკვდა. აბა, სიხარული სა მექნებოდა?!“

თაობისად (მოლ.) თაობიანად, თავიდანვე, ძველთაგანვე.

თახთახი ძლიერი სიცივის ან შიშისაგან გამოწვეული კანკალი, ცახცახი (შდრ. წერ.).

თერგი (ხ. იმერ.), სატოხი (ქვ. იმერ.), სატეხი (ნ. ჭყ. თენგი, ალავ. ეთნ. თეგი 158).

თილა (ბზვ.), ფთილა (ხ. იმერ.), დასართავი მატყლის ან ბამბის პატარა ნაჭერი (ნ. საბა, ჩუბ. ფთილა, ფრთილა).

თილიში, თირიში, ჭილიში, ჭირიში (ხ. იმერ.) კოჭი. თილიშებზე ჭერისა და იატაკის ფიცრებს აჭედებენ (ნ. ბერ. ქილიში, ალავ. ეთნ. ქირიში 132).

თლანქვა (ქვ. იმერ.) უწესოდ, უზრდელად ჭამა (ნ. შეთანთქლვა).

თურთქლები (ინაშ.) ასაკის მიხედვით ერთიმეორეზე მომდევნო რამდენიმე პატარა ბავშვი (ნ. ჰყ. ოთორთქლები, ალავ.).

თუშა ნ. ლაშქინი.

თუხთუხი (ქვ. იმერ.) მადუღარი ჭაშის ან ღომის ხმა ქვაბში. „ღომი ძაან თუხთუხობს ქვაბში“ (შდრ. საბა).

ი

ი (ქვ. იმერ.) ის.

იაია იას ყვავილი.

იგოგი (ზ. იმერ.) სახლის ჭერზე აღმართული ორი ხე, რომლებზედაც სათავეა გადებული.

იგოგის ჯუდი (ზ. იმერ.) სათავე სახლისა.

ილინცრად (ქვ. იმერ.), **ილინცურად** (შრშ.) ირიბულად (ნ. წერ. ირმიცულად).

იმა დროს იმ დროს.

ინგლესი სოფ. შროშაში (ზესტაფ. რაიონი) ინგლესს ეძახიან თიხის ჭურჭელზე (უმთავრესად ჭინჭილაზე) წასასმელ საგანგებოდ დამზადებულ წამალს. მას ასე ამზადებენ: დაფქვავენ ბროლის ჭიქის ნატეხებს, შიგ შეურევენ ტყვიას, კალასა და ცოტაოდენ შავ საღებავს ან შავი ქვის ფხვნილს. ნარევს წყალში გაქნიან. გამომწვარ ჭურჭელს (ჭინჭილებს) გარეთ წაუსვამენ და მეორედ გამოსწვავენ. ამ უკანასკნელი გამოწვის დროს საღებავი ჭურჭლის კედლებში შედის და მის განუყრელ ნაწილად იქცევა. ამჟამად სოფ. შროშაში ათიოდე კაცს თუ ეცოდინება ინგლესურით (ინგლისურით) ჭურჭლის დამზადება (ნ. მენთ. ინგლისი).

ინდელი (ვახ.) იმდენი.

ისი (ზ. იმერ.) ის (ნ. ჩუბ.).

ისჭნა ამ სიტყვას საუბარში უმთავრესად მაშინ ხმარობენ, როცა მოსაუბრეს არ სურს გამოამჟღავნებულად გამოთქვას თავისი აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ანდა ფიქრობს, რომ ამ სიტყვის შემდეგ თანამოსაუბრისათვის ყველაფერი გასაგები იქნება. „ვეხვერწე მამეცითქვა, მარა არ ისჭნა“ (ნ. ბერ. ჭნა).

იჯრაჯი (ვახ.) რიჟრაჟი, განთიადი. „დილას, როცა იჯრაჯი წამეეიდა, გამეეედი გარეთ და ყველას დოუძახე“.

კ

კაკალი (ზ. იმერ.) ნიგვზის ხის ნაყოფი. ქვემო იმერეთში კაკალი ჰქვია რისამე (ნიგვზის, ტყემლის, სიმინდის, პურის, სოიას, ლო-

ბიოს, ღომის და სხვათა) მარცვალს (ნ. საბა, მაყ.; შდრ. ჩუბ., ქღ).

კანდრი (ქვ. იმერ.) სამატი (ნ.), აჩაჩა ურმის (ნ.) უღლის შუა ადგილზე ლაშქინების (ნ.) მისამაგრებელი ღვლეჭი ან დაგრეხილი ტყავი (შდრ. ბერ. კანდრივი, წერ. კანდრიბი).

კანჯო (შრშ.) აჩაჩა ურმის უღლის შუა ადგილზე დაჭედილი რკინა, რომელიც კანდრს (ნ.) იჭერს რომელიმე მხარეზე გადაჩოჩებისაგან (ნ. საბა, ბერ.; შდრ. ჩუბ.).

კასკასა წმინდა, ანკარა. „ღვინოი დეიწმინდა, როგორც კასკასა ისია".

კაჩა (ვახ.) შუაცეცხლზე დირედან ჩამოშვებული ხე, საქვაბე (შდრ. საბა, ჩუბ., ბერ. კაჩალო, მენთ. კაჩო, ალავ. ეთნ. 134).

კაჭუნი (ქვ. იმერ.) ორი ქვის ერთმანეთზე ცემა. გადატ. კოჭლობით სიარული.

კედლი[ს]ტილა (შრშ.), **კეტენტილა** (ქვ. იმერ.) ბაღლიჯო (ნ. ალავ.).

კეკველა (ძირ.) წისქვილის სარეკელა

კვანტალი სხეულის მთელი ტანით განუწყვეტელი მოძრაობა (შდრ. შარაშ.).

კვერნა, რკვენა (ზ. იმერ.), **დათვა, ყვერა** (ქვ. იმერ.) ზესადგრის ქიმები, რომლებიც ღერძს უკან წასვლის საშუალებას არ აძლევს (ნ. საბა კუერნა, ჩუბ. კვერნა; მენთ. კვერნა, ყვერნა; წერ., ალავ. ეთნ. დათვა 139).

კიბო (ვახ.) კიბე.

კიკიტი (ზედუბ.), **კიწი** (ვახ.) ჩხირი, ფიჩხი. „ინ ხეს ახლა ანხელა კიკიტს ვერ მოტეხამ".

კინკლავი დავა, ჩხუბი. „შოუდგათ კინკლავი" (შდრ. საბა, ჩუბ. კინკლაობა).

კინკრიხი (ხიდ.) საჭიროების მიუხედავად აქეთ-იქით სწრაფი მიმოსვლა (შდრ. ჩუბ.). „დავკინკრიხოფ პატარძალი, ყოლიფერს ვაკეთეფ. მივკინკრიხოფ და მიმაქ სტოლზე საჭმელები".

კინჩხა (ვახ.) რისამე პატარა ნაჭერი (შდრ. ერთი ფინჩხა).

კინჩხი (ვანი) კისრის უკანა ნაწილი (შდრ. ბერ.).

კინწოლო, კონწოლო, კონწორო (ქვ. იმერ.); **კინწორი** (ზ. იმერ.), კენწერო, მცენარის წვერი, უკანასკნელი გაწვრილებული ნაწილი (ნ. საბა კენწერი, ჩუბ. კენწერი, კეწერი, ბერ. კინკორი, მენთ. კინწერი, წერ. კინწალი).

კირკლები ასაკით ერთმანეთზე მომდევნო პატარა ბავშვები, თურთქლები (ნ. შარაშ. კირკლი, ქღ. ჭან. კირკოლური).

კიტაია კვახი (ვახ.) შავი კვახი (ქვ. იმერ.), ხოკერა კვახი.

კიწავი (ინაშ.) ბავშვების მიერ ერთმანეთის ტანსაცმელში ხელის ჩაკიდებით ჭიდაობა.

კიწი (ვახ.) ნ. კიკიტი.

კოდი (ვახ.) ხის საწყაო ჭურჭელი 4, 6, 8, 10 ბათმნის ტევადობით (შდრ. ჩუბ., ჭყ.). ქვემო იმერეთში ფქვილის ჩასაყარ ხის ჭურჭელს ეძახიან კოდს (შდრ. საბა, წერ., ალავ. ეთნ. 147, შარაშ.).

კოთი (ვახ.) შეკაზმული ტყემლის წვენი, რომელსაც საზოგადოდ ხორცის საწებლად ხმარობენ (ნ. წერ. ტკოთი).

კოლიფა (ქვ. იმერ) ხის მოკლე ნაჭერი.

კოტა რიკი, რომელიც რაიმე მიზნით ხეშია ჩასმული (კედლის კოტა, ჭერის კოტა, ურმის კოტა და სხვა (ნ. საბა, ბერ., მენთ.; შდრ. წერ., ალავ. ეთნ. 139).

კოტორი დასახერხად განზადებული ხე. ზემო იმერეთის ზოგ სოფელში გაუთლელ ხეს „კოტრს“ ეძახიან (შდრ. საბა, ჩუბ., ბერ., ყუბ.).

კოჭაყური ნ. რაზა-კოჭა.

კრიჭა ნ. ლაკორია.

კუდრუცუნა კუდმოკლე მოკლე ტანსაცმლის შესახებ ითქმის (ნ. წერ. მოკუდრუცუნებული; შდრ. შარაშ. კუდალაი).

კუკუნახი ღამე (ინაშ.) ძალიან ბნელი ღამე (ნ. ბერ.).

კურწუმელა (ქვ. იმერ.) ეკალღიპის ფოთოლი.

ლ

ლაკორია (შრშ.), **ჯამჯამა** (ქვ. იმერ.) ხვიმირიდან გამოსულ ხორბალს აწვდის დოლაბს (ნ. ჭყ., ალავ. ეთნ. ლაკორა 142).

ლატა (ვახ.), **ლარტყა** (ხიდ.) ფინი შდრ. საბა ლატანი; ნ. ჩუბ. ლიტანი, ბერ. რტყ., ქღ. ლარტყა).

ლაშქინი, ჰიფხიკი, მარხილი (ხ იმერ.), **თუშა** (ქვ. იმერ) ზესადგრის გახვრეტილ თავებში ამოსაყარი ქიმიანი ხე (2 ცალი), რომელიც მეორე თავით უღელზეა მიმაგრებული კანდრით (ნ.; შდრ. ბერ. მარხილი, ალავ. ეთნ. თუში 140).

ლეფორთი, ლიფორთი ფოთოლი.

ლეშტერი ამინდი ძლიერ წვიმიანი ამინდი. „ამისანა ლ ე შ ტ ე რ ამიდში კაცი ვერ იმუშავებს“ (შდრ. ს ა ბ ა; ნ. ჩ უ ბ., ჰ ყ. ლეს ტერი).

ლეშჭი (ქვ. იმერ.) საქონლის საჭმელად გამზადებული სხვადასხვ მცენარის ფოთოლი ან ფოთლიანი ტოტები. „ბოვშვს უთხარი, ლ ე შ ქ ი მოუტანოს ძროხას“.

ლეშქრება: „სიმიდი ი ლ ე შ ქ რ ე ბ ა და ტაროს არ ეძებს“, ილე შქრებაო, — მცენარის მიმართ იტყვიან მაშინ, როცა იგი გარეგნუ ლად კარგად გამოიყურება, მაგრამ ნაყოფი არ უჩანს.

ლიავლვარი ნიაღვარი.

ლიანგი ხალხი (ხიდ.) ბევრი, დიდძალი ხალხი (ნ. ჰ ყ.).

ლინგა ყავარი (ვახ.) ყავარი, რომელიც ზღუდეებთან იხმარება ამ ყავარს ერთი თავი ირიბულად აქვს წათლილი. ქვემო იმერეთში მას მუხუროს ყავარს (ნ.) ეძახიან (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ლინგი).

ლონთქი, ლორთქი (ხ. იმერ.), **ლორთქოშა** (ქვ. იმერ.) ახალი, ჩვილი ახალგაზრდა. „ლ ო ნ თ ქ ი ფოთელი მოუტანე ხპოს“ (ნ. ბ ე რ ლორთქოში, შ ა რ ა შ.).

მ

მა მაგ. „მ ა სოფელს სუ ბატონი ფლობდა“.

მადოური (ხ. იმ.), **მაქოური** (ქვ. იმ.) მაქაური (ნ. ჩ უ ბ.).

მადიერი (ვახ.) მადლიერი.

მაიდანი (ხ. იმერ.) მაქედან (ნ. ჩ უ ბ.).

მამის ჩუმა მამისაგან დამალულად, მამის გაუგებლად.

მანობამდის მანამდის.

მანჭო ნ. ჭალა.

მარხილი (ხ. იმერ.) ნ. ლაშქინი.

მასუკანი (ხ. იმერ.) მას უკან, მას შემდეგ (ნ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. მას უკან, მ ე ნ თ. მესკვან). „ერთხელობა შევხვთი ძირულაში; მ ა ს უ კ ა ნ ი არ მინახავს“.

მაშვა ნ. დამაშვა.

მაშვინათე მაშინათვე, მაშინვე.

მახალოზი (შრშ.) ლამაზი ვაჟკაცი, მალხაზი.

მებედისწრე (ვახ.) ბედის მწერალი, წინასწარმეტყველი (ნ. მ ე ნ თ. ბედისმწერელი, წ ე რ. მებედისწერე).

მეპურმარილე (ვახ.) პურმარილის მოყვარული ადამიანი, სტუ- მართმოყვარე.

მერდიმი (ქვ. იმერ.) სამტკიცი (ხ. იმერ.), წმინდა საცერი (ნ. ალავ.).

მერჩი, მენჩი (ვახ.) ჭერი; ჭერის ფიცარი. „მერჩიდან ჩამუარდა კატაი და დეეცა ბღარსა“ (შდრ. ბერ., წერ.).

მესვრელე (წევა) სვრელის (ნ.) განმსაზღვრელი, მეთოხური, რომელიც დაუმუშავებელი მიწიდან გამოჰყოფს ნაკვეთს დასვენებიდან დასვენებამდე სამუშაოდ.

მეცარი (შრშ.) გულთმისანი, წინასწარმეტყველი (შდრ. საბა).

მიეთ-მეეთი მიეთ-მოეთი, ცუდი სიტყვის მიმტან-მომტანი, ფლიდი, ფარისეველი. „სიმწარე და სიხარული მიეთ-მეეთია, ვორიევემ აყეფება იცის“ (შდრ. ბერ.).

მინკლოვა მიკვლევა, კვალის პოვნა, მიგნება.

მიჭლოი (ხიდ.) ყვითელი ფერის სოკოა (ნ. ჭყ. სოკოები).

მიყუჟვა, მიყუჩვა შევიწროებულად, წყნარად გაჩერება.

მიყუჩული ნ. მიყუჟვა.

მოდავინება (შრშ.) მოხერხებულად, მომგვანებულად მოხრა. „ჩაფის შიგნიდან მოუდავინებს ხელს და ისე მუშაობს“.

მოკაკუჭება რისამე მოხრა, კაკუჭის გაკეთება. გადატ. მოხრილი ან კოჭლობით სიარული (შდრ. საბა კაკუჭ, ჩუბ. მოკაკვა).

მოკუნტვა მოდრეკა, მოხრა (შდრ. ჩუბ.).

მომატება გასუქება, გამდიდრება. „ძაან მეიმატა, ბიძია, კოლექტივში გლეხებმა“.

მომგვანო მომგვანებული, მოხერხებული, მორგებული.

მოპერვა 1. ქაფის მოხდა (შდრ. ბერ. ჟვეპო; ნ. წერ. მოჟვეპრვა, შარაშ. მოპიზმიტება); 2. გაუმაძღრობა. ვერაფრით მოვპერე, ვერაფრით გავაძღე, დავაკმაყოფილე (ქვ. იმერ.).

მოჟეჟლვა (ვახ.) წნელის მოღლეჭა, დაგრეხა (ნ. საბა, ჩუბ. ჟინჟღილი, წერ. მოჟენჟღვა).

მორაგვა კეტით კეტით ცემა, გალახვა. „დეესიენ და ჭე მორაგვენ ე კაცი კეტით“.

მორგვი ნ. ხუნდი.

მორჩი (ვახ.) მორჩილი, შედარებით პატარა. „მაგ უფრო მორჩი ტევადობისაა (შდრ. საბა, ჩუბ., ყუბ.).

მოსაკლისება (ვახ.) დაკლება, მოკლება. მოუსაკლისებია დაკლებული მოჩვენებია.

მოსწრილი (ხიდ.) მომსწრე. „მოსწრილი ვარ ბატონყმობისა“ (ნ. ჩუბ. მოსწრება).

17. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.

მოტლიაკებული (ვახ.) მოტლეკილი ადგილი, რომელზეც ბალახიც კი არაა. „მოტლიაკებულ მიდორზე რას ჰამს ძროხაი?!“

მოფთხობა (ძირ.) ფეხებმორთხმული ჩაჯდომა.

მოფოხვა სახელდახელოდ რისამე აგება; რაიმე საქმის წვალებით დამთავრება (ნ. ქღ. ფოხვა, მოფოხვა).

მოყლონჭვა თოკის ყლონჭში (ყელში) მოჭერა. გადატ. რაიმე საქმის წარმატებით დამთავრების შესახებაც იტყვიან.

მოჩიჩქნა, მოჩუჩუქნა მიწის ცუდად დამუშავება, უწესრიგოდ მოთხრა. „ბღარებმა (ნ.) მოჩიჩქნეს სავენახე მიწაი“ (შდრ. ჩუბ.).

მოცარუხობა (სერბ.), **მოცახუნება** (ქვ. იმერ.) კოჭლობით მოსვლა.

მოძევა მონახვა, დაძებნა, დახედვა.

მუდნიმ (ვრძ.) მუდმივ.

მუსაიფი (ვახ.) თეთრი კვახი; ქვემო იმერეთში კი საუბარს ნიშნავს.

მუშკი (ქვ. იმერ.) რბილი, ელასტიური, მოქნილი (ნ. საბა ბობოწვერა; შდრ. ჩუბ.).

მუხუროს ყავარი ნ. ლინგა ყავარი.

მყადი (შრშ.), **მყარტლი** (ძირ.) ობი (ნ. ჩუბ. მყაყი, მენთ. მოყაპვა).

ნ

ნაბურძღანა ნ. ბუძუნღო.

ნაკუდი (შრშ.). **ნაკუდარა** (ინაშ.) ნარჩენი, კუდისაკენ გადაჭრილი, უვარგისი ნაწილი. გადატ. პატარა.

ნასინსვალი (ძირ.) საზოგადოდ ნამცხვარის პატარა ნამცეცი, ნაფჩხვენი. „პურის ნასინსვალი გადაყარე“.

ნაფინცქვალი ხის ნათალის ნაფოტზე უფრო პატარა ნაჭერი.

ნელ-ნელაობით ნელნ-ნელა. „ნელ-ნელაობით კიდო შემიძლია მუშაობაი. კოლექტივში ვორასი დღეი მაქ ნამუშევარი“.

ნირი (ვახ.) ზნე-ჩვეულება, ადათი, წესი. „კაი ნირის კაცია ჩვენი ივანე“. „კაი ნირის ამინდი დეიკავა ამ თვემ“ (შდრ. საბა, ჩუბ.; ნ. ჭყ. მენთ.).

ნოგა (ვახ.) ძროხის საწველი ხის ჭურჭელი (შდრ. მეგრ. ნიგა; ნ. ქღ. ნიგა, ალავ. ეთნ. 150).

ნუქთვა ნ. განუქთვა.

ო

ობახიანი, ომაქიანი (ხედუბ.) ომახიანი, ფიზიკურად ძლიერი, გამბედავი. აგისა და კარგის მცოდნე (შდრ. ჩუბ.). „ნიკალაი კაი ობახიანი კაცი იყო“.

ონჯარო (ხ. იმერ.) წისქვილის საფქვილე ყუთი (ნ. ჩუბ. ონჯარი; შდრ. ბერ., წერ.).

ორგო სარქველი. მრგვალი მოყვანილობის ფიცარი. თუ ქვევრი დიდია, სარქველი ორი ან სამი ნაწილისაგან შედგება (ნ. ბერ., ალავ. ეთნ. 147).

ოროში 1. ცომის გასაბრტყელებელი ჩოგანი (ნ. ალავ. ეთნ. 151; შდრ. საბა ჭრომი); 2. ქვემო იმერეთის ზოგ სოფელში (ინაშ., ბზვ.) ორომს ეძახიან შეგუბებულ ღრმა წყალს, რომელსაც საბანაოდ იყენებენ. „ოროშზე წეიყვანა ცხენი დასაბანათ“.

ორშიმო, ორშუმო (ქვ. იმერ.) ქვევრიდან ღვინის ამოსაღები სპეციალური ჭურჭელია (შდრ. ბერ., შარაშ. ორშუმი, ოშუმე).

ორჩარეჭიანი (ვახ.) ჭურჭელი, რომელშიაც ორი ჩარეჭი ჩადის. „ვორჩარეჭიანი ღვინოი მამიტანა“

ორხელი (ხიდ.) 1. ორტარიანი ჭურჭელი, რომლითაც ქვევრიდან ნარეცხ წყალს იღებენ; 2. გობის საწმენდი (დამზადების დროს) სპეციალური იარაღი (შდრ. ჩუბ. ორ-ხელი, წერ.).

ოწვეთო (ქვ. იმერ.) ადგილი, სადაც სახლის სახურავიდან წვეთები ეცემა (ნ. ჟღ. ოჭვათო. მეგრ.).

პ

პაპია (ვახ.) ბაბუა.

პარ: გაანაპრალა, მოიპარა, გაანადგურა „გაანაპრალა ცხვარი გელმა თაში“.

პაყვი პატარა, დაგვაჯული კაცი (ნ. წერ. პაპყვი).

პაჭანიკი (ინაშ.) შარვლის ტოტების ბოლოს ორ მხარეზე მიკერებული ზორტი, რომელიც ფეხის გულშია ამოდებული და შარვალს ზევით არ უშვებს (ნ. საბა პაჭანაგი, ალავ. ეთნ. 155).

პიმპილა სოკო ერთგვარი მწარე სოკო.

პირამოჭმელი პირში მთქმელი, გულახდილი (ნ. ჭყ.).

პორტიკო (სერბ.) სპოტიო (უბ.) რბილი და შედარებით მჩატე საშენი ქვა.

პორჭიკი არააუცილებელი საქმის კეთება. „რას პორჭიკობ! რაცხას აკეთებ, მაგე სულ არაა საჭირო“ (შედ. წერ.).

პორჭყინი (ვახ.) ხელებით ჩაბღაუჭება, ხელის წაპოტინება. „ვენახი იყო ჩამოკიდებული და ეიმას დოუწყე პორჭყინი“.

პრაწვა ნ. გამოპრაწვა.

პუტყუნი, პურტყუნი, ბურტყუნი უწესრიგო, ჩქარი, გაურკვეველი ლაპარაკი.

ჟ

ჟენჟღვა ნ. მოჟეჟღვა.

ჟგეთი (ქვ. იმერ.) ძლიერი წვიმა (ნ. ჭყ. ჟგლეთი, ბერ. ჟგეთა).

რ

რავა, როვა როგორ.

რაგვა (არს. სახ.) სალობავი (ნ. ჭყ. რაგვი). „რაგვაი არ იშოვება“.

რაგვა (საწყ.) რისამე (ღობის, ძარის, ბუდის, საჩეჩქის თუ მისთანათა) წნევა.

რაზა-კოჭა, კოჭა-ყურა კარის საკეტი, სარაზაური (ნ. ჩუბ. რაზა; ნ. კოჭა-ყურა).

რამდი (სერბ.) სანამდის. „რამდი მოქვყვა ი ბიჭი?“

რალაი (ვახ.) რაკი. რადგან. „რალაი არ მოსულა, მამას შვილის ძებნაი დოუწყია“.

რკვენა ნ. კვერნა.

რკო ვენახი ვაზის ერთი ჯიშია, რომელიც ორჯონიკიძის რაიონში კარგად ხაროობდა.

როკი (ხიდ.) გამხმარი ტოტი, მოჭრილი ხის ძირი, ძნელად დასაპობი ჯირკი. „ვაშს მოტყტა როკი“. „როკი უნდა მოაჭრა ხეს (შდრ. საბა, ჩუბ., ბერ.).

რუისისთავი ადგილი, საიდანაც წისქვილის წყალია გადმოშვებული (რუის თავი). აღნიშნულ ადგილს ქვ. იმერეთში წისქვილის საათავეს ეძახიან.

რუსული კოპიტი (ვახ.), **ყრუალა ხე** (ინაშ.) ხემყრალი.

რჭაშაპი ქაშაპი, თევზის ერთი სახეა.

რწმელვა ნ. დარწმელვა.

ს

საბუშური ბარტყები (ვახ.) ზღუდის ბარტყები, პატარა ლარძაყინები.

საბღარო საბავშვო (ნ. ბღარი).

საგვა თავისა თავის მოჭრა. მოსაგვა თავი — წააგდებინა თავი (შდრ. ბერ.).

საზედაო სარცხელი ზევიდან სარეცხი, პატარა ჭურის სარეცხი ხელსაწყო.

საკირკიტო ძალიან საწვალებელი. „დიდი რამე საკირკიტო საქმია ჩემი ხელობაი“ (ნ. ბერ. კირკიტი).

საკისური უღლისა (შრშ.) უღლის ის ნაწილი, რომელსაც ხარის კისერს ადგამენ.

სამატი (ხ. იმერ.) ნ. კანდრი.

სამაშნავი (ვახ.) დაგლესილი ქვევრის თავზე დასაყარი ფხვიერი მიწა (ნ. დამაშვა).

სამინდო მინდის ასაღები პატარა ჭურჭელი (შდრ. საბა, ჩუბ. სამინდალი, სამინდო).

სამპლვა ნ. დასამპლვა.

სამჩარეკიანი (ვახ.) ჭურჭელია, რომელშიც სამი ჩარეჩი ჩადის.

სამხელობას (ქვბ.) სამჯერ.

სანარცხე (შრშ.) სარეცხი. საზოგადოდ ტამტის მსგავსი ჭურჭელი. წყლიანი ყუთი, რომელიც კრამიტის საჭრელ დაზგასთან არის. მით სარგებლობს კრამიტის მჭრელი — ასველებს კრამიტის მიწას ან ხელს იბანს (ნ. ჩუბ. სარეცხელი, წერ. სანარცხი, სახელნარცხი).

სანაღა (ვახ.) სადღა.

სარეკელა მოკლე, მოხრილი ჯოხი, რომელიც ერთი თავით წისქვილის ქვას ეხება, ხოლო მეორეთი კრიჭასთან (ნ.) შეერთებულ სარეკელას უღელზე (ნ.) არის მიმაგრებული (ნ. ჩუბ. სარეკელი, ალავ. ეთნ. სარეკელა. რიკრიკა).

სარეკელას უღელი ხე, რომელზეც სარეკელაა დამაგრებული.

სარეკი (ხ. იმერ.) ურმის ხელნებზე (ხარების უკან) მოთავსებული ხე, რომელიც ერთი მხრით ხარებს არ აძლევს საშუალებას ბორბლებში შეევარდნენ, მეორე მხრით ბორბლებს წმენდს ტალახისაგან. დაღმართზე სარეკი დამჭერის ფუნქციასაც ასრულებს (შდრ. მენთ.).

სარცხელი (ხ. იმერ.), **სარეცხელი** (ქვ. იმერ.) ქვევრის სარეცხი ხელსაწყო (ნ. ჩუბ. სარეცხელი. მენთ. სარცხი. ნ. კიდევ საზედაო სარეცხელი, ალავ. ეთნ. სარცხი 147).

სასხლეპა (ხ. იმერ.), **სასხლავა** (ქვ. იმერ.) მცენარის ტოტების გასასხლავი ან გასასხეპი იარაღი (ნ. საბა, ჩუბ. სასხლევი; შდრ. წერ. სასხლები).

საფენალი (შრშ.), **ფირფილა** (ქვ. იმერ.) ზესადგრის გვერდითი ხეების შემაერთებელი ვიწრო და მოკლე ფიცრები.

საქვედაო სარცხელი „ჩასავალი ქვევრის სარეცხელი". ამგვარ სარეცხს მოკლე ტარი აქვს.

საქმება: ესაქმება — ეუფლება. „ვორ გექტარს ესაქმება ჩვენი კლასი". ე. ი. ორი გექტარი აქვს ჩვენს სკოლასო (შდრ. ჩუბ.).

საქოჩრე (შრშ.), სათავე სახლისა (ქვ. იმერ.), ხე, რომელზეც ლარძაყინების ზედა თავებია დამაგრებული.

საყენებელა (ხ. იმერ.), საგუბარი (ქვ. იმერ.), ფიცარი, რომლითაც წყალს შეაკავებენ წისქვილის ღარში (შდრ. წერ.).

საყენებელა კეცისა (ხ. იმერ.) კეცის შესაყენებელი (ქვა, აგური და სხვა).

საჩეხე (ხ. იმერ.), **ფარეხი** (ქვ. იმერ.) პირუტყვთათვის მიჩნეული ადგილი (ნ. საბა,, ჩუბ., მენთ. საჩეხი, ალავ. ეთნ. საჩიხე 132).

საძლევი (შრშ.), **ჰოკი** (ქვ. იმერ.) ანძაზე ჩალის კონის მისაცემი გრძელი ჯოხი.

საწელავი (ხ. იმერ.), **შავი ხე** (ქვ. იმერ.) ხე, რომელიც სახლის სიგრძეზე აერთებს ორ მოპირდაპირე საძირკველს. ამ ხეზეა ჩაჭდობილი იატაკის დასაგები კოჭები (ნ. მაყ. საწელური, ჭყ. საწენური).

სესვა ნ. გასესვა.

სვრელი დასვენებიდან დასვენებამდე სამუშაოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი (ნ. ალავ. ეთნ. 138).

სიმახსოვრე, სინახსორე მახსოვრობა.

სირჩა კუთვნილი წილი. „ჩემი სირჩა ღვინოი დალიე" (შდრ. ჩუბ.).

სუ სულ.

სუკი (ხ. იმერ.) ოთხკუთხედად გათლილი ხის წიბურები (ან საერთოდ წიბურები). ქვემო იმერეთში სუკი ჰქვია დასახერხად გამზადებულ, ოთხკუთხედად გათლილ ხეს (შდრ. საბა, ჩუბ., წერ.).

სხლეპვა ნ. გასხლეპვა.

ტ

ტან: იტანა — გადაიტანა, მოკლა. „გომურები ჩამეინგრა და ერთი ხუთი ქეც იტანა, საწყლები".

ტანტალი ფეხშიშველა სიარული. გადატ. უსაქმოდ ხეტიალი (შდრ. საბა, ჩუბ.; ნ. კიდევ ბერ.).

ტარტყლი ნ. ყლარტი.

ტატყანი, ტინტილი უთავბოლო, უსაგნო, განუწყვეტელი ლაპარაკი. „რას ატატყანეფ ენას?“ (ნ. ბერ.).

ტინტალი ტიტველი.

ტინტილი ნ. ტანტალი.

ტლაშუნი, ტყლაშუნი (ვახ.) მაღალ ბალახიან ადგილში სიარულის დროს გამოწვეული ხმაურობა.

ტლუნკი (შრშ.) რკინა, რომელიც ურმის მორგვის შიგნითაა მოთავსებული.

ტლუკი დიდი, მოსული, ფიზიკურად ძლიერი (ნ. ჩუბ. ტლუბიჟი, ალავ. ტლუკვი).

ტრედო (ზ. იმერ.), **ტრედუა** (ქვ. იმერ.) ერთგვარი სოკოა (ნ. საბა, ჩუბ. ტრედა, ჭყ. სოკოები).

უ

უზერი ალაგი უმზერი, მიუვალი ადგილი.

უნახავა (ქვ. იმერ.) ხელიკის მსგავსი ქვემძრომი ცხოველია. ხშირად შეხვდება კაცი დიდიხნით მიტოვებულ ქვევრში (ნ. შარაშ. უნახველა).

უსიერი ტყე (ვახ.) გაუვალი, უდაბური ტყე.

უტარუა ჩალა (ინაშ.) სიმინდის უტაროო ღეროო.

უღამური, უღამღამო დღენაკლული, სუსტი, უძალო.

უღამღამო ნ. უღამური.

უხიერი (ვახ.) ღარიბი, ღატაკი. „მე არაფელი მაქ: უხიერის შვილი ვარ, შენ კი ნეფეო,—უთხრა ქალმა ხემწიფის შვილს“ (ზღაპრიდან).

ფ

ფათარობა (ვახ.) ხელების განუწყვეტელი მოძრაობა, შეუსვენებლივ მუშაობა. „ძალიან ვფათარობდი, შეძლებული ქალი ვიყაი“.

ფანდალი უსწორმასწორო სიარული (შდრ. საბა, ჩუბ., ჭყ.; ნ. გადაფანდალება).

ფარდი (ქვ. იმერ.) ძარი; მასში 10-20 ფუთამდე სიმინდი ჩადის.

ფარეხი ნ. საჩეხე.

ფარფალი (ზ. იმერ.) ქვევრის თავის ბრტყელი კიდე, რომელზეც სარქველს ათავსებენ.

ფარცუხი (შრშ.), **ფაცური** (ქვ. იმერ.) საქმის აჩქარებულად კეთება.

ფაფხუნი (ძირ.) დამუქრება. „დოუფაფხუნა ბატონმა და თვალები დააოხრევია“ (ნ. ჭყ. ფაფხური).

ფინჩხა (ინაშ.) ნამცხვრის ნაფშვენი, ნამცეცი. გადატ. სულ ცოტა, ძალზე პატარა. „ჰადის ფინჩხები ქათამს დოუყარე“. „ფინჩხას ვერ მოვაკლეფ; იგი სხვა რამეიზა მინდა“ (შდრ. ჭყ., წერ. ფინჩქი).

ფირფილა ნ. საფენალი.

ფირფილი (ქვ. იმერ.) წისქვილის ბორბლის ფრთა (ხ. იმერ.)

ფიშხა (ვახ.) „პაწია ფიშხა კაცი იყო თურმე“ (ნ. ერთიცახე).

ფიცხობა „ხანდახან ჰურჭელი ქე მიფიცხებს ხომე და დემენტვრევა“.

ფორჟიალი (ძირ.) ავკარგად ყოფნა, ავადმყოფის სიარული. „მაგ (ცოლზე ამბობს მოხუცი) მაფორჟიალებს, თვარა ჩემი საშველი არ იქნებოდა“.

ფოფიალა, ფუტკარი ქათმის მკბენარი; სულ პატარა გოგონას მიმართაც იტყვიან: ჩემი ფოფიალა გოგოო (ნ. ბერ. ფუთქარი).

ფოშტა ხე (ვახ.) ოთხკუთხედად გათლილი ხის სწორი გვერდი, რომლიდანაც ხერხვას იწყებენ. ზოგის განმარტებით — ხის გვერდებზე ჩამოხერხილი ფიცრები, ნაგვერდულები (შდრ. ბერ.).

ფოხალი (ვახ.) ბათმანი — 12 კილოიანი ჰურჭელი (შდრ. საბა, ჩუბ., ჯავახ. საფ.-საზ., 79, 109, 110; მაყ., მენთ., ალავ. ეთნ. 147).

ფოხლი მეოთხედა (ვახ.) მეოთხედი ბათმანი, სამკილოიანი ჰურჭელი.

ფ[რ]ჩხილა ნ. ჭალა.

ფსიორა ჟძალო, ულონო. (შდრ. ჭყ., ჭღ; ნ. ბერ. ფსიორი).

ფუთქუნა, პუტკუნა კარგად გასუქებული.

ფუტკარი ნ. ფოფიალა.

ფშეტა ნ. გამოფშეტა.

ფშტვირი, შტვირი (ხ. იმერ.) წისქვილის კოდის ვიწრო მილი, რომელიც ბორბალს წყალს აწოდებს (ნ. შარაშ. შტვირი, ალავ. ეთნ. ფშტვირი 142).

ქ

ქათიბი, ქათიფი (შრშ.) კარგი ბალახიანი ადგილი (შდრ. ჩუბ.).

ქენქერა კაცი დაუდგენელი, უწესრიგო, არანორმალური ადამიანი (ნ. ბერ.).

ქერტლი, ქერწლი ქერცლი თმისა (ნ. საბა, ბერ. ქეტერი).

ქეშავო ფიცარი (ვრძ.) სქელი ფიცარი. „მოუკელი კაცო, ე ფიცარი ქეშავო არის“ (შდრ. საბა ქეშაო).

ქეშმარიტი (ხიდ.) ოფიციალური დოკუმენტი: ნასყიდობა, ხელწერილი, ფამასუქი.

ქვასაყუდი (ხ. იმერ.) კეცის ასაყუდებელი ქვა.

ქვინთხი დიდი მუცელი.

ქიზინი შეცივების გამო ცახცახი. რისამე გამოძალვისათვის ხელებში შეჩერება. „ძლიერ ცუდათ ვარ: თელი დღეი მაქიზინებს ტანში“. „ნუ მიქზინეფ ტყულა: თავი რო მეიკლა, არ მოქცემ“ (ნ. შარაშ. ქიზება).

ქინქლა კაცი გაიძვერა და მოღალატე ადამიანი. „ძველათ ყოფილა აქანა ერთი ქინქლა თაზო, რომელიც ღეკებზე ყიდდა აქოურებს“ (შდრ. ჩუბ.).

ქუბი (ხ. იმერ.), **ჩერგენა** (ქვ. იმერ) კონუსისებურად მიწყობილი ჩალის ან თივის პატარა ძნები (ჩალას ან თივას გასახმობად ჯგუფ-ჯგუფად ფეხზე ააყენებენ, ქარმა რომ არ წააქციოს, თავს შეუკრავენ. ასე დადგმული ძნები წვიმისაგანაც დაცულია) (შდრ. საბა, ბერ, ალავ. ეთნ. ჩერგენი 136, წერ. ჩერგილა).

ქუნცურო (შრშ.) სიმინდის თავთავი მტვრიანა (ნ. ბერ., ალავ. ქუჩუჩო, ჰყ. ქოჩოჩი).

ღ

ღალბათი, **ღალბასტი** ფიზიკურად სუსტი, შეუძლებელი, მოუხერხებელი (ნ. ბერ).

ღამეულით (ხიდ.) ღამით, გამთენიისას.

ღანღალი წყალში ცურვა-ბანაობა.

ღანცალი უწესო სიარული. სვლის დროს რყევა. გადატ. უსაქმოდ სიარული.

ღენჭო (ქვ. იმერ.) **ღენჭოპურა** რისამე (კვერცხის, ნიგვზის და სხვათა) გარეკანი (ნ. ჰყ., ჟღ., შარაშ. ღენჭეპო. ალავ. ღანჭეჭო).

ღვედება ნ. გადაღვედება.

ღვრიალი თვალისა გულმოსული გადმოხედვა, თვალის კაკლის ბრიალი. „შემეშინდა, ისე აღვრიალებდა თვალებს“.

ღინცილი (შრშ.) ცოცხალმკვდრად ყოფნა. „ახალი დარგული ხეი გვალვაში იღინცილებს, იღინცილებს და მოკვტება“ (შდრ. საბა, ჩუბ.).

ღომფაშო (ინაშ.) ხარბი, გაუმაძღარი.

ღრაჭუნი (ჯიდ.) უადგილოდ, უსაგნოდ სიცილი. „მე რო ვლაპარიკოფ, ბაბუა, შენე ქე ღრაჭუნოფ, მარა ასე არაა საქმე".

ღჯილო, ღჯილი (ინაშ.) წყალში მდებარე ქვის ქვეშ თავისუფალი ადგილი, სადაც ხშირად თევზი იფარავს თავს. მდინარის ნაპირზე, წყალში გამოსულ ხის ძირებს ქვეშ დარჩენილი არე. ასეთი ადგილიც უყვარს თევზს.

ყ

ყალია (ინაშ.) ნიგვზითა და ძმრით შეკაზმული თევზის ნახარში.

ყამპო (ბზვ.) ღორის ერთგვარი ავადმყოფობაა (ნ. ბერ. ყაპუ).

ყანყალი, ყანცალი 1. უსაქმოდ სიარული. „ზარმათია ყოველდღეი აღმა-დაღმა დაყანყალობს" (ნ. ბერ.); 2. რისამე რყევა. „ე სამწახელი არაა დამაგრებული და აქეთ-იქით ყანყალობს".

ყელა რკინა, რომელიც ერთი თავით წისქვილის ზედა თავშია დამაგრებული, ხოლო მეორეთი ბორბალს უერთდება.

ყვერა ნ. კვერნა.

ყიფსი ნ. დაყიფსული.

ყლარტი, ტარტყლი დამდგარი წყლის ზედაპირზე ჰუჰყისა და მტვერისაგან შექმნილი მწვანე ძაფები.

ყლონჭვა ნ. მოყლონჭვა.

ყლუნჭვა, ყლურწვა რაიმე სასმელის ერთბაშად დალევა (ნ. ჩუბ. ყლურჯვა).

ყოველწლივ ყოველწლიურად.

ყოლიება ყოლა. „ამ სოფელში არის გავრცელებული თხების ყოლიებაი".

ყრუალა ხე ნ. რუსული კოპიტი.

ყუდულის ღობე (ვახ.) აყუდებული ღობე. ბოძებზე ჰორიზონტალურად მიაკრავენ (ან მიაჭედენ) გრძელ ხეს, ხოლო შემდეგ ამ ხეზე ერთიმეორის მიყოლებით მიაწყობენ თხელ ნაპობებს და ძირში მიწას მიაყრიან (შდრ. წერ. რაფები).

ყუნცული ჩამჯდარ მდგომარეობაში ან სიარულის დროს ტანის ზევით-ქვევით მოძრაობა (შდრ. საბა, ჰყ.; ნ. ჟღ.).

ყურამგდებელი (ვახ.) ყურადღების მიმქცევი. „თაზე (მთაზე) ვინაა შენი ყურამგდებიი?".

ყურყუტი დიდხანს ცდა (შდრ. ჰყ.; ნ. ჟღ.).

შ

შავი ხე ნ. საწელავი.

შავჩოხა სოკო (ქვ. იმერ.) სოკოს ერთგვარი სახეა.

შეთანთქლვა (ქვ. იმერ.) ცხელი საჭმელის სწრაფად შეჭმა (შდრ. თლანქვა).

შეთართლვა (ქვ. იმერ.) სახელდახელოდ, საჩქაროდ რისამე შეწვა.

შეთურთქლვა (ქვ. იმერ.) ნ. შეთართლვა.

შეთქვირება ხილის ან სხვა ნაყოფის სიმწიფეში შესვლა (ნ. კიდევ ჭყ.).

შეთლანქვა (ქვ. იმერ.) მთლიანად და ერთბაშად რისამე შეჭმა. ნ. შეთანთქლვა.

შეკოლიკება, შეპოლიკება (ქვ. იმერ.) რამდენიმე საგნის ერთმანეთზე შედგმა (შდრ. წერ. შეპოლიკება).

შემხული საქონლის უკანა ნაწილი, კურტუმო (ნ. წერ. შემხობილი).

შერთობილი შერთული. „წლის შერთობილი ყავდა ის ქალი".

შეტოტინება, შეპოტინება მიუწვდომელი საგნისაკენ ხელის წაწვება. „რასაც ვერ შეწვდები, იმას ნუ შეეპოტინები".

შეყუჟება ვიწრო ადგილზე თავის შეფარება. „ამ პაწია ქოხში კიდევაც შეიყუჟებენ ხალხი".

შეშვითი ზომიერი, სასიამოვნო, სასარგებლო. „ზაფხული ვერ ქონდა შეშვითათ ვაზსა".

შეჭიღვა ვაზისათვის ჭიღვის (ნ.) დასობა.

შიგნივიდან შიგნიდან.

შლაგუნი, შლიგინი (ინაშ.) ბუჩქნარში, ტყეში, ყანაში, მაღალბალახიან ადგილში სიარულის დროს გამოწვეული ხმაური. „რემელი ხარ მა ტყეში რო შლიგინოფ?" (ნ. ბერ. შლიგინი).

შტერუკა მოსულელო კაცის მიმართ იტყვიან (ნ. ჩუბ. შტერი).

შუკა, ფშუკა (ვრძ.) სასოფლო გზა (შდრ. საბა, ჩუბ. მენთ.; ნ. შან. სინტაქსი შუკა).

შქერი (ზ. იმერ.), იელი (ქვ. იმერ.), ყვითელყვავილიანი მცენარე.

შხვერთი კარგი, ლამაზი, გაწმენდილი ტოტი ხისა (შდრ. ბერ., შარაშ., წერ. შხვართი).

ჩ

ჩაგვალია (ვახ.) ჩაფსკვნილი, დაბალ-დაბალი ადამიანი. „პატარა ჩაგვალია ბიჭია ისი".

აკვა (ვახ.) ხელიანი ხის ჭურჭელი.

ჩალვა ნ. გამოჩალვა.

ჩამონჭშევა მიწის ჩამონგრევა.

ჩამოცანდრული (ვახ.), **ჩამოჭანდრული** (ქვ. იმერ.) კარგად მოსხმული მცენარის (უმთავრესად ვაზის) მიმართ იტყვიან.

ჩანჩურა კაცი პატარა ადამიანი, რომელსაც არ უყვარს ტანსაცმლის კონტად მორგება; ჩაცმას ყურადღებას არ აქცევს.

ჩართუნი, ჩლარტუნი დახეული ფეხსაცმელით სიარული. გადატ. ცუდად სიარული (ნ. ალავ. ჩახტუნი).

ჩაჩლურტვა (ვახ.) წინდის ან ჩულქის ყელის ქვევით ჩაწევა. „ბიჭო, ამეიწიე, წინდები გაქ ჩაჩლურტული".

ჩემეული (შრშ.) ჩემი ნაქონი. „ჩემეული ადგილი იყო დოუხნავი".

ჩერგენა ნ. ქუბი.

ჩიბე (ზ. იმერ.), **ჩოტია** (ქვ. იმერ.) წისქვილიდან ფქვილის ამოსაღები (ნ. ალავ. ეთნ. ჩიბე, ჩოტილა 142; ჭყ. ჩოტი; შდრ. შარაშ).

ჩიფჩიფი უკბილო ადამიანის გაუგებარი ლაპარაკი.

ჩლარტი ძველი, დახეული ფეხსაცმელი.

ჩოლყვა კარგად გამოძღომა (საზოგ. ფრინველის მიმართ იტყვიან). „იჩოლყება ქათამი", — მადიანად ჭამს ქათამიო.

ჩოტია (ქვ. იმერ.) ნ. ჩიბე.

ჩოჩიალი ნელ-ნელა სვლა, რისამე მიწაზე თრევა.

ჩხინკალი, ჩხიკინი რაიმე საგნის წვალებით კეთება.

ჩხრეკა: „ფული რო არ მივცე, თვალებს მაჩხრეკიეფს ისი" (ე. ი. თვალებს დამათხრევინებსო).

ც

ცარუხობა კოპწიობით სიარული. ნ. მოცარუხობა.

ცახუნი უგულოდ მუშაობა.

ცირციტი ძიგძიგი. „ცირციტი დამაწყებია ყივნამ".

ცუცქნა ერთი ცუცქნა—ერთი ბეწო, ძალიან პატარა. „ყო-

ლიფერი ბევრი აქ, მარა ერთ ცუცქნას არ გეიმეტებს შენთვის“ ნ. ჩუბ. ცუცუნა).

ცქიტა რქები ზევით აწეული წვეტიანი რქები.

ძ

ძარი (ქვ. იმერ.) ცილინდრისებური მოწნული ჯურჯელია. მას მარანში ყურძნის მოსატანად ხმარობენ. ერთ ჩოჩიალა ურემზე შეიძლება 3 ძარი დაიდგას (შდრ. საბა).

ძგიტინი, ძგუტური რაიმეს გამოსატყუებლად ხელებში შეჩერება (ნ. ბერ.).

ძევა ნ. მოძევა.

ძიგურა ეკალა, ეკალღიჭი.

ძიკვა (ხ. იმერ.) წასასვლელად გაწევა, მომზადება. „ერთი მაყარი იძიკავს სახში, მარა სიძე არ უშობს“. ქვემო იმერეთში ძიკვა წიკვას, ზიდვას ნიშნავს.

ძლევა ძალა. „ძლევა ქონდა დიდი, მარა დიდი მოსრული კაციც იყო“ (შდრ. საბა, ჩუბ.).

ძლუყუნი, ძუნყული ცუდი სიარული.

წ

წაგუება დამსგავსება. „ჩემი ძმაი წეეგუებოდა იმასა“.

წალახვა წარტყევა. „კაცი ვერ წამლახებდა ვაგლახათ“.

წვარწვალი თვალისა თვალის პარპალი.

წიანი, რწიანი ხელის კვრა. „კედელზე ამიყვანე და იქინე მიწიანე ხელი“.

წიაწ: დოუწიწებია დაუწიაწებია, დაურღვევია, ნაწილებად უქცევია (ნ. შარაშ. წიაწი).

წიკვა ნ. ამოწიკვა.

წინწა (ხ. იმერ.), **ხუნწარი, ხუნწკალი** (ქვ. იმერ.) ყურძნის კურკა (ნ. ალავ. ეთნ. წიმწა 145).

წო (ხ. იმერ.), **კვაწარახი** (ქვ. იმერ.) დიდხანს ნადუღი ტყემლის წვენი (ნ. ჟღ. წოიო).

წოწოლიკა წვრილ-წვრილი, მაღალ-მაღალი (შდრ. ჩუბ. წოწოლა, ბერ.).

წრეტა ნ. დაწრეტა.

წრეხა შეკვრა, თამბაქოს დაწნული ფოთოლი; ქალის თმის ნაწნავები.

წუთხობა (შრშ.) წუხილი. „ძაან წუთხობს დედაი შვილის დაკარქვასაო".

ჰ

ჰადო (ხიდ.), **ჰადუა** (ინაშ.) სოკოს ერთგვარი სახეა.

ჰალა (ხ. იმერ.), **მანჰო, ფჩხილა** (ქვ. იმერ.) ურმის ხელნებში ჩასობილი ბოძი (სიგრძით მეტრი ან ორტა მეტი), რომელიც დაწყობილ საგნებს იცავს გადავარდნისაგან (ნ. ჩუბ., მენთ., ჰალი; შდრ. ალავ. ეთნ. ფჩხილა 139).

ჰალა (ქვ. იმერ.) დაბლობი, ვაკე, კარგი მოსავლიანი ადგილი (შდრ. ჩუბ., მენთ., ჟღ.).

ჰაჰანი ჩამიჩუმი. „ჰაჰანი არ ისმოდა".

ჰელტი ღვინისა (შრშ.) ბევრი ღვინის მსმელი, ლოთი (შდრ. ბერ.).

ჰენჰყი (ქვ. იმერ.) ჰაობიანი ადგილი (ნ. ბერ. ჰენჰყო, წერ. ჰენჰყერი).

ჰვირთვა ნ. დაჰვირთვა.

ჰიფხაკი ნ. ლამჰკინი.

ჰილვა (ხიდ.) წვრილი ხარდანი (ქვ. იმერ.), სარჭე უფრო წვრილი ახალშენი ვაზისათვის ხმარობენ (შდრ. ბერ., წერ.).

ჰიჰილაჰი (შრშ.) ჰურჰლის საკეთებელი მორგვის ფეხის დასამაგრებელი, მასზე მორგვი ტრიალებს (ნ. წერ.).

ჰური (ვახ.) ქვევრი, 10-20 ფუთზე მეტი ტევადობის ღვინის ჰურჰელი (ნ. საბა, ჩუბ., ალავ. ეთნ. 155).

ჰყანპალი (ხიდ.) „სამი საპანეი მოვაჰყანპალე ღვინოი".

ჰყორი (ვახ.), **შკერე** (ვანი) მუდამ მწვანე მცენარე, (შდრ. საბა, ჩუბ., ჰყ.).

ხ

ხალა (ხ. იმერ.), **ჰოკი** (ქვ. იმერ.), კაკლის დასარეკი გრძელი ჯოხი (ნ. ჩუბ., ჰყ. ჰოკი).

ხეიბარი (ვახ.) უღარიბესი, ღატაკი. „ძველ დროში ბევრი ხეიბარი იყო ამ სოფელში; საჭმელი ჰინახული არ ქონდათ. ახლ კოლექტივმა ძაან გამუაკეთა საქმეი" (შდრ. საბა, ჩუბ.).

ხეკერა კვახი (ხედუბ.), **ხოკორა კვახი** (ქვ. იმერ.) სქელკანიანი კვახი (ნ. ჩუბ., ალავ. ხოკერა).

ხელე-ი (ქვ. იმერ.) ხელნა, ურმის ზედსადგარი.

ხელედანი (ვახ.) საღვინე დოქი, ხელადა

ხელნა ურემი (ხ. იმერ.) ქართული ურემი, მაღალი ურემი (ქვ. იმერ.; ნ. ჩუბ.).

ხელნაკრობა (ხიდ.) ხელის შეშლა, ავადმყოფობა. „ხელნაკრობა არ მქონია: ჯანთელი კაცი ვიყაი“.

ხეტრვა სხლვა, ბელვა. „მაღლარს ხეს უხეტრავდენ: ვენახი ძიერ იგუდებოდა“ (ნ. ჭყ. ხოტვრა).

ხიგინი ნ. ამოხიგინება.

ხოხნა ბალახიან ან ყანიან ადგილში მწყრის მახის დასაგები კვალი (შდრ. ჭყ.).

ხროგიალი (ქვ. იმერ.) უსაქმოდ, უშედეგოდ სიარული. „ბევრი იხროგიალეს ხარებმა მიდორზე, მარა ბალახი არ იყო და შიერები დარჩენ“.

ხრუკვა ნ. ამოხრუკვა.

ხულა პატარა, მჭიდროდ ნაგები შენობა, რომელშიც მარცელეულს ჰყრიან (ნ. ჩუბ.); პატარა სახლი, სადაც წისქვილის მოწყობილობაა მოთავსებული.

ხუნდი (ხ. იმერ.), **მორგვი** (ქვ. იმერ.) მაღალი ურმის ის ნაწილი, რომელზეც ბორბლის რიკებია დამაგრებული (შდრ. ჩუბ., ალავ. ხუნთი).

ხუნწარი, ხუნწკალი ნ. წინწა.

ჯ

ჯამჯამა ნ. ლაკორია.

ჯიმში ჯიში.

ჯოროფა (ინაშ.) ჰაჰის ან თხლის ამოსაღები ხელსაწყო. ჯოროფას ეძახიან აგრეთვე ქვევრის ნატეხს (ქათმებისათვის წყალს რომ ასხამენ), დიდიხის ნახმარ უვარგის ქვაბს.

ჯულაბი (ვახ.) საწამლავი (ნ. კიდევ ჩუბ.).

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

შალვა ჩხარტიშვილი

კრიტიკული სიტუაცია და განწყობა

§ 1. საკითხის დაყენება

1. ჩვენი გამოცდილების სფერო იმდენად დიდია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში იშვიათად ვხვდებით ჩვენთვის უცხო საგნებსა და მოვლენებს. ჩვენი მოქმედება და მასთან დაკავშირებული აღქმის პროცესი არსებითად ნაცნობ გარემოში მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, ასეთ პირობებში აღქმაში გაცილებით მეტი განიცდება, ვინემ მოცემულ მომენტში რეალური საგნის ზემოქმედების შედეგად გრძნობის ორგანოებს შემოაქვს ცნობიერებაში; ხშირად საკმარისია უბრალო სილუეტის. საგნის რომელიმე ერთი დეტალის, ფერის, ბგერის ან სხვა ამგვარი მარტივი გრძნობადი შთაბეჭდილების მოცემულობა, რომ მასში გარკვეული საგანი განვიცადოთ. ეს გარემოება ყველაზე ნათლად ილუზიური აღქმის ფაქტში იჩენს თავს: გარკვეულ პირობებში ადვილი შესაძლებელია, მაგალ., ჭრელი შარფი ან კიდევ შავი მავთულის ხვეული გველად იქნას აღქმული. ჭრელი შარფი ზოგიერთ ისეთ გრძნობად ნიშანსაც შეიცავს, რომელიც გველის აღქმის შინაარსშიაც გვხვდება. მაგრამ მარტო ეს გრძნობადი მასალა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გველის აღქმა გაფორმდეს. ამიტომ ბუნებრივად დგება კითხვა: გამოცდილების სფეროში ჩვენზე რეალურად მოქმედი საგნის მთლიანი კონტექსტის ერთი ან რამდენიმე მომენტი როგორ იქცევა ამ საგნის ადექვატურ ან კიდევ მეორე საგნის ილუზიურ აღქმად?

§ 2. მ ე თ ო დ ი

აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად ჩვენ შემდეგი მეთოდი შევიმუშავეთ: ც/პირს პერიფერიული მხედველობის არეში ეძლევა საგანი და ევალება ცენტრალური მხედველობის ადგილიდან რაც შეიძლება დაშორებით გამოიცნოს იგი. ცდის მოწყობილობა მარ-

ტივია: ც/პირის წინ ვერტიკალურ სიბრტყეში მოთავსებულ თეთრ ქაღალდზე გავლებულია 75 სმ სიგრძის ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც დაყოფილია მეტრიული ზომის შესატყვისად. ხაზის ორივე ბოლოზე მოთავსებულია წრეები, თითოეული ორი სანტიმეტრის რადიუსის სიდიდის. დანაყოფის მაჩვენებელი იზრდება მარცხნიდან მარჯვნივ. ც/პირის მხედველობიდან გამოსული სწორი ხაზი პერპენდიკულარულად ეშვება ერთ-ერთი (ჩვეულებრივ მარჯვენა) წრის ცენტრში. ეს წრე მხედველობის ორგანოდან დაახლოებით 25-30 სანტიმეტრითაა დაშორებული. ც/პირს ევალება მხედველობის ცენტრი მოაქციოს წრეში ისე, რომ ცდების მიმდინარეობის დროს მხედველობა არავითარ შემთხვევაში არ გადაიტანოს ხაზზე. ამ წრისკენ მოძრავი საგნის მიმართულებით. ხაზის მეორე ბოლოდან ც/პირის მხედველობის ცენტრისკენ ნელი სისწრაფით მოძრაობს საგანი (სურათი). ც/პირი ცდების მიმდინარეობისას გზადაგზა, საგნიდან პირველი შთაბეჭდილების მიღების მომენტიდან საგნის სრულ შეცნობამდე, დაწვრილებით იძლევა ანგარიშს იმის შესახებ, თუ როდის რას განიცდის. ოქმში დაწვრილებით აღინიშნება ხაზის რა დანაყოფზე (მხედველობის ცენტრიდან რა მანძილით დაცილებულ პუნქტში) რა ჩვენება იყო მოცემული. ც/ხელმძღვანელი ზოგჯერ ც/პირის ჩვენებიდან გამომდინარე საჭიროების შესატყვისად ხანგრძლივად აჩერებს საგანს ხაზის რომელიმე ადგილას, რომ ამით ც/პირს თავისი განცდის შესახებ დასრულებული ანგარიშის მოცემის შესაძლებლობა შეექმნეს. ხშირად ამას თვითონ ც/პირიც მოითხოვს

ცდები შეიცავს ორ სერიას: საგანწყობოს და კრიტიკულს. ორივე სერიის ცდებისათვის მასალად გამოყენებულია ექვსი წყვილი სურათი: მერცხალი (1ა) — ფოთოლი (1ბ); ბავშვი (2ა) — სოკო (2ბ); წიწილა (3ა) — ფინჯანი (3ბ); იები (4ა) — მტრედები (4ბ); პეპელა (5ა) — ყვავილი (5ბ); შველი (6ა) — ჭალი (6ბ). ც/პირთა ერთ ჯგუფს საგანწყობო ცდებში ა—სურათები ეძლევა, ხოლო კრიტიკულში — ბ—სურათები. ც/პირთა მეორე ჯგუფთან კი პირიქით, საგანწყობო და კრიტიკული ცდების სურათები ერთიმეორეს უცვლიან ადგილს. საგანწყობო ცდებში ც/პირებს საგანწყობო ობიექტები გამოსაცნობად ეძლევა ორჯერ შემთხვევითი რიგით ზემოდ აღწერილი წესის მიხედვით.

ინსტრუქცია, რომელიც კრიტიკული ცდების დროსაც მოქმედებაში რჩება, დაახლოებით ასეთია: „მოახდინეთ წრის ფიქსაცია.

ხედველობას ნურავითარ შემთხვევაში ნუ გადაიტანთ წრის გარეთ, ხაზზე. ხაზის მეორე ბოლოდან თქვენ მიერ ფიქსირებული წრის მიმართულებით წამოვა სურათი, რომელზედაც გარკვეული საგანი იქნება გამოხატული. ეცადეთ, საგანი გამოიცნოთ მანამ, სანამ იგი თქვენი მხედველობის ცენტრში მოაღწევდეს. რაც უფრო შორს გამოიცნობთ, მით უკეთესი. გზადაგზა დაწვრილებით აღნიშნეთ, როდის რა მომენტები შენიშნოთ. სანამ თქვენ მიერ ნაგულისხმევი საგანი საეჭვოდ გეჩვენოთ, თქვით: „უნდა იყოს“, ხოლო, როცა სრული რწმენა შეგექმნეთ, რომ სწორედ ის არის, განაცხადეთ: ,,ნამდვილად არის''; ასე, მაგალ: ,,წიგნი უნდა იყოს'', ან კიდევ: ,,ნამდვილად წიგნია''.

კრიტიკული ცდების წინ ც/პირს შემდეგი გაფრთხილება ეძლევა: ,,ყურადღებით იყავით! შეიძლება ზოგიერთი ისეთი სურათიც მოგეცეთ, რომელიც აქამდე არ გინახავთ''. კრიტიკული ცდები ობიექტური მხრივ მიმდინარეობს იმგვარადვე როგორც საგანწყობო, ოღონდ ახლა საგანწყობო ცდებში მიწოდებული სურათების წყვილის მეორე ცალები ეძლევა შემთხვევითი რიგის მიხედვით. ზემოდ აღნიშნული გაფრთხილების მიზანს შეადგენს, ც/პირს შეუნარჩუნოს სიფხიზლე და საგნიდან მომდინარე შთაბეჭდილებისადმი ერთგვარი კრიტიკული დამოკიდებულება. კრიტიკულ ცდებში ც/პირს ერთი და იგივე სურათი ეძლევა ორჯერ სხვადასხვა დროს. პირველ მიწოდებაზე სურათის ცენტრისკენ მიახლოება წყდება იქ, სადაც ც/პირი განაცხადებს, რომ იგი ახლა დანამდვილებით აღიქვამს მის მიერ დასახელებულ საგანს. მეორე მიწოდებისას სურათი, ც/პირის ზემოდაღნიშნული განცხადების მიუხედავად, უახლოვდება ცენტრს მანამ, სანამ იგი არ მიაღწევს იმ ადგილს, სადაც საგანწყობო ცდებში პირველად მისი შესაბამისი სურათი იქნა ადექვატურად აღქმული.

მახალის დახასიათება

აღნიშნული სურათი შესაძლებლობას იძლევა, ვაწარმოოთ დაკვირვება აღქმის პროცესის განვითარების მიმდინარეობაზე დაწყებული ელემენტარული, ჯერ კიდევ გარკვეულ ფორმასა და კონკრეტულ რომელობას მოკლებულ გრძნობადი მასალის განცდიდან სრულყოფილი გეშტალტის მატარებელი საგნობრივი სინამდვილის აღქმამდე. თუ კაცს სხვა მიზანი არა აქვს, ასეთი კვლევისათვის სურათთა იმგვარი დაწყვილება, როგორსაც ჩვენს ცდებში აქვს ადგილი, საჭირო არ არის. მაშინ შესაძლებელია უფრო მიზანშეწონილი

აღმოჩნდეს მასალის სხვაგვარი, უფრო ამ ამოცანის შესატყვისი პრინციპის მიხედვით შერჩევა.

ჩვენ წინაშე არსებული ამოცანის გადასაჭრელად საჭირო მასალის მოპოვება უფრო ადვილად ილუზიურ აღქმის მასალაზე იყო მოსალოდნელი და ამიტომ ჩვენც ცდის ობიექტები ისე შევარჩიეთ, რომ მის საფუძველზე ამგვარი აღქმის მიღება გამხდარიყო შესაძლებელი. მასალის შერჩევისას შემდეგი გარემოება გვქონდა მხედველობაში: ყოველდღიურ ცხოვრებაში, როცა მოცემული სიტუაციისათვის ჩვეულ და ცნობილ საგნებთან გვაქვს საქმე, უფრო ხშირად ამ საგნებით ისე ვმოქმედებთ, რომ მათ შესახებ ნათელი ცნობიერება, მათ მიმართ გაცნობიერებული საგნობრივი ხასიათის განცდა არ გვაქვს, რადგან ამ დროს ჩვენი საგნობრივი ცნობიერება შეიძლება სხვა გარემოებით, მაგ., ცხოველი ოცნებით იყოს დაკავებული. ის, რაც ასეთ შემთხვევაში ცნობიერებაში საგნის წარმომადგენლობითს როლს ასრულებს, უფიგურო, ერთგვარ დიფუზური ხასიათის განცდას წარმოადგენს, რომელშიაც მოცემული საგნის ერთი (შეიძლება სრულიად შემთხვევითი) მომენტი, თავისი ინტენსიობისა თუ სიცხოველის გამო, ყველა სხვა დანარჩენ მომენტებს ფარავს. ამიტომ, როცა ჩვენს ყოველდღიურ სიტუაციაში მოხვდება ისეთი საგანი, რომელიც პერიფერიულ ცნობიერებაში იმავე დომინანტური გრძნობადი შინაარსით შემოდის, რომლითაც ჩვეულებრივად ამ სიტუაციის რომელიმე საგანი შემოდიოდა (ხოლო ჩვენი საგნობრივი ცნობიერება ამ დროს სხვა რამეთი იქნება დაკავებული), მაშინ შესაძლებელია პირველი ამ უკანასკნელად მივიღოთ და მასთან ისეთი ურთიერთობის დამყარება ვცადოთ, როგორსაც წინად ამ უკანასკნელთან ვამყარებდით. ადვილი შესაძლებელია, მაგალ., ფანქარი ჩააწოთ სამელნეში საწერ-კალამის მაგივრად, ან კიდევ, საათი მოხარშოს კაცმა კვერცხის ნაცვლად, როგორც ეს ერთი ანეკდოტის მიხედვით ნიუტონს მოსვლია.

მასალის შერჩევისას შევეცადეთ ორი ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული საგანი ისე გამოგვეხატა, რომ მათ პერიფერიულ ხედვას დაახლოებით ერთნაირი უფორმო გრძნობადი შთაბეჭდილება მოეცა. მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთი ასეთი სურათის განმეორებული აღქმის შედეგად, ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე, პერიფერიული მხედველობის არეში მეორე სურათის ილუზიური აღქმა მიგვეღო: ც/პირისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო, რომ მას ახლა ახალ საგანთან აქვს საქმე.

დაწყვილებული სურათების საერთო მომენტს შეადგენს ფერი, საერთო ზოგადი კონტური ან კიდევ გამოხატულ საგანთან შემთხვევით დაკავშირებული რაიმე გარეშე გარემოება. განვიხილოთ ცდების მასალა ამ თავისებურებათა მიხედვით.

სურათთა პირველ წყვილს წარმოადგენს მერცხალი (1ა) და ფოთოლი (1ბ). აქ დაახლოებით ერთსა და იმავე შთაბეჭდილებას იძლევა ფონი და მასზე გამოხატული საგნების საერთო კონტურები. ამ სურათებზე მერცხლის აღქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა თავის ნაწილს აქვს, ხოლო ფოთლის გაცნობიერებისათვის ასეთივე ღირებულება ყუნწს ეძლევა. საკმარისია, ყუნწი აქეთ გადმოიტანოთ და თავი იქით, რომ ფოთოლი მერცხლად შეიცვალოს და მერცხალი — ფოთლად. ფოთლის მერცხლად აღქმის პირობას მისი მერცხლის ფრთებისებური გაშლილობა იძლევა და, პირიქით, მერცხლის ფოთლად აღქმის შესაძლებლობას მისი ფრთებისა და ბოლოს ფოთლისებური მოყვანილობა ქმნის. ერთი სურათის მეორედ აღქმას განსაკუთრებით აძლიერებს საერთო, ცდებში გამოყენებული სხვა სურათებისათვის უჩვეულო, ფერის ფონი.


სურათთა მეორე წყვილს შეადგენს ბავშვი (2ა) და სოკო (2ბ). აქ სურათთა კონტურები საკმაოდ დაშორებულია ერთიმეორისაგან. ამავე დროს ბავშვი სოკოსაგან განსხვავებულ საკმაოდ დანაწევრებულ გელშტატს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა გარკვეულ პირობებში მაინც ადვილად ხერხდება ბავშვის აღქმა სოკოდ და სოკოსი — ბავშვად. ამ მხრივ განსაკუთრებული სიძლიერით მოქმედებს წითელი ფერი, რომელიც ბავშვისათვის შემთხვევით გარემოებას (ქუდსა და საყელოს), ხოლო სოკოს მიმართ არსებით ნიშანს (მის ძირითად ნაწილს) გამოხატავს. დამხმარე როლს ასრულებს სოკოს ღეროსა და ბავშვის სხეულის ერთნაირი შეფერადებულობა.

მესამე წყვილი ერთი და იგივე საგნისა და ჩრდილის ფერებით ქმნის ერთი სურათის მეორედ აღქმის შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობას მეტისმეტად აძლიერებს ბუზი, რომელიც წიწილსა და ფინჯანს ახის ზევიდან. პერიფერიულად მიღებული ეს ერთნაირი ფორმისა და ფერის ლაქა, რომელიც ერთხელ პირდაპირ ნახვის შემდეგ პერიფერიაში ბუზის მნიშვნელობას ატარებს, მაშინვე მიუთითებს წინად აღქმულ წიწილზე თუ ფინჯანზე.

4ა და 4ბ სურათების საერთო კონტური, საერთო ფერი და გამოხატული საგნების დაწყვილება ერთი სურათის მეორედ აღქმის ადვილ შესაძლებლობას ქმნის.



დახატულია: 1ა., 1ბ. იისფერ ფონზე თეთრად; 2ა., 2ბ. თეთრ ფონზე იისფერითა და წითლით; 3ა., 3ბ. თეთრ ფონზე ყვითლით, ზევით შავი ბუზით. ქვევით — იისფერი ჩრდილი.



დახატულია: 4ა., 4ბ. თეთრ ფონზე იისფერით; 5ა., 5ბ. თეთრ ფონზე ყვითლად თეთრი და წითელი წერტილებით; 6ა., 6ბ. თეთრ ფონზე მიხაკისფერითა და შავით, ქვევით მწვანე მოლი.

პეპელა და ყვავილი საერთო კონტურით ფერითა და ფრთებზე და ფოთლებზე გამოხატული ლაქებით თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ პეპელას ტანი, რომელიც მთელ სხეულს შუაზე ჰყოფს, და თავი ულვაშებით ადრე ხვდება კაცს თვალში და ამიტომ მისი ყვავილად ან კიდევ ყვავილის პეპელად აღქმის შესაძლებლობას აძნელებს. ყვავილის მხრივ ასეთ როლს მისი ღერო და ფოთლების საერთო ცენტრის ირგვლივ განლაგება ასრულებს.

კონტურისა და გეშტალტური აგებულების მიხედვით ყველაზე მეტად დაშორებულია ერთმანეთისაგან 6ა და 6ბ სურათები: შველისა და ქალის თავის გეშტალტები, რომელნიც პირდაპირი ხედვისას პირველად ხვდება კაცს თვალში, არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. მიუხედავად ამისა ზოგიერთი მომენტების დამთხვევა, — განსაკუთრებით სხეულის ფერი და მწვანე მოლის საერთო ფონი, — შესაძლებელს ხდის ერთი სურათი მეორე სურათად იქნას აღქმული.

მასალის წინასწარი შემოწმების მიზნით ც/პირთა ერთ ჯგუფს ა—სურათები მივეცით, ხოლო მეორე ჯგუფს—ბ—სურათები და დავავალეთ, მათი ყურადღებით დათვალიერების შემდეგ ეთქვათ, რომელი სურათის რისადმი მიმსგავსება შეიძლებოდა, რომელი სურათი რას აგონებს მათ.

ც/პირთა მნიშვნელოვან ნაწილს იები ფრინველებს აგონებდა, ყვავილი — პეპელას და ფოთოლი — მერცხალს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი შებრუნებულ მოვლენას: ფრინველების იებისადმი, პეპელას ყვავილისადმი ან კიდევ მერცხლის ფოთოლისადმი მიმსგავსებას. დანარჩენი წყვილის ცალკე წევრები ერთიმეორის მოგონებას არ იწვევდა: არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ სოკოს გამოეწვია ბავშვის წარმოდგენა, შველს — ქალისა, ან წიწილს — ფინჯანისა. არც პირიქითს მოვლენას ჰქონია ადგილი. სამაგიეროდ სურათთა ერთი ჯგუფის დათვალიერების შემდეგ მეორე ჯგუფის სურათების ნახვისას ყველა ც/პირი აღიარებდა აღნიშნულ სურათთა შორის უახლოესი მსგავსების ფაქტს.

§ 3. ცდის შედეგები

ცდის შედეგების უკეთ გაცნობის მიზნით ჩვენ აქ მოვიყვანთ ორ ოქმს. ეს ოქმები ერთგვარ დახმარებას გაგვიწევს ცდების მიმდინარეობის გათვალისწინების საქმეში. რა თქმა უნდა,

მთელი ცდის შედეგები არ შეიძლება მარტო ამ ოქმებით განისაზღვროს.

ოქმი № 14.

5. III. 48 წ.. ტ. ს. (მეცხუშაკი).

საგანწყობო I.

1ა. ვერაფერს ვერ ვხედავ (10)[1]. რაღაცას ვამჩნევ, მაგრამ არაფრის თქმა არ შემიძლია (15). ვხედავ რაღაცას; მტრედისფერია და მოლურჯო (30). ახლა უფრო გარკვევით ვხედავ მოლურჯოსა და თეთრს, მაგრამ, რა ფორმისაა, არ ვიცი (35). ვხედავ თეთრსა და ლურჯს, ფორმას ვერც ახლა ვარჩევ. მაგრამ, იცით! ახლა რომ მას ფორმა მნიშვნელოვნად შეეცვალოს. ალბათ მაშინვე ვიგრძნობ (40). ახლა დანამდვილებით ვარჩევ შუაში თეთრს (43). ფორმა თანდათან ირკვევა. მოიცათ! შუაში რაღაც შტოების ფორმისაა, თეთრი (52). კურდღელი ხომ არ გარბის?! (55) რაღაც ფრთებივითაა. გაფრენილს ჰგავს. ფრინველი იქნება (59). ნამდვილად ფრინველია, მტრედია თუ მერცხალი? (65). ა. მერცხალი ყოფილა. უკვე შევხედე უნებურად (70)[2].

2ა. რაღაც არის, ვერაფერს ვიტყვი (15). რაღაც მუქი უნდა იყოს (20). ორი ფერია: წითელი და ლურჯი (40). წითელი ზევით, ლურჯი ქვევით (45). რაღაც მამლის ბიბილოსავითაა (52). მეორე წითელი ზოლიც გამოჩნდა (55). ქვევით, მგონი, რაღაც ორი ეშვება ლურჯად (57). მოიცათ! ეს ბიუსტია, ეს თავია, ის ტანი. წითელი ქუდი ახურავს?! (60). სურათია კაცის (65). წითელი ქუდი, ლურჯი სხეული და სახე (70). ბავშვი ყოფილა (75).

3ა. რაღაც ყვითელი ფერის (25). ჰო, ყვითელი და დიდი (35). ძალიან კარგად ვხედავ ყვითელ ფერს. მაგრამ მე ამ ფერის მეტს ვერაფერს ვარჩევ (45). ისევ მხოლოდ ფერები: ყვითელი, ლურჯი და თეთრი (55). რაღაც წინ წამოშვერილი. ქვევით ლურჯი (60). არ ვიცი, რა არის, ვერ მივხვდი, დოქი ხომ არ არის?! (63). რაღაც ქოჩორა მოდის (65). ქვაზე შემჯდარი პატარა ჩიტია (68). არა, ქვა რომ მეგონა, ბეღურა უნდა იყოს, თავზე თვითმფრინავი ხომ არ არის?! (იცინის. შეხედა). წიწილა ყოფილა. თავზე ბუზი აზის (75).

4ა. რაღაც მუქი (25). არც ისე დიდი მუქი და თეთრი (45). წითელ ფონზე მუქი სილუეტი (50). ჯვარივითაა რაღაც (54). თი-

[1] ფრჩხილებში მოცემული რიცხვი უჩვენებს, რა დანაყოფზეა მიღებული ჩვენება.

[2] პირველ საგანწყობო ცდებში, მიუხედავად გამოცნობის ადგილისა, სურათი ც'პირს ეძლეოდა. 0-დან 75-მდე, რომ მისი სრული აღქმის საშუალება მისცემოდა.

თქოს მიფრინავს, თვითმფრინავია?! (58). არა, ორი რაღაც; შეიძლება ჩიტები იყოს (66) ოხ, მოვიხედე! ყვავილები ყოფილა! იებია (70).

5ა. ყვითელი დიდი რაღაცა (25). მეორე კიდევ უფრო მუქი ფერი, მაგრამ, რა ადგილას არის, ვერ ვიტყვი (40). ყვითელი თითქოს მომრგვალდა (50). ყვითელი, მასიური, მომრგვალებული. შიგნით მუქი ლაქები თუ წერტილები. რა უნდა იყოს?! (60). თუ არის პეპელა (65). პეპელაა (70). პეპელა ყოფილა (75).

6ა. რაღაცას ვხედავ, მგონია, მაგრამ ვერაფერს ვიტყვი, რა არის (16). რაღაც დიდი, მასიური, ფერს ვერ ვარჩევ (25). ერთი ფერის ფონზე მეორე ფერის რაღაც, რა ფერებია, არ ვიცი (35). რაღაც წითელი (45). მწვანეც არის (55). რაღაც სვეტებივით ადის ზევით, იალქნიანი გემი უნდა იყოს (60). ახლა უფრო რაღაც ცხოველს ჰგავს, შეიძლება ძროხა იყოს (65). რაღაც ცხოველია. აი, უკვე დახარა თავი ბალახზე (70). შველი ყოფილა (75).

საგანწყობო II.

3ა. ყვითელი (20). ზევით წინ წამოწეული, ქვევით ფართო (40). რაღაც ცხოველია (45). ქვევით ყვითელი. ზევით კიდევ პატარა მუქი ლაქა. აჰა, ეს იგივე წიწილა მოდის (50). დანამდვილებით ის არის (60).

6ა. წითელი (35). რაღაც დიდი, ქვევით მწვანე (45). ეს იგივე შველი უნდა იყოს, მაგრამ რატომ წითლად მეჩვენება? (55). ჰო, ნამდვილად შველია (60).

5ა. დიდი ყვითელი (20). დიდი ყვითელი, ჯერ ფორმა არ აქვს, არ ვიცი, რა არის (40). წითელი ლაქები. პეპელა არის (50). დანამდვილებით ის არის (55).

4ა. ორი ფერი, მუქი და წითელი, ჯერ მეტს ვერაფერს ვარკვევ (30). რაღაც გაურკვეველი სილუეტები (40). ორია (50). ეს ის ყვავილებია, წეღან რომ ვნახე (58). ნამდვილად ისაა (60).

2ა. ორი ფერია, მუქი და თეთრი (40). რაღაც წითელია (45). ქვევით ლურჯი (50). ეს წითელქუდა ბავშვი უნდა იყოს (55). სწორედ ის არის (60).

1ა. ორი ფერია უფიგუროდ (20). შიგნით თეთრი, გარეთ ლურჯი (40). ეს მერცხალი მოფრინავს ნაღდად (55). კი, ნამდვილად ის არის (60).

კრიტიკული I.

6ბ. ვხედავ ფერებს, წითელსა და მწვანეს (40). ვიცი, რა უნდა იყოს, მაგრამ ჯერ თქმას ვერ ვბედავ (45). ახლა გარკვევით ვხე-

დავ, როგორ იხრება თავი ბალახზე, ეს იგივე შველია (50). ნამდვილად შველია (55).

1ბ. ორი ფერი, წითელი და მუქი (20). გვერდებზე ლურჯი, შუაში თეთრი (35). შეიძლება ჩიტი იყოს (50). ნამდვილად მერცხალია (60).

5ბ. წითელი (25). წითელი კი არა, ნათელი ყვითელი (50). პეპელაა (55). პეპელა მოფრინავს ნამდვილად (60).

4ბ. ორი ყვავილია, იებია, სრულიად დარწმუნებული ვარ (55).

3ბ. რაღაც ყვითელი დიდი (40). ოხ, წიწილაა ბუზით, ნამდვილად ისაა (55).

2ბ. წითელი და ლურჯი (40). ეს ბავშვი უნდა იყოს წითელქუდა (45). კი, ისაა (60).

კ რ ი ტ ი კ უ ლ ი II.

1ბ. მერცხალია (36). ნამდვილად მერცხალია (45-70).

4ბ. იები უნდა იყოს (42). სწორედ იებია (45-70).

6ბ. ეს შველია ნამდვილად (45). ახ, შეიძლება ვცდებოდე! რაღაც თავი სხვანაირი მეჩვენა (70).

5ბ. პეპელა უნდა იყოს (35). ნამდვილად პეპელაა (40-70).

2ბ. ბავშვს ჰგავს (40). ბავშვია ნამდვილად (40). ბავშვია, მაგრამ მოიცათ! მგონი მოვტყუვდი! არ ვიცი, შეიძლება არ იყოს ბავშვი (70).

3ბ. ეს კი ნამდვილად წიწილაა (38-70).

ცდების დასასრულს ც/პირი თავისით დასძენს: საკმარისია, პატარა კონტური ვიცნო, ან კიდევ წინად ნახული სილუეტი მომხვდეს თვალში, რომ მაშინვე ვიცნო, რა არის. ცნობა და პატარა ნაწილების გამოკვეთა ერთი ხდება. შემდეგ სურათს უფრო ნათლად ვხედავ. ამ უკანასკნელ ორ შემთხვევაზე რაღაც ეშვი მეპარება. ვფიქრობ, ხომ არ მოვტყუვდი?! რაღაც შველის თავი არ მიზის თვალში. ბავშვიც მეეჭვება.

ოქმი № 8.

5. I. 48 წ. შ. გ. (მეცმუშაკი).

ს ა გ ა ნ წ ყ ო ბ ო I.

1ა. რაღაცას ვამჩნევ მაგრამ სრულიად გაურკვეველს (25). სამია თეთრად დაწერილი (40). ახლა მერცხალს ჰგავს (50). ნამდვილად მერცხალია (60).

4ა. თეთრ ფონზე რაღაც ლურჯი ფერის (28). ორია რაღაც (36). კრაზანას ჰგავს (48). ორი ყვავილია (65). იები ყოფილა (75).

3ა. ყვითელი და თეთრი (26). რაღაც მელნისფერი წინ ზევით (40). შეიძლება ტანკი იყოს (45). ახლა უფრო ბოლოკს ჰგავს (50). ნისკარტი აქვს. ჩიტია (55). წიწილა ყოფილა (75).

2ა. თეთრი, ყვითელი და მწვანე. შიგ თეთრი წერტილები (20). აზრზე არ ვარ, რა უნდა იყოს (45). ბიჭოს! კაცის სახეა, სოკოსავით თავი აქვს (50). ქუდი ახურავს ბიჭს (55). წითელი საყელო (60). ბავშვია (75).

5ა. შავი და თეთრი (20). ყვითელია (25). კიდევ არის სხვა ფერები (30). ყვითელი და ზედ სხვა ფერის წერტილები (38). რაღაც ულვაშებივით აქვს წინ. კატაა. ან შეიძლება პეპელა იყოს (55). პეპელას ჰგავს (60). კი, პეპელაა ნამდვილად (70).

6ა. მომწვანო და წითელი თუ ალისფერი, მგონი, ხანძარია რაღაც იწვის (35). არა, ცხოველია რაღაც (50). თავი აქვს, ყურებიც აქვს. მოწითალო. ირგვლივ შავი გარშემოწერილობა. ქვევით მწვანე მოლი. შინაური ცხოველია, ხბო იქნება (60). შველი ყოფილა (75).

სავანწყობო II.

2ა. ეს ბავშვი მოდის (25). ნამდვილად ბავშვია (35).

6ა. ეს ისევ შველი მოდის (30). ნამდვილად შველია (40).

3ა. ეს არის წიწილა (25). ნამდვილად არის (30).

5ა. ეს უნდა იყოს პეპელა (30). პეპელაა (35).

4ა. ეს, ორი ია რომ იყო, ის არის (25). ნამდვილად იებია (40).

1ა. ეს მერცხალია (20). ნამდვილად ის არის (30).

კრიტიკული I.

5ბ. ეს პეპელაა (25). ნამდვილად პეპელაა (30).

1ბ. მერცხალია (25). ნამდვილად მერცხალია (30).

2ბ. ეს ბავშვს ჰგავს (20). ბავშვია, ბავშვი (35).

3ბ. ეს წიწილს წააგავს (30). ჰგავს კი არა, ნამდვილად ის არის, თავზე ბუზი აზის (35).

4ბ. იებია (20). იებია უდაოდ (35).

6ბ. ეს უთუოდ შველია (30). რა თქმა უნდა, შველია (40).

კრიტიკული II.

1ბ. მერცხალია (25). ნამდვილად მერცხალია (30-65).

5ბ. პეპელაა ნამდვილად (30-70).

2ბ. ბავშვი უნდა იყოს (20). უდაოდ ბავშვია (30-55).

3ბ. წიწილა (25). ნამდვილად წიწილაა (30-60).

6ბ. შველი მოდის (30). ნამდვილად ის არის (35-56).

4ბ. ეს იებია (25). ნამდვილად იებია (30-65).

ცდების დასრულების შემდეგ ც/პირს კრიტიკულ სურათებს ვაძლევ დასათვალიერებლად. უკვირს, როგორ მოტყუვდა ასე. ფოთლის შესახებ ამბობს: აქ სწორად მითქვამს, მართლა მერცხალი ყოფილა (შეუმჩნეველი რჩება, რომ ფოთოლია). სხვა ყველაფერი ტყუილი მილაპარაკია. თქვენი გაფრთხილება, რომ სხვა სურათებიც იქნებოდა, მახსოვდა. იმასაც ვამჩნევდი, რომ ბოლოს სურათებს სხვა ადგილზე იღებდით, მაგრამ ერთხელაც არ დაეეჭვებულვარ: სრული რწმენა მქონდა, იმას ვხედავდი, რასაც ვამბობდი. ახალს ყოველთვის მოველოდი, მაგრამ გამოჩნდებოდა თუ არა სურათის ფერი, სურათი მაშინვე ნაცნობად მეჩვენებოდა და ამიტომ ახლის მოლოდინს თავს ვანებებდი.

1. აღქმის განვითარების საფეხურები

საერთოდ, ცდების შედეგად მიღებული მასალის მიხედვით, როგორც ეს ნაწილობრივ აქ წარმოდგენილ ოქმშიც შეიძლება დაინახოს კაცმა, შესაძლებელი ხდება, აღქმის განვითარების შემდეგი, ერთიმეორისაგან მეტად თუ ნაკლებად განსხვავებული, საფეხურები გამოეყოთ:

1) გაურკვეველი მხედველობითი შეგრძნება. მხედველობის ველის პერიფერიულ არეში რაღაც ცვლილება განიცდება, მაგრამ მისი რამე მხრივ დახასიათება არ ხერხდება. ც/პირი უბრალო ფერითი ხასიათის ცვლილებას ადასტურებს მხოლოდ. ,,რაღაც მოჩანს. მაგრამ არ ვიცი, რა ფერისაა''. ,,რაღაც დიდი უნდა იყოს, მასიური, ფერს ვერ ვარჩევ''. ,,რაღაცას ვამჩნევ, მაგრამ სრულიად გაურკვეველს, სრულიად ვერაფერს ვერ ვიტყვი იმის შესახებ, თუ რას ვხედავ''. დაახლოებით ასე ახასიათებდნენ ც/პირები აღქმის განვითარების ამ პირველ საფეხურს. ,,დიდი'', ,,მასიური'' და სხვა ამგვარი დახასიათება, რომელთაც ისინი იძლევიან ამ საფეხურზე, უფრო ხშირად არ შეესაბამება მოცემულ სინამდვილეს. ასეთი დახასიათებისაკენ მისწრაფება შეიძლება იმით აიხსნას, რომ უმწეო, ყოველგვარ სიმყარეს მოკლებული განცდა ამ მიმართულებით ეძიებს დასაყრდენს.

2) ფორმასა და ოდენობითს განსაზღვრულობას მოკლებული. სივრცეში არაზუსტად ლოკალიზირებული გარკვეული რომელობის ფერითი შთაბეჭდილება — ფერითი შეგრძნება. ეს უკანასკნელი შეიძლება ზოგჯერ არც კი შეესაბამებოდეს მოცემული საგნის შესა-

ტყვის თავისებურებას: არც ისე იშვიათად ხდება, რომ ც/პირი პერიფერიული ველის განსაზღვრულ არეში მოცემული საგნისაგან ამ საგნის ფერიდან სრულიად განსხვავებულ ფერითს შეგრძნებას ღებულობს. აღქმის ამ საფეხურზე საგნის გამომსახველი ფერები არ არიან დიფერენცირებული საგნის მიმართ თავისი ადგილმდებარეობის მიხედვით. საგნის რამდენიმე ფერიდან ზოგჯერ პერიფერიული მხედველობის მთელ ამ არეს მხოლოდ ერთი რომელიმე, განცდისათვის დომინანტური, ფერი ავსებს; ზოგჯერ ამ არეში შეინიშნება ორი ან სამი ფერის არსებობაც, მაგრამ მათი ერთიმეორისადმი სივრცითი მიმართება ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. ცნობიერების ეს პერიფერიული ზონა ზემოდმოყვანილ ოქმებშიც საკმაო სინათლითაა წარმოდგენილი. „ძალიან კარგად ვხედავ ყვითელ ფერს, მაგრამ ამ ფერის მეტს სრულიად ვერაფერს ვამჩნევ", ამბობს ც/პირი, როცა საგანი მისი მხედველობის ამ ზონაში ხვდება.

3) გარკვეული რომელობის ფერით შევსებული, ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი ფორმის ზოგადი გრძნობა. მოცემული ფერი რაღაცნაირად განიცდება დიფერენციაციას მოკლებულ არაგეშტალტური ბუნების მატარებელ ფორმაში. ც/პირს გარკვევით სრულიად არაფრის თქმა არ შეუძლია მოცემული ობიექტური ვითარების ფორმის შესახებ, მაგრამ, საკმარისია, ცნობიერების იმავე არეში სავსებით იგივე ფერის, მაგრამ ფორმით შესაჩნევად განსხვავებული, საგანი მიაწოდოთ, რომ შეცვლილი ფორმა მისთვის შესამჩნევი გახდეს, თუმცა ვერაფერს იტყვის იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით მოხდა ფორმის შეცვლა. ამ ფაქტის დასადასტურებლად ჩვენ ერთი ც/პირის ჩვენების საფუძველზე (იხ. ოქმი № 14) იმ ფერებით, რომლითაც მერცხალია დახატული, სწორკუთხედი გამოვხატეთ, ხოლო პეპელას ადგილას იმავე ფერებით წრე გამოვსახეთ. ც/პირები, რომელნიც მხოლოდ ამ ცდებში იყვნენ გამოყენებულნი, ცნობიერების გარკვეულ ზონაში შეუცდომლად ასხვავებდნენ ერთიმეორისაგან მერცხალსა და სწორკუთხედს, პეპელასა და წრეს, თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებდა, მათ შორის არსებულ განსხვავებაზე რაიმენაირად მიეთითებინა, ან კიდევ, მოცემული ფორმები დაეხასიათებინა.

4) კონტურის მთავარი ხაზების გამოყოფა საგნის გამომსახველი მთავარი ფერების სივრცითი დიფერენციაციით და საგნის გულისხმობის პირველი აქტი, რომელიც ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშ დგას. ც/პირი მოცემულ შთაბეჭდილებაში გარკვეულ საგნის გულისხმობას

ახერხებს, მაგრამ იმდენად დაეჩვეულია მის მიერ შესრულებული აქტის სისწორეში, რომ რაიმე ახალი მომენტის შემჩნევის შემდეგ (ზოგჯერ უმისოდაც) სრულებით არ უკვირს, რომ ახლა მას იმავე ობიექტური მოცემულობის მიმართ პირველისაგან არსებითად განსხვავებული საგნის გულისხმობის აქტის შესრულება უხდება. „შეიძლება ტანკი იყოს (45) ახლა უფრო ბოლოკს ჰგავს (50). ნისკარტი აქვს, ჩიტია (55). წიწილა ყოფილა“ (75). — ამბობს ცდის პირი და სრულებით არ უკვირს, რომ წელანდელი ტანკი ახლა ბოლოკად იქცა, ბოლოკი ჩიტად გადაკეთდა, ხოლო ჩიტმა წიწილის სახე მიიღო.

5) საგნის გეშტალტის ზოგიერთი არსებითი ნიშნის გამოყოფა და მის საფუძველზე მტკიცე შინაგანი რწმენა, რომ ობიექტურადაც სწორედ ის საგანია მოცემული, რომელსაც სუბიექტი გულისხმობს. საგნის ნათელი ხატი ჯერ კიდევ არ არის. ისეთი განცდაა, თითქოს საგანს ერთგვარი ბურუსი ჰფარავს, რის გამოც მის ნაწილებს სინათლე და გამოკვეთილობა აკლია.

6) პირდაპირი მხედველობის ჩარჩოში წარმოდგენილი საგნის ნათელი ხატი, რომელსაც სრულყოფილი გეშტალტის სახე აქვს. აქ ხატი (გრძნობადი მოცემულობა) და მასში საგნის გულისხმობის აქტი განიცდება როგორც ერთი განუყოფელი მომენტი, მაშინ როცა ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში გრძნობადი შთაბეჭდილების მოცემულობა და მასში საგნის გულისხმობის აქტი შეიძლება დასცილდეს ერთმანეთს როგორც ორი სრულიად სხვადასხვა მომენტი. საკმარისია, საგანი ოდნავ (ჩვენს ცდებში ერთი-ორი სანტიმეტრით) გადაშორდეს ცენტრალური მხედველობის არეს, რომ მან დაკარგოს სრულყოფილი აღქმისათვის დამახასიათებელი სინათლე და გამოკვეთილობა და აღქმის განვითარების ზემოდაღწერილ გზაზე ერთი საფეხურით დაბლა დავეშვათ.

ჩვენს ექსპერიმენტებში დადგენილი ექვსი საფეხურიდან სამი — პირველი, მეორე და მეექვსე, — დაახლოებით ემთხვევა ნ. ლანგეს მიერ განსაზღვრულ აღქმის განვითარების მეორე, მესამე და მეოთხე საფეხურებს[1]. როგორც ცნობილია, ნ. ლანგე აღქმის განვითარების სულ ოთხ შემდეგ საფეხურს განასხვავებს: 1) ცვალებადობა საერთოდ შეგრძნებათა სფეროში; გაურკვეველია, შეგრძნებათა რომელ მოდალობას ეკუთვნის იგი; 2) ცვალებადობა განსა-

[1] Ланге, Н., Психологическия исследования, 1893.

ზღვრული მოდალობის შეგრძნობის სფეროში. მაგრამ გაურკვეველია შეგრძნების რომელობა; 3) გარკვეული შეგრძნება (მაგალ., წითელი, მწვანე); და 4) ფორმის ანუ ფიგურის აღქმა. ნ. ლანგე აღქმის განვითარების ამ საფეხურებს აღქმის ისტორიული (როგორც ფილოგენეტური ისე ონტოგენეტური) განვითარების საფეხურებად თვლის. ამავე საფეხურებს გაივლის, მისი აზრით, მოცემული ინდივიდის ყოველი კონკრეტული აღქმა; მაგრამ ისე სწრაფად ხდება გადასვლა ერთი საფეხურიდან მეორეზე, რომ თვით ეს საფეხურები სუბიექტისათვის შეუმჩნეველი რჩება. ნ. ლანგეს მიერ მითითებული აღქმის პირველი საფეხურის ექსპერიმენტული დასაბუთება ჩვენს ცდებში შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენს ცდის პირებს მხოლოდ ერთი მოდალობის შეგრძნებათა სფეროში მიღებულ შთაბეჭდილებებთან ჰქონდათ საქმე, მაშინ როცა ნ. ლანგეს მიერ მითითებულ აღქმის პირველ საფეხურზე ობიექტური ვითარების განცდა ინტერმოდალური ხასიათისაა. ფილოგენეტური განვითარების ხაზზე ასეთი აღქმა ლანგეს ერთუჯრედიანი ცხოველისათვის მიაჩნია დამახასიათებლად. როგორც ზემოდ აღწერილი ექსპერიმენტების შედეგებიდან ჩანს, ნ. ლანგეს მიერ მოცემული აღქმის განვითარების დასაფეხურება არ არის საკმაოდ სრული. აღსანიშნავია ისიც, რომ ლანგეს მიერ მოცემული აღქმის უკანასკნელი საფეხური ფიგურის აღქმას გულისხმობს და არა საგნის წვდომის აქტს.

ჩვეულებრივად მიღებული დაყოფა ცნობიერებისა ცენტრად და პერიფერიად სრულად არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას, რადგან პერიფერიად მიჩნეული ცნობიერების ველი თავის მხრივ რამდენიმე შინაარსეულად განსხვავებულ ზონას შეიცავს. თუ კაცი ჩვენს ცნობიერებას სქემატურად ექვსი კონცენტრული წრის სახით წარმოიდგენს, მაშინ აღქმის განვითარების ზემოდაღწერილი საფეხურები ერთიმეორის ირგვლივ დალაგდება ამ კონცენტრული წრეების სახით. ამ გზით მივიღებთ ცნობიერების ექვს ზონას, რომელთაგანაც თითოეული მოგვცემს ობიექტური სინამდვილის თავისებურ ასახვას. თუ პირველ ცენტრალურ ზონად აღქმის განვითარების უკანასკნელ საფეხურს ჩავთვლით, სადაც საგანი თავის გრძნობადს თვისებებში მაქსიმალური სიცხადით განიცდება, მაშინ კონცენტრული წრეების სახით აღქმის საფეხურების შებრუნებულ დალაგებას მივიღებთ: აღქმის მეექვსე საფეხური ცენტრში მოქცეული წრის სახით იქნება წარმოდგენილი, ხოლო აღქმის განვითარების პირველი საფეხური მეექვსე კონცენტრულ

წრეში — ცნობიერების ყველაზე პერიფერიულ არეში — მოთავსდება. დანარჩენი საფეხურები თავისი რიგის მიხედვით მოექცევიან პირველ და მეექვსე კონცენტრულ წრეებს შორის.

ჩვენი ყოველდღიური აღქმის პროცესში ყოველთვის არის შესაძლებელი, ცნობიერების ეს ექვსი ზონა იქნას განსხვავებული ერთიმეორისაგან. როცა ახლა, მაგალ., მე იმ ქაღალდს მივჩერებივარ, რომელზედაც ამ სტრიქონებს ვწერ, ქაღალდის უაღრესად ნათელი ხატი მაქვს თავის გრძნობად სავსეობაში (მეექვსე საფეხური — პირველი ზონა), რომელსაც სრულიად განსხვავებულად განვიცდი, ვინემ საწელნეს, რომელიც ამ ქაღალდიდან მარცხნივ რამდენიმე სანტიმეტრითაა დაშორებული (მეხუთე საფეხური — მეორე ზონა). ორივესგან განსხვავებულად განვიცდი სამელნესაგან მარცხნივ მდებარე ნივთს, რომელიც სამელნის თავსახურავი უნდა იყოს (მეოთხე საფეხური — მესამე ზონა): სამელნეს მე გარკვევით ვხედავ, როგორც სამელნეს, თუმცა არც ერთ ჩემ მიერ შენიშნულ მის მომენტს პირდაპირი ხედვისათვის დამახასიათებელი სისავსე და სიცხოველე არ აქვს. მის გვერდით მდებარე სახურავს კი ჩემს ცნობიერებაში შინაგანი გეშტალტი თითქმის მთლიანად დაკარგული აქვს, იგი მხოლოდ ფერითა და დარგვალებულობით არის წარმოდგენილი. ამიტომ ახლა მართლა არ ვიცი, იგი დანამდვილებით სამელნის სახურავია თუ თუნუქის პატარა კოლოფი, რომლითაც წეღან აქ მეზობლის ბავშვი თამაშობდა. სამელნის სახურავის თუ თუნუქის პატარა ყუთის გვერდით, ცოტა დაცილებით, კიდევ დევს რაღაც: ახლა არ ვიცი, რა უნდა იყოს იგი. ფორმისას თითქმის სრულებით ვერაფერს ვარჩევ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მას რომ ახლა ფორმა მნიშვნელოვნად შეეცვალოს, უეჭველად ვიგრძნობ, რომ ფორმის მხრივ ცვლილება მოხდა (მესამე საფეხური — მეოთხე ზონა). მას იქით ვარჩევ უფორმო ფერებს: იქ საგნობრივის საერთოდ არაფერი ჩანს, მაგრამ იქ არსებული ზოგიერთი ფერის შესახებ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რა რომელობისა არიან ისინი (მეორე საფეხური — მეხუთე ზონა); ამ უკანასკნელს იქით კიდევ ვგრძნობ სრულ გაურკვეველ რაღაცას, რომელიც უეჭველად წარმოდგენილია ცნობიერებაში, მაგრამ ისე, რომ მოკლებულია ყოველგვარ განსაზღვრულობას, იმასაც ვერ ვიტყვი, თუ სად და რით მთავრდება იგი. საკმარისია იქ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს, რომ ჩემთვის იგი შესამჩნევი გახდეს (პირველი საფეხური — მეექვსე ზონა).

2. გამოცდილების გავლენა აღქმაზე — კრიტიკული სიტუაცია და ფიქსირებული განწყობა

აქ შეიძლება ორი შემთხვევა განვასხვავოთ: 1) საგნობრივი სინამდვილის ადექვატური აღქმა ისეთ პირობებში, სადაც ასეთი რამ გამოცდილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა და 2) მოცემული ობიექტური ვითარების ილუზიური აღქმა წარსულში მიღებული შთაბეჭდილების საფუძველზე. დავიწყოთ პირველით.

1) მოცემულ მარტივ გრძნობად შთაბეჭდილებაში რთული სინამდვილის წვდომის აქტი.

ნ. ლანგემ პერცეპციის კანონის ბუნების გასათვალისწინებლად მომენტალური განათების მეთოდით შემდეგი ცდები ჩაატარა: ც/პირი ყუთში იხედება სპეციალური მილით. ყუთის განათების შემთხვევაში მილში მოჩანს რაიმე ფიგურა, რომელიც ც/პირმა უნდა გამოიცნოს სხვადასხვა ხანგრძლივობის განათებისას. ყუთი ნათდება ელექტრონის ნაპერწკლით, რომლის რაოდენობა წუთში, ყოველი ექსპოზიციისას, ზუსტად არის განსაზღვრული. ნაპერწკლების რაოდენობა წუთში იცვლება ც/ხელმძღვანელის განზრახვის შესაბამისად. იგი ცდის დასაწყისში ისე მცირეა, რომ მის სინათლეზე რისიმე გარჩევა არ ხერხდება. შემდეგ ნაპერწკალთა რიცხვი თანდათან მატულობს მანამ, სანამ ც/პირი მიწოდებული ფიგურის ნათელ აღქმას არ მიაღწევს. ცდების ძირითადი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ც/პირი ფიგურის ერთხელ ნათელი აღქმის შემდეგ ახერხებს მის ხელახალ გამოცნობას ისე მცირე განათების შემთხვევაშიც კი, რომლის დროსაც წინად მისი უბრალოდ შემჩნევაც კი შეუძლებელი იყო. ასე, მაგალ., ასო Ო წუთში 28 ნაპერწკლით განათებისას ც/პირს სრულიად შეუმჩნეველი რჩება; 33 ნაპერწკალზე შეიმჩნევა რაღაც შავი; 48-ზე — ჩნდება C-ს ბუნდოვანი წარმოდგენა. 56 ნაპერწკალზე კი C ნათლად შეიცნობა. ამის შემდეგ იგივე ც/პირი C-ს ცნობას ახერხებს წუთში 46, 36 და ბოლოს 26 ნაპერწკალით განათებისასაც კი.

ნ. ლანგე ცდების შედეგად მიღებულ მასალის საფუძველზე ასეთ კითხვას აყენებს: რაშია საქმე?! რით განსხვავდება ჯერ კიდევ შეუცნობელი საგნის აღქმა ერთხელ შეგრძნობილი საგნის განმეორებითი აღქმისაგან? პასუხი, რომელსაც ამ კითხვაზე იძლევა ავტორი, ასეთია: „იმით, რომ მეორე შემთხვევაში აღქმას თან ესწრება მოგონების ძლიერი ხატი, რომელსაც ადგილი არა აქვს პირველ შემ-

თხვევაში. ამიტომ ის სუსტი შეგრძნება, რომლის ნათელი გაცნობიერება თავისთავად ჩვენ არ შეგვეძლო, ასიმილირდება რა ამ ხატის მიერ, ნათელი და გარკვეული ხდება“ [1]. ამიტომ „Мы видим и то, чего не видели бы, если бы не знали заранее того, что увидим“ [2].

რა შეიძლება ითქვას ზემოდ აწერილი ცდებისა და იმ დასკვნების შესახებ, რომელიც ნ. ლანგეს გამოაქვს ამ ცდების შედეგების საფუძველზე? წინამდებარე საკითხის გადაწყვეტისათვის ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდი გაცილებით უფრო მდიდარ მასალას იძლევა, ვინემ ეს ნ. ლანგეს ექსპერიმენტის გზით შეიძლება იქნას მიღებული. გარდა აღნიშნულისა, ნ. ლანგეს ცდები საკმაოდ რთულ აპარატურას მოითხოვს, მაშინ, როცა პერიფერიული მხედველობის მეთოდით კვლევა-ძიებისას არავითარი განსაკუთრებული მოწყობილობა არ არის საჭირო.

რაც შეეხება დასკვნებს, რომელსაც ნ. ლანგე იძლევა, შეუძლებელია იგი გაზიარებული იქნას. იქნებ, ნ. ლანგეს მიერ ჩატარებულ ცდებში მართლა იცოდა ც/პირმა წინასწარ, რომ, აი, ამ წუთში იგი სწორედ იმ ფიგურას დაინახავს, რომელიც ამასწინად ნახა და ამიტომ ასაღქმელი ობიექტის გამოჩენისას ამ ობიექტის ნათელი ხატი უკვე ჰქონდა ც/პირს ცნობიერებაში, რის გამოც ფიგურისგან მიღებული სუსტი შთაბეჭდილება და ცნობიერებაში უკვე მზამზარეულად არსებული ამ ფიგურის ცხოველი ხატი ერთიმეორეს შეერწყმა და ორივე იქცა მოცემული სინამდვილის ერთ მთლიან განცდად. ასეთ შემთხვევაში კიდევ შეიძლებოდა, გარკვეული აზრით კაცს ეთქვა, რომ ნ. ლანგეს დასკვნა მართალია, მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტისა და მისი ანალოგიური შემთხვევების მიმართ. მაგრამ ნ. ლანგე ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებას პერცეპციის კანონის სახელწოდებით ზოგად და საყოველთაო მნიშვნელობას აძლევს. მისი აზრით ასე ხდება ყველგან, სადაც კი აწმყოზე გამოცდილების ზეგავლენის ფაქტი დასტურდება; კაცი განათლებულია, ეს სხვას არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, რომ მას შეუძლია შეამჩნიოს ის, რის შემჩნევასაც ვერ შესძლებდა, რომ იგი შესაფერის მოგონებას არ ფლობდესო,—ამბობს იგი. მოგონებისა და წარმოდგენის ცნების ქვეშ ნ. ლანგე ცნობიერებაში მოცემულ, წარსულში მიღებული

[1] Ланге, Н., Психологическия исследования, გვ. 48.
[2] იქვე, გვ. 49.

შთაბეჭდილების ხატს გულისხმობს და არა საერთო ცოდნას, რომელიც შეიძლება ამ წუთში ცნობიერებაში არ იყოს წარმოდგენილი. რომ ეს ასეა, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ნ. ლანგეს ც/პირს ასეთი საერთო ცოდნა C—ასოს შესახებ დიდი ხნიდან ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა C-ს შეცნობა მან პირველად მხოლოდ წუთში 56 ნაპერწკლით განათებისას მოახერხა, მაშინ, როცა მომდევნო ცდებში იგივე C მის მიერ წუთში 26 ნაპერწკლით განათების შემთხვევაში იქნა შეცნობილი.

ჩვენ გვაქვს ცოდნა ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შესახებ. ჩვენ შეგვიძლია, ეს საგნები და მოვლენები სათანადო პირობებში მეტნაკლები სიცხადით წარმოვიდგინოთ; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენთვის ცნობილი და ჩვეული საგნის აღქმას მისი წარმოდგენა უსწრებდეს წინ. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ წინასწარ როდი ვიცით, როდის რა საგანსა და მოვლენას აღვიქვამთ, რომ აღსაქმელი ობიექტიდან მომდინარე შთაბეჭდილებას ამ ობიექტის რეპროდუქტული ხატი შევაგებოთ. ჩვეულებრივად თვითდაკვირვება იმაზე მიუთითებს, რომ მოგონების ნათელი ხატი კი არ უსწრებს წინ საგნის შეცნობას, არამედ პირიქით, საგნის შეცნობის ნიადაგზე ხდება ამ საგნის ნათელი და გარკვეული ხატის აღმოცენება იქ, სადაც უშუალო გრძნობადი მოცემულობა არ იძლევა ასეთი ნათელი ხატის განცდის შესაძლებლობას. ობიექტური ვითარების მხრიდან მოცემული ბუნდოვანი და გაურკვეველი გრძნობადი შინაარსი მასში საგნის წვდომის, მის მიმართ საგნის გულისხმობის აქტის შესრულების შემდეგ შედარებით ნათელ და ცხოველ თვალსაჩინო მოცემულობად იქცევა.

საკითხის უფრო ნათელი წარმოდგენის მიზნით საჭირო იქნება, ჩვენი ცდების შედეგად მიღებულ სათანადო მასალას გავეცნოთ და ამ მასალის საფუძველზე ვცადოთ ნ. ლანგეს მოსაზრებათა შემოწმება.

საგანწყობო ცდებში ც/პირს განმეორებით ეძლევა სურათები, იმავე წესით, რა წესითაც ისინი პირველად მიეცა მას. ც/პირმა არ იცის, როდის რომელ სურათს მიაწვდიან. მან წინასწარ, სურათის გამოცნობამდე, არც ის იცის, ახლა რომ სურათი მოდის, ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც წინად ნახა, თუ სრულიად ახალ რამეს წარმოადგენს, რომელიც პირველად ახლა უნდა აღიქვას. ამიტომ სურათზე წარმოდგენილი საგნის წვდომამდე შეუძლებელია მას კანონზომიერად სწორედ იმ საგნის რეპროდუქციული ხატი ჰქონდეს

ცნობიერებაში, რომელიც ეს-ეს არის ახლა უნდა აღიქვას. ცოდნა იმ სურათების შესახებ, რომელნიც მან წინად აღიქვა, რა თქმა უნდა, მას აქვს. მას შეუძლია ეს სურათები საკმაო სიცხოველით წარმოიდგინოს კიდეც, მაგრამ ამ წუთში, როცა იგი მისი მხედველობის ცენტრისკენ მოძრავი საგნის გამოცნობას ცდილობს, მის ცნობიერებაში აღნიშნული ცოდნა არავითარი ნიშნით არ არის დემონსტრირებული. ამ მომენტში ც/პირის ცნობიერებას უფრო ხშირად მხოლოდ მის წინაშე მდგარი ამოცანის არათვალსაჩინო განცდა და ცდის ობიექტიდან მიმდინარე მარტივი, ჯერ კიდევ საგნის ხატად გაუფორმებელი გრძნობადი შთაბეჭდილება ავსებს. ზოგჯერ ცნობიერებაში ნაადრევად ჩნდება რაიმე სახის ნათელი რეპროდუქტული ხატი, მაგრამ ცდის პირი მოცემულ ვითარებას ამ ხატის შესატყვის სინამდვილედ იშვიათად თვლის. ც/პირი მეორე-მესამე მიწოდებისას საგნის შეცნობას ისეთ პერიფერიულ არეში ახერხებს, საიდანაც მას, აღქმის ფიზიკური და ფიზიოლოგიური პირობების გამო, არ შეიძლება ამ საგნის ნათელი ხატის გაფორმებისათვის საჭირო გრძნობადი მასალა მოეცეს. მიუხედავად ამისა ზოგჯერ ც/პირი ამ პუნქტში საგნის საკმაოდ ნათელ ხატს ჰვრეტს. მაგრამ, როგორც წესი, ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი უკვე მიწვდა შედარებით ბუნდოვან და გაურკვეველ თვალსაჩინო შინაარსით წარმოდგენილ საგანს. ჩვენი ცდები საკმაო მასალას იძლევა იმ აზრის სასარგებლოდ, რომ ცხოველი რეპროდუქტული ხატი კი არ იწვევს მკრთალ შეგრძნებათა ფორმაში მოცემული საგნის აღქმის შესაძლებლობას, არამედ პირიქით, სუსტი და ბუნდოვანი თვალსაჩინო შინაარსით წარმოდგენილი საგნის შეცნობის ნიადაგზე წარმოიებს ამ საგნის ცხოველი რეპროდუქტული ხატის აღმოცენება [1].

როდესაც მხედველობის ორგანო ფიქსაციის წერტილიდან დაახლოებით 30 სანტიმეტრით არის დაშორებული, ც/პირები საგნის გამოცნობას უმეტეს შემთხვევაში მხედველობის ცენტრალური წერტილიდან ათი სანტიმეტრის რადიუსით შემოზღუდულ წრეს შიგნით ახერხებენ და ისიც ზოგჯერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურათი ამ წრის ცენტრს ორი-სამი სანტიმეტრით მიუახლოვდება.

[1] ამ აზრის დამარწმუნებელ დასაბუთებას აკად. დ. უზნაძის ადრინდელ შრომებში ვნახავთ. იხ. დ. უ ზ ნ ა ძ ე, აღქმა და წარმოდგენა; მნიშვნელობის წვდომის პრობლემისათვის.

სურათის განმეორებითი ჩვენების შემთხვევაში მდგომარეობა არსებითად იცვლება. ც/პირმა წინასწარ არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა სურათს უჩვენებენ. ამიტომ მას რომელიმე მისთვის წინასწარ ცნობილი საგნის მოლოდინი არა აქვს. აღნიშნული გარემოების მიუხედავად ც/პირი ახლა იმავე სურათების გამოცნობას მხედველობის ცენტრიდან 40, 45, 50 და ხშირად 55 სანტიმეტრით დაცილებულ მანძილზედაც ახერხებს. პირველი აღქმის დროს ცნობიერების ამ ზონაში, უკეთეს შემთხვევაში, მოცემული ობიექტის მხოლოდ ძირითადი ფერი და ზოგჯერ ფერთან ერთად გაურკვეველი ფორმა იყო განცდილი. ამ მხრივ ტიპიურ მაჩვენებელს № 8 ოქმით წარმოდგენილი ც/პირი იძლევა. იგი პირველად ბავშვს, წიწილს, იებსა და შველს ხუთი სანტიმეტრის რადიუსით შემოსაზღვრულ წრის შიგნით აღიქვამს, ხოლო მერცხალს ცოტა უფრო დაშორებულ მანძილზე. განმეორებული აღქმისას ბავშვს, წიწილს და იებს ცენტრიდან 45 სანტიმეტრით დაშორებულ მანძილზე აღიქვამს, პეპელასა და შველს ამ უკანასკნელთან შედარებით ხუთი სანტიმეტრით უფრო ახლოს, ხოლო მერცხალს ამდენივე მანძილით უფრო დაშორებით. ოქმს რომ თვალი გადავავლოთ და ვნახოთ, რას განიცდიდა ც/პირი პირველი აღქმის დროს მხედველობის პერიფერიის იმ არეში, სადაც ახლა გარკვეულ საგანს წვდება, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: 1ა. რაღაცას ვარჩევ, მაგრამ სრულიად გაურკვეველს (25); 2ა. თეთრი, ყვითელი და მწვანე, შიგ თეთრი წერტილები (20). აზრზე არ ვარ, რა უნდა იყოს (45); 3ა. ყვითელი და თეთრი (26). რაღაც მელნისფერი წინ ზევით (40); 4ა. თეთრ ფონზე რაღაც ლურჯი ფერის (28); 5ა. შავი და თეთრი (20), ყვითელი (25). კიდევ არის სხვა ფერები (30). ასეთია ც/პირის ცნობიერების ამ პერიფერიული არის შინაარსი. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს უფორმო, ზუსტ სივრცითს ლოკალიზაციასმოკლებულ ფერითს შთაბეჭდილებასთან, რაც ჩვენი სქემის მიხედვით ცნობიერების მეხუთე ზონას (აღქმის განვითარების მეორე საფეხურს) შეესატყვისება. ამ ზონაში საგნობრივი სინამდვილისა საერთოდ არაფერი ჩანს. მაგრამ სურათის განმეორებით მიწოდებისას, მეორე საგანწყობო ცდებში, საკმარისია, სურათი შემოვიდეს ამ ზონაში, რომ ც/პირმა იგი მაშინვე გარკვეულ საგნად აღიქვას.

რაშია საქმე? რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? მხოლოდ ობიექტურად მოცემული პირობების საფუძველზე საგნის ნათელი ხატის

განცდა ცნობიერების მეხუთე ზონაში კი არა, მეოთხე, მესამე და მეორე ზონაშიც კი არ ხერხდება. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ პერიფერიული ცნობიერების ამ არეებში ილუზიური აღქმის მიღება გაძნელდებოდა. ცდის პირების ჩვენებიდან ჩანს, რომ მაშინაც კი, როცა ისინი სრული რწმენით აღიქვამენ მოწოდებულ ობიექტებს, ამ ობიექტების ნათელ და სრულყოფილ ხატს არ განიცდიან (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა). მათ საგანი ეძლევათ შინაარსეულად უაღრესად ღარიბ, სუსტი ინტენსიობის მქონე, მიმქრალ გრძნობად შთაბეჭდილებებში. საგნის წვდომის მომენტში, ჩვეულებრივად, არავითარ ცხოვრებ წარმოდგენას არ აქვს ადგილი. მიუხედავად ამისა, საგნის აღქმას სიმტკიცე არ აკლია, რადგან ძლიერი ინტენსიობით განიცდება შინაგანი რწმენა საგნის წვდომის აქტის სისწორის შესახებ.

აკად. დ. უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე ადვილად ხერხდება წინამდებარე საკითხის უმტკივნეულო გადაწყვეტა. საქმის ვითარება შემდეგნაირად უნდა იქნას წარმოდგენილი: როდესაც ჩვენზე რაიმე საგანი პირველად მოქმედებს და მას აღვიქვამთ, ჩვენ ამ საგნის აღქმის ფიქსირებული განწყობა გვიჩნდება. მაგრამ ეს არის ამ საგნის აღქმის განწყობა არა საერთოდ, არამედ ამ საგნის აღქმის განწყობა მხოლოდ იმ გრძნობად ფორმაში, რომელშიაც იგი ახლახან განვიცადეთ. ამიტომ ამ საგნის აღქმა ამიერიდან, ყოველთვის, როცა იგი ამავე გრძნობად შთაბეჭდილებებში მოგვეცემა, ამ ფიქსირებული განწყობის ნიადაგზეა შესაძლებელი. იგივე საგანი სხვა პირობებში შეიძლება პირველიდან სრულიად განსხვავებულ გრძნობად შთაბეჭდილებებით შემოვიდეს ჩვენს ცნობიერებაში. ასეთ შემთხვევაში იგი ჩვენ მიერ განიცდება როგორც უცხო საგანი მანამ, სანამ ამ საგნის აღქმის პირველად ფიქსირებულ განწყობაში მისი ეს ახალი გრძნობადი მხარეც არ აისახება. თუ ასე არ მოხდა, ე. ი. თუ ამ საგნის უკანასკნელი აღქმის განწყობამ პირველი აღქმის ფიქსირებულ განწყობაში არ ნახა თავისი ადგილი, მაშინ ერთი და იგივე ობიექტური სინამდვილის მიმართ აღქმის ორი, ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი, ფიქსირებული განწყობა გვექნება, რომელთა ნიადაგზედაც სუბიექტურად ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული საგნობრივი სინამდვილის აღქმას მივიღებთ: საგნიდან მომდინარე გრძნობად შთაბეჭდილებათა ერთ ჯგუფში ერთ საგანს ვიგულისხმებთ, ხოლო მეორეში — მეორეს. მაგრამ ჩვეულებრივად ასე არ ხდება. ერთხელ

განცდილი საგანი მეორედ აღქმისას შეიძლება სრულიად ახალი შთაბეჭდილებებით შემოვიდეს ჩვენს ცნობიერებაში, მაგრამ იშვიათად მოხდება, რომ ამ ახალი გრძნობადი შინაარსის გვერდით სრულებით არ ჰქონდეს ადგილი იმ შთაბეჭდილებებს, რომელშიაც პირველად ამ საგნის გულისხმობის აქტი განვახორციელეთ, რომლის მიმართაც ამ საგნის აღქმის ფიქსირებული განწყობა შეგვიმუშავდა. ამიტომ საგნობრივი სინამდვილის ამ უკანასკნელი მომენტის ზემოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ ამ საგნის აღქმის ფიქსირებული განწყობის აქტივაცია მოხდეს და წინამდებარე საგნის აღქმა მის ნიადაგზე განხორციელდეს. საგნის ახალი მხარე, რომელიც აქამდე უცხო იყო მოცემული ფიქსირებული განწყობისათვის, ახლა გამოსახავს თავის თავს ამ განწყობის საგნობრივ შინაარსში და ამით ამ უკანასკნელს შინაარსეულად უფრო მდიდარს გახდის. ასე ხდება: საგნის ყოველი ახალი მხარე, საგნობრივი სინამდვილის ახალ ვითარებაში მოცემულობის ყოველი ფაქტი ამ საგნის ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე აღიქმება, მაგრამ თავის მხრივ ეს უკანასკნელიც განიცდის ამ ახალი გარემოების, ამ ახალი ვითარების შესატყვის ცვლილებას: იგი ამ მიმართულებით ფიქსირდება. შემდეგ, როდესაც კრიტიკული ანუ ფიქსირებული განწყობის სიტუაცია (ჩვენს ცდებში გრძნობადი შთაბეჭდილების სახით წარმოდგენილი საგნობრივი ვითარება) თავისი რომელიმე ერთი მომენტით იმოქმედებს სუბიექტზე, სუბიექტს იმ წამსვე შესატყვისი ფიქსირებული განწყობა უაქტიურდება, რის გამოც იგი ახლა ამ მარტივ გრძნობად შინაარსში, ამ უბრალო ფერით მოცემულობაში, ან კიდევ საგნის სხვა რომელიმე შედარებით უმნიშვნელო დეტალში ამ ფიქსირებული განწყობის შესატყვის მთელ საგნობრივ ვითარებას განიცდის, თუმცა ამ დროს ცნობიერებაში თვალსაჩინოდ შეიძლება მხოლოდ ეს მარტივი გრძნობადი შინაარსი იყოს წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში ეს მარტივი შთაბეჭდილება მთელი საგნის მნიშვნელობით განიცდება, იგი განწყობაში ასახული მთელი საგნობრივი შინაარსის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის უკანაც მთელი საგნობრივი სინამდვილე იგრძნობა უშუალოდ.

ზოგჯერ ისიც ხდება, რომ საგნის ერთი რომელიმე მომენტი ფიქსირებული განწყობის ისეთ ძლიერ აქტივაციას იწვევს, რომ მის ნიადაგზე აღმოცენებული გრძნობად შთაბეჭდილებათა ხატი აღქმისებურ სიცხადეს აღწევს, რის გამოც ც/პირი ნათლად განიცდის საგნის ხატს იქ (ისეთ პერიფერიულ არეში), სადაც აღქმის

ფიზიკური და ფიზიოლოგიური პირობების გამო ასეთი რამის განცდა მხოლოდ ობიექტური ვითარებიდან მომდინარე შთაბეჭდილების საფუძველზე შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, მართალია, საგანი ადეკვატურად არის შეცნობილი, მაგრამ მაინც ილუზიის მაგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. აქ ილუზია ეხება არა საგანს, არამედ გრძნობად ხატს, გრძნობად შთაბეჭდილებებს. და ისიც არა იმ მნიშვნელობით, რომ თითქოს საგნისათვის შეუფერებელ, საგნის მიმართ არა ადეკვატურ გრძნობად მოცემულობის განცდასთან გვქონდეს საქმე. არა, უბრალოდ იმ აზრით, რომ ასეთ ობიექტურ ვითარებაში, ობიექტური სინამდვილის ასეთი ზემოქმედების შედეგად არ შეიძლებოდა ამგვარი გრძნობადი შინაარსის შეგრძნებისებურ განცდას ჰქონოდა ადგილი, რომ იგი ჩვეულებრივი ილუზიის მსგავსად სუბიექტიდან არ მომდინარეობდეს.

ნ. ლანგეს ცდებში ც/პირს განმეორებათა საფუძველზე შეუმუშავდა რა C ასოს მოცემულ ვითარებაში აღქმის ფიქსირებული განწყობა, შემდეგ სუსტი განათებისას ამ ვითარების უმნიშვნელო მომენტის, ამ ასოს უმკრთალესი სილუეტის ზემოქმედებაც საკმარისი გახდა იმისათვის, რომ მისი აღქმის საფუძველში მდებარე ფიქსირებული განწყობის აქტივაცია მომხდარიყო და ამ გზით ამ ასოს როგორც C ასოს ნათელი განცდა მიგვეღო.

ამგვარად, საგნის წვდომის აქტის განხორციელება კრიტიკულ (ფიქსირებული განწყობის) და სრულიად უცხო სიტუაციაში (სიტუაციის ქვეშ აქ ის გრძნობადი შთაბეჭდილებები იგულისხმება, რომელშიაც საგანი უნდა იქნას ნაწვდომი) არსებითად განსხვავებული გზით წარმოებს. კრიტიკული სიტუაციის ერთი, ხშირად საგნისათვის სრულიად უმნიშვნელო, მომენტი საკმარისია იმისათვის, რომ ფიქსირებული განწყობის აქტივაცია მოხდეს და ამ გზით ამ სიტუაციის მთელი შინაარსი იქნას განცდილი: ფერი ან კიდევ სხვა რომელიმე თავისთავად მარტივი განცდა რთული საგნობრივი სინამდვილის მნიშვნელობის მატარებელ მოვლენად იქცეს. ასეთ შემთხვევაში კაცს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს ფერის გარდა საგნის ყველა სხვა დამახასიათებელი ნიშანი ჩაძირულია ცნობიერების ძირზე, მაგრამ ისე, რომ მათი არსებობა რაღაცნაირად მაინც უეჭვოდ იგრძნობა, მაინც უშუალოდ განიცდება. იგრძნობა, რომ ცნობიერებაში წარმოდგენილი საგნის მნიშვნელობის მატარებელი შთაბეჭდილება რაღაცას უფრო მყარს, უფრო ღრმად მდებარე გარემოებას ემყარება.

2. საგნობრივი ხასიათის ილუზიები

კრიტიკულ ცდებში ჩვეულებრივად ილუზიებს ვღებულობთ. ხუთმეტ ც/პირზე ექვსი სურათით 180 კრიტიკული ცდა იქნა ჩატარებული. აქედან 153 შემთხვევაში სრულ ილუზიურ აღქმას ჰქონდა ადგილი. დანარჩენ 27 ექსპოზიციიდან 12-ჯერ ილუზიურად იყო აღქმული, მაგრამ ც/პირის მიერ ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული მის მიერ ნაგულისხმევი საგნის ობიექტურად მოცემულობის ფაქტი. არაილუზიური აღქმის მხოლოდ 15 შემთხვევა დადასტურდა და ისიც უმრავლესობა მეორე კრიტიკულ ცდებში.

როგორ უნდა ავხსნათ აღნიშნული ილუზიების წარმოშობა? დღეს განწყობის ფსიქოლოგიაში ამ საკითხზე უკვე მზამზარეული პასუხი არსებობს: საგანწყობო ცდებში მიწოდებული ობიექტის ზემოქმედების ნიადაგზე ც/პირს ამ ობიექტის აღქმის განწყობა უფიქსირდება. შემდეგ, გარკვეულ პირობებში, კრიტიკულ ცდებში მიწოდებული ობიექტის ზემოქმედების საფუძველზე, გარეგნულად რაიმე ნიშნით საგანწყობო ობიექტის მსგავსი ობიექტის ზემოქმედება საგანწყობო ცდებში შემუშავებულ ფიქსირებული განწყობის აქტივაციას იწვევს, რის გამოც ც/პირი მოცემული ობიექტის ნაცვლად ამ უკანასკნელ განწყობაში ნაგულისხმევ საგნობრივ სინამდვილეს განიცდის.

აქ შეიძლება კაცს, რომელიც განწყობის შესახებ დღემდე არსებულ ლიტერატურას იცნობს, ასეთი კითხვა გაუჩნდეს: კი, მაგრამ ცდებში გამოყენებულ სურათზე წარმოდგენილ საგნებთან ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში ათასჯელ და ათიათასჯელ ჰქონია საქმე ც/პირს. ამიტომ მას იმთავითვე უნდა ჰქონდეს მათი აღქმის ფიქსირებული განწყობა და ისიც იმდენად მტკიცე, რომ კიდევ დამატებით ერთი ორჯერ მისი განმეორება მის ინტენსიობას მაინცა და მაინც ვერაფერს შემატებს. რომ ც/პირს ამ საგნების აღქმის ფიქსირებული განწყობა იმთავითვე აქვს, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ც/პირები ცნობიერების პირველ და მეორე ზონაში ამ საგნებს სრულიად თავისუფლად ცნობენ. მაშინ რაში მდგომარეობს საგანწყობო ცდების დანიშნულება? რა ფუნქციას ასრულებს იგი კრიტიკული ცდების მიმართ? საგნობრივი ილუზიების აღმოცენების საქმეში საგანწყობო ცდების ერთი ფუნქციის შესახებ ჩვენ ერთ-ერთ ამასწინად შესრულებულ შრომაში მიეჯთითებდით. იქ ვამბობდით, რომ საგანწყობო ცდებს ფიქსირე-

ბული განწყობა, რომელიც პიროვნებას უკვე აქვს, მზა მდგომარეობაში მოჰყავს, პიროვნების ახლანდელ ვითარებასთან ახლო მოაქვს და ამ გზით იგი ამ განწყობის აქტიობისათვის საჭირო სუბიექტურ პირობებს ამზადებს[1]. ახლა აქ საგანწყობო ცდების მეორე უფრო არსებითი ხასიათის ფუნქციაზე გვინდა მივუთითოთ.

საგანწყობო ცდები, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, აქაც მართლა საგანწყობო ცდებია. როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, საგანი სხვადასხვა დროს სხვადასხვა გრძნობად ფორმაში გვეძლევა. ჩვენ გვაქვს მოცემული საგნის აღქმის ფიქსირებული განწყობა. ამ განწყობის საფუძველზე შესაძლებელია, საგანი ყველა შესაძლო გრძნობად მოცემულობაში იქნას აღქმული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ საგნის ყველა შესაძლო გრძნობად მოცემულობაში აღქმის ფიქსირებული განწყობა გვქონდეს. ც/პირს, რა თქმა უნდა, აქვს როგორც ბავშვის ისე სოკოს აღქმის ფიქსირებული განწყობა და ამ განწყობის ნიადაგზეა, რომ იგი ერთსაც ცნობს და მეორესაც. მაგრამ მას არ აქვს ბავშვის, აი, ამ მოცემულ (ცდებში წარმოდგენილ) გრძნობად ფორმაში, აი, ამ კონკრეტულ საგნობრივ ვითარებაში აღქმის ფიქსირებული განწყობა და საგანწყობო ცდების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მას სწორედ ასეთი ფიქსირებული განწყობა შეუქმნას, ბავშვის აღქმის აქამდე არსებული ფიქსირებული განწყობის ბავშვის ცდისეულ სიტუაციურ მოცემულობაში აღქმის მიმართულებით ფიქსაცია მოახდინოს. ც/პირი საგანწყობო ცდაში ბავშვს მეათიათასჯერაც ხედავს და პირველადაც. მეათიათასჯერ ჰვრეტს იგი ბავშვს როგორც გარკვეულ საგანს, მაგრამ პირველად აღიქვამს მას ამ გრძნობად ვითარებაში. ამიტომ საგანწყობო სიტუაცია ბავშვის აღქმის დიდხნიდან ფიქსირებულ განწყობაში ამ ახალი გრძნობადი ვითარებითაც აიხსნება და ამ ნიადაგზე იგი შემდეგში ამ განწყობის კრიტიკულ სიტუაციად იქცევა.

ფიქსირებული განწყობის მიმართ მეორე საგანწყობო და კრიტიკული ცდების ობიექტები თითქმის სავსებით ერთ და იმავე ფუნ-

[1] იხ. შ. ჩხარტიშვილი, საგნობრივი ხასიათის ილუზიები და განწყობის ხელახალი აქტივაციის საკითხი. 1947 წ. (ხელნაწერი).

ქციას ასრულებენ: ორივე შემთხვევაში სუბიექტის მხრიდან საერთო ბით ერთი და იგივე ხასიათის მოვლენასთან გვაქვს საქმე, თუმცა ერთ შემთხვევაში ადექვატურ აღქმას ვღებულობთ, ხოლო მეორეში — ილუზიურს, პირველმა საგანწყობო ცდებმა უკვე მოახდინა გარკვეული საგნის განსაზღვრულ გრძნობად მოცემულობაში აღქმის განწყობის ფიქსაცია და ამიტომ ამიერიდან საკმარისია, ამ გრძნობადი მოცემულობის რომელიმე ერთმა თვალსაჩინო მომენტმა იმოქმედოს ცდის პირზე, რომ ამ განწყობის აქტივაცია მოხდეს და ც/პირმა მის ნიადაგზე ამ განწყობის შესატყვისი საგნის აღქმა მოგვცეს. კრიტიკული და საგანწყობო ცდის ობიექტები ცნობიერების მეექვსე, მეხუთე და მეოთხე ზონაში თითქმის საერთო ბით ერთნაირი გრძნობადი შთაბეჭდილების სახით განიცდებიან. ამიტომ გასაგებია, ასეთ ვითარებაში მათ ფიქსირებული განწყობის მიმართ რაიმე ერთიმეორისაგან განსხვავებული ფუნქციის შესრულება არ შეუძლიათ. ცნობიერების მესამე ზონაში ც/პირი საგანწყობო და კრიტიკულ ცდის ობიექტებს ასე თუ ისე გაარჩევდა ერთიმეორისაგან, რომ როგორც ერთი ისე მეორე მაშინვე სათანადო ფიქსირებული განწყობის შესატყვის გაფორმებას არ ღებულობდეს. ცნობიერების მეორე ზონაში კრიტიკული ობიექტი საკუთარ პრეტენზიებს აცხადებს: საკმარისია აქ სურათი ერთხანს შევაჩეროთ (ზოგჯერ უმისოდაც), რომ მან შესძლოს საგანწყობო ცდებში შემუშავებული განწყობის დარღვევა და საკუთარი აღქმის განწყობის შექმნა.

ილუზიური აღქმის ფაქტი პირველ საგანწყობო ცდებშიც საკმაო რაოდენობით იჩენს თავს; ცდის პირი მისი მხედველობის ცენტრალური ზონისკენ მომავალ შთაბეჭდილებებს გზადაგზა მნიშვნელობას უცვლის: ვა. ყვითელი რაღაც (25). დოქია (36). ყვითელი მსხალია (45). მალაღურია (60). წიწილი ყოფილა (75), — ამბობს ცდის პირი. აქაც იგივე შემთხვევა მეორდება, რასაც მეორე საგანწყობო და კრიტიკულ ცდებში აქვს ადგილი: ცდის პირს აღუქვამს დოქი ისეთ გრძნობად ფორმაში, რომლის ერთ-ერთ თვალსაჩინო მომენტს ახლა მიღებული შთაბეჭდილება წარმოადგენს და ამიტომ ამგვარად მოქმედი ობიექტური ვითარება მასში დოქის აღქმის ფიქსირებულ განწყობას იწვევს, რომელიც რაღაც უახლოეს წარსულში მიღებული შთაბეჭდილების გამო ახლო იყო ცდის პირის მოცემულ მდგომარეობასთან. იგივე ითქმის ქსხლისა და მალაღურის შესახებაც.

აღქმის საგანი რთულია, ვინაიდან მრავალ გრძნობად ელემენტს შეიცავს, მაგრამ იგი ამავე დროს სინამდვილის ყველაზე უმარტივეს, შედარებით მყარ ერთეულს წარმოადგენს, რადგან ცალკე გრძნობადი ელემენტები, რომლისგანაც საგანია აგებული, მოკლებულია შედარებითი სიმყარისა და დამოუკიდებელი არსებობის უნარს. ყოველი აღქმა კატეგორიულია; მასში ყოველთვის ერთ გარკვეულ, იდეურად განუყოფელ საგანს ვწვდებით. ამიტომ შეუძლებელია, აღქმის საგნის ერთი ნაწილი აწმყოში იქნას განცდილი, ხოლო მეორე წარსულს მიეკუთვნოს. საგანი ან აწმყოში უშუალო მოცემულად განიცდება ან და იგი წარსულში მიღებული შთაბეჭდილების სახით წარმოიდგინება. იმის გამო, რომ აღქმაში არ შეიძლება კატეგორიის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნას წარმოდგენილი, მოცემულ, ერთ მარტივ გრძნობად შინაარსში მთელი საგნის უშუალო მოცემულობა განიცდება. ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გვეპარება ის გარემოება, რომ აღქმული საგნის ზოგიერთი მომენტი, მისი ზოგიერთი ნაწილი შეიძლება განიცდებოდეს არა როგორც აწმყოს უშუალო მოცემულობა, არამედ როგორც წარსულში მიღებული შთაბეჭდილება. რომ, მაგალ., მოსაზღვრე ოთახში მყოფ მეზობლის ბავშვს, რომელსაც მე ახლა მის მიერ წამოწყებულ სიმღერაში აღვიქვამ ოპტიკურად, უშუალო მოცემულობად არ განვიცდი. ამ წუთში მე მისი სახის ნათელი ხატი მაქვს, რომელიც, როგორც ყოველი წარმოდგენა, წარსულში აღქმულ სინამდვილეს მიეკუთვნება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ სიმღერაში მე მეზობლის ბავშვის ერთ ნაწილს აღვიქვამ, ხოლო ოპტიკურ ხატში — მეორე ნაწილს. სიმღერაში მე გარკვეული კატეგორიალური საგანი — ბავშვი მეძლევა უშუალოდ, რომლის წარსულად და აწმყოდ დანაწევრება შეუძლებელია. მიუხედავად მოცემულობის გრძნობადი ფორმისა იგი მე წარსულშიაც მთლიანად მეძლევა და აწმყოშიაც ასეთივე ბუნებისად განიცდება. ამიტომ საკმარისია, ობიექტურად არსებული საგნის ერთი რომელიმე გრძნობადი მომენტი გვქონდეს უშუალოდ მოცემული, რომ მან მაშინვე აღქმის საგნის მნიშვნელობა მიიღოს.

3. ტიპოლოგიისათვის

ტიპოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია, პერიფერიული ხედვის მეთოდს თავისი ამოცანის შესატყვისი მოდიფიკაცია მისცეს და ამ გზით მნიშვნელოვანი ღირებულების მა-

სალა მიიღოს. ჩვენი ცდები ასეთ მიზანს არ ისახავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ზოგიერთი რამ მაინც იქნა შენიშნული:

1. ა) ცდის პირთა ერთი ჯგუფი, ობიექტის მხედველობის ცენტრისკენ მიახლოების კვალობაზე, შემჩნეულ ცალკე შთაბეჭდილებებს ჩამოთვლის. მიღებულ შთაბეჭდილებებში საგნის წვდომის აქტს მხოლოდ მას შემდეგ ახორციელებს, როცა სურათი მხედველობის მეორე ან პირველ ზონაში შემოდის და იგი ნათლად განიცდება. ამ ჯგუფის ცდის პირი საგანწყობო ცდებში ილუზიურ აღქმას არ იძლევა.

ბ) ცდის პირთა მეორე ჯგუფი ამ მხრივ არსებითად განსხვავდება პირველისაგან. ამ ჯგუფის ცდის პირი, შენიშნავს თუ არა ცნობიერების პერიფერიულ ველზე რაიმე ხელსახებ შთაბეჭდილებას, მას მაშინვე რაიმე საგნის მნიშვნელობით აღიქვამს. მხედველობის ცენტრისკენ მიმავალ გზაზე ცნობიერებაში სურათის ახალ-ახალი მომენტების შემოსვლის კვალობაზე იგი, მანამ, სანამ ადექვატურ აღქმას მიაღწევდეს, გზადაგზა რამდენჯერმე ცვლის საგნის გულისხმობის აქტს და, ამნაირად, ილუზიურ აღქმათა მთელ რიგ შემთხვევებს გიაძლევს.

2. ა) ზოგიერთ ცდის პირს საგანწყობო ცდებში იმდენად მტკიცე განწყობა ექმნება, რომ შესაძლებელია მას კრიტიკული ობიექტი მხედველობის მეორე ზონაში დიდხანს ჰქონდეს, მაგრამ ილუზიურ აღქმას თავი ვერ დააღწიოს.

ბ) პირიქით, არიან ისეთი ცდის პირები, რომელთაც, მოხვდება თუ არა კრიტიკული ობიექტი მათი ცნობიერების მეორე ზონაში, საგანწყობო ცდებში ფიქსირებული განწყობა მაშინვე ერღვევათ და მოცემული ობიექტის ადექვატური აღქმის განწყობა უმუშავდებათ.

3. ა) ცდის პირთა ერთი ჯგუფი, განსაკუთრებით პირველ საგანწყობო ცდებში, ვერ ახერხებს ინსტრუქციის გარკვეული პუნქტის შესაბამისად მოიქცეს. ამ ჯგუფის ცდის პირი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ღონით ცდილობს წრის ფიქსაცია მოახდინოს და მხედველობა არ გადაიტანოს მომავალი შთაბეჭდილების ხაზზე, შემოვა თუ არა სურათი ცნობიერების პერიფერიულ არეში, მხედველობას მაშინვე მასზე გადაანაცვლებს. სრულიად ვერ იკავებს თავს განსაკუთრებით მაშინ, როცა სურათი მისი მხედველობის ცენტრალურ პუნქტს რამდენიმე სანტიმეტრზე უახლოვდება. ცდის

პირი ასე იქცევა მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო იგი ზოგჯერ სირცხვილით წითლდება და საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში დგება.

ბ) სამაგიეროდ არიან ისეთი ცდის პირები, რომელთაც შეუძლიათ დამშვიდებულ მდგომარეობაში იყვნენ და იჭონიონ მხედველობის ცენტრი წრეს შიგნით იმ შემთხვევაშიაც კი, როცა სურათი ამ წრიდან ორი-სამი სანტიმეტრით არის დაშორებული. ცდების საერთო მიმდინარეობის მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ჯგუფის ცდის პირებს სურათისადმი პირველთან შედარებით ნაკლები ინტერესი ჰქონდეთ.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

მიხეილ გოგეჭიშვილი

ელექტრონების გაბნევა პოლარიზებულ კულონურ ველში *

1. დირაკის პოზიტრონის თეორიიდან გამომდინარეობს ფოტონის ფოტონზე გაბნევის შესაძლებლობა, რომელსაც მივყავართ ვაკუმის პოლარიზაციის შესაძლებლობამდე. პოლარიზებული ვაკუმის ელექტროდინამიკა დამუშავებული იყო მრავალი ავტორის მიერ [1]. სივრცისა და დროის მიხედვით ნელად ცვლად ველების შემთხვევაში, ე. ი. როცა დაცულია პირობები:

$$\frac{h^{**}}{mc}\,|\,\mathrm{grad}\,F\,|<<|\,F\,|\,,\qquad \frac{h}{mc^2}\,\frac{\partial F}{\partial t}<<|\,F\,|$$

ვაკუმის ელმაგნიტური თვისებები შეიძლება გამოხატული იქნეს მისი პოლარიზაციით, რომელიც დამოკიდებულია სინათლის გარდამტეხ ან გამბნევ ველზე. ვაკუმის ელდინამიკა ხასიათდება განტოლებებით:

$$\frac{1}{c}\,\frac{\delta H}{\delta t}+\mathrm{rot}\,E=0,\qquad \mathrm{div}\,H=0,$$

$$-\frac{1}{c}\,\frac{\delta D}{\delta t}+\mathrm{rot}\,B=0,\qquad \mathrm{div}\,D=0.$$

$$D=E+\frac{1}{90\pi}\,\frac{hc}{e^2}\,\frac{1}{E_0^2}\,[4(E^2-H^2)E+14(EH)H]$$

$$B=H+\frac{1}{90\pi}\,\frac{hc}{e^2}\,\frac{1}{E_0^2}\,[4(E^2-H^2)H-14(EH)H] \qquad (1,\ 1)$$

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიაზე 1948 წლის 28 თებერვალს.

** h-ში იგულისხმება h გადახაზული.

სადაც: $$E_0 = \frac{e}{(e^2/mc^2)^2} = \frac{e}{r^2_0}$$

2. ჩვენი მიზანია ელექტრონების გაბნევის ეფექტის გამოთვლა (1, 1) განტოლებებიდან მიღებულ კულონურ ცენტრზე.

კულონური ველის შემთხვევაში, ე. ი. როცა $A = 0$, (1, 1) განტოლებები დაიყვანებიან შემდეგ განტოლებებზე:

$$\text{rot } E = 0, \qquad \text{div } D = 0$$

$$D = E + \frac{1}{90\pi}\frac{hc}{e^2}\frac{4E^2}{E^2_0}E = E(1 + aE^2) \quad (2, 1)$$

სადაც:

$$a = \frac{1}{90\pi}\cdot\frac{hc}{e^2}\cdot\frac{4}{E^2_0}$$

E ვექტორი გამოვხატოთ ველის პოტენციალით. $E = -\text{grad}\,\varphi$ სადაც $\varphi = \varphi_0 + \varphi_1$, φ_0 ჩვეულებრივი კულონური პოტენციალია, მხოლოდ φ_1 წარმოადგენს ვაკუმ ელექტრონებით გამოწვეულ ველის პოტენციალს. (2, 1) განტოლებებიდან აღვილად ვიპოვით φ_1-ის მნიშვნელობას, თუ ვიგულისხმებთ, რომ $\varphi_0 = \frac{e}{r}$ და $\varphi_1 << \varphi_0$ ვეკქნება:

$$\varphi_1 = \frac{a}{5}\frac{e^3}{r^5} \simeq 0{,}4\,\frac{e}{r}\left(\frac{r_0}{r}\right)^4$$

პოლარიზებული ვაკუმის კულონური ველის პოტენციალისათვის გვექნება:

$$\varphi = \frac{e}{r}\left(1 + 0{,}4\,(r_0/r)^4\right)$$

3. განვიხილოთ ელექტრონების გაბნევა მიღებულ კულონურ ცენტრზე და გამოვითვალოთ აღნიშნული ეფექტის დიფერენციული განივი კვეთი. ურთიერთქმედების ენერგია,

რომელიც იწვევს ელექტრონების საწყისი მდგომარეობიდან $(P_0,\ S_0)$ საბოლოო მდგომარეობაში $(P,\ S)$ გადაყვანას, ტოლია:

$$U = e\varphi = \frac{e^2}{r}\left(1 + 0{,}4\,(r_0/r)^4\right) \qquad (3,\ 1)$$

გადასვლის მატრიც ელემენტს ექნება შემდეგი სახე:

$$H_{nm} = \int \psi_n^* U \psi_m \, d\tau \qquad (3,\ 2)$$

სადაც ψ_n და ψ_m დირაკის ტალღური განტოლების ამოხსნებია თავისუფალი ელექტრონისათვის საწყის და საბოლოო მდგომარეობებში. (3, 2)-ში შევიტანოთ (3, 1) და ψ ფუნქციების მნიშვნელობა, მივიღოთ მხედველობაში, რომ ელექტრონის ენერგია და იმპულსი დაჯახებამდე სიდიდით ტოლია ელექტრონის ენერგიისა და იმპულსისა დაჯახების შემდეგ, ე. ი. ვიხილავთ დრეკად დაჯახებას. გადასვლის მატრიც-ელემენტისათვის მივიღებთ:

$$H_{nm} = e^2 \int U_n^* e^{-i/\hbar c (P_0 R)}\left(1 + 0{,}4 (r_0/r)^4\right) U_m e^{i/\hbar c (P R)} \frac{d\tau}{r}$$

U_n და U_m დირაკის ამპლიტუდებია. როგორც ცნობილია, პირველი ინტეგრალი განსხვავებულია ნულისაგან მხოლოდ მაშინ, როცა დაცულია პირობა $P_0 = P$, ამოხსნა გვაძლევს:

$$(U_n^* U_m) \int e^{i/\hbar c (P - P_0,\ R)} \frac{d\tau}{r} = \frac{4\pi \hbar^2 c^2}{|P - P_0|^2} (U_n^* U_m)$$

მეორე ინტეგრალის ამოსახსნელად მივიღოთ მხედველობაში, რომ, ტვირთის ველი არ აღემატება ველს ელექტრონის ზედაპირზე, ე. ი. $\frac{Ze^2}{r^2} \leq \frac{e^2}{r_0^2}$ საიდანაც ვღებულობთ, რომ $r \geq r_0\sqrt{Z}$. მეორე ინტეგრალისთვის r-ის მიხედვით ინტეგრობისთვის ქვედა საზღვრით უნდა მივიღოთ r_0 $(Z = 1)$. ინტეგრალის გამოსათვლელად $e^{i/\hbar c (P - P_0,\ R)}$ გავამწკრივოთ

$P-P_0$-ის ხარისხების მიხედვით და დავკმაყოფილდეთ მწკრივის მეორე წევრით (რადგან დანარჩენი წევრები მცირეა)

$$2\pi(U_n^* U_m)\int_0^{\pi}\int^{\infty} 0{,}4\,(1+\frac{|P-P_0|}{hc}|R|\cos\vartheta)\,(r_0/r)^4\, r\,dr\sin d\vartheta$$

აქედან მეორე ინტეგრალი ტოლია ნულის, ხოლო პირველი ინტეგრალი გვაძლევს:

$$0{,}4\,.\,2\pi(U_n^* U_m)\int_0^{\pi}\sin\vartheta\,d\vartheta\int_{r_0}^{\infty} r_0^4\frac{dr}{r^3}=4\pi\,.\,0{,}2\,(U_n^* U_m)\,r_0^2.$$

H_{nm}-ისათვის საბოლოოდ მივიღებთ:

$$H_{nm}=e^2\,4\pi(U_n^* U_m)\left(\frac{h^2c^2}{|P-P_0|^2}+0{,}2\,r_0^2\right)$$

გადასვლის ალბათობის გამოსათვლელად ვისარგებლოთ ზოგადი ფორმულით:

$$d\omega=\frac{2\pi}{h}|H_{mn}|^2\varrho_f \qquad (3.4)$$

სადაც $\varrho_f=\frac{E^2}{(2\pi hc)^3}\frac{dE}{dE_f}d\Omega$ საბოლოო მდგომარეობათა სიმკვრივეა ენერგიის dE_f ინტერვალში. $d\omega$ გაყოფილი ელექტრონების ნაკადის ინტენსივობაზე, ე. ი. ამ შემთხვევაში ელექტრონის საწყის სიჩქარეზე $V_0=\frac{cP_0}{E}$ მოგვცემს დიფერენციულ ეფექტურ კვეთს $d\Phi$ (3, 3) და (3, 4) ფორმულებიდან მივიღებთ:

$$d\Phi=\frac{4E_0^3e^4}{hcP_0}\left|\frac{h^2c^2}{|P-P_0|^2}+0{,}2\,r_0^2\right|^2\sum\frac{(U_n^* U_m)\,(U_m^* U_n)}{h^3c^3}\,d\Omega \qquad (3,5)$$

სადაც ჯამი აღებულია ელექტრონის ოთხი მდგომარეობის მიმართ, ხოლო $^1/_2$ ნიშნავს სპინის საწყისი მდგომარეობის მიხედვით გასაშუალებას, ჯამის გამოთვლის შედეგად მივიღებთ:

$$\frac{1}{2}\sum (U_n^* U_m)(U_m^* U_n) = \frac{1}{8 E E_0}(2 P_0^2 \cos^2 \vartheta/_2 + 2\mu^2)$$

სადაც ϑ კუთხეა P და P' მიმართულებათა შორის, მხოლოდ $\mu = \mu_0 c^2$ ელექტრონის საკუთარი ენერგიაა. (3, 5)-ში $^1/_2 \Sigma$-ს და $d\Omega$-ის მნიშვნელობის შეტანის შედეგად $d\Phi$-თვის საბოლოოდ მივიღებთ:

$$d\Phi = \frac{2\pi e^4}{(h c)^4}\frac{E_0}{P_0}(P_0^2 \cos^2 \vartheta/_2 + \mu^2)\left\{\frac{h^2 c^2}{|P-P_0|^2} + 0{,}2 r_0^2\right\}^2 \sin\vartheta\, d\vartheta$$

თუ მივიღებთ, რომ $r_0 \to 0$, $d\varphi$ გადადის რეზერფორდის ცნობილ ფორმულაში

$$d\Phi \to d\Phi_0 = \frac{2\pi e^4 (P_0^2 \cos \vartheta/_2 + \mu^2)}{16 c^2 P^4 \sin^4 \vartheta/_2}\sin\vartheta\, d\vartheta$$
$$r_0 \to 0$$

აშკარად ჩანს, რომ $d\Phi$ მცირედ განსხვავდება $d\Phi_0$-საგან, რაც იმას ადასტურებს, რომ ვაკუმ ელექტრონებით გამოწვეული ეფექტი უმნიშვნელოა და ვაკუმის პოლარიზაციის გათვალისწინება აღნიშნული ეფექტისათვის არ იძლევა არაფერს მნიშვნელოვანს, რაც თავიდანვე იყო მოსალოდნელი.

4. ვაკუმის პოლარიზაციის გათვალისწინებით შეიძლება განხილულ იქნას, საკითხი ელექტრონების ურთიერთგაბნევისა Möller-ის მეთოდით [2].

ვაკუმ ელექტრონებით გამოწვეული ტვირთისა და დენის სიმკვრივე მოცემული იყო ჰაიზენბერგის და შემდეგ სერბერის მიერ შემდეგი ფორმულებით:

$$I_1 = -\frac{1}{15\pi}\frac{e^2}{h c}\left(\frac{h}{m c}\right)^2 \frac{\Box I}{c}$$
$$\varrho_1 = -\frac{1}{15\pi}\frac{e^2}{h c}\left(\frac{h}{m c}\right)^2 \frac{\Box I}{c} \qquad (4,\ 1)$$

(4, 1) ფორმულების გათვალისწინებით ელექტრონთა ურ-

თიერთგაბნევის ეფექტური კვეთისათვის მიიღება Möller-ის ფორმულისაგან მცირედ განსხვავებული ფორმულა:

$$d\Phi\, d\Theta = 4\pi\left(\frac{e^2}{mv^2}\right)\frac{\gamma+1}{\gamma^2}\, dx\left\{\frac{4}{1-x^2} - \frac{3}{1-x^2} + \right.$$

$$\left. + \frac{\gamma-1}{4\gamma^2}\left[1+\frac{4}{1-\gamma^2}\right]\right\}\left(1-\frac{8a}{15}(1-x)(\gamma-1)\right)$$

სადაც $x = \dfrac{2-(\gamma+3)\sin^2\Theta}{2+(\gamma-1)\sin^2\Theta}$, $\dfrac{dx}{d\Theta} = \dfrac{4\sin^2\Theta(\gamma+1)}{[2+(\gamma-1)\sin^2\Theta^{\,2}}$

$$a = \frac{e^2}{hc}, \qquad \gamma = \frac{1}{\sqrt{1-\frac{v^2}{c^2}}}.$$

ამ შემთხვევაშიდაც ვაკუმ ელექტრონებით გამოწვეული ეფექტი უმნიშვნელოა.

ციტირებული ლიტერატურა

1. Von Hans Euler, Annalen der Physik 5. f. Band 26. 1936,
2. Мотт и Месш, Теория атомных столкновении, ОНТИ-1936 г.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

არსენ ბიბიჩაძე

გრიფიუსის „საქართველოს დედოფლის" ერთი ეპიზოდის მნიშვნელობა

მეჩვიდმეტე საუკუნის სილეზიელი პოეტი და დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი მრავალმხრივ საინტერესო ფიგურაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. მას სამართლიანად თვლიან ახალი დროის გერმანული ტრაგედიის დამწყებად. ჩვენთვის გრიფიუსის შემოქმედებითი სახე კიდევ იმითაა საინტერესო, რომ იგი ჩვენი სამშობლო მხარის ისტორიის მცოდნე ყოფილა და ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი არსებობისათვის ხანგრძლივი გმირული ბრძოლა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ტრაგედიის თემად გამოუყენებია.

ეს არის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კათარინა, ანუ ნაცადი სიმტკიცე", რომელიც მას დაუბეჭდავს 1657 წელს. დრამაში აღწერილია სპარსეთის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლის ერთი ეპიზოდი — სპარსეთის მპყრობელის ტირან შაჰ-აბასის მიერ საქართველოს დედოფლის ქეთევანის წამებისა და მკვლელობის ამბავი.

ეს არის უკანასკნელი დღე ტყვე დედოფლის სიცოცხლისა; აბასი მოუხიბლავს დედოფლის მშვენიერება და ძლიერი გრძნობით შეპყრობილი კვლავ სთავაზობს დედოფალს უარყოს ქრისტიანული სარწმუნოება და სპარსეთის დედოფლად გახდეს; დედოფალი არ ისმენს შაჰის ვედრებას და მტკიცედ დგას გადაწყვეტილებაზე უმალ მოკვდეს, ვიდრე სამშობლოს და სარწმუნოებას განუდგებოდეს; ამის გამო შეურაცხყოფილი შაჰი მუქარით სცილდება მას; ამ დროს ისპაჰანს ჩამოდიან რუსეთის ხელმწიფისა და ქართველი ელჩები. რუსეთის ელჩი დიდი ხელმწიფის სახელით დედოფლის განთავისუფლებას მოითხოვს; შაჰი, ტრფობისაგან თავგზააბნეული, ჯერ ჰპირდება მას დედოფლის განთავისუფლებას, მაგრამ მალე, ამ

ძვირფასი ნადავლის დაკარგვის საფრთხით გაღიზიანებული, გადაწყვეტს უკანასკნელად შესთავაზოს ცოლობა და ბედნიერება დედოფალს და, რა კვლავ მტკიცე უარს მიიღებს, წამებით ასჯვენებს საბრალო ტყვეს. სიყვარულის ალმურმოდებული თვითაა აღშფოთებული თავისი მოქმედებით და დაღუპული დედოფლის ბედს ცხარედ დასტირის.

წინამდებარე გამოკვლევა ეხება რუსეთის ელჩის შუამდგომლობის ეპიზოდს და იხილავს მის კომპოზიციურ მნიშვნელობას, რომლის ფონზე გრიფიუსის ისტორიულ სინამდვილესთან დამოკიდებულებისა და ამასთანავე მისი პოეტური დამოუკიდებლობის საკითხი წყდება, რაც დღემდე ან მიჩქმალული, ან უარყოფითად გადაწყვეტილი იყო ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

* * *

გრიფიუსის ტრაგედიებში ასახულ მოვლენათა ისტორიულ ფაქტებთან ურთიერთობის საკითხის გარკვევა შუქს მოჰფენს, ერთის მხრივ, მეჩვიდმეტე საუკუნის გერმანული ბაროკოს ლიტერატურის თავისებურ ხასიათს, როგორც განკერძოებულ სახეს და ზოგჯერ დაპირისპირებულსაც ევროპის სხვა ქვეყნების მსგავს ლიტერატურულ მოვლენებთან და, მეორე მხრივ, მან დამაჯერებელი საბუთებით უნდა გაამაგროს გრიფიუსის შემოქმედების დამოუკიდებლობის, თავისთავადობის და უშუალობის შესახებ გამოთქმული აზრი. ეს უკანასკნელი აქამდე პრობლემის სახით ისმებოდა (პალმი, ველტი, ბრედოვი, ვისოცკი, მანჰაიმერი, შტახელი და სხვები) და უარეს შემთხვევაში წყდებოდა გრიფიუსის დამოუკიდებლობის უარყოფით და მასზე ევროპის ლიტერატურის ძლიერ ავტორიტეტთა გავლენის აღიარებით (კოლევიან) [1]. ამ დებულებას განსაზღვრულად გარკვეული საფუძველიც გააჩნდა და გამომდინარეობდა გრიფიუსის ლაიდენში (ჰოლანდია) ყოფნის დროინდელ ახალგაზრდობის პერიოდის შტუდიების თავისებური გაგებიდან.

დიდი ჰოლანდიელი კლასიკოსი მწერლის იონ ვან ვონდელის ძლიერი ლიტერატურული ტრადიცია იმდროინდელი ჰოლანდიის ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით პრიორული მდგომარეობის ფონზე, გასაკვირი არაა, საყოველთაოდ აღიარებულად გახდიდა

[1] *B. A. Kollewijan, Ueber den Einfluss des holändischen Dramas auf Andreas Gryphius. Inaugural — Dissertation. Amersfort u. Heilbronn, 1880.*

ნიდერლანდული დრამის გავლენის ძალას. ამიტომ სრულებითაც არ იწვევს გაკვირვებას, რომ გრიფიუსის ტრაგედიის „*Katharina von Georgien*" ამოსავალ წერტილად ვონდელის ცნობილი დრამა „*Maeghden*" იქნა აღიარებული და დაიწყო ძიება არა მარტო ე. წ. „საერთო იდეისა" და სიუჟეტის ნასესხობის დამადასტურებელი საბუთებისა, არამედ სიტყვიერი სამკაულების და პოეტურ გამოთქმათა იმიტაციაც ეპვს გარეშე მდგომ საკითხად მიიჩნიეს. ამ შეხედულებას იზიარებენ გერმანელი მკვლევარებიც, თუმც ზოგჯერ გერმანული ნაციონალური თავისებურებების ხაზგასმით დაინტერესებულნი ახდენენ იმ დებულების აქცენტირებას, რომ გრიფიუსმა თითქოს გერმანული ბაროკოს სული ჩაბერა იმიტირებულ სიუჟეტს [1]. გამომდინარე გრიფიუსის ტრაგედიების ძირითადი პრინციპიდან, სადაც ტრაგიკული სიდიადის გამომხატველად ვნებათა ღელვის უმაღლესი დაძაბულობის ნაცვლად გვირის მორალური სიმტკიცე, გამძლეობა, წამებულის შეუდრეკელი სიმხნევე გამოდის და აღნიშნული ტრაგედიის სახით კი სწორედ ამგვარი სიდიადეა ხოტბაშესხმული. ისინი ასკვნიან, რომ გრიფიუსისათვის ეს დრამატული ისტორია ბუნებრივი, დამახასიათებელი, ახლობელი და მისი კალმისთვის არაერთგზის ნაცნობი იყო, ამდენად კი — გერმანული ბაროკოსათვის ჩვეული ჰანგი. ბოლოს მაინც ძალობს კომპარატივისტული მანერა და დამაჯერებელი საბუთების გარეშე ერთხმად აღიარებენ გრიფიუსზე ვონდელის უშუალო გავლენას.

ამ გაურკვევლობის სათავე (თუ გაურკვევლობას დავარქმევთ მას, რასაც კატეგორიული მსჯელობით გადმოსცემენ სათანადო საბუთებით გამაგრების გარეშე) ისევ გრიფიუსის ტრაგედიების წყაროების გაურკვევლობაში და, უფრო კონკრეტულად თუ მივუდგებით საკითხს, ამ წყაროების რეალურ სინამდვილესთან ურთიერთობის გაუთვალისწინებლობაში მდგომარეობს. საქმე იმაშია, რომ (როგორც ჩვენ ამას უფრო დაწვრილებით სხვაგან დავინახავთ) გრიფიუსმა თავის დროზე უფრო მეტი დაწვრილებითი და სწორი ცოდნა გამოამჟღავნა იმ ისტორიული ვითარებისა, საიდანაც ის ტიპებს და მოქმედების მაგალითებს იღებდა, ვიდრე იმ მკვლევარებმა ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეობის ძველი და ახალი სკოლიდან, რომლებმაც ეს საკითხი კვლევის საგნად გაიხადეს. ამის

[1] *Willi Flemming, Andreas Gryphius und die Bühne, Halle a. S. 1921*, გვ. 127.

დამადასტურებელ ფაქტებს ჩვენ დავინახავთ როგორც ცალკეული ეპიზოდების და აზრების განხილვისას, ასევე ტრაგედიის მთლიანი კომპოზიციური მხარის გათვალისწინებისას, მოქმედების სვლის და მისი განვითარების წამყვან მოტივთა განხილვისას.

მარტო ცალკეულ ისტორიულ ფაქტთა დაწვრილებითი ცოდნა, რომელიც ხშირად ხდება თვალნათლივ დასანახი ტრაგედიის მთელს მანძილზე, არ ამოსწურავს ავტორის ისტორიულ სინამდვილესთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მთლიან ხასიათს. ამას თან დაერთვის იმ საერთო სულისკვეთების, ეპოქისთვის დამახასიათებელი ზოგადი თვალსაზრისის ცოდნა, ამა თუ იმ ფაქტის სხვებთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტაში ეპოქის აუცილებელი ვითარების დანახვა პერსპექტივაში, რაც დრამაში ხშირად ჰქმნის ისტორიულ სინამდვილესთან ზედმიწევნით და ოსტატურად დაახლოებულ კოლორიტს. ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითს წარმოადგენს გრიფიუსის ტრაგედიის „საქართველოს დედოფალი კათარინა, ანუ ნაცადი სიმტკიცე“ ერთი ეპიზოდი, რომელიც უთუოდ არსებითი მნიშვნელობის მქონეა ისტორიულ სინამდვილესთან ავტორის დამოკიდებულების გარკვევის საქმეში. ეს არის რუსეთის ელჩის ტიპის დახატვა და მისი მოქმედების წარმოდგენა ტრაგედიაში და გრიფიუსის თვალსაზრისი ამ გმირის პოლიტიკური მისიის შესახებ.

კაპიტალისტური დასავლეთის მკვლევართა შორის ამ საკითხისათვის ჯეროვნად ყურადღება არავის მიუქცევია და ეს გასაგებიცაა. თუ კი ვინმე ამ საკითხს ოდნავად მაინც შეჰხებია, ყველა იმ შეხედულებისაა, რომ ეს უბრალო ეპიზოდური როლია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია და დრამის ტექნიკურ მხარეს ემსახურება მხოლოდ [1]. ეს კი წარმოადგენს ნაწარმოებში ასახული ისტორიული ფაქტების მიჩქმალვის ცდას, და, მაშასადამე, ავტორის რეალისტური ჰვრეტის უნარის უგულებელყოფას.

ამრიგად, ეცლება რა საფუძველი დრამის რეალისტურ, ისტორიულ ხასიათს, ისპობა მთავარი დასაყრდენი ტრაგედიის თავისებური ხასიათის მტკიცებისათვის და შესაძლებელი ხდება გრიფიუსის ვონდელისაგან სრული დამოკიდებულების აღიარება, რაც კომპარატივისტების ჩვეული მანერა იყო ყოველთვის.

---

[1] ამ თვალსაზრისს იზიარებენ კობერშტაინი, ლემკე, ბობერტაგი, გუნდოლფი და სხვები.

ტრაგედიის ხსენებული ეპიზოდი ისტორიული ღირებულების მქონე მნიშვნელოვანი ფაქტია. იგი ასახავს ორიენტაციების ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საუკუნეებრივი ბრძოლის ისტორიის ფონზე. მეჩვიდმეტე საუკუნეში ამ ბრძოლების ორბიტში მომწყვდეული იყო, ერთი მხრივ, ირანი და ოსმალეთი, მეორე მხრივ საქართველოს დიდი მეზობელი ჩრდილოეთით—რუსეთი. უკვე მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში იწყება რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესების მძაფრი შეჯახება. რუსეთის პოლიტიკის გააქტივება უფრო მეტად იმან გამოიწვია, რომ ოსმალეთის ურდოებმა საქართველოს ტერიტორიის ვერაგულად ხელში ჩაგდების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობაც მოისურვეს. მაშინ საბოლოოდ მომწიფდა რუსეთის ინტერესების დასაცავად სამხრეთში საქართველოსთან დაკავშირების საკითხი მადაგაღვიძებული მუსულმანი აგრესორის შესამუსრავად. ეს სწორად გაიგო რუსეთის მაშინდელმა მეფემ თეოდორემ, რის შედეგადაც მან დაუყოვნებლივ განაახლა მოლაპარაკება კახეთის მეფე ალექსანდრესთან [1].

თეოდორე ივანეს-ძის მიერ საქართველოს მეფისადმი ელჩ იგნატი დანილოვის ხელით წარგზავნილ ეპისტოლის საპასუხოდ ალექსანდრეს დესპანები წარუგზავნია მოსკოვის კარზე 1576-87 წლებში [2]. რუსეთის მეფის მიერ აღთქმული მფარველობა, რაც პირველ ხანებში დაღესტანის წინააღმდეგ რუსთა ჯარების ლაშქრობის სახით გამოიხატა, ეფექტური არ აღმოჩნდა და 1605 წელს დაღესტანში რუსეთის ლაშქრის სრული ამოჟლეტის შემდეგ დროებით სრულიად შეწყდა: ქვეყნის შიგნით ატეხილმა უწესრიგობამ სამხრეთ მეზობელთა ურთიერთობის საჭირბოროტო საკითხი დაჩრდილა და რუსეთის ტახტის მმართველთ ამისათვის აღარ ეცალათ. შემდგომში კი რუსეთთან ურთიერთობის განახლების ცდამ საბოლოოდ წაჰკიდა საქართველო სპარსეთს [3]. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში კვლავ დაიწყო ოსმალეთსა და სპარსეთს შორის დროებით შეჩერებული ომები, რომელთა დროსაც სპარსეთის გაძლიერებული შაჰი ოსმალეთს წინა ომების დროს მიტაცებულ მიწებს ედავებოდა. საქართველო

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 948, გვ. 325.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV ტ., თბილისი, 1948, გვ. 299.

[3] იქვე, გვ. 346.

კი, ხედავდა რა თავის დაუძინებელ მტრებს შორის ატეხილ სისხლისღვრას, უკვე დარწმუნებული იმაში, რომ ერომორწმუნე რუსეთი ქვეყნის შიგნით ატეხილ აჯანყებათა გამო მას ახლა ეფექტურ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა, ეწეოდა პოლიტიკურ თამაშს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის, ხან ერთს და ხან მეორეს ემხრობოდა, რათა ამ ორომტრიალში საკუთარი დამოუკიდებლობა როგორმე შეენარჩუნებინა. მაინც არ ჰკარგავდა იგი ამავე დროს იმედსა და მტკიცე გადაწყვეტილებით ზრუნავდა, რათა დაკავშირებოდა ძლიერ რუსეთს ისლამის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად.

ეს აუცილებლობა, რაც ისტორიული სამართლიანობის კანონთა შესატყვისად გამართლებული იყო, მომწიფებული სულისკვეთება იყო საუკუნისა და მისი გამოვლინება ხალხების კულტურის ყოველ სფეროში იგრძნობოდა [1]. ეს ეპოქალური მოვლენა, ეს საერთო სულისკვეთება ეპოქისა აღიბეჭდება სწორედ გრიფიუსის ტრაგედიაში, თუმც იგი დაღმავალი არისტოკრატიული ფენის ვემოვნების გამომხატველი სტილის — ბაროკოს სტილის ლიტერატურული ანარეკლი იყო ამავე დროს. მით უფრო საკვირველი და ინტერესის აღმგზნები.

დასმული საკითხის გადასაჭრელად ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნული ისტორიული ამბის მხატვრულად გამოყენების სახის და, კერძოდ, მისი მნიშვნელობის გათვალისწინება ტრაგედიის მხატვრულ, კომპოზიციურ ჭრილში.

ტრაგედიაში აღწერილი მოქმედება — საქართველოს დედოფლის კათარინას [2] წამება ხდება იმ დღეს, როდესაც ისპაჰანს — შაჰ-აბასის კარზე ჩაეა ორი ქართველი ელჩი (*Gesandte von Georgien*) პროკოფი და დემეტრე (*Procopius* და *Demetrius*). ისინი სპარსეთის დედაქალაქში მოჰყოლიან ამ დროს ისპაჰანს ჩამოსულ რუსეთის ელჩს (*Gesandte aus Reussen*), რომელიც აქ რუსეთის მეფის — ცარის [3] (*Czar*) საგანგებო მისიით ყოფილა წარმოგზავნილი.

---

[1] გრიფიუსის ტრაგედიაში ასახულ მოვლენათა ურთიერთობა ისტორიულ სინამდვილეში ჩვენთვის ცნობილ ფაქტებთან გამოკვლეული იქნება ჩვენ მიერ ცალკე.

[2] ისტორიულად ქეთევან დედოფალი, ტყვეობაში მყოფი, სპარსეთის შაჰმა წამებით მოჰკლა 1624 წელს. ამ ისტორიული ამბის მხატვრული დამუშავების თავისებურებათა შესახებ აგრეთვე ცალკე სხვა დროს.

[3] გრიფიუსი, იღებს რა სიტყვას „ცარი" ლათინური *Caesar*-ისგან წარმოებულად, ხმარობს რუსული ფონეტიკური ბუნებით გერმანული ტრანსკრიპციით „*Czar*". იხ. ავტორის შენიშვნა ტრაგედიის დასასრულს, გვ. III.

Ein Gurgistanscher Fuerst | der nechts auss Reussen kommen
Hat mir diss selbst erzehlt[1].
ერთმა თავადმა გურჯისტანიდან აქ რუსეთიდან ახლადმოსულმა
თავად მიამბო ეს ყოველივე...

ამბობს დედოფლის სეფექალი სალომე დედოფალთან საუბარში. ელჩებს შეგნებული აქვთ, რომ მათ სასჯელი არ ასცდებათ, თუ სპარსეთის ვერაგი ხელისუფალი შეიტყობს მათი კარზე გამოჩენის ამბავს. ამიტომ ისინი რუსეთის ელჩის სამყოფ ადგილზე იმალებიან და მათ ამაში სალომე ეხმარებათ.

Sie leben vnerkandt
Bey disem den der Czar der Reussen nechst gesand[2].
შეუმჩნეველად ცხოვრობენ მასთან,
ვინაც სპარსეთში ცარს რუსეთისა თავის დესპანად მოუგზავნია.

ქართველი ელჩების ჩასვლა ისპაჰანს ავტორს უთუოდ რუსეთის ელჩთან თანხლებით აქვს ნაგულისხმები. მეორე ადგილს იგი გარკვევით ათქმევინებს სალომეს: „*der nechts auss Reussen kommen*“ და ეს გასაგებიც უნდა ყოფილიყო იმ დროს. უშუალოდ საქართველოდან, რომელიც მაშინ შაჰ-აბასს დამორჩილებული და ბლოკირებული ჰყავდა და, ცხადია, არც დიპლომატიური თანასწორუფლებიანობა იყო ცნობილი ამ ქვეყნისათვის, ელჩებს არ შეეძლებოდათ ისპაჰანს მისვლა და ამიტომაც ისინი იძულებული გამხდარან რუსეთის საშუალებით მიეღწიათ მიზნისათვის, რუსეთის ელჩის დახმარებით, შეიძლება ვიგულისხმოთ — რუსეთის მოვლით, მოუხერხებიათ შაჰს საპყრობილეში მჯდომი დედოფლის ქეთევანის ნახვა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ადგილი პირველი მოქმედებიდან, საიდანაც ჩვენთვის ცხადი ხდება, როგორ დაჰპირებია რუსეთის ელჩი ტყვე დედოფლის პირმშოს — თეიმურაზს დედოფლის განთავისუფლების შესახებ შაჰს მოლაპარაკებოდა და მიემხრო იგი; ეს აღთქმა ელჩისა პროკოფისა და დემეტრეს თანდასწრებით მომხდარა.

Ihr habt es selbst gehoert (traut bitt ich eigenem Ohr)
Wie der Gesandte sich beym Tamaras verschwor;

---

[1] გვ. 12. ესარგებლობ პირველი ავტორისეული გამოცემით (1657 წლისა).

[2] *Catharina von Georgien, oder bewehrete Bestaendigkeit*, გვ. 13. 1663 წლის გამოცემაში თვით ავტორის მიერ ეს ასე იქნა გასწორებული: „*bey diesem, den der Czar der Reussen abgesandt*“.

Wie hoch Er sich versprach nach Moskaw nicht zu dencken
Eh' aller Fleiss versucht ob Abas sey zu lencken [1].
ეს თქვენ თავადაც კი მოისმინეთ (გთხოვთ დაუჯეროთ
საკუთარ ყურებს).
ელჩი თუ როგორ დაბეჯითებით ეფიცებოდა თვით თეიმურაზს;
როგორ გულდაგულ აღუთქამდა, რომ არ იფიქრებდა
მანამ მოსკოვზე,
სანამ არ ცდიდა ყოველგვარ ღონეს, რათა აბასის
გული მოელბო.

ასე, რომ ქართველი ელჩები წინასწარ ყოფილან დაკავშირებულნი რუსეთის ელჩთან და იმდროინდელი საქართველოს მეფესთან ელჩის ოფიციალურ მოლაპარაკებას დასწრებიან. ეს ამბავი კი მათ გულებში დედოფალის ხსნის იმედს აჩაღებდა.

ქართველი ელჩების ტყვე დედოფლის წინაშე მოხერხებით წარდგომამ და მისი პირმშოს გამარჯვებათა სასიხარულო ცნობებმა, რომლებიც დედოფალმა ელჩების საუბრიდან გაიგო, დედოფლის ტანჯულ გულში ახალი იმედი ჩასახა საკუთარი თავისა და საქართველოს სპარსეთის ჩაგვრის უღლისაგან განთავისუფლების შესახებ. მაგრამ მოქმედების მრმდინარეობის და მოქმედ პირთა ნააზრევში გარდატეხის მომენტი მაინც რუსეთის ელჩის მშვიდი და თვითდარწმუნებული ფიგურის გამოჩენაა სცენაზე. მისმა კეთილშობილურმა მისიამ ახალი აზრი განამტკიცა იქ მყოფთა შორის: დიდი მთავარი სრულიად რუსეთისა მფარველობას კისრულობს უსაზღვრო ჭირში ჩავარდნილი დაუძლურებული, მტრებისგან აოხრებული საქართველოსი და ტყვედ მყოფ შეურაცხყოფილ დედოფალს მისას თავისუფლებას ჰპირდება. მოძმე და ამასთანავე ძლიერი ერი მხარში უდგება თავისუფლების მოტრფიალე ხალხს ვერაგი შაჰ-აბასის და საქართველოს ისტორიულ მტერთა — სპარსელების მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

Doch nun gibt Reussen selbst Georgien die Haende |
Vnd sucht in Abas Hoff des langen Kummens Ende... [2]
მაგრამ ამჟამად უკვე რუსეთი თვით უწვდის შველის ხელს
საქართველოს
და სურს ჩვენს ხანგრძლივ მწუხარებასა აბასის კარზე
ბოლო მოუღოს.

---

[1] *Catharina von Georgien, oder bewehrete Bestaendigkeit*, გვ. 5.
[2] იქვე. გვ. 14.

წარსდგა რა რუსეთის ელჩი სპარსეთის შაჰის წინაშე, მისი ხელობისთვის ჩვეული ფამილიარობით შეასხა ხოტბა აბასის სიძლიერეს, მის სიქველეს, პატიოსნებას, მადლი შესწირა დღეს, რამაც მშვიდობა უნდა მოუტანოს ქვეყნებს, რომლებიც ტიგრის და ვოლგის მიდამოებში არიან განლაგებულნი, გადასცა შაჰს რუსეთის ცარის გულთბილი სალამი, მისდამი და მისი ქვეყნისადმი გამოთქმული კეთილი ზრახვები, მოახსენა თვისი მეუფის მიერ გამოთქმულ იმედზე მისი საპასუხო თანაგრძნობის და კეთილგანწყობის შესახებ და, იმის შემდეგ, რაც ჯეროვნად დააფრქვია შაჰის გულის მაამებელი ქათინაურები მისი სტუმართმოყვარეობის, სიუხვის და გულისხმიერი მოპყრობის გამო, ამით კი შექმნა რა თავისი მიზნის მიღწევისათვის საჭირო ატმოსფერა, უშუალოდ საქმეზე გადავიდა:

Doch eh ich gantz zurück | o Ruhm der Heldon | kehre;
Ist Noth dass ich zuletzt hoechst bittend was begehre |
Doch mehr mein Czar durch mich | er der so viel nachgibt;
Der mehr gemeine Ruh als grossen Vortheil libt;
Helt an | vmb eine Frauw | der Bande zu entschlagen |
Die in Iberien vor dem die Cron getragen |
Vnd nun gefangen traur't... [1]

სანამ მე უკან გეახლებოდეო, ჰოი, დიდებავ გმირთა დასისა,
საჭიროდ მიჩანს უკანასკნელად უგულითადეს თხოვნით
მოგმართოთ,
უფრო კი ჩემი პირით ჩვენიე ცარი, რომელიც ესდენ უხვია,
ვისაც პირადულ სარგებლობაზე უფრო საერთო მშვიდობა
უყვარს,
თქვენგან მოითხოვს, რომ ბორკილები შეახსნევინოთ ერთი
ქალისთვის,
რომელსაც უწინ იბერიაში მეფის გვირგვინი უტარებია
და ტყვეობაში ახლა იურვის...

როგორც მოქმედების შემდგომი მსვლელობიდან ჩანს, შაჰ-აბასი ძალაუნებურად დათანხმდა ამ თხოვნის შესრულებაზე, თუმც ეს მისი სურვილების საწინააღმდეგო იყო და მას ტკივილებს მიაყენებდა მშვენიერი ნადავლის ხელიდან გაშვება. იგი ელჩის თხოვნას ასე პასუხობს:

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 33.

...doch lassen wirs geschehn |
Dass sie vor Abends noch sich moege freye sehn.
Wie Czar so emgsig sucht den Got der hoechst erhebe! [1]
მაგრამ დე იყოს; საღამოსათვის იგი იქნება თავისუფალი,
რადგან ცარს ეს სურს ასე გულდაგულ, ის განადიდოს
ღმერთმა მაღალმა!

შაჰი ჯერ კიდევ წინასწარ განიცდის იმ დანაკლისის სიმწვავეს, რომელსაც გამოიწვევს მის მიერ ელჩისადმი მიცემული აღთქმის შესრულება. ორმაგი ტკივილი უღადრავს მას გულს, ორ ცეცხლს შუა იწვის იგი ახლა, რადგან უნდა დაჰკარგოს მან უძვირფასესი მონაპოვარი —

O Grausamster Verlust den je diss Hertz erlid! [2]
ოჰ დანაკარგო უძვირფასესო, რაც კი ოდესმე გულს განუცდია!

და ასეთი სასყიდლით მოიპოვოს მშვიდობა თავისი ქვეყნისათვის, რომელსაც იგი მიმართავს:

O Teu'r! vnd mehr den teu'r von vns erkauffter Frid! [3]
ჰოი, მშვიდობავ, გამოსყიდულო ძვირფასთა შორის
ძვირფას სასყიდლით!

ან და არ უნდა გაუშვას ხელიდან იგი, იქცეს მის ჯალათად და ამით მტრობა, უწესრიგობა, სისხლისღვრა მოუტანოს თავის ქვეყანას —

Muss Chach nach so vil Sig | Knecht oder Hencker seyn?
Muss Reussen bald auff vns selber wuetten?
Muss er bald Feind bald Freund mit kaempffen vnd mit bitten
Diss wass mann libt vnd hass't vns auss der Faust entzihn? [4]
შაჰი ამ მრავალ ძლევათა შემდეგ უნდა ჯალათად ან
მონად იქცეს?
რუსეთი ხან ჩემს სახელმწიფოზე, ხან ჩემზე რისხვით
უნდა შფოთავდეს?
ხან მტერი იყოს, ხან კი მოყვარე, ჩემთან ბრძოლით და
ხან კი ვედრებით
უნდა ხელიდან ის გამომტაცოს, ვინც ასე მიყვარს ღ მეჯავრება?

---

[1] *Catharina von Georgien*, 1657, გვ. 33.
[2] იქვე, გვ. 33.
[3] იქვე, გვ. 33.
[4] იქვე, გვ. 34.

იგი ახლა, მარტო დარჩენილი, წარმოიდგენს მთელს სიძნელეს და სიმწვავეს მასში მომხდარი შინაგანი ბრძოლისას, შეძრწუნდება თავისი დაუფიქრებელი მოქმედების გამო, როდესაც მას წამოცდა ელჩისადმი დაპირება: „საღამოსათვის იგი იქნება თავისუფალი". ახლა იგი თვითანალიზის მწვავე განცდათა შემდგომ აძაგებს საკუთარ თავს:

Wo wandelt' euser Geist als wir so bald versprochen
Leichtvertig | sonder Noth | was der Gesandte bat? [1]

ჩემი გონება სად ბოგინებდა, ასე იოლად როს ეპირდებოდი
ჰკუამოკლედ და ქარაფშუტულად იმაზე, რასაც დესპანი
მთხოვდა?

ზოგჯერ მას თითქოს გადაუწყვეტია კიდეც შეურიგდეს იმ ამბავს, რომ კათარინა უნდა წავიდეს მისგან. დასტოვოს ის გულგასენილი, მარტო, სევდით მოცული. მაშინ ის თხოვდა მას ყველგან თან წაიღოს მისი ტანჯვის ამბავი, სადაც კი იგი წავა, აცნობოს ყველას გამოტეხილად, რომ იგი შაჰს საკუთარ თავს ერჩიენა, რომ შაჰი თავისი სიტყვის პატრონია და უშვებს მას თავისუფლად გურჯისტანში, სადაც შეუძლიათ დასკინონ მას კიდეც, თითქოს მისი მარჯვენა იმდენი ძალის მქონე არ იყოს, რომ ერთი ქალის ძლიერება დაემორჩილებინა. იგი სთხოვს თითქოს კიდეც მას, რომ დასტოვოს იგი და ამით გახდეს ზავის, უდრტვინველი ყოფის საწინდარი ორ დიდ ქვეყანას შორის —

Geh' hoher Geist geh hin! hilff Phrat vnd Rha verschlissen!
Geh! werd' ein Fride Pfand | ein Zil dem Blutvergissen
Das Pers vnd Reussen kraenckt. Geh! schaff vns beyden Ruh... [2]

წადი, გამეცა, დიდო არსებავ! შეაკავშირე ვოლგა ეფრატთან!
წადი და გახდი ზავის საწინდრად და მიზნად, რისთვის
იღვრება სისხლი,
რაც სპარსეთსა და რუსეთს აწუხებს! წადი, ორთავეს
მოგვეც სიმშვიდე...

თუმც შაჰი კარგად გრძნობს, რომ მას უკვე აღარ შეუძლია დედოფლის გარეშე ცხოვრება; ამას გრძნობს იგი, სასოწარკვეთილი ტირანი, რომელიც ზეცამ ღირსად არ მიიჩნია შეერჩინა მისთვის

[1] *Catharina von Georgien*, 1657, გვ. 34.

[2] იქვე, გვ. 35.

ასეთი განძი. ამაო და ცარიელი მოკაზმულობაა ყოველივე, რაც მეფის სახეს ბრწყინვალებას უქმნის; მაგრამ ერთი აზრი ელჩს ასავით უვლის მას თავში, იგი მას გონებას უწვავს და ამ მომენტში ის ჰკარგავს ასეთი ქედმოხრილი, დამორჩილებული, ბედის წინაშე უძლური უიმედო შეყვარებულის იერს, მასში ბრაზი ინთება, თითქოს გესლი ჩააწვეთეს სისხლში, გაცოფებამდე მიდის, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევს. სისხლი სწყურია და ყველაფერს განადგურებას, გადაბუგვას უქადის

Ha Frid! vnd warumb hat vom Friden man gehoeret?
Warumb hat diser Traum den weisen Kopff bethoeret.
Weg Friden! greifft zur Wehr! es gelte Blut vnd Brand! [1]

ოჰო! ზავით! რატომ დასჭირდა ვინმეს აქ ამის მოხსენიება?
ამაო ასეთმა ფუჭმა ოცნებამ, ბრძენი გონება როგორ არია?
შორს ჩემგან ზავი! ხელი იარაღს! კვლავ გაუმარჯოს
ცეცხლს და სისხლისღვრას!

ეს აზრი, რომელიც მას ისევ ეერაგ ტირანად და სისხლს მოწყურებულ აფთრად ხდის, არის აზრი იმის შესახებ, რომ დედოფალი მისგან უნდა წავიდეს და, რაც მთავარია, სხვასთან წავიდეს, სხვას შეეკედლოს

Vnd (wo der Wahn nicht falsch) villeicht zu andern zihn... [2]

და (ვარაუდი თუ არ მატყვილებს) მგონი შენ სხვებთან
უნდა წახვიდე...

და ეს „სხვა“ აქ მის გულში რუსეთის ელჩის ჩამოსვლამ აღმოაცენა, როგორც შემზარავი ეკალი და სისხლის გამყინავი სახე უსაშინელესი მტრისა, რომლის კიდევაც უნდა ერიდებოდეს შაჰს და ამასთანავე მისადმი ფარული, გაუმხელელი, მაგრამ მთელი არსების მომცველი ზიზღი და მტრობა სულს უბუგავს, სისხლს უმღვრევს და აწამებს.

რუსეთის ელჩის ჩარევამ საქმეში შეარყია შაჰის ნებისყოფა, ანგარიში აურია მას და გონზე მოსული ცდილობს გვერდი აუაროს მიცემული აღთქმის შესრულებას და ცდილობს მოძებნოს რაიმე საბუთი, რომელიც გაამართლებდა მას რუსეთის მეფისადმი მიცე-

[1] *Catharina von Georgien*, 1657, გვ. 34.
[2] იქვე, გვ. 35.

მული აღთქმის დარღვევაში. იგი ირწმუნებს თავს, რომ მას უფლება აქვს ეს აღთქმა დაარღვიოს და ეს მსჯელობა მოწმობს მის წინდახედულებასაც შიშთან ერთად. საკუთარზე სუსტი ძალის მეზობელთან ყოველგვარ ადამიანურ ღირსებათა „შემბღალავი ბნედიანი ტირანი კანონს და სამართალს ხელის შესახოც ჩვრად თვლიდა, მაგრამ ახლა იგი, შეძრწუნებული მხეცი, თავისი მოქმედების გამამართლებელ კანონს ეძიებს თავის მიერ დავიწყებულ სამართლის სფეროში.

So Reussen auch mit Recht umb dise Fraw darff bitten |
Kan Abas mit mehr Recht auff sie den Grimm ausschuetten; [1]

თუ რუსეთსა აქვს უფლება მისი, რომ მოითხოვოს ეს
ქალი ჩემგან,
აბასს, მათ უფრო, ნება აქვს მასზე გადმოაფრქვიოს
თავისი რისხვა...

ცბიერი და გამჭრიახი შაჰი გრძნობს, რომ მოსკოვის წარმომადგენელი თავისი ქცევით უსიტყვოდ ჰკარნახობს მას საკუთარ ნებას და ეს კიდევ მეტად აცოფებს ტირანის თავმოყვარებას —

Der Reuss ist vnser Freund vnd schlaegt vns dise Wunden
Die nicht der Feind vermag [2].

რუსეთი თითქოს მეგობარია და თან ჭრილობებს
გვაყენებს ისეთს,
რომლებსაც მტერიც ვერ შეიძლებდა...

და ეს უსაზღვრო რისხვა თავაწყვეტილი მხეცისა, რაც შის გულში მოსკოველი ელჩის მის გრძნობათა სამყაროს საქმეებში ჩარევამ აღანთო და რაც არანაკლებ მის სახელმწიფოებრივ საქმიანობას შეეხებოდა, ისევ მის საცოდავ მსხვერპლს გაათკეცებული მძვინვარებით დაატყდა თავს. მან მტკიცედ გადაწყვიტა ტყვე დედოფალს აზღვევინოს ყველაფერი ამისთვის, აზღვევინოს მას მისი ხელის, მისი ტახტისა და სპარსეთის დედოფლის გვირგვინის უარყოფისთვის, შაჰის ხმლის შეგინებისთვის, ქართველთაგან მისადმი მიყენებული წყენის ძველი და ახალი ანგარიშებისთვის, მოურავისთვის, „*der ihn so verletzt*“ (ვინაც მას ესოდენ ავნო) და რუსეთის

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 34.
[2] იქვე, გვ. 36.

მეფის მის საქმეებში ჩარევისათვისაც, რაც საბოლოოდ დედოფლის დასჯისათვის შაჰის გრძნობათა ამშლელი და ასეთი გადაწყვეტილების მიღების დამაჩქარებელი ფაქტორი გახდა. ეს გარდატეხა შაჰის ქცევაში ყველასათვის აშკარა გახდა და მას რუსეთის ელჩიც კარგად გრძნობდა. ამიტომ იგი ტრაგედიის ფინალში, როცა კათარინას დასჯის ამბავს შეიტყობს, ჩივის:

Mein bitten | Koenigin! mein bitten hat gemacht
Dass man dich so in eil! so schaendlich vmbgebracht! [1]

ჩემი თხოვნისგან, ოჰ დედოფალო!.. ჩემმა თხოვნამ ჰქნა
ეს ყოველივე,
რომ შენ ასერიგ მოსწრაფებულად და სამარცხვინოდ
ბოლო მოგიღეს!

შაჰის არსებაში საბოლოოდ მომწიფდა დედოფლის დაღუპვის გადაწყვეტილება და მას ძალით მოთრეული „სამართლიანობის“ რაიმე ნასახიც რომ არ უშველიდეს თავის გასამართლებლად, იგი მაინც მზადაა წავიდეს ამ გზაზე. თავმოყვარეობის შელახვის შიშით გაღიზიანებული იგი აღარ ერიდება ელჩისადმი მიცემული სიტყვის გატეხასაც და უტიფრად აცხადებს:

Wir sind der Worte loss die (als es schin) vns bunden;
Sie sol vor Abends freye seyn [2].

უარვყოფ ახლა მე იმ სიტყვებსა, რომლებმაც (თითქოს)
შემიკრეს ხელი;
ის საღამოსთვის იქნებათქო თავისუფალი...

საყვარელი სამშობლოს ბეჩავი მდგომარეობით გულმოკლულმა გმირმა ქართველმა ქალმა, ამაყმა და მტკიცე რწმენის დედოფალმა უარჰყო სპარსეთის შაჰის თხოვნა თავზე დაედგა სრულიად სპარსეთის დედოფლის გვირგვინი, უფრო უარესი — დასცინა მის მრავალ გამარჯვებათა გამომცდელ ხმალს და ყოველგვარ დიდებას, რაც შაჰის გვირგვინს ამკობდა; არც ეს აკმარა შეუდრეკელმა წამებულმა შაჰს: თაყისუფლების და სამშობლოს სიყვარული ზღაპრული სიმამაცის ენერგიას უნერგავდა ჩვენს ხალხს ყოველთვის — მხეცის კლანჭებში მყოფმა დიდ ერს გაუწოდა დახმარების სათხოვნელად ხელი

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 78.
[2] იქვე, გვ. 52.

და ამან ცოფმორეული მხეცი გააღვიძა შაჰში — მისი ნამდვილი სახე გამოჩნდა! „*Frembde Schutz gesucht*“ — ეს ტვინს უწვავს შაჰს და ამიტომ უნდა დასაჯოს დედოფალი ისე, რომ —

Sie sol auch sterbend fuchlen
Wie heiss der Zorn entbrand | den nicht ihr Blut zu kuchlen |
Ja nicht ihr Tod vermag! [1]

მან მომაკვდავმაც უნდა შეიგრძნოს,
თუ რა მხურვალედ აღინთო რისხვა, რის განელებას
ვერც მისი სისხლი,
დიახ, ვერც მისი სიკვდილი შეძლებს!

როცა შაჰი რუსეთის მეფის მოთხოვნილებას ისმენდა ელჩის პირით ტყვე დედოფლის განთავისუფლების შესახებ, მაშინ გადაწყვეტილად წარმოთქვა დაპირება — „საღამოსათვის ის იქნება თავისუფალი“. ახლა იგი ნანობს ამის გამო და საკუთარი თავის სიშმაგის, თავგზააბნეულობის და ნებისყოფის სისუსტის აღიარებასაც არ ერიდება;

Geredet eh' bedacht vnd in der Eil gesprochen... [2]

დაცდენილია ეს ნაჩქარევად და თქმული — ვიდრე
მოვიფიქრებდი...

უცხადებს იგი თავის საიდუმლო მრჩეველს მის საყვედურზე, რომ მან თვით გაათავისუფლა დედოფალი თავისი დაპირების წყალობით. სწორედ ეს სიტყვები, ეს დაპირება ელჩის წინაშე წარმოთქმული მისი სულიერი მერყეობის ჟამს არის ახლა ის, რაც აჩქარებს შაჰის მიერ გადაწყვეტილების მიღებას დედოფლის დასჯის შესახებ და ამას ის თავადაც აღიარებს:

Durch vnser Wort bist du Princessin vns verdorben! [3]

ჩემივ სიტყვების შემწეობითა, პრინცესავ, ჩემთვის ხარ
დაკარგული!

უკანასკნელად, ამ საშინელი შინაგანი ბრძოლის შემდეგ, იგი ერთხელ კიდევ ცდის ბედს, კვლავ შესთავაზებს უკანასკნელი წინადადებით არჩევანს დედოფალს: ან სიკვდილი, ან და გვირგვინი და

[1] *Catharina von Georgien*, გვ 34.
[2] იქვე, გვ. 37.
[3] იქვე, გვ. 38.

მისი ცოლობა; ან დიდება და ან გაჭრობა ამ ქვეყნიდან, ან პატივი და ან უსაშინელესი ტანჯვა-წამება. ეს უკანასკნელი მისი ნება წერილობით უნდა აცნობოს დედოფალს იმანყულმა, მასვე ებრძანა შეასრულოს წინადადების უარყოფისას საბუთში ნაბრძანები სასჯელი; და შაჰის მიერ ჩვეული მუხანათობით უდროოდ სიცოცხლე-მოსწრაფებულ თავადთა სულების გუნდი კი მღერის:

Doch sterben war vns leicht | er kont vns erst den Tod vergaellen | Durch aller Folter Art[1].

სიკვდილი ჩვენთვის უდრიდა შვებას, მაგრამ სიკვდილიც
კი მოგვიშხამა
ტანჯვა-წამების ყოველი სახით.

ამ უკანასკნელადაც შაჰის რისხვის მუქარით სავსე წინადადება მამაცი დედოფლის სიმტკიცეს შუშასავით შეემსხვრა და სამაგიეროდ შაჰის ბრძანებით ჯალათებმა დაიწყეს მისი საზარელი წამება; იმანყული ასრულებდა აბასის განკარგულებას დედოფლის დასჯის შესახებ: გავარვარებული შანთებით და მარწუხებით დაუფლითეს, დაუგლიჯეს მშვენიერი სხეული შეუდრეკელ დედოფალს. ბოლოს კოცონით დაასრულეს ეს საშინელი, არაადამიანური წამება. ქრისტიანმა მღვდელმა, რომელსაც უკანასკნელად აღსარება უთხრა კათარინამ და მისგან ზიარება და ღმერთისადმი მისთვის ლოცვა-კურთხევის აღვლენის დაპირება მიიღო შენდობისათვის, ელჩს შეატყობინა ამ შემზარავი მკვლელობის ამბავი და საბუთად სპარსელთა ვერაგობისა და მხეცობისა თან მოიტანა ალისაგან შეტრუსული ქალა დედოფლისა. საშინელი ამბით და სანახაობით შეძრწუნებული ელჩი შესაბრალისად დასტირის უწმინდეს დედოფალს და აძაგებს სისხლის მწოველ მტარვალებს. მისი პათეტიკური მონოლოგიდან აქ აშკარად ჩანს, რომ მას ნათლად ჰქონდა შეგნებული მისი მისიის მნიშვნელობა შაჰის კარზე და ამ შეგნების არსებობას მასში ჩვენ აღნიშნული ტრაგედიის მთელს მანძილზე ვამჩნევთ. მას ესმის, რომ მისმა თხოვნამ საღერღელი აუშალა შაჰს, უფრო მეტად გააღვიძა მასში ნადირი; სისხლის წყურვილი და მტაცებელი ცხოველის ჟინი აკანკალებს მას ახლა და საბოლოოდ ამან იმსხვერპლა დედოფალი. ამიტომ, ჰხედავს რა თვალწინ დედოფლის საზარლად დასახიჩრებულ თავს, რაც საბუთია იმისა, როგორ ვერ შეასრულა თეიმურაზ

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 39.

მეფის დავალება, იგი საკუთარ თავს ადანაშაულებს ამ ამბის ამგვარად დატრიალებაში —

Auch ich der vnbedacht den tollen Leuen bat[1].

მე ვ დავაშავე, დაუფიქრებლად რომ შევევედრე ლომს
ცოფმორეულს.

ამგვარად, როგორც ზემოთ მოტანილი ადგილების ანალიზიდან ჩანს, რუსეთის ელჩის ტიპის გამოყვანას სცენაზე, მისი მოქმედების, განზრახვის და მიზანდასაზულების დახატვას ტრაგედიის უბრალო ეპიზოდის, მეორეხარისხოვანი სურათის, ან დამხმარე მოქმედი პირის მოქმედების გადმოცემის ხასიათი კი არ აქვს, როგორც ეს მიღებულია ბურჟუაზიულ მკვლევართა ნააზრევში, არამედ იგი კომპოზიციური მნიშვნელობის მქონეა და ტრაგედიაში გადმოცემული მოქმედების ავტორის მიერ განზრახული მიმართულებით განვითარებისთვის გადამწყვეტ როლს ასრულებს.

ელჩის პიროვნება, როგორც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლისა განსაზღვრული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე მისიით და, რაც გადამწყვეტია, არა უბრალო, არამედ საერთაშორისო ურთიერთობაში გრანდიოზული ხვედრითი წონის სახელმწიფოს ხელისუფლების ინტერესების წარმომადგენლისა, ერთგვარ კონტროლს ახორციელებს შაჰ-აბასის საქმიანობაზე; იმის პირისპირ მდგომი შაჰ-აბასი წააგავს ვერაგ მტაცებელ ცხოველს, რომელიც კლანჭებში მომწყვდეული თავისი მსხვერპლის ნელი და ხანგრძლივი წვალებით თავის მხეცურ ჟინს იკლავდა, მაგრამ მასზე ძლიერი ძალის დანახვისას მას შიში, ბრაზი და სისხლის წყურვილის ცახცახი იტანს და დაპყრობილი მსხვერპლის დაკარგვის, ამასთანავე საკუთარი განსაცდელის შიშით აღგზნებული და თავგზააბნეული მომენტალურად მთელი ძალით უშვებს მტაცებლის გესლიან კლანჭებს საბრალო მსხვერპლის სხეულის სიღრმეში და სწრაფად სიცოცხლეს უსპობს მას.

ყოველივე ეს მიგვითითებს იქეთკენ, რომ გრიფიუსმა, გამომდინარე რუსეთის სპარსეთთან და რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობის მისთვის ნაცნობი ფაქტიური მასალის სწორი ანალიზიდან, შეიგრძნო რა ეპოქის შექმნილი პოლიტიკური ვითარების ატმოსფერა, რომელიც ხშირად დამახინჯებული სახით იხატება მხატვრულ

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 79.

ქმნილებაში, საქართველოს დედოფლის ქეთევანის შაჰ-აბასის მიერ ვერაგული წამების დრამატულ განსახიერება'ი მოქმედების განვითარების, ტრაგედიის კვანძის გახასკვის ძირითად სტიმულთა შორის რუსეთის ელჩის ტიპის და მისი მისიის დახატვა გამოიყენა.

საკითხის სხვა მხარეა ის გარემოება, არსებული ისტორიული საბუთების წყალობით რამდენად შესაძლებელი ხდება რუსეთის და სპარსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაში მსგავსი ან იდენტური ფაქტის დადგენა. ჩვენი დებულება ამ მხრივაც საკმაოდ გამაგრებულია საბუთებით, მაგრამ კიდევაც რომ არ იყოს ამისთვის დამაჯერებელი ფაქტები ისტორიიდან და მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული ფაქტები ზუსტად არ იყვნენ სინამდვილეში მომხდარი ამბების ანარეკლი, საკითხი მაინც დადებითად გადაწყდებოდა, რადგან მოცემული ლიტერატურული ფაქტი თუ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს არ ემთხვევა, ეპოქის ზოგად ვითარებას მაინც ასახავს და, რაც მთავარია, ავტორის თვალსაზრისის გაგების ძირითადი გასაღებია. ეს ფაქტი, ერთი მხრით, გრიფიუსის რეალისტური ჰვრეტის უნარის დამამტკიცებელი საბუთია, მეორე მხრით, კი მისი დამოუკიდებლობის, თავისთავადობის მაჩვენებელი, რადგან ეს საინტერესო ეპიზოდი გრიფიუსს აქვს მხოლოდ და არც იყო მოსალოდნელი ჰქონოდა ვონდელს, რომლის ტრაგედიასაც გრიფიუსის „კათარინას" წყაროდ ასახელებენ. არ ექნებოდა სწორედ იმიტომ, რომ ვონდელი ზღაპრულ ამბავს ჰყვებოდა ჰუნების შემოსევათა ეპოქიდან და გრიფიუსს კი რეალური აშბის ისტორიული ბუნება უკარნახებდა აესახა რუსეთის სახელმწიფო წარმომადგენლის ჩარევის ფაქტი სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, რადგან სინამდვილეში ეს ასე იყო და ამ ამბავს საერთაშორისო ვითარების საქმის კურსში ყოფი მწერალი გვერდს ვერ აუვლიდა. ეგი არ გაჰყოლია ვონდელის ზღაპრულ პომპოზურ თავგადასავალთა აღწერილობითს გზას, დააყენა რა მან სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობის გადაწყვეტის ვითარებაში ქართველი დედოფლის ბედის გადაწყვეტის საკითხი, როგორც აქტიური ფიგურა ამ ალტერნატივის გადაწყვეტაში რუსეთის ელჩი გამოიყვანა და ამით ეს უკანასკნელი გაჰხადა ტრაგედიის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად, რომელმაც დრამ ს განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ამგვარად გრიფიუსი რეალური ფაქტისადმი ერთგულმა მოპყრობამ გამოიყვანა კომპარატივისტული „ნასესხობის" იმ ბრალდე-

ბისაგან, რომელსაც მას ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეობა ყოველგვარი საშუალებებით თავს ახვევს.

გრიფიუსის დრამის სიტუაციის თანამედროვე ისტორიულ ვითარებასთან დამოკიდებულების საკითხის გარკვევისათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება განხილულ იქნას რუსეთ-სპარსეთის და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ის ატმოსფერა, რომელიც რუსეთის ხელმწიფის ელჩის მოქმედების, სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობის და საუბრის გადმოცემით ავტორმა საკმაოდ მკაფიოდ მოხაზა.

რუსთა ხელმწიფის ელჩს ტრაგედიის მსვლელობის მთელს მანძილზე ჩვენ შაჰ-აბასის კარზე ვხედავთ. იგი ჩვენს წინაშე დგება საქართველოდან ისპაჰანს ჩასულ ელჩების მიერ წინასწარ კეთილად დახასიათებული, ხან ტყვე დედოფალთან საუბრის დროს, როდესაც მას სრულიად რუსეთის დიდი მთავრის მისადმი კეთილგანწყობის ფაქტს უდასტურებს, ხან როცა დედოფლისგან საქართველოს ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების სურათების შესახებ საუბარს ისმენს, ხან კიდევ იგი შაჰ-აბასის წინაშე წარდგენილი, როგორც ოფიციალური სახელმწიფო მოხელე, და ხან კი აბასის სპასალართა და საიდუმლო მრჩეველთ ესაუბრება. პირველად მისი პიროვნების შესახებ ჩვენ გვესმის ქართველი ელჩების დეიტრეს და პროკოფის საუბრის დროს, საიდანაც ჩვენ ვტყობილობთ, რომ იგი ისპაჰანს ჩამოსულა და შაჰის კარზე იმყოფება. მხოლოდ ხაზგასმით არაა აღნიშნული, ელჩი მათთან ერთად გამოცხადდა შაჰის კარზე, თუ უფრო ადრე. საფიქრებელია იგი ადრე ყოფილა შაჰის კარზე გამოცხადებული. ვიდრე ქართველი ელჩები აქ გამოჩენას გაჰბედავდნენ. ეს გასაგებიცაა: ძლიერი რუსეთის კარის ოფიციალურ პირს ვერაფერი შეუშლიდა ხელს ჩამოსვლისთანავე ხლებოდა დიდ შაჰს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ დრამის მიხედვით ქეთევან დედოფლის ტყვეობიდან განთავისუფლების თხოვნას ელჩი შაჰს ცხოლოდ თავის გამოსამშვიდობებელ აუდიენციაზე შეატყობინებს, ე. ი. იგულისხმება, მას შემდეგ, რაც ქართველმა ელჩებმა კარზე მისვლა, ტყვე დედოფალის ნახვა და საჭირო თადარიგის დაჭერა მოახერხეს. ამის შესახებ თვით გრიფიუსი წერს ტრაგედიისადმი წინ წამძღვარებულ მოკლე შინაარსში:

„შაჰ-აბასი ჩიეის, რომ მისი სიყვარული უშედეგო გამოდგა, ამ დროს მიწვეული იქნება რუსეთის ელჩის გამოსათხოვარ აუდიენციაზე, რომელზეაც უკანასკნელი შეფისგან კათარინას განთავისუფ-

ლებას მოითხოვს“ [1]. ამავეს ადასტურებს ელჩის მიერ შაჰთან საუბარში გამოთქმული აზრი მეორე მოქმედებაში:

Doch eh ich gantz zurueck... [2]

სანამ სულ უკან გეახლებოდეთ...

ამბობს ის, რომლის შემდეგ გადასცემს დედოფლის განთავისუფლების თხოვნას. ან და პირველი მოქმედებიდან ადგილი, სადაც პროკოფი და დემეტრე საუბრობენ, თუ როგორი გავლენიანი პირია ელჩი აბასის კარზე:

Die Bitte mangelt noch die Er auff diesen Tag
In dem Er Abschiedt sucht gar leicht erhalten mag [3].

თხოვნა-ვედრებით ვერ ახერხებენ მას, რასაც იგი აი ამ დღესაც გამოთხოვების წინ სამზადისში მყოფი იოლად მოაწესრიგებს.

ლაპარაკია უკანასკნელ დღეზე, როდესაც ელჩი უკანასკნელად უნდა შეხვდეს შაჰს გამოსათხოვებლად და დაძაბულ ვითარებაში მოახსენოს თავისი ხელმწიფის თხოვნა დედოფლის განთავისუფლების შესახებ (გრიფიუსი ამ კულმინაციისთვის ელჩის სპარსეთში ყოფნის სწორედ უკანასკნელ დღეს ირჩევს და ამით შაჰის მოქმედებას დამაჯერებლად ხდის). იგულისხმება, ქართველმა ელჩებმა რუსეთის ელჩთან წინასწარი შეთანხმებით იციან ამ დღის ღონისძიებათა შესახებ და ამიტომაც ასე დაბეჯითებით ამყარებენ იმედს შაჰთან ელჩის უკანასკნელ აუდიენციაზე, რომ აბასი არ გააწბილებს დიდი ხელმწიფის ელჩს, რომლისთვის, როგორც პროკოფი აღნიშნავს, ჯერ არასოდეს თხოვნაზე უარი არ უთქვამთ. ამას ის ფაქტიც უნდა დაემატოს, რომ თვით შაჰისა და მისი კარის დიდებულებსაც სცოდნიათ ელჩის ჩამოსვლის მიზანი და ამის შესახებ თუმც გაკერით, მაგრამ მაინც გარკვეულად მსჯელობენ მეორე მოქმედების დასაწყისში [4].

ყოველივე ეს მაინც არ იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთების რეალურ შესაძლებლობას, თითქოს რუსეთის ხელმწიფის ელჩი სულ სხვა საქმით ყოფილიყოს აქ გატაცებული და სხვათაშორის გამოედოს თავი დედოფლის განთავისუფლების საქმეზე თხოვნისათვის.

[1] *Catharina von Georgien*, გვ. V.
[2] იქვე, გვ. 33.
[3] იქვე, გვ. 5
[4] იქვე, გვ. 28.

თუმც არც იმის თქმა შეიძლება აპოდიქტიკურად, რომ ეს იყო ერთადერთი მისია მისი ისპაჰანს ჩამოსვლისა, მაგრამ ის კი უდავო ფაქტია, რომ გრიფიუსმა ტანჯული დედოფლის განთავისუფლებისათვის თხოვნის აღსრულება შაჰ-აბასის რუსეთის ხელისუფლებისადმი კეთილმეზობლური დამოკიდებულების გამოსაცდელ ღონისძიებად დასახა. აკი პირველ მოქმედებაში დემეტრეს და პროკოფის საუბრიდან ჩანს, რომ რუსეთის ელჩს თეიმურაზ მეფისთვის შეუფიცავს, რომ მანამ არ იფიქრებდა მოსკოვის საქმეებზე, სანამ ყოველგვარ ღონეს არ სცდიდა, რათა შაჰ-აბასი დაეთანხმებინა დედოფლის განთავისუფლებაზე [1]. გურჯისტანიდან სპარსეთში ჩამოსული ელჩები იმედს სწორედ შაჰის კარზე რუსეთის ელჩის დიდ გავლენაზე, მათი საქმისადმი მის გულისყურზე და გულმოდგინებაზე ამყარებენ. მათი ისპაჰანში მოულოდნელი გამოჩენით გაოცებული სალომეს შეკითხვაზე, თუ რამ მოიყვანა ისინი აქ, ელჩები უპასუხებენ, რომ დედოფლისა და მის მხლებელთა განთავისუფლების სურვილი იყო ელჩთა მამოძრავებელი ძალა. სალომე ამ სურვილს მგლის პირიდან ბატკანის გამოტაცების სურვილს ადარებს და ეჭვს გამოთქვამს ამის შესაძლებლობაზე. მაშინ პროკოფი უპასუხებს მას:

Der Reussen Abgesand ist hirmit selbst vermucht
Vnd treibt das Werck vor sich [2].

ელჩმა რუსთაგან წარმოგზავნილმა თავად იკისრა ამაზე ზრუნვა და კიდეც რიგზე წარმართავს საქმეს. .

მერმე დემეტრე თვით მოახსენებს დედოფალს, როგორ ეცადნენ ისინი ვნახათ დედოფალი ტყვეობაში და ზეცას იმოწმებს, რომ ვერაგმა მტერმა არ მისცა მათ ამისი ნება, რომ დაცინვით უგულებელჰყოფდა სპარსელების ჯიუტი ხელისუფალი ქართველებს და მათ თხოვნას. მაგრამ ახლა დადგა ჟამი, როცა მიზანი მიღწეული იქნება. ახლა თვით დიდი რუსეთი უწევდის მათ შველისათვის ხელს და მათ საშუალება ეძლევათ დაასრულონ აბასის კარზე დანამცირებელი მწუხარება. ე. ი. მანამდე ტყვე დედოფლის მონახულება და ნუგეშისცემაც ვერ შესძლეს ქართველებმა და ახლა არა მარტო მონახულებას, არამედ ტყვეობიდან გამოყვანასაც ცდილობენ რუ-

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 5.
[2] იქვე, გვ. 8.

სეთის დახმარებით [1]. ეს ადგილი კი იმის აშკარა მტკიცების საბუთს იძლევა, რომ ქართველ ელჩთა ისპაჰანში ჩამოსვლის წინა პირობას რუსეთის ელჩთან წინასწარ სათანადო შეთანხმება წარმოადგენდა. იგივე მოსაზრება დასტურდება ტრაგედიის ფინალში ელჩის მიერ წარმოთქმულ მონოლოგში; როცა იგი შეიტყობს, რომ ვერაგ აბასს საშინელი წამებით დაუსჯია ტყვე დედოფალი, იგი ჩივის მასზე, რომ ასე ცუდად შეასრულა მეფე თეიმურაზის დავალება და სურვილი [2].

რუსეთის ელჩის თეიმურაზთან სათანადო მოლაპარაკებას დედოფლის განთავისუფლებისათვის აბასის წინაშე შუამდგომლობის შესახებ და ელჩის მიერ ამ თხოვნის შესრულების დაპირებას თავისი გამოხატულება უპოვია თეიმურაზის საკუთარი ხელით დაწერილ ბარათში, რომელიც ქართველმა ელჩებმა ჩაუტანეს და მიართვეს ტყვე დედოფალს. ასე. მაგალითად, სალომეს ეჭვების გასაფანტავად, რომ რუსეთის ელჩი მართლაც კისრულობს ამ საქმეს, დემეტრე თეიმურაზის მიერ დედისადმი მიწერილ წერილს ასახელებს:

Printz Tamaras hat selbst der Koenigin geschriben [3].

ამაზე პრინკი თეიმურაზი დედოფალსა სწერს წერილს
პირადად.

ეს წერილი თვით მან ჩამოიტანა საქართველოდან დედოფლის მისართმევად. უფრო ვვევით კი მოცემულია სურათი. როგორ წარსდგება ტყვე დედოფლის წინაშე დემეტრე და ქართველთაგან მისი აქამდე უნახავობის მიზეზს უხსნის, მერმე დასძენს, რომ ახლა თვით რუსეთმა გაუწოდა მშველელის ხელი საქართველოს და ყოველივე ამისა და თეიმურაზის ღონისძიებათა შესახებ მსჯელობის დამადასტურებლად უმატებს:

In dessen Koenigin nemt dise Schreiben an |
Das Pfand nicht faelscher Trew | das einig schicken kan
Eur nun gekroenter Sohn vnd Meurab... [4]

ჰო, დედოფალო! ამასობაში, აი, ინებეთ ბარათი ესე,

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 14.
[2] იქვე, გვ. 78.
[3] იქვე, გვ. 8.
[4] იქვე, გვ. 8.

საწინდრად წრფელი ერთგულებისა, რომელიც ძალუძთ
მოგიძღვნან მხოლოდ
თქვენს მკვიდრსა აწ გვირგვინდგმულსა და მოურავსა...

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ელჩის მოქმედებაზე, მის მსჯელობაზე დაკვირვება მას შემდეგ, რაც დედოფლის დასჯა უკვე მოხდა და, ამრიგად, შაჰის მიერ მისთვის მიცემული დაპირება დარღვეულ იქნა. აქ ჩვენ გვეძლევა საშუალება გამოვარკვიოთ ელჩის ამ ქცევის, ე. ი. დედოფლის განთავისუფლებისათვის შაჰის წინაშე შეამდგომლობის, მიმართება მის სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან, მის დიპლომატიურ მისიასთან. აქ ასეთი სურათი გვესახება: ელჩმა შეიტყო შაჰის ვერაგული მოქმედების შესახებ. ამ ამბავმა იგი ფრიად დააშფოთა. ამას გარდა იგი შაჰის ასეთი საქციელით ძლიერ აღშფოთებულია. ამ საძაგელი მოქმედების გამო ელჩის გაგულისების თავიდან ასაცილებლად, მისი გულის მოსაგებად, რომ ამას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გართულება არ მოჰყვეს, შაჰ-აბასი ზაინელ ხანის ხელით ელჩს რუსეთში უკან გამგზავრების წინ მართმევს ძვირფას საჩუქრებს. ბრაზით ანთებულ ელჩს, რომელიც ტირანისაგან (მისი ამ უკანასკნელი მოქმედებიდან გამომდინარე) მხოლოდ ბოროტ საქმეს ელის, მოულოდნელად და მეტისმეტად ეჩვენება ეს ქათინაური, ელჩი პრინციპულად უარს ამბობს შაჰის საბოძვარის მიღებაზე და დასძენს:

Ich wuendschte nur allein mir dise zu bewehren
Die Czar so embsig mich von Persen hiss begehren [1].

მე ის მეწადა მხოლოდ და მხოლოდ, რომ ჩემთვის იგი
უზრუნველეყოთ,
რისი მოთხოვნაც სპარსეთისაგან დაბეჯითებით ცარმა
მიბრძანა.

ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ დედოფლის განთავისუფლებისათვის შუამდგომლობა თვით რუსთ ხელმწიფისგან ყოფილა სანქციონირებული და ნაბრძანები. კიდევ მეტი: ტრაგიკული კოლიზიის გადაწყვეტის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ დაიმსხვრა დედოფლის ოცნებები განთავისუფლებაზე და ელჩის ღონისძიებანიც ფუჭი აღმოჩდნენ, ეს უკანასკნელი ყველას გასაგონად აღიარებს შაჰ-აბასის საიდუმლო მრჩეველის წინაშე თავისი მისიის ძირითად მოტივს და

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 80.

ეს აღიარება უკვე გარკვეულ მუქარას შეიცავს შაჰის ღირსებისა და დიდი ქვეყნის ინტერესთა უგულებელყოფისათვის. აგრე ასე მიმართავს ზაინელ ხანს:

ამ ქალბატონის წამება ცხადჰყოფს, რომ ტირანია უსასტიკესი
საჩუქრებითა, თხოვნით და სხვა რამ ღონისძიებით არ
დაოკდება;
მაშინ, როდესაც მე რუსეთს ახლა სპარსეთთან უნდა
ვაკავშირებდე
ნებასა გაძლევთ, რომ ჩემი სახით რუსეთის მეფეს თქვენ
ამცირებდეთ?
რაკი ამგვარად დაასვით დაღი თქვენ ჩვენსა კავშირს
ამ ქალის მოკვლით,
რომლისთვის ზავი დადებულ იქნა, აწ შეთანხმება რა საჭიროა[1].

დედანში უკანასკნელი სტრიქონი ასე იკითხება:

Um die man Frieden schloss, wozu versprochen noth'.

სადაც რელატიური ნაცვალსახელი „*die*" *die Königin*-ს ცვლის. დედოფლის პიროვნებას გულისხმობს. ამგვარად, გასაგები ხდება იმ მოლაპარაკების მიზანდასახულება, რომელსაც რუსეთის ელჩი სპარსეთში აწარმოებდა: ეს საქართველოს დედოფლის ყოველი მისი „დანაშაულის" მიუხედავად სპარსეთის შაჰის საპყრობილიდან და განზრახული ჰარემიდან განთავისუფლება, სამშობლოში მისი დაბრუნება და კვლავ ტახტზე ასვლაში ხელის შეწყობა ყოფილა. ამ მოსაზრებას კიდევ მეტად ადასტურებს ელჩის მონოლოგი ტრაგედიის ფინალში, სადაც იგი ჩივის თავისი მისიის — თეიმურაზისადმი მიცემული სიტყვის, ვერ შესრულების გამო; შაჰისადმი თხოვნის აუჩქარებლად გადაცემაში, რომელმაც ვერაგი ტირანის ბოროტი ზრახვანი კიდევ მეტად ააფორიაქა, იგი ბრალს საკუთარ თავს სდებს.

ამრიგად, ზემომოყვანილი ადგილების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გრიფიუსის გაგების თანახმად რუსეთის ელჩის თუ არა ერთადერთს, მთავარ მისიას მაინც წარმოადგენდა საქართველოს დედოფლის განთავისუფლებისათვის შუამდგომლობა რუსეთის ძლიერი ხელმწიფის სახელით. ასე, რომ რუსეთის ელჩის შაჰ-აბასის კარზე ყოფნა ქეთევან დედოფლის წამების დროს და

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 81.

დედოფლის სიცოცხლის უკანასკნელი სიმწარით სავსე დღეების გასაჭირი, მისი დასჯა გრიფიუსს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფაქტის შემთხვევით დამთხვევად კი არ აქვს წარმოდგენილი, როგორც ამას ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნენი აღიარებენ, არამედ მას ელჩის უმთავრეს მიზნად სწორედ ამ საქმის (დედოფლის განთავისუფლების) მოგვარება დაუსახავს. ამიტომაც პროკოფის და დემეტრეს დიალოგში იგი გვაცნობს ელჩის თეიმურაზთან მოლაპარაკების შესახებ, შემდეგ კი მოცემულია სპეციალურ აუდიენციაზე სპარსეთის შაჰთან დიპლომატიური საუბარი აღნიშნული სათხოვარის შესახებ და მასთან დაკავშირებული მშვიდობიანობის, რუსეთ-სპარსეთის მეგობრული ურთიერთობის მოგვარებაზე და, ბოლოს, როგორც კი ეს ღონისძიება უშედეგო აღმოჩნდა, გვიხატავს ელჩის გადაწყვეტილებას დაუყონებლივ დასტოვოს სპარსეთის შაჰის კარი და რუსეთში დაბრუნდეს იმ გადაწყვეტილებით, რომ სპარსეთის მზაკვარ ტირანთან რაიმე მოლაპარაკების წარმოება მეგობრულ კავშირზე ან საზავო პირობებზე ამაო და უიმედოა.

ამგვარად, გრიფიუსის შეხედულება ელჩის ძირითადი მისიის შესახებ სავსებით გარკვეულად უნდა ჩაითვალოს.

დამაფიქრებელია აგრეთვე მეორე მოქმედების დასაწყისი, სადაც შაჰ-აბასი მოაგონებს ზაინელ ხანს, რომ მოცემულ ვითარებაში რუსეთმაც იწყო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში თავისი სიტყვის თქმა. შემდეგ იმართება მსჯელობა, რომლის დროსაც ზაინელ ხანი მოწონების გრძნობით თვალწინ უშლის შაჰს რუსეთის მთავრობის სპარსეთთან დაკავშირების და კეთილმეგობრობის განზრახვის სასურველ სურათს:

და ამგვარადა ამ ერთი მხრიდან გვექნება ზავი
უზრუნველქმნილი [1].

იგი შაჰს დიდი მნიშვნელობის ფაქტად წარმოუდგენს რუსეთის ამ ნაბიჯს, რადგან ეს გააძლიერებს სპარსეთს თურქეთის წინააღმდეგ:

ის ვინაც მტერი იყო აქამდე, ჩვენს მეგობართა რიგებში დგება [2].

---

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 29.

[2] მოტანილია უკანასკნელი ავტორისეული გამოცემის მიხედვით (1663). პირველ გამოცემაში კი ასე იკითხება: *beut uns nunmehr als Freund die Hand*, გვ. 23; ეს შემდეგ ასე გაუსწორებია გრიფიუსს: *Der eine feind wird nun vor unsern freund erkänt*, პალმისეული გამოცემის 182 გვ.

ეს ყოველივე ხდება ჯერ კიდევ მანამ, სანამ რუსეთის ელჩი თავის გამოსათხოვარ აუდიენციის დროს რუსეთის ხელმწიფის მოთხოვნას გადასცემდეს შაჰს დედოფლის განთავისუფლების შესახებ. ზაიელ ხანმა არც შაჰის უცნაური სიყვარულის შესახებ იცის ჯერ რაიმე. მაგრამ მან უკვე იცის იმ მნიშვნელოვანი გარდატეხის შესახებ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელიც სპარსეთს გაძლიერებას უქადის თურქეთთან ბრძოლაში. საიდან უნდა სცოდნოდათ ეს შაჰს და მის მრჩეველს, თუ არა რუსეთის ელჩის ნაამბობიდან! საფიქრებელია, რომ ამ მომენტისთვის გრიფიუსს ნაგულისხმები ჰქონია რუსეთის ელჩის წარდგინება სპარსეთის მმართველ წრეებში, რომელზედაც ზემოხსენებული სახელმწიფოებრივი ურთიერთობის შესახებ ითქმებოდა თუნდაც არაოფიციალურად. ისმება კითხვა, ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სწორედ ეს პირველი გრიფიუსის მიერ ნაგულისხმები წარდგინების დროს გამოთქმული სურვილი რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ იყო სწორედ ელჩის ძირითადი მისია ისპაჰანს და არა გამოსათხოვარი აუდიენციის დროს წარმოთქმული თხოვნა დედოფლის განთავისუფლებაზე; ან და რატომ მაინცდამაინც გამოსათხოვარი აუდიენცია იქნა არჩეული ამ თხოვნის გამოსათქმელად და არა პირველი — ნაგულისხმები? აქ ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ თვალსაზრისიდან, როგორ ჰქონდა ეს წარმოდგენილი გრიფიუსს დრამატული დაძაბულობის მოცემის მიზნით. აქ მას შეეძლო ზოგი გადახვევა დაეშვა საქმის რეალური არსისაგან. ეს მართლაც ასეა: ეჭვი არ არის, რომ სინამდვილეში რუსეთის სპარსეთთან ურთიერთობის განმსაზღვრელი იდეა მაშინ თურქეთთან ბრძოლის უკეთ წარმოების მიზნით სპარსეთის მიმხრობა იყო. რუსეთს ყველაზე მეტად თავისი საქმე აწუხებდა და საქართველოს ინტერესებისთვის მხარის დაჭერა დიპლომატიურ სარბიელზე მის განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. მაგრამ გრიფიუსმა აქ ისტორიული სინამდვილე შეაფერადა, რადგან იგი რუსეთის ხელისუფალთა ღონისძიებებს გავლენის სფეროს გადიდებისთვის უფრო ლოიალურად უყურებდა, ვიდრე ნერვებაშლილი შაჰის მტაცებლურ პოლიტიკას. მან სურათი ასე წარმოადგინა: ნაგულისხმებ პირველ წარდგინებაზე, რომელიც შეიძლება შაჰის წინაშე არ მომხდარიყო, წარმოთქმული უნდა ყოფილიყო რუსეთის ხელმწიფის სურვილი სპარსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შესახებ და ამით შეიქმნებოდა ხელსაყრელი ატმოსფერა,

რომ საბოლოოდ ელჩს გამოეცხადებინა რუსეთის მეფის უმთავრესი მოთხოვნა დედოფლის განთავისუფლების შესახებ. ამ მოთხოვნის შესრულებას უნდა გაერკვია, რამდენად კეთილი ზრახვები ამოძრავებდა შაჰს რუსეთის მთავრობისადმი, ეს ერთგვარი გამოცდა იყო და ხელსაყრელი შემთხვევაც ორივე მხარისთვის, რომლის ხელიდან გაშვება, როგორც ტრაგედიის დასასრულს ჩანს, არც სპარსეთის გამჭრიახ ტირანს მოსწონდა. ამიტომაც იყო, რომ მან ზაინელ ხანის პირით დედოფლის სიცოცხლის სანაცვლოდ რუსეთის ელჩს რამდენიმე ათასი რუსი ტყვესა და ცოცხლად დარჩენილ თბილისელ ტუსაღთა განთავისუფლება აღუთქვა, ოღონდ გულიდან გადაეყარა მას შაჰის მიერ მიყენებული წყენა. ეს გულუხვად დაფრქვეული ქათინაურები კეთილგანწყობის გრძნობით აღსავსე სურვილების შესახებ, ეს თავშეუკავებელი ხოტბა, საზღვარსგადაცდენილი პირმოთნეობა ბაროკოს სტილის მაღალფარდოვანი სიტყვამრავლობით და ეპიტეტების კორიანტელით შემკული დიპლომატიური რევერანსი არის მხოლოდ, ჰენრიხ IV დროიდან ევროპის დიპლომატთა ურთიერთობაში უკვე მოდად შემოსული; ამგვარი კვალიფიკაცია აღნიშნული ფაქტისა სწორედ იმიტომ არის სამართლიანი, რომ ამ აღმტაც სიტყვებს ძმობის და მეგობრობის შესახებ ისეთი რეალური საფუძვლის მსგავსი რამ არსად უჩანს, რომელიც ამ „ახალი კავშირის“ დასაყრდენად გამოდგებოდა, რომლითაც „მკაცრი ჩრდილოეთის ქვეყანა... მდიდარ სამხრეთს უკავშირდება“ [1].

ყოველივე ამას ისიც შეიძლება დაემატოს, რომ ელჩი შაჰთან უკანასკნელი აუდიენციის დროს დაწვრილებით გადასცემს რუსეთის ხელმწიფის შაჰისადმი კეთილ სურვილებს და იმედს შაჰის მხრივ სამაგიერო კეთილმეზობლობისა, რომელიც ამ ორ „დიდ ხალხს“ (*grosse Völker*)[2] მტრების ჯიბრზე გააერთიანებს, მათ აყვავებას ხელს შეუწყობს. ეს ყოველივე აქ გადმოცემულია ისეთი დაწვრილებით და დაწყობილად, ისე ლოგიკურად თანმიმდევრობითაა ელჩის თხრობა დალაგებული, რომ მას აღნიშნულ საკითხებზე შაჰსთან უფრო პირველი საუბრის სახე აქვს და წინ მსგავსი მსჯელობა არ უნდა უსწრებდეს. ზაინელ ხანის მიერ წარმოთქმულ მსჯელობაში გადმოცემული ცნობები რუსეთის სპარსეთთან დამოკიდებულების ახალი სახის შესახებ წინასწარ არაოფიციალურ და

[1] *Catharina von Georgien*, გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 31.

არაზუსტ ცნობებზე დამყარებული მოსაზრებანი უნდა იყოს პირადად მრჩევლისა.

ამრიგად, მოხსნილად უნდა ჩაითვალოს ის მოსაზრება, თითქოს მეორე მოქმედების დასაწყისში მოცემული მსჯელობა იძლეოდეს იმის მტკიცების საშუალებას, რომ დედოფლის განთავისუფლებისთვის შუამდგომლობა არ იქნას გაგებული როგორც ელჩის მთავარი მიზანი.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს დამაჯერებელ საბუთს, რომ დავასკვნათ: ელჩის მისიის ძირითად საკითხად გრიფიუსს ტრაგედიაში საქართველოს დედოფლის განთავისუფლებისათვის შაჰ აბასთან შუამდგომლობა დაუსახავს და ამით კიდევ მეტად გაუმრავალფეროვნებია, გაურთულებია ტრაგედიის ძირითადი ინტრიგა. ამ მოტივის შეტანით დრამაში მოცემული კვანძის გახსნას მეტი დამაჯერებელი საბუთი მოემატა: ელჩის საქმიანობით შაჰის მრისხანებას, რომელსაც საფუძვლად შეურაცხყოფილი პატივმოყვარეობა ჰქონდა ტყვე დედოფლის მიერ მისი გვირგვინის, ტახტის და ხელის უარყოფის გამო, დაემატა ახალი მიზეზი, რომელიც ინტიმურს გარდა აშკარა პოლიტიკურ ინტერესებსაც მოიცავს თავის ორბიტში. ეს კი აბასს საშიშროებასშეჩეხებულ მტაცებელი მხეცივით უფრო მეტად აღიზიანებს, ცოფს გვრის და ადამიანის სისხლის წყურვილით ახელებს.

ელჩის მისიის გრიფიუსისეული გადმოცემით ტრაგედიამ უდავოდ მოიგო: შაჰის მოქმედება დამაჯერებლად მოტივირებული გახდა და ამასთანავე ტრაგიკული კოლიზია უფრო მძაფრი და ინტერესის დამძაბავი შეიქნა. ყოველივე ეს ელჩის ტიპის ტრაგედიაში შემოტანის არსებით, კომპოზიციურ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს და ამით დასმული საკითხი და მისი გადაწყვეტა გრიფიუსის რეალისტური ჰვრეტის უნარის ქონების დამადასტურებელია, რითაც იგი ბაროკოს პოეტთა პლეადის ყველა წარმომადგენელზე მაღლა დგება.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

კონსტანტინე მეძველია

დავით ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება

ბიოგრაფია

დავით ივანეს-ძე ლეონიძე, შვილისშვილი ერეკლე მეორის მსაჯულის სოლომონ ლეონიძისა. დაიბადა 1848 წელს სოფელ კაცხში (ყოფილი ქუთაისის გუბერნია, შორაპნის მაზრა).

როგორც ცნობილია, სოლომონ ლეონიძის მამა ანდრია თეიმურაზ მეორის სასახლეში იყო აღზრდილი და ერეკლესთან დაახლოებული. საერთოდ ლეონიძეები კონდოლის (კახეთი) მცხოვრებნი იყვნენ.

ერეკლეს სიკვდილის შემდეგ სოლომონ მსაჯულის მოღვაწეობა დაიწყო იმერეთში, სოლომონ მეორის კარზე. იგი იმერეთში გადმოსულა 1801 წელს.

იმერეთის მეფემ სოლომონ ლეონიძეს მისცა რაჭაში მამული, ხოლო იმერეთში სოფელი კაცხი ციხითა და საკალმახე წყლით [1]. ასე დამკვიდრდნენ იმერეთში ლეონიძეები.

სოლომონ მსაჯულს ჰყავდა ორი შვილი ივანე და ალექსანდრე. ივანე მამას თან ახლდა როგორც იმერეთში, ისე ახალციხეში. 1811 წელს, სოლომონის ახალციხეში გარდაცვალების შემდეგ, ივანე დაბრუნდა საქართველოში, დასახლდა სოფელ კაცხში და მოეკიდა ოჯახს. ცოლად შეირთო მაშინ ცნობილი თავადის, ივანე აბაშიძის ქალიშვილი თამარი.

მეორე შვილი ალექსანდრე უცოლშვილოდ გარდაიცვალა. 22 წლის ყმაწვილი ტრაგიკულად დაიღუპა ჯირითის დროს.

სოლომონ მსაჯულის პირველ შვილს ივანეს, პოეტის მამას, ჰყავდა შვიდი შვილი.

1. ივანე — გარდაიცვალა მცირეწლოვანი; 2. სოლომონი — განათლებით იურისტი, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გამგე-

[1] იხ. Акты, т. V, стр. 91.

ობის წევრი, გარდაიცვალა უცოლშვილო 1901 წელს ქუთაისში; 3. ალექსანდრე — სამხედრო პირი, პოდპოლკოვნიკი, დასიძებული იყო ქართლში (გორის ყოფ. მაზრა, სოფელი ოსიაური), თავად ილია ვეზირიშვილის ასულ ანასტასიაზე, გარდაიცვალა სოფელში 1916 წ.; 4. სიმონი — გარდაიცვალა პეტერბურგში კადეტთა კორპუსში სწავლის დროს ჭლექით; 5. დავითი — პოეტი და დრამატურგი; 6. სოფიო — ცოლად ჰყავდა თავად წულუკიძეს სოფელ დედალაურში (ხონის რაიონი); 7. მარიამი — ცოლად ჰყავდა საჩხერეში თავად სიმონ წერეთელს.

დავით ლეონიძე, პოეტი და დრამატურგი, მეხუთე შვილი იყო ივანე ლეონიძისა. როდესაც დავით ლეონიძე 12 წლის გახდა, სასწავლებლად გაგზავნეს პეტერბურგს, სადაც იმ დროს სწავლობდნენ მისი ძმები: სოლომონი, ალექსანდრე და სიმონი. კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ დავითი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ახალგაზრდა დავითი დიდი ინტერესით დაეწაფა მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლას, მაგრამ ჯანმრთელობამ არ მისცა კურსის დასრულების საშუალება და უნივერსიტეტდაუმთავრებელი დაბრუნდა საქართველოში, დამკვიდრდა სოფელ კაცხში და მთელი სიცოცხლე იქ გაატარა. ოჯახს დაგვიანებით მოეკიდა, 1900 წელს, 52 წლის ასაკში ცოლად შეირთო შვეიცარიიდან რუსეთში ჩამოსული, უცხოურ ენათა მასწავლებელი ქალი იზაბელა სიგვარტი — პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ პარიზიდან გაქცეული და შვეიცარიაში დასახლებული ემილ სიგვარტის ქალიშვილი. გათხოვების შემდეგ იზაბელა სიგვარტი მუდმივ საქართველოში ცხოვრობდა.

80-იან წლებში რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული დავით ლეონიძე გაცხოველებით ჩაება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ საქმიანობაში. რუსეთის მოწინავე იდეებით შეიარაღებული ხელს უწყობს დროებით ვალდებული გლეხების განთავისუფლებას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იგი საგანმანათლებლო საქმეს. მისი ინიციატივით კაცხში, ბოსლევსა და რგანში გაიხსნა სკოლები. იგი ხშირად იფარავდა რეაქციულ მოხელეთაგან მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, ავრცელებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და თვითონაც ათავსებდა კორესპონდენციებს პრესაში („დროება", „ივერია") სხვადასხვა ფსევდონიმით: „დ — ლ", „კაცხელი" და „შემთხვევით ჰიათურელი".

ამავე დროს დავით ლეონიძე ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას: წერდა დრამებს, პოემებს და ლირიკულ ლექსებს. აქვს თარგმანებიც, მაგრამ იმდროინდელი ცენზურული პირობების გამო დავით ლეონიძის ნაწარმოებების ძალზე უმნიშვნელო ნაწილი დაიბეჭდა და რაც დაიბეჭდა, ისიც ფსევდონიმით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დავით ლეონიძის ნაწარმოებები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა ხალხში. ამას ადასტურებს ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული ცნობილი ქართველი პოეტების ნაწარმოებთა ხელნაწერი კრებული [1], რომელშიც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, მამია გურიელის, დუტუ მეგრელის, გრ. ორბელიანის და სხვა პოეტების ლექსებთან ერთად მოთავსებულია დავით ლეონიძის ლექსებიც: „გნახე ტკბილად მძინარე", „აგრე გრძნობით ნუ მიყურებ", „საყვარლის ლოდინი", „მძიმე უღელს სწევ, მშობელო" და სხვა. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს დავით ლეონიძის ნაწარმოებთა პოპულარობის შესახებ.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, პოეტის ყველა ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ნაწილი ავტორს 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ სოფელ კაცხში ყაზახთა პირველი რაზმის შემოსევის დროს თვით დაუწვავს. ამის შედეგად დაღუპულა ისტორიული დრამა „კ ი კ ო ლ ა ს ა რ ა ლ ი ძ ე", რომელშიც იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები ყოფილა ასახული და აგრეთვე ბევრი ლირიკული ლექსი. ამ შემთხვევის გამო პოეტი ერთ თავის ლექსში „ჩემი მუზა" აღნიშნავს:

ერთი და ორი შაირი
მისთვის მე წამირთმევია,
გადარჩა, ცეცხლში არ დაწვი,
თქვენთვის ძღვნად მომირთმევია.

პოეტის მოღვაწეობა მნიშვნელოვანია აგრეთვე ქართული თეატრის აღორძინების საქმეში. იგი განსაკუთრებით დიდ მეცენატობას უწევდა ჰიათურის თეატრს და მონაწილეობდა ქუთაისის თეატრის დასშიც. ამას ადასტურებს სურათი „დავით ლეონიძე ქოროღლის როლში".

---

[1] ეს ლექსთა კრებული მოგვაწოდა ქუთაისის პედინსტიტუტის ლექტორმა ალ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე მ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

დავით ლეონიძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს გმირული წარსულის მატერიალური და კულტურული ძეგლების შესწავლისა და შეგროვების საქმეს. ამ მიზნით მან იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და დიდძალი ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა შეაგროვა. ჩაწერა აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვაობის ძვირფასი ნიმუშები. ყოველივე ეს მთლიანი კოლექციის სახით 1910-1912 წლებში მან გადასცა საქართველოს ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

სახალხო განათლებისადმი განსაკუთრებული მზრუნველობისათვის, სახალხო მასწავლებელთა საკრებულო თათბირის წარდგინებით, დავით ლეონიძე დაჯილდოებული იქნა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით.

პოეტი და დრამატურგი დავით ივანეს-ძე ლეონიძე 1921 წელს გარდაიცვალა 75 წლის ასაკში. დასაფლავებულია სოფელ ჭაცხში, საგვარეულო ეკლესიის გალავანში.

დავით ლეონიძის პოეტური მემკვიდრეობა წარმოადგენს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კეთილშობილ ტრადიციათა გაგრძელებას.

პოეტის შვილის, სოლომონ (ბებე) ლეონიძის დახმარებით ჩვენ შევაგროვეთ 46 ლირიკული ლექსი, პოემა „ელიავა“ და ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“ (ხელნაწერები).

ვფიქრობთ აღნიშნულ ნაწარმოებთა შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა ექნება ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისათვის.

დავით ლეონიძის შემოქმედება

ლირიკა

დავით ლეონიძე სხვადასხვა ჟანრის მწერალია. ლირიკულ ლექსებთან ერთად ყურადღებას იპყრობს მისი პოემა „ელიავა“ და ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა — „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“.

თემატიურობის თვალსაზრისით დავით ლეონიძის ლირიკაში განსაკუთრებული ადგილი პატრიოტულ მოტივს ეკუთვნის. ამ საკითხში იგი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის კეთილშობილური ტრადიციების გამგრძელებელია. სამშობლო, მსგავსად აკაკი წერეთლისა, მას სატრფოს სახით ჰყავს წარმოდგენილი:

არ გეტყვით მის ტკბილსა სახელს,
ჩემი სატრფო ვინ არის;
აგიწერთ ციურ სახეს,
თვით მიხვდებით, ვინ არის [1].

სამშობლო პოეტისათვის სათაყვანებელი საგანია. იგი ამ ქვეყნიურ ნეტარებას სამშობლოს სწირავს და მისთვის ცეცხლის ალზე იწვის, როგორც ზვარაკი:

იგია რომ ყოველს წამს
მაზედ ვტირი და ვფიქრობ;
მისი ტრფობის ცეცხლი მწვავს,
ვერ ვინელებ, ვერ ვიქრობ [2].

დავით ლეონიძის სათაყვანებელი რომ სამშობლოა, ეს კიდევ უფრო აშკარად ჩანს ლექსში „ჩემი სატრფო". აქ პოეტი ამაყობს თავისი კეკლუცი, ალმას-ზურმუხტით შემკული სატრფოს მშვენებით:

სატრფო ბუნებამ შემიმკო
ძვირფას თვლების მასალითა;
მორთო, მოჰკაზმა, ლამაზი,
ალმას-ზურმუხტით, ლალითა...
ორ ზღვას შუა ცხოვრობს ტურფა,
ზღვის ტალღები ფეხებსა ბანს,
მის შვენებას ცა დამღერის,
მთა და ველი აძლევენ ბანს [3].

მსგავსად აკაკი წერეთლისა, დავით ლეონიძეს გულს უკლავს სატრფო — სამშობლოს უძლურება, ცარიზმის უღელქვეშ ქედმოხრილობა. როგორც აკაკი ამბობდა: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო". ასევე გაიძახის ოპტიმისტი პოეტი დავით ლეონიძე:

წამოდგება მედგრად, მკაცრად,
ქვეყნის გუთანს სხვებთან გასწევს;

[1] იხ. ლექსების კრებული (ხელნაწერი დედანი ინახება ლეონიძეების ოჯახში, გადაღებული პირი ჩემთან. ნომერაცია ემება ჩემთან არსებულ ხელნაწერს. კ. შ.), ლექსი „ის არის", გვ. 46.

[2] იქვე, გვ. 47.

[3] იქვე, გვ. 80.

ცხოვრებაში კვალს დააჩენს,
მომავლის აკვანს დაარწევს [1].

—:—

60-იანი წლების მწერალთა შემოქმედებაში ისტორიულ თემებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აკაკი და ილია ადიდებდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს, საქართველოსათვის თავდადებულ ადამიანებს იმისათვის, რომ მათ სახელოვან მაგალითზე აღზრდილიყო ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობა, რომ გარდასულ გმირთა სამშობლოსადმი სიყვარულის მაგალითები ქვაკუთხედად დადებოდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს. დავით ლეონიძეც ამ თვალსაზრისით აშუქებს საქართველოს სახელოვან ისტორიას. პოეტს იმედი აქვს, რომ ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე წარსულის მოგონება მის თანამედროვეთა შორის კეთილშობილურ აზრებს წარმოშობს, მათ საქართველოს მომავალზედ დააფიქრებს:

იქნებ ამ რიგ მოგონებითა
საღმრთო გრძნობები შენს გულში აღსდგეს;
აწმყოს წარსულის შედარებითა
გულდამწვარს ცრემლი თვალთ გადმოგვარდეს... [2]

წარსულის იდეალიზაცია განსაკუთრებით ნათლად აქვს გამოხატული დავით ლეონიძეს ლექსში „ბუკი". ამ ლექსში პოეტი უპირისპირებს საქართველოს წარსულსა და თანადროულობას. წარსული ჩვეულებრივად ბრწყინვალედ ესახება მას, ხოლო თანადროულობა დამდაბლებულად და დაცემულად:

მან მომაგონა ის დრო წარსული,
როს იმის ხმაზე აღიძვრებოდა
მთლად მთა და ბარი, ყოველი სული
ვისაც რომ მკლავი ემაგრებოდა [3].

ეს იყო მხოლოდ წარსულში, ახლა კი „დიდი ხანია წავიდა ის დრო, ზღაპრად ვთვლით ეხლა იმ დროს ამბებსაც". მაგრამ ოპტიმისტი პოეტი უიმედობაში არ ვარდება. იგი არ გოდებს დაკარგულ

[1] ლექსების კრებული, გვ. 81.
[2] იქვე, გვ. 57.
[3] იქვე, გვ. 67-68.

შედნიერებაზე. პოეტს მტკიცედ სწამს, რომ მალე აღორძინდება საქართველო, იგივე ბუკი დაიჭიხვებს ძველებურად და სახელოვანი ქართველი ხალხი კვლავ აღსდგება თავხედი მტრის შესამუსრავად:

მაგრამ ნუ ჰკარგავ, ბუკო, იმედსა!
გამოვიღვიძებთ, როცა იქნება...
შესძრავს ჩვეულებრ ვაკეს და მთებსა
შენი ძახილის კვლავ გაგონება!..

ჩაგვბერავ სულსა ვაჟკაცობისას.
აღგვინთებ ყველას ღვთიურს ცეცხლს გულში;
კვლავ დაგვანახვებთ სეირს მტრებისას
და მით შენც გაგრევთ ჩვენს სიხარულში!!. [1]

სახელოვან ისტორიულ პირთაგან განსაკუთრებული სიმპატიით იხსენიებს დავით ლეონიძე მეფე ერეკლეს და მის მსაჯულს სოლომონ ლეონიძეს. ერეკლეს აჩრდილი, როგორც ბრწყინვალე წარსულის შარავანდედი, ყოველთვის თვალწინ უდგას იმედის ნიშნად პატრიოტ პოეტს:

საიდან კასპი და შავი ზღვა ჩანს.
თვალაუწვდენელ ტიტველა მთაზედ,
შავით მოსილი ღრმა მოხუცი დგას.
მეფის გვირგვინი ადგია თავზედ! [2]

ეს არის სახელოვანი მეფე და სარდალი ერეკლე მეორე.

ცარიზმის უღელქვეშ დაბეჩავებული საქართველოს დანახვით გულმოკლული მეფე ასე წამოიძახებს:

მაგრამ ოჰ, ღმერთო! რას ვხედავ ამას?!
საგლოვ ბედ ქვეშ მყოფს და მტრისგან ძლეულს...

და ვეღარ გაუძლებს ჭირნახული მეფე თავისი დაბეჩავებული ქვეყნის სურათის ცქერას:

შეხედა ქვეყნებს უკანასკნელად,
სად თვით უფლებდა მეფე ქებული;
შემდგომ აფრინდა ჰაერში ნელად
გულ-დატანჯული, დაღონებული... [2]

[1] ლექსების კრებული, გვ. 67-68.
[2] იქვე, გვ. 72.

ერეკლეს გვერდით პოეტი ყოველთვის დიდი სიყვარულით ხატავს უმწიკვლო ქართველ მოღვაწეს, საქართველოსათვის თავდადებულ ადამიანს, საკუთარ პაპას, სოლომონ ლეონიძეს. ამ თემას უძღვნა პოეტმა ხუთმოქმედებიანი დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“ (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ), ხოლო ლირიკული ლექსებიდან კი — ლექსი „მოგონება“. ამ ლექსში პოეტი ასახავს სოლომონ ლეონიძის ბრძოლას ცარიზმის დამპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ და დასძენს:

მაგრამ ვერაფრის სოფლის დიდებით
ვერ შეურყია მტერმა მას გული
და უფრო მეტის თავგამოდებით
სიკვდილმდე შერჩა მამულს ერთგული!.. [1].

წინაპართა გმირობით აღფრთოვანებული პოეტი ცარიზმის უღელქვეშ მყოფთ საქართველოს გამარჯვების რწმენით ამხნევებს:

მოტყუებით მტერმა გძლია,
ჩემო აღმზრდელო კარგოვო;
ბევრ შავ დღისათვის გაგიძლია,
იმედი არ დაკარგოვო.
აღსდექ, ლომო, ნუღარ გძინავს,
მძლავრი ტორები გამართე... [2]

ქართველი ხალხის სახელოვან ტრადიციას გამოხატავს პოეტი, როდესაც აღფრთოვანებული შესძახებს სამშობლოს:

შენთვის საომრად აღვსდგებით,
მოვრწყავთ სისხლით არე-მარეს:
ან ყველა თავს დაგაკვდებით,
ან მტერს გაუთხრით სამარეს... [3]

აღსანიშნავია ისიც, რომ სამშობლოსათვის ამ სახელოვან ბრძოლაში პოეტს წინ მიუძღვის ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარის უძლეველი დროშა — მათი სახელოვანი აჩრდილები:

[1] ლექსების კრებული, გვ. 66.
[2] იქვე, გვ. 74.
[3] იქვე, გვ. 77.

ვახტანგ, დავით და თამარის
ჩრდილი ომში წაგვიძღვება,
ერეკლეც ჩვენ თვალწინ არის,
მაშ წინ ვინღა დაგვიდგება... [1]

დასასრულ, ასეთი პატრიოტული სიტყვებით მიმართავს პოეტი სამშობლოს:

არ გაგწირავთ, არ გიმტყუნებთ,
შენზე მტერს არ გავახარებთ;
ჩვენს ვალს მტკიცედ შეგისრულებთ,
შენს ორგულს დღეს გაუმწარებთ [1].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დავით ლეონიძის ლექსი „ქრისტე აღსდგა". მართალია, ეს ლექსი დათარიღებული არ არის, მაგრამ შინაარსის მიხედვით იგი დაწერილი უნდა იყოს 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.

ლექსში პოეტი ხედავს, რომ ქვეყანას მოევლინა მხსნელად რევოლუცია, რომელსაც ალეგორიულად პოეტი ქრისტეს აღდგომას უწოდებს:

ქრისტე აღსდგა, ჩვენი მხსნელი!
„ჰეშმარიტად", — სატრფომ მითხრა.
ხარობს ზეცა...

პოეტი იმასაც ხედავს, თუ როგორ ცდილობენ ბნელი ძალები, რომ ჩაკლან თავისუფლების აჩრდილი, შეაჩერონ პროგრესული ძალები, მაგრამ დ. ლეონიძე იმედიანია:

მაგრამ ღმერთი შენსა სიკვდილს
სვავს და ყორნებს არ მოასწრებს;
ვისაც შენი სიკვდილი სურს
მერწმუნეთ, თვით წინ გაგასწრებს.

...რომ მხიარულმა გავძახო:
სატრფო ჩემი აღზდგა ცქვიტად.
მთა და ბარმა მომაძახოს:
„ვხედავ აღზდგა ჰეშმარიტად"... [2]

[1] ლექსების კრებული, გვ. 77.
[2] იქვე, გვ 76.

პოეტი დარწმუნებულია, რომ მისი სატრფო — სამშობლო გაიმარჯვებს, წამოდგება და ეს კი დავით ლეონიძისათვის უსაზღვრო ბედნიერების მომასწავებელია.

ამრიგად, როგორც აღნიშნულ ლექსთა ანალიზიდან დავინახეთ, დავით ლეონიძე სამშობლოსათვის თავდადებული, გამარჯვების მტკიცე რწმენით აღფრთოვანებული, ფაქიზი გრძნობების მომღერალი მგოსანია. იგი ამ საკითხში 60-იანი წლების მოღვაწეთა სახელოვანი ტრადიციის გულწრფელი გამგრძელებელია.

სატრფიალო მოტივი

სატრფიალო ლირიკას ქართულ ლიტერატურაში დიდი ტრადიცია აქვს. იგი ძლიერ გამოსახვას ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებაში პოულობს და განვითარების მაღალ საფეხურს ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიაში აღწევს.

60-იანი წლების მწერლობამაც საკმაო ხარკი გადაუხადა სიყვარულის საკითხს. მაგრამ იგი ეროვნული და ხოციალური საკითხების ჩრდილში თითქმის მკრთალად გამოიყურება, რადგან შემოქმედებითი აქცენტი ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე გადაიტანეს. დავით ლეონიძე, ბუნებრივად, ამ საკითხშიც 60-იანი წლების მოღვაწეთა გზას უნდა გაჰყოლოდა. მართლაც, მთავარი საკითხი მის შემოქმედებაში ეროვნული ხასიათისაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი სატრფიალო ლირიკასაც უჭირავს; ჩვენ მიერ მიკვლეულ სულ ორმოცდაექვსი ლირიკული ლექსიდან 20-ზე მეტი სატრფიალო თემაზეა აგებული. სატრფიალო ხასიათის ლექსების სიმრავლე, სხვა ლექსებთან შედარებით, იმითაც უნდა აიხსნას, რომ როდესაც 1905 წელს, ყაზახთა შიშით, დავით ლეონიძემ თავისი ნაწერები დაწვა, ცხადია, პოეტი დაწვავდა სოციალური და პოლიტიკური შინაარსის ლექსებს და არა სატრფიალოს. ამის გამო დღეს მის ნაკლულად მოღწეულ პოეზიაში სატრფიალო ლირიკა სჭარბობს.

დავით ლეონიძე აღფრთოვანებული უმღერის სიყვარულს. იგი ადამიანის მაღალ განცდათა ასახვის დახელოვნებული ოსტატია. ჩვენ გვახსოვს ალ. ჭავჭავაძის სიტყვები: „სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს, ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს“. ასეთივე ძალისაა დავით ლეონიძის სიყვარულიც. პოეტის წარმოდგენით, სიყვარული ცხოვრების გზის მანათობელი ვარსკვლავია, სიცოცხლის აზრისა და შინაარსის

მიმცემია, და ამდენად იგი ადამიანის გამაკეთილშობილებელი და ამამაღლებელია:

სიყვარულო, სიცოცხლის გზა
შენის სხივით გვინათლდება,
შენით გული გვიბრწყინდება.
უშენობით გვიბნელდება.
რანაირად კაცს გამოცვლი,
სიცოცხლესა შეაყვარებ,
ლაზათს მისცემ, გაამშვენებ,
თავის თვალში აამაღლებ[1].

დავით ლეონიძის აზრით სიყვარული პოეტური შთაგონების წყაროც არის, იგი აღაფრთოვანებს შემოქმედს, მუზების ფრთებს შეასხამს და ზღვისა და ხმელეთის საოცარ სურათებს ანახებს:

შენის ეშხით მოშაირე შემოისხამს მუზის ფრთებსა;
შემოიფრენს მთლად ზღვებს, მთებსა, მთელს ქვეყანას,
მთვარეს, მზესა.
ზამთარშია გაშლის ვარდებს, ააყეფებს ბულბულებსა,
ცაში ბროლის კოშკს ააგებს, გარს მოასხამს ვარსკვლავებსა[2].

ამავე დროს სიყვარულის განცდა უძლეველია, განუსაზღვრელია. მის წინაშე ყველა ქედს იხრის, ყველა მას ემორჩილება: „შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს“, თუ ამას ამბობდა ალ. ჭავჭავაძე. დავით ლეონიძეც სიბრძნესა და გონიერებას უძლურად სახავს ნიაღვარივით მოხეთქილი სიყვარულის ძალის წინაშე: „ბრძენიც შენი მოაშიკე თვის ოთახში ცრემლსა ღვრიდესო“[3].

სიყვარულის ძალას პოეტი უდიდეს გოლიათად გადაუქცევია; სატრფოსათვის იგი ურიცხვ ლაშქარს მარტო ერთი შეებმება, თავს შეაკლავს და მიჯნურს არავის დაანებებს:

მეფენი ქვეყნის ურიცხვი ჯარით
დაე, მოვ დნენ, რას დამაკლებენ?!
გავაოცებ მათ გულის სიმაგრით,
ჩემსა სატრფოსა ვერ წამართმევენ!

[1] ლექსების კრებული, გვ. 34-35.
[2] იქვე, გვ. 34-35.
[3] იქვე, გვ. 34-35.

ისინი მთელის ამ ქვეყნის ძალით
ვერას მავნებენ, არ მეშინია;
სატრფოს დავტოვებ მხოლოდ სიკვდილით,
იგი ჩემია, იგი ჩემია [1].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დავით ლეონიძის შემოქმედებაში სიყვარულმა ახლებური ინტერპრეტაცია ჰპოვა. მანამდე ქართულ ლიტერატურაში, მართალია, სიყვარულს ბევრი აღმერთებდა, ადამიანის არსებას, მის ჭკუასა და გონებას სიყვარულს უმორჩილებდნენ, მაგრამ მორწმუნე მგოსნები მხოლოდ ამ ქვეყნად არსებულსა და წარმავალს უმორჩილებდნენ მას. დავით ლეონიძემ კი სატრფო ქალის სიყვარული ზეციურ ღმერთთა სამყაროს დაუპირისპირა. თავის სატრფოს წინაშე ღმერთის ძლიერება ფეხქვეშ გათელა და ყოველივე ღვთიური და სათაყვანებელი თავის ნაზ ქალში დაინახა:

ვინ არის ღმერთი, ვერ ვიცნობ იმას.
ღვთიური ძალი ჩემს ნაზ ქალშია;
მხოლოდ მას ვწირავ ქება-დიდებას
მთელის ქვეყნისა მე სივრცეშია.

ზოგჯერ პოეტი უფრო შორს მიდის, იგი ღმერთებზე ამხედრებულა და სურს ციდან ძირს ჩამოყაროს ისინი და თავისი სატრფოს ფეხთა წინაშე მიწაზე დაანარცხოს.

არა ვარ მკვლელი, ბოროტებას ვგმობ,
მოყვრისთვის წყალში გადავარდები,
მაგრამ იმას კი ვერვის დავუთმობ,
მისთვის საბრძოლად ღმერთზე აღვსდგები...

არ მაქვს კანონი, სარწმუნოება,
მაგრამ რომ სატრფო მე არ დავკარგო,
მზათ ვარ წავართვა მეფეთ მეფობა
და მასთან ღმერთიც ცით ჩამოვაგდო... [2]

---

[1] ლექსების კრებული, გვ. 30-31.

[2] ეს ლექსი გადმოკეთებული უნდა იყოს რილკეეის ლექსიდან „ის ჩემია, ის ჩემია“, რომელიც ადრევე გადმოკეთებული ჰქონდა მ. გურიელს.

არ არის ძალა დავით ლეონიძისათვის, რომელიც სიყვარულს გზას შეუცვლის; არ არსებობს რაიმე ბედნიერება ამ ქვეყანაზე, რომელიც შეიძლება პოეტმა სიყვარულს ანაცვალოს: არ არსებობს ისეთი სიმდიდრე, რომელშიაც ადამიანმა სიყვარული გასცვალოს, სატრფოს თვალთა მზერა დაივიწყოს:

არ მინდა ქვეყნის დიდება,
არც მარგალიტი — ლალები,
მეფედ ვგრძნობ თავს, თუ ალერსით
მიმზერენ შენი თვალები.
მეფეებს გაუწევ მტრობას,
ღვთის რისხვასაც გადავიტან,
მაგრამ შენსა გულცივობას
ვერ გავუძლებ, ვერ გადვიტან [1].

ამავე დროს დავით ლეონიძის სიყვარული უფრო ხორციელია. იგი უფრო ხორციელი ვნების მომღერალი მგოსანია. სიყვარულის ხორციელ მხარეს ეთაყვანება. ქალის გარეგნული სახე, მისი სარო ტანი, ბროლის მკერდი და გიშრის დალალები გაუხდია პოეტს სა-ვედრებელ საგნად, ხოლო — სატრფოს სილამაზეს მაშინ აქვს პოე-ტისათვის, მნიშვნელობა თუ იგი მუდამ მასთან არის, მასთან ახლოს ყოფნით ტკბება და მისი თანაგრძნობით ხორციელ სიამოვნებას გრძნობს.

ლხინი ტანჯვათ მიმაჩნია,
თუ იქ არ ხარ, სხივს არ მაფენ
ვერვის ვხედავ, ვერასა ვგრძნობ,
ფიქრით შენთან ვარ, თავს დაგფრენ.
სადაც შენა ხარ, ის კუთხე,
ჩემთვის ედემი სრულია,
იქ ჭირიც ლხინად მექცევა,
სტკბება გული და სულია [1].

სატრფოსთან ახლოს ყოფნასა და ხორციელ ვნებას კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატავს პოეტი ლექსში „სიყვარული“:

მინდა მუდამ შენ გიყურო,
ერთ წამს თვალს არ გაშორებდე;

[1] ლექსების კრებული, გვ. 42-43

მინდა მუდამ შენთან ვიყო
და მარად თავს გევლებოდე,
შენს მშვენიერს ციურს სახეს
მინდა თვალს არ ვაშორებდე,
შენის სიკეკლუცის ცქერით
ჩემს სულს და გულს ვახარებდე.
მსურს შენი ბროლის თითები
ეხებოდნენ ჩემს ბაგესა,
რომ მით ტანჯვა შემიმცირდეს
და მივეცე სიამესა [1].

ან კიდევ

შენის სიშორით ცეცხლი მედება,
ჩემი ნუგეში მხოლოდ შენა ხარ,
სული და გული იქ დამიტკბება,
სადაც შენა ხარ, სადაც შენ ხარ .. [2]

სიყვარულის ეშხით დამთვრალ პოეტს თავისი სატრფო განუსაზღვრელ ნეტარებად წარმოუდგენია: „ჩემთვის მთელისა ქვეყნის სივრცეში სასიხარულო მხოლოდ შენა ხარ".

თუგინდა გულში ტყვიაცა მომხვდეს,
არას ჩავაგდებ, თუ შენ ჩემთან ხარ;
დაე, მე იქ სული ამომხდეს,
სადაც შენა ხარ, სადაც შენა ხარ [2].

„სიყვარულო ძალსა შენსა ყოველი გრძნობს არსებს რაცაო", — იტყოდა ალ. ჭავჭავაძე. დავით ლეონიძის გაგებითაც სიყვარული ყოველგვარი არსებისათვის ანუ არსებულისათვის სასიცოცხლო მოვლენაა:

ვინ არ იცის სიყვარული
თვით ბუნების შნო არის;
უიმისოდ რაც არსებობს
ცოცხალიც მკვდარი არის.

ზოგჯერ პესიმისტურ მოტივზეა აწყობილი დავით ლეონიძის მაჯამური სატრფიალო ლექსები. სატრფოს ხილვა და მასთან ახლოს

[1] ლექსების კრებული. ლექსი „სიყვარული", გვ. 28.
[2] იქვე, ლექსი „სადაც შენა ხარ", გვ. 57-59.

ყოფნა მაშინ უხაროდა პოეტს, როდესაც სატრფო მისი ერთგული და თანამგრძნობი იყო, მაგრამ ხშირად მის სატრფოს მაცდური სურვილი შეიპყრობს, რაც გულზე ცეცხლმოდებულ მის მიჯნურს სიკვდილს ანატრებს და მწარე ცრემლებს აღვრევინებს:

ოხ! გიხილე ანგელოსის სადარი,
შენი მსგავსი ვერვინ ჰპოვოს სადარი?!.
მომიხიბლე მთლად გონება და გული
და ამით ვარ მუდამ ცეცხლით დაგული...
შენ გაღმერთებ, ქვეყნად მხოლოდ შენ ერთსა,
დავივიწყე. უარი ვყავი ღმერთსა,
უნუგეშო ვათრევ ტანჯვის უღელსა,
ვით წყალობას ველი სიკვდილის დღესა.
არა მძინავს, ცრემლებს ვღვრი მთელი ღამე,
კვნესის გული, აღარა მაქვს სიამე;
სჩანს ბედისგან მე ეს ასე მეწერა
შენ გემონო, გავხდე შენი მე წერა [1].

სიყვარულის მაღმერთებელი პოეტი მაცდურმა სატრფომ უიმედობის ბურუსში გაჰხვია: ლამაზი ქალის სიტყვები უნდო აღმოჩნდა, ფიცი გატეხილი და გული გაცივებული. სატრფოს გაუტანლობა დავით ლეონიძემ განზოგადებულის სახით წარმოიდგინა და საერთოდ ქალი უნდო არსებად წარმოსახა:

მისი ფიცი დავიჯერე მხიბლავი,
მიუძღვენ მას სული, გული და თავი;
ქვეყნის მეფედ თავი ჩემი დავსახე;
...წყეულ იყოს ვინც ქალის ფიცს მიენდოს.
შეიყვაროს, ან იძმოს და ან იდოს,
თუ რამ მისი დაიჯეროს იწამოს, —
ვერ იხაროს, სიკვდილამდე იწამოს!! [2]

როგორც ვხედავთ, პოეტი სიყვარულით უკმაყოფილოა. ჩანს, მაცდურობისა და მოღალატობის მწარე ფიალა მანაც დასცალა. ამიტომაა, რომ სათაყვანებელი საგანი მას უცებ სამუდამოდ დასაგმობ არსებად გადაექცა. ამიტომაა საბოლოოდ გულგატეხილი პოეტი სატრფოს რომ ეუბნება:

[1] ლექსების კრებული, გვ. 73.
[2] იქვე, გვ. 75.

სირინოზის ხმით ნუ მიმღერ,
ვარდს და იას ნუ მპირდები,
გამიმწარებ მე სიცოცხლეს,
შხამს შემასმევ, გაფრინდები.
...სიტკბო მისგან მე ვერ ვნახე,
მიღალატა, გამამწარა,
სიყმაწვილე მომიწამლა.
ცოცხალი მკვდარს დამადარა.
ცრუ ოცნებას აღარ ვმონებ,
მისი ცეცხლი ვეღარ დამწვავს,
გული ყინვად გადამექცა,
სიყვარული აღარა მწამს [1].

რამდენადაც ძლიერი იყო პოეტის სიყვარულით გატაცება, შეიძლება ითქვას, იმდენად ძლიერია მისი გმობაც. ჩვენ არ შეგვიძლია გამოვარკვიოთ სიყვარულისადმი პოეტის ასეთი ამხედრების მიზეზი. შესაძლებელია პირადმა მარცხმა მიიყვანა იგი ასეთ სასტიკ დასკვნამდე, მაგრამ ისიც შეიძლება ითქვას, რომ როგორიც არ უნდა იყოს დავით ლეონიძის ზოგიერთ ლექსში სიყვარულის გმობა, იგი მაინც დარჩება ქართულ ლიტერატურაში სიყვარულის მომღერალ პოეტად.

სოციალური მოტივი

დავით ლეონიძის შემოქმედება სოციალურ-პოლიტიკური მომენტთა დაძაბულობის პერიოდში განვითარდა და ეს მის პოეზიაში მკვეთრ გამოხატულებას პოულობს. პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მშრომელი ხალხის დუხჭირ ცხოვრებას და საზოგადოებაში გამეფებულ უსამართლობას. იგი უფრო კარგად იცნობს გლეხის უმწეო ყოფას და ნათლად სახავს მისი ცხოვრების ცოცხალ სურათებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დ. ლეონიძის ლექსები „მეხრე" და „მთხოვნელი".

სოსიკა გლეხი თესავს ყანას, მზის სხივები აღმოაცენებს ჭირნახულს, გაზაფხულის მშვენიერება ატკბობს ლაღ ადამიანებს, მდიდრები მხიარულად ცხოვრობენ, ხოლო გლეხი სოსიკა დაღვრემილია, სახე ჩამოსტირის. ის წელში გაუტეხია, ბატონის, მეფისა და საეკლესიო პირთა სამსახურს. მის თვალწარმტაც სამშობლოში სხივები

[1] ლექსების კრებული. ლექსი „ნუ მიყურებ", გვ 77.

მხიარულობენ, სტკბებიან მშვენიერი ბუნებით, იგი კი ამ ნეტარებას მოკლებულია. მას სამშობლო უყვარს, მაგრამ სამშობლო მისთვის ჯერ კიდევ დედინაცვალია. პოეტის აზრით, სამშობლოში ბედნიერებას მხოლოდ გაბატონებული საზოგადოება პოულობს და არა მშრომელი ხალხი.

მაგრამ მეხრეს გულს, ბატონო ჩემო,
სხვა რამ ფიქრები ძნელად შორდება,
მასაც ხომ უნდა იგრძნოს, იგემოს
სამშობლოს სითბო, თვისი უფლება.

იცით ცხოვრება მეხრის ძნელია,
მოგეხსენებათ ბედი რას აძლევს,
მეფის სამსახურს, ბატონის ხლებას,
მღვდლისა დრამის ფულს ვერ უძლებს ყველას.

მეხრესაც უყვარს სამშობლო თვისი,
მასაც აქვს ფიქრი, გრძნობა, გონება,
მაგრამ ჯერ მისთვის შორს არის, ვატყობ,
მუნ სანატრელი თავისუფლება [1].

ლექსში „მთხოვნელი“ დავით ლეონიძე ვრცლად ასახავს გლეხობის ცხოვრების ბნელ სურათებს. აქ წარმოდგენილია გლეხის ოჯახის გამანადგურებელი მიზეზები: სხვადასხვაგვარი გადასახადები, მთავრობის მოხელეთაგან შეურაწყოება და კიდევ ბევრი რამ:

გვთხოვენ ყოველგვარ გადასახადსა,
ლუკმას მართმევენ, არ მიბრალებენ,
და მიმატებენ დარდზე სხვა დარდსა,
მოკლე სიცოცხლეს მით მიმწარებენ [2].

ამას ემატება სხვა უბედური შემთხვევებიც: ავადმყოფობა, სიკვდილიანობა და სხვ. ყოველივე ამის შემდეგ უილაჯოდ დარჩენილი გლეხი, სხვა დროს ამაყი და გამრჯე, იძულებული ხდება ხელში მათხოვრის ჯოხი დაიკავოს და კარდაკარ იხეტიალოს. ხშირად მთხოვარა გლეხი მდიდრის კარს მიადგება, მოწყალებას ითხოვს და იმისათვის, რომ მდიდრის გული მოიგოს, მისი ცხენის მტვრიან ფე-

[1] ლექსების კრებული, გვ 26.
[2] იქვე, გვ. 40.

ხებს კოცნის. მაგრამ მდიდარი საბრალოს არ განიკითხავს. ზედაც არ შეხედავს და ამაყად განაგრძობს თავის გზას:

ტყვილა დავარდა მის წინ მუხლმოყრით,
მწველი ვედრება არ მოუსმინა;
თვალი მოავლო ერთი კი წყრომით,
ცხენით გაქუსლა, წინ გაურბინა...

დიდხანს ადევნა მთხოვნელმა თვალი,
წამოდგა ფეხზე, თავს აქნევს ოხვრით,
გამოტრიალდა შემდგომ საწყალი,
ისევ დაადგა გზას თვისი ჯოხით [1].

დავით ლეონიძის ნაწარმოებთა დაწვის გამო, მის ნაწერებში ასეთი შინაარსის ლექსები რაოდენობით ცოტაა, მაგრამ აქ მოტანილი მაგალითებიც საკმაოდ ამტკიცებენ პოეტის გულისხმიერ დამოკიდებულებას მშრომელი გლეხობისადმი. იგი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტია.

პოემა „ელიავა"

დ. ლეონიძის ნაწარმოებთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოემა „ელიავას". იგი ისტორიულ ქარგზე ვითარდება. შინაარსეულად პოემა გამოხატავს საქართველოდან თურქეთში გაქცეული სოლომონ მეორისა და მის მხლებელ ქართველ ემიგრანტთა ტრაპიზონში ცხოვრების ეპიზოდს.

მოკლე შინაარსი ასეთია: ერთ დღეს ტრაპიზონის ფაშა საჭიდაო მოედანზე სამ უძლიერეს ფალავანს გამოიყვანს და შეჯიბრებაში ქართველებს გამოიწვევს. თათრის ფალავნები იხმობენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ქართველებიდან მსურველი არსაიდან ჩნდება. მეფე სოლომონი ნატრულობს იმერეთში განთქმულ ფალავანს დათუნა გოცირიძეს, მაგრამ თურქეთში იგი თან არ ახლავს.

ბოლოს მეფე ჰკითხავს ქართველებს, ვის შეუძლია თათრებთან შებმაო და ყველანი ერთხმად მიუთითებენ ახალგაზრდა ელიავაზე.

ელიავა მეფეს ახლდა,
ოცდა ხუთი წლის ყმაწვილი,
ტანად საროო და პირად მზე,
ბეჭებ ფართო და წელ წვრილი.

[1] ლექსების კრებული, გვ. 41.

ბრძოლებში განთქმული ახალგაზრდა ელიავა მეფის დავალებას მიიღებს, რიგრიგობით შეებმება ფაშას ფალავნებს და პირველ შეტაკებისთანავე სამივე მათგანს სასტიკად დაამარცხებს. თათრები დაღონდებიან. ქართველები კი ზეიმობენ გამარჯვებას (პირველი კარი).

გამარჯვებულ ქართველებს ნადიმი აქვთ. მეფე სოლომონი ელიავას თავის ხმლით აჯილდოებს. ამ დროს მეფეს წიგნი მოსდის ფაშასაგან. იგი ახლა ითხოვს ელიავას შებმას სხვა ფალავანთან. ქართველები ღებულობენ გამოწვევას.

საჭიდაო მოედანზე დგას ფალავანი — ახალგაზრდა თათარი.

უწვერო და პირტიტველა
მოკასკასე ვარსკვლავს ჰგავდა
და თვისი მშვენიერებით
სავსე მთვარეს დაჩრდილავდა.

ელიავა და თათარი დიდხანს ჭიდაობენ და ვერ სძლევენ ერთმანეთს. ბოლოს თათარი იძულებული ხდება ჭიდაობა მეორე დღისათვის გადადოს. ელიავა დათანხმდება. იგი გრძნობს, რომ ეს უკანასკნელი ფალავანი მეტად ძლიერია, ეეჭვება მისი წაქცევა (მეორე კარი).

იმავე დღეს ელიავას ერთი ლამაზი ქალი იბარებს თავის სასახლეში. ელიავაც ესტუმრება დანიშნულ დროს, თუმცა ეჭვი არ ასვენებს, ღალატის ეშინია. ქალი აღერსით შეხვდება ქართველ ახოვან ვაჟკაცს, პატივისცემით მიიღებს და ბოლოს გაუმჟღავნებს საიდუმლოებას:

გეტყვი ვინა ვარ, ჰაბუკო
და ამით არ გაკვირდეო;
მე ვარ იგი ფალავანი
დღეს რომ სამჯერ გეჭიდეო.

თანაც დასძენს: მომეწონე ვაჟკაცი და საჯაროდ სირცხვილი არ გაჭამე, თორემ მოედანზე პირველ შებმაზე წაგაქცევდიო. და ეს სიტყვები რომ ელიავასათვის დამაჯერებელი ყოფილიყო, ამ უცნობმა ქალმა ელიავა სკამით ცალი ხელით ასწია და დარბაზი შემოატარა.

ყმაწვილით მოხიბლული ქალი შემდეგი დღისათვის იბარებს ელიავას საჭიდაოდ მოედანზე და თანაც ჰპირდება, რომ თვით წაიქცევა და ქართველს დიდ სახელს მოუპოვებს. მაგრამ ამას ელიავა

იუკადრისებს, შეურაცხყოფად მიიღებს. მაშინ ქალი ჭიდაობის დღეს ავადმყოფობას მოიმიზეზებს და ამ გზით ელიავას საჯარო შერცხვენას ააცდენს. დრო გადის, ქალსა და ვაჟს შეუყვარდებათ ერთმანეთი, მაგრამ სარწმუნოება მათ ნებას არ აძლევს შეუღლებისას.

მაგრამ ის ვერ მოიფიქრეს
არ აძლევდა რჯული ნებას:
ქალი მაჰმადს არ დათმობდა,
ელიავა — სახარებას.

მალე მეფე სოლომონი გარდაიცვლება. ქართველები დიდი პატივისცემით დაასაფლავებენ მრავალჭირგადახდილ მეფეს და საქართველოში დაბრუნდებიან. ელიავა კი რჩება უცხოეთში.

ბოლოს თათრის ქალს მიჯნურობის ნაყოფი გამოაჩნდება. ამბავს ხონთქარს მოახსენებენ. განრისხებული მბრძანებელი ავალებს ელიავას ან მაჰმადის რჯული მიიღოს და ქალი შეირთოს ცოლად, ან თავი გასწიროს სასიკვდილოდ.

თუ არა და გიაური
არ არის შესაბრალიო,
გიბრძანებთ დაუყონებლივ
გააგდებინეთ თავიო.

პატრიოტი ქართველი სიკვდილს არჩევს და სამშობლოსა და სარწმუნოებას არ უღალატებს. იგი თავისი ხალხის ინტერესებს შესწირავს სატრფოს სიყვარულსა და საკუთარ სიცოცხლესაც. ხონთქარი განკარგულებას გასცემს, რომ ელიავას თავი მოჰკვეთონ. სიკვდილის წინ პატრიოტი ქართველი მოითხოვს სოლომონ მეფის გვერდით დასაფლავებას. ამ თხოვნას შეუსრულებენ:

თავი მოსჭრეს ელიავას,
დაუბნელდა მზე და მთვარე,
სოლომონ მეფის მახლობლად
გაუთხარეს მას სამარე.

მაგრამ გულწრფელმა სიყვარულმა თავისი გაიტანა. მეორე დღეს ელიავას საფლავზე ნახეს ის ქალი ყელგამოჭრილი. ვაჟის სიყვარულით გატაცებული ქალი სატრფოს საფლავზე თავს იკლავს (მესამე კარი). ასეთია პოემის შინაარსი. სიუჟეტი საინტერესოდ არის მო-

ფიქრებული. ავტორი მიზნად ისახავს გვაჩვენოს რაინდული სულით ამაღლებული ქართველი, რომელმაც პირადი ცხოვრება და ნეტარება თავისი ქვეყნის ინტერესებს ანაცვალა და ამავე დროს გვაგრძნობინოს სიყვარულის მაგიერი ძალა.

დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა"

ისტორიული დრამის საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ქართულ ლიტერატურაში. აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის მწერლობაში წარსულის თემატიკა ვრცლად არის წარმოდგენილი, მაგრამ ისტორიულ თემაზე აგებული დრამატიულ ნაწარმოებთა რაოდენობა მაინც ცოტაა. ეს დრამატული ჟანრის სირთულით აიხსნება.

XIX საუკუნის ქართულ დრამატულ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება ისტორიულ სიუჟეტზე აგებული დ. ლეონიძის დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა". ეს ნაწარმოები, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, დაწერილია 1884 წელს და მასში ასახულია XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს ისტორიული ამბები.

როგორც თვით ნაწარმოების სახელწოდებიდან ჩანს, დრამის მთავარ ფიგურას წარმოადგენს იმერთა მეფე სოლომონ მეორე. გარდა სოლომონისა, მთავარი მოქმედი პირებია: თავის დროის დიდი ქართველი პატრიოტი, დრამის ავტორის დავით ლეონიძის პაპა — მსაჯული სოლომონ ლეონიძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდლები: სეხნია წულუკიძე და დავით აგიაშვილი; მეფის კარზე გავლენიანი თავადები: ხუტუ მიქელაძე, ლევან აბაშიძე, გრიგოლ წერეთელი (შვილი ზურაბ წერეთლისა), ივანე ლეონიძე (შვილი სოლომონ მსაჯულისა და მამა დრამის ავტორისა) და სხვა.

ქალთაგან ყურადღებას იპყრობენ: მარიამ დედოფალი — სოლომონ მეფის ცოლი; დარეჯან ბატონიშვილი, — მეფის ბიძაშვილი — სოლომონ მსაჯულის საცოლე; მზეხათუნ ბატონიშვილი, — მეფის ძმისწული (ზურაბის შვილის სიმონის ცოლი) და სხვა.

დრამის იდეა

დრამაში „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა" პირველი მოქმედების დასაწყისიდან უკანასკნელ სტრიქონამდე წარმოდგენილია დაძაბული ბრძოლა ორ მოწინააღმდეგე იდეას შორის. ეს არის ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკა და ქართველ მამულიშვილთა

პატრიოტიზმი. ერთი მხრივ დგანან ცარიზმის ბობოლა მოხელეები, მთავარმართებლები: ციციშვილი, გუდოვიჩი, ტორმასოვი და გაიძვერა ქართველი თავადი ზურაბ წერეთელი, მეორე მხარეზეა სახელოვანი პატრიოტი სოლომონ მსაჯული თავისი თანამებრძოლებით, ხოლო მათ შორის მერყეობს უნებისყოფო მეფე სოლომონ მეორე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოლომონ მსაჯული ერეკლეს სიკვდილის შემდეგ იმერეთში აგრძელებს მოღვაწეობას. მან იმერეთის სამეფო კარზე პირველი დღიდანვე სოლომონ მეფისა და იმერეთის გავლენიან პირთა დიდი ნდობა და სიმპათია დაიმსახურა. სოლომონ მეფე არც ერთ საკითხს არ გადაწყვეტდა სოლომონ მსაჯულის დასტურის გარეშე. ამან ზურაბ წერეთელში მსაჯულის მიმართ შური აღძრა. დრამის სიუჟეტის მიხედვით, ზურაბ წერეთელი ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რათა მეფისა და სასახლის კაცთა წინაშე დასცეს მსაჯულის ავტორიტეტი.

ამ მიზნის მისაღწევად ზურაბ წერეთელი იყენებს ყოველგვარ სიყალბესა და არ ერიდება უდანაშაულო ადამიანის სიკვდილსაც კი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზურაბ წერეთელი მეფესაც ღალატობს და მსაჯულსაც, რადგან იმერეთის ტახტს იგი თვით ეთამაშება. დრამის პირველ მოქმედებაშივე ზურაბ წერეთელი იღაშქრებს სოლომონ მსაჯულის წინააღმდეგ.

ზურაბი „...ან იმ დალოცვილ მეფეს როგორ ეკადრება ეს?!. ჩვენ დაგვიშორა და მსაჯულს ჩაუგდო თავი ხელში. მის უკითხავად ლუკმას პირში არ ჩაიდებს. მთელი იმერეთი გაკვირვებულია. ნეტავი მაინც ჩვენი ნახევარი ან სამსახური და ან ერთგულება მიუძღოდეს მეფესთან“ [1].

მამის კვალობაზე მსჯელობს ზურაბის შვილი გრიგოლი:

„მთელს იმერეთის დიდკაცობას ის ერთი კაცი ამჯობინა და რა გაეწყობა! მადლობა ღმერთს ჭონდეს. ვნახავთ იმასაც, თუ მარტო ის ყველას მაგიერობას უზამს...“ [1]

დრამის მიხედვით გაიძვერა ზურაბ წერეთელი ქმნის ყალბ დოკუმენტს, რომელსაც უგზავნის მთავარმართებელ ციციშვილს. დოკუმენტის შინაარსი ასეთია: სოლომონ მეფე სულთანს სწერს, რომ იგი წინააღმდეგია იმერეთის რუსეთთან შეერთების. ელჩი

[1] იხ. დრამა (ავტოგრაფი ინახება ჩემთან, ასევე ერთი ეგზემპლარი დაცულია ლეონიძეების ოჯახში. კ. მ.), გვ. 12.

პეტერბურგში რუსების მოსატყუებლად გაგზავნა და სინამდვილეში კი გადაწყვეტილი აქვს იმერეთი ოსმალეთს შეუერთოს.

ამ ყალბმა დოკუმენტმა ციციშვილი სასტიკად განარისხა. მან საქმის ვითარება იმპერატორს აცნობა და ამის გამო პეტერბურგში სოლომონ მსაჯულის დიპლომატური მისია მარცხით დამთავრდა, ხოლო გაიძვერა ზურაბ წერეთელი მთავარმართებელმა ძვირფასი საჩუქრებითა და ფულით დააჯილდოვა.

მაგრამ გაუმაძღარი ზურაბი მაინც საყვედურს გამოთქვამს. აი რას ამბობს იგი: „როგორ წვრილწვრილად მიგზავნიან. არ იქნა ერთბაშად, ბლომად არ გამომიგზავნეს. სულ მაშინდელსავით მპირდებიან. როდესაც... მაგრამ ეს ასე ადვილი და მალე მოსახერხებელი საქმე არ არის...“ [1]

ზურაბ წერეთელმა ამ საქმის გამო, საჩუქრებთან ერთად, ასეთი ბარათი მიიღო ციციშვილისაგან:

„თქვენო ბრწყინვალებავ, თავადო ზურაბ! თქვენი წერილი და მასთან მეფისაგან სულთანთან მიწერილი წიგნი გადმომცა თქვენმა აზნაურმა. ძლიერ კარგი ჰქენით, რომ ეს მეფის წიგნი დაიჭირეთ და მით დროზე გაგვაგებინეთ მეფის განზრახვა. ეცადეთ ეგრეთი ფიქრი მოაშლევინოთ მეფეს და ოსმალოსათვის არ მიაცემინოთ იმერეთი, როგორ ვერ დაითანხმეთ აქამდე მეფე, რომ იმერეთში ჩვენი ჯარი შემოგვეყვანა!!. აქამდე მიზეზათ სდებდით: „სოლომონ ლეონიძე მიშლის ხელსო“. ეს მეექვსე თქე არის, რაც სოლომონ მსაჯული — (თეირანში) პეტერბურგში [2] იმყოფება ელჩად, მაშასადამე, ეხლა ხელი გახსნილი უნდა გქონდეთ. ფულებიც, რაც ითხოვეთ ზოგიერთი პირების მოსასყიდლად, მაშინვე გამოგიგზავნეთ და მიკვირს როგორ ვერ დააბოლავეთ აქამდე საქმე?!. თუ ამ საქმეს მოგვიხერხებთ, ას თუმანს მიიღებთ. ესეც იცოდეთ, რომ მარტო ამასაც არ გაკმარებთ და ყოველთვის თქვენი პატივისმცემელი და

[1] იხ. დრამა, გე. 5.

[2] ავტორს პირვანდელ ტექსტში მეფის ცენზურის შიშით ყველგან ნახმარი აქვს შეცვლილი სახელები. მაგალითად, პეტერბურგის ნაცვლად — თეირანი, მთავარმართებელის ნაცვლად — ახიზხანი, იმპერატორის ნაცვლად — ყეინი, რუსეთისა და რუსების ნაცვლად — სპარსეთი და სპარსელები. ხოლო ალბად რევოლუციის შემდეგ, იგივე ტექსტში ავტორს შეცვლილი სახელები გადაუშლია და ზედვე ნამდვილი სახელწოდება მიუწერია. ჩვენ ვტოვებთ ფრჩხილებში შეცვლილ სახელებს, ხოლო ფრჩხილის გარეთ აღნიშნული იქნება გასწორებული, ნამდვილი სახელწოდება.

მოწყალე იქნება (ყეინი) იმპერატორი. ამ მოკლე დროში მეფესთან ელჩს გამოვგზავნი და იმედია დაეხმარებით, რომ მოახერხოთ ის, რასაც ზევით გწერთ და რასაც ის კიდევ პირადათ გადმოგცემსთ. დავშთები სრულის იმედით თქვენს ერთგულებაზე მარად თქვენი პატივისცემის მსურველი (ყეინის მონა და საქართველოს გამგე აზიზხანი) რუსეთის იმპერატორის მონა და კავკასიის მთავარმართებელი" [1].

ამ წერილიდან აშკარად ჩანს ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის თავისებურება, რომ იმპერატორი და მთავარმართებელი პირდაპირი, აშკარა ბრძოლის ნაცვლად ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მოტყუებითა და მოსყიდვით დაპყრობას. ამ დროს აღმოსავლეთ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხი მეტად მწვავედ იდგა ცარიზმის წინაშე, ამის გამო ციციშვილს განზრახვა ჰქონდა ყალბი დაპლომატიით იმერეთიც უბრძოლველად ჩაეგდო ხელში. ამ მოტყუებითი პოლიტიკის განხორციელებაში ციციშვილს ხელს უწყობდა ზურაბ წერეთელი.

მთავარმართებელი ციციშვილი ცდილობდა ესარგებლა ლეონიძის პეტერბურგში ყოფნით და სოლომონ მეფე დაემორჩილებინა ზურაბის დახმარებით. დრამის მიხედვით ციციშვილის ელჩი ასეთ მოთხოვნებს წაუყენებს მეფეს:

„პირველი, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენს ჯარს გზა არ დაეშალოს და გახსნილი ჰქონდეს თქვენს სამეფოშიდ; მეორე, რომ მოულოდნელად მტერი თავს არ დაგესხათ, რამდენიმე ჩვენი ჯარი ეხლავე უნდა შემოგვაყვანინოთ იმერეთშიდ და ნიადაგ აქ უნდა იქნეს და მესამეც, რომ ჩვენს ღალატში არ გაერიოთ და თუ ვინმესთან ომი გვექნეს, მტრის მხარე არ დაიკაოთ და ჩვენ დაგვეხმაროთ ყოველივე ამაზე ფიცით უნდა გვარწმუნოთ" [2].

ელჩის მატყუარა სიტყვები შეუმჩნეველად არ დარჩა ქართველ პატრიოტებს. მართალია, სოლომონ მსაჯულის იმერეთში არყოფნით ზურაბ წერეთელმა ზოგიერთი თავადი გადაიბირა და მსაჯულის მოწინააღმდეგეთა წრე გაზარდა, მაგრამ ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში სოლომონი ისევ ქუთაისში აღმოჩნდა და ამჯერად ელჩისა და ზურაბის დიპლომატია სასტიკად დამარცხდა. განრისხებულმა სოლომონ მსაჯულმა ელჩს პირობის ქაღალდი თავზე დაახია.

---

[1] იხ. დრამა, გვ. 7, 8.

[2] იქვე, გვ. 25.

გაიძვერა ზურაბ წერეთელი მაინც არ ცხრება, იგი კვლავ ხლართავს ბოროტების ქსელს. პირველყოვლისა, მან მიზნად დაისახა დარეჯანისა და სოლომონ ლეონიძის მომავალი ქორწინების ჩაშლა, რადგან, თუ მსაჯული სოლომონ მეფის ბიძაშვილს დარეჯანს შეირთავდა ცოლად, მაშინ სოლომონის გავლენა კიდევ უფრო გაიზრდებოდა იმერეთის სამეფო კარზე. მაგრამ რადგან ამ მისთვის საბედისწერო ქორწინების ჩაშლა ზურაბმა ვერ შესძლო, მაშინ თავის შვილს გრიგოლს უდანაშაულო დარეჯანი მოაკვლევინა და ამით სოლომონ მსაჯულს ორლესული მახვილი ჩასცა გულში.

მსაჯულის საცოლე დარეჯანი კარგად ხედავს, რომ ზურაბის გავლენა თანდათან იზრდება და ლეონიძის ფეხქვეშ ნიადაგი ირყევა, რაც იმერეთის სამეფოს დაცემას აჩქარებს. ამიტომ მომაკვდავი დარეჯანი ასეთი ხვეწნით მიმართავს მეფეს:

„თუ გიყვარდი და კეთილი გსურდა ჩემთვის, სოლომონ მსაჯული გიყვარდეს! დაუჯერე რაც გირჩიოს და ნურავის გაუგონებ მასზედ ცუდ სიტყვას. თუ ეგ დაიშორე და მაგის არჩევანზედ არ იარე, დაღუპავ შენ თავსაც და მთელს იმერეთსაც. გაფიცებ ამისრულე ეს უკანასკნელი ჩემი თხოვნა“ [1].

დარეჯანის სიკვდილის შემდეგ სუსტი ნებისყოფის მეფე სოლომონი მალე დაიყოლიეს ზურაბმა და მთავარმართებლის ფულით მოსყიდულმა თავადებმა. სოლომონ მსაჯული მტკიცედ დარჩა თავის გადაწყვეტილებაზე. მან იცის, რომ ცარიზმის მოხელეების მატყუარა პოლიტიკის შედეგად ზურაბ წერეთლის მომხრეთა წრე თანდათანობით ფართოვდება, ხედავს, რომ იდეა — იმერეთის გარდაქცევა მთელი საქართველოს და ამიერკავკასიის ციხე-სიმაგრედ და აქედან ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის — საფრთხეში ვარდება. ეს ტანჯავს მას. აი სოლომონ მსაჯულის ცრემლიანი სიტყვები:

„ეს ხუთი წელიწადია იმერეთში ვარ. მეფე და დედოფალი ჩემი მწყალობელნი არიან; ყოველი კაცი შემონატრის ჩემს ყოფნას. მაგრამ მხოლოდ ერთი ღმერთი ხედავს, თუ რა ჯოჯოხეთია ჩემს გულში და რა ცეცხლი მედება...

განა შეძენისათვის და დიდებისათვის მოვედი იმერეთში?! განა ამისათვის მივატოვე სანატრელი ჩემი ბატონის, მეფე ერეკლეს ფერხთ ნადგომი, ჩემი სამშობლო მიწა?! არა. მე სხვა განზრახვით მოვედი აქ!.. სხვა იმედი მქონდა... მინდოდა იმერეთის მეფის სა-

[1] იხ. დრამა, გვ. 53.

შუალებით მტკიცე კავშირით შემეკრა იმერეთთან, როგორც მთელი საქართველოს ტომის ხალხი, აგრეთვე მთელი კავკასიის ხალხიც!.. მეგობრობა და ერთობა გვქონოდა, რომ მტერი კავკასიაშიდ ვეროდეს შემოგვსვლოდა და ბატონი ერეკლეს დაცემული ტახტი ისევ აღგვედგინა. მაგრამ აქამდე ვერა გავაკეთე გარდა იმისა, რომ ჯერჯერობით (სპარსს) რუსს არ უკავია იმერეთიც და თავისუფალია. რას იზამ?! ხელს მიშლიან. უხასიათო არის იმერეთის მეფე. ერთ აზრს ვერ დაადგება და ყველას უჯერის“ [1].

ასეთი იყო სოლომონ მსაჯულის მიზანი, რომელიც არსებული ისტორიული პირობების გამო არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

რაც დრო გადიოდა, ცარიზმის მოხელეები თანდათან აძლიერებდნენ იმერეთის დაპყრობით პოლიტიკას. ციციშვილისა და გუდოვიჩის შემდეგ ტორმასოვი კიდევ უფრო აძლიერებს დიპლომატიას. მან გადაწყვიტა სოლომონი მოტყუებით ჩაეგდო ხელში და როგორც ტყვე პეტერბურგისაკენ გაეგზავნებინა. ამით სოლომონ მეფეს, როგორც მოწინააღმდეგეს, თავიდან მოიცილებდა და იმერეთს უბრძოლველად დაიმორჩილებდა.

ამ მიზნით მთავარმართებელმა სოლომონი მიიწვია გორში. ახლა კვლავ ჩამოდის ელჩები ქუთაისში და ზურაბ წერეთელი ცდილობს დაარწმუნოს მეფე მთავარმართებლის კეთილგანზრახვაში და შთააგონოს გორში წასვლის აუცილებლობა.

საუბედუროდ მეფეც დათანხმდება ზურაბის სურვილს. ზურაბისაგან მოტყუებული მეფე ღსაჯულს ეუბნება:

„მთელი იმერეთის დიდკაცობა მირჩევს წასვლას და მეც ამ აზრისა ვარ, მხოლოდ შენ ხარ წინააღმდეგი. ელჩი მეტს აღარ იცდის და დღეს ბეჯითი რამ გადაწყვეტილი უნდა ვუთხრა“ [2].

სოლომონ მსაჯული ცდილობს დაარწმუნოს მეფე შეცდომაში.

სოლომონი: „ბატონო! მე ჩემს ჰაზრზედ ვდგევარ: თქვენი გორშიდ წაბრძანება ყოვლად შეუძლებელია. მეფევე, დამიჯერეთ, რომ ღალატს გიპირებენ და თქვენი იქ მიტყუება უნდათ“.

მეფე: „ღალატი კი არა, გაცნობა სურს ჩემი და როგორც ზურაბმა მარწმუნა, დიდი მზადება აქვთ თურმე ღირსეულად ჩემი მიღებისათვის“.

---

[1] იხ. დრამა, გვ. 42.

[2] იქვე. გვ. 55.

სოლომონი: „მეფევ! ნუ დაიჯერებთ, ტყუილი გახლავთ ეგ. ეგრე რომ არ გარწმუნონ, მაშ იმას ხომ ვერ მოგახსენებენ: თქვენი დაჭერა გვინდაო... იმერეთის დიდკაცობას არ ესმის და ზურაბისაგან შეგონებული არის, თორემ არ მოგახსენებდენ იქ წაბრძანებას“ [1].

მოტყუებული მეფე გაემგზავრა გორში ტორმასოვთან შესახვედრად, ხოლო ამ ამბით გულმოკლული სოლომონ მსაჯული ახალციხეს შეაფარებს თავს ისევ საქართველოს ბედის საძებნელად. აი როგორი სიტყვებით ემშვიდობება სოლომონ მსაჯული თავის საყვარელ საქართველოს:

„საქართველოვ! საქართველოვ! ერთი ფეხის დადგმა მიწაც არ მოიპოვება შენშიდ, რომელიც შენი დაცვისათვის მორწყული არ იყოს შენის შვილების ძვირფასის სისხლით. მაგრამ აი! ბოლოს რა დრო გეწია!! ნუ თუ უხსოვარის დროიდამ მისთვის ებრძოდნენ იგინი და იგერიებდნენ ყოველის მხრით შენს მტრებს, რომ ეხლა ბოლო მოეღოს შენს არსებობას?!. ნუ თუ ვახტანგ გორგასლანმა, დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფეებმა მისთვის შემუსრეს შენი მტრები, გაგაბრწყინვეს, გადასჭედეს ყოველი შენი კუთხე დიდებულის ტაძრებით და გაადიდეს საქვეყნოთ, რომ საქართველოს სახელი ქვეყნის ქარტაზე სამუდამოთ წარიხოცოს?! ნუ თუ მისთვის განათლდი ქრისტეს სარწმუნოებით, რომ უმალ მეხს ქვეშაც გაუდრეკელი კისერი დღეს მონობის უღელქვეშ წახარო?!. ნუ თუ დასუსტდა შენის უძლეველის მკლავების სიმაგრე, სად გაქრა შენი თავისუფლების მოყვარული ამაღლებული, შენი სიამაყე და შენი გმირობა, რომლის შიშით ყოველი შენი მტერი იძრწოდა...“ [2]

ასრულდა სოლომონ მსაჯულის წინაჭვრეტა. სოლომონ მეფე გორში შეიპყრეს და როგორც ტყვე თბილისში ჩაიყვანეს. იმერეთის სამეფო კი ცარიზმის ჯარმა დაიკავა და საქართველოს ეს მხარეც რუსეთის მეფის სამფლობელოდ იქნა გამოცხადებული.

ახლა კი ხედავს სოლომონ მეფე თავის შეცდომას და სინანულით იგონებს მსაჯულის სიტყვებს:

„ახლა კი დამიჯდა შენი რჩევა და სიტყვები, სოლომონ მსაჯულო! მიღალატეს, აქ თბილისში მომატყუეს დამატუსაღეს, თითქოს ავაზაკი და ხვალ (თეირანში) პეტერბურგს მგზავნიან. ჩემით გავიჭერი ყელი! ან თავს ვუშველი, ანდა ვეღარ ვეღირსები იმერეთის ნახვას

[1] იხ. დრამა, გვ. 55.

[2] იქვე, გვ. 74.

და როდესაც მოვკვდები, ჩამაგდებენ უცხო ქვეყნის მიწაშიდ. ღმერთო, გეეედრები ისმინე ჩემი ვედრება“ [1].

მართალია, ქართველები ტყვე მეფეს თბილისიდან საზღვარგარეთ გააპარებენ, მაგრამ იმერეთის ბედი სამუდამოდ გადაწყდა. ტრაგიკულად დასრულდა სოლომონ მსაჯულის და იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ცხოვრებაც.

სოლომონ მსაჯულს ახალციხეში, ზურაბი ვინმე ბერძენს ღალატით მოაკვლევინებს და ღვაწლმოსილი მეფე იმერეთისა სოლომონი ტრაპიზონში განუტევებს სულს.

ასეა დრამაში წარმოდგენილი ორ მოწინააღმდეგე იდეათა ბრძოლა, გმირთა წინააღმდეგობა და ხასიათების სხვაობა. საბოლოოდ ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის ძლიერება ამარცხებს ქართველი ხალხის პატრიოტულ სულისკვეთებას.

დრამის სიუჟეტი და ისტორიული სინამდვილე

დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“, როგორც უკვე დავინახეთ, აგებულია ისტორიულ სიუჟეტზე. ავტორი ცდილობს დაიცვას ისტორიული ჭეშმარიტება. დრამის წინასიტყვაობაში მწერალი აცხადებს:

„მოქმედნი პირნი და გარემოებანი, რომელნიც აქ მოხსენებულნი არიან, არ შეადგენენ ფანტაზიის ნაყოფს, არამედ ქონდათ მათ ადგილი ჩვენ იმერეთის ცხოვრებაში თითქმის ოთხმოცი წლის წინათ. მას აქეთ ბევრმა დრომ განელო. როგორც ცხოვრების პირობა სრულად შეიცვალა, აგრეთვე ცხოვრება, ჩვეულება და ზნეობითი მხარე ჩვენი საზოგადოებისა. აქ მოხსენებულ პირთ ჰქონდათ იმ დროშიდ დიდი გავლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ჩემი სურვილი მასშიდ მდგომარეობდა, რომ მკითხველების მეხსიერებაში აღმედგინა ზემოხსენებულნი პირნი, მათი ხასიათი და მოქმედება საზოგადო ჩვენი წარსული ცხოვრების ასპარეზზედ. ამ წინადადების სისრულეში მოსაყვანად მე ვიხელმძღვანელე როგორც ზეპირის გადმოცემით მომსწრე პირთა, აგრეთვე იმ წყაროებით, რომელნიც დაბეჭდილნი არიან ცალკე წიგნებში ანუ არიან გაბნეულნი სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. შეძლებისდაგვარად ვეცადე, რომ არა თუ ხასიათები, სახელებიც არ შემეცვალა ზემოხსენებულთა

[1] იხ. დრამა, გვ. 78.

პირთა. რამდენად აღვასრულე ეს ჩემი წადილი, ამ კითხვის დაკმაყოფილება მიმინდვია მკითხველისათვის“ [1].

დრამის სიუჟეტური ანალიზითა და გმირთა სახეების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“ აღმოცენებულია ისტორიულ რეალიებზე. როგორც მოქმედი გმირები, ისე საზოგადოებრივი გარემო და ცალკეული სცენები უდაოდ ემთხვევა ნამდვილ ფაქტებს. ამდენად ამ ნაწარმოების შესწავლას არა მარტო ლიტერატურული, არამედ ისტორიული მნიშვნელობაც აქვს.

დრამის ავტორს, დავით ლეონიძეს, ყოველგვარი საშუალება ჰქონდა ნაწარმოების სიუჟეტური განვითარებისათვის ისტორიის პირველი წყაროები გამოეყენებინა. ჯერ ერთი, ავტორს უტყუარ მასალას მიაწვდიდა მამა, ივანე ლეონიძე, რომელიც სოლომონ მსაჯულთან ერთად ტრიალებდა იმერეთის სამეფო კარზე. სოლომონ მსაჯულის თანაშემწე და თანამებრძოლი იყო სახელმწიფო საკითხების გადაჭრის საქმეში და ახალციხეში გაქცეულ მამასთან ერთად ოცნებობდა დამოუკიდებელ საქართველოზე. ჩანს, რომ ივანე ლეონიძემ ბევრი საინტერესო მასალა გადასცა ამ საქმით დაინტერესებულ თავის შვილს, დრამის ავტორს, დავით ლეონიძეს.

—:—

ქართლისა და კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ჯერი იმერეთზე მიდგა. იმპერატორის აგენტები ცდილობდნენ მოეტყუებით და ცრუ დიპლომატიით იმერეთიც უომრად ჩაეგდოთ ხელში. ამას კი მთავარმართებელი მიაღწევდა მაშინ, თუ სოლომონ მეფეს იმერეთიდან გაიტყუებდა და რუსის ჯარს ქუთაისში შეიყვანდა.

გაიძვერა მთავარმართებელი ამ პოლიტიკას მოქნილი დიპლომატიით ფარაყდა და იმერეთის დაცვას იმიზეზებდა, როდესაც ქუთაისში ჯარის შემოყვანას მოითხოვდა. ამ ფაქტს ამტკიცებს დრამაში წარმოდგენილი მთავარმართებლის ელჩის ნოტის მუხლებიც [2].

სოლომონ მეფის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა იმის შემდეგ, რაც 1803 წელს სამეგრელო რუსეთის სახელმწიფოს ფრთას მოეფარა, თვით გრიგოლ დადიანი წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით იქნა დაჯილდოებული და რუსის ჯარიც გაუგზავნეს ორგულთა შესაბოჭად.

---

[1] იხ. დრამის წინასიტყვაობა.

[2] იხ. დრამა, გე. 25.

ყოველმხრივ შევიწროებული მეფე იძულებული ხდება დიპლომატიური მოლაპარაკება აწარმოოს რუსეთის იმპერატორთან. ამ მიზნით 1803 წელს იგი სოლომონ ლეონიძეს გზავნის პეტერბურგს. ეს მომენტიც დრამაში რეალურად არის წარმოდგენილი, მხოლოდ იმპერატორის კარზე სოლომონ მსაჯულის დიპლომატიური მარცხი დავით ლეონიძეს თავისებურად აქვს ახსნილი.

ნაწარმოების მიხედვით სოლომონ მსაჯულის დიპლომატიური მისია პეტერბურგში ზურაბ წერეთლის მიერ შედგენილი ყალბი დოკუმენტის შედეგად ჩაიშალა. ამის შესახებ პეტერბურგიდან დაბრუნებული სოლომონ მსაჯული ასე აღნიშნავს:

„ვიღაცას (აზიზხანისათვის) მთავარმართებლისათვის წიგნი გაუგზავნია, რომელიც ვითომ თქვენ მიგეწეროსთ ხონთქრისათვის და რომელშიაც წერთ:

„სოლომონ ლეონიძე ელჩად გავგზავნე (თეირანშიდ) პეტერბურგშიდ იქაური მთავრობის მოსატყუებლად და იმერეთი მინდა შენ გადმოგცეო". ამის შემდეგ ჩემთან მოლაპარაკება ყოველს საგანზედ შესწყვიტეს და გამომისტუმრეს აქეთ" [1].

სინამდვილეში სოლომონ მსაჯულის დიპლომატიური მარცხი სულ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული. მართალია, სოლომონ მეფემ ერთგულება აღუთქვა რუსეთის იმპერატორს და დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის ელჩიც კი გაგზავნა პეტერბურგს, მაგრამ იგივე სოლომონი აწარმოებდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკას, ავიწროებდა იმპერატორის მომხრე გრიგოლ დადიანსა და დიპლომატიურ კავშირს აბამდა ოსმალეთის ხონთქართან.

ამის შესახებ პროფ. ალ. ხახანაშვილი ასე სწერს:

„...ამავე დროს განაგრძო ომი დადიანთან და შეუკრა გზა მას ციციშვილთან მისასვლელ-მოსასვლელად. მაშინაც, როცა დადიანი რუსეთის ქვეშევრდომი გახდა, სოლომონ მეფე არ ცხრებოდა: წაართვა ციხე ტაბაკონა და მოლაპარაკება დაიწყო ხონთქართან. სოლომონის ამგვარი საქციელი აცნობა ციციშვილმა პეტერბურგს და ამიტომაც ლეონიძეს არ აღირსეს იმპერატორის აუდიენცია და უპასუხოდ გამოისტუმრეს" [2]. დ. ლეონიძის ისტორიული ხაზიდან ასეთი გადახვევა დრამატული სიტუაციის გამძაფრების საჭიროებით არის გამოწვეული.

[1] იხ. დრამა, გვ. 29.

[2] ა. ხახანაშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, 1910 წლის გამოცემა, გვ. 23-24.

ნაწარმოებში ხშირად არის ლაპარაკი იმერეთის თავადაზნაურთა მოსყიდვაზე. მთავარმართებელი უხვად უგზავნის ზურაბ წერეთელს გაელენიან პირთა მოსასყიდლად ოქროსა და ძვირფას საჩუქრებს. ეს ფაქტიც დრამაში უტყუარ ასახვას პოულობს. იმავე პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილის ისტორიულ ნარკვევში ვკითხულობთ: „რაკი დიპლომატიური მოლაპარაკებით არა გამოვიდა რა, თავად ციციშვილმა მიჰმართა იმერელთა მოსყიდვას. ოქრო ვერცხლის ავანგარდმა ჩქარა გავლენა მოიპოვა“ [1].

ამასვე ადასტურებს მღვდელ ღამბაშიძის მიერ შეკრებილი ხალხური გადმოცემაც.

„...გაუკეთდა საქმე ხალხს: ამისთანა გაჭირვებულს დროებაში მოვიდა ერთი ვიღაც დიდი ჩინოვნიკი, სიმონოვიჩს ეძახდნენ. იმან მოიტანა უშველებელი ყუთები თეთრი ფულით სავსე და ურიგებდა გაჭირვებულ ხალხს. მაშინ ბევრმა თქვა, რომ რუსებისთანა მოწყალე არაყინ ყოფილაო. ჩვენ ვთქვით, თუ ასე გვირიგა ეს ფული რაღა კაცი აჯობებს ამათაო, მაგრამ სულ ასე კი არ ურიგებიათ ფულები ყოველთვის“ [2].

ანდა: „...იმან უფრო შეარყია ხალხი, რომ ჩვენი გამოჩენილი აზნაურები და თავადები ჯარს წინ დაუძღოდა და ისინი ასწავლიდნენ ყოლიფერს გზას და სიმაგრეს, — (იგულისხმება რუსის ჯარს. კ. მ.). — ...დიდ საჩუქარს აძლევდნენ ამისთანა კაცებს. ახლანდელ დროში თავი რომ გადაატანოს კაცმა, აფიცრის აპელატებსაც ვერ იშოვის და მაშინ თუ ვინმე მივიდოდა მათთან და ასწავლიდა რასმე სიმაგრეს, თუ სად იკრიბებოდა ხალხი და სადიდამ უნდა დაცემოდნენ თავს, ამისთანა უშველებელი აპელატები ეძლეოდა“ [3].

ხალხის ყურადღებას ზურაბ წერეთლის მლიქვნელური პოლიტიკაც არ გამორჩენია მხედველობიდან. იმავე ხალხურ გადმოცემაში ზურაბის შესახებ ნათქვამია:

„...ცოტა ხანს შემდეგ წავიდა რუსეთში. რომ ჩამოვიდა, კაი დაგემართოს, კაი სანახავი ის იყო. აქედან წავიდა როგორც სხვა კაცი გინახავს, და იქიდამ რომ მოვიდა, უშველებელი მჭადის ხელა

---

[1] ა. ხახანაშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, გვ. 19.

[2] იხ. მეფის სოლომონ მეორის დრო. კრებული, გვ. 135-136.

[3] იქვე, გვ. 133.

ჯინჯილებიანი აპელატები დაეკერებიათ იქით-აქეთ მხრებზე. ღუბენატორობა ეჩუქებიათ“ [1].

იმერეთის მოტყუებით დაპყრობის პოლიტიკას დაადგა აგრეთვე გენერალი ტორმასოვიც. ჩამოვიდა თუ არა ის საქართველოში, პირველყოველისა, იმერეთის საკითხის მოგვარებას შეუდგა. იგი 1809 წლის 29 აპრილს ასეთ დიპლომატიურ წერილს სწერს სოლომონ მეორეს:

„...უწინარეს ყოვლისა ნება მომეცით დაგარწმუნოთ ჩემს გულწრფელ განწყობილებაში შევესაბამისებოდე მისი უდ-ის მოწყალე ზრუნვას იმერეთის ხალხის სიკეთეზე, რომელიც უზენაესად ჩაბარებული ჰყავს თქვენს მმართველობას, და თქვენს საკუთარ სარგებლობაზე, რადგანაც ყოვლად მოწყალე და დიდმა ჩვენმა ხელმწიფე იმპერატორმა ჩემი აქ მთავარმართებლად გამოგზავნის დროს განაცხადა თავისი ნება, რომ არაფერი ისე არ სურს მის უდიდებულესებას, როგორც დაინახოს მოწყობილი წესრიგი, სიწყნარე და კეთილდღეობა იმერეთის ხალხში — და აგრეთვე უზენაესად ინება ჩემთვის ებრძანებია, რომ ყოველივე შესაძლებლობაში აღმოგიჩინონ დაკმაყოფილება თქვენი სრული სიმშვიდისათვის, მოელის რა რომ თქვენც შესაბამისად ასეთი თქვენდამი მოწყალე განწყობილებისა მიმართავთ თქვენს მოვალეობას და დარჩებით მუდამ ერთგული და მოწყალე მისი იმპ. უდ-სა.

ამის შემდეგ მე ყოველი აშკარად უნდა ვაუწყო თ. უ, რომ ხელმწიფე იმპერატორი, ხედავს რა გაკვირვებით, რომ იმერეთის სამეფოს თვით მიღებიდან ძლიერ თავის მფარველობასა და ქვეშევრდომობაში, თქვენ სამუდამო ერთგულებაზე მიცემული ფიცის მოვალეობის მიხედვით და თქვენთან დადებული ტრაქტატის ძალის მიხედვით აქამდის არ გაგიგზავნიათ თქვენგან დეპუტატები უზენაეს კართან თქვენი უქვეშევრდომილესი მადლობის მოსახსენებლად, ინებებს ჩაგთვალოს თქვენ თავის ამრიდებლად თქვენი მოვალეობისაგან და მისი უდ-ის უწმინდესი ნების შესრულებისაგან. ამიტომაც უზენაესად მებრძანა მე მოვთხოვო თქვენს უმაღლესობას რათა აირჩიოთ დეპუტატები პირველი გვარებიდან, მათ რიცხვში აგრეთვე მეტად პატივცემული სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, დაუყონებლივ გაგზავნოთ ს. პეტერბურგში დასამტკიცებლად

[1] იხ. მეფის სოლომონ მეორის დრო, კრებული, გვ. 131.

თქვენი უსიტყვო მორჩილებისა მისი იმპ. უდ-ის ნებისადმი უქვეშეგრდომილესი მადლობის მოსახსენებლად თქვენი მიღებისათვის მთელი იმერეთის სამეფოთი სრულიად რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში და დაცვის ქვეშ“ [1].

გენერალი ტორმასოვი ცდილობს სოლომონ მეფე ვარციხიდან გამოიტყუოს და, როგორც პატიმარი, პეტერბურგში გაგზავნოს, ხოლო იმერეთში ჯარით გამაგრდეს, (სოლომონი საქმის გართულების გამო ქუთაისიდან წასული იყო და თავს აფარებდა ვარციხეში).

„ამავე დროს, თუ თქვენი უდიდებულესობა ჩემდამი ნდობის მიხედვით ინებებს ქუთაისში დაბრუნებას, მაშინ მე თქვენი სურვილისამებრ ვუბრძანებ გაიყვანონ ქუთაისიდან ჯარები, დასტოვონ მხოლოდ მცირე ყარაული თქვენი პატივსაცემად და თქვენი უ-მ დასაცავად. აქედან, ვიმედოვნებ, თქვენ დაინახავთ როგორი ერთგულებით და როგორი ხალისით მზად ვარ ყოველთვის გავაკეთო თქვენთვის სასიამოვნო და ვიშრომო უზენაესი ნების შესასრულებლად თქვენს საკუთარ სარგებლობაზე და მთელი იმერეთის ხალხის კეთილდღეობაზე“ [2].

სოლომონმა კარგად იცის ტორმასოვის გაიძვერული განზრახვა და იგი ვერ ბედავს ქუთაისში გადმოსვლას, სანამდე იქ რუსის ჯარია დაბანაკებული.

„როცა მე განუცხადე თქვენი წინადადება ქუთაისში საცხოვრებლად დაბრუნების შესახებ — სწერს ნადვორნი სოვეტნიკი (კარის მრჩეველი) მოგილევსკი, — იგი (სოლომონ მეფე. კ. მ.) აღელვებით და არაჩვეულებრივი გაკვირვებით რამოდენიმეჯერ შემეკითხა: ნუ თუ მას თხოვენ ქუთაისში დაბრუნებას, იქ, სადაც სდგას რუსეთის ჯარები და იგი იყოს მათ შორის? როდესაც მე გაუმეორე რამოდენიმეჯერ, რომ მისგან ნამდვილად მოითხოვენ ნდობას ჯარებისადმი, მან მტკიცედ განაცხადა: ეს შეუძლებელია! ეს შეუძლებელია! და რატომ მთხოვთ შეუძლებელსო?“ [3]

ხოლო თვით მოგილევსკი გზადაგზა სტრატეგიულ დაზვერვასაც აწარმოებდა და ძალზე შეაშინა იმერეთის ბუნებრივმა სიმაგრეებმა. აი როგორ აღწერს იგი იმერეთის სოფლებს და ვარციხის სიმაგრეს.

---

[1] გენერალ ტორმასოვის წერილი მეფე სოლომონისადმი, Акты, т. IV, стр. 193.
[2] იქვე, გვ. 194.
[3] Акты, т. IV, стр. 226.

„...დასასრულ ჩემს მოვალეობად ვრაცხ სრული პეშმარიტებით მოვახსენო თქვენს უმაღლესობას, რომ არ მენახა რა ადრე მე იმერეთი, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი იმ სიძნელეებს, რომელიც დაკავშირებულია თქვენი უმაღლესობის ნების აღსრულებასთან, რაც ეხება იმერეთისა და მისი მეფის ხვედრს. განსაკუთრებით ახლა, როცა შეიძლება ითქვას, რომ დრო უკვე გასულია, რადგან აქ ნამდვილი გაზაფხულია და მდინარეები უკვე გადმოდიან ნაპირებიდან. იმერეთი კი წარმოადგენს ერთიანად ტყეს, რომელიც დაფარულია მთაგრეხილებითა და ხეობებით. ასე რომ იმერეთში მხოლოდ ერთი ადგილია ქუთაისიდან ვარდ-ციხემდე, დაახლოებით 18 ვერსის მანძილზე, ისიც უმეტეს ნაწილად ტყითაა დაფარული. დასახლებული სოფლები ერთ ადგილზე შეჯგუფებული თითქმის არსად არ არის, ქოხები ტყეებშია გაბნეული ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებულნი. ამიტომ ჩვენი ჯარის მიახლოებისას იმათ შეუძლიათ გაიფანტონ ტყეებსა და ხეობებში თავის დასაფარავად. ამის გამო დასაფიცებლად, თუ მათ ტყეში არ მოვნახავთ, არავინ გვეყოლება.

მეფეს, რომელსაც ყარაულები ყავს გარშემო, ადვილად შეუძლია გაიქცეს ვარდ-ციხეზე ჯარის მიახლოებისას, რომელსაც ძნელად გასასვლელი ადგილები დახვდება რიონზე და ყვირილაზე მისი სასახლის წინ, რომელიც იმყოფება ამაღლებულ ადგილზე და შესაძლებლობა ექნება მეფეს თავი შეაფაროს უღრან ტყეს, რომელიც მის სიმაგრეს უშუალოდ ეკვრის და მას არ დაჰირდება თავის სამეფოდან შორს გაქცევა. ამასთან დიდი ბედნიერება იქნება თუ იგი დავიჭირეთ სადმე და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს შეუძლებელიც იქნება, რადგან ხალხს და განსაკუთრებით თავადებს, რომელთაც უყვართ თვითნებობა და უწესოება ურჩევნიათ მართვა-გამგეობის წესიერ ფორმებს, ეშინიათ რა რუსეთის წესრიგის და ეს არის მთავარი მიზეზი, რომ ჯერაც ვერ შეგვიდგენია მცირე პარტიაც კი ჩვენი მომხრე იმერლებისაგან, რომელიც შეიძლებოდა გამოგვეყენებია მეფის დასაჭერად“ [1].

რადგან ტორმასოვმა მოლაპარაკებით შედეგს ვერ მიაღწია, გადაწყვიტა ბრძოლით დაემორჩილებინა სოლომონი და გასცა განკარგულება საომარი მოქმედების დაწყების შესახებ.

რუსი ჯარების უფროსი იმერეთში პოლკოვნიკი სიმონოვიჩი ტორმასოვის დავალებით უცხადებს იმერეთის მცხოვრებთ, რომ

[1] Акты, т. IV, стр. 229.

„იმერეთის სამღვდელოება, აზნაურები და ხალხი დარჩებიან ყველა თავის უფლებებში, უპირატესობასა და თავისი საკუთრების მფლობელობაში და არც ერთი ხელი რუსეთის ჯარისა არ შეეხება იმერეთის იმ მცხოვრებლებს, ვინც მშვიდობით დარჩება თავის სახლებში, იცნობენ უსიტყვოდ სრულიად რუსეთის თვითპყრობელის უზენაეს ხელისუფლებას, უარყოფენ დამოკიდებულებას მეფე სოლომონისაგან და შესწყვეტენ ყოველ კავშირს მასთან, რადგან ჯარებს საქმე აქვს მხოლოდ სოლომონთან. ვინც კი არ შესწყვეტს მასთან კავშირს, ცნობილი იქნებიან რუსეთის მტრებად. გლეხები და მათი ქონება გადარიცხული იქნება იმპერატორის ხაზინის უშუალო უწყებაში და ურჩი მემამულეები სამუდამოდ დაკარგავენ გლეხთა ფლობის უფლებას“ [1].

ამის შემდეგ ტორმასოვის განკარგულებით პოლკოვნიკი მოგილევსკი შეუდგება ხალხის დაფიცებას და ჯარების თავმოყრას სტრატეგიულ ადგილებზე.

გენერალი ტორმასოვი სოლომონ მეფეს ბრალს დებდა ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობაში და რუსეთის მტრებთან კავშირის დამყარებაში. სოლომონის ურჩობა ტორმასოვისათვის კიდევ უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც სოლომონმა ოჯახის წევრები და ქონება გადახიზნა გამაგრებულ ადგილებში და თავი მოუყარა თავის მომხრეებს ფიცის მისაღებად.

გაბრაზებულმა ტორმასოვმა სოლომონის წინააღმდეგ აამოქმედა რუსულ ნაწილებთან ერთად გურიისა და სამეგრელოს ჯარები.

მოგილევსკის პატაკში ტორმასოვისადმი ვკითხულობთ:

სიმონოვიჩი „ხვალ მცირე რაზმით გამოვა ქუთაისიდან და შეუერთდება მაიორ უშაკოვის ბათალიონს, იმ ანგარიშით, რომ დაუცდის რა სამეგრელოს ჯარებს, რომლებიც გეგმით ზეგ უნდა მოვიდნენ დაბა ოფშქვითში და მოახდინონ მათთან ერთად უძნელესი გადასვლა ადიდებულ მდინარეებზე, რიონზე და ყვირილაზე და შეუტიონ ვარდ-ციხეს სადაც მეფე გამაგრებულია მის მიერ შეკრებილ ჯარებთან ერთად“ [2].

მართლაც რუსის ჯარის შეტევამ, რომელსაც ემხრობოდა სამეგრელოსა და გურიის ჯარებთან ერთად ლეჩხუმი და ნაწილობრივ იმერეთი და ქართლი, შეარყია მეფის სიმაგრე ვარციხეში.

---

[1] Акты, т. IV, стр. 223.

[2] იქვე, გვ. 231.

„ჯარების სხვადასხვა ნაწილების მოძრაობის შემდეგ ქართლიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და ლეჩხუმიდან, რომლებიც მოულოდნელად შევიდნენ თებერვლის 20 რიცხვს მათთვის დანიშნულ ადგილებში, მეფის ძალები, შეგროვილი 4000 კაცის რაოდენობით ვარდციხეში, რომელიც წარმოადგენს გამაგრებულ დაბას, როგორც გაუვალ ტყეებისა და ჯარების მხრივ ისე ღრმა მდინარეების, რიონის, ყვირილის და ხანისწყლის მხრივ... დაიქსაქსენ იქამდე, რომ საბოლოოდ არ დარჩენია მას ათას კაცზე მეტი“ [1].

ამის შემდეგ გენერალ ტორმასოვის სახელზე ყოველდღიურად მოდის პატაკი ციხე-სიმაგრეების დაცემისა და სოლომონის ჯარების დამარცხების შესახებ. რუსის ჯარმა დაიპყრო ჟყვიშის ციხე, საწერეთლოში მოდინახე, რაჭაში კვარას ციხე, გარდა ამისა მათ დაიკავეს იმერეთის მნიშვნელოვანი ადგილები, მაღლაკი, ჩხარი, ჯიხაიში.

პოლკოვნიკი სიმონოვიჩი წერს ტორმასოვს: „...მთავრები ლევან დადიანი და მამია გურიელი სამეგრელოსა და გურიის ჯარებთან ერთად გვეხმარებოდენ პირველი ჯიხაიშის მხრიდან და ამავე დროს ეხმარებოდა ლეჩხუმიდან გამოსული თავისი ჯარებით ბელევსკის მუშკეტერთა პოლკის მაიორს გენდრემოვიჩს ოკრიბისა და რაჭისაკენ, გურიელი კი საჯავახოს მიმართულებით. მე-9 ეგერთა პოლკის მაიორმა პრიბილოვსკიმ საჩხერეს დაკავების შემდეგ დაიპყრო ნებაყოფლობით სიმაგრე სვირი, მაიორმა რეუტმა სწრაფი მოძრაობით ლოსიათ ხევიდან დაეწია და დაამარცხა ყოფილი იმერეთის სარდალი თ. ქაიხოსრო წერეთელი, რომელიც ჩამოვიდა 1500 კაცით ჩხერის ციხის დასახმარებლად, რომელსაც ალყა შემოარტყა კაპ. გერმანმა, რის შედეგი იყო — ჩხერის ციხის დაპყრობა [2].

...მაიორი კალატოზოვი და შტ. კაპიტანი საგინოვი უთვალთვალებდნენ მეფეს რიონზე და ყვირილაზე გადასვლის დროს სოფელ გეგუთის ახლოს“ [3].

ამის შემდეგ სოლომონ მეფე ტორმასოვმა გაიწვია გორში, სადაც იგი დაატყვევეს და ასე ჩაიყვანეს თბილისში. ამის შესახებ გენერალი ტორმასოვი გრაფ რუმიანცევისადმი 1810 წლის 13 აპრილის მიმართვაში სწერდა:

„...მეფე გამოვიდა ხეობიდან მთელი თავისი ჯარებით და თავის

---

[1] Акты, т. IV, стр. 240.
[2] იქვე, გვ. 240.
[3] იქვე, გვ. 241.

უნდობლობის გამო ნახევარი ვერსის მანძილზე შემოუარა სიმონოვიჩის რაზმს, შევიდა სოფელ საზანოში, რომელიც ეკუთვნის მის მეუღლეს, საიდანაც სამი დღის შემდეგ გაემგზავრა ქართლში 500-ზე მეტი შეიარაღებული თავისი ამალის თანხლებით... გზაში. მეფემ დააპირა გაქცევა ღამით სოფელ დირბიდან, მაგრამ ამაოდ... გორიდან მე ჩავედი ვარიანში მის სანახავად (для свидания с ним), სადაც მან ჩემი სიტყვებიდან გაიგო, რომ მხოლოდ თბილისში უნდა ელოდეს ის უზენაეს გადაწყვეტილებას თავისი ბედის შესახებ... მეფე გაგზავნილია თბილისში, სადაც ამჟამადაც იმყოფება შეუმჩნეველი, მაგრამ მკაცრი (строгим) მეთვალყურეობის ქვეშ" [1].

„სურამიდან მეფეს მოუვიდა ცნობა, რომ ტორმასოვმა დაუნიშნა მას შესახვედრად გორი, რომელიც გზად დევსო ტფილისაკენ, სადაც თქვენ უნდა ელოდეთ იმპერატორის მიერ თქვენის ბედის გადაწყვეტასო". როცა მიუახლოვდენ სოფელ დირბს, სოლომონმა მოითხოვა, რომ ტორმასოვმა პატივი სცეს და აქ ინახულოს იგი... მეფე სოლომონს გული კარგს არას აგრძნობინებდა და ამიტომ სცადა დირბიდან ოსებში გაპარვა... რაკი გაქცევის სურვილი გამოამჟღავნა, მოგილევსკიმ გამოუცხადა მეფეს, რომ ამის შემდეგ რუსთა მცველების ხელშია... ტორმასოვი დიდად კმაყოფილი იყო, რომ ხუთი წლის განმავლობაში ურჩობით განთქმული მეფე ტყვედ ყავდა ტფილისში" [2].

ასეა წარმოდგენილი ისტორიულ დოკუმენტებში სოლომონის დატყვევების ამბავი, რომელიც ემთხვევა დრამის სიუჟეტურ განვითარებას. თუმცა დრამაში ავტორი გადმოგვცემს მეფის მოხელეთა მხოლოდ დიპლომატიურ ბრძოლას და არა სამხედრო საომარ მოქმედებას.

დრამის ფინალი, სადაც მოცემულია სოლომონ მეფის თბილისიდან გაპარვა, რეალურ ფაქტებზედ არის დამყარებული. დრამის მიხედვით სოლომონს ქართველმა პატრიოტებმა შეატყობინეს, რომ მზად არიან მის წასაყვანად. სოლომონმა მოიხურა მსახურის, კიკოლა სარალიძის ნაბადი, ხელში დოქი დაიკავა, ვითომ მსახური წყალზე მიდიოდა, და ყარაულებს ასე გაეპარა, ხოლო მის მაგიერ ლოგინში დარჩა კიკოლა სარალიძე, რომელმაც არ გასცა მეფე და თავი შესწირა მეფისა და ქვეყნის საქმეს. აი რას ეუბნება კიკოლა მეფეს:

---

[1] Акты, т. IV, стр. 248-249.

[2] ალ. ხახანაშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, გვ. 58-59.

„ბატონო! ამას მეტი არ გაეწყობა: ჩემი ნაბადი მოიხურეთ, დრჩი ხელში დაიკავეთ, ვითომ წყალზედ მიბრძანდებით, და მე ვეგონები ჯარისკაცებს“ [1].

მართალია, ტორმასოვის აზრით, მეფე სოლომონი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მეფემ იმერელი თავადების დახმარებით მაინც მოახერხა გაპარვა ახალციხეში. ეს ისტორიული ფაქტიც დრამის ავტორს სწორად აქვს გადმოცემული [2].

„სოლომონმა იმ ღამეს თავი მოიავადმყოფა და ადრე შევიდა დასაძინებელ ოთახშიდ, ივახშმა ჭაიხოსრო წერეთელთან, გაიხადა ტანისამოსი და დაწვა. თავ. წერეთელი გამოვიდა, ხოლო ათ საათზე დაბრუნდა სოლომონთან და შეატყობინა, რომ ცხენები მზად არიანო. მოხუცმა მოსამსახურემ მიართვა დამზადებული უბრალო ტანისამოსი, რომლის მაგივრად მომტანმა მედუქნე ბეჟან მურასოვ'ა წაიღო მეფის ძვირფასი ტანსაცმელი. მეფემ გადაიცვა კაბა, ნაცრით პირი მოისვარა, საღვინე აიღო ხელში (ბატონიშვილი დავითის სიტყვით წამოიკიდა ტიკჭორა), გავიდა ჭაიხოსრო წერეთლის ოთახზე ბაღში. სოლომონმა ორ დარაჯს გაუარა და თამამად უპასუხა, რომ იგი მეფის მსახურია და მიდის მტკვარზედ წყლის მოსატანად. ჭუჩაში მას უცდიდა ერთი იმერელი, რომელიც, ვითარცა საეჭვო, წინა დღეებში კომენდანტის განკარგულებით, გადაყენებული იყო მეფის სახლის მცველობის მოვალეობისაგან. ამან გაატარა მეფე ქალაქით და მიიყვანა გასავალთან...“ [3]

ამასვე ადასტურებს ხალხური გადმოცემაც:

„მეფე სოლომონი ღვთის მოყვარე კაცი იყო და ღმერთმან იმდენი მოახერხებინა, რომ გამოიპარა და ახალციხეში ამოყო თავი; თურმე თავის მაგივრად მოსამსახურე დააწვინა საბანში. ყარაულებს ეგონათ, რომ ეს არის მეფეო, ბოლოს ბიჭი დახვდათ ხელში. საწყალი ის ბიჭი მიწამ ჩაყლაპა, თუ სად წავიდა არავინ იცის“ [4].

1810 წელს 25 მაისის რუმიანცევისადმი მიმართვაში გენერალი ტორმასოვი ასევე აღნიშნავს სოლომონ მეფის თბილისიდან გაპარვის ფაქტს [5].

მეფის გაქცევის ხმა მოვიდა თუ არა იმერეთში, მთელი იმერეთი

---

[1] იხ. დრამა, გვ. 86.

[2] იქვე, გვ. 87-88.

[3] ალ. ხახანაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 61.

[4] იხ. მეფე სოლომონ მეორის დრო, კრებული, გვ. 129.

[5] Акты, т. IV, стр. 273-274.

კვლავ აჯანყდა და დიდი შეტაკება მოხდა ცარიზმის ჯარსა და მეფის მომხრე აჯანყებულთა შორის.

დრამის სიუჟეტი სოლომონ მეფის ახალციხეში გაქცევით მთავრდება და ამდენად შემდეგი ისტორიული ფაქტები ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო არ არის.

როგორც დამოწმებული ისტორიული ფაქტებიდან ირკვევა, დ. ლეონიძის დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“ აგებულია ისტორიულ მასალაზე და ამდენად მას მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელოვანი, მრავალსაუკუნოვანი, ისტორიის ერთი მეტად საინტერესო პერიოდის შესასწავლად. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ეყრდნობა რა ისტორიულ მასალას, მასთან ერთად ქმნის აგრეთვე საინტერესო ორიგინალურ სცენებს, რაც დრამას მეტ ლიტერატურულ ღირებულებას აძლევს. ასეთია მაგალითად, დარეჯანისა და სოლომონ მსაჯულის რომანი და ამ რომანის ტრაგიკული დასასრული, ზურაბ წერეთლის ყმა გლეხის, მათია თაბაგარის ოჯახის დაწიოკების მომენტი, სოლომონ ლეონიძის დიპლომატიური მისიის ჩაშლის მიზეზი პეტერბურგში და სხვა.

მთავარ მოქმედ გმირთა დახასიათება

მეფე სოლომონ მეორე

დრამის მთავარ ფიგურას იმერეთის მეფე სოლომონ მეორე წარმოადგენს. იგი იყო ძმისწული სოლომონ პირველისა, შვილი არჩილისა, და დედით შვილისშვილი ირაკლი მეორისა.

როდესაც სოლომონ პირველი 1784 წელს უძეოდ გარდაიცვალა, ერეკლემ მოინდომა იმერეთის ტახტზე დავით არჩილის-ძე გაემეფებინა, მაგრამ ვინაიდან იმჟამად დავითი მცირეწლოვანი იყო (12 წლის), ტახტი დაიკავა სრულწლოვანმა დავითმა (გიორგის ძემ).

დავით გიორგის-ძე მეფობდა იმერეთში 1789 წლამდე, ხოლო 1789 წელს, უკვე სრულწლოვანმა დავით არჩილის-ძემ ტახტიდან ჩამოაგდო იგი და თვით გამეფდა სოლომონ მეორის სახელით.

დავით გიორგის-ძე კვლავ იბრძვის ტახტისათვის. სასტიკი ბრძოლა გაიმართა იმერეთის ტახტის მემკვიდრეთა შორის და ვინ იცის, ეს რით დამთავრდებოდა, რომ 1799 წელს დავით გიორგის-ძე ახალციხეში ყვავილით არ გადაცვლილიყო. ამრიგად, იმერეთის ტახტი დარჩა სოლომონ მეორეს (დავით არჩილის-ძეს).

სოლომონ მეორეს ძლიერ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მეფობა. ეს ის დრო იყო, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო გიორგი XIII-ის სიკვდილის შემდეგ რუსეთს შეუერთდა და ცარიზმის მოხელეები იმერეთის შეერთებისათვისაც ზრუნავდნენ. ხოლო ოსმალეთი კი იმერეთის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. ამავე დროს ქართველი ბატონიშვილები და სოლომონ ლეონიძე, აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოხვეწილნი, მომავალი თავისუფალი საქართველოს გეგმებს ქუთაისში, სოლომონ მეფის კარზე ადგენდნენ და ამ რთულ სიტუაციაში გარკვეული პოლიტიკური ორიენტაციის გამონახვა არც ისე ადვილი საქმე იყო სოლომონ მეფისათვის.

მართალია, სოლომონ მეორემ თავიდან რუსეთთან დაახლოების პოლიტიკური გეზი აიღო და 1803 წელს ამ მიზნით სოლომონ ლეონიძე გაგზავნა პეტერბურგს დიპლომატიური საკითხების მოსაგვარებლად, მაგრამ ამავე დროს იგი ოსმალეთის ხონთქართანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას და სოლომონ მსაჯულსა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სხვა მოღვაწეებს მფარველობას უწევდა თავის სამეფო კარზე. იგი გაიხლართა პოლიტიკურ წინააღმდეგობათა ქსელში და ვერ შეაფასა ის დიდი ძალა, რომელმაც უკვე ქართლ-კახეთი დაიპყრო და დღეს იქნებოდა თუ ხვალ იმერეთსაც მოევლინებოდა.

დრამის ავტორს, დავით ლეონიძეს, ასეთივე მერყევ პოლიტიკოსად ჰყავს გამოყვანილი სოლომონ მეორე. ნაწარმოების მიხედვით მეფე ერთის მხრივ სოლომონ ლეონიძის პატივმცემელი და თანამოაზრეა, ხოლო ამავე დროს ზურაბ წერეთლის გაიძვერული პოლიტიკა მისთვის შეუმჩნეველი რჩება და გადამწყვეტ მომენტში მის რჩევას ერწმუნება.

სოლომონ მეფის მერყეობას კიდევ უფრო ადასტურებს 1810 წლის 23 მაისის თარიღით ახალციხიდან ზურაბ წერეთლისადმი მიწერილი წერილი. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, სოლომონ მეფე კიდევ არ წყვეტს კავშირს გაიძვერა სახლთუხუცესთან და დახმარებას თხოვს იმას, ვინც ხელი შეუწყო იმერეთის სამეფოს დამარცხებას და სოლომონ მეფის დატყვევებას. მას ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ ზურაბ წერეთელი მისი ერთგულია და შემდეგშიაც დაეხმარება იმერეთის ტახტის დაბრუნების საქმეში. აი თვით აღნიშნული დოკუმენტი:

„მეფე მთელი იმერეთისა მოვახსენებ თქვენს ბრწყინვალებას მრავალ შესაფერ მისალმებას, ვუსურვებ რა მას უვნებელ ცხოვრე-

ბას. თვით გული თქვენი არის იმის მოწმე, რომ მე ყოველნაირად გენდობით თქვენ, მიყვარხართ თქვენ ბავშვებით და თქვენით სახლით და ყოველ ბედნიერებასა და უბედურებაში, მწუხარებაში და სიხარულში, თქვენ ბრძანდებით ჩემი იმედი. ნუ შესცელით თქვენს განწყობილებას ჩემდამი სხვისთვის და ნუ წამართმევთ თქვენს მამობრივ სიყვარულს. მე ხომ თქვენს ხელში გაზრდილი ვარ და თქვენს თავს იდევით ჩემთვის დიდი ზრუნვა. მრავალჯერ თქვენს ხალხთან ერთად აღმომიჩინეთ რა თავგანწირულება, ჰქენით ეს ახლაც...

როგორც პირველად თქვენ ინებეთ ყოფილიყავით ბატონი ბრძანებელი სახლისა, მამა ჩვენი სამეფოსი და მმართველი მიწისა, ასეთივე მთავარ პირად იქნებით აწიდაც. თქვენ მრავალჯერ გადამარჩინეთ სულიერად და ხორციელადაც და აი საათი თქვენი ჩემზე ძამობრივი მზრუნველობისა, როდესაც თქვენ იზრუნებთ ჩემზე სულითაც და ხორცითაც. გამოაჩენთ თქვენს ჰკუას, გონებას და მარად ძალას და ამით დააგვირგვინებთ მთელ იმ ზრუნვას და შრომას, რომელსაც სიყრმიდან თქვენ მე მიწევდით... მე დანამდვილებით ვიცი, რომ იმერეთი თქვენს წინააღმდეგ არ ადგება და დარწმუნებული ვარ, რომ როგორც უფრო მოსახერხებელია ჩემი იქ შესვლა, კიდევაც ისე მოამზადებთ. მეტი რა მოგწეროთ. თქვენ თვითონ იცით, რომ თქვენს მიერ გადარჩენილი სამეფო მარად ადიდებს თქვენს სახლს და თქვენს შვილებს...

სხვა ჩემს სიტყვებს, პირდაპირს და ჭეშმარიტს, მოგახსენებთ თქვენ ეს კაცი" (აზის სოლომონის ბეჭედი) [1].

გენერალი ტორმასოვიც ხედავს მეფის სუსტ ხასიათს, რომ იგი უფრო სხვათა რჩევით მოქმედებს, და ამის გამო მას გადაუწყვეტია მეფის გულის მონადირება გავლენიან პირთა დახმარებით. ეს ჩანს გრაფ რუმიანცევისადმი ტორმასოვისაგან მიწერილ წერილში:

„...მჭონდა რა საუბარი თ. ზურაბ წერეთელთან, რომ მეფე სოლომონი თავისი სუსტი ხასიათის მეოხებით ყოველთვის მოქმედებს მისი გარემომცველი მრჩეველების საშუალებით (მითითებით), განსაკუთრებით კი მასზე გავლენა აქვს იმერეთის სამღვდელოებას და თავადების არა მცირე რიცხვს. მე საჭიროდ ჩავთვალე თ. ზურაბ წერეთლის რჩევით, რომელიც ერთგულია რუსეთის და ატარებს ხელმწიფე იმპერატორის უზენაეს წყალობას, მიმეწერა წერილი

[1] Акты, т. IV, стр. 270.

იმერეთის სამღვდელოებისა და თავადებისათვის', რომელშიდაც მოუწოდებ მათ, შეერთდნენ ერთსულოვანი მისწრაფებით იმერეთის საკეთილდღეოდ და დაარწმუნონ მეფე სოლომონი მ. ი. უ-ბის უზენაესი ნების დაუყოვნებლივ შესრულებაში...“ [1]

ტორმასოვისა და სხვათა ცდების მიუხედავად, სოლომონ მეფე, ლეონიძის ზემოქმედებით, მაინც ბოლომდე იმერეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი დარჩა. თუმცა ხასიათის სისუსტის გამო სამეფო ტახტი ადრე დაჰკარგა.

ექსორიაქმნილი მეფე ახალციხიდან კვლავ იბრძოდა იმერეთის ტახტისათვის. აწარმოებდა მიწერ-მოწერას იმერეთის გავლენიან პირებთან და ადგენდა ცარიზმის ჯარებზე თავდასხმის გეგმას. სოლომონი ქართლ-კახეთის მაგალითით სჯიდა, რომ იმერეთიც დაკარგავდა თავისუფლებას, თუ რუს მოხელეთა ქვეშევრდომი გახდებოდა.

ახალციხიდან ასეთ წერილს წერს სოლომონ მეფე ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოზს:

„აწ თქვენგან და მთლად იმერეთისაგან ჩემი საწადელი ეს არის.—მე თუ სხვა სამსახური რამ დამიკლია იმერეთისათვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივის-ცემისა და სიყვარულისაგან არა-ოდეს ჩემი გული არ გამძღარა; აწ კიდევ სიკვდილისა და განსაცდელისათვის თავი გარდავსდევ თქვენთან სიცოცხლისათვის. ამაზედაც ფიცით გარწმუნებთ, თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც თქვენის მოშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებდი; მაგრამ ვიცი და თქვენც ხედავთ, როგორც სხვა თქვენი მეზობელნი იმათს ხელში უნუგეშოთ კვნესიან და დღე და დღე ოჯახის პატივიდამ მდაბლდებიან, სახლისა და ცოლ-შვილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზე გულდასმულნი შეიქნენ, მერე უმწარესი და ყოველს მეზობელზე უძნელესი დღე იმერეთს მოადგება, და რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ; დღეს რომ პატივს ცემენ, ხვალ ყოველის ქვეყნისაგან იმერეთში დაკრძალულ ცოლშვილს პატიოსნებას უპატიოდ გახდიან. შეხედეთ საქართველოს, რომელიც პირველში ფიცითა და ოქროთი მოატყუეს, და დღეს აღარც სიმდიდრე უხარიათ და აღარც თავი-

[1] Акты, т. IV, стр. 195.

ანთი სახლი და სიკვდილს ნატრულობენ. ყველამ იცით, რომ თავიანთ ჩვეულებას თქვენვის არ გამოსცვლიან... ნუ დაიდებთ საუკუნოდ საძრახის საქმეს და ნუ დაიღუპებით ქართლელებსავით, რომელნიც სულიერად დიდ პარასკევს ხორცს სჭამენ და ხორციელად გატანჯულნი სიკვდილს ნატრულობენ... თუ დამიჯერებთ, მე თითონ შემოვალ თქვენთან და უცხოს ჯარებს აღარ დავეძებ. რომ ღვთისა და თქვენი შესაწუხებელი საქმე არ მოხდეს რა, და როგორც თქვენგან პასუხი მომიყვა, ამაზედ გული დააჯერეთ, რომ თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო, იცოდეთ ცოტა ღვინო და ოტკა მომაშველეთ მალე ბატონო". (აზის ბეჭედი მეფის სოლომონისა) [1].

სოლომონ მეფის პოლიტიკური გეზი სასტიკად დაამარცხა ისტორიის კანონზომიერმა განვითარებამ და ბუნებრივია, რომ იგი ვერ შესძლებდა იმერეთის ტახტის დაბრუნებას, — მაგრამ ახალციხეში გაქცეული სოლომონი მაინც ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენდა მეფის მოხელეებისათვის, რადგან ერთის მხრივ იმერეთში სოლომონს ხალხის დიდი ნაწილი უჭერდა მხარს და მეორეს მხრივ რუსეთის ძლიერებით შეშინებული ირანი და თურქეთი გაქცეულ მეფეს მფარველობას უწევდა.

1811 წლის 16 იანვრის მიმართვაში სამხედრო მინისტრისადმი ტორმასოვი წერდა:

„...იმერეთის დაკავებას არ შეუძლია უშიშარი გახადოს სამხედრო მდგომარეობა საქართველოში, სანამ გაქცეული მეფე სოლომონი მფარველობას იპოვის რუსეთის მტერთაგან — სპარსთაგან და თურქთაგან. თუმცა ახლა იქ სრული სიმშვიდეა, მაგრამ მე უნდა მყავდეს ამ მხარეში 6 ბათალიონი, როგორც ციხეებში გარნიზონისათვის, აგრეთვე იმიტომ, რომ არ შემიძლია დავენდო ადვილად დამჯერე იმერეთის ხალხს, რომელიც ერთგულია გაქცეული მეფისა, რომელთა შესახებ მე მაქვს სწორი ცნობა, რომ მას სპარსეთის მთავრობის მხრივ დაპირებული აქვს დახმარება, რომ ის მიიღებს 15.000 ჩერვონცს თავისი წამოწყებისათვის, უკვე გაემგზავრა ერევნიდან ახალციხეში, რომ კვლავ შეეცადოს დაანთოს იმერეთში ამბოხების ალი..." [2]

ყოველივე ამის გამო გენერალი ტორმასოვი, თვით იმპერატო-

[1] Акты, т. IV, стр. 268-269.

[2] იქვე, გვ. 156.

რის განკარგულებით, რამდენიმეჯერ შეეცადა სოლომონთან შერიგებას. მისი მშვიდობიანი გზით იმერეთში დაბრუნებას. მაგრამ მეფემ ერთხელ აღებულ პრინციპს არ უღალატა და თავი შესწირა იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 42 წლის ასაკში 1815 წელს გარდაიცვალა ტრაპიზონში და იქვეა დასაფლავებული. საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა გაუკეთეს თანამებრძოლმა ქართველებმა:

„საფლავსა ამასა შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩყიე".

საფლავის ქვის მეორე მხარეზე აწერია:

„განმეძარცვა მე პირველმქნილი სიკეთე და მშვენება და მდებარე ვარ შიშველ და კდემილ საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ. რომლისთვისაც ვითხოვ შენდობას. 7 თებერვალს 1815 წელსა (ქრონიკონი ჩყიე.)" [1].

ასე დასრულდა სოლომონ მეფის მოღვაწეობა, ბაგრატიონთა დინასტია და ფეოდალური საქართველოს ბედი. დ. ლეონიძემ დრამაში ისტორიის მასალებზე დაყრდნობით მხატვრულ ფერებში ჩამოაყალიბა სოლომონის სახე, როგორც მეფისა და მოქალაქისა.

სოლომონ ლეონიძე — მსაჯული

დრამაში მეფის შემდეგ ცენტრალურ ადგილს სოლომონ ლეონიძე იკავებს. დრამის ავტორი დ. ლეონიძე სოლომონ მსაჯულს პატრიოტად და გაელენიან სახელმწიფო მოღვაწედ ხატავს.

მსაჯულის პიროვნება ქართულ მწერლობაში პირველად ამ სახით გენიალურმა პოეტმა ნ. ბარათაშვილმა ასახა პოემაში „ბედი ქართლისა". ნ. ბარათაშვილი ასე ახასიათებს სოლომონ მსაჯულს:

თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინა ყმა, ყმათ საყვარელი.
სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი [2].

---

[1] ალ. ხახანაშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, გვ. 76.
[2] ნ. ბარათაშვილი, 1922 წლის გამოცემა, გვ. 73-74.

სოლომონ მსაჯული ნიჭითა და სამშობლოს სიყვარულით იდიდებოდა მთელ საქართველოში. იგი ირაკლის მარჯვენა ხელი იყო და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად მკლავის ძალაც საქებარი ჰქონდა. იგი იმ დროისათვის კარგად განსწავლილი იყო და მწერლობასაც ეწეოდა“ [1].

სოლომონ ლეონიძის დიდ პოეტურსა და ორატორულ ნიჭს ამჟღავნებს. აგრეთვე, სიტყვა წარმოთქმული ირაკლის ცხედრის წინაშე—„მოთქმითა ტირილი საქართველოს მეფის, ღვრკულეს ღირსისა“ [2].

სოლომონ მსაჯულმა ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლეში გამოამჟღავნა ცარიზმის საწინააღმდეგო პოზიცია. ნ. ბარათაშვილმა ერეკლეს პოლიტიკურ ორიენტაციას სოლომონ მსაჯულის მოსაზრება დაუპირისპირა:

იცით, მეფეო, რომე ივერნი
იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი.
სახელმწიფოსა ერთობა ჰსჯულის
არა რას არგებს, ოდეს მისს შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს [3].

სოლომონ ლეონიძე ქართველი ხალხის სახელოვან ტრადიციებს ემყარებოდა, როდესაც საყვარელ მეფეს ირაკლის წინააღმდეგობას უწევდა.

განზრახვა შენი მეფევ მაკვირებს:
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჰერთ ქვეშ თავისუფლება.

ირაკლის გარდაცვალების შემდეგ სოლომონ ჰსაჯული სოლომონ მეორის კარზე აგრძელებს მოღვაწეობას იმერეთში. აქაც იგი კვლავ ძველ პოზიციაზე დგას. მსაჯული ცდილობს არა მარტო იმერეთში შეინარჩუნოს ბაგრატიონების დინასტია, არამედ იმერეთის სამეფოს გარშემო დარაზმოს მთელი საქართველოს მოწინავე ძალები და აღმოსავლეთი საქართველოც გაათავისუფლოს ცარიზმის უღლისაგან.

---

[1] ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ ტრ. რუხაძის შრომა, სოლომონ მსაჯული, ლიტერატურული ძიებანი, 1947, ტ. III.

[2] იხ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 52, 53, 54.

[3] ნ. ბარათაშვილის იგივე კრებული, გვ. 76.

როგორც პროფ. ალ. ხახანაშვილი შენიშნავს: „თავადი ლეონიძე დაუძინებელი მტერი იყო რუსებისა, იგი ყველაზე მეტად აგონებდა სოლომონს რუსების ურჩობას და მთავარმართებლის ჯილდოსაჩუქრებს ზიზღით უყურებდა“ [1].

დრამის ავტორი დ. ლეონიძე აქაც არ ღალატობს ისტორიულ ჭეშმარიტებას. მას სოლომონის სახე გადაუჭარბებლად რეალურ ფერებში აქვს დახატული. მართლაც, მსაჯული თავის დროის პატრიოტია. იგი მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობაზე ოცნებობდა და საქართველოს რუსეთთან შეერთება, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის უქონლობის გამო უარყოფით მოვლენად ჰქონდა წარმოდგენილი. ლეონიძის პოლიტიკური ორიენტაცია არ გაამართლა შემდგომ დროთა ვითარებამ და საქართველოს ბედი ბუნებრივად დიდი რუსი ხალხის ცხოვრების დიად გზას გაჰყვა. განსაკუთრებით უშედეგო იყო სოლომონ ლეონიძის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ იმერეთში, რადგან ამ დროს საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი რუსი მოხელეების ხელში იყო და მარტო იმერეთის სამეფო ხომ ვერ შესძლებდა ამ მოზღვავებული ძალის შეჩერებას? ამ სინამდვილეს სოლომონი ანგარიშს არ უწევდა და გაჯიუტებული რუსეთის იმპერატორთან ყოველგვარ შეთანხმებას გაურბოდა. მას მცდარად, მაგრამ მაინც წამდა, რომ თავისი ასეთი მოქმედებით სამშობლოს საკეთილდღეო საქმეს აკეთებდა. მისთვის არ არსებობდა სამშობლოზე სხვა უფრო ძვირფასი განძი. მისი ყოველი სიტყვა და საქმე მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს ემსახურებოდა და ამ იდეიის სამსხვერპლოზე დაიფერფლა კიდეც.

დრამის ავტორიც ასეთივე თვისებით ხატავს ლეონიძეს:

„პირად თავის სარგებლობაზე მხეციც კი არის მონდომებული,— ეუბნება სოლომონი ზურაბს, — მაგრამ ჩვენ კაცობრიობა მით ვართ მათგან განსხვავებული, რომ სხვა უფრო ამაღლებული აზრებიც გვაქვს! ან კი რა არის ჩვენი შეძლება და დიდება! არაჩვ თუ კერძო პირი, რამდენიმე დიდი სახელმწიფოები იყო, რომელთაც თითქმის მთელი დედამიწა ეპყრო, მაგრამ სადღა არიან იგინი დღესს?!. კაცის ცხოვრება ძლიერ მოკლე არის და მისი კეთილი და საქები საქმეები კი უკვდავია და უკვდავად ხდის მის სახელს“ [2].

რადგან სოლომონ ლეონიძე სოლომონ მეფის კარზე გაეზრდნიან

[1] იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, გვ. 30.

[2] იხ. დრამა, გვ. 62.

პირს წარმოადგენდა და მეფე მისი რჩევით მოქმედებდა. მთავარმართებელი შეეცადა მსგავსად, ზურაბ წერეთლისა, მსაჯულის მოსყიდვას, მაგრამ ეს გზა ლეონიძის მიმართ უშედეგო აღმოჩნდა. დამარცხებული ელჩი აი როგორ ახასიათებს სოლომონ ლეონიძეს:

„ბევრი რამ გამეგონა სოლომონ მსაჯულზე, მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი თუ ამისთანა ჯილდოზე უარს იტყოდა. მერე რა ჯილდო, ფაშობა ვაძლიეთ და კიდევ ფულიც. მერე რა ფული, ვინ დათვლის... როდესაც შევაძლიე, თითქოს ვერ გაიგონა, გატრიალდა, აიღო ერთი ყუთი ოქროთი სავსე და პირაქეთ შემომაძლია, რომ იმერეთის სასარგებლოდ მოვქცეულიყავი“ [1].

როდესაც იგივე ელჩი (დრამის მიხედვით), ზურაბის დახმარებით, ცდილობს მეფე მოატყუოს და დაარწმუნოს ცარიზმის პოლიტიკის კეთილშობილებასა და მფარველობაში, განრისხებული სოლომონ ლეონიძე ელჩს თავზე გადაახევს პირობის ქაღალდს და ყველას გასაგონრად წამოიძახებს:

„როდესაც ქორი მტრედს მოიტაცებს, კლანჭებს ჩაასობს ტანშიდ და ნისკარტით სწიწკნის, მაშინ ისიც თავზედ გადაფარებულია თავის მსხვერპლზედ და მიმინო და ძერა ვეღარ მიეკარება, მაგრამ, მათგანი რომელიც ამგვარად მას გადაეფარება მტრედისათვის სულ ერთია და ყველა თანასწორი „მეგობარი“ იქნება. მეგობრობას მაშინ ამოუჩენდით, საქართველოს რომ უფლება არ აგეხადათ და არ დაგემონებინათ... როგორც წყალი და ცეცხლი, ისე ჩვენი და თქვენი ბუნება ერთმანეთს არაოდეს არ შეეთვისება, სჯულის ერთობა არას გვარგებს, ოდეს ჩვენს შორის სულის თვისება სხვადასხვაობს. ვინ იცის რა ტანჯვა მოელის ჩვენს ქვეყანას თქვენს მფლობელობის ქვეშ“ [2].

სოლომონ მეფეც გრძნობდა მსაჯულის გულწრფელ სამსახურს და პირველ ხანებში კიდევაც აფასებდა ლეონიძეს. მისი რჩევის გარეშე სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს არ გადაწყვეტდა. აი როგორი სიტყვებით მიმართავს დრამაში მეფე მსაჯულს:

„მთელმა ქვეყანამ იცის, როგორ უყვარდი განსვენებულ პაპაჩემს საქართველოს მეფეს ერეკლეს... ერთსა და ერთს შვილს შენ ერჩიე. მისი მარჯვენა ჭირში და ლხინში შენ იყავი. რამდენჯერ უბრძანებია განსვენებულს ჩემთვის: „თუ იმერეთისათვის კეთილი

[1] იხ. დრამა, გვ. 63.

[2] იქვე, გვ. 71.

გსურს სოლომონ, ჩემი მსაჯულისთანა მრჩეველი იყოლიეო". ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ მეფე ერეკლეს საყვარელი — მსაჯული, სოლომონ, ოდესმე იმერეთში გადმოვიდა და მე მეხლებოდა... მეც როგორ მიყვარხარ, ქვეყანამ იცის..." [1]

სოლომონ მსაჯულის დიდი ავტორიტეტი იმერეთის სამეფო კარზე შეუმჩნეველი არ დარჩენია მთავარმართებელს და მის მოხელეებს და ისინი ცდილობდნენ მსაჯულის გულის მოგებას.

მთავარმართებელი გენერალი ტორმასოვი 1810 წელს 20 იანვარს პოლკოვნიკ სიმონოვიჩს წერს:

„განსაკუთრებით ეცადეთ ყოველგვარი თქვენი შესაძლებლობით გადაიბიროთ თქვენკენ თავადი სოლომონ ლეონიძე... უთხარით, რომ მას ჰყავს თბილისში ქალიშვილი, მითხოვილი თავად მელიქოვზე [2] და ვაჟი, რომელიც იზრდება სასწავლებელში [3], შეუძლია როგორც თავისთავს, ისე მათაც მოუპოვოს მტკიცე ბედნიერება. მაშინ შეიძლება რომ გამონახოს ხერხი ჩაგვიგდოს ხელში თვით მეფეც, ან ყოველ შემთხვევაში, დაიყოლიოს ის ჩვენს მოთხოვნილებებზე და მშვიდობიან ცხოვრებაზე ქუთაისში, განაგებდეს რა სამეფოს იმპერატორის მფარველობის ქვეშ" [4].

ცხადია, მთავარმართებელი და სხვა მოხელეები სასტიკად მოტყვილდნენ. მათ არ იცოდნენ, რომ სოლომონ მსაჯულის მოსყიდვა არავითარ შემთხვევაში არ მოხერხდებოდა. ზოგჯერ მათი მოქმედება საწინააღმდეგო შედეგს იწვევდა. ხშირად სოლომონი თვით ცდილობდა მომსყიდველების მოსყიდვას და თუ ამას იგი ვერ მოახერხებდა, მათ იმაში მაინც არწმუნებდა, რომ იმერეთი ცარიზმის პოლიტიკას არ დაემორჩილებოდა და თუ ძალადობას გამოიჩენდნენ, ძვირად დაუჯდებოდათ მათ ეს გზა.

გენერალ ტორმასოვისადმი პატაკში 1810 წლის 12 თებერვალს პოლკოვნიკი მოგილევსკი წერს:

„...ჩემთან წარმოგზავნილნი იყვნენ მეფისაგან გასაცილებლად თავადი სოლომონ ლეონიძე და თავ. ჯაფარიძე, რომელთან ერთად მე მეორე დღესვე ადრე წავედი ვარდ-ციხეში. ჩემი საუბარი ცბიერებით აღვსილ თავად ლეონიძესთან შეეხებოდა მხოლოდ გარეშე საგნებს, რომლის დროსაც ის მაინც არ კარგავდა შემთხვევას მოეთხრო

[1] იხ. დრამა, გვ. 39.

[2] სოლომონ ლეონიძეს საგვარეულო გადმოცემით ქალიშვილი, არ ჰყოლია.

[3] ალბად ალექსანდრე, რადგან ივანე თვით სოლომონს ახლდა იმერეთში.

[4] Акты, т. IV, стр. 220.

ჩემთვის სხვადასხვა არაკები და ჩაერთო ალეგორიები მეფის ძლიერების, მის მიმართ ხალხის ერთგულების და მიუვალი ადგილების შესახებ იმერეთში, სადაც ყოველთვის შეიძლება კარგად დამალვა" [1].

როდესაც სოლომონ მეფე სძლია მაცდურმა ზურაბ წერეთელმა და ტორმასოვს ტყვედ ჩაუვარდა, დამარცხებული სოლომონ მსაჯული ახალციხეში გაიქცევა და იქედან კიდევ ცდილობს იმერეთისათვის თავისუფლების დაბრუნებას.

მთავარმართებელი და მეფის სხვა მოხელეები გრძნობდნენ, რომ სოლომონ მსაჯული მათთვის გაქცეულიც კი საფრთხეს წარმოადგენდა და ტორმასოვი 1811 წლის 22 ივლისს ასეთ მლიქვნელურ ბარათს წერს სოლომონ ლეონიძეს:

„გეტყვით ჰეშმარიტებას, რომ თქვენი ამაგი იმერეთის ყოფილი მეფის სასარგებლოდ და თქვენი ერთგულება მის მიმართ ეხლანდელ მდგომარეობაშიდაც კი მე არასოდეს არ გამიკიცხავს. პირიქით, მიმაჩნია ის თქვენში მადლობის კეთილშობილ გრძნობად იმ წყალობისათვის, რომელიც მან თქვენ აღმოგიჩინათ. რაც შეეხება თქვენს დამოკიდებულებას კი რუსეთის მთავრობისადმი, მე ვიცი, რომ თქვენ იმყოფებოდით რა საზღვარ გარედ, არ ღებულობდით მონაწილეობას მეფის გაქცევაში თბილისიდან და ხოლო ამბოხების დროს, რომელიც მოწყობილი იყო მის მიერ იმერეთში, პირადად იქ არ ყოფილხართ. მაშასადამე, თქვენო ბრწყინვალებავ, იმ სხვა პირებზე უფრო, რომლებმაც დაარღვიეს მეფის ბედნიერება თქვენ მეტი უფლება გაქვთ პატივებაზე, ხელმწიფე იმპერატორის უსაზღვრო მოწყალებაზე და თქვენს მიმართ განსაკუთრებულ წყალობაზე.

თუ გაუგონებთ თქვენი ჯანსაღი გონების ხმას, შეგიძლიათ კიდევაც ამაში სრულებით დარწმუნებული იყვეთ, რადგან ამაში მე თქვენი თავდები ვარ და ერთგული შუამავალი თქვენს სასარგებლოდ. აი მე თქვენ რაში გარწმუნებთ: თუ თქვენ ნებაყოფლობით ჩემთან თვითონ გამოცხადდებით, მიღებული იქნებით თავაზიანად, დარჩებით სრულ თავისუფლებაში და საკუთარი თქვენი სურვილის თანახმად, რომელიც გამოთქმული იყო წერილში, გაგზავნილი იქნებით ს. პეტერბურგში უმაღლეს კართან, სადაც ნაცვლად მეფის წყალობისა, რომელიც თქვენ გჭონდათ იმერეთში, უხვად დაჯილ-

[1] Акты, т. IV, стр. 224.

დოებული იქნებით შემოსავლით, რომელიც დაგენიშნებათ რუსეთის იმპერიაში. იქ თქვენ ჰპოებთ მოსვენებულ თავშესაფარს, დაურღვეველ სიმშვიდეს და ბედნიერებას, როგორც საკუთარ თქვენსას, ისე თქვენი ვაჟებისას, რომელნიც შეგიძლიათ მოაწყოთ მათთვის მკვიდრ საფუძველზე.

აგიხსენით რა ამ გულგაშლილობით თქვენი ბრწყინვალების წერილის შესაბამისად ნამდვილ ჩემ აზრებს, რომლებიც ეხებიან თქვენს ბედიღბალს, მე კიდევ უნდა დავურთო, რომ თუ თქვენ სახეში გაქვთ შესაძლებლობა ის პირი, რომელიც თქვენ ბატონს და თქვენ გაძლევს თავშესაფარს, გადავიდეს თავის სამფლობელოთი თქვენთვის ცნობილ ძლიერ იმპერიის მფარველობაში და დაცვაში და ამაში წარმატება გექნებათ თქვენი ღონისძიებათა საშუალებით მაშინ თქვენ და თქვენი ბავშების მოსალოდნელ სიკეთეს დაუმატებთ კიდევ ახალს უხვ წყალობებს და იქნებით ჭეშმარიტად ბედნიერი...“ [1]

მთავარმართებლის დიპლომატიურმა პირობებმა ვერ შეარყია მსაჯულის პატრიოტული რწმენა, რადგან სოლომონისათვის პირადი ბედნიერება არ არსებობდა.

დ. ლეონიძეც სოლომონ მსაჯულს ასევე პატრიოტად ახასიათებს როგორც დრამაში, ისე ლირიკაში. მოგვაქვს ნაწყვეტი დ. ლეონიძის ლექსიდან, რომელსაც ეწოდება „მოგონება“ და რომელიც მიძღვნილია სოლომონ მსაჯულისადმი:

განზრახვა მტრისა მხოლოდ მას ერთსა
კარგად ესმოდა, არ სტყუვდებოდა,
უბედურების მომლოდე, ღმერთსა
სამშობლოს დაცვას ევედრებოდა.

ჯაჭვით შეპყრობილ სამშობლოს ნახვას
შიშობდა, ცეცხლი გულს ედებოდა
და მტრის ყოველსა ბოროტ განზრახვას
ფრთებსა კვეცავდა, წინ უდგებოდა.

მტერმა იცოდა, რომ იმ გმირს გარდა
წინააღმდეგი არავინ ყავდა.
და რომ იმისი გული მოეგო
მისთვის არაფერს არა ზოგავდა.

[1] Акты, т. IV, стр. 381.

მაგრამ ვერაფლის სოფლის დიდებით
ვერ შეურყია მტერმა მას გული,
და უფრო მეტის თავგამოდებით
სიკვდილმდე შერჩა მამულს ერთგული.

რა ოსმალთ [1] ხელში მოიგდეს მხარე,
იმ მამულისთვის აუჩნდნენ მტერად,
ცეცხლით გადასწვეს არე და მარე
სახლი და ციხე უქციეს მტვერად.

ვერ დაიმშვიდეს სული ამითა,
ურწმუნო გული ვერ გაიჯერეს
და ვიღაც ანგარს ბერძენს ქრთამითა
ის ახალციხეს მოაწამვლინეს.

ჩვენ შემოგვწირა ყოველ დიდება,
ჩვენთვის შეიქნა დღე მოკლებული,
ჩვენ კი უმადურთ არ გვაგონდება
და გვყავს სრულიად დავიწყებული [2].

მართლაც, დრო არის, რომ სოლომონ ლეონიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაიწეროს ვრცელი მონოგრაფია და ამ საქმის მკვლევარს დიდ დახმარებას გაუწევს მხატვრული ლიტერატურა, პირველ ყოვლისა, გენიალური პოეტის ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ და დ. ლეონიძის დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“.

ქართული ისტორიოგრაფიაც პატივისცემით იხსენიებს მრავალ ჭირნახულ და ღვაწლმოსილ სოლომონ ლეონიძეს.

„ერეკლეს შესანიშნავი თანამოღვაწე, ნიჭიერი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მსაჯული სოლომონ ლეონიძე ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელთაც ერეკლე გაბედულად აწინაურებდა უგვაროთა წრიდან მათი ჭკუის, ნიჭისა და ერთგულების მიხედვით. ამ დროს სოლომონი დიდი გავლენით სარგებლობდა...“ [3]

---

[1] აქ ოსმალეთი ალეგორიულად უნდა იყოს დასახელებული რუსეთის ნაცვლად ცენზურის თვალის ასახვევად.

[2] ლექსების კრებული, გვ. 64.

[3] საქართველოს ისტორია, ნაწ. I, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, 1946 წ. გამოცემა, გვ. 411.

ბევრჯერ შეეცადნენ რუსი მოხელეები სოლომონის იმერეთში დაბრუნებას. დიდძალ სიმდიდრესა და ნეტარ ცხოვრებას აღუთქვამდენ მას, მაგრამ იგი ბოლომდე პრინციპული დარჩა.

დ. ლეონიძის ცნობით 1811 წელს სოლომონ ლეონიძე ზურაბ წერეთელმა ვინმე მოსყიდულ ბერძენს მოაკვლევინა ახალციხეში. ასე დასრულდა თავისი დროის ჰეშმარიტი პატრიოტის, სახელოვანი ქართველი მოღვაწის სოლომონ ლეონიძის ცხოვრება.

დ. ლეონიძემ თავის შემოქმედებაში მიუდგომლად დახატა თავისი პაპის, დიდად ნაამაგარი ქართველის, სოლომონ ლეონიძის ღვაწლმოსილი სახე და ამით სამსახური გაუწია ჩვენი ქვეყნის სახელოვანი წარსულის შესწავლის საქმეს.

ზურაბ წერეთელი

რამდენადაც სოლომონ ლეონიძე კეთილშობილი სახელმწიფო მოღვაწეა, იმდენად ზურაბ წერეთელი გაქნილი და გაიძვერა პიროვნება იყო.

დავით ლეონიძემაც ზურაბ წერეთელი ყოველმხრივ უარყოფით პიროვნებად გამოხატა. მას იმერეთის სამეფო იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც პირად სარგებლობას ნახავდა. რუსეთის ორიენტაცია ზ. წერეთელმა იმიტომ კი არ მიიღო, რომ იგი ქართველი ხალხის მომავალ ბედნიერებას დიდ რუს ხალხთან კავშირში ხედავდა, არამედ იმიტომ, რომ რუს მოხელეთაგან დიდძალ ჯილდოს ღებულობდა და იმერეთის მფლობელობას ელოდა. იგი ატყუებდა სოლომონ მეფესაც და მთავარმართებელსაც.

დრამის ავტორი ამ ორ სხვადასხვა ისტორიული პიროვნების დახატვის დროს უდიდეს ობიექტურობას იჩენს. დ. ლეონიძე ერთნაირი სიძლიერით გადმოსცემს კეთილშობილ პატრიოტ სოლომონ ლეონიძისა და გაიძვერა პოლიტიკოსის ზურაბ წერეთლის სახეს [1].

აი როგორ ახასიათებს პროფ. ალ. ხახანაშვილი ზურაბ წერეთელს:

„ზურაბ წერეთელს შეხვდა გავლენიანი როლი იმერეთის სამეფოს მოსპობის ისტორიაში. იგი პატივისმოყვარე, შორსმჭვრეტელი და მოანგარე დიპლომატი იყო, იმან პეტერბურგში ყოფნის დროს... გაიცნო რუსეთი და იცოდა მისი ძალა.

---

[1] ზ. წერეთელი უარყოფითად დახატა აგრეთვე აკაკი წერეთელმა თავის პოემაში „კიკოლას ნაამბობი".

ამიტომ შეიქნა იგი რუსების მომხრე და ცდილობდა სოლომონის ტახტიდან ჩამოგდებას. რომ ახალი მთავრობის დახმარებით მეფის ადგილი თვით დაეჭირა. ამ ოცნების განხორციელებაში რუსები, რასაკვირველია, ხელს არ გაუმართავდნენ, და ამიტომაც ზურაბ წერეთელი ხან თავის მეფის მხარეზე იყო და ხან რუსთ ხელმწიფის ერთგული მოხელე“ [1].

მართლაც ზურაბ წერეთელს გარკვეული პოლიტიკური ორიენტაცია არ გააჩნდა, მისი მიმართულება იქეთ იხრებოდა, საიდანაც მეტ სარგებლობას მოელოდა.

პირად კარიერაზე მეოცნებე ზურაბ წერეთელი ქვეყნის ღალატში გამარჯვებული ასეთი ირონიით მიმართავს სოლომონ მსაჯულს დრამაში:

„ვისმა აჯობა სოლომონ მსაჯულო?! წადი ეხლა და იარე... შენს ამაღლებულ აზრებზე თუ რამეს გამორჩები! „მეფეს და სამშობლოს კაცმა მსხვერპლად უნდა მიუტანოს თავის ცხოვრება და დიდება და თავი უნდა შესწიროსო“. რასაკვირველია! ამის მეტს არაფელს ვფიქრობ სწორედ! თუ კი არაფერი მექნება და ან მე აღარ ვიქნები, ჯანი გავარდეს მეფეს, სამშობლოსაც და მთელ ქვეყანასაც! კაცი თავის თავისთვის ცხოვრობს ქვეყანაზედ და თავის შეძენას და დიდებას უნდა ანაცვალოს ყველა და ყოველივე ქვეყანაზედ! სიყმაწვილიდამ ამ მიზანს ვსდევდი და მით ვადიდე სახელი! ვინც გზაში ჩამომდგომია ამის ხელის შემშლელად, არ გამიხარებია და მომისპია მისი სიცოცხლე! ვისგანაც რამე სარგებლობას მოველი, ის არის ჩემი მეფეც, შვილიც და მეგობარიც“ [2].

დ. ლეონიძემ ამ სიტყვებით სწორად განსაზღვრა ზურაბ წერეთლის ბუნება. მან აქ ნათლად დახატა იგი როგორც გაიძვერა და ეგოისტი პიროვნება.

თვით სოლომონ მსაჯულიც ასეთივე შეხედულებისაა ზურაბ წერეთელზე. აი რას ეუბნება სოლომონი თავის შვილს ივანეს:

„ზურაბი, შვილო, ბოროტი და ანგარი კაცია; მე მას წინ უდგივარ გზაშიდ და იმისათვის ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ ყველანი წინააღმდეგად გამიხადოს“ [3].

ისტორიული დოკუმენტებიც ასევე მეფის მოღალატედ ახასიათებენ ზურაბ წერეთელს.

[1] იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, გვ. 30.

[2] იხ. დრამა, გვ. 75.

[3] იქვე, გვ. 59.

მთავარმართებელი ტორმასოვი ზ. წერეთლის შესახებ რუმიანცევს აცნობებს:

„ზურაბ წერეთელმა, რომელიც აქამდე მოქმედებდა შეუმჩნევლად ჩვენს სასარგებლოდ, ამოსწურა რა ყოველივე საშუალებანი. ბოლოს გამოუცხადა გენერალ მაიორ თავად ორბელიანს, რომ უკვე არაფერი არ იმოქმედებს მეფეზე აშკარა ძალის გარდა და თვითონ თავს იდვა, რომ თუ მის მამულში დაყენებული იქნება ჯარები, მაშინ ის გადაიბირიებს თავის დისწულს გურიელს, გურიის მთავარს, უარი სთქვას მეფის მორჩილებაზე და აღძრავს მის წინააღმდეგ რაჰის ძლიერ თავადებს, რომელთაც დევნის მეფე... მეფე დარჩება მხოლოდ იმერეთის მცირე ნაწილით... თუ ზურაბ წერეთელი წერილობით შემატყობინებს, რომ ის ღებულობს თავისთავზე აშკარად იმოქმედოს მეფის წინააღმდეგ, მაშინ შეიძლება გამოვიყვანოთ საქართველოდან კიდევ ერთი ბათალიონი იმერეთში და დავაბანაკოთ ზ. წერეთლის სამფლობელოში...“ [1]

როგორც ვიცით, ტორმასოვი და სხვა ბობოლა რუსი მოხელეები ცდილობდნენ მეფის მოტყუებით ხელში ჩაგდებას და მის გადასახლებას პეტერბურგში. ამ საქმის მოგვარება კი დავალებული ჰქონდა ზურაბ წერეთელს. ამის შესახებ ტორმასოვისადმი პატაკში სიმონოვიჩი წერს:

„ფოთიდან დაბრუნების შემდეგ მე ვერ ვნახე აქ ზურაბ წერეთელი, რომელიც იმყოფებოდა თავის სოფელში და მეფესთან და როცა ჩამოვიდა ამ თვის 10 რიცხვში, ჩავაბარე მას თქვენი წერილი და მოვილაპარაკეთ იმაზე, რომ სიმშვიდით, სისხლდაუღვრელად, ალერსიანი მოფერებით მეფესთან, მისი დაიმედებით უშიშროებაში და დაჯილდოებაში ლეჩხუმით და დანგრეული სასახლის ნაცვლად ახალი სახლის აშენების დაპირებით, მოიყვანს მეფეს ისეთ ნდობამდე, რომ ის დათანხმდეს ქუთაისში საცხოვრებლად გადასვლაზე. პეტერბურგში დეპუტატების გაგზავნაზე, მძევლებად ბატონიშვილის კონსტანტინეს და უმნიშვნელოვანესი თავადების მიცემაზე და როდესაც ყველაფერი ეს შესრულებული იქნება, შეჰყრობილ იქნეს ის (მეფე) და წაყვანილი თბილისში“ [2].

ბოლოს გაიძვერა ზურაბ წერეთელი დარწმუნდება იმაში, რომ მოსყიდვითა და მოტყუებით მეფესა და პატრიოტ ქართველებს

---

[1] Акты, т. IV, стр. 202.

[2] იქვე, გვ. 212.

ვერ დაიმორჩილებდა და გადასწყვეტს სისხლისღვრით დაიპყროს იმერეთი.

ასეთი შინაარსის წერილს წერს მთავარმართებელ გენერალ ტორმასოვს ზურაბ წერეთელი:

„ამ ჟამად მე არ შემიძლია აშკარად ვიმოქმედო, რადგან არ ვიცი, რომელ საათში მომკლავენ თქვენი ერთგულებისათვის. ახლაც კი მიპირებდნენ მოკვლას, რისთვისაც ჩემმა ძმისწულმა ქაიხოსრომ აზიური ცბიერებით უკვე დააფიცა მისი მსგავსი ადამიანები. მაგრამ მე სხვადასხვა საბაბით წავედი ფარულად ჩემს სახლში, შევიცვალე რა ჩვეულებრივი გზა ორი ადამიანის თანხლებით და ვნახე წინაღამით პოლკოვნიკი სიმონოვიჩი... მე მზად ვარ დავღვარო ყოველ საათს სისხლი იმპერატორისათვის, მაგრამ უმდაბლესად გიცხადებთ, რომ არავითარი ხერხით ის საიდუმლო საქმე არ შეიძლება შესრულებული იქნას, ვერც თქვენს მიერ მოთხოვნილ ამანათებს ვერ მივიღებთ მათგან... ისინი არ დგანან სამართლიანობაზე, არ არიან მტკიცენი თქვენი ნების შესრულებაში. თუ კი თქვენ ბრძანებთ ჯარების ჩაყენებას იმერეთის სხვადასხვა ადგილებში, თანახმად სიმონოვიჩის წარდგენისა, მაშინ თქვენი აზრი შეიძლება შესრულდეს. მე იმიტომ შევაჩერე მოქმედება, რომ დაუყონებლივ მოველი თქვენგან ჯარის უსწრაფეს გამოგზავნას და როცა მე მას მივიღებ და სხვა ადგილების გარდა ერთ ბათალიონს ჩავაყენებ ჩემს სახლში, მაშინ დავიწყებ მოქმედებას აშკარად, შიშის გარეშე, როგორც ამ მხარეზე ისე ახალციხეშიც... მაშინ თქვენს საბედნიეროთ ამ ზამთარში გათავდება იმერეთის საქმე... არაა საჭირო ამ საქმის დაყოვნება, რადგან მტრები მოელიან ზაფხულს, როდესაც თქვენ არ გეცლებათ სხვადასხვა საქმეების გამო, ხოლო ისინი შეფოთლილ ტყეებში გამაგრდებიან... მე ვცდილობ აქაური ხალხის მოსყიდვას მათი საყვარელი ოქროთი ხელმწიფის ერთგულებისათვის, მაგრამ მაჩერებს ამ ლითონის სიძვირე. ამას წინათ თ-დ დიმიტრის გამოვართვი 340 ჩერვონეცი და დავუმატე რა ამ თანხას ჩემი საკუთარი სახსრებიდან ერთი მესამედი, მოკლე დროში დავხარჯე მეფის ზოგიერთი ვეზირების მოსასყიდათ და ახლა ისინი ისე ერთგული არიან როგორც მე...“ [1]

მოღალატე ზურაბ წერეთელი მზად არის დაღვაროს სისხლი ხელმწიფე იმპერატორისათვის. „მე მზად ვარ დავღვარო სისხლი

[1] Акты, т. IV, стр. 213.

ხ. ი-სათვისო", — წერს იგი. ამას ჩადიოდა ზურაბ წერეთელი პირადი განდიდებისა და გამდიდრებისათვის. აი რას წერს ტორმასოვი სიმონოვიჩს:

„დაარწმუნეთ თავად ზურაბ წერეთელი ჩემის მხრით, რომ იმერეთისაგან რაჭის მაზრის ჩამოშორების შემთხვევაში ის არამც თუ დაკარგავს თავის საკუთრებას, არამედ ცნობილი საქმის წარმატებით დამთავრების შემდეგ მას შეუძლია იმედი იქონიოს მიიღოს სამმართველოდ ან მთელი რაჭის მაზრა, ან მიეცემა მას ბატონიშვილის კონსტანტინეს მამულის ნაწილი" [1].

ზურაბ წერეთელი, როგორც მოსყიდული აგენტი, ტორმასოვს გარკვეულ რჩევა-დარიგებას აძლევდა. იგი ატყობინებდა მეფის ყოველ განზრახვას, საბრძოლო ძალის რაოდენობას, ბუნებრივი სიმაგრეების საშიშროებას და სხვა ცნობებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ზურაბ წერეთელის, 1810 წლის 10 თებერვალს, საჩხერიდან ტორმასოვისადმი მიწერილი წერილი:

„საუკეთესოდ მიმაჩნია, რომ თქვენი განზრახვა გადაიდოს სხვა დრომდე. რომ ეს საქმე შესრულებულიყო ზამთარში, მაშინ უფრო ადვილი იქნებოდა მოთხოვილის შესრულება; მაგრამ რადგანაც ზამთარი ხელიდან გაშვებულია, ამიტომ მე ვალდებული ვარ წარმოგიდგინოთ აქაური მდგომარეობა ნამდვილი სახით. დგება ზაფხული და ამიტომ შეეცადოთ ხალხი არ აჯანყდეს! თუმცა ძლიერი ჯარისათვის ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ აქ ისეთი კლდოვანი ადგილებია, რომ ადვილად დაიმალება ხალხი ჯარისთვის მიუწვდომელ ადგილში. როდესაც კი სხვა საქმეები გაიძულებენ თქვენ გაიყვანოთ აქედან ჯარი, მაშინ არც ერთი იმერელი არც ფიცის, არც მოცემული სიტყვის მიხედვით არ ესვრის მეფეს... მეფემ ამას წინეთ ორჯერ დაავალა ფიცით ყველა თავადებს და აზნაურებს, რომ არავინ არ დაგიახლოვდეთ თქვენ არც მეგობრობით და არც ვაჭრობით, არც ქვეშევრდომობით, ბრძოლის შემთხვევაში კი მოკვდენ მეფისათვის, რადგან ის მათ უბრძანებს. აგრეთვე იმერეთის ყველა მხარეები აიძულა დაეფიცებია, რომ ისინი რუსებისაგან ძალადობის შემთხვევაში მომკვდარიყვენ ერთმანეთისათვის. და თუმცა ძალამ შესაძლებელია ყველაფერი დასძლიოს, მაგრამ არეულობა გამოვა დიდი... თუ კი ჩემს წარდგინებას არ მოისმენთ, მაშინ ვხედავთ, რომ დრო წასულა, — მეფეს თქვენ ვერ დაიჭერთ,

[1] Акты, т. IV, стр. 220.

საქმე დიდად გაძნელდება. მე ვლაპარაკობ თქვენი ერთგულების გამო და სრულებით არა მეფის ბედნიერების სურვილის გამო, რადგან მან წამართვა მთელი ძალი და ღონე, როგორც კი საქართველოში მოვიდა რუსეთის ჯარი, ეძებს ჩემს სიკვდილს... ამიტომ ნება მომეცით დავაჯერო მეფე, რომ სანამ ის ცოცხალი იქნება, არ წაერთმევა ტახტი — თანახმად თქვენი დაპირებისა და მე ჩამოვართმევ მას ხელწერილს. შემდეგ როგორც გენებოთ ისე მოიქცით. არ მისცეთ ნება მას აირჩიოს მემკვიდრე და ის შეასრულებს ყველა თქვენს მოთხოვნილებებს, მოიქცევა რა ყველაფერში თქვენი ნების თანახმად.

თუ ჩემი წარმოდგინება თქვენს მიერ ცნობილი იქნება სასარგებლოდ, მაშინ მაცნობეთ ჩქარა, უბრძანებთ რა ამასთან ერთად გაგზავნილ ჯარებს გაჩერდნენ იქ, სადაც ახლა იმყოფებიან გადაწყვეტილებამდე" [1].

ვფიქრობთ სხვა მაგალითების მოტანა არ არის საჭირო იმისათვის, რომ დავამტკიცოთ ზურაბ წერეთლის მოღალატური როლი იმერეთის საქმეში და დ. ლეონიძის ობიექტიურობა. უდაოდ ზურაბ წერეთელმა გაიძვერული როლი ითამაშა იმერეთის სამეფოს დაცემის საქმეში, ხოლო დრამატურგმა დავით ლეონიძემ კი ობიექტურად ასახა ზურაბ წერეთლის პიროვნება, რადგან დრამაში წარმოდგენილ ზურაბის ყველა მოქმედებას ადასტურებს უტყუარი ისტორიული დოკუმენტები.

ბოროტი ზურაბ წერეთელი მეფის დატყვევებით არ დაკმაყოფილდა. მან მეფის სასახლე დაარბია და განძეულობა თავის სახლში გადაიტანა, ხოლო დედოფალი დააპატიმრებინა. სოლომონ ლეონიძე კი ახალციხეში ფულით მოსყიდულ ჯალათს მოაკვლევინა.

ასეთია დრამის მიხედვით და ისტორიული ფაქტებითაც ზურაბ წერეთლის ნამდვილი სახე. დავით ლეონიძემ ყოველივე ეს მხატვრულ ფერებში ჩამოაყალიბა და მკითხველის წინაშე ისტორიული წარსული გააცოცხლა.

დემოკრატიული მოტივი დრამაში

დავით ლეონიძემ ისტორიულ ვითარებასთან ერთად დრამაში მშრომელი ხალხის დუხჭირ ცხოვრების სურათებიც დაგვიხატა, მან დიდ ისტორიულ პირებთან ერთად სცენაზე ყმა გლეხებიც გამო-

[1] Акты, т. IV, стр. 231.

იყვანა და მათი უმწეო მდგომარეობის უტყუარი ფაქტები გვაჩვენა. დავით ლეონიძემ ზურაბ წერეთელი ასახა არა მარტო როგორც გაიძვერა პოლიტიკური მოღვაწე, არამედ როგორც შეუბრალებელი მებატონე და გულქვა ადამიანი. განრისხებული ზურაბ წერეთელი ხშირად აწიოკებს გლეხის ოჯახს, ართმევს ჰირნახულს და ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს მათ სახლ-კარს. ზოგჯერ ამასაც არ სჯერდება იგი და დარბეული ოჯახის წევრებს ცალცალკე ჰყიდის სპარსეთსა და ოსმალეთში.

ზურაბის ყმას, მათია თაბაგარს, ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს, რომელიც ბატონს უნდა მშობლებს წაართვას. მამას შვილის სიყვარული აიძულებს ზურაბის უსამართლო განზრახვას წინ აღუდგეს. ასეთი ურჩობისათვის ზურაბის კაცები ცეცხლსა და მახვილს მისცემენ საწყალი გლეხის ოჯახს.

ზურაბისაგან განადგურებული მათია თაბაგარი იძულებული ხდება ბატონის წინაშე ქედი მოიხაროს, ოღონდ აკმაროს ეს აწიოკება და შვილსაც გაიმეტებს ბატონის სურვილისამებრ.

აი როგორი სიტყვებით სთხოვს მიგზავნილი პირის საშუალებით, მათია თაბაგარი ზურაბ წერეთელს:

„მართალია, შევცდი, თქვენს ბრძანებას არ დავემორჩილეო, მაგრამ შვილი ვერ გავიმეტე და იმან გამაბედვინაო. ეხლა ჩემი შვილიც თქვენ გახლავთ და თქვენმა ბოქაულებმა სულ დამავსეს და დამიხოცეს, რაც მყავდა ოთხფეხი, ან ორფეხიო. მადლობა ღმერთს, ჰქონდეს! არას დავეძებ, მხოლოდ შემირიგეთ და მაკმარეთ, რაც დასჯა მომაყენეთო“ [1].

მოწყალების ნაცვლად განრისხებული ზურაბი ხმამაღლა გაიძახის:

„ვაპატიო კი არა, ღმერთს მადლობას უნდა სწირავდეს, რომ ცხენის ძუაზედ არ მივაკარი და არ გავაგლეჯინე წინააღმდეგობისათვის“ [2].

შეშინებული გლეხი, რომელიც სასტიკ სასჯელს მოელოდა გამხეცებული ბატონისაგან, სასახლიდან გაიქცევა თავისი ქალიშვილით, მაგრამ ზურაბის კაცები გზაში დაიჭერენ და ისევ ზურაბს მიჰგვრიან ცოცხალ-მკვდარ მამა-შვილს.

ზურაბი გასცემს განკარგულებას, რომ მათია თაბაგარი და მისი ქალიშვილი, როგორც პირუტყვი საქონელი, ცალ-ცალკე გაყიდონ:

---

[1] იხ. დრამა, გვ. 10.

[2] იქვე.

„აი ჩემი ბრძანება: ეგ გომბიო ახალციხისკენ გააყოლვინე და ეგ ავაზაკი მამა მაგისი სპარსეთისაკენ, რომ მისდღეში იმერეთის ჰაერი ველარ ნახოს!.. [1]

მბრძანებლის წინაშე დაჩოქილი მათია თაბაგარი დასაკლავ ხარივით აბღავლდება და სთხოვს ბატონს პატიებას.

„ბატონო! შენი მუხლების ჰირიმე! შეხედე შენს იესე ქრისტეს! დანაშაული ვარ! შეგცოდე! ვიცი, მაგრამ შვილია ჩემი; ამის მეტი არ გამაჩნია და რა ვქნა, რომ ვერ ველეოდი!“ [2].

ზურაბის მრისხანება მაინც ვერ დააცხრო გლეხის უსაზღვრო ტანჯვამ, მათია თაბაგარი კვლავ განაგრძობს ლიტანიას ბატონის წინაშე.

„ბატონო! ღმერთი გადღეგრძელებს! ღვთის გულისათვის შემიწყნარე, ადამიანი ვარ, ნუ დაგვაშორებ ერთმანეთს, თუ არა და მე რაც გნებავთ, ის მიყავით, დამხვრიტეთ, ჩამომახჩვეთ, მხოლოდ ჩემს შვილს ურჯულოების ხელში ნუ ჩააგდებთ! თქვენ იმსახურეთ შენი ჰირიმე“ [3].

მაგრამ გლეხის მუდარა უშედეგო აღმოჩნდა. განრისხებულმა ზურაბ წერეთელმა თავისი სასტიკი ბრძანება არ შესცვალა. ბოლოს გამწარებულმა გლეხმა ხანჯალი იძრო თავის მოსაკლავად. მაგრამ ამის საშუალებაც არ მისცეს ზურაბის კაცებმა.

„ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია! ღმერთო! შენ მოჰკითხე, ვისითაც მე ეს მემართება! (ამოიღებს ხანჯალს, უნდა გულში ჩაიცეს, მაგრამ ხელს დაუკავებენ და ხანჯალს წაართმევენ, ყველანი წამოცვივდებიან...) [4].

ასეთი ფერებით დახატა დავით ლეონიძემ ისტორიულ დრამაში მშრომელი ხალხის უუფლებო ცხოვრების ერთი ეპიზოდი და ამით ავტორმა ღრმად გვაგრძნობინა მაშინდელი ცხოვრების სოციალური ტანჯვის საშინელებანი. დრამის ავტორმა წარსული ცხოვრების მახინჯი მხარეების დახატვით კიდევ უფრო საინტერესო გახადა შინაარსობრივად თვისი ნაწარმოები. საერთოდ დ. ლეონიძის შემოქმედებას აშკარად ეტყობა ახალი ცხოვრების იდეური გავლენა და კლასთა უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენცია.

---

[1] იხ. დრამა, გვ. 15.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 16.

დრამის საერთო დახასიათება

დ. ლეონიძეს დრამაში „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“ საინტერესოდ გადმოგვცემს საქართველოს წარსულის ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს. მართალია, დრამის მხატვრული კომპოზიცია დაბალია, მაგრამ შინაარსობრივი სინამდვილე და მგზნებარე პატრიოტული სულისკვეთება, რომლის საფუძველზედაც ვითარდება მთლიანად ნაწარმოები, მას საინტერესოდ ხდის ჩვენთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოლომონ ლეონიძე—მსაჯული, იმდენად მნიშვნელოვანი პიროვნებაა, რომ მასთან და მისი ოჯახის წევრებთან დაკავშირებული მხატვრული, თუ ისტორიული ფაქტები საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრების შესასწავლად და ამდენად დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“ და საერთოდ დ. ლეონიძის შემოქმედება საყურადღებო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის.

ნაწარმოების მთელი სიუჟეტი გაშლილია ისტორიულ ქარგაზე, სადაც სასტიკი ბრძოლა წარმოებს ცარიზმის აგენტებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის. მართალია, ეს უკანასკნელი იდეა მარცხდება და გამარჯვებული გამოდის ზურაბ წერეთელი, მაგრამ ქართველ პატრიოტთა უანგარო სამსახური სამშობლოსადმი და თავგანწირულება უდიდეს თანაგრძნობასა და სიმპათიას იწვევს მკითხველში.

ავტორს კარგად აქვს დაკავშირებული დრამის საერთო სიუჟეტთან სოლომონ მსაჯულისა და დარეჯანის ტრაგიკული რომანი. აქ ავტორი სცილდება ისტორიულ ქარგას და პოეტურ ოსტატობას ამჟღავნებს.

დ. ლეონიძე კარგად ახერხებს ნაწარმოებში დრამატული კვანძის გაშლას. განსაკუთრებით ეს იგრძნობა დრამის ფინალში.

დიდ თანაგრძნობას იწვევს ნაწარმოებში სოლომონ ლეონიძის კეთილშობილური სახე. მართალია, გენიალური პოეტი ნ. ბარათაშვილი თავის პოემაში „ბედი ქართლისა“ ღრმად მოფიქრებულ სახეს გვიხატავს სოლომონ ლეონიძის პიროვნებისას, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს საინტერესო მოღვაწე ჯერ ქართულ ლიტერატურაში ასე სრულყოფილად არავის აუსახავს. მხოლოდ ეს გარემოებაც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ამ დრამატულ ნაწარმოებს ინტერესი გამოეწვია ჩვენში.

დრამაში სოლომონ მსაჯულის ყოველი სიტყვა, ყოველი მოქმე-

დება სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების იდეას აღვიძებს. განსაკუთრებით კარგია სცენა, როდესაც დამარცხებული მსაჯული ახალციხეში წასვლის წინ უკანასკნელად ემშვიდობება სათაყვანებელსა და მრავალ ჭირნახულს სამშობლოს.

ნაწარმოებში არის დრამატულად მძაფრი ადგილები. მაგალითად, დარეჯანის ტრაგიკული სიკვდილის სცენა და ფინალში სოლომონ მეფის გაპარვა თბილისიდან.

დრამას აქვს სუსტი მხარეებიც: ისტორიულ ფაქტებს აკლია განზოგადოება, ტიპიურ გარემოში გამოხატვა. ნაწარმოები დამძიმებულია ვრცელი დიალოგებით, სიტყვიერი მასალით და სხვა.

მაგრამ. მიუხედავად ამისა, ცენზურას რომ თავის დროზე ავტორისათვის ნება დაერთო დრამის დაბეჭდვისა ან სცენაზე განხორციელებისა, ეროვნულ ჩაგვრის პირობებში, იგი უთუოდ ინტერესს გამოიწვევდა მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში.

დ ა ს კ ვ ნ ა

ლიტერატურის ისტორიაში რჩეულთა გვერდით მეორეხარისხოვან მწერლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი. ილიასა და აკაკის მძლავრ პოეტურ შემოქმედებას ბანს აძლევდნენ პ. უმიკაშვილი, გ. ჭალადიდელი, გრ. აბაშიძე და სხვები.

დ. ლეონიძეც XIX საუკუნის მოღვაწეთა მეორე რიგის პლეადას მიეკუთნება. იგი მწერლობას იწყებს 80-იან წლებში და თემატურად აგრძელებს 60-ანი წლების ქართული ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებს.

განსაკუთრებით თერგდალეულების გავლენით ჩამოყალიბდა დ. ლეონიძის შემოქმედებაში პატრიოტული მოტივი. მისი ისტორიული დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“ გაჟღენთილია პატრიოტული სულისკვეთებით. გმირი ქართველი მამულიშვილები იბრძვიან სამშობლოს თავისუფლებისათვის, პირად სიცოცხლეს მსხვერპლად სწირავენ საერთო საქმეს. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა დრამაში სოლომონ ლეონიძე და სხვა ქართველი პატრიოტები. ასევე პატრიოტულ პრინციპზეა აგებული პოემა „ელიავა“ და ჩვენთვის ცნობილი ზოგი ლირიკული ლექსი

80-იან 90 იანი წლები საქართველოში დიდი პოლიტიკური ძვრებისა და იდეოლოგიური აღმავლობის პერიოდია. კლასთა ბრძოლა სოფლად და ქალაქად გამწვავებულ ხასიათს ღებულობს და ეს პოლიტიკური სიტუაცია დ. ლეონიძის შემოქმედებაში საკმაო გამო-

ხატულებას პოულობს. განსაკუთრებით მწერალი ეხება გლეხთა საჭირბოროტო საკითხებს.

ბატონყმობის საშინელებანი მკვეთრად გვაგრძნობინა დ. ლეონიძემ დრამაში „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა". ზურაბ წერეთლის ყმის მათია თაბაგარის ტრაგედიით ავტორმა დაგვანახა ყმა გლეხის ცხოვრების მთელი საშინელება. აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალს არ აკმაყოფილებს რეფორმის შედეგები. პრაქტიკული საქმიანობით იგი ხელს უწყობდა დროებით ვალდებული გლეხების განთავისუფლებას მემამულეთა ბრჭყალებისაგან, მაგრამ ამავე დროს იმასაც გრძნობდა, რომ გლეხი კვლავ უნუგეშო მდგომარეობაში რჩებოდა. ნაბატონარი, ვაჭარი, მოხელეები და სამღვდელოება ფეხქვეშ თელავდნენ მათს უფლებებს, იტაცებდნენ მათს ჭირნახულს და მფარველი გლეხს არავინ ჰყავდა. სამშობლო ჯერ კიდევ მისთვის დედინაცვალი იყო. „ჯერ შორს იყო მუნ სანატრელი თავისუფლება". ხოლო მწერლის აზრით კი მშრომელი ხალხი თავისუფლების გარეშე ბედნიერ ცხოვრებას ვერ მოიპოვებს.

დ. ლეონიძის შემოქმედების პოეტური ძალა განსაკუთრებით სიყვარულის საკითხში მჟღავნდება. მას სიყვარული უკეთილშობილეს გრძნობად აქვს გამოხატული. ყოველი არსებულისათვის სიყვარული მაცოცხლებელი ძალაა და პოეტი მზად არის მას ანაცვალოს მიწიური და ზეციური ნეტარება

ასეთივე სიძლიერით ჟღერს სიყვარულის ძალა პოემაში „ელიავა" და დრამაში „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა". პოემაში თათრის ქალი ყელგამოჭრილი დაეცემა შეყვარებულის, ქართველი პატრიოტის, ელიავას საფლავზე. ხოლო დრამაში დარეჯან ბატონიშვილი თავგანწირული იფერფლება სიყვარულის სამსხვერპლოზე. დ. ლეონიძე და მისი გმირები გულწრფელად თანაუგრძნობენ სატრფოს და მზად არიან მათთვის ყოველივე მსხვერპლი გაიღონ.

როგორც დავინახეთ, დ. ლეონიძის პოეტური მემკვიდრეობა არ არის ინტერესმოკლებული. ზოგ მის ნაწარმოებს დღესაც არ დაუკარგავს კეთილშობილური ზედმოქმედების ძალა და საინტერესო მასალას იძლევა ჩვენი სახელოვანი წარსულისა და კულტურის შესწავლისათვის [1].

[1] დ. ლეონიძის შემოქმედებიდან ყველა ნაწარმოების განხილვა არ მოხერხდა საჟურნალო სტატიის შეზღუდულობის გამო. განუხილავი ლექსებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსულ ენაზე დაწერილი ლექსი, მიძღვნილი ოსი რევოლუციონერი პოეტის — კოსტა ხეთაგუროვისადმი.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

თამარ ახვლედიანი

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიები და კონფერენციები

ბიბლიოგრაფია

1938—1950

წინამდებარე ბიბლიოგრაფიის გამოქვეყნებით მიზნად დავისახეთ თავი მოვუყაროთ მასალას ყველა სამეცნიერო სესიისა და კონფერენციის შესახებ, რაც პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიისათვის საყურადღებო დოკუმენტალურ ცნობებს შეიცავს.

სამეცნიერო სესიათა და კონფერენციათა გეგმები მცირე ტირაჟის გამო ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო. აღსანიშნავია, რომ ნაწილი სესიებზე წარმოდგენილ მოხსენებათა დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში“, დანარჩენები ავტორებთან ინახება ხელნაწერების სახით. ამის გამო, ვფიქრობთ, ეს ბიბლიოგრაფია არ უნდა იქნეს ინტერესმოკლებული.

მეცნიერ მუშაკთა პირველი სამეცნიერო სესია ჩატარდა 1938 წელს. იგი მიძღვნილი იყო ლენინური კომკავშირის 20 წლისთავისადმი. ამ წლიდან ჩაეყარა საფუძველი სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარების ტრადიციას. მეცნიერ მუშაკთა რამდენიმე სესია მიეძღვნა ღირსშესანიშნავ თარიღებს, როგორიც იყო: ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს დაბადების 60 წლისთავი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX და XXI წლისთავი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 100 წლისთავი, ინსტიტუტის არსებობის 15 წლისთავი და სხვა.

სულ ჩატარდა მეცნიერ მუშაკთა 12 სამეცნიერო სესია (ნუმერაციის მიხედვით 13). მე-7 სესიის შემდეგ ნუმერაციაში გაკეთებულია ნახტომი და მომდევნო სესიის გეგმას ნომრად უზის IX (უნდა იყოს VIII), შემდეგ კი გრძელდება თანმიმდევრობით. გეგმით წარმოდგენილ იქნა სულ 318 მოხსენება სხვადასხვა საკითხზე.

სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია მოეწყო 1941 წელს. დღემდე ჩატარდა სულ 9 სამეცნიერო კონფერენცია და ერთიც — საქართველოს პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტთა პირველი სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია. ვინაიდან რესპუბლიკური კონფერენცია მოეწყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ინიციატივით და ჩატარდა ქუთაისის ინსტიტუტში, რომელზედაც 51 მოხსენებიდან ჩვენი სტუდენტების მიერ წარმოდგენილ იქნა 25 მოხსენება, ამიტომ ეს კონფერენციაც ბიბლიოგრაფიაში შევიტანეთ. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები და თეზისები ინახება ინსტიტუტის ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყ. ხელნაწერთა ფონდში.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე გეგმით წარმოდგენილ იქნა 164 მოხსენება სხვადასხვა საკითხზე.

ინსტიტუტის კათედრების მიერ მოეწყო მეცნიერ მუშაკთა სამი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის ნაშრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოსვლის 40 წლისთავს, დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავს და დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავს. აღნიშნულ სამეცნიერო სესიებზე გეგმით წარმოდგენილ იქნა 34 მოხსენება.

ბიბლიოგრაფიის შედგენისას ვეყრდნობოდით სესიების და კონფერენციების სამუშაო გეგმებს, რომლებიც სტამბური წესით იბეჭდებოდა. აღნიშნული გეგმები დაცულია ინსტიტუტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყ. წიგნად ფონდში.

ბიბლიოგრაფია შედგება 3 ნაწილისაგან. პირველში შეტანილია მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესიები, მეორეში — სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები და ბოლოს — კათედრების მიერ მოწყობილი მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესიები. ეს უკანასკნელი 3 სესია ჩატარდა მაშინ, როდესაც ჩვენი ბიბლიოგრაფიის შედგენა დამთავრებული იყო.

წყობა ქრონოლოგიურია. პირველად მოცემულია ბიბლიოგრაფიული აღწერილობა თვით სამუშაო გეგმის, როგორც ცალკე ბეჭდვითი ერთეულისა [უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერ მუშაკთა პირველი და მეორე სამეცნიერო სესიის გეგმა ბეჭდვითი სახით ვერ ვიპოვეთ. პირველი სესიის შესახებ ცნობები აღებულია ინსტიტუტის საარქივო მასალიდან № 2878 1938 წ., ნაწ. II, რომელშიც აღმოჩდა დირექტორის დოც. ლ. ა. ჭელიძის ბრძანება № 238, § 15. 15/XI—1938 წ. სესიაზე მონაწილე 15 მომხსენებელთა (ჩამოთვლილია გვარები) დაჯილდოების შესახებ. რა თემებზე იქნა წარმოდგენილი მოხსენებები, ამის დოკუმენტალური ყველა საბუთი ჯერჯერობით ვერ შევაგროვეთ. მეორე სამეცნიერო სესიის შესახებ ცნობები ამოღებულია ჩვენი ინსტიტუტის „შრომების“ II ტომიდან. ასეთივე მდგომარეობაა სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენციის შესახებაც. ჩვენ ხელთ გვქონდა მხოლოდ კონფერენციის მოსაწვევი ბარათი, სტამბური წესით დაბეჭდილი, რომლიდანაც ამოვიღეთ ცნობები მომხსენებელთა და მოხსენებათა შესახებ]. შემდეგ ანოტირებულია სესიის დღის წესრიგი: სხდომის თავმჯდომარეთა, ხელმძღვანელთა, მომხსენებელთა და მოხსენებათა აღნიშვნით. სქოლიოში მიეუთითეთ მხოლოდ ჩვენს „შრომებში“ გამოქვეყნებული მოხსენებები.

სტუდენტთა კონფერენციები აღწერილია ამავე პრინციპით, ნუმერაციის გაგრძელებით, ასევე — კათედრათა სამეცნიერო სესიები.

ბიბლიოგრაფიას დართული აქვს დამხმარე საძიებლები: სახელთა და სისტემატური. სისტემატური საძიებელი ძირითადად შედგენილია იმ საკლასიფიკაციო ნუსხის მიხედვით, რომელსაც იყენებს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა ჟურნალებში: „წიგნის მატიანე“, „ჟურნალის სტატიების მატიანე“ და სხვა. საძიებელში მოცემულია ორმაგი ციფრები: უფრჩხილოდ და ფრჩხილებით, რაც ასე უნდა წავიკითხოთ: აბაშიძე ნ. 17 (5). 17 ნიშნავს სესიის ან კონფერენციის გეგმის აღწერილობის რიგით ნომერს, (5) კი მომხსენებლის — აბაშიძე ნ. რიგით ნომერს.

დასასრულ, მოვალეთ ვთვლით ჩვენს თავს უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის მეთოდისტს დიმიტრი ნიკოლოზის-ძე მარკევიჩს იმ თვალსაჩინო შრომისათვის, რაც მან გასწია ამ ბიბლიოგრაფიის შედგენის დროს.

I. მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესიები

1938

1. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია 1938 წ. მიძღვნილი საკავშირო ლენინური კომკავშირის 20 წლისთავისადმი [სამეცნიერო ქრონიკა. პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კონფერენციები]. (ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწ. პედაგოგ. ინს-ტის შრომები, 1940, ტ. I, გვ. 195).

მომხსენებლები: ხაჟალია გ., ბოჭორიშვილი ა. თ., შენგელია ნ., ჭანიშვილი კ. ტ., ფურცხვანიძე ა., ხაჭაპურიძე ბ., სვანიძე გ., ბარკალაია ა., გოცირიძე ა., ჭუმბურიძე ნ., სვანიძე ქ., ჩაჩანიძე გ., ჯიბლაძე გ., კარსანიძე ს., სანებლიძე მ.

1939

2. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია 1939 წ. დეკემბერი მიძღვნილი ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი [სამეცნიერო ქრონიკა. პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კონფერენციები]. (ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწ. პედაგოგ. ინს-ტის შრომები, 1940, ტ. I, გვ. 195-196).

მოხსენებები: 1. ბოჭორიშვილი ა. თ., პროფ. — ფსიქოლოგიის პრობლემა ემპირიოკრიტიციზმში. 2. კარსანიძე ს. — ლენინი და სტალინი კრიზისების შესახებ. 3. მოსიავა ა., დოც. — ყურადღების განაწილების შესახებ[1]. 4. შენგელია ნ., დოც. — ვაზირის თანამდებობა დასავლეთ საქართველოში[2]. 5. ხვინგია ა. — აპიანე როგორც სამოქალაქო ომების ისტორიკოსი რომში. 6. მეცხვარიშვილი ი., დოც. — ზომერფელდის პრინციპისათვის. 7. ხაჟალია გ., დოც. — ორადბმული არეების კონფორმული ასახვის თეორიისათვის. 8. მეძველია კ. ნ., დოც. — კირილე

---

[1] დაიბეჭდა სათაურით: „ყურადღების დისტრიბუციის საკითხისათვის“ (ინს-ტის შრომები, 1941, ტ. II, გვ. 59-82).

[2] ინს-ტის შრომები, 1941, ტ. II, გვ. 97-103.

